წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

სტეფანი მეიერი

”ბინდის” საგა

ახალი მთვარე

წიგნი მეორე

თავი პირველი

წვეულება

99,9%-ით დარწმუნებული ვიყავი რომ მეძინა.
 დარწმუნებული ვიყავი იმიტომ რომ უცებ ავღმოვჩნდი ნათელ ოთახში.
 დაბრმავებული მზის ბრწყინავი სხივებით, რომელიც არასდროს არ ანათებდა ჩემს უკვე მშობლიურ, წვიმიან ქალაქ ფორქსში.
 გავიდა 1 წუთი და მე დავინახე ჩემი ბებია, მერი. ბებია უკვე 6 წელია გარდაცვლილი იყო და ეხლა საბოლოოდ დავრწმუნდი რომ სიზმარში ვიყავი.
ბებია თითქმის არ იყო შეცვლილი, მისი სახე იყო ისეთივე როგორიც
მახსოვდა. სახის კანი იყო ნაზი, დაფარული პატარა ნაოჭებით
სახე ჰგავდა გამომშრალ ატამს რომელსაც ღრუბელივით ედო სქელი
თეთრი თმები.
მისი ტუჩების ფორმა გამოხატავდა გაკვირვებას და ასევე უხერხულად
იღიმებოდა, ალბათ ისიც არ ელოდა ჩემს ნახვას.
მე უკვე მომზადებული ვიყავი დამესვა ბებიასათვის უამრავი კითხვა:
თუ რას აკეთებდა ის ჩემს სიზმარში, რას შვებოდა ბოლო 6 წელი,
მაგრამ როგორც კი გავაღე პირი სალაპარაკოდ, მანაც იგივე გააკეთა
მე გავჩერდი და მივეცი საშუალება მას დაეწყო საუბარი, მანაც
პაუზა გააკეთა,შემდეგ უხარხულად ვიღიმოდით ამ მოუხერხებელი
სიტუაციის გამო
.
--ბელლა!

ეხლა ჩემი სახელი ბებიას არ წარმოუთქვმას, ჩვენ მივბრუნდით რომ
გვენახა ვინ შემოუერთდა შვენს პატარა კომპანიას. მე ვერც კი ვიჯერებდი ვინც წარმოსთქვა ჩემი სახელი, ეს ხმა რომელსაც მე ვცნობდი სიზმარში
თუ ცხადში,თუნდაც მკვდარი რომ ვყოფილიყავი. ამ ხმის გამოძახილზე წავიდოდი ცეცხლში, ხანძარში და რაც ცოტათი ნაკლებდა დრამატულია ყოველდღიურ ცივ წვიმაში.
ეს იყო ედვარდი!
მიუხედავად იმისა რომ მე მუდამ ვნერვიულობდი რადგან ვერ ვხედავდი მას
ფხიზლად თუ სიზმარში, თუ ვოცნებობდი მის დანახვას მე მაინც ჩავვარდი
პანიკაში რადგან ედვარდი მოდიოდა მზის ნათელ სხივებში.
მე უფრო დიდ პანიკაში ჩავარდი იმიტომ რომ ბებიამ არ იცოდა რომ მე
მიყვარდა ვამპირი–ეს არავინ არ იცოდა ჩემს გარდა და ამით აიხსნებოდა ის
ფაქტი რომ მზის სხივები ვრცელდებოდა მისი კანიდან რომელიც ბრწყინავდა
ცისარტყელის ფერებით, თითქოსდა ის მთლიანდა გაკეთებული იყო ალმასისგან

–კარგი ბებო შენ ალბათ შეამჩნიე რომ ჩემი მეგობარი ბრწყინავს, ეს არის ის რასაც მზეზე აკეთებს მაგრამ ამაზე არ ინერვიულო...

რას აკეთებდა ედვარდი აქ? იყო უამრავი მიზეზი რის გამოც ის ცხოვრობდა
ფორქსში, ყველაზე წვიმიან ადგილზე და ერთერთი ის, რომ ის თავისუფლად
გამოდიოდა დღე გარეთ და არ ამჟღავნებდა მისი ოჯახის საიდუმლოს.
მაგრამ ის ეხლა აქ იყო, მოდიოდა გრაციოზული ნაბიჯებით და ყველაზე მშვენიერი ღიმილით მის ანგელოზის სახეზე- თითქოსდა ოთახში მარტო ვიყავი.
ამ მომენტში მე ვინანე რომ ვიყავი ერთადერთი გამონაკლისი ედვარდის ნიჭისთვის, უმეტესად მიხაროდა რომ ის ვერ კითხულობდა ჩემს აზრებს.
მაგრამ ახლა ძალიან მაწუხებდა ეს რადგან მას არ ესმოდა ჩემი გაფრთხილება რომელსაც გონებაში ვყვიროდი.
მე ბებიასკენ შევბრუნდი პანიკით სავსე თვალებით, მაგრამ მივხვდი რომ გვიანი იყო, ისიც იმ წუთს შემობრუნდა იგივე
გამომეტყველებით.

ედვარდი ისევ მომღიმარი ისეთი ლამაზი რომ ჩემი გული დნებოდა მისი შეხედულებიდან, მომესალმა, მე წელზე მოვხვიე ხელი, ის ბეჭებზე მომეხვია და შებრუნდა რომ ბებიას წინ დამდგარიყო.
ბებიას გამომეტყველებამ გამაკვირვა. იმის მაგივრად რომ შეშინებული ყოფილიყო, ის ისე იდგა თითქოს განაჩენის გამოტანას ელოდა ჩემგან.
ის იდგა ძალიან უცნაურ პოზაში, მისი ხელი გაწეული იყო ჰაერში თითქოსდა ვიღაცას ეხვეოდა, ვისაც მე ვერ ვხედავდი.
უცებ თითქოსდა მე შევხედე დიდ სურათს, შევამჩნიე დიდი ჩარჩო რომლის შიგნითაც მოქცეული იყო ბებიას ფიგურა. გაურკვევლობაში მყოფმა ავწიე ის ხელი რომელიც არ მქონდა ედვარდზე შემოხვეული და ბებიას შესახებად გავწიე, მანაც ზუსტად იგივე გაიმეორა და იქ სადაც ჩვენი თითები უნდა შეხებოდა მე ვიგრძენი ცივი მინა.
გამოწვეული თავბრუსხვევით უცებ ჩემი სიზმარი კოშმარად გადაიქცა.
აქ არ იყო არანაირი ბებია.
ეს ვიყავი მე, მე სარკეში–დაბერებული და დანაოჭებული.
ედვარდი იდგა ჩემს გვერდით, რომელიც არ ჩანდა ამ საშინელ სარკეში, უაზროდ ლამაზი და სამუდამოდ 17 წლის.
ის შეეხო თავისი ცივი ტუჩებით ჩემს ახალგაზრდობა დაკარგულ ლოყას და დამიჩურჩულა–"დაბადების დღეს გილოცავ"
გამომეღვიძა დილას- თვალები შიშისგან მქონდა გაფართოებული და ვეღარ ვსუნთქავდი. ფანჯრიდან შემოანათა ნაცნობმა დილის სერმა სინათლემ.
ჩემს თავს ვუთხარი რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი. დიდზე ამოვისუნთქე, მაგრამ უცებ ისევ წამოვხტი, კუთხეში პატარა კალენდარი მაუწყებდა რომ დღეს იყო 13 სექტემბერი. დღეს იყო ჩემი დაბადების დღე,მე ოფიციალურად შემისრულდა 18 წელი. ამ დღის დადგომის მე მეშინოდა თვეები, მთელი ზაფხული– უბედნიერესი ზაფხული ჩემს ცხოვრებაში.
და ახლა როცა ეს მოხდა, შეგრძნება იყო იმაზე საშინელი ვიდრე ველოდი. მე ვგრძნობდი რომ ყოველდღე ვხდებოდი უფროსი, მაგრამ ეს ახლა იყო უფრო დაზუსტებული მე ვიყავი 18 წლის.
ედვარდს არასდროს შეუსრულდება 18 წელი.
როცა წავედი კბილების გამოსახეხად, თითქმის გაკვირვებული ვიყავი რომ ჩემი სახე სარკეში არ შეცვლილიყო, დავიწყე ნაოჭების პირველი ნიშნების ძებნა ჩემი სპილოს ძვლის ფერ სახეზე.
ერთადერთი ნაოჭები იყო ჩემს შუბლზე და თუ ცოტას მოვეშვებოდი ისინიც გაქრებოდნენ, მაგრამ არ შემეძლო.
ეს მხოლოდ სიზმარი იყო, ისევ შევახსენე ჩემს თავს. მხოლოდ სიზმარი... მაგრამ ჩემი ყველაზე საშინელი კოშმარი.
არ მისაუზმია, გამოვედი სახლიდან იმდენად ჩქარა რამდენადაც შემეძლო, მაგრამ არ გამომივიდა მამაზე თავის არიდება ასე რომ

რამოდენიმე წუთი უნდა დამეხარჯა მხიარულების გამოხატვაზე, მე მართლა ვცდილობდი ვყოფილიყავი
ბედნიერი საჩუქრებიდან, მამას შევახსენე რომ მეჩქარებოდა და ყოველ ჯერზე როცა ვიღიმოდი ვგრძნობდი რომ ესესაა შემეძლო ავტირებულიყავი. მთელი ძალით ვცდილობდი თავის ხელში აყვანას და უკვე სკოლასთან ვიყავი. ბებიას გამოცხადება ეთი წუთითაც არ მშორდებოდა თვალებიდან, არ უნდოდა წასვლა ჩემი თავიდან. მე ვერაფერს ვგრძნობდი იმედგაცრუების გარდა ვიდრე არ მივედი ნაცნობ მანქანების სადგომზე ფორქსის საშუალო სკოლის უკან და არ დავინახე ედვარდი თავის ვერცხლისფერ "ვოლვოზე" დაყრდნობილი რომელიც სილამაზის ღმერთს გავდა.
იმედგაცრუება უცებ გაქრა და გაკვირვებამ დაიკავა მისი ადგილი. ნახევარი წლის მიუხედავად რაც მასთან ერთად ვიყავი მაინც ვერ ვიჯერებდი რომ დავიმსახურე ეს პრივილეგია.
მისი და ელისი იდგა ედვარდის გვერდით და ისიც მე მიცდიდა. მართალია ისინი არ იყვნენ სისხლით ნათესავები (ფორქსში დადიოდა ჭორი რომ ყველა კალენები ნაშვილები იყვნენ რადგან მათი მშობლები ექიმი კარლაილი და მისი მეუღლე ესმი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ რომ ამხელა შვილები ყოლოდათ) მაგრამ მათი კანი იყო ერთნაირი თეთრი ფერი და ერთნაირი ოქროსფერი თვალები. ორივეს სახე იყო ულამაზესი და ვიღაცა ჩემნაირისთვის ვინც იცოდა ეს ნიშნები მიუთითებდნენ მათ სიმშრალეზე.
ელისის გამომეტყველება ჩემს მოლოდინში–მისი აღელვებული მოყვითალ-მოყავისფრო ბრილიანტის თვალები და შეფუთული ვერცხლისფერი პატარა ყუთით ხელში, გამოიწვია ჩემი მკაცრი გამომეტყველება. მე ვუთხარი ელისს რომ არ მინდოდა არანაირი ყურადღება ჩემს დაბადების დღეზე მაგრამ როგორვ ჩანს ჩემი გაფრთხილება არ იქნა გათვალისწინებული.
მე მივაჯახუნე ჩემი "პიკაპის" კარი და დარტყმის ძალიდან სველ ასფალტზე დაიყარა დაჟანგული საღებავი. ელისი ჩემს შესახვედრად წინ წამოვიდა, მისი ელფის სახე ანათებდა შავ წვეტებივით თმებში.

–დაბადების დღეს გილოცავ ბელა!

– ჩუუუუ! -დავიჩურჩულე ირგვლივ ყურებით, ბოლოს ისღა მაკლდა რომ ყველას ერთად მოელოცა ეს შავი დღე.

მან იგნორირება გამიკეთა –შენს საჩუქარს ეხლა გახსნი თუ მოგვიანებით? -მოუთმენლად მკითხა მან როცა მივდიოდით ედვარდისკენ.

–არანაირი საჩუქრები, შევეწინააღმდეგე მე.
როგორც იქნა ელისმა შეამჩნია ჩემი განწყობა

–კარგი, ესეიგი მოგვიანებით. აბა, მაშინ მოგეწონა ფოტოების ალბომი რომელიც დედამ გამოგიგზავნა? და ჩარლის ნაჩუქარი ფოტოაპარატი?

მე ამოვიოხრე. მან რათქმაუნდა იცოდა რა საჩუქრები მივიღე. ედვარდი არ იყო ერთადერთი მის ოჯახში განსაკუთრენული უნარით. ელისმა "დაინახა" თუ რას მაჩუქებდნენ მშობლები.

–ხო. დიდი და კარგი საჩუქრებია.

–ჩემი აზრით კარგი იდეა იყო შენთვის კამერის და ალბომის ჩუქება. შენ ერთხელ გახდები სტუდენტი, ცუდი არ იქნებოდა გამოცდილება შეგენახა.

–შენ რამდენი ხანი იყავი სტუდენტი ელის?

–ეს უკვე სხვა საკითხია.

ჩვენ უკვე მივედით ედვარდათ მან ხელი გამომიწოდა, მეც მოუთმენლად ჩავეჭიდე მას და უცებ დავკარგე ჩემი ცუდი განწყობა. მისი კანი იყო როგორც ყოველთვის ნაზი, თეთრი და ცივი. მან ნაზად მომკიდა ხელი და მე ჩავიძირე მის უძირო თვალებში და გულმა გამალებით დაიწყო ფეთქვა, რომ გაიგონა ჩემი გულის ხმა, გაიღიმა. მან ასწია თავისუფალი ხელი და გრილი თითის წვერები ჩემს ტუჩებზე გადაატარა და მითხრა:

–ესეიგი როგორც მოვილაპარაკედ მე არ უნდა მოგილოცო დაბადების დღე, მართალი ვარ ხომ?

– ხო ეს ასეა. - მე ვარასდროს მივბაძავდი მის არტიკულაციას. მისი მოძრაობა იყო ისეთი, რომელიც გამოგიმუშავდებოდა ადრეულ ასწლეულებში.

–მხოლოდ შევამოწმე. -მან ხელი გადაიტარა თავის ყავისფერ თმებში –იქნებ გადაიფიქრა მეთქი, ხალხის უმეტესობა ტკბება ესეთი დღეებით და საჩუქრებით.

ელისმა გაიცინა და მისმა სიცილის ხმამ მომაგონა ვერცხლის ზარების რიწკინი. –რათქმაუნდა შენ დატკბები შენი დაბადების დღით, ყველა ესე იქნებოდა რა დაგემართა რატომ ხარ ესე?

–მე უფროსი გავხდი. ვუპასუხე მაგრამ ჩემი ხმა არ ისმოდა ისე მტკიცედ როგორაც მინდოდა.

ედვარდის ღიმილი უცებ გაქრა.

–18 ეს არცისე ბევრია. მითხრა ელისმა– ქალები უმეტესად 29 წელს ელოდებიან რომ შეეშინდეთ სიბერის.

–მე გავხდი ედვარდზე 1 წლით უფროსი.
ედვარდმა ამოიხვნეშა

–ტექნუკურად. -მითხრა ელისმა, მხოლოდ ერთი პატარა წლიით.

მე გავიფიქრე: დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი ჩემს მომავალში რომ მე დავრჩებოდი ედვარდის, ელისის და მათი ოჯახის გვერდით (არა როგორც ნაოჭებიანი ქალბატონი)...მაშინ 1-2 წელი არაფერი არ იქნებოდა, მაგრამ ედვარდი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ჩემი იმ მომავლის რომელიც მე მსურდა. ის თუ დათანხმდებოდა ჩემი უკვდავად გადაქცევას მაშინ პრობლემა არაფერში არ იქნებოდა. ის ამ სიტუაციას ჩიხს უწოდებდა.
მე ნამდვილად არ მესმოდა ედვარდის აზროვნების, რა იყო ესეთი კარგი მოკვდავობაში, მაგრამ ჩემი ვამპირობა ნიშნავდა იმას რომ მას უნდა გამოეყენებიმა იგივე გზა რაც კარლაილმა გამოიყენა ედვარდზე.

–რომელი საათისთვის მოხვალ ჩვენთან სახლში?-საუბრის თემა შეცვალა და მკითხა ელისმა. მისი სახის გამომეტყველება მეუბნებოდა რომ ტყუილად ვცდილობდი ლაპარაკში რაღაც თემებზე თავის არიდებას. რაღაც არ მახსოვდა რომ მე მათან ვაპირებდი მისვლას.

–მე მეგონა რომ ჩემი დაბადების დღე ისეთი იქნებოდა როგორიც მე მინდა.

–მე მას წამოვიყვან სახლიდან სკოლის მერე.- უპასუხა ედვარდმა ელისს

–უნდა ვიმუშავო!-შევეწინააღმდეგე მე

–დღეს შენ არ იმუშავებ, კმაყოფილად მითხრა ელისმა. უკვე ველაპარაკე ქალბატონ ნიუტონს და გრაფიკი შეცვალა და მოლოცვაც გადმოგცა.

–მე, მე მაინც ვერ მოვალ. დავიწუწუნე სათანადო მიზეზზე ფიქრში –მოკლედ, მე არ მიყურებია ფილმ რომეო და ჯულიეტასთვის რომელიც ინგლისურის მასწავლებელმა დაგვავალა.

ელისმა ჩაიცინა –რომეო და ჯულიეტა მოგცეს?

–ხო, ბატონმა ბერტაიმ გვითხრა რომ ყველამ უნდა ვუყუროთ ამ ფილმს რადგან შევაფასოდ შექსპირის ხელოვნება.

ედვარდმა თვალები გადაატრიალა.

–შენ უკვე ნანახი გაქვს ეს ფილმი - ბრალდებითი ტონით მითხრა ელისმა.

–კი მაგრამ ეს ადრე იყო, მასწავლებელმა გვითხრა რომ კიდე ერთხელ ვუყუროდ.
როგორც იქნა ელისმა დამალა მისი კმაყოფილი ღიმილი და დადაჟინებით შემომხედა –ეს ან რთული იქნება ჩემთვის ან ადვილი მაგრამ იცოდე რომ...

ედვარდმა შეაწყვეტინა მუქარა –დამშვიდდი ელის. თუ ბელას უნდა ფილმის ყურება უყუროს. დღეს მისი დაბადებიდღეა.

–აჰა აი ესე. -დავამატე მე

–მე მას 7ისთვის მოვიყვან- აგრძელებდა ედვარდი, შენ მეტი დრო გექნება რომ ყველაფერი კარგად მოაწყო.

ელისმა ისევ ხმამაღლა გაიცინა– საღამოს გელოდები ბელა, აი ნახავ ეს ნამდვილი მხიარულება იქნება. ფართე ღიმილმა გამოაჩინა მისი ბრწყინვალე თეთრი კბილები, სწრაფად მაკოცა ლოყაზე და ცეკვა-ცეკვით გაგვშორდა სანამ მოვასწრებდი შეწინააღმდეგებას.

–ედვარდ გევედრები -დავიწყე მე, მაგრამ მან თავისი გრილი ტუჩები ჩემსას შეახო მაკოცა და მითხრა:

–მოდი ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოდ, გაკვეთილზე დაგვიანებას ხომარ ვაპირებთ?!

არავინ არ მოგვშტერებია ჩვენ, კლასში ჩვენი უკანა მერხი დავიკავეთ (ჩვენ უკვე თითქმის ყველა საგანს ერთად ვსწავლობდით რაც იმის დამსახურება იყო რომ ედვარდი თავისი მომხიბვლელობით ადმინისტრატორ ქალებს ყველაფერს ასრულებინებდა. ედვარდი და მე ძალიან დიდი ხანია რაც ერთად ვიყავით და ჩვენზე იმდენად აღარ ჭორაობდნენ. მაიკ ნიუტონმაც კი შეწყვიტა ჩემზე ისეთი თვალებით შემოხედვა რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.)
ნელნელა საღამო ახლოვდებოდა და მე ვიგონებდი უამრავ მიზეზს რომ არ წავსულიყავი კალენებთან სახლში. წვეულება ჩემთვის

იქნება საშინელება და ეს ზედმეტი ყურადღება და საჩუქრები ხომ საერთოდ.
 მე ყველას თითქმის ვუბრძანე რომ არანაირი საჩუქრები არ ყოფილიყო ჩემს დაბადების დღეზე მაგრამ როგორც ჩანს მარტო დედამ და მამამ არ გაუკეთა ამას იგნორირება.
მე არასდროს ვყოფილვარ მდიდარი და არც მქონია ამაზე გართულება. დედა ბაღის მასწავლებლის ხელფასზე მზრდიდა, არც ჩარლის სამუშაო ყოფილა ფულიანი როგორც სხვების, ის მხოლოდ ქალაქ ფორქსის პოლიციის შერიფი იყო.
მთელი ჩემი ფული მქონდა კვირაში სამი დღე აქვე მაღაზიაში მუშაობით. ძალიან გამიმართლა რომ შევძელი ესეთ პატარა ქალაქში სამუშაოს შოვნა.
მთელ ჩემს გამომუშავებულ ფულს კოლეჯისთვის ვაგროვებდი.
 ედვარდს მუდამ ბევრი ფული ქონდა, არც კი ვუფიქრდებოდი რამდენი მთლიანად მის ოჯახს, ამდენი ხნის დაგროვილი და მის დის მომავლის ხედვის არაჩვეულებრივი უნარი რომელმაც წინასწარ იცოდა ბირჟაზე ფულის კურსი.
 ედვარდს არ ესმოდა იმისი თუ რატომ არ ვაძლევდი უფლებას ჩემზე ფული დაეხარჯა- რატომ მეუხერხულება თუ დამპატიჟებს ძვირ რესთორანში, რატომ არ ვაყიდინე ძვირიანი ჩქარი მანქანა, ან რატომ არ ვაძლევდი იმის უფლებას რომ მომავალში ჩემი კოლეჯის გადასახადი დაეფარა.
 მაგრამ როგორ შემეძლო მიმეცა იმის უფლება რომ ეყიდა ჩემთვის ისეთი რამეები რის ფასს ვერც კი გადავიხდიდი. მან რაღაც მიზეზის გამო ამირჩია მე და ჩემს გვერდით იყო და ის თუ კიდევ რამეს მომცემდა ეს უკვე არათანაბარი იქნებოდა.
 დღე გრძელდებოდა და არც ედვარდმა და არც ელისმა აღარ ახსენეს ჩემი დაბადების დღე ამიტომ ცოტა მოვეშვი.
საუზმის დროს ჩვენს ჩვეულ მაგიდაზე ვიჯექით ერთად. ხლა ჩვენ მაგიდასთან უცნაური განლაგება იყო, ჩვენ სამი მე ელისი და ედვარდი ვიჯექით მაგიდის ერთ კუთხეში. ეხლა როცა მათი ოჯახის "უფროსი" წევრები კოლეჯში სწავლობდნენ მარტო ელისი და ედვარდი არ გამოიყურებოდნენ იმდენად საშიშნი ასე რომ ჩვენთან ერთად ოღონდ მაგიდის მოპირდაპირე მხარეს იჯდნენ მაიკი და ჯესიკა, ანჟელა და ბენი, ერიკა, კონერი და ლორენი, მაგრამ თითქოს ჩვენს შორის მიუხედავად საერთო მაგიდისა არსებობდა რაღაც საზღვარი ეს საზღვარი ქრებოდა მზიან დღეებში როცა ელისი და ედვარდი სკოლაში არ მოდიოდნენ.
საუბარი უცებ იბმებოდა რომელშიც რათქმაუნდა მეც ვერთვებოდი.
 ედვარდი და ელისი არ აქცევდნენ ყურადყებას იმას რომ უცნაური აურა სხვების თვალში ჩემზეც გადმოვიდა რადგან მათთან ერთად ვიყავი. ხალხი მუდამ გრძნობდა რაღაც აუხსნელ შიშს მათ მიმართ. მე ვიყავი ის ერთადერთი გამონაკლისი რომელიც არ ვიცავდი საერთო წესებს: ძოგჯერ რომ მოვკალათდებოდი ედვარდთან ძალიან

ახლოს. ის ფოქრობდა რომ ეს ჩემი ჯანმრთელობისთვის საშიში იყო, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.
  დღე სწრაფად გავიდა, გაკვეთილები დამთავრდა და როგორც ყოველთვის ედვარდმა მიმაცილა ჩემს პიკაპამდე და მგზავრის კარებზე მიმითითა. როგორც ჩანს ელისმა ედვარდის მანქანა ისე წაიყვანა რომ მე ხელი არ შემეშალა.
ხელები გადავაჯვარედინ, და გაუნძრევლად ვიდექი წვიმაში-ეს ჩემი დაბადების დღეა და ნუთუ არ მაქვს იმის უფლება რომ არ ვომოძრაო, გავაკეთებ იმას რასაც ჩავთვლი საჭიროდ.

–თუ ეს- ჩემი დაბადების დღეა მაშინ იმის უფლება მაინც მაქვს რომ მანქანა მე წავიყვანო.

–როგორც ვიცი დღეს შენი დაბადების დღე არ არის, შენ თვითონ ითხოვე ესე, ასე რომ...

–კარგი თუ ჩემი დაბადების დღე არ არის მაშინ დღეს მე არ წამოვალ შენთან სახლში.

–კარგი.- ედვარდმა დახურა მძღოლის მხრიდან კარები და გვერდი ამიარა რომ მგზავრის სავარდზელზე დამჯდარიყო, –დაბადების დღეს გილოცავ- მითხრა მან.

–ჩუუუუ, გულგრილად გავაჩუმე, და დავჯექი საჭესთან.

  ედვარდი რადიოს ატრიალებდა როცა ვჯდებოდი სავარძელზე.

–შენი რადიო საშინლად მუშაობს.

  მე შევიშმუშნე. არ მიყვარდა როცა ის ჯდებოდა ჩემს მანქანაში.
  პიკაპი მე მომწონდა ის იყო მხოლოდ ჩემი და ჩემს ინდივიდუალურობას ამჟღავნებდა.

–იქნებ კარგი მაგნიტოფონი გინდა?

–თუ არ მოგწონს შენი მანქანით იარე!

იმდენად ვიყავი ელისის გეგმებიდან თავბრუდახვეული რომ ჩემმა ცუდმა ხასიათმა პიკს მიაღწია და ჩემი პასუხი ედვარდის კითხვაზე იმდენადს ბრაზიანი გამომივიდა რომ მან პირი მოკუმა რომ არ გაცინებოდა.
როცა ჩარლის სახლსი წინ გავაჩერე მანქანა. ის ჩემსკენ გადმოიხარა რომ ჩემი სახე ხელში აეღო. ის ძალიან

მიფრთხილდებოდა, ნაზად გადაატარა თითები ნიკაპზე თითქოსდა ძალიან სუსტი ვყოპილიყავი.

–დღეს უკეთესი განწყობა უნდა გქონდეს ვიდრე სხვა დღეებში - ჩურჩულებდა ის. და მისი გრილი სუნთქვა ხვდებოდა ჩემს სახეს.

–და თუ არ მინდა რომ კარგ ხასითზე ვიყო?- ვკითხე რაც შეიძლება თანაბარი სუნთქვით.

მისმა ოქროს თვალებმა გაიელვეს –ეს ძალიან ცუდია.

მე უკვე თავს ვკარგავდი, ის უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა და როგორც იქნა მისი ცივი ტუჩები ჩემსას შეეხო. მე უცებ დავივიწყე ჩემი პრობლემები. და კონცენტრაცია იმაზე გავაკეთე რომ სუნთქვა არ დამვიწყებოდა.
მისი ტუჩები ცივი, ნაზი, მანამ მკოცნიდნენ სანამ ყელზე არ შემოვეხვიე და არ ჩავიძირე ბოლომდე კოცნაში, მაშინვე ვიგრძენი რომ მისი ტუჩები შეჩერდნენ და მან მაშინვე გასწია ჩემი სახე მაგრამ მე მაგრად მყავდა ის ჩემს გარემოცვაში.
ედვარდი მუდამ იცავდა უსაფრთხოების წესებს ესეთ დროს ჩემი სიცოცხლისთვის. მე ვიცოდი რომ უნდა დავიცვა დისტანცია ჩემს სხეულსა და მის ბრიტვასავით მჭრელი შხამიან კბილებს შორის, მაგრამ კოცნისას ეს ყველაფერი მავიწყდებოდა.

–აზრიანი იყავი გთხოვ -დამიჩურჩულა ლოყასთან.

კიდევ ერთხელ მაკოცა და ნაზად დამაწყობინა ხელები ჩემს მუხლებზე.
ყურებში სირენასავით ხმა მესმოდა. ხელი გულზე დავიდევი, რომელიც საშინლად ცემდა.

–ფიქრობ რომ ჩვენ სულ ესე ფრთხილად ვიქნებით? ვკითხე კითხვა რომელიც მე მეხებოდა –იქნებ ერთ დღესაც ჩემმა გულმა შეწყვიტოს გამალებულად ცემა როცა ესე შემეხები.

–ვფრიქრობ რომ აქამდე სქამე არ მივა -თქვა მან თვითკმაყოფილებით.

მე თვალები გადავატრიალე –შეხედე რომელი საათია, უკვე დრაა.

–შენი სურვილი ჩემთვის კანონია. წამოდი ვნახოთ როგორ დაწყვიტავენ ერთმანეთს კაპულეტები და მონტეკები.

ედვარდი ტახტზე მოკალათდა სანამ მე კასეტა ჩავრთე და ტიტრები უცებ გადავახვიე.
ტახტთან რომ მივედი ხელები წელზე შემომხვია და კალთაში ჩამისვა, რათქმაუნდა ვერ ვიტყოდი რომ მე მის კალთაში ისევე კომფორტულად ვიყავი როგორც დივანზე. მისი გულმკერდი იყო მაგარი და ცივი როგორც ქანდაკება, მაგრამ მე მაინც ედვარდი მირჩევნოდა მოუხერხებლად ჯდომის მიუხედავად. მან აიღო ადიელა და მასში გამახვია რომ მისი სხეულიდან ძალიან არ შემცივებოდა.

–არასდროს მყოფნიდა მოთმინება რომ ეს კინო ბოლომდე მყურებინა და მე ძალიან არ მომწონს რომეო -დააკომენტარა ფილმის დაწყება ედვარდმა.

–რა არის რომეოში ცუდი? -ცოტა არ იყოს დამცირებულმა ვკითხე რადგან რემოე იყო ჩემი საყვარელი პერსონაჟი და ის ხშირად იყო ჩემს ოცნებებში ვიდრე ედვარდი არ გამოჩნდა.

– იმოტომ რომ თავიდან ის იყო იმ როზალინთან ეს მას არამყარ ხასიათს აჩვენებს და შემდეგ ქორწილიდან რამოდენიმე წუთში ის ჯულიეტას ბიძაშვილს კლავს, ეს მისი მხრიდან არც ისე კარგი იდეა იყო. შეცდომები შეცდომებზე, მან თავისი ხელით დაინგრია ცხოვრება.

მე ამოვიხვნეშე: –გინდა რომ მარტო ვუყურო ფილმს?

–არა მე შენთან ვიქნები მაგრამ ფილმის მაგივრად შენ შეგხედავ ამ ხნის განმავლობაში. მისი თითები ჩემი ხელის კონტურებს დაყვებოდა –ხომარ გეწყინება?

–შეიძლება არა, თუ ყურადღების გადატანას ფილმზე შევძლებ.

–კარგი მაშინ არ გაგიფანტავ ყურადღებას. -მაგრამ მე ჩემს თმებზე ვგრძნობდი მის ტუჩებს და ხშირად მეფანტებოდა გონება.

ფილმმა საერთო ჯამში დაიპყრო ჩემი ყურადღება რისთვისაც მადლობა ედვარდს რომელიც ყურში მიჩურჩულებდა რომეოს რეპლიკებს, მისი ბარხატივით ნაზი ხმა მსახიობის ხმას ფარავდა.
მე ნამდვილად ავტირდი რითიც ედვარდი გავაცინე როცა ჯულიეტამ გადაწყვიტა რომ მისი ახალი მეუღლე მკვდარია.

–ვაღიარებ ეხლა მისი მშურს მითხრა ჩემი ცრემლების წმენდით.

–რაში რომ ჯულიეტა მოკვდა?

მის ხმაში უარყოფა იგძნობოდა –მე მშურს რომეოსი, ჯულიეტას ხომ არავინ აიძულებდა თავის მოკვლას. თქვა გაღიზიანებული ტონით –თქვენ ადამიანებს ისე უბრალოდ შეგიძლიათ თავის მოკვლა ან გადმოხტე მაღალი სიმაღლიდან ან დალიო შხამის პატარა წვეთი.

–რატომ მეუბნები ამას?- ვიგრძენი რომ სული მეხუთებოდა.

–ერთხელ ამაზე მე სერიოზულად მომიწია დაფიქრება და მე გავიგე კარლაილისგან რომ ეს არც ისე იოლია, ვერც წარმოვიდგენ კარლაილმა რამდენჯერ სცადა თავის მოკვლა მას შემდეგ რაც მიხვდა რომ გახდა... –ის შეჩერდა და მისი ხმას ისევ დაუბრუნდა მხიარულება –და როგორც ხედავ ის ეხლაც არაჩვეულებრივად გამოიყურება.

მე შემოვბრუნდი რომ მისთვის სახეზე შემეხედა –რაზე ლაპარაკობ?

ჩემი ხმის ტონი მომთხოვნი გახდა –რატომ მოგიხდა ამაზე დაფიქრება?

–შარშან ზაფხულს როდესაც შენ იყავი სიკვდილ სიცოცხლის საზღვარზე- მან პაუზა გააკეთა –მე რათქმაუნდა ვფიქრობდი და თავს ვარწმუნებდი რომ შენ ისევ ცოცხალი იყავი და არაფერი გჭირდა, ამ დროს ჩემი გონება ასევე საპირისპიროსაც ფიქრობდა. მაშინ გავიაზრე რომ ჩემთვის თავის მოკვლა უფრო რთულია ვიდრე ადამიანისთვის.

ერთი წუთის განმავლობაში გავიხსენე ჩემი შარშანდელი ვიზიტი ფენიქსში რამაც თავბრუსხვევა გამოიწვია: სიცხე ქუჩაში, როცა მივრბოდი და ვეძებდი სადისტ ვამპირ ჯეიმსს რომელიც წამებით მოკვლას მიპირებდა და მელოდებოდა ბალეტის სტუდიაში რომელსაც დედაჩემი ყავდა მძევლად, უფრო სწორედ მე ესე მეგონა. ასევე ის რომ ჯეიმსმა არ იცოდა რო ედვარდი ჩემს გადასარჩენად მოდიოდა და მან წუთი-წითზე მომისწრო, მაგრამ ეს დასასრული არ იყო. –და მე მექანიკურად გადავატარე ხელი ჩემს ნაიარევზე. ეს ნაიარევი მუდამ იყო ცივი სხეულის დანარჩენ ნაწილთან შედარებით. თავი გავაქნიე- თითქოსდა ესე უსიამოვნო მოგონებები მოვიშორე. და ედვარდის ნათქვამის გაანალიზება დავიწყე მუცელში რაღაც დატრიალდა

–საწინააღმდეგოს უშვებდი? -გავიმეორე ედვარდის სიტყვები

–უბრალოდ მე არ მინდოდა შენს გარეშე სიცოსხლე.

თვალები გადაატრიალა ისე თითქოსდა ეს აქამდე აუცილებლად უნდა მცოდნოდა. –მაგრამ მე არ ვიცოდი როგორ მომეკლა თავი, რათქმაუნდა ემეტი და ჯასპერი არასდროს დამეხმარებიან ამაში ასე რომ მე ვაწყობდი იტალიაში გამგზავრების და იქ მოქმედების გეგმებს რომ ვოლტურის ყურაღება მიმეპყრო.

–რა არის ეს ვოლტური?- ახსნა მოვითხოვე

–ვოლტური ეს არის ოჯახი, ძალიან ძველი რომელსაც უდიდესი ძალა აქვს ვამპირებს შორის. ისინი ყველაზე ახლოს არიან ვამპირების სამეფო ოჯახთან სხვებთან შედარებით. კარლაილი ადრე ცხოვრობდა მათთან იტალიაში სანამ ამერიკაში დასახლდებოდა, გახსოვს ეს ისტორია?

– რათქმაუნდა მახსოვს.

არასდროს დამავიწყდება როცა პირველად ვნახე კალენების სახლი დიდი, თეთრი ტყეში ღრმად ჩამალული, მდინარესთან ახლოს. ის ოთახები სადაც კარლაილს კედელზე დაკიდებული ქონდა უამრავი სურათი რომლებიც მისი ცხოვრების ისტორიას ასახავდა. ყველაზე ცოცხალ ფერებში დერეფანი იყო კარლაილის იტალიაში ცხოვრების ამსახველი. მე მახსოვდა მამაკაცების კვარტეტი რომელთა სახები იყო არაჩვეულებრივი, მიუხედავად იმისა რომ ეს სურათები ასწლეულებით თარიღდებოდა კარლაილი ისევ ქერა ანგელოზს გავდა და არანაირი ცვლილება არ იყო მასში. და ასევე მახსოვდა სამი დანარჩენი ვინც სურათზე იყო ორი შავთმიანი და მესამე თოვლივით თეთრი. ის მათ ეძახდა: - არო, კაიუსი და მარკუსი.

–ასე რომ უკეთესია ვოლტურის ყურადღება არ მიიპყრო- აგრძელებდა ედვარდი –არავითარ შემთხვევაში თუ სიკვდილი არ გინდა. - მისი ხმა იყო ისეთი წყნარი ის თითქმის ნაღვლიანად ამბობდა ამას.

ჩემი სიბრაზე შიშში გადაიზარდა. ხელები მაგრად მოვუჭირე მის მშვენიერ სახეს:

–შენ არასდოს, არასდროს, არასდროს არ უნდა იფიქრო ესეთ რაღაცაზე მიუხედევად იმისა მომივა რამე თუ არა, მე გიკრძალავ რომ შენ შენს თავს რამე დაუშავო.

–მე შენ არასდროს ჩაგაგდებ საფრთხეში ასე რომ სანერვიულოც არაფერია.

–არ ჩამაგდებ საფრთხეში? მემგონი ჩვენ უკვე შევთანხმდით რომ რაც შარშან მოხდა ეს ჩემი ბრალი იყო. – მე ისე გავბრაზდი.
–როგორ შეგიძლია საერთოდ ესეთ რაღაცეებზე ფიქრი? – ის აზრი რომ ედვარდი არ იარსებებდა მაშინაც კი თუ მე მოვკვდებოდი საშინლად მტკივნეული იყო ჩემთვის.

– შენ ჩემს ადგილას რას გააკეთებდი ყველაფერი ტრაგიკულად რომ დამთავრებულიყო?

–ეს ერთი და იგივე არ არის!

მგონი ის ვერ ხედავდა განსხვავებას. ედვარდმა ჩაიხითხითა

–მართლა რამე რომ მოგივიდეს?

მე გავფითრდი: –ჩემი თავი წარმოვიდგინო შენს ადგილზე მართლა რომ მომკვდარიყავი?

მის სრულყოფილ სახეზე ტკივილი გამოისახა

– კარგი მგონი ზედმეტი მომივიდა მაგრამ როგორ ვიცხოვრო უშენოდ?

–შენ ხო ცხოვრობდი ადრე ჩემს გარეშე სანამ გავიცნობდით ერთმანეთს და სანამ გაგირთულებდი ცხოვრებას.
მან ამოიხვნეშა –შენ ეს იოლო გგონია.

– ეს ასეც არი, მე ნამდვილად არავარ ის ვინც სიცოცხლეზე მეტად საჭიროა.

ის შეწინააღმდეგებას აპირებდა მაგრამ თავი შეიკავა. უცებ გვერძე გადამსვა ისე რომ ერთმანეთს არ ვეხებოდით და ჩვეულებრივად დაჯდა.

–ჩარლი? ვიკითხე მე

მან გაიღიმე. რამოდენიმე წამში ქუჩიდან გავიგონე პოლიციის სირენის ხმა. მე მივიწიე და ედვარდს მაგრად ჩავკიდე ხელი, ეს მამას ბევრჯერ ქონდა ნანახი.
ჩარლი შემოვიდა დიდი პიცით ხელში.
–ეი ბავშვებო – მან გამიღიმა –ვიფიქრე რომ დღეს უნდა დაისვენოთ საჭმლის მზადების და ჭურჭლის რეცხვიდან. –მოგშივდათ?

–რათქმაუნდა. მადლობა მამა

ჩარლი არ აქცევდა ყურადღებას იმას რომ ედვარდს არ ჰქონდა მადა, მან ედვრადს თხოვა რომ ნაჭრები ყველასთვის ჩამოერიგებინა.

–წინააღმდეგი ხომარხართ თუ ამ საღამოსთვის ბელას მოგპარავთ? -იკითხა ედვარდმა როცა ჩარლი და მე კარგად გავძეხით.

მამას იმედით ვუყურებდი რომ ის იტყოდა რომ დაბადების დღე ოჯახური დღესასწაულია და ის აუცილებლად ოჯახურ წრეში უნდა აღნიშნო, მითუმეტეს რომ ეს პირველი დაბადების დღე იყო რომ მე მასთან ვიყავი მას მერე რაც დედა მეორედ გათხოვდა და ფლორიდაში წავედით. ასე რომ არ ვიცოდი რას უპასუხებდა.

–შესანიშნავია! -დღეს საღამოს ჩემი საყვარელი გუნდის თამაშია ასე რომ მათ უნდა ვუყურო- გაუხარდა ჩარლის და ჩემი იმედი ოჯახური დაბადების დღის შესახებ გაქრა. ჩარლიმ ამოიღო ჩემთვის ნაჩუქარი პოტოაპარატი და ღიმილით მითხრა: –დაიჭირე! -და მესროლა.

მას ხომ უნდა ცოდნოდა ყველაზე უკეთესად ის რომ მე ვიყავი საშინლად მოუხერხებელი და ვერასდროს ვერაფერს დავიჭერდი. ფოტოაპარატი გამიცურდა ხელის თითებიდან და ვიდრე ძირს დაიმსხვრეოდა ედვარდმა სტაცა ხელი.

–კარგი რეაქციაა.- აღნიშნა ჩარლიმ. –ბელა თუ კალენების ოჯახმა შენთვის წვეულება მოაწყო შენ ვალდებული ხარ იქ რამოდენიმე ფოტო მაინც გადაიღო. ხომ იცი დედაშენის ამბავი, გადაღებასაც ვერ მოასწრებ რომ დაგირეკავს და გკითხავს როგორ შეავსე ალბომი.

–მგონი სურათების გადაღება კარგი იდეაა.- უთხრა ედვარდმა ჩარლის და კამერა გადმომცა.

ფოტოაპარატი ედვარდს გავუსწორე და გადავიღე. –მუშაობს ძალიან კარგი.

–ელისს მოკითხვა გადაეცით კარგა ხანია არ შემოუვლია. მოგვაძახა ჩარლიმ

–სულ რაღაც 3 დღეა მამა. -შევახსენე მე. ჩარლის ძალიან უყვარდა ელისი, ის მისი მადლობელი იყო რომ შარშან ჩემი გამოჯანმრთელების დროს ელისი მუდამ ჩემს გვერდით იყო. –აუცილებლად გადავცემ!.

– კარგით ბავშვებო აბა კარგად გაერთეთ. – ეს ნამდვილი მარცხი იყო, ჩარლი უკვე გაემართა ტელევიზორის საყურებლად.

ედვარდმა საზეიმოდ გაიღიმა და ხელი მომკიდა რომ სამზარეულოდან გავეყვანე.

როცა პიკაპთან მივედით მან ისევ მგზავრის მხრიდან კარი გამიღო და მე არ შევწინააღმდეგებივარ. ინტუიცია მკარნახობდა რომ ღამე ჩემი ტყეში წასვლა არ ღირდა.
ედვარდმა ჩრდილოეთ ფორქსისკენ აიღო გეზი, ნამდვილად გაღიზიანებულმა ჩემი ისტორიული პიკაპის სიჩქარით. დღეს ძრავა უფრო მეტად ღმუოდა ვიდრე სხვა დროს რადგან ედვარდმა შეძლო სიჩქარე 50 მლ/სთ-მდე აეყვანა.

–ედვარდ ნუ ნერვიულობ. –შევეცადე მის დამშვიდებას.

–იცი შენ რა მოგეწონებოდა? პატარა ორადგილიანი სედანი. ჩუმი და ძლიერი.

–ჩემი პიკაპი ძალიან კარგადაა. რა ლაპარაკია ძვირიან რაღაცეებზე? შემთხვევით ჩემს საჩუქარში ფული ხომარ დახარჯე?

–არც ერთი თეთრი.

–ძალიან კარგი.

–შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო?

–გააჩნია რას გულისხმობ.

მან ამოიხვნეშა და მისი მშვენიერი სახე დასერიოზულდა.

–ბელა ბოლო დაბადების დღე რომელიც ჩვენ ავღნიშნეთ იყო ემეტის 1935 წელს. ძალიან გთხოვ ნუ იქნები ძალიან ბრაზიანი ჩვენს მიმართ, ყველა ძალიან აღგზნებულია.

მე სულ მაკვირვებდა ესეთი რაღაცეების მათგან გაგონება.
–გპირდები რომ კარგად მოვიქცევი.

–ბელა და კიდევ უნდა გაგაფრთხილო, როცა გეუბნები რომ ისინი ყველანი აღგზნებულნი არიან მე ვგულისხმობ ყველა მათგანს ოჯახიდან.

–ყველა? –ვიგრძენი რომ ჰაერი არ მყოფნიდა. –მე ვფიქრობდი რომ ემეტი და როზალი აფრიკაში იყვნენ. (ფორქსისი მაცხოვრებლებმა იცოდნენ რომ უფროსი კალენები კოლეჯში სასწავლებლად იყვნენ)

–ემეტსაც მოუნდა რომ დღეს ჩვენთან ყოფილიყო.

–როზალი?

–ვიცი ბელა, არ ინერვიულო, ის მოიქცევა ისე კარგად როგორც არასდროს.

ამაზე არაფერი მიპასუხია, მთლად დარწმუნებული არ ვიყავი მასში. ელისისგან განსხვავებით მეორე ნაშვილები, ედვარდის დას ქერა უმშვენიერეს როზალის არ ვუყვარდი. მისი ჩემდამი გრძნობა მეტი იყო ვიდრე შეუგუებლობა, ის ფიქრობდა რომ მე მისი ოჯახის საიდუმლო ცხოვრებას ხელს ვუშლიდი.
მე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი რადგან ვთვლიდი რომ ემეტისა და როზალის ოჯახიდან დროებითი წასვლა ჩემს გამო იყო.
სინამდვილეში არც ისე მიხაროდა ემეტთან და როზალისთან შეხვედრა.
ედვარდმა საუბრის თემა შეცვალა:

–თუ შენ კატეგორიულად ამიკრძალე რომ რაიმე გაჩუქო იქნებ რამეს ისურვებ დღესასწაულის პერიოდში?

–შენ იცი მე რაც მინდა.

მისი გაბრაზებული სახიდან მივხვდი რომ ეხლა ინანა რომ როზალიზე არ გააგრძელა ლაპარაკი.
მეც თავს სწორედ ესე ვგრძნობდი, ჩვენ ბევრჯერ გვიკამათია ამ საკითხზე.

–ამსაღამოს მაინც არა ბელა.

–კარგი, მაშინ ელისი მომცემს იმას რაც მინდა

დვარდმა თითქოსდა დაიღრინა:

–ეს არ იქნება შენი ბოლო დაბადების დღე ბელა!

–ეს უსამართლობაა!

ჩვენ ნელნელა მივუახლოვდით სახლს. ნათელი შუქები პირველი ორი სართულიდან გამოდიოდა. დიდი იაპონური გირლიანდი

სახურავს ქონდა შემოვლებული. დიდ ვაზებში ჩაწყობილი ვარდისფერი ვარდები დიდი კიბიდან კარებამდე იყო დაწყობილი. მე ამოვიკვნესე.

–ედვარდმა რამოდენიმეჯერ ამოისუნთქა რომ დამშვიდებულიყო –ეს წვეულებაა. შემახსენა მან –შეეცადე გაერთო.

–რათქმაუნდა. წავიბუტბუტე მე.

მან შემოუარა მანქანას რომ კარი გაეღო ჩემთვის და ხელი გამომიწოდა.

–ერთი შეკითხვა მაქვს.

ედვარდი დაძაბული მელოდა.

–სურათების ამ ლენტს თუ გავამჟღავნებ, ფოტოზე გამოჩნდები?

ედვარდემა სიცილი დაიწყო. მანქანიდან გადმოსვლაში დამეხმარა, კიბეზე ამიყვანა და ისევ იცინოდა კარების გაღების დროს. ყველა კალენები უზარმაზარ თეთრ მისაღებში გველოდნენ. როცა შევედი ყველამ ერთხმად ხმამაღლა დაიძახეს “დაბადების დღეს გილოცავ ბელა!” მე გავწითლდი და იატაკს დავუწყე ყურება. დარწმუნებული ვარ ელისმა გააკეთა ეს ყველაფერი იატაკი თითქმის დაფარული იყო სანთლებით და ყველა კუტხეში იდგა ლამაზ ვაზებში ჩაწყობილი ვარდები. მაგიდის ნაცვლად ედვარდის როიალი იდგა რომელსაც თეთრი საფარი ჰქონდა გადაფარებული რომელზეც იდგა დიდი ტორტი ბევრი ვარდები და უამრავი საჩუქრის ყუთი.
ეს ასჯერ უარესი იყო ვიდრე წარმომედგინა.
ედვარდმა იგრძნო ჩემი გაჭირვება და გამამხნევებლად მომეხვია წელზე და თავზე მაკოცა.
ედვარდის მშობლები ეხლა როგორც არასდროს ახალგაზრდები და ლამაზები ყველაზე ახლოს იდგნენ კართან. ესმიმ თბილათ ჩამიკრა გულში და შუბლზე მაკოცა, კარლაილი მომეხვია და ჩამჩურჩულა:
–გვაპატიე ვერაფრით შევაჩერეთ ელისი.
როზალი და ემეტი მათ ემხრობოდნენ. როზალი არ იღიმოდა მაგრამ არ აჩენდა მის ანტიპატიას. ემეტი დიდზე იღიმოდა. თვეები იყო გასული რაც ისინი არ მყავდა ნანახი და ცოტა გადამავიწყდა კიდეც თუ რა ლამაზი იყო როზალი ჩემთვის თითქმის მტკივნეული იყო მისი მშვენიერების ყურება და ემეტი ესეთი უზარმაზარი.

–საერთოდ არ შეცვლილხარ. –მითხრა ემეტმა მოჩვენებითი იმედგაცრუებით –ველოდი რომ შესამჩნევ განსხვავებას ვნახავდი, მაგრამ აი ისევ გაწითლებული როგორც ყოველთვის.

–დიდი მადლობა ემეტ. -ვუთხარი კიდევ უფრო გაწითლებულმა.

მან გაიცინა: –ერთი წუთით გავალ. –შეჩერდა ელისს თვალი ჩაუკრა და უთხრა –არაფერი საინტერესო არ გააკეთოთ ჩემს არ ყოფნაში.

–შევეცდები.

ელისმა გაუშვა ჯასპერს ხელი. მანაც გამიღიმა მაგრამ შორიდან დამიკრა თავი და ფეხი კიბის საფეხურზე შედგა. შარშან მთელი დღის განმავლობაში ფენიქსში ერთ ოთახში ვიყავით გამოკეტილი, ვფიქრობდი რომ შემეჩვია მაგრა როგორც ჩანს ყველაფერი ისევ ისე იყო. მის მერე მთელი ეს დრო ის თავისუფალი იყო რომ ჩემს უსაფრთხოებაზე ეზრუნა. ვიცოდი რომ მის ქცევაში არაფერი პირადული არ იყო მხოლოდ სიფრთხილე, დანარჩენი კალენებისგან განსხვავებით მას უჭირდა მათი დიეტის დაცვა. დამიანის სისხლის სუნი მისთვის უფრო მიმზიდველი იყო და ყველაზე მეტ ძალას ხარჯავდა რომ მის სურვილს გამკლავებოდა, დიდი ხანი იყო მას მერე რაც ჯასპერს ადამიანის სისხლის გემო არ გაუსინჯავს.

–საჩუქრების გახსნის დროა. –გამოაცხადა ელისმა, თავისი ცივი ხელი მომკიდა და ტორტის და საჩუქრებისკენ წამათრია.

მე ისეთი საწყალი სახე მივიღე როგორიც შემეძლო –ელის როგორც მახსოვს მე ვთქვი რომ არაფერი არ მინდოდა.

– მე არ გამიგონია. –თვითკმაყოფილმა მითხრა ელისმა –აი ეს გახსენი. –მან ფოტოკამერა გამომართვა და ვერცხლისფერი ყუთი მომცა.
ყუთი ისეთი მჩატე იყი რომ ცარიელი გეგონებოდა. მასზე ეწერა რომ ეს იყო ემეტისგან როზალისგან და ჯასპერისგან. მე სწრაფად შემოვახიე ქაღალდი გავხსენი და ის ცარიელი იყო.

–ჰმ.....მადლობა.

როზალიმ ეშმაკურად გაიღიმა. ჟასპერი იცინოდა : – ეს შენი მანქანის მაგნიტოფონია. –ამიხსნა მან. –ემეტი მის ჩასაყენებლად წავიდა უკან რომარ დაგებრუნებინა.

ელისი მუდამ ერთი ნაბიჯით წინ იყო ჩემს გადაწყვეტილებებში. –მადლობა ჯასპერ და როზალი. –ღიმილით ვთქვი რადგან გავიხსენე დღევანდელი ედვარდის წუწუნი ჩემს რადიოზე. –მადლობა ემეტ. –ვთქვი ცოტა ხმამაღლა.

გავიგონე როგორ გადაიხარხარა მან ჩემს პიკაპში და ვერც მე შევიკავე სიცილი.

–ჯერ გახსენი ჩემი და შემდეგ ედვარდის. –მითხრა ელისმა ენთუზიაზმით.

მე შევბრუნდი რადგან მკვლელის თვალებით შემეხედა ადვარდისთვის –შენ ხომ შემპირდი.

მანამ სანამ მიპასუხებდა ემეტი შემოვარდა –ზუსტად მოგისწარით! – დაიყვირა მან და ჯასპერი წინ წამოწია რომელიც ყველაზე უკან იდგა.

–ერთი თეთრიც არ დამიხარჯავს დამარწმუნა ედვარდმა.

დიდზე ამოვისუნთქე და ელისისკენ შევბრუნდი –აბა მომეცი ელის. ემეტმა სიამოვნებისგან გადაიხარხარა.
ავიღე პატარა პაკეტი და გახსნა დავუწყე –გაიხსენი რა დროზე. - ვბუტბუტებდი მე როცა ქაღალდმა თითი გამიჭრა. ხელი ავიღე რომ მენახა რამდენად ღრმა იყო ჭრილობა. მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი გამოვიდა გაჭრილ ადგილზე.
ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.

–არა! –დაიღრიალა ედვარდმა.

ჩემსკენ გამოიწია და უკან გადამისროლა მე დავეტაკე ტორტს საჩუქრებს, თეფშებს და ნამსხვრევებზე დავვარდი.
ჯასპერმა ედვარდს დაარტყა და დარტყმის ხმა კლდიდან მოწყვეტილი ლოდების ხმაურს გავდა.
შემდეგ მოისმა საშინელი ღრიალის ხმა რომელიც ჯასპერის გულიდან გამოდიაოდა. ის ცდილობდა ედვარდს მისწვდომოდა და კბილებს აკრიჭინებდა ედვარდის სახესთან.
მეორე წუთში ემეტმა ჯასპერი უკნიდან დაიჭირა, ბლოკავდა ჯასპერის მოძრაობებს , მაგრამ ჯასპერი მაინც აგრძელებდა ბრძოლას, მისი მხეცის თვალები მხოლოდ ჩემზე იყო კონცეტრირებული.
დარტყმის შემდეგ ვიგრძენი ტკივილი. როიალიდან დავვარდი ძირს და ინსტიქტურად ხელებით დავეცი პირდაპირ მინის ნატეხებს. ხლა ვიგრძენი რომ ვეღარ ვითმენდი მწვავე ტკივილს.
შოკირებული და გონდაკარგული თვალს ვადევნებდი წითელ სისხლს რომელიც ჩემი ხელიდან მოდიოდა რომელსაც უყურებდა 6 უცებ მშიერი, ვამპირი.

თავი მეორე

ნაკერი

კარლაილი ერთადერთი იყო ვინც შედარებით მშვიდად გამოიყურებოდა. ასწლეულების გამოცდილება ესეთ სიტუაციაში მის მშვიდ ხმაში იგრძნობოდა:

–ემეტ ჯასპერი გარეთ გაიყვანე.

ემეტმა თავი დაუკრა ამჯერად გაღიმება არც უფუქრია.

–წამოდი ჯასპერ.

ჯასპერი ებრძოდა ემეტის ძლიერად მოჭერილ ხელებს. მას ისევ გიჟის თვალები ქონდა.

ედვარდის სახე თოვლზე მეტად გაფითრებული იყო, ის ჩემს სიახლოვეს ჩამოჯდა და უსაფრთხო პოზა დაიკავა, მისი ერთმანეთზე დაჭერილი კბილებიდან ყრუ ღრენა გამოდიაოდა. დარწმუნებული ვიყავი რომ არ სუნთქავდა.

როზალი უმშვენიერესი, უცნაურად კმაყოფილი სახით დაეხმარა ემეტს გაეყვანა ჯასპერი მინის კარიდან რომელიც ესმის ღია ეჭირა. მეორე ხელი კი პირზე და ცხვირზე ჰქონდა.

ესმის თითქოსდა გულის ფორმის სახეზე სირცხვილი იყო.

–ძალიან ვწუხვარ ბელა. –ტირილით მითხრა მან და დანარჩენებს გაყვა გარედ.

–ედვარდ ნება მომეცი. –წაიბუტბუტა კარლაილმა

მაშინ ედვარდმა თავი დაუქნია და დამცველი პოზოცია შეცვალა.

კარლაილი ჩემს გვერდით დადგა მუხლებზე დაიხარა და ჭრილობის დათვალიერება დაიწყო. ჩემი სახე ტკივილიდან გაიყინა და ეხლა მოდუნება შევეცადე.

–აიღე კარლაილ. –უთხრა ელისმა და პირსახოცი მიაწოდა.

კარლაილმა თავი გააქნია: –ძალიან ბევრი ნამსხვრევია ჭრილობაში. მან ჩამოახია თეთრ საფარს წვრილად ერთი ნაწილი და იდაყვის ზემოთ გადამიჭირა. სისხლის სუნი თავბრუსხვევას იწვევდა, ყურებში საშინელი სირეასავით ხმა მესმოდა.

–ბელა. –წარმოთქვა რბილად კარლაილმა – გსურს რომ საავადმყოფოში წაგიყვანო თუ აქ მოგხედო?

–აქ თუ შეიძლება. –დავიჩურჩულე მე. -თუ ის საავადმყოფოში წამიყვანდა ჩარლისგან ვერაფერს დავმალავდი.

–შენს ინსტრუმენტებს მოგიტან. –თქვა ელისმა

–სამზარეულოს მაგიდაზე წავიყვანოდ. –უთხრა კარლაილმა ედვარდს.

ედვარდმა ადვილად ამწია იმ დროს როცა კარლაილი ხელზე საფენს იჭერდა.

–თავს როგორ გრძნობ ბელა? –მკითხა კარლაილმა

–ყველაფერი კარგადაა. – ჩემი ხმა დამაჯერებლად ისმოდა რამაც გამახარა.

ედვარდის სახე ქვას გავდა.
ელისი უკვე სამზარეულოში იდგა და კარლაილის ხელსაწყოები მზად ქონდა მაგიდაზე.
ედვარდმა ფრთხილად დამსვა სკამზე კარლაილმა მეორე სკამი მოაჩოჩა და თავისი საქმე დაიწყო.
ედვარდი ისევ მიცავდა და არ სუნთქავდა.

–ედვარდ წადი აქედან. –ამოვიოხრე მე

–მე შემიძლია ჩემს თავს ვებრძოლო. –შემეწინააღმდეგა მან. ის ძალიან დაძაბული იყო მისი თვალები სისხლის წყურვილით ანათებდნენ რომელსაც ის ებრძოდა და ეს მისთვის ყველაზე ძნელი იყო.

–არ არი აუცულებელი გმირი იყო. კარლაილი ჩემს ხელს შენს გარეშეც მიხედავს. გადი გარეთ სუფთა ჰაერზე. –ვუთხარი მე

უცებ შევხტი რადგან კარლაილმა ჩემს ხელს რაღაც უქნა და საშინლად მეტკინა.

–არა, დავრჩები. –თქვა ედვარდმა

–და რატომ ხარ ესეთი მაზოხისტი?! –წავიბურტყუნე

კარლაილმა ჩარევა გადაწყვიტა: –ედვარდ შეგიძლია შენც ჯასპერს გაყვე. სანამ ძალიან შორს არ წასულა. დარწმუნებული ვარ რომ მას შენი რცხვენია, ის ყველას მოუსმენს, შენ მითუმეტეს.

–ხო. –უცებ დავეთანხმე მე. –წადი და ჯასპერი მოძებნე.

–შენც შეგიძლია რამე სასრგებლო გააკეთო. –დაუმატა ელისმა

ედვარდის თვალები დავიწროვდა ჩვენი ერთობლივი შეტევიდან მაგრამ როგორც იქნა თავი დააქნია და უკანა კარიდან გავიდა. ნამდვილად ვიცოდი რომ იმ წუთიდან არ სუნთქავდა ხელი რომ გავიჭერი.
ჩემი ხელი თითქოსდა ნელნელა ქვავდებოდა. მაგრამ ამასთან ერთად წვამ გადამიარა, ამან ჩემი ჭრილობა გამახსენა და კარლაილზე გადავიტანე ყურადღება რომ არ შემეხედა თუ რას აკეთებდა ჩემს ხელზე. მისი თმები ოქროსფრად ბრწყინავდნენ სინათლის შუქზე როდესაც ჩემს ხელთან იხრებოდა. უკვე ვეღარ ვგრძნობდი ტკივილს მხოლოდ გულის რევა მაწუხებდა მაგრამ ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა, არ მივცემ ჩემს თავს უფლებას რომ აქ ვაღებინო.
ელისი ჩემს მხედველობაში რომ არ ყოფილიყო ვერც შევამჩნევდი რომ მორიდებული ღიმილით გარეთ იპარებოდა, ვერც მან გაუძლო აქ ყოფნას.

–ძალიან კარგი შემდეგიც წავიდა. -ამოვიოხრე მე კარგი ოთახის გაწმენდას მაინც შევძლებ

–თავს ნუ იდანაშაულებ ბელა. –სიცილით დამამშვიდა კარლაილმა. –ეს ყველას შეიძლება მოსვლოდა

–შეიძლება მაგრამ მომივიდა როგორც ყოველთვის მე.

კარლაილმა ისევ ჩაიცინა.
მისი სიმშვიდე კიდევ უფრო მაკვირვებდა თუ გავითვალისწინებთ სხვების რეაქციას. მის სახეზე არ იყო ნერვიულობას არანაირი ნიშანი. ის მოქმედებდა სწრაფი ზუსტი მოძრაობებით. ერთადერთი ხმა ჩვენი სუნთქვის გარდა იმ ნამსხვრევებისა იყო რემალთაც ჭრილობიდან იღებდა.

–კარლაილ როგორ ახერხებ ამას? –ახნა მოვითხოვე. –ელისმა და ესმიმაც კი ვერ გაძლო. -რათქმაუნდა ყველა დანარჩენი ვამპირი იცავდა დიეტას მაგრამ კარლაილი ერთადერთი იყო რომელსაც ჩემი სისხლის სუნის ჩვეულებრივად გადატანა შეეძლო. რათქმაუნდა ეს მას მთლად ისე ადვილადაც არ გამოდიოდა როგორც ჩანდა.

–პრაქტიკის წლები და ისევ წლები. –განმიმარტა მან. –მე მხოლოდ იმას ვამჩნევ რომ სურნელი უფრო სასიამოვნოა ვიდრე მანამდე.

–მითხარით იქნებ უფრო გაგიადვილდეთ ყველაფერი ცოტახნიანი შვებულება რომ აიღოთ?

–შეისაძლებელია. –მან მხრები აიჩეჩა მაგრამ ხელები არ განძრევია. –ვერასდროს ვხედავდი შვებულების აუცილებსლობას. – მან ბრწყინვალე ღიმილი მაჩუქა და ისევ განაგრძო: –მე მსიამოვნებს ჩემი სამუშაო.

ხმა ხმა და ისევ ხმა, მიკვირდა თუ რამდენი მინის ნამსხვრევი იყო ჩემს ხელში. მინდოდა ჭრილობის ზომა მენახა მაგრამ რადგან აქ ღებინებას არ ვაპირებდი როგორც შემეძლო თავს ვებრძოდი.

–რითი იღებთ სიამოვნებას? ვიკითხე მე. –პასუხი იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო ჩემთვის. საკუთარ თავთან ბრძოლოს წლები რომლებიც მან გაატარა იმის გამო რომ ეხლა ყველაფერი ჩვეულებრივად მიეღო. გარდა ამისა ჩვენი საუბარი გულის რევის შეგძნებაზე ფიქრს მიქრობდა.
 მისი მუქი თვალები იყო მშვიდი და ჩაფიქრებული. დაფიქრების შემდეგ მიპასუხა: – ჰმმმ რა მსიამოვნებს, ალბათ ის რომ ჩემი სრულყოფილი შესაძლებლობებით ვეხმარები მათ ვინც ჩემი დახმარების გარეშე მოკვდება. მე მსიამოვნებს იმაზე ფიქრი რომ ის რაც მე შემიძლია, ბევრ ადამიანს უნარჩუნებს და უგრძელებს სიცოცხლეს, მათი ცხოვრება გრძელდება იმიტომ რომ მე ვარსებობ.

ოდნავ ვიგრძენი როგორ ამოწმებდა რომ ჭრილობაში ნამსხვრევები აღარ იყო. შემდეგ ისევ ხელსაწყოებში დაიწყო რაღაცის ძებნა და ნემსი და ძაფი ამოიღო. ოღონდ ეს არა!

–თქვენ ცდილობთ გამოისყოდოთ ის შეცდომა რომელიც თქვენი არ არის. –ეს ვთქვი როცა ისევ შემაწუხა გულის რევის შეგრძნებამ კარლაილის ჩემს ხელზე მოქმედებიდან. –მე ვფიქრობ რომ არ ხართ ვალდებული ეს ყველაფერი აკეთოთ, ესეთი არსებობა თქვენ არ აგირჩევიათ, და მაინც თქვენ ბევრს მუშაობთ იმისთვის რომ კარგი იყოთ.

–არც კი ვიცი თუ ვცდილობ რაიმეს გამოსწორებას, უბრალოდ როგორც ყველა ადამიანს მეც უნდა ამერჩია ჩემი საქმე.

–ყველაფერი ეს ისე ადვილი ჩანს.

კარლაილი ისევ ჩემს ხელს აკვირდებოდა. –აი ესე მზადაა. –თქვა მან და ძაფი მიაწყვიტა.

–და მაინც, -მე ხელი ბინტის ერთ მხარეს დავადე, სანამ კარლაილი ჭრილობას ნაზად ახვევდა. –რატომ არ გიფიქრიათ გეკეთებინათ სხვა რამ ამის გარდა?

ის ოდნავ გაიღიმა: –ედვარდს არ მოუყოლია შენთვის ეს ისტორია?

–რათქმაუნდა მიამბო მაგრამ მინდა გავიგო რას ფიქრობდით თქვენ...

მისი სახე უცებ დასერიოზულდა და მაინტერესებდა ვფიქრობდით თუ არა ჩვენ ერთიდაიგივე რამეზე. მე ვერც კი წარმომედგინა რას ავირჩევდი მის ადგილზე.

–შენ იცი რომ მამაჩემი ეკლესიას ემსახურებოდა. –კარლაილი სპირტიანი ტილოებით მაგიდას სისხლიდან წმინდავდა, დასვრილ ნაჭრებს და შუშის ნატეხებს ვაზაში ყრიდა. უცებ ასანთი აანთო და ვაზაში ისროლა. ცეცხლის ალიდან შეშინებული სკამზე შევხტი.

–მაპატიე. -მითხრა მან. –უბრალოდ მე უნდა გამეკეთებინა ეს, მამაჩემის მყარი პოზიციის მიუხედავად. მე ამ თითქმის 400 წლის განმავლობაში ეჭვი არ შემპარვია ღმერთის არსებობაში, მიუხედავად სარკეში გამოსახულების არ ქონისა.

მე თავი მოვაჩვენე რომ შეხვეულ ხელს ვაკვირდებოდი რომ ჩემი გაკვირვება დამემალა საუბრის ესე შემობრუნებისგან. რელიგია იყო უკანასკნელი რაზეც დავფიქრებულვარ. ჩემი ცხოვრება არ იყო ახლოს მორწმუნეობასთან.

–დარწმუნებული ვარ უცნაურად გეჩვენება ამ ყველაფრის მოსმენა მითუმეტეს ვამპირიდან. –მან ჩაიცინა იცოდა რომ ამ სიტყვის გამოყენება არ გამოიწვევდა ჩემს გაკვირვებას. –მაგრამ მაინც მჯერა რომ ჩვენი ადგილიც არის ამ სამყაროში. მართალია ეს თამამი გადაწყვეტილებაა მაგრამ... –მან მშვიდი ტონით გააგრძელა: –საერთო აზრით ჩვენ დაწყევლილები ვართ ყველაფრის მიუხედავად. მაგრამ მე იმედი მაქვს და მჯერა რომ სისულელეა რომ ჩვენ რაიმეს გამოსწორების შანსი გვეძლევა.

–მე არ ვფიქრობ რომ ეს სისულელეა. –წავიბურტყუნე და ვერ წარმომედგინა რომელი ღმერთი უარყოფთა კარლაილს. და ერთადერთი სამოთხე ჩემთვის იქნებოდა ის ადგილი სადაც იარსებებდა ედვარდი. –მე არ ვფიქრობ რომ ვინმე თუნდაც ადამიანი შეიძლება თქვენზე უკეთესი იყოს.

–სიმართლე გითხრა შენ პირველი ხარ ბელა ვინც დამეთანხმა.

–დანარჩენები რა იგივეს არ ფიქრობენ?
-სინამდვილეში მხედველობაში მხოლოდ ერთი კალენი მყავდა. კარლაილი მიხვდა თუ საით მიმყავდა საუბარი.

–ედვარდი სრულიად მეთანხმება მე. ღმერთი და სამოთხე არსებობს, და ჯოჯოხეთიც მაგრამ ის ფიქრობს რომ ჩვენ ჩვენი სულები დავკარგეთ.
მე მაშინვე გამახსენდა დღეს ედვარდის ნათქვამი: ”თუ შენ არ გსურს რომ მოკვდე, მიუხედავად იმისა ქვია თუ არა ამას ცხოვრება, არ გააკეთო ეს”. ამ დროს თითქოს ნათურა განათდა ჩემს თავში.

–აი თურმე რაშია მისი პრობლემა, სწორედ ამიტომ იღებს ის ესე რთულად ჩემი თქვენნაირად გადაქცევის საკითხს.

კარლაილი ნელა ლაპარაკობდა: –მე ვუყურებ ჩემს ბიჭს და მისი ძალა, სრულყოფილება, სინათლე რომლითაც ის ბრწყინავს-ისიც ცხოვრობს ამ იმედით შეიძლება მას სხვებისგან განსხვავებით ყველაზე მეტად სჯერა ამისი. ნუთუ არ შეიძლება რომ ზეცაში მოიძებნოს პატარა ადგილი ისეთისთვის როგორიც ედვარდია?
მე თავი დავუქნიე.
–მაგრამ მე რომ ისე მჯეროდეს როგორც მას, შენ რომ გწამდეს როგორც მას, შენ შეძლებდი მისთვის სულის წართმევას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო.
ას რომ ეკითხა გავრისკავდი თუ არა ჩემს სულს ედვარდისთვის პასუხი ნათელი იყო მაგრამ გამერისკა ედვარდის სულით? მე მაგრად მოვკუმე პირი. უსამართლობაა ჩემი მის ადგილზე დაყენება.

–მიხვდი რაშია პრობლემა?

მე თავი დავუქნიე, პირის გაღება ვერ შევძელი.
კარლაილმა ამოიხვნეშა.

–კიმაგრამ ეს ხომ ჩემი არჩევანია. –შევეწინააღმდეგე.

–ეს მასაც ეხება. –მან ჩემს გასაჩერებლად ხელი აწია შეწინააღმდეგებას რომ ვაპირებდი. –ედვარდი მაინც პასუხისმგებელი იქნება იმაზე რასაც შენ გაგიკეთებს.

–ის არ არის ერთადერთი ვისაც ამის გაკეთება შეუძლია. –მე კარლაილს თვალებში ჩავხედე.
მან უცებ გაიცინა.

–შენ ყველანაირ შემთხვევაში მოგიწევს მასთან ამ საკითხზე შეთანხმება. –შემდეგ ამოიოხრა. –ეს კიდევ ერთი საკითხია რომლის სამართლიანობაში დარწმუნებული არ ვიქნები, რომ მე გავაკეთე ის რაც შემეძლო და რასაც ვაკეთებდი ამ ხნის განმავლობაში... იყო კი სამართლიანი და სწორი რომ მე სხვებს ესეთი სიცოცხლე მივეცი?

მე არ მიპასუხია. წარმოვიდგინე თუ რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება კარლაილს რომ არ გაეკეთებინა ეს ედვარდისთვის...კანკალმა ამიტანა.

–ედვარდთან დაკავშირებით ეს დედამისმა გადაწყვიტა. -კარლაილი ეხლა ჩურჩულებდა და ფანჯარაში იყურებოდა.

–დედამისმა? –ყოველთვის როცა ედვარდს მშობლებზე ვეკითხებოდი, ის მხოლოდ მპასუხობდა რომ დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ და არ ახსოვდა. მაგრამ კარლაილს ახსოვდა ყველაფერი მათი მცირეხნიანი ურთიერთობის მიუხედავად.

–ხო მას ელიზაბეტი ერქვა, ელიზაბეტ მაზენი. მამა ედვარდ სენაიორი, საავადმყოფოში უგონოდ იყო, ვირუსის გავრცელების პირველ ხანებშივე მოკვდა. ელიზაბეტი კი სიკვდილამდე გონზე იყო. ედვარდი ძალიან გავს მას- მასაც ედვარდივით ღია ყავისფერი თმა ჰქონდა და მასსავით მწვანე თვალები.

–ედვარდი მწვანე თვალება იყო? წავიბურტყუნე და ამის წარმოდგენას შევეცადე.

–ხო... –ეხლა კარლაილი წარსულში იხედებოდა 100წლის წინანდელ ამბავში. –ელიზაბეტი ძალიან ნერვიულობდა შვილზე თავის უკანასკნელ ძალას მასზე ზრუნვაში ხარჯავდა საავადმყოფოში. მეგონა რომ პირველად ედვარდი გარდაიცვლებოდა, მისი მდგომარეობა ძალიან რთული იყო ვიდრე დედამისის. მაგრამ ელიზაბეტი სწრაფად მოკვდა.
ეს მზის ჩასვლის შემდეგ იყო როცა საავადმყოფოში დავბრუნდი რომ სხვა ექიმებს შევნაცვლებოდი. მაშინ ძალიან რთული პერიოდი იყო და მეც არ მესაჭიროებოდა დასვენება, როგორ საშინლად ვგრძნობდი თავს როცა სახლში ვბრუნდებოდი რადგან მზეზე გამოჩენა არ შემეძლო და თავს ვიმძინარებდი მაშინ როცა უამრავი ადამიანი კვდებოდა.
–პირველად ელიზაბეტის და მისი ბიჭის სანახავად წავედი. საკმაო გამოცდილება მქონდა იმისი თუ გამეგო რა სიძლიერის იყო ადამიანის ორგანიზმი. ელიზაბეტი ძალიან სუსტი იყო და ვეღარ გაუძლებდა ავადმყოფობას. მაგრამ ის არ გამოიყურებოდა ძალიან სუსტად როცა დამიძახა:
“შვილი გადამირჩინე”. –თითქმის მიბრძანა ჩახლეჩილი ხმით.

“რაც შემიძლია ყველფერს კავაკეთებ”. –შევპირდი და მას ხელი მოვკიდე. იმდენად დიდი ტემპერატურე ჰქონდა რომ ჩემი ხელის სიცივე ვერც კი შენიშნა.

“თქვენ ვალდებული ხართ ეს გააკეთოდ” –ის ისე მაგრად მიჭერდა ხელს რომ ვიფიქრე იქნებ გადაელახა კიდეც ავადმყოფობა. მისი თვალები იყო ქვასავით მაგარი როგორც ზურმუხტები. –“თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოდ რაც შეგიძლიათ. რაც სხვებს არ შეუძლიათ ეს თქვენ უნდა გააკეთოდ ჩემი ედვარდისთვის”.

–ამან მე შემაშინა, ის ისე დაჟინებით მიყურებდა თვალებში მივხვდი რომ მან ჩემი საიდულმო იცოდა. შემდეგ ელიზაბეტმა გონება დაკარგა და აღარც გამოფხიზლებულა მას შემდეგ. –მე ათწლეულები დავხარჯე იმაზე ფიქრში შემექმა თუ არა ჩემთვის პარტნიორი, მაგრამ ჯერაც ვერ ვამართლებდი იმას რომ ეს მე გამიკეთეს.
–იქვე ედვარდი იწვა, ის სიკვდილის პირას იყო და არ იყო ძნელი იმის მიხვედრა რომ ძალიან ცოტა დრო ქონდა დარჩენილი. მის გვერდით დედამისი იწვა, მშვიდი სახით თითქოსდა არც მომკვდარიყო.

კარლაილი ამ ყველაფერს ისევ იხსენებდა მისი გონება წინა 100 წლეულებში იყო. მე ნათლად ვხედავდი იმას რასაც აღწერდა: საავადმყოფოები, სიკვდილის ატმოსფერა, ედვარდი სიცხისგან რომ იწვოდა და მისი სიცოცხლე ყოველ წუთთან ერთად მიდიოდა. მე ისევ შემაჟრჟოლა, და თავიდან მოვიშორე ეს სურათი.

–ელიზაბეტის სიტყვები ეხოდ მესმოდა ყურებში. როგორ მიხვდა თუ ვინ ვიყავი ან რომელი დედა ისურვებდა შვილის ესეთად არსებობას?
–ედვარდს ვუყურებდი, ავადაც კი ძალიან ლამაზი იყო, მის სახეზე იყო რაღაც წმინდა და კარგი. მინდოდა რომ ჩემს შვილსაც ესეთი სახე ჰქონოდა.
–ამდენი წელი გადაუწყვეტლობის შემდეგ ეხლა ჩემი სურვილით ვმოქმედებდი. ჯერ ელიზაბეტი მორგში წავიყვანე, და შემდეგ ედვარდისთვის დავბრუნდი, ვერავინ შეამჩნია რომ ის ისევ სუნთქავდა. არიყო იმდენი ხალხი რომ თითეოელუ ავადმყოფი შეემოწმებინათ. მორგი ცარიელი იყო, ყოველ შემთხვევაში ცოცხალი არავინ იყო. მე ედვარდი საიდიმლო გასასვლელიდან გავიყვანე. და სახურავებზე გადასვლით ჩემთანან მიმყავდა სახლში.
–არ ვიყავი დარწმუნებული რომ სწორად ვიქცეოდი. მაგრამ მე მაინც არ ვნანობ და არც მინანია რომ ედვარდი გადავარჩინე.
შემდეგ თავი გააქნია თითქოსდა რეალობაში დაბრუნდა და მითხრა:

–ეხლა კი სახლში უნდა წაგიყვანო.

–მე წავიყვან. –ბნელი მისაღებიდან ედვარდი შემოვიდა ის ძალიან ნელა მოდიოდა, მისი სახე არაფერს არ გამოხატავდა ძნელი იყო

მასზე რაიმე ემოცია წაგეკითხა, მაგრამ იყო რაღაც რასაც ის მალავდა ეს მის თვალევში ჩანდა და ეს ბოლომდე არ გამოდიოდა. რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა.

–კარლალს შეუძლია რომ წამიყვანოს. –ვუთხარი და ჩემს ზედას დავხედე რომელიც სისხლში იყო მოსვრილი.

–მე კარგად ვარ. –მისი ხმა უსიცოცხლო იყო. –ყოველ შემთხვევაში უნდა გამოიცვალო, თუ არ გინდა რომ ჩარლის ინფაქტი მოუვიდეს. ელისს ვეტყვი რომ რამე შეგირჩიოს. –ის ისევ გავიდა სამზარეულოდან.

კარლაილს შეშფოთებულმა შევხედე:
–ის ძალიან ნაწყენია.

–ხო. დღეს მოხდა ის რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. შენ საფრთხე დაგემუქრა ჩვენი მხრიდან.

–ეს მისი ბრალი არ არის.

–ისევე როგორც შენი.

მე ვუყურებდი მის მამაც ლამაზ თვალებს და არ ვეთანხმებოდი მას ამაში.

კარლაილი წამოდგომაში მომეხმარა და მისაღებში ერთად გავედით. ესმი დაბრუნებულიყო და იატაკს წმენდდა.

–ესმი ნება მომეცი მე გავასუფთავო. –ვიგძენი რომ სახეზე ისევ გავწითლდი.

–უკვე გავაკეთე. -მან გამიღიმა –თავს როგორ გრძნობ?

–ყველაფერი კარგადაა, კარლაილი ყველაზე სწრაფად მკურნალობს ყველა ექიმებს შორის ვინც მყოლია.

ორივენი ახითხითდნენ.
ელისი და ედვარდი უკანა გასასვლელიდან შემოვიდნენ. ელისი სწრაფად მოვიდა და მეორე სართულზე ამიყვანა. ედვარდი დარჩა მას ისევ გაურკვეველი სახე ქონდა.

–ჩქარა წამოდი. –მითხრა ელისმა. –რაიმე ნაკლებად საშინელს მოგცემ რომ ჩაიცვა.

მან ესმის ზედა მომცა რომლის ფერიც ჩემსას წააგავდა. ჩარლი ვერ შეამჩნევდა განსხვავებას. ხლა ჩემი შეხვეული ხელი არცისე საშინელი ჩანდა სისხლით რომ არ ვიყავი მოსვრილი. ჩარლის არ უკვირდა შეხვეულს რომ მხედავდა ხოლმე.

–ელის. –დავიჩურჩულე მე როცა ის კარებისკენ გაემართა.

–რა იყო? –მანაც ხმას დაუწია და ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

–რამდენად ცუდადაა ყველაფერი? –მე არ ვიყავი დარწმუნებული იმის მიუხედავად რომ ზემოთ ვიმყოფებოდით რომ ედვარდს არ ესმოდა ჩვენი ლაპარაკი.
მისი სახე შეიცვალა.
–დანამდვილებით არ ვიცი.

–ჯასპერი როგორაა?

ელისმა ამოიხვნეშა.
–ის ძალიან ნაწყენია, ეს მისთვის გამოცდაა დ ავერ იტანს როცა თავს სუსტად გრძნობს.

–ეს ხომ მისი ბრალი არ არის. აუცილებლად გადაეცი რომ საერთოდ არ ვარ მასზე ნაწყენი.

–კარგი.

ედვარდი უკვე კარებთან მელოდა, რომ მივედი მან ჩუმად გამიღო კარი.

–ბელა შენი ნივთები წაიღე! –დამიძახა ელისმა, მან ორი ყუთი და ჩემი აპარატი ჯანმრთელ ხელში მომაწოდა. –მადლობას შემდეგ გადამიხდი რომ გახსნი მათ.

ესმიმ და კარლაილმა ერთად მისურვეს ღამემშვიდობისა. და ედვარდს შეხედეს ისევე როგორც მე.
დიდი შვება ვიგრძენი როცა გამოვედი სახლიდან, ნათურებს და ვარდებს ჩავუარე რომლებიც ეხლა ცუდ მოგონებებს იწვევდნენ. ედვარდი ჩუმად მომყვებოდა. მანქანის კარი გამიღო თვითონ რულთან დაჯდა, რათქმაუნდა არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია.
მანქანაში დიდი წითელი ბანტი შევნიშნე რომელიც ახალ მაგნიტოფონს ჰქონდა. მე ის მოვაძვრე როცა ედვარდმა სხვაგან გაიხედა და ჩემი სავარძელის ქვემოთ შევაგდე.

ის არც მე მიყურებდა არც მაგნიტოფონს. არცერთს არ ჩაგვირთავს მაგნიტოფონი. სიჩუმე მანქანის ძრავის ხმამ დაარღვია. ის სწრაფად გაუყვა ბნელ გზას.
სიჩუმეს ჭკუიდან გადავყავდი.

–მითხარი რამე. –შევეხვეწე როცა ტრასაზე გავედით.

–რა გინდა რომ გითხრა?

–მითხარი რომ ყველაფერს მპატიობ.

ჩემმა სიტყვებმა როგორც იქნა მის სახეს სიცოცხლე დაუბრუნა, მასზე გაკვირვება გამოისახა:

–გაპატიო? კი მაგრამ რა?

–ის რომ უფრო ფრთხილად რომ ვყოფილიყავი არაფერი არ მოხდებოდა.

–ბელა შენ უბრალოდ ხელი გაიჭერი ქაღალდზე და ეს სასიკვდილო განაჩენს იმსახურებს?

– ეს მაინც ჩემი შეცდომაა.

–შენი შეცდომა? ბელა შენ რომ ხელი მაიკ ნიუტონის სახლში გაგეჭრა სადაც ჯესიკა, ანჟელა და სხვა შენი ნორმალური მეგობრები იქნებოდა, ყველაზე უარესი ის შეიძლება მომხდარიყო რომ ბამბა ან ბინტი ვერ მოეძებნათ. შენ რომც დავარდნილიყავი უამრავ მინის ნამსხვრევზე იმის გარეშე რომ ვიღაცამ ძლიერად გკრა ხელი, ყველაზე ცუდი რაც შეიძლება მომხდარიყო ის რომ შენ ცოტაოდენ სისხლს დაკარგავდი სანამ მეორე ოთახში გაგიყვანდნენ დასახმარებლად. მაიკ ნიუტონი ხელს დაგიჭერდა სანამ შეგიხვევდნენ და ის არ ეცდებოდა თავის დარწმუნებას რომ არ მოეკალი მაშინ როცა შენს გვერდით იდგა. არც კი ეცადო შემეწინააღმდეგო ბელა, ეს უფრო გაზრდის ჩემივე თავის სიძულვილს.

–სად ჯანდაბიდან აღმოჩნდა ამ ისტორიაში მაიკ ნიუტონი?

–იქიდან რომ მაიკი შენთვის ყველაზე მეტად შესაფერისი ადამიანი.

–მირჩევნია მოვკვდე ვიდრე მაიკ ნიუტონთან ვიყო. მირჩევნია მოვკვდე ვიდრე ვინმესთან ვიყო შენს გარდა.

–ნუ იქნები ესეთი დრამატული, გთხოვ.

–ხოლო შენ მოეშვი სისულელეების ლაპარაკს, ცოტა გამხიარულდი.

მან არ მიპასუხა. დაჟინებით იყურებოდა პანჯრიდან სადღაც შორს. მე თავგანწირვიდ ვცდილობდი რამენაირად გადამერჩინა საღამო. სახლს რომ მივუახლოვდით მანქანა გამორთო მაგრამ მაინც ძლიერად უჭერდა საჭეს ხელს.

–დარჩები დღეს ჩემთან? –ვკითხე მე

–სახლში უნდა დავბრუნდე.

ყველაზე ნაკლებად რაც ეხლა მინდოდა მისი წასვლა იყო. და მზად ვიყავი მუხლებზე დავვარდნილიყავი და შემეხვეწა.

–დღეს ჩემი დაბადების დღეა. –არ დავუთმე მე

–შენ არ შეგიძლია ერთდროულად ორი პრივილეგიით ისარგებლო: გინდა რომ ხალხმა შენს დაბადების დღეს იგნორირება გაუკეთოს თუ პირიქით?

მისი ხმა მკაცრი იყო, მაგრამ არა ისეთი მკაცრი როგორც მანამდე.

–კარგი, გადავწყვიტე არ მინდა რომ შენ ჩემს დაბადების დღეს იგნორირება გაუკეთო. მინდა რომ დღეს ჩემთან ზემოდ გნახო.

მანქანიდან ჩემი საჩუქრები გადმოვიტანე. ის შეიშმუშნა.

–შენ არ უნდა აიღო ისინი.

–მე ისინი მინდა. –მექანიკურად ვუპასუხე.

–არ არ გინდა, კარლაილმა და ესმიმ ფული დახარჯეს შენთვის.

–როგორმე გადავიტან. –მოუხერხებლად დავიკავე ჯანმრთელ ხელში ყველა საჩუქარი და მანქანის კარი მივაჯახუნე.
ედვარდიც გადმოვიდა და ნახევარ წამში ჩემს გვერდით იყო.

–იმის ნება მაინც მომეცი რომ წაღებაში მოგეხმარო. –ყუთები გამომართვა. –შენს ოთახში დაგელოდები.

–გმადლობ. –გავუღიმე მე

–დაბადების დღეს გილოცავ. –დამიჩურჩულა და დაიხარა რომ ეკოცნა.
მე ფეხის წვერებზე ავიწიე რომ კოცნა გამეხანგრძლივებინა. ედვარდმა გაიღიმა ჩემი საყვარელი არაჩვეულებრივი ღიმილით. და სიბნელეში გაქრა
თამაში ჯერ არ დამთავრებულა. როგორც კი სახლში შევედი გავიგონე ტელევიზორის ხმა საიდანაც კომენტატორი ყვიროდა.

–უკვე მოხვედი? –გაუკვირდა ჩარლის

–პრივეტ მამა. –მე სავარძელს მივუახლოვდი და ნატკენ ხელს მუცელთან ვიდებდი. ხელი საშინლად მტკიოდა და ცხვირი შევიჭმუხნე, ალბათ გამაყუჩებელი ნელნელა გამოდიოდა.

–როგორი იყო ყველაფერი? მოყევი.

–ელისმა ყველა საზღვარს გადააჭარბა. ყვავილები, ტორტი, სანთლები, საჩუქრები.

–რა გაჩუქეს?

–მანქანის მაგნიტოფონი და კიდევ უამრავი რაღაც

–ყოჩაღ!

–ხო. –დავეთანხმე მე. –უკვე ღამეა წავალ დავწვები. –ხვალ დილამდე მამა.
მე დამავიწყდა და ნატკენი ხელი დავუქნიე.

–ხელზე რა მოგივიდა?

ჯანდაბა, ჩავიბურტყუნე ჩუმად.
–როგორც ყოველთვის დავეცი, საშიში არაფერია.

–ბელა. –ამოიოხრა და თავი გააქნია.

–ღამე მშვიდობისა მამა.

უცებ შევედი აბანოში, გამოვიღე საღამურები რომლებსაც ესეთ ღამეებში ვიცმევდი ხოლმე, ჩაცმის დროს ხელი ისევ ამტკივდა. ცალი ხელით დავიბანე პირი, კბილები გამოვიხეხე და საძინებელისკენ გავემართე.
ის საწოლის შუაში იჯდა მხიარული სახით და ხელში პატარა ვერცხლისფერ ყუთს ათამაშებდა.

–პრივეტ. –მითხრა მან სევდიანი ხმით.
საჩუქრებზე ხელი გავაშვებინე და კალთაში დავუჯექი.

–პრივეტ. –მე მის ცივ გულს მივეყრდენი. –ეხლა შემიძლია რომ საჩუქრები გავხსნა?

–საიდან ამოდენა ენთუზიაზმი?

–შენ ჩემში ცნობისმოყვარეობა გააღვიძე.

ავიღე გრძელი ბრტყელი სამკუთხედი, რომელიც კარლაილიდან და ესმიდან უნდა ყოფილიყო.

–მოდი მოგეხმარები. –შემომთავაზა და საჩუქარი გამომართვა, სწრაფი მოძრაობით ქაღალდი მოაძრო და გამომიწოდა.

–დარწმუნებული ხარ რომ შევძლებ მარტო გავხსნა?
ჩავიბურტყუნე, მაგრამ მას თითქოს არ გაუგონია.

ყუთში გრძელი ქაღალდი იყო დაფარული პატარა წითელი წარწერებით. ერთი წუთი დამჭირდა რომ გამეგო თუ რა იყო ეს.

–ჯეკსონვილში მივფრინავთ? –ისე ვიყავი აღფრთოვანებული ჩემი მდგომარეობის მიუხედავად. ეს იყო ვაუჩერი ორი ბილეთისთვის ჩემთვის და ედვარდისთვის.

–ხო ეს კარგი აზრია.

–ვერ ვიჯერებ! დედა სიხარულისგან გაგიჟდება. შენ წინააღმდეგი ხომარხარ, იქ სულ მზეა და მთელი დღეები სახლში მოგიწევს ჯდომა.

–ვფიქრობ რომ რამენაირად მოვახერხებ თავის გართმევას. –შემდეგ შეიშმუშნა. –რომ მცოდნოდა რომ ესე გაგიხარდებოდა კარლაილის და ესმის წინაშე გაგახსნევინებდი, მეგონა რომ დაბრუნებას შეეცდებოდი.

–რათქმაუნდა ეს ძალიან დიდი საჩუქარია მაგრამ მივიღებ და დავთანხმდები შენთან ერთად წასვლას.

მან ჩაიხითხითა.
–ეხლა ვწუხვარ რომ შენს საჩუქარში ფული არ დავხარჯე არ მეგონა თუ შეგეძლო აზრიანი ყოფილიყავი.

მე ვაუჩერი გადავდე და ავიღე მისი საჩუქარი, ჩემი ცნობისმოყვარეობა გაიზარდა. ედვარდმა გამომართვა და ისიც უცებ გახსნა.
შიგნით გამჭირვალე კოლოფი და მასში ვერცხლისფერი დისკი აღმოჩნდა.

–რა არის ეს?

მან არაფერი მიპასუხა, დისკი ამოიღო და საწოლთან მდგარ მაგნიტოფონში ჩართო. თავიდან სიჩუმე, და როგორც იქნა გაისმა მუსიკა.
მე ვუსმენდი გაფართოებული თვალებით. ვიცი ის ჩემს რეაქციას ელოდა მაგრამ მე არ შემეძლო ლაპარაკი. ცრემლები წამომივიდა და მოვიწმინდე სანამ ლოყობზე ჩამოცურდებოდნენ.

–ხელი გტკივა? –მკითხა შეშინებულმა

–არა მიზეზი ხელი არარის. ეს არაჩვეულებრივია, ედვარდ. შენ ვერაფერს მაჩუქებდი რაც ესე მესიამოვნებოდა. ეს დაუჯერებელია. –გავჩუმდი და გავაგრძელე მოსმენა

ეს იყო მისი მუსიკა, მისი შემოქმედება. დისკზე პირველი სიმღერა იყო ჩემი იავნანა.

–ვიცოდი რომ ფორტეპიანოს ჩუქების ნებას არ დამთავრდი, მე ეხლა ესე შევძლებ შენთვის დაკვრას.

–მართალი ხარ.

–ხელი როგორ გაქვს?

–ყველაფერი კარგადაა. –სინამდვილეში კი ხელი მეწვოდა. არ ვიტყოდი უარს მასზე ყინულის დადებაზე, მისი ხელიც საკმარისი იყო მაგრამ ეს გამთქვამდა.

–გამაყუჩებელს მოგიტან.

–არაფერი არ მინდა. –შევეწინააღმდეგე მაგრამ მან უკვე გადამსვა მისი კალთიდან და კარს მიუახლოვდა.
–ჩარლი? –დავიჩურჩულე მე. ჩარლის წარმოდგენაც არ ჰქონდა რომ ედვარდი ხშირად რჩებოდა ჩემთან, ეს რომ გაეგო ალბათ ინფაქტი მოუვიდოდა, მაგრამ მე არ ვგრძნობდი თავს მის წინაშე დამნაშავედ,

მე და ედვარდი არაფერს არ ვაკეთებდით ისეთს რაზეც ის გადაირეოდა. ედვარდი და მისი წესები...

–ჩარლი ვერ გაიგონებს. –შემპირდა ედვარდი და გაქრა, მანამ დაბრუნდა სანამ ოთახის კარი ხმაურით დაიკეტებოდა. მან ჭიქით წყალი და აბები მომაწოდა რომელიც წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დავლიე რადგან ხელი მართლაც ძალიან მაწუხებდა. ჩემი იავნანა ისევ ტკბილი ლამაზი ხმით უკრავდა.

–უკვე გვიანია. –აღნიშნა ედვარდმა. ერთი ხელით ლოგინზე დამაწვინა მეორეთი თეთრეული გაასწორა, რბილად დამადებინა თავი ბალიშზე ადიელაში გამახვია და თვითონაც მოკალთდა კუთხეში ისე რომ მისგან არ შემციებოდა. შემდეგ თავი ბეჭზე დავადევი და ბედნიერად ამოვისუნთქე.

–მადლობა. –დავიჩურჩულე მე.

–არაფრის.

კარგა ხანი სიჩუმე იყო, მე ჩემი იავნანას დასასრულს ვუსმენდი შემდეგ დაიწყო მუსიკა ესმის შესრულებით.

–რაზე ფიქრობ? –ჩურჩულით ვკითხე

ჭოჭმანობდა სანამ მიპასუხებდა:

–მე ვფიქრობდი რომ ეს ყველაფერი არ არის სამართლიანი.

ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

–ხომ გახსოვს როცა გითხარი რომ შენ არ გაუკეთო ჩემს დაბადების დღეს იგნორირება? –ვკითხე იმის იმედით რომ ვერ მიხვდებოდა მისითვის ყურადღების გადატანა რომ მინდოდა.

–კი. –ფრთხილად დამეთანხმა

–ხოდა ჯერ კიდევ ჩემი დაბადების დღეა ასე რომ მინდა ისევ მაკოცო.

–ამ საღამოს ძალიან მომთხოვნი ხარ.

–ხო შეიძლება, მაგრამ ნუ აკეთებ იმას რისი გაკეთებაც არ გინდა.

მან გაიცინა და ამოიხვნეშა

–ზეცა არ მაძლევს იმის უფლებას ვაკეთო ის რაც არ მინდა. –ეს მან უცნაური იმედგაცრუებით თქვა . აიღო ჩემი ნიკაპი და მისი სახისკენ მიმწია.
კოცნა როგორც ყოველთვის ისე დაიწყო. ედვარდი ჯერ ფრთხილი იყო, მაგრამ ჩემმა გულმა გამალებით დაიწყო ფეთქვა როგორც ყოველთვის. უცებ მისმა ტუჩებმა სწრაფად და ძლიერად დაიწყეს მოძრაობა, თავისუფალი ხელი თმებში შემიცურა და უფრო ახლოს მიმწია მასთან, მიუხედავად იმისა რომ ჩემი ხელებიც მის თმებში იყო და უკვე გავიაზრე, რომ ზღვარს გადავცილდით მან მაინც არ შემაჩერა. მისი ტანი ცივ ტემპერატურას გამოსცემდა მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.
ის უეცრად გაჩერდა და ნაზად გამწია.
ბალიშზე გავწექი და სუნთქვას ვიმშვიდებდი. რაღაც მოგონებამ უცებ გაურკვევლად გაირბინა თავში.

–მაპატიე. –მითხრა მანაც მძიმე სუნთქვით. –ჩვენ საზღვარს გადავაჭარბეთ.

–მე წინააღმდეგი არ ვარ. –ძლივს ამოვისუმთქე.

ის შეჭმუხნული მიყურებდა.

–შეეცადე დაიძინო ბელა.

–არა, მე მინდა რომ ისევ მაკოცო.

–ბელა შენ ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს ჩემს თვითკონტროლზე.

–მითხარი რა უფრო გიზიდავს ჩემში: ჩემი სისხლი თუ სხეული?

–ორივე ეთად. –მან თავის თავს ჩაუცინა და ისევ სერიოზული გახდა.
–რატომ არ მოეშვები შენი ბედის გამოცდას და რა დაიძინებ?

–გადასარევია. -დავეთანხმე მე და უფრო ჩავეხუტე. მართლა დაღლილად ვგრძნობდი თავს, დღეს ყველანაირად გრძელი დღე იყო, მაგრამ მე ვერ ვგრძნობდი ვერანაირ შვებას რომ ის მთავრდებოდა თითქოსდა ხვალ რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო, ეს უბრალოდ სულელური წინათგრძნობაა, რა უნდა მოხდეს იმაზე უარესი რაც დღეს?
ვცდილობდი რომ არაფრის შემშინებოდა. ნატკენი ხელი ედვარდს დავადევი ცივ ბეჭზე და წვამ გადამიარა, ეხლა თავს უკეთესად ვგრძნობდი.

თითქმის ჩაძინებული ვიყავი რომ მივხვდი თუ რა მომაგონა მისმა კოცნამ. შარშან გაზაფხულზე როცა მას უნდა დავეტოვებინე რომ ჯეიმსი მოეშორებინა. ედვარდმა დამშვიდობებისას ზუსტად ესე მაკოცა, მაშინ როცა არ ვიცოდით ვნახავდით თუ არა კიდევ ერთმანეთს.
ეს კოცნა უსიამოვნო ფიქრებს იწვევდა, ვერც კი წარმოვიდგენდი რა შეიძლებოდა ამას მოყოლოდა. ისე შემაჟრჟოლა თითქოსდა უკვე კოშმარში ვყოფილიყავი

თავი მესამე

დასასრული

დილას თავს საზიზღრად ვგრძნობდი. ცუდად მეძინა, ხელი მეწვოდა და წყურვილისგან პირი გამომშრალი მქონდა. ჩემს მდგომარეობას ვერ უშველა ედვარდის აქ ყოფნამ, შემდეგ უცებ შუბლზე მაკოცა და ფანჯარაში გადაძვრა. მე მეშინოდა იმ დროსი როცა მეძინა, იქნებ ედვარდი ისევ იმაზე ფიქრომდა რა არის სწორი და რა არა. მღელვარება სულ უფრო იმატებდა ამ ფიქრებიდან და თავი მტკიოდა.
ედვარდი სკოლასთან ჩვეულ ადგილას მელოდა, მაგრამ მისი სახე ისევ არ იყო ნორმალური, მისი თვალების სიღრმეში რაღაც იმალებოდა რისი გაგებაც არშემეძლო, და ეს მაშინებდა. არ მინდოდა
გუშინდელი ლაპარაკის გაგრძელება, მაგრამ არ მეგონა რომ მისი არ განხილვე უკეთესად გამხდიდა.
მან პიკაპის კარი გამიღო და გადმოსვლაში
დამეხმარა.

–თავს როგორ გრძნობ?

–გადასარევად. –მოვატყუე. უცებ საშინელი თავის ტკივილი ვიგრძენი მანქანის კარის მიჯახუნების ხმიდან.

სიჩუმეში მივდიოდით, ის ნაბიჯებს ამცირებდა არჩამოვრჩენილიყავი. იმდენი კითხვები დამიგროვდა რაზეც მინდოდა პასუხის მიღება მაგრამ ზოგიერთს დააგვიანდებოდა რადგან ისინი ელისისთვის იყვნენ: როგორ გრძნობდა თავს ჯასპერი? რა თქვა ჩემი წამოსვლის შემდეგ? რა თქვა როზალიმ? რა დაინახა მომავალში მართალია ცოტა გაურკვევლად მაგრამ ელისი მაინც დაინახავდა თუ რაზე ფიქრობდა ედვარდი და რატომ იყო ესეთი მოღუშული? მაქვს თუ არა ნერვიულობის საბაბი და რატომ?

დილა ნელა მიღოღავდა. ერთი სული მქონდა რომ ელისი მენახა, მაგრამ მას ვერ დავალაპარაკებოდი ყველა საკითხზე ედვარდთან ერთად.
ედვარდი ზოგჯერ მკითხავდა ხელისმდგომარეობას, მეც ვატყუებდი რომ ყველაფერი გადასარევად იყო.
ელისი სულ გვაჩქარებდა საუზმეზე, ის არიყო ჩემსავით ზარმაცი, მაგრამ რატომღაც ელისი არ იჯდა დღეს მაგიდასთან საჭმლით სავეს ფოდნოსით რომელზეც პირის დაკარებას არ აპირებდა. ედვარდსარაფერი უთქვამს იმის შესახებ რომ ელისი დღეს არ იქნებოდა. ვიფიქრე რომ ელისის კლასი ადრე გაანთავისუფლეს რადგან მისი კლასელები არ დამინახავს.

–ელისი სად არი? –განგაშით ვკითხე ედვარდს

ის ხელში შოკოლადის ფილას ათამაშებდა და თან მიპასუხა:
– ჯასპერთან ერთადაა.

–რა სჭირს, კარგად არის?

–ის ცოტა ხნით წავიდა.

–რაა? სად?

ედვარდმა მხრები აიჩეჩა:
–კონკრეტულად არსად.
–ელისიც წავიდა? –ვკითხე იმედგაცრუებით. რათქმაუნდა თუ ჯასპერს ის ჭირდებოდა აუცილებლად წაყვებოდა.

–ხო, ის არიქნება რამოდენიმე ხანი. ელისს უნდოდა რომ ჯასპერი დენალისთან წასვლაზე დაეთანხმებინა.
დენალები-ეს კიდევ ერთი "კარგი" ვამპირების ოჯახია, რომლებიც კალენების მსგავსი ცხოვრებით ცხოვრობენ. დროდადრო მე მათზე მესმოდა. ედვარდი იყო მათთან შარშან ზამთარში როცა ჩემი ფორქსში ჩამოსვლა ედვარდისთვის გასძლებად რთული იყო. ასევე მათთან რამოდენიმე ხანი იმყოფებოდა ლორენი: ჯეიმსის პატარა დაჯგუფების ყველაზე ცივილიზებული წევრი, ყოველ შემთხვევაში მას არ უცდია ჩვენი მოკვლა. ამ მიზეზების გამო უნდოდა ელისს ჯასპერის მათთან წაყვანა.
მე ნერწყვი გადავყლაპე რომ კისერში გაჩხერილი ბურთი გადამეყლაპა. სინდისის ქენჯნამ შემაწუხა რადგან მე ელისის და ჯასპერის სახლიდან წასვლის მიზეზი ვიყავი ისევე როგორც ემეტის და როზალისი.
ბეჭები ჩამოვუშვი და თავი მაგიდაზე დავდე.

–ხელი გტკივა? –მზრუნველად მკითხა ედვარდმა.

–რა სანერვიულოა ეხლა ჩემი სულელური ხელი? –სუძულცილით ვუთხარი.

მან არ მიპასუხა და თავი ისევ მაგიდაზე დავდე.

დღის ბოლოს ჩვენს შორის სიჩუმე უკვე გაუსაძლისი იყო. არ მინდოდა რომ პირველი დამერღვია ის, მაგრამ ეს ერთადერთი გზა იყო იმისი რომ მას ჩემთვის ხმა გაეცა.

–დღეს მოხვალ ჩემთან მოგვიანებით? –ვკითხე როცა ჩემს პიკაპამდე მაცილებდა.

–მოგვიანებით?

მომეწონა რომ ეს გაკვირვებულმა მკითხა.

–ხო, დღეს უნდა ვიმუშაო, გუშინ რომ არ ვიყავი.

–ოოო. – წარმოთქვა ედვარდმა

–მოკლედ, ხომ მოხვალ სახლში რომ ვიქნები?

ვერ ვიტანდი იმ პერიოდს სანამ ის პასუხს გამცემდა, ეჭვი მეპარებოდა რომ დღეს ვეღარ ვნახავდი.

–თუ შენ ესე გინდა.

–მე სულ მინდა შენს გვერდით ვიყო. –შევახსენე, შეიძლება ზედმეტად ემოციურადაც კი.
მეგონა რომ გაიცინებდა, გაიღიმებდა ან რამე რეაგირებას გააკეთებდა ჩემს სიტყვებზე.

–კარგი მაშინ მოვალ. –უსიცოცხლოთ მიპასუხა.

სანამ მანქანის კარს მომიკეტავდა, შუბლზე მაკოცა და ჰაეროვანი სვლით წავიდა მისი მანქანისკენ.
პანიკაში ჩავარდნილმა ძლივს გავახწიე სადგომიდან და მაღაზიაში მისვლამდე დავწყნარდი.
ედვარდს დრო სჭირდება, ვუთხარი ჩემს თავს. ის გაუმკლავდება ამას, რათქმაუნდა ის ნაღვლიანი რადგან მისი ოჯახი დანაწევრდა, მაგრამ ელისი და ჯასპერი მალე დაბრუნდება, ემეტიც და როზალის.

თუ ეს დაგვეხმარება, მე აღარასოდეს შევალ მათ სახლში, მაგრამ ამას არ ქონდა მნიშვნელობა. მე მაინც ყოველდღე ვნახავდი ელისს სკოლაში და ის ვერ ატკენდა გულს ჩარლის იმით რომ ჩვენგან შორს ყოფილიყო. ასევე მე ხშირად ვნახავდი კარლაილს ჩემი საავდმყოფოში მისვლისას.
ბოლოს და ბოლოს რაც გუშინ მოხდა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, არაფერი ისეთი არ მომხდარა შარშანდელთან შედარებით, ჯეიმსისგან უამრავი მოტეხილობები მქონდა და თითქმის მკვდარი ვიყავი იმდენი სისხლი დავკარგე, მაგრამ ედვარდმა ეს უფრო ადვილად გადაიტანა როცა ყოველდღე საავადმყოფოში მეჯდა. იქნებ ეხლა იმიტომ არის რთულად ყველაფერი რომ ის იძულებული იყო მე მისი ძმისგან დავეცავი? იმიტომ რომ ის მისი ძმა იყო?
იქნებ ის უფრო უკეთესი იყო რომ ჯასპერს მოვეკალი ვიდრე მისი ოჯახი დაშლილიყო?
იქნებ მარტო ედვარდი დარჩენილიყო სკოლის დამთავრებამდე, ჩარლი არ იქნებოდა წინააღმდეგი და შემდეგ ერთად წავიდოდით კოლეჯში, ან ვითომ წავიდოდით როგორც როზალი და ემეტი. რათქმაუნდა ედვარდი მოითმენდა ერთ წელს, უკვდავისთვის არც ისე ბევრი იყო ერთი წელი როგორც ჩემთვის.
მე ვაკონტროლებდი თავს იმდონემდე რომ ხმაზე ვერავინ შემატყობდა ჩემს მდომარეობას, როცა მანქანიდან გადმოვედი და მაღაზიისკენ გავემართე.
მაიკ ნიუტონი დღეს ჩემთან ერთად მუშაობდა. როცა შევედი გამიღიმა და ხელი დამიქნია. ე ხელი ვსტაცე სამუშაო ჟილეტს და თავი დავუქნიე მაიკს. ე ისევ წარმოვიდგენდი ჩემი და ედვარდის გაქცევას და მოგზაურობას სხვადასხვა ეგზოტიკურ ქვეყნებში. მაიკმა შემაწყვეტინა ჩემი ფანტაზიები.
–როგორ ჩაიარა დაბადების დღემ?

–კიდევ კარგი რომ მალე დამთავრდა. –ჩავიბურტყუნე მე.

მაიკი გაშტერებული მიყურებდა, თითქოსდა გიჟი ვიყავი.
სამუშაო დღე ნელა გადიოდა. ერთი სული მქონდა რომ ედვარდი მენახა, იქნებ ეხლა უკეთეს ხასიაძე ყოფილიყო.
საშიში არაფერია ყველაფერი ისე იქნება როგორც ადრე, ვამშვიდებდი ჩემს თავს.
უდიდესი შვება ვიგრძენი როცა ჩემს ქუჩაზე მივედი და დავინახე ვერცხლისფერი ვოლვო რომელიც ჩემი სახლის წინ იყო გაჩერებული, ამან რაღაც ამანერვიულა.
სახლისკენ გავიქეცი და შესვლისთანავე დავიძახე:

–მამა? ედვარდ?

–აქ ვართ ბელა. –გამომეპასუხა ჩარლი.

მოსაცმელი ჩამოვკიდე და მისაღებში გავედი.
 დვარდი სავარძელში იჯდა, მამა დივანზე. ორივენი ტელევიზორს უყურებდნენ, ეს აბსოლიტურად ნორმალური იყო ჩარლისთვის, მაგრამ არა ედვარდისთვის.

–პრივეტ. –ვთქვი სუსტად.

–პრივეტ ბელა. –მითხრა ჩარლიმ ტელევიზორიდან მოუშორებლად.
–ჩვენ ეხლა ვჭამეთ პიცა, სამზარეულოში ცოტა დარჩა შეგიძლია შეჭამო.

შესასვლელში ვიდექი სანამ ედვარდმა არ მომაქცია ყურადღება. როგორც იქნა შემომხედა და თავაზიანად გამიღია:
–მალე შემოგიერთდები. –შემპირდა და ისევ ტელევიზორისკენ მიბრუნდა.
მე გაშტერებული ვუყურებდი, თითქისდა ვერ მამჩნევდა. ვიგრძენი რომ გულში პანიკა იზრდებოდა და სამზარეულოში გავიქეცი. საერთოდ არ მანაღვლებდა პიცა. დავჯექი ჩემს სკამზე ფეხები ავწიე, ნიკაპით დავეყრდენი და ხელები მუხლებზე მოვიჭირე. ველაფერი ეს ისე უცნაური იყო, თან ძალიან უცნაური ვიდრე წარმომედგინა. თავის ხელში აყვანა ვცადე, და ვმსჯელობდი:
რა არის ყველაზე უარესი, რა შეიძლება მოხდეს რის გადატანასაც შევძლებ? ეს კითხვა არც მე მომეწონა. მე ყველა ვარიანტს ვიხსენებდი რომლებზეც დღეს ვმსჯელობდი.
შორს ვიყო კალენების იჯახიდან. რათქმაუნდა ედვარდი არ მოითხოვდა იმას რომ ეს ელისსაც შეეხებოდა, მაგრამ თუ ჯასპერი დიდხანს იქნებოდა სხვა ოჯახთან რათქმაუნდა ელისიც მასთან დარჩებოდა, და მასაც ვერ ვნახავდი დიდი ხანი. თავი დავაქნიე-ამას გადავიტან.
თუარადა წავიდე ედვარდთან ერთად. შეიძლება მან არც დაელოდოს სასწავლო წლის დამთავრებას და ეხლავე წავიდეთ.
 ჩემს წინ მაგიდაზე ჩარლის და რენეს საჩუქრები იყო რომლებიც ჯერ არ გამომიყენებია. მე ხელი მოვკიდე ალბომის ლამაზ ყდას და ამოვიხვნეშე დედას გახსენებაზე. ასე თუ ისე მის გარეშე ყოფნის შემდეგ, არ მიადვილდებოდა იმის წარმოდგენა რომ მე მას მივატოვებდი... ჩარლი კი დარჩებოდა სრულ მარტოობაში, აქ უჩემოდ... ჩემ მშობლებს ორივეს ძალიან ეტკინებოდათ გული. მაგრამ ჩვენ ოდესმე ხომ დავბრუნდებოდით? ხომ მოვინახულებდით მათ?
მე ვერ ვცემდი ამ კითხვებს პასუხს დარწმუნებულად.
 მე ვუყურებდი მშობლების სიყვარულის ნივთიერ ნიშნებს. ვიცი გზა რომელიც ავირჩიე არ არის იოლი. და ბოლოს მაინც ვფიქრობდი

მხოლოდ ცუდ ვარიანტებზე, იქნებ ყველაფერი კარგად მოგვარებულიყო.
მე ისევ მოვკიდე ხელი ალბომს და გადავშალე. კუთხებში გამზადებული იყო ოტოების ჩასასმელი პლასმასები. ისე არც ისე ცუდი იდეაა დავაფიქსირო ჩემი ცხოვრების ნაწილი ქალქ ფორქსში, მითუმეტეს თუ მისი დატოვება მომიწევდა.
ხელში ვათამაშებდი პოტოაპარატის ხელში დასაჭერ ბაწარს. ვფიქრობდი პირველ კადრზე, სურათი შეიძლება გამოვიდეს განსხვავებული იმისგან რასაც გადავუღებ? ეჭვი მპარება. მე ჩავიხითხითე როცა გამახსენდა ედვარდის უდარდელი სიცილზე გუშინ საღამოს. სიცილი უცებ გაქრა როცა გამახსენდა თუ როგორ უცებ შეიცვალა ის. ამ ფაკტის გახსენებისას თავბრუ ისე დამეხვა თითქოს ძალიან დიდი სიმაღლის კიდეზე ვიდექი.
ამაზე ფიქრს მეტჯერ აღარ ვაპირებდი. პარატი ავიღე და მეორე სართულზე გავიქეცი.
ჩემი ოთახი 17 წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა, მას შემდეგ რაც დედა ცხოვრობდა აქ. კედლები ისევ ღია ცისფერი, ფანჯრებზე ძველი ყვითელი ფარდები. საწოლი სხვა მაგრამ მასზე გადაფარებული იყო ბებიას ნაჩუქარი გადასაფარებელი.
დავიწყე ოთახში სურათების გადაღება. სამწუხაროდ დღეს გარეთ აღარ შემეძლო გადაღება, უკვე ჩამოღამდა. გრძნობა რომ რაც შეიძლება მეტი რამ ამეღნიშნა ფოტოზე თანდათან იზრდებოდა. მე ფორქსის ყველა ნაწილისთვის უნდა გადამეღო სურათი სანამ დავტოვებდი მას.
ცვლილებები ახლოვდბოდა, მე ამას ვგრძნობდი. მე არ მომწონდა ეს მაგრამ ცხოვრება მუდამ სასიამოვნო და უღრუბლო არ არის.
ქვემოთ ჩასვლისას პოტოაპარატით ხელში, ვცდილობდი ნერვიულობა დამემალა, არ მინდოა ისევ შემეხედა ედვრადის ცივი თვალებისთვის. ის შეძლებს და გადალახავს ამას, იქნებ ნერვიულობს რომ თუ წასვლას მთხოვს მე მეწყინება, მაგრამ პასუხი უკვე მზად მქონდა, უკვე მომზადებული ვიყავი რომ ამას მთხოვდა და მეც დავეთანხმდებოდი.
აპარატი მოვამზადე, მაგრამ მე მე მეშინოდა მისაღებში გასვლა, არანაირი შანსი არ იყო რომ ედვარდ გამოვიჭერდი, მაგრამ ის ჩემსკენ არ იყურებოდა. ვგრძნობდი სუსტ კანკალს და რაღაც უსიამოვნო ცივი ტრიალებდა მუცელში. ე არ მივაქციე ამას ყურადღება და სურათი გადავიღე.
მათ ორივემ შემომხედეს. ჩარლი შეიშმუშნა, ედვარდის სახე არაფერს გამოხატავდა.

–ბელა რას აკეთებ? –შემომჩივლა ჩარლიმ

–მიიწიეთ თუ შეიძლება. –მე უდარდელი ღიმილიანი სახე მივიღე და დივანისკენ გავიმართე სადაც ჩარლი იწვა. –ხომ იცი რომ მალე

დედა დარეკავს და გამომკითხავს თუ როგორ ვიყენებ თქვენს საჩუქრებს. ალბომი უნდა შევავსო მანამ სანამ რენეს გული წაუვა.

–ეგ კარგი, მაგრამ რატომ მიღებ მე? –წაიბუზღუნა ჩარლიმ.

–იმიტომ რომ ესეთი ლამაზი მყავხარ. –ვუპასუხე ღიმილით. –ასე რომ რადგან ესეთი საჩუქარი გამიკეთე, ვალდებული ხარ რომ ფოტოებზე იყო.
–ეი ედვრად. –წამოვიძახე შექმნილი გულგრილობით. –გადაგვიღე მე დამამას.
კამერა ედვარდს ვესროლე, გავურბოდი მისთვის თვალებში შეხედვას, ჩარლის გვერძე დავიხარე ისე რომ კადრში მოხვედრილიყო. ჩარლიმ ამოიოხრა.

–ბელა გაიღიმე. –წაიბუტბუტა ედვარდმა.

კარგად შევეცადე და ოთახიც კამერის სინათლემ გაანათა.

–ბავშვებო მოდი თქვენ გადაგიღებთ. –შემოგვთავაზა ჩარლიმ. ვიცოდი რომ ეს მისგან ყურადღების გადასატანად გააკეთა. ედვარდმა აპარატი ჩარლის გადასცა.
მე ედვრადის გვერდით დავდექი და ვიგრძენი თუ როგორი ფორმალური იყო ეს. ან ხელი ბეჭზე მომხვია, მე კი წელზე მოცეხვიე. ინდოდა სახეზე შემეხედა, მაგრამ შემეშინდა.

–ბელა გაიღიმე თუ შეიძლება. –შემახსენა ჩარლიმ.

ღრმად ჩავისუნთქე და გავიღიმე. სინათლემ უცებ დამაბრმავა.

–მემგონი დღეისთვის სურათები საკმარისია. თქვა ჩარლიმ და პოტოკამერა სავარძელზე დადო. –ხომ არ გინდა რომ მთელი ფირი დღეს დახარჯო.
ედვარდი ნაზად განთავისუფლდა ჩემი ხელებიდან და სავარძელში დაბრუნდა.
მე ვჭოჭმანებდი, მაგრამ მაინც დავჯექი ედვარდის პირდაპირ. უცებ ისე შევშინდი რომ ხელები ამიკანკალდა, მუცელზე მივიჭირე რომ ცახცახი დამემალა და ტელევიზორს უაროდ მივაჩერდი.
გადაცემა რომ დამთავრდა ედვარდი წამოდგა.

–სახლში უნდა წავიდე. –თქვა მან

–კარგად ჩემო ბიჭო. –მამა თბილად დაემშვიდობა

მე უხერხულად წამოვდექი ფეხზე და ედვარდს უკან გავყევი.

–დღეს დარჩები? –ვკითხე იმედით სავეს ხმით

ველოდებოდი რომ ისეთ პასუხს გამცემდა რაც არ მატკენდა გულს.

–დღეს არა.

მიზეზი არ მიკითხავს.
მანქანში ჩაჯდა და წავიდა. ვიდექი და მას გავყურებდი, ეხლა შევამჩნიე რომ წვიმდა. ისევ ვიცდიდი არ ვიცი რატომ, სანამ უკან კარი არ გაიღო.

–ბელა რას აკეთებ აქ? –მკითხა ჩარლიმ გაკვირვებულმა, რომ წვიმაში მარტო ვიდექი.

–არაფერს. –მივბრუნდი და სახლში შევედი.

ეს გრძელი ღამე იყო, რომლის განმავლობაშიც ცოტა მეძინა.
ვდექი მაშინვე როცა ფანჯარაში სინათლე შემოვიდა.
მექანიკურად სკოლისთვის ჩავიცვი და დაველოდე სანამ ცა ღრუბლებიდან გაიწმინდებოდა. ცოტა ხლოპიები შევჭამე და გარედ გავედი სახლისთვის სურათების გადასაღებად, რამოდენიმე ჩარლის სახლის ფოტო ტყის ფონზე. მივხვდი რომ ძალიან მომენატრება ის.
სკოლაში წასვლამდე პოტოკამერა ზურგჩანთაში ჩავდე და შევეცადე ჩემს ახალ საქმეზე მეფიქრა და არა იმაზე თუ რა გადაწყვიტა ედვარდმა ღამის განმავლობაში.
შიშთან ერთად მოუთმენლობა ვიგრძენი. რამდენი ხანი გაგრძელდება ეს ყველაფერი?
ეს გრძელდებოდა მთელი დილა. ის ჩუმად დამყვებოდა და არც იყურებოდა ჩემსკენ.
შევეცადე გაკვეთილებზე გადამეტანა ყურადღება, მაგრამ ინგლისურზეც კი ვერ შევძელი: გ. ბერტაიმ ორჯერ გაიმეორა კითხვა ლედი კაპალეტზე სანამ მივხვდი რომ მე მომმართავდა. ედვარდმა ჩურჩულით მიკარნახა და ისევ გააგრძელა იგნორირება.
ლანჩზე სიჩუმე გრძელდებოდა. თავს საშინლად ვგრძნობდი მეგონა რომ ნებისმიერ წუთსი დავიკივლებდი. თავის გსართობად უხილავ საძღვარზე გადავიხარე და ჯესიკას დაველაპარაკე

–ეი ჯეს?

–რა იყო ბელა?

–შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო? –ვუთხარი და ჩანთა ავიღე.
–დედამ მთხოვა რომ ჩემი მეგობრები გადავიღო პოტოზე. შეგიძლია ეს გააკეთო?
კამერა გადავეცი.

–რათქმაუნდა. –ღიმილით მითხრა, შეტრიალდა და საჭმლით პირ გავსებულ მაიკს გადაუღო.

თვალს ვადევნებდი როგორ დარბოდნენ აპარატით ხელში, იცინოდნენ და ჩხუბობდნენ რომ სურათში კარგად არ გამოიყურებოდნენ. ეს ისე ბავშვური ჩანდა, ალბათ მე არ ვიყავი ღეს ყველასავით ნორმალურ ხასიათზე.

–მმმმ ბელა მგონი მთელი ფირი დავხარჯეთ. –მობოდიშებით გამომიწოდა აპარატი ჯესიკამ.

–არაუშავს, ძალიან კარგი, მგონი ყველაფერი გადავიღე რაც მსურდა.

ედვარდმა ისევ ჩუმად მანქანასთან მიმაცილა. დღეს ისევ სამუშაოდ მივდიოდი და ეს მიხაროდა კიდეც ჩვენმა ერთად ყოფნამ კარგი არაფერი გამოიღი იქნებ უკეტესი იყო ცოტა ხანით ცალცალკე დავრჩენილიყავით.
მე ფოტომაღაზიაში შევიარე სადაც ფირი დავტოვე და სამსახურში წავედი სადაც მაიკი მელოდებოდა. შამსახურის შემდეგ კიდევ გადავიღე სხვადასხვა ადგილები. სახლში ჩარლის მივესალმე თუ არა ოთახში გავიქეცი ახალი სურათების კონვერტით.
ლოგინზე დავჯექი და კონვერტი გავხსენი. შასაცილო იყო მაგრამ ველოდი რომ პირველი სურათი ცარიელი იქნებოდა.
ამოვიღე სურათი და ხმამაღლა ამოვისუნთქე. ედვარდი პოტოზე ისეთივე ლამაზი იყო როგორც ცხოვრებაში, სურათიდან მიყურებდა თბილი თვალებით და არა ისეთით როგორც ბოლო დღეები. თითქმის უცნაური იყო რომ ის ესე... ესე აუღწერელად მიყურებდა და ათასი სიტყვით ვერ ავხსნიდი მას.
დანარჩენი სურათები უცებ გადავათვალიერე და სამი დავაწყვე ერთმანეთის გვერდით საწოლზე. პირველი იყო ედვარდის პოტო სამზარეულოში რომელიც თბილი მხიარული თვალებით მიყურებდა. მეორე-ჩარლი და ედვარდი ტელევიზორის ყურებისას, აქ მას სერიოზული, დაძაბული გამოხედვა ქონდა, მისი სახე ქანდაკებას გავდა. ბოლო სურათი იყო ჩემი და ედვარდის, სადაც მოუხერხებლად ვიდექით, აქაც მისი გამოხედვა სერიოზული და დაძაბული იყო მაგრამ ამ პოტოში ეს არ მანერვიულებდა: ჩვენს შორის ბალანსი-ის მისი სილამაზით ღმერთს გავდა, ხოლო მე

ადამიანისთვისაც კი უბრალოდ გამოვიყურებოდი. სურათი გაბრაზებულმა გადავაგდე.
გაკვეთილების მომზადების მაგივრად სურათების ალბომში ჩალაგება დავიწყე და თითოეულს თავზე თარიღებს ვაწერდი. ბოლოს მოვედი ჩემი და ედვარდის ფოტოზე რომელიც გადავკეცე და ედვარდის მხრიდან ჩავდე.
როცა ყველა სურათი ჩავალაგე, გადავწყვი დედასთვის დიდი სამადლობელი წერილი მიმეწერა.
ედვარდი ისევ არ მოსილა, არ მინდოდა დამეჯერებინა,რომ დღესაც ვერ ვნახავდი, მაგრამ ის არ მოდიოდა. ვცდილობდი გამეხსენებინა ის სიტუაცია რომ ედვარდი არ მოსულიყო ან არ გავეფრთხილებნე პირადად ან ტელეფონით, მაგრამ ვერ გავიხსენე.
ისევ ცუდად მეძინა.
სკოლაში დღე ისევ სიჩუმეში მიღოღავდა როგორც წინა ორი დღე. შვება ვიგრძენი როცა დავინახე რომ სადგომზე ედვარდი მელოდა, მაგრამ ეს გრძნობა მაშინვე გაქრა როცა შევხედე რომ ის უფრო ცივი გახდა ჩემს მიმართ.
უკვე ვერ ვასახელებდი ამ სიტუაციის მიზეზს. ჩემი დაბადების დღე წარსულს ჩაბარდა, მთავარია ელისი დროზე დაბრუნდეს სანამ ყველაფერი კონტროლიდან გამოვა.
მაგრამ მხოლოდ ელისსზე ვერ ვიქნებოდი დამოკიდებული. გადავწყვიტე რომ თუ დღესაც ვერ დაველაპარაკებოდი ედვრას ყველაფერზე ნორმალურად, კარლაილს ვნახავდი რომ რაიმე მეღონა.
სკოლის შემდეგ ედვარდი დალაპარაკებას შემპირდა. მე არანაირი შეწინააღმდეგება არ მიმიღია.

როცა პიკაპთან მიმაცილა მკითხა.

–წინააღმდეგი ხომ არ ხარ ჩემი მანქანით რომ წამოგყვე? –მითხრა სანამ მანქანასთან მივიდოდით. ჩემმა გულისცემამ მოიმატა

–რათქმაუნდა არა.

–ნამდვილად? –ისევ მკითხა და მანქანის კარი გამიღო.

–რათქმაუნდა. -ვცდილობდი რაცშეიძლება მშვიდი ტონით მეთქვა, მაგრამ არ მომეწონა მისი ტონი.
–გზად დედას წერილს ჩავაგდებ საფოსტო ყუთში, იქ შევხვდეთ.

ედვარდმა სქელ კონვერტს შეხედა სავარძელზე, და უცებ გაიწია მის ასაღებად.

–იქაც გამოგყვები. –მან ჩემი საყვარელი ღიმილით გაიღიმა, მაგრამ მასში რაღაც ვერ იყო ის მის თვალებს არ შეხებია.

–კარგი. –დავეთანხმე, მაგრამ ვერ გავიღიმე საპასუხოდ. მან კარი მომიხურა და მისი მანქანისკენ გაემართა.

ედვარდმა მართლაც მიმაცილა სახლამდე. ანქანა სახლსი წინ ჩარლის ადგილზე გააჩერა. ს ცუდის ნიშანი იყო, ესეიგი დარჩენას არ აპირებდა. თავი გავაქნიე, ღრმად ჩავისუნთქე და ენერგია მოვიკრიბე.
ედვარდი მანქანიდან გადმოვიდა, როცა მე გადმოვდიოდი და დასახმარებლად მოვიდა, ხელიდან ზურგჩანთა გამომართა. ეს აბსოლიტურად ჩვეულებრივი იყო, მაგრამ შემდეგ ჩანთა ისევ მანქანაში შედო, ეს უკვე არ იყო ნორმალური რამ.

–წამოდი გავისეირნოთ. –მითხრა უსიცოცხლო ხმით და ხელი მომკიდა.

არ მიპასუხია. ვერაფერი მოვიფიქრე რომ შევწინააღმდეგებოდი, მაგრამ ვიცოდი რომ ღირდა. ვერ ვიტანდი ცუდ წინათგრძნობებს. ყველაფერი ცუდად დასრულდება ძალიან ცუდად მიმეორებდა ხმა ჩემს თავში.
ის არც დალოდებია ჩემს პასუხს და ტყისკენ წამიყვანა. შურვილის გარაშე მივყვებოდი და ვცდილობდი თავსი დამშვიდებას: მე ხომ ზუსტად ეს მინდოდა რომ ყველაფერი გამერკვია. აბა რატომ მახრჩობდა პანიკა?
რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ გავჩერდით ტყეში. ჩემი სახლი კარგად ჩანდა.
არც ისე გრძელი გასეირნებაა.
ედვარდი ხეს მიეყრდნო და გამჭრიახი თვალებით მიყურებდა.

–კარგი, ვილაპარაკოდ. –ეს უფრო თამამად წარმოვთქვი ვიდრე ჩემიმდგომარეობა იყო.
მან დიდზე ამოიხვნაშა.

–ბელა, ჩვენ მივემგზავრებით.

მეც დიდზე ამოვიხვნეშე. ეს სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მეგონა რომ მზად ვიყავი ამისთვის მაგრამ მაინც ვკითხე.

–ეხლა რატომ და არა 1 წლის შემდეგ?

–ბელა, დრო მოვიდა. ბოლოს და ბოლოს რამდენი ხანი უნდა დავრჩედ ფორქსში?

მისმა პასუხმა შემაძრწუნა. მეგონა რომ ჩვენი წასვლით მისი ოჯახი უპრობლემოდ იცხოვრებდა ფორქსში. რატომ მივდიოდით ყველანი ერთად?
თვალს არ ვაშორებდი ედვარდს და ვცდილობდი გამეგო რას გულისხმობდა.
ის ცივად მიყურებდა.
მოულოდნელი გულის რევის შეგრძნებით მივხვდი, რომ ედვრადის ნათქვამი არასწორად გავიგე.

–როდესაც შენ ამბობ-ჩვენ. –დავიჩურჩულე მე

–მე ვგულისხმობ ჩემს ოჯახს და ჩემს თავს. –ყოველი სიტყვა ცალცალკე გამოთქვა.

თავს წინ და უკან ვაქნევდი რომ აზრზე მოვსულიყავი. ის ყოველგვარი მოუთმენლობის გარეშე მელოდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ შევძელი დამელაპარაკებინა.

–კარგი, მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

–არა ბელა შენ არ შეგიძლია, იქ სადაც ჩვენ მივდივართ შეუფერებელი ადგილია შენთვის.

–თუ ეს ადგილი შენთვის არის კარგი, მაშინ ის ჩემთვისაც კარგი იქნება.

–მე არ შეგეფერები ბელა, შენთვის არაფერს არ უნდა ვნიშნავდე.

–ედვარდ ნუ ხარ სასაცილო. –მინდოდა ეს გაბრაზებით მეთქვა მაგრამ ვედრებად გამომივიდა. –შენ საუკეთესო ხარ ჩემს ცხოვრებაში.

–ჩემი სამყარო არა არის შენთვის ბელა. –თქვა მოღუშულმა.

–ის რაც ჯასპერს მოუვიდა ეს არაფერს არ ნიშნავს ედვარდ!
 რაფერს!

–მართალი ხარ. მოხდა ის რაც მოსალოდნელი იყო.

–შენ დამპირდი, ფენიქსში დამპირდი რომ ჩემთან დარჩებოდი!

–იქამდე სანამ ეს კარგი იქნებოდა შენთვის. –შემისწორა მან

–არა! საქმე ჩემს სულშია არა? –დავიყვირე მაგრამ ჩემი ხმა ისევ ვედრებად ისმოდა. –კარლაილმა ყველაფერი მიამბო და მე ეს არ მაღელვებს. შეგიძლია წაიღო. შენს გარეშე მე სული მაინც არ მჭირდება, ის შენია!

მან დიდზე ამოიხვნეშა, როგორც იქნა დაილაპარაკა, მისი თვალები გაყინულ ოქროს გავდა.

–ბელა მე არ მინდა რომ ჩემთან ერთად წამოხვიდე. –მან ნელა და გამოკვეთილად გამოთქვა სიტყვები, მისი ცივი თვალები მიყურებდნენ სანამ გავიაზრებდი მის ნათქვამს.

–შენ... არ გინდა... ჩემთან ყოფნა? –ძლისვ წარმოვთქვი ეს სიტყვები როცა მესმოდა თუ რა საშინლად ისმოდნენ ისინი.
–არა.

გაურკვევლად ვუყურებდი თავლებში. მისი თვალები ისეთი ცივი იყო, ისეთი ღრმა რომ შემეძლო მათში ჩამეხედა, მაგრამ ვერაფერი დავინახე იმის საწინააღმდეგო რაც მითხრა.

–კარგი, ეს ყველაფერს ცვლის. –მეც გამიკვირდა თუ რა მშვიდად წარმოვთქვი ეს სიტყვები. ალბათ იმიტომ რომ შოკში ვიყავი, მე ვერ ვიგებდი ედვარდის სიტყვების აზრს.
როცა ედვარდმა ისევ დაილაპარაკა ეხლა ის ტყეს უყურებდა.

–რათქმაუნდა მე სულ მეყვარები ბელა, მაგრამ რაც იმ საღამოს მოხდა ეს იმის ნიშანი იყო რომ ცვლილებების დროა. ბელა დავიღალე თავი მოვაჩვენო ისე რასაც არ წარმოვადგენ, მე ადამიანი არ ვარ. –მან ისევ შემომხედა მისი ცივი სახის ნაქვთები არაადამიანური იყო. –მე დავუშვი რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო, და ვნანობ ამას.

–არა. –ეხლა მხოლოდ ჩურჩული შემეძლო. –ყველაფერი ნელნელა მოდიოდა ჩემს ტვინამდე, თითქოსდა მჟავა ჩემს ვენებში. –არ გააკეთო ეს ედვარდ.

–შენ მე არ შემეფერები ბელა. -ეხლა მან შემოაბრუნა პირველად ნათქვამი და ამაში ვერ შევეწინააღმდეგებოდი, მეც კარგად ვიცოდი რომ არ ვიყავი საკმარისად კარგი მისთვის.
პირი გავაღე რომ რაღაც მეთქვა მაგრამ ვერშევძელი. ის მელოდა, მისი სახე არანაირ ემოციას არ გამოხატავდა. მე ისევ ვცადე

–თუ... ეს ის არის რაც შენ გინდა.

მან თავი დამიქნია.
მე გავქვავდი, კისრის ქვემოდ ვერაფერს ვგრძნობდი.

–მინდა რაღაც გთხოვო, თუ ამის უფლებას მომცემ. –მკითხა მან

ნეტავ რა დაინახა ჩემს სახეზე ისეთი რომ მის სახეზეც გაიელვა რაღაც საპასუხომ, მაგრამ სანამ მივხვდებოდი, ის ისევ უემოციო გახდა.

–რაც გინდა. –ჩემი ხმა როგორც არასდროს სუსტად ისმოდა.

შევამჩნიე რომ მისი თვალები დათბა თითქოს ოქრომ დნობა დაიწყო და ყველაფერი დამწვა.

–არ ჩაიდინო არანაირი სისულელე. –მიბრძანა მან –ხვდები რაზე გეუბნები?

მე თავი დავუქნიე.

–რათქმაუნდა ჩარლიზე ვფიქრობ, შენ მას სჭირდები. მიხედე თავს მისი გულისთვის
ისევ დავუქნიე თავი –გპირდები.

მომეჩვენა რომ ცოტა დამშვიდდა.

–მეც შევასრულებ ჩემს პირობას. თქვა მან –გპირდები რომ აღარასოდეს მნახავ, აღარ დავბრუნდები. არ მინდა რომ ცხოვრება ისევ აგირიო. ყველაფერი ისე იქნებ თითქოსდა არც ვარსებობდი.

ჩემი მუხლები კანკალს იწყებდნენ, რადგან ხეებმა ჩემს ირგვლივ ტრიალი დაიწყეს, მე მესმოდა ჩემი აჩქარებული პულსის ხმა.
  დვარდის ხმა შორეული იყო.
მან ნაზად გამიღიმა –არ ინერვიულო ადამიანის მახსოვრობა ხანმოკლეა, დრო ყველაფრის მკურნალია თქვენთვის.

–შენი მოგონებები? –ეს ისე წარმოვთქვი თითქოს რაღაც მახრჩობდა

–კარგი. –რამოდენიმე წამის განმავლობაში ყოყმანობდა. –მე არ დავივიწყებ, მაგრამ ჩვენს სახეობას ძალიან ადვილად გადააქვს ყურადღება.
-მან ისევ გაიღიმა მაგრამ ის არ შეხებია მის თავლებს.
ის ცოტათი გამშორდა. –კარგი ყველაფერი მორჩა, ჩვენ აღარ შეგაწუხებთ ბელა.

უცებ გავიაზრე მისი სიტყვები და გამიკვირდა რომ აქამდე რაიმეს გრძნობა შემეძლო.

–ელისი აღარ დაბრუნდება? –ისე ჩუმად წარმოვთქვი არ მეგონა თუ გაიგონებდა.

–ისინი ყველანი წავიდნენ, მე დავრჩი რომ დაგმშვიდობებოდი.

–ელისი წავიდა? –ჩემი ხმა საეჭვოდ ისმოდა

–მასაც უნდოდა დამშვიდობება, მაგრამ დავარწმუნე რომ სრული განშორება უკეთესი იქნებოდა შენთვის.

თავბრუ დამეხვა, ძნელი იყო კონცენტრაცია გამეკეთებინა ჩემი თავისთვის. ისი სიტყვები თავში მიტრიალბედა, გამახსენდა ექიმები ფენიქსში რომლებიც ჩემი რენტგენის სურათებს მაჩვენებდნენ. ხედავ აქ რა არის- სრული განშორება, მისი თითი სურათზე გამოსახულ ძვლებს დაყვებოდა, ეს კარგია უფრო ადვილად შუშდება. სუნთქვის აღდგენას შევეცადე. რამენაირად უნდა დამეხწია თავი ამ კოშმარიდან.

–მშვიდობით ბელა. –მან მითხრა ჩუმი, მშვიდი ხმით.

–მოიცადე! –წინ წავიწიე რომ ფეხები გადამედგა და შემეჩერებინა

ვიფიქრე რომ მასაც უნდოდა გაჩერება. ცებ ჩემთან გაჩნდა ხელები მომხვია და შუბლზე მაკოცა. თვალები დავხუჭე.

–თავს გაუფრთხილდი. –ის სუნთქავდა და მის სიგრილეს ვგრძნობდი ჩემს კანზე.

ქარმა დამიქროლა, თავლები გავახილე და დავინახე ფოთლები რომლებიც ედვარდის წასვლისგან ჰაერში იყვნენ.
ედვარდი წავიდა.
აკანკალებული სიარულით, ვხვდებოდი რომ ეს უაზრობა იყო , მაგრამ მაინც ვცდილობდი რომ უკან გავყოლოდი. ნათელი იყო რომ ედვარდმა არანაირი კვალი არ დატოვა ფოთლებიც კი არ ირხეოდა, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი სიარულს, მე არ შემეძლო სხვანაირად მოქცევა, თუ შევწყვიტავ მის ძებნას ყველაფერი დასრულდება.
სიყვარული, სიცოცხლე, აზრი...
ისევ მივდიოდი და მივდიოდი, დროს არ ქონდა მნიშვნელობა, იქნებ საათი გავიდა ან რამოდენიმე წუთი, იქნებ დრო გაჩერდა, იმიტომ რომ მივდიოდი უფრო ღრმად და ღრმად მაგრამ ტყე არ იცვლებოდა. ავენრვიულდი, იქნებ წრეზე დავდიოდი, პატარა წრეზე მაგრამ მაინც

ვაგრძელებდი სიარულს. ხშირად ვედებოდი ტოტებს, ნელნელა ღამდებოდა და ხშირად ვეცემოდი.
ბოლოს და ბოლოს სულ ჩამობნელდა. ვერ მივხვდი რას წამოვედევი და ძირს დავვარდი. ძურგზე გადავბრუნდი რომ სუნთქვა შემძლებოდა.
ძირს გაწოლილმა მივხვდი თუ რამხელა დრო იყო გასული შებინდების შემდეგ. აქ სულ ესე ბნელა? მთვარის შუქმა ხომ უნდა შემოაღწიოს და ცოტათი მაინც გაანათოს აქაურობა?
მაგრამ არა ამ ღამეს, ცა სრულიად შავი იყო, იქნებ საერთოდ არ იყო მთვარე. დღეს ხომ ახალმთვარეობაა.
ახალი მთვარე. მე ვკანკალებდი მაგრამ არ მციოდა.
დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რომ ხმები გავიგონე.
ვიღაც ჩემს სახელს იძახდა. ხმა ძალიან შორიდან ისმოდა მაგრამ ნამდვილად ვიცოდი რომ ჩემს სახელს ყვიროდნენ. მე ვერ ვიცანი ხმა. მე ვფიქრობდი გამეცა თუ არა პასუხი, იმდენად ვიყავი შოკში რომ ძალიან დიდი დრო დამჭირდა იმ დასკვნამდე მისვლა რომ პასუხი უნდა გამეცა, ამ დროს ხმაც შეწყდა.
არ ვიცი რამდენი დრო გავიდა როცა წვიმამ გამაღვიძა, არ ვიყავი დარწმუნებული რომ მართლა ჩამეძინა. მე ვებღაუჭებოდი ჩემს გაქვავებულ მდგომარეობას რადგან არ გამეაზრებინა ის რაც არ მინდოდა.
წვიმამ ცოტა გამომაცოცხლა, შემცივდა და ხელები სახეზე დავიფარე.
ზუსტად ამ დროს ისევ გავიგონე ხმა. ეხლა უფრო შორეული იყო და მგონი ერთად რამოდენიმე ხმა მეძახდა. შევეცადე ღრმად მესუნთქა, ვხვდებოდი რომ პასუხი უნდა გამეცა, მაგრამ შემეძლო ხმამაღლა დაძახება რომ გაეგონათ?
მოულოდნელად სხვა ხმა გაისმა, ძალიან ახლოს ცხოველმა დაიღრიალა. დავფიქრდი შევშინდი თუ არა? მაგრამ გაქვავებული ვიწექი. ღრიალი შეწყდა.
წვიმა გრძელდებოდა და მოედინებოდა ჩემს ლოყებზე. ძალები ბოლომდე მოვიკრიბე რომ თავი შემებრუნებინა სინათლისკენ. თავიდან მხოლოდ ბუჩქებში შემოღწეული შუქი ანათებდა. სინათლე ნელნელა იზრდებოდა და მეტი სივრცე ნათდებოდა. შუქმა გამოაღწია სიმწვანეში და დავინახე რომ ხელის სანათი ანათებდა. უცებ სინათლემ დამაბრმავა.

–ბელა!

ხმა უცნობი იყო მაგრამ სუხარულით სავეს. ის არ იძახდა იმიტომ რომ მოვეძებნე არამედ რომ მიპოვა.
ვიყურებოდი ძალიან მაღლა რომ მისი სახე დამენახა, მაგრამ ის ძალიან მაღალი მიტო მეჩვენებოდა რომ ისევ ვიწექი.

–ბელა რამე გტკივა?

ვიცოდი რომ ეს სიტყვები რაღაცას ნიშნავდენ, მაგრამ მე მხოლოდ გაშტერებული ვიყურებოდი. და მნიშვნელობა ქონდათ მათ ეხლა?

–ბელა, მე სემი უელი ვარ.

მისი სახელი არაფერს მეუბნებოდა.

–ჩარლიმ გამომგზავნა შენს მოსაძებნად.

ჩარლი? მე ამაზე ვცადე კონცენტრირება, ესსახელი ნამდვილად ნიშნავდა რაღაცას ჩემთვის.

უცნობმა ხელი გამომიწოდა. არ ვიცოდი რა მექნა.
მისი შავი თვალები მომჩერებოდნენ, შემდეგ ბეჭები აიჩეჩა და ნაზად ამიყვანა ხელში.
მას ახუტებული მივყავდი ტყეში. ვიცოდი რომ უცნობის ხელებიდან უნდა ჩამოვსულიყავი რომალსაც არ ვიცოდი სად მივყავდი, მაგრამ ძალა აღარ მქონდა.
ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ რაც სინათლე და კაცის რამოდენიმე ხმა შევამჩნიე.

–მე ის ვიპოვე! –დაიძახა მან ხმამღლა

ხმები ჩაჩუმდა, მაგრამ შემდეგ ისევ ახმაურდნენ. შემის ხმა ერთადერთი იყო რომელსაც ამ ქაოსში ვარჩევდი, ალბეთ იმიტომ რომ მის გულზე ვიყავი მიწოლილი.

–არა, დაჭრილი არ არი. –უთხრა მან ვიღაცას –მხოლოდ იმეორებს “ის წავიდა”

ამას ხმამაღლა ვიძახდი? ტუჩზე ვიკბინე.

–ბელა ძვირფასი კარგად ხარ?

ამ ხმას მე ყველგან ვცნობ, და ეხლა ის ანერვიულებული იყო.

–ჩარლი? –ჩემი ხმა სუსტად და უცნაურად ისმოდა.

–აქ ვარ შვილო.

სხვის ხელში გადამიყვანეს, მე მამას სურნელი ვიგრძენი. ჩარლი წაბარბაცდა როცა ამიყვანა.

–იქნებ უკეთესი იქნება მე წამოვიყვანო? –შესთავაზა სემმა.

–არა, მე თვითონ. –თქვა ჩარლიმ სუნთქვის შეკავებით.

მას ნელა მივყვდი და ებრძოდა დაღლილობას ჩემი წონიდან. ვწუხდი რომ არ შემეძლო მეთქვა ძირს დავესვი და ჩემით წავოლოდი. ე არ მესმოდა ჩემი ხმა.
ჩვენ ხალხი მოგვყვებოდა ჩირაღდნებით ხელში, ეს პარადს ან გასვენებას მომაგონებდა. თვალები დავხუჭე.

–თითქმის სახლში ვართ. –იმეორებდა ჩარლი

თვალები გავახილე როცა კარების ხმა გავიგე. სემს ცალი ხელით კარი ღია ეჭირა და მეორეთი მზად იყო რომ დავეჭირე, მაგრამ ჩარლიმ შეძლო და დივნამდე მიმიყვანა.

–მამა სულ სველი ვარ. –სუსტად შევეწინააღმდეგე.

–ამას არ აქვს მნიშვნელობა. –მკაცრად მითხრა. შემდეგ სხვას დაუძახა –ადიელა მეორე სართულზეა კარადაში.

–ბელა? მიკითხა სხვა ხმამ. მე შევხედე ჭაღარა კაცს და რამოდენიმე წუთის შემდეგ ვიცანი.

–ექიმო ჯერანდი?

–ხო ძვირფასო. მითხარ მან, –ტრამვირებული ხარ ბელა?

ისევ დრო დამჭირდა რომ კითხვა გამეაზრებინა. შევიშმუშნე როცა გამახსენდა რომ ტყეში სემმაც იგივე კითხვა დამისვა ოღონდ ის სხვანაირად ჟღერდა.
ექიმი ჯერანდი მიცდიდა, მან ერთი წარბი ასწია.

–არა ტრამვირებული არ ვარ. –მოვიტყუე, მგონი ჩემი პასუხი კითხვის აზრს პასუხობდა.

მისი თბილი ხელი შუბლზე შემეხო, შემდეგ მაჯაზე მომკიდა რომ პულსი გაესინჯა.

–რა მოხდა, რა მოგივიდა? –მკითხა ფრთხილად

მე გავშეშდი. ანიკამ ამიტანა.

–ტყეში დაიკარგე? –მიკარნახა მან.

ვიცოდი რომ რომ ჩვენ ხალხი გვისმენდა. შამი მაღალი მამაკაცი კვილეტების რეზერვაციიდან რომელთა სჰორი ალბათ სემ უილიც იყო. ისინი ერთმანეთთან ახლოს იდგნენ და მე მიყურებდნენ. იქ იყვნენ ბატონი ნიუტონი მაიკთან ერთად და ბატონი ვებერი ანჟელას მამა. ისინი უფრ ყურადღებით მიყურებდნენ. ასევე მე მესმოდა კიდევ ხმები სამზარეულოდან. მგონი ნახევარი ქალაქი მეძებდა.
ჩარლი ყველაზე ახლოს იყო, ის დაიხარა რომ პასუხი გაეგონა.

–ხო. –დავიჩურჩულე. –დავიკარგე.

ექიმმა თავი დააქნია და მკითხა.
–დაღლილი ხარ?

თავი სუსტად დავუქნიე და თვალები დავხუჭე.

–ვფიქრობ რომ არაფერი არ სჭირს. –გავიგონე როგორ უთხრა ექიმმა ჯერანდიმ ჩარლის. –ის უბრალოდ დაღლილია და გამოძინება ჭირდება. ხვალ შემოვივლი და ისევ შევამოწმებ. –შემდეგ საათს დახედა. –უკვე დღეს.

შემდეგ დივნიდან ადგნენ.

–ეს სიმართლეა? –დაიჩურჩულა ჩარლიმ. მათი ხმები ეხლა შ რიდან ისმოდა და სმენა დავძაბე. –ისინი მართლა წავიდნენ?

–ექიმმა კალენმა გვთხოვა რომ არაფერი გვეთქვა. –უპასუხა ექიმმა ჯერანდიმ. –ყველაფერი უცებ გადაწყდა, არ უნდოდა რომ მათი წასვა ყველას გაეგო.

–იქნებ უკეთესი იყო გავეფრთხილებინეთ მაინც. –შეაწყვეტინა ჩარლიმ.

–ხო ამ სიტუაციაში გაფრთხილება არ გვაწყენდა. –უხერხულად თქვა ჯერანდიმ.

მე აღარ შემეძლო მეტის მოსმენა. ადიელის კუთხეს ვსტაცე ხელი რომელი ვიღაცამ დამაფარა და ყურებზე მივიჭირე.
გავიგონე ჩარლიმ ყველას მადლობა როგორ გადაუხადა ვინც მეძებდა, შემდეგ ისინი წავიდნენ.
მე ვგრძნობდი მის თითებს შუბლზე და კიდევ ერთი გადასაფარებლის წონას. შემდეგ ტელეფონმა დარეკა და ჩარლიმ

უცებ უპასუხა რომ ზარს არ გავეღვიძებინე. ის ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა.

–ჩვენ ის ვიპოვედ, ყველაფერი კარგადაა, თავს კარგად გრძნობს. – ლაპარაკობდა ისევ და ისევ.

გავიგონე როგორ ჩაჯდა ჩარლი სავარძელში სადაც ღამის გატარებას აპირებდა. შემდეგ ისევ დარეკა ტელეფონმა.

–გისმენთ. -წაიბურტყუნა ჩარლიმ

შემდეგ მისი ხმა შეიცვალა, ის ანერვიულებული იყო

–საად? დარწმუნებული ხართ რომ რეზერვაციაში არ არი? რა შეიძლება რომ იწვოდეს? –იდუმალი ხმა ისმოდა. –დავრეკავ და გავარკვევ.

ინტერესით დავიწყე მოსმენა როცა ჩარლიმ მუჭი დაარტყა ტელეფონს.

–ეი ბილი ჩარლი ვარ, მაპატიე რომ ესეთ დროს გირეკავ... არა ბელა კარგადა, ძინავს. მე სულ სხვა რამეზე დაგირეკე. ალბატონმა სტენლიმ მითხრა რომ მისი ფანჯრიდან ზღვის კლდეებთან ცეცხლს ხედავს... ა! –უცებ მისი ხმა გაღიზიანდა –რატომ აკეთებენ ამას? მმმ მართლა? კარგი ნუ მებოდიშები უბრალოდ დარწმუნდი ცეცხლი ხომ არ გავრცელებულა. გამიკვირდა როგორ დაანთეს ესეთ ამინდში. ჩარლი ყოყმანობდა და შემდეგ დაუმატა.
–მადლობა სემის და სხვა ბიჭების გამოგზავნისთვის. მათ მართლაც ჩვენზე კარგად იციან ტყე. შემმა იპოვა ბელა... კარგი მოგვიანებით დაგელაპარაკებით. –ჩარლიმ ყურმილი დაკიდა.
რაღაც წაიბურტყუნა და სავარძელისკენ წამოვიდა.

–რა მოხდა? -ვკითხე მე

ის ჩემსკენ წამოვიდა

–მაპატიე რომ გაგაღვიძე საყვარელო.

–რამე იწვის?

–არაფერია საშიში. უბრალოდ კოცონებია კლდეებზე.

–კოცონები? –ვკითხე უსიცოცხლო ხმით

ჩარლი შეიშმუშნა. –ზოგიერთები რეზერვაციაში ძალიან გახარებულები არიან.

–რატომ? –სულელივით ვკითხე

ჩარლი იატაკს უყურებდა –ახალ ამბავს აღნიშნავენ. -თქვა გაღიზიანებული ტონით

იყო მხოლოდ ერთი რაღაც რაზეც ფიქრი შემეძლო და ჩემი სურვილის მიუხედავად სულ ვფიქრობდი მასზე.
–იმიტომ რომ კალენები წავიდნენ. –დავიჩურჩულე მე –რეზერვაციაში არ უყვართ ისინი, სულ დამავიწყდა.

რეზერვაციაში ლეგენდები დადიოდა "ცივ" სისხლისმსმელებზე, რომლებიც მათი დასახლების მტრები იყვნენ. მათ სჯეროდათ თავიანთი ლეგენდების რომ მათი წინაპრები მგლები იყვნენ. ძალიან ცოტას სჯეროდა ამ ლეგენდების სრულად, მათ შორის ჩარლის მეგობარი ბილი ბლეკი იყო, მის შვილი ფიქრობდა რომ მამამისს სისულეების სჯეროდა. ილიმ გამაფრთხილა რომ კალენებისგან შორს დამეჭირა თავი.

–ეს სასაცილოა. –უცებ წამოიძახა ჩარლიმ

ერთი წუთი სიჩუმეში ვიჯექით. ფანჯრიდან ჩანდა რომ ცა აღარ იყო ძალიან შავი, ნელნელა ღრუბლებიდან მზე გამოდიოდა.

–ბელა? –მკითხა ჩარლიმ

მე ანერვიულებული ვუყურებდი მას.

–მან ტყეში მარტო დაგტოვა? –მიხვდა ჩარლი

მე თემა შევცვალე:

–საიდან გაიგე სად უნდა მოგეძებნე? –ჩემი ტვინი ნელნელა ისევ იწყებდა მუშაობას.

–შენი წერილით. –გაკვირვებით მიპასუხა ჩარლიმ. მან შარვლის უკანა ჯიბიდან დაკუჭული, დაჭუჭყიანებული ფურცელი ამოიღო. მან ფურცელი ჩემს წინ დაიჭირა როგორც თავისი სიტყვების დამადასტურებელი საბუთი. კალეგრაფია ძალიან გავდა ჩემსას: "წავედი ედვარდთან ერთად სასეირნოდ ტყის ბილიკზე, მალე დავბრუნდები. ბელა.

–რომ არ დაბრუნდი კალენებთან დავრეკე მაგრამ არავინ მიპასუხა. – თქვა ჩარლიმ დაბალი ხმით –მერე კარლაილს დავურეკე საავადმყოფოში და ექიმმა ჯერანდიმ მითხრა რომ კარლაილი წავიდა.

–სად წავიდნენ? -ჩავიბურტყუნე მე

ჩარლი მომაშტერდა.
–ედვარდს რა, არ უთქვამს შენთვის?

თავი გავარყიე რომ ნათქვამი თავიდან მომეშორებინა. მისი სახელის გაგონებამ ჩაწყნარებული ტკივილი გააღვიძა რომელსაც საგულდაგულოდ ვმალავდი და ეხლა ახალი ძალით შემომიტია, სუნთქვა შევიკარი.
ჩარლიმ ეჭვით შემომხედა და გააგრძელა:

–კარლაილს კარგი სამსახური შესთავაზეს ლოს-ანჯელესში. ვფიქრობ რომ კარგი ანაზღაურება ელის.

მზიანი ლოს-ანჯელესი უკანასკნელი ადგილი იქნებოდა სადაც ისინი წავიდოდნენ. მე ჩემი კოშმარი გამახსენდა, მზის შუქი რომლისგანაც მისი კანი ბრწყინავდა.
აუტანელი ტკივილით გადავიტანე მოგონება მის მშვენიერ სახეზე.

–მინდა ვიცოდე ბელა, მიგატოვა თუ არა ედვარდმა მარტო ტყეში?

მისმა სახელმა ტკივილის ახალი ტალღა წამოიღო, თავი გავყანყალე რომ ტკივილს გავქცეოდი.

–არა ეს ჩემი შეცდომა იყო, მან აქვე სახლთან დამტოვა მე შევეცადე მასზე დაწევას.

ჩარლიმ რაღაცის ლაპარაკი დაიწყო. მე ბავშვივით მივიჭირე ხელები ყურებზე.

–მეტი აღარ შემიძლია ამაზე ლაპარაკი მამა. ჩემს ოთახში უნდა წავიდე.

სანამ პასუხ გამცემდა, წამოვხტი და ზომოდ გავიქეცი.
ვიღაც იყო სახლში ვინც წერილი დატოვა ჩემს საპოვნელად. უცებ საშინელი ეჭვი გამიჩნდა, ჩემს ოთახში შევარდი თან კარი მივხურე და ჩემს მაგნიტოფონთან გავჩერდი.
ველაფერი ისე ეწყო როგორც დავტოვე. მაგნიტოფონის სახურავს დავაჭირე ხელი გასახსნელად, თავი გაიღო.

ის სიცარიელე იყო.
დედას ნაჩუქარი ალბომი ლოგინთან იატაკზე იდო, როგორც დავტოვე. აკანკალებული ხელით გადავშალე.
არც დამჭირვებია მთელი ალბომის გადაფურცვლა, პირველი გვერდიდანაც ყველაფერი გასაგები იყო. პლასმასის კუთხეებში აღარ იდო სურათები, გვერდი სულ სუფთა იქნებოდა რომ არა ჩემი წარწერა: "ედვარდ კალენი, ჩარლის სამზარეულო, 13 სექტემბერი"
აქ შევჩერდი დარწმუნებული ვიყავი რომ ალბომი ცარიელი იყო. ყველაფერი ისე იქნება თითქოს არც მიარსებია. დამპირდა ის.
მე ვგრძნობდი რბილ ხის იატაკს ჩემი მუხლების ქვემოთ, ხელის გულებს ლოყებზე მიჭერილს. იმედი მქონდა რომ გული წამივიდოდა მაგრამ სამწუხაროდ გონაბა არ წამივიდა. ტკივილის ტალღები რომლებიც იზრდებოდნენ ამ წუთამდე, ბოლომდე შემიპყრეს და ძირს დამაგდეს.
მე მოძრაობის გარეშე დავრჩი.
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი
იანვარი

თავი მეოთხე

გამოფხიზლება

დრო გადის მაშინაც როცა ეს გეჩვენება შეუძლებლად. მაშინაც როცა საათის ისრის ყოველი მოძრაობა ტკივილს განიჭებს როგრც სისხლის პულსი ჭრილობაზე. ის მიდის არათანაბრად ხან დიდზე იწელება ხან ჩერდება ან გარბის. მაგრამ დრო მაინც გადის და თავის საქმეს აკეთებს, ჩემთვისაც კი.
ჩარლის მუშტი მთელი ძალით დაეშვა მაგიდაზე

–აი ესე ბელა! მე შენ სახლში გგზავნი!

ხრაშუნების ჭამას თავი დავანებე და ჩარლის მივაშტერდი. სიმართლე რომ ვთქვა სულ არ ვუგდებდი საუბარს ყურს და ავერ შევამჩნიე რომ რაღაც სერიოზულზე ვსაუბრობდით, ვერ გავიგე რას გულისხმობდა.

–მე სახლში ვარ. –წავიბურტყუნე უხერხულად.

–მე გიშვებ დედასთან, ჯეკსონვილში. –განმიმარტა მან

ჩარლი გაღიზიანებული ადევნებდა თავლ-ყურს თუ როგორ ნელა ვიაზრებდი მის ნათქვამს.

–რა გავკეთე? –ვიგრძენი როგორ დავხარე თავი. ეს უსამართლობა იყო. ჩემი ქცევა ბოლო 4 თვის განმავლობაში სამაგალითო იყო. იმ პირველი კვირის შემდეგ, რომელსაც აღარ ვიხსენებდით არცერთი ჩვენგანი, არც სკოლის და არც სამსახურის ერთი დღეც არ გამომიტოვებია, მყავდა კარგი ნიშნები, არასდროს მოვდიოდი სახლში გვიან, თუმცა არც არსად დავდიოდი რომ გვიან ღამით მოვსულიყავი.
ჩარლიმ სიბრაზით შემომხედა.

–არაფერიც არ გაგიკეთებია, პრობლემაც ამაშია. არასდროს არაფერს აკეთებ.

–გინდა რომ პრობლემები მქონდეს? –გაკვირვებულმა წარბები ავწიე. ყურადღების მოკრებვას შევეცადე, და ეს მიჭირდა. ბოლო დროს გადავეჩვიე რაიმეს შემჩნევას და გაგონებას.

–უსიამოვნებები უკეთესია იმაზე...რომ სულ სახლში იბოდიალო შინაბერასავით.

ცოტა არ იყოს მეწყინა. შევეცადე რაც შეიძლება მშვიდად მეპასუხა.

–მე არ დავბოდიალობ სახლში.

–არასწორად ვთქვი –მიპასუხა ჩარლიმ –უკეთესი იქნებოდა არ გებოდიალა სახლში და რამე გაგეკეთებინა. შენ ისეთი... უსიცოცხლო ხარ ბელა. ვფიქრობ შესაფერისი სიტყვა ვიპოვე.

შენიშვნამ გამოიღო ეფექტი. შევეცადე პასუხი უფრო სიცოცხლით მეპასუხა.

–ძალიან ვწუხვარ მამა. –ჩემს ბოდიშს ჩემთვისაც არ ჰქონდა მნიშვნელობა. მეგონა რომ ვაშტერებდი მას, ჩემი მოქმედება მხოლოდ იმას ემსახურებოდა რომ ჩარლი არ გამებრაზებინა. ეხლა მივხვდი რომ ჩემი მცდელობები ამაო ყოფილა.

–მე არ მინდა რომ ბოდიში მომიხადო.

მე ამოვიოხრე –მაშინ მითხარი რა გინდა რომ გავაკეთო.

–ბელა, -ის ყოყმანობდა და თვალს ადევნებდა ჩემს რეაქციას.
–ძვირფასო შენ არ ხარ პირველი ვისაც მსგავსი რამის გადატანა მოუხდა.

–ვიცი. –ჩემი გაბრაზება არ იყო შთამბეჭდავი.

–მისმინე საყვარელო. ვფიქრობ რომ... იქნებ დახმარება გჭირდება.

–დახმარება?

ის ისევ შეჩერდა სათანადო სიტყვების ძებნაში.

–როცა დედაშენი წავიდა და შენც წაგიყვანა... ეს ნამდვილად რთული პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში.

–ვიცი მამა. –წავიბურტყუნე მე

–მე გავუმკლავდი ამას. –მითხრა მან –მაგრამ შენ ვერ შეძლებ. მეგონა რომ დროის განმავლობაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. –მან შემომხედა და თვალები დავხარე. –ორივემ ვიცით რომ შენ ვერ გაუმკლავდები ამას.

–მე კარგად ვარ მამა.

მან იგნორირება გამიკეთა

–იქნებ, თუ შენ ვინმეს მოუყვები ამ ყველაფრის შესახე, ვინმე პროფესსიონალს.

–გინდა რომ ფსიქოლოგს მივმართო? –ჩემი ხმა უფრო ბრაზიანი გახდა როცა მივხვდი რასაც გულისხმობდა.

–იქნებ ამან დაგეხმაროს

–ან სართოდ არ დამეხმაროს.

დიდი არაფერი გამეგებოდა ფსიქოლოგიის, მაგრამ ვიცოდი რომ ეს არ შველოდა თუ ბოლომდე გულახდილი არ იყავი. მე შემეძლო ყველაფერი, სიმართლე მეამბო, ოღონდ თუ მინდოდა რომ დარჩენილი სიცოცხლე საგიჟეში გამეტარებინა.
ჩარლი აკვირდებოდა ჩემს ჯიუტ გამომეტყველებას და ისევ შემომიტია.

–მე ვერ დაგეხმარები ბელა, მაგრამ დედაშენი შეძლებს...

–მისმინე, თუ გინდა მე ამსაღამოსვე დავურეკავ ჯესიკას და ანჟელას და გავისეირნებ მათთან ერთად.

–არა მე ამას არ გეუბნები. –შემეწინააღმდეგა ნაწყენმა. –ვერ უძლებ შენთან განშორებას, მაგრამ არ შემიძლია ვუყურო როგორ იღუპავ თავს. არასდროს არ მინახავს რომ ადამიანი ესე განიცდიდეს, ცდილობდეს დაივიწყოს წარსული. ჩემთვის მტკივნეულია ამის ყურება.

თავი სულელად მოვაჩვენე და მაგიდას დავაშტერდი.

–ვერ ვიგებ მამა, ჯერ მეუბნები რომ გიჟდები ჩემი ესეთი ქცევის გამო. შემდეგ მეუბნები რომ არ გინდა ჩემი გაშვება.

–მე მინდა რომ ბედნიერი იყო, სულ ცოტა მინდა–არ იყო უბედური. ვფიქრობ უკეთესად იქნები თუ ფორქსიდან წახვალ.

თვალში განცდების წვეთმა გაიელვა რომელსაც ამდენი ხანი ვმალავდი.

–მე არსად არ წავალ.

–რატომ? –ახსნა მოითხოვა ჩარლიმ

–მინდა რომ ეს სემესტრიც დავამთავრო. ეხლა გადასვლა ხელს შემიშლის.

–შენ კარგი მოსწავლე ხარ და შეძლებ ამაზე თავის გართმევას.

–არ მინდა დედა და ფილი შევაწუხო.

–დედაშენი სიხარულით გადაირევა თუ მასთან დაბრუნდები.

–ფლორიდაში ჩემთვის ძალიან ცხელა.

ჩარლის მუჭი ისევ დაეცა მაგიდას.

–ბელა ორივემ ვიცით რა გინდა ამ ადგილიდან და ეს გღუპავს შენ. თვეები გავიდა არანაირი ზარი არც წერილი არანაირი კონტაქტი. შენ არ შეგიძლია სამუდამოდ ლოდინი.

სიბრაზისგან გავწითლდი. საუბრის ეს თემა სასტიკად მქონდა აკრძალული, ეს კარგად იცოდა მან.

–მე არაფერს არ ველოდები და რაფრის იმედი არ მაქვს. –ჩუმად წარმოვთქვი

–ბელა... –დაიწყო ჩარლიმ

–სკოლაში უნდა წავიდე. –შევაწყვეტინე და ავიღე ხელმოუკიდებელი საუზმე მაგიდიდან, ნაგვის ყუთში ჩავყარე და რაკოვინაში ჩავდე. არცგამირეცხია, მეტი აღარ შემეძლო ამაზე ლაპარაკი.

–ჯესიკას მოველაპარაკე. –ვუთხარი ზურგიდან და ჩანთა მოვიკიდე ისე რომ ჩარლისთვის თვალებში არ შემეხედა –ალბათ სადილზე არ ვიქნები. პორტ-ანჯელესში კინოს საყურებლად წავალთ.

გასავლელი კარი უცებ მოვიჯახუნე. ჩემი მონდომებისგან რომ ჩარლის გამოვქცეოდი,ერთერთი პირველი მივედი სკოლაში. ამ სიტუაციის დადებითი მხარე ის იყო რომ სადგომზე კარგი ადგილი დავიკავე, ხოლო უარყოფითი ის რომ უამრავი თავისუფალი დრო მქონდა და ის რამენაირად უნდა მომეკლა.
ჩარლის ბრალდებებზე რომ არ დამეწყო ფიქრი, მათემატიკის წიგნი ამოვიღე და დღევანდელი გაკვეთილის კითხვა დავიწყე. მათემატიკის კითხვა იმაზე უარესი იყო ვიდრე მოსმენა. ბოლო ხანებში ძალიან ბევრს ვმეცადინეობდი მათემატიკაში და შესაბამისად მაღალი ნიშანი მყავდა. ბატონი ვარნერი ფიქრობდა რომ ჩემი წარმატება მისი პედაგოგიური ნიჭის დამსახურება იყო, მაგრამ თუ ეს მას ახარებსმე არ დავუნგრევ ოცნებებს. თავს დავაძალე მანამ მეკითხა სანამ სადგომი მანქანებით არ გაივსო და ინგლისურის გაკვეთილზე წავედი, საკმაოდ ადვილი თემა გვქონდა. არ ვიყავი კომუნიზმის გაკვეთილის წინააღმდეგი, როგორც იქნა დავამთავრედ რომანები რომელიც სკოლის პროგრამის უმეტეს ნაწილს იკავებდა. ჩემს ადგილზე დავჯექი და სიამოვნებით გადავერთე მისტერ ბერტაის გაკვეთილზე.
დრო სწრაფად გადიოდა სკოლაში. ზარი დაირეკა და წიგნების ჩალაგება დავიწყე.

–ბელა?

მე ვიცანი მაიკის ხმა. წინასწარ ვიცოდი რასაც მეტყოდა.

–ხვალ მუშაობ?

ის ყოველ პარასკევს ერთი და იგივე კითხვას მისვამდა, იმის მიუხედავად რომ მე არასდროს ვისვენებდი შაბათ კვირას. ერთი

გამონაკლისის გარდა თვეების უკან. მაგრამ მაიკს არ ქონდა მიზეზი ჩემზე ესეთი ანერვიულებული შემოეხედა. მე კარგი მომუშავე ვიყავი.

–ხვალ ხომ შაბათია –ეხლა მივხვდი რომ ჩარლი მართალი იყო თუ როგორი უსიცოცხლი ხმა მქონდა.

–ხო შაბათია. –დამეთანხმა ის. –კარგი დროებით, ხელი დამიქნია და შებრუნა. მეტი აღარ შევუწუხებივარ გაკვეთილებზე.

მათემატიკის გაკვეთილზე მივღოღავდი მოღუშული სახით. ამ გაკვეთილზე ჯესიკასთან ერთად ვიჯექი.
თვეები გავიდა მას შემდეგ რაც ჯესიკამ ნორმალურად გამარჯობა მითხრა. ვიცი რომ ჩემი ქცევით ძალიან გავაბრაზე და სულ მებუსებოდა. ეხლა უფრო რთული იყო მასთან დალაპარაკება მითუმეტეს რომ მინდოდა რაღაც მეთხოვა.
მე არ ვაპირებდი ჩარლის წინაშე ისევ სოციალური მხარდაჭერის გარეშე შეხვედრას, როგორც მას უნდოდა. ვიცოდი რომ ვერ მოვიტყუებოდი, არადა მარტო კინოში წასვლა ძალიან ,იმზიდველი აზრი იყო. ჯესიკას დედა ყველაზე დიდი ჭორიკანა იყო ქალაქში ასე რომ ადრე თუ გვიან მამა შეხვდებოდა მას და ყველაფერს გაიგებდა.
კლასის კარი შევაღე. ბატონმა ვერნერმა მკაცრად გამომხედა, მას უკვე დაწყებული ჰქონდა ლექცია. ჩემი ადგილისკენ გავემართე.
ჯესიკამ არც შემომხედა მე კი მის გვერდით ვიჯექი.
ეს გაკვეთილი უფრო სწრაფად გავიდა ვიდრე ინგლისური რაც ჩემი დღეს პიკამში მომზადების მიზეზი იყო და ასევე დრო სწრაფად გადიოდა როცა რაიმე უსიამოვნება მელოდა.
გავბრაზდი როცა მასწავლებელმა 5 წუთით ადრე გაგვანთავისუფლა. ისე გაიღიმა თითქოს ძალიან გაგვახარა.

–ჯეს? –ცხვირი შევიჭმუხნე. დაძაბული ვიყავი სანამ მომიბრუნდებოდა.

ის უცებ შემობრუნდა და ეჭვით შემომხედა.

–შენ მე მელაპარაკები ბელა?

–რათქმაუნდა. –უდანაშაულოდ შევხედე.

–ნუთუ მათემატიკაში გჭირდება დახმარება? –გაღიზიანებული ხმით მკითხა.

–არა. –თავი გავაქნიე –სინამდვილეში მინდოდა გამეგო... წამოხვალ დღეს საღამოს ჩემთან ერთად კინოში? ნამდვილად მჭირდება ქალის

კომპანია. –ცოტა გაღიზიანებული ხმით ვთქვი და ჯესიკა ეჭვით მიყურებდა.

–მე რატომ მეკითხები? –ისევ გულგრილად მკითხა

–შენ პირველი ადამიანი ხარ რომელზეც ვფიქრობ როცა ქალის კომპანიაში მინდა ყოფნა. –იმის იმედით გავიღიმე რომ ღიმილი არ იქნებოდა ძალიან ყალბი.მაგრამ მე სიმართლე ვუთხარი.

მემგონი ცოტა მოუბრუნდა გული

–ზუსტად ვერ გეტყვი.

–რამე გეგმები გაქვს?

–რომელ ფილმზე გინდა რომ წავიდეთ?

–ზუსტად არ მახსოვს. –გონება დავძაბე რომ რაიმე გამეხსენებინა თუ რა გადიოდა ბოლო დროს კინოთეტრებში. –იმ ფილმზე რას იტყვი პრესიდენტ ქალზე რომ არის?

ჯესიკამ უცნაურად შემომხედა.

–მაგ ფილმს დიდი ხნის წინ უჩვენებდნენ ბელა.

–ოოო. –მე შევიშმუშნე –იქნებ არის ფილმი რომელზეც შენ გინდა ყურება?

ჯესიკას ხასიათმა თავი გამოამჟღავნა.
–გავიგე რომ რაღაც ახალი რომანტიკული კომედია გამოვიდა და ასევე მამამ უყურა ცოტახნისწინ ფილმ “ჩიხს” და ძალიან მოეწონა. რომელიმეს დიდი სიამოვნებით ვუყურებდი.

მე ბოლო სათაურს ჩავებღაუჭე.

–რაზეა მეორე ფილმი?

–ზომბები და რაღაც ეგეთებზე. მამ მითხრა რომ ჯერ არ უნახავს ამაზე საშიში ფილმი.

–მიმზიდველად ჟღერს. –მირჩევნია ზომბებს გავესაუბრო ვიდრე რომანს ვუყურო.

–კარგი. –ჯესიკა გაკვირვებული ჩანდა ჩემი პასუხიდან. ვცდილობდი გამეხსენებინა მიყვარდა თუ არა საშინელებათა ფილმები. –გინდა სკოლის შემდეგ გამოგიარო? –მკითხა მან

–კარგი.

ჯესიკამ გამიღიმა ძველებური მეგობრული ღიმილით და გაბრუნდა. ჩემმა ღიმილმა დააგვიანა მაგრამ მგონი დაინახა.
დღის დანარჩენი ნაწილი მალე გავიდა. ვაწყობდი დღევანდელი საღამოს გეგმებს, გამოცდილებიდან ვიცოდი რომ ჯესიკასთან საუბრისას არ გამიჩნდება პრობლემები, მე მხოლოდ მის კითხვებზე მომიწევს პასუხის გაცემა.
ჩემი გონება სქელ ნისლში იყო გახვეული. გამიკვირდა როცა ჩემს საძინებელში აღმოვჩნდი. რ მახსოვდა სკოლიდან სახლის გზა და რაც ის როგორ შემოვედი სახლში, მაგრამ ეს არ იყო ეხლა მთავარი. ღასაც ცხოვრებისგან ვიღებდი ეს იყო დროის ტყუილად გაყვანა.
მე არ ვებრძოდი ნისლს, კარადისკენ წავედი.დროის უგრძნობლობა ზოგჯერ უფრო შესამჩნევი იყო. როცა კარადა გამოვაღე მაშინ შევამჩნიე რომ მის წინ ვიდექი და მასში დალაგებულ ნივთებს ვუყურებდი რომლებსაც კარგა ხანია არ ვატარებდი.
მე წავაწყდი ნაგვის პაკეტს რომელშიც ჩემი დაბადებისდღის საჩუქარი იყო. არ შემიხედია როგორ გადმოვარდა მანქანის მაგნიტოფონი რომელზეც ჩემი სისხლის კვალი იყო, რადგან თითებით გამოვგლიჯე მანქანიდან.
პაკეტიდან საფულეამოვიღე რომელსაც იშვიათად ვატარებდი და კარი მივხურე.
სწორედ ეხლა გავიგონე მანქანის სიგნალი. შაფულე ზურგჩანთაში ჩავდე და კიბეებზე სწრაფად დავეშვი. ვფიქრობდი თუ ჩქარა ვიმოძრავებდი საღამოც მალე გაივლის
მისაღებში სარკეში ვიყურებოდი და საკუთარი თავით უკმაყოფილო ვცდილობდი მეგობრული ღიმილიანი სახე მიმეღო.

–მადლობა რომ დღეს კომპანია გამიწიე. –წარმოვთქვი მშვიდი ხმით. ეხლა ყურადღებას ვაქცევდი ჩემი ყველა სიტყვის წარმოთქმის ფორმას. ჩარლისთან მიადვილდებოდა ხოლო ჯესიკასთან რთული იყო ემოციების მობილიზება რომ დამაჯერებელი ვყოფილიყავი.

–არაფრის. საიდან გადაწყვიტე ესე უცებ? –მკითხა ჯესიკამ როცა ქუჩის ბოლოში ვიყავით.

–გადავწყვიტე რა?

–წასულიყავი ამ საღამოს სასეირნოდ? –ისე მკითხა თითქოს შუაგზაზე გადაიფიქრა.

–მხოლოდ ცოტა გარედ გასვლა მჭირდება

რადიოში სიმღერა ვიცანი და სასწრაფოდ შევცვალე ტალღა.

–წინაღმდეგი ხომარ ხარ?

–რათქმაუნდა არა.

რამოდენიმე ტალღა გადავრთე სნამ ყველაზე უსაფრთხო სიმღერა არ ვიპოვე. მუსიკის ხმა რომ გაისმა ჯესიკას გამომეტყველებას შევხედე.
მან ეჭვით შემომხედა

–როდის მერეა რეპს უსმენ?

–არ ვიცი, კარგა ხანია. –ვუთხარი მე

–შენ მართლა მოგწონს ეს?

–ნამდვილად.

მუსიკის მოსმენა და ჯესიკასთან ლაპარაკი ერთდროულად რთული იყო. ვცდილობდი თავის ქნევა მუსიკის რიტმზე ამეყოლებიან.

–კარგი... –ჯესიკა საჰაერო მინას მიაშტერდა.

–რა ხდება შენს და მაიკს შორის? –უცებ დავინტერესდი მე

–შენ მას ჩემზე ხშირად ნახულობ.

ჩვენი საუბარი არ გაება ისე როგორც მინდოდა.

–სამუშაოზე არც ისე კარგად დაილაპარაკებ. –წავიბურტყუნე მე.
–ბოლო დროს არავის ხვდები?

–მთლად ესეც არაა. ძოგჯერ ვხვდები კონერს, ორი კვირის წინ ვსეირნობდი ერიკთან ერთად. –ჯესიკამ თვალები გადაატრიალა და მივხვდი რომ საუბარი გრძელი იქნებოდა, მეც ვუბიძგე ჯესიკას მისი დაწყებისკენ.

–ერიკ იორკი? სულ ბევრს რომ ლაპარაკობს?

ჯესიკა უფრო გამოცოცხლდა.

–ხო დამპატიჟა და ვერ მოვიფიქრე სათანადო მიზეზი უარის სათქმელად.

–სად დაგპატიჟა? –ვკითხე მომთხოვნად ვიცოდი ჯესიკას რეაქცია. –ყველაფერი თავიდან დაწვრილებით მომიყევი.

ჟესიკა ჩაიძირა გრძელ საუბარში, მე სავარძელში მოვკალათდი და ვუსმენდი,საჭირო ადგილებზე თითქოსდა გაკვირვებისგან ვეღარ ვსუნთქავდი. ერიკის სიმპატიებზე საუბრის შემდეგ, ყველანაირი შეკითხვის გარეშე დაიწყო კონერის ანბების მოყოლა.
  კინო დღეს ადრე იწყებოდა. ამიტომ ჯესმა ამ სეანსზე შესვლა და შემდეგ სავახშმოდ წასვლა შემომთავაზა. ყველგან წავიდოდი სადაც მოისურვებდა, შემდეგ ჩარლის თავისუფლად ვეტყოდი რომ სწორედ ისე ვიქცეოდი როგორც მას სურდა.
რეკლამების დროს ვუსმენდი ჯესის ლაპარაკს, ასე რომ არც ვაქცევდი ყურადღებას არს აჩვენებდნენ. ხოლო როცა ფილმი დაიწყო მე ავნერვიულდი. ახალგაზრდა წყვილი სეირნობდა პლაჟზე და სასიყვარულო სიტყვებს ეუბნებოდა ერთმანეთს.

–მეგონა რომ ზომბებზე ვუყურებდით კინოს –დავუჩურჩულე ჯესს.

–ხოდა ეს არის ეგ კინო.

–მაშინ რატომ არ შეუჭამიათ ჯერ არავინ?

ჯჟესიკა გაფართოებული შეცბუნებული თვალებით მიყურებდა.

–დარწმუნებული ვარ ეგ შემდეგ მომენტში გამოჩნდება. –დაიჩურჩულა მან

–პოპკორნს მოვიტან გინდა?

–არა გმადლობ.

მე პოპკორნისთვის რიგში ჩავდექი და ვფიქრობდი რამდენი წუთი ექნებოდა დათმობილი რომანტიკულ სცენას, ალბათ 10 წუთი. დარბაზის კარებთან შევჩერდი და კივილის ხმა რომ მომესმა დავრწმუნდი რომ საკამარისი დრო გავიდა.

–ყველაფერი გამოტოვე. –დამიჩურჩულა ჯესმა, როცა ჩემს ადგილზე დავჯექი. –ეხლა თითქმის ყველა ზომბებად გადაიქცა

–რიგში ვიდექი. –ვუპასუხე და პოპკორნი მივაწოდე. ჟესიკამ მუჭით ამოიღო.

ილმის დანარჩენი ნაწილი საშინელი ზომბების თავდასხმებით და ხალხის კივილით გრძელდებოდა, რომელთა რიცხვი ნელნელა იკლებდა. არაფერი არ იყო ისეთი რომ ავენერვიულებინე, მაგრამ თავს უხერხულად ვგრძნობდი და არ ვიცი რატომ.
მხოლოდ ფილმის დასასრულისკენ როცა ვუყურებდი ძლივს მოსიარულე ზომბებს. ივხვდი რაში იყო ჩემი ანერვიულების მიზეზი. მანძილი,მთავარი როლის შემსრულებელ გოგონასა და მის უსიცოცხლო მდევარს შორის მცირდებოდა.
მივხვდი თუ რას მაგონებდნენ ისინი. მე წამოვდექი.
–სად მიდიხარ? ორი წუთიღა დარჩა. –დამიჩურჩულა ჯესიკამ

–ძალიან მწყურია. –წავიბურტყუნე და გასასვლელისკენ წავედი.

კინოთეატრის შესასვლელში სკამზე ჩამოვჯექი და შევეცადე ცხოვრების ესეთ ირონიაზე არ მეფიქრა. მაგრამ ყველაფერი იმაზე მიმითითებდა რომ მეც ზომბივით დავასრულებდი.
ვერ შევამჩნიე როგორ გამომყვნენ უკან.
მე ადრე ვოცნებობდი რომ ესეთი მითიური მონსტრი გავმხდარიყავი, მაგრამ არ მინდოდა გავმხდარიყავი გაცოცხლებული გვამი. თავი გავაქნიე რომ ეს ფიქრები მომეშორებინა რადგან უკვე პანიკაში ვვარდებოდი.
ნელნელა გავიაზრე რომ მე აღარ ვარ მთავარი როლის შემსრულებელი და ჩემი ისტორია დასრულდა.
ჯესიკა კინოთეატრის კარიდან გამოვიდა და ძებნა დამიწყო. როცა დამინახა სახეზე ჯერ შვება შემდეგ კი გაბრაზება გამოეხატა.

–ნუთუ ფილმი ესეთი საშინელი აღმოჩნდა შენთვის?

–ხო. –დავეთანხმე. –მემგონი დიდი მშიშარა ვარ.

–ეს სახალისოა. მე რამდენჯერ დავიკივლე შენ კი ხმაც არ ამოგიღია, ვერ გავიგე რატომ გამოიქეცი.

–მხოლოდ იმიტომ რომ შემეშინდა.
ჯესიკა ცოტა მოეშვა.

–ფილმი მართლა ყველაზე საშინელი იყო რაც კი მინახავს. დღეს ნამდვილად კოშმარები დაგვესიზმრება

–ამაში ეჭვიც არ მეპარება. –შევეცადე ხმა ნორმალური მქონოდა. დღეს ნამდვილად დამესიზმრება კოშმარები მაგრამ არა ზომბებზე. ჯესმა უცებ შემომხედა, ალბათ ხმა კარგად არ გამომივიდა.

–სად გინდა ვივახშმოდ? –მკითხა ჯესმა

–ჩემთვის სულერთია.

–კარგი.

როცა მივდიოდით ჯესიკამ მთავარი როლის შემსრულებელ მამაკაცზე დაიწყო ლაპარაკი. მეც თავს ვუქნევდი და ვერცერთ სცენას ვერ ვიხენებდი.
არც ვაკვირდებოდი სად მივყავდი ჯესიკას. ხოლოდ მივხვდი რომ უფრო ბნელოდა და სიჩუმე იყო. ჯესიკამ ლაპარაკი შეწყვიტა, მე მმობოდიშებით გავუღიმე იმ იმედით რომ არ ვაწყენიე ჩემი გულგრილობით.
ჯესიკა მე არ მიყურებდა ის დაძაბული სახით წინ მიიჩქაროდა და ირგვლივ აცეცებდა თვალებს.
მე პირველად მიმოვიხედე ირგვლივ, რომ გამეგო რა ხდებოდა. ჩვენ პატარა გაუნათებელ ქუჩაზე ვიყავით. ყველა მაღაზია დაკეტილი იყო. ქუჩის ბოლოს მოჩანდა “მაკდონალდსის” განათებული ნიშანი. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ლუდის ბარი იყო, რომლის ფანჯრებიც შიგნიდან იყო დაკეტილი. იდი მწვანე წარწერა ნათებდა და გვაუწყებდა ბარის სახელს “ცალთვალა პიტი”. დავინტერესდი იყო შიგნით რაიმე მეკობრეობის რაც გარედან არ ჩანდა. რკინი კარი ღია იყო გარედ გამოდიოდა მბჟუტავი სინათლე და ხალხის ხმები. 4 კაცი ბარის წინ დაბოდიალებდა.
ჯესიკას შევხედე. ის წინ მიიწევდა და ცდილობდა არ ყოფილიყო შეშინებული ყურადღება რომ არ მიექცია.
მე შევჩერდი და შევხედე იმ 4 მამაკცს დეჟა ვიუს ძლიერი შეგრძნებით. იქნებ ადრე ივდიოდი სულ სხვა ქუჩაზე იდგა სულ სხვა ღამე, მაგრამ სცენა ნაცნობი იყო. ერთერთი იმ კაცებიდან იყო ისეთივე დაბალი და შავთმიანი. მე გავჩერდი და მას შევხედე ისიც ცნობისმოყვარეობით მომაშტერდა.
მე ვუყურებდი მას ასფალტზე მიყინულივით.

–ბელა? –ჩურჩულებდა ჯესიკა. –რას აკეთებ?

–მგონი ვიცნობ მათ. –წავიბურტყუნე მე.

რას ვაკეთებდი? მე უნდა გავექცე ამ მოგონებებს ისეთი სისწრაფით როგორც შემიძლია, 4 მამაკაცი რომელმაც ჩემი ყველა ემოცია დაიკავა. რატომ ვიდექი აქ გაშტერებული?

ძალიან საეჭვო დამთხვევა იყო რომ აღმოვჩნდი ზუსტად ამ ქუჩაზე ჯესიკასთან ერთად. მე ისევ დაბალ მამაკაცს შევხედე და შევეცადე მიმესგავსებია იმისთვის ვინც წინა წელს მემუქრებოდა.
მაინტერესებდა იყო რაიმე ნიშანი რითიც ამოვოცნობდი ამ დამაინს? ის კაცი არც ისე კარგად მახსოვდა. ჩემს სხეულს უფრო კარგად ახსოვდა ვიდრე ტვინს. გაშეშებული ფეხები, გამშრალი ყელი რომ რამენაირად დამეკივლა, მუჭები მაგრად მოჭერილი, ცივი ოფლი როცა დაბალმა "პატარა" დამიძახა.
დანარჩენი მამაკაცებ არ იყვნენ იმ ღამეს ამიტომ არ იწვევდნე ჩემში საშიშროებას, ერთადერთი რაც მათში მანერვიულებდა ის იყო რომ არ ვიცნობდი და ბევრი იყვნენ. ეს ყველაფერი საკმარისი იყო ჯესიკასთვის, რომ შეშინებულს დაეძახა:

–ბელა წამოდი!

მე მას ყურადღება რა მივაქციე და გაუაზრებლად მამაკაცებისკენ გადავდგი ნაბიჯი. არ მესმოდა რატომ მიზიდავდა ის საშიშროება რაცმათგან მოდიოდა. გაურკვეველი გრძნობა...მაგრამ დიდიხანია არაფერი მიგვრძნია. მე მათკენ ნელა მივდიოდი.
რაღაცამ გაირბინა ჩემს ვენებში, მივხვდი ეს ადრენალინი იყო, რომელიც ამდენი ხანია არ ყოფილა ჩემს სხეულში.
სულ მთლად გაურკვევლობაა – რა შუაშია აქ ადრენალინი? ეს ანარეკლი იყო რომ მე შარშანაც ვიდექი პორტ ანჯელესის ქუჩაში უცნობ მამაკაცებთან ერთად.
მე ვერ ვხედავდი საშიშროების მიზეზს. ვერც წარმომედგინა თურას შეეძლო აწი ჩემი შეშინება.
უკვე ნახევრად ვიყავი ბართან მისული. როცა ჯესმა მსტაცა ხელი.

–ბელა შენ არ შეგიძლია რომ ბარში წახვიდე.

–მე არც შევალ იქ, უბრალოდ რაღაცის ნახვა მინდა. –ვუპასუხე გაბრაზებით და მისი ხელი მოვიშორე.

–ნუთუ მართლა შეიშალე? ნამდვილად თავის მოკვლა გინდა? – დაიჩურჩულა მან.

ამ სიტყვებმა ჩემი ყურადღება დაიპყრო.

–არა რა მინდა. –თავ აცვით ვუთხარი. მე მაშინაც არ ვფიქრობდი სიკვდზე როცა ეს ნამდვილ შვებას მომიტანდა. ძალიან ბევრს ვნიშნავდი ჩარლისთვის, დედასთვის. პირველ რიგში მათ წინაშე ვიყავი პასუხისმგებელი.
მე შევინახე პირობა რომ არაფერს სიულელეს არ ჩავიდენდი.
ამ დაპირების გახსენებამ დანაშაული და ტკივილი გამოიწვია.

მაგრამ შევძლებ თუ არა საკუთარ თავზე გამარჯვებას ამას ვერ ვამტკიცებდი. ძოგჯერ ვიღებდი ბრიტვას მივიტანდი ვენებთან და მაშინვე ვიშორებდი.
ჟესიკას თვალები თეფშებივით იყო დამრგვალებული, პირი გაეღო დ ავერ მუწავდა.

–წადი იყიდე რამე საჭმელი. –ვუთხარი ჯესს და მაკდონალდსისკენ მივუთითე. არ მომეწონა როგორაც მიყურებდა. –ერთ წუთში დაგეწევი.

მე მივბრუნდი კაცებისკენ, რომლებიც გაკვირვებული გვადევნებდნენ თვალს.
–ბელა ეხლავე შეჩერდი!

ჩემი კუნთები გიყინა და გავშეშდი. ეხლა ჯესიკას არ შევუჩერებივარ. ეს იყო გაბრაზებული ხმა, ნაცნობი, ლამაზი, რბილი ხმა, რომელიც მაინც ბარხატივით რჩებოდა როცა წარმომთქმელი გაბრაზებული იყო.
ეს იყო "მისი" ხმა. მე ძალიან ვფრთხილობდი რომ მისი სახელი არ წარმომეთქვა. გამიკვირდა რომ ხმის გაგონებაზ არ დავეცი ასფალტზე გულ წასული. არ იყო არანაირი ტკივილი.
ისი ხმის გაგონებისას თითქოს გონება გამეწმინდა. თითქოსა ჩემი თავი ამოიყვანეს ნისლიდან, მე უფრო ნათლად დავინახე და გავიგონე ყველაფერი. მხოლოდ ეხლა ვიგრძენი ცივი ჰაერი, ცივი ქარი რომელსაც ბარიდან სურნელება მოჰქონდა ჩემს სახეზე. შოკირებულმა მიმოვიხედე ირგვლივ.

–ჯესიკასთან დაბრუნდი. –მიბრძანა მშვენიერმა ხმამ, ისევ გაბრაზებულმა. –შენ დამპირდი რომ არ ჩაიდენდი სისულელეებს.

მე მარტო ვიყავი. ჯესიკა იდგა მოშორებით რომელიც შეშინებული მიყურებდა, და კაცები რომლებიც გაკვირვებული მომშტერებოდნენ რატომ ვიდექი შუა ქუჩაში.
თავი გავაქნიე რომ გამერკვია რა ხდებოდა. ის არ იყო ჩემს გვერდით, მაგრამ მე ვგრძნობდი მას ისე ახლოს, ისე ახლოს იმ ხნის განმავლობაში... რაც ყველაფერი დამთავრდა. სიბრაზე მის ხმაში ერეოდა ნერვიულობას, იგივე სიბრაზე რაც მე მესმოდა ესეთ სიტუაციებში, ეს მომენტი ჩემთვის მთელ სიცოცხლეს უდრიდა.

–შეასრულე შენი დანაპირები. –ხმა გაისმა ისე თითქოს რაციით იჭერდნენ.

დავეჭვდი რომ ჰალუცინაციები დამეწყო. რათქმაუნდა ეს ყველაფერი დეჟა ვიუს ბრალი იყო.

მე უცებ გადავხედე ყველა ვარიანტს.

დასკვნა პირველი: მე გავგიჟდი. მხოლოდ ესე შეიძლება ითქვას ადამიანზე რომელსაც ხმები ესმის.

დასკვნა მეორე: ჩემმა გონებამ მომცა ის რაც მჭირდებოდა. სურვილის ასრულება – ტკივილისგან განთავისუფლება, ცხოვრების ტიმული. ღომ ის ზრუნავს ჩემზე. იმის წარმოდგენა თუ რას მეტყოდა აქ რომ იყოს, ან იმედი რომ ის ჩემზე ღელავს.

მე ვერ ვხედავდი მესამე დასკვნას. ვიმედოვნებდი რომ მეორე იყო სწორი და ეს ჩემი გონების თამაშია, რომლისთვისაც საგიჟე არ მემუქრება.
ჩემი რეაქცია არ იყო ნორმალური. მაგრამ მე მადლობელი ვიყავი, ყველაზე მეტად მეშინოდა რომ მისი ხმა დამავიწყდა.
მე არ შემიძლია მასზე ვიფიქრო. რათქმაუნდა მე ვიტანჯებოდი მაგრამ მე მხოლოდ სუსტი ადამიანი ვარ. ყოველ შემთხვევაში ეხლა შემეძლო რამოდენიმე დღე ტკივილის გარეშე მეცხოვრა. ხლა ამ გარიგებაში ორი ვარიანრი მქონდა ტკივილსა და სიცარიელეს შორის. მე არ ავირჩევ სიცარიელეს/
მე ეხლა ველოდი ტკივილს, მაგრამ მას სძინავდა – თავს უჩვეულოდ ვგრძნობდი, ამდენი ხანი ბურუსში ყოფნის შემდეგ ჩემმა გრძნობებმა გაიღვიძეს მაგრამ არ იყო ტკივილი. მხოლოდ იმედგაცრუება რომ მისი ხმა გაქრა.
მხოლოდ ერთი წამი მქონდა არჩევანისთვის.
ყველაზე აზრიანი,აქედან წასვლა იყო.
მაგრამ მისი ხმა ქრებოდა.
გადავწყვიტე გამომეცადა თავი, და ნაბიჯი გადავდგი.

–ბელა დაბრუნდი! –დაიღრინა მან

შვებით ამოვისუნთქე. სიბრაზე იყო ის რისი გაგონებაც მინდოდა - ცრუ საბუთი რომ ის ზრუნავს ჩემზე. ჩემი გონების საჩუქარი. გავიდა კიდევ რამოდენიმე წუთი სანამ ვფიქრობდი. პატარა აუდიტორია მადევნებდა თვალს. ალბათ მე ვჩანდი ისე თითქოს ვფიქრობდი მივსულიყავი მათთან თუ არა. როგორ იფიქრებდენ რომ მე ვტკბებოდი ხმით რომელიც მესმოდა.

–პრივეტ. –წარმოთქვა ერთერთმა. მის ხმაში იგრძნობოდა რომ მას ეჭვიც არ ეპარებოდა თავის მომხობვლელობაში. ვერ ვიტყვი რომ ადრე მყავდა ნანახი.
ხმამ ჩემს გონებაში ჰაეროვნად გაიჟღრა.
მე გავიღიმე, იმ კაცმა კი ეს პასუხად მიიღო.

–შემიძლია რამით დაგეხმარო? აბნეული გამოიყურები. –მან გაიცინა და თვალი ჩამიკრა

ასფალტზე იამას გადავაბიჯე.

–არა, დაბნეული არ ვარ.

ეხლა როცა უფრო მივუახლოვდი მათ. აბალ შავთმიან კაცს დავკვირდი. არა ის არ მეცობოდა. ცოტათო იმედი გამიცრუვდა რომ არ აღმოჩნდა ის ვისაც წლის უკან შევხვდი.
ხმა ჩემს გონებაში გაჩუმდა.
დაბალმა კაცმა შეამჩნია ჩემი მზერა.

–იქნებ დასალევი შემოგთავაზო? –მკითხა აღგზნებულმა იმით რომ მე ის თითქოსდა მომწონდა ჩემი დაჟინებული მზერის გამო.

–ძალიან ახალგაზრდა ვარ რომ დავლიო. –ავტომატურად ვუპასუხე.

ცოტა ეწყინა და მკითხა თუ რატომ მივედი მათთან.

–შორიდან ჩემს ნაცნობს მიგამსგავსეთ. Iკაცრავად შემეშალა.

საშიშროება რომელიც ამ კაცებისგან მოდიოდა გაქრა. ისინი არ გავდენ იმათ ვინც შარშან შემხვდა. ეს კარგი ბიჭები იყვნენ და მათ მიმართ ინტერესი გამიქრა.

–არაუშავს. –მითხრა ქერამ. –დარჩი ცოტა ხანს ჩვენთან.

–გმადლობთ მაგრამ არ შემიძლია. –ჯესიკა შუა ქუჩაში იდგა და მიყურებდა იმედგაცრუებული ჩემი ღალატით.

–მხოლოდ რამოდენიმე წუთით.

მე თავი გავაქნიე და ჯესიკასკენ შემოვბრუნდი.

–წამოდი ვჭამოდ რამე. -შევთავაზე ჯესიკას და მხოლოდ მას ვუყურებდი. ე აღარ ვფიქრობდი ზომბებზე. ამოვფხიზლდი ამ უგრძნობლობისგან, და მეშინოდა რომ ეს გაშეშება რასდროს დაბრუნდებოდა.

–რაზე ფიქრობდი ბელა? –დამიჭირა ჯესიკამ –შენ ხომ მათ არ იცნობ. –შეიძლება ფსიქოპატები ყოფილიყვნენ.

–მხოლოდ მეგონა რომ ერთერთს ვიცნობდი.

–შენ ისეთი უცნაური ხარ ბელა სვონ. გონია რომ არ გიცნობ.

–ვწუხვრა, -არ ვიცოდი მეტი რა მეპასუხა.

მაკდონალდსისკენ სიჩუმეში მივდიოდით. ვიცოდი რომ ჯესიკა ნანობდა მანქაბით რომ არ წამოვედით, და მასაც ისე სწრაფად უნდოდა ამ საღამოს დამთავრება როგორც მე დაწყება მინდოდა. შევეცადე რამდენჯერმე წამომეწყო საუბარი, მაგრამ ჯესიკა ნამდვილად ძალიან ნაწყენი იყო ჩემზე.
ღოცა მანქანაში დავბრუნდით, ჯესიკამ რადიო ბოლო ხმაზე ჩართო რომ მე არ მეცადა მასთან ლაპარაკი.
ეხლა არ მიჭირდა ამ მუსიკის მოსმენა, მიუხედავად იმისა რომ არ ვიყავი გაშეშებული და გამოფიტული. მე მიადვილდებოდა ამის გადატანა.
  ე ველოდი რომ უსიცოცხლობა ან ტკივილი დაბრუნდებოდა. თკივილი მხოლოდ გაიზრდება, მე ყველა ჩემი წესი დავარღვიე. იმის ნაცვლად რომ გავქცეოდი მოგონებებს შევხვდი მათ. მე მესმოდა მისი ხმა ისე რეალურად. მე ვერ დავიბრუნებდი ბურუსს ტავში, ეს მაშინებდა.
შვება იყო ყველაზე ძლიერი ემოცია ჩემში.
მე მუდამ ვცდილობდი რომ არ მეფიქრა მასზე, მაგრამ არასდროს მინდოდა მისი დავიწყება. გვიან ღამით ძალაგამოცლილი ვფიქრობდი რომ ერთ დღესაც მე არ მემახსოვრება მისი თვალების ფერი, მისი კანის სინაზე, მისი ხმა. მე არ ვფიქრობდი მასზე მაგრამ ის არ უნდა დავივიწყო.
მხოლოდ ერთი რამ მაცოცხლებდა – მუდამ უნდა ვიყო დარწმუნებული რომ ის არსებობს. ეს იყო ყველაფერი ჩემთვის. მე ყველაფერს გავუძლებ თუ ის იარსებებს.
სწორედ ამიტომ აღმოვჩნდი ფორქსის ხაფანგში, ამიტომ ვებრძოდი ჩარლის როცა გამგზავრება შემომთავაზა. რეალურად ამას არ ქონდა მნიშვნელობა, რადგან ის აქაღარ დაბრუნდებოდა.
მაგრამ თუ მე ჯეკსონვილში წავალ, ან სხვა მზიან ქალაქში. ღოგორ დავრწმუნდე რომ ის ნამდვილად არსებობს? ადგილი სადაც ვერ წარმოვიდგენ მას აზრი მის არსებობაზე გარებოდა... ამას მე ვერ გადავიტან.
  აკრძალულია გახსოვდეს, გეშინია რომ დაივიწყო. რთული გზაა. გამიკვირდა როცა ჯესიკამ ჩემი სახლის წინ გააჩერა მანქანა. გზამ ცოტა დრო დაიკავა, მაგრამ მიკვირდა როგორ გაძლო ჯესიკამ ეს დრო ლაპარაკის გარეშე.

–მადლობა რომ კომპანია გამიწიე, ყველაფერი საინტერესო იყო. – ვუთხარი როცა მანქანის კარი გავაღე.

–ნამდვილად –წაიბურტყუნა ჯესმა.

–ვწუხვარ მომხდარზე... კინოს შემდეგ

–რათქმაუნდა. –ის საქარე მინას წმინდავდა იმის მაგივრად რომ ჩემზე შემოეხედა

–ორშაბათამდე.

–კარგად ბელა.

გადმოვედი და კარი მივხურე. ჟესიკა წავიდა ისე არც შემოუხედავს ჩემთვის.
როცა სახლში შევედი უკვე აღარ ვფიქრობდი ჯესზე.
მამა მისაღებში მელოდა, ხელებ გადაჯვარედინებული გულზე.

–პრივეტ მამა. –სწრაფად მივესალმე და კიბისკენ წავედი რომ არ დავეყოვნებინე.

–სად იყავი? –ახსნა მომთხოვა
გაკვირვებულმა შევხედე
–ჯესიკასთან ერთად კინოში ვიყავი. ხომ გაგაფრთხილე დილით.

–ჰმ. –წარმოთქვა მან

–კარგად მოვიქეცი?

ის ჩემს გამომეტყველებას უკვირდებოდა, შემდეგ თითქოს რაღაც დაინახა მასში.

–გადასარევად. კარგად გაერთე?

–რათქმაუნდა. –ვუპასუხე მე. –ვუყურეთ როგორ ჭამდნე ზომბები ადამიანებს, შთამბეჭდავი იყო.

თვალები დააწვრილა.

–ღამემშვიდობისა მამა.

მან კიბეზე გამატარა და ჩემს ოთახში ავირბინე.
რამოდენიმე წუთში ვიწექი ჩემს საწოლში, ძალა გამოცლილი რადგან ტკივილი მოვიდა.
ის თითქოს მგლეჯდა ნაწილებად, ისეთი შეგრძნება მქონდა რომ გულში დიდი ხვრელი მაქვს, ამომიღეს ყველა სასიცოცხლო ორგანო

და დამტოვეს განუკურნებელი ჭრილობებით რომელიც დროის მიუხედავად ისევ აგრძელებდა სისხლდენას.
გული თითქოსდა ისევ ფეთქავდა მაგრამ მე არ მესმოდა მისი ხმა, ვიგრძენი რომ ხელები გამეყინა. ორივე ხელი ტანზე შემოვიხვიე. ვცდილობდი ჩემი უგრძნობლობა დამებრუნებინა, მაგრამ ხელიდან მისხლტებოდა.
  მაინც ვგრძნობდი რომ შევძლებდი გადარჩენას. მე ვიყავი გატეხილი, ვგრძნობდი ტკივილს – ტკივილს დიდი დანაკარგიდან რომელმაც ყველაფერი წამართვა, ტკივილი ყველა წერტილში. მაგრამ მე შემეძლო გავმკლავებოდი ამას, ეს არ ნიშნავს რომ ტკივილი შემცირდება არამედ მე უფრო ძლიერი გავხდი ამის გადასატანად.
რაღაც მოხდა ამ საღამოს და ეს იყო ზომბების, ადრენალინის თუ ჰალუცინაციის ბრალი მე ამან გამომაფხიზლა.
  პირველად ამ ხნის განმავლობაში არ ვიცოდი რა მელოდა დილას.

თავი მეხუთე
დანაპირების დარღვევა

–ბელა ინქებ წახვიდე სახლში? –შემომთავაზა მაიკმა, მე არ მიყურებდა კედელს მისჩერებოდა. ნეტა რამდენი ხანი ვერ შევამჩნიე მისი ლაპარაკი?

დღე ნიუტონების მაღაზიაში ნელა გადიოდა. ამ წუთს მაღაზიაში მხოლოდ ორი კლიენტი იმყოფებოდა და მათი საუბრიდან ჩანდა რომ მონადირეები იყვნენ. მაიკმა მთელი ერთი საათი ელაპარაკა სამგზავრო ზურგჩანთების დადებით და უარყოფით მხარეებზე. მონადირეებმა თავის ბოლო ტყეში გასვლაზე დაიწყეს ლაპარაკი და მაიკს შანსი მიეცა რომ დაძვრენოდა მოტრაბახე ტურისტებს.

–წოტა ხანს კიდევ დავრჩები. –ვუთხარი მაიკს. მე ისევ უშედეგოდ ვცდილობდი ჩემი უგრძნობლობის დაბრუნებას, დღეს ყველაფერი ძალიან ხმამაღალი, ნათელი და ახლო მეჩვენებოდა. თითქოს ვიღაცამ ყურებიდან საცობები გამომაძრო. ვცდილობდი რამენაირად, ტურისტების ხმა ჩამეხშო გონებაში.

–გეუბნები და დამიჯერე. –უთხრა ერთმა მეორეს რომლის რიჟა წვერი სულ არ გადიოდა ყავისფერ თმაზე. –იელოუსტოუნთან ახლოს ვნახე დათვები. –მისი ტანსაცმლით ადვილი მისახვედრი იყო რომ რამოდენიმე დღე არ გამოუცვლია და ახალი ჩამოსული იყო მთებიდან.

–მართლა, დიდი შავი დათვები? –მეორე კაცი მაღალი და სუსტი იყო. კანი ისე ჰქონდა მზისგან გარუჯული რომ ტყავი გეგონებოდა გადაკრული.

–ბელა როგორც კი ეს ორი წავა მაშინვე ვკეტავ მაღაზიას. –ჩაიბურტყუნა მაიკმა

–თუ გსურს რომ წავიდე... –მე მხრები ავიჩეჩე

–გეუბნები რომ შენზე ოთხჯერ დიდები იყვნენ. –იჟინებდა წვერიანი კაცი, როცა ჩემს ნივთებს ვალაგებდი. –სახლივით დიდი და ძალიან შავი, ვაპირებ ადგილობრივ პოლოციას ვამცნო. ის ხომ სადღაც მთებში არ ყოფილა, დასახლებასთან ძალიან ახლოა.

გარუჯულმა კაცმა გაიცინა და თვალები გადაატრიალა.
–შენ რა როგორც ყოველთვსი მიწაზე გეძინა და რამოდენიმე კვირაა წესიერად არ გიჭამია ხომ?

–ეი მაიკ, ხო მართალს ვამბობ. –წვერიანმა კაცმა დაუძახა მაიკს.

–ორშაბათს შევხვდებით. –წავიბურტყუნე მე

–დიახ ბატონო. –თქვა მაიკმა და კაცებს მიუბრუნდა.

–მითხარი არავის არ გაუფრთხილებიხართ შავ დათვებზე?

–არა მაგრამ, საჭიროა რომ მათგან დისტანცია დავიცვათ. თქვენ ნახეთ საკვების ახალი შესანახი, დათვებისგან დასაცავად? ის მხოლოდ 2 კილოს იწონის.
კარი გავაღე და წვიმაში გამოვედი. მოსაცმელი კარგად მოვიხურე და პიკაპისკენ გავემართე. წვიმის წვეთები ძალიან ხმამაღლა მეწვეთებოდა დღეს, მაგრამ ძრავის ხმამ ირგვლივ ყველაფერი დააყრუა.
  არ მინდოდა ცარიელ სახლში წასვლა. გუშინდელი ღამე უსაშინლესი იყო და არ მსურდა ჩემი წამების ადგილზე დაბრუნება. იმის შემდეგაც რომ ჩაძინება შევძელი ტკივილი მაინც არ გამქრალა. როგორც ჯესიკას ვუთხარი, რომ კოშმარები გარანტირებული მქონდა, ეს ესეც იყო.
ეხლა კოშმარები ყოველ ღამე მესიზმრებოდა. უფრო სწორად კოშმარი, სულ ერთი და იგივე. იფიქრებთ რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამ კოშმარს შეეჩვევი და იმუნიტეტი გამოგიმუშავდება მასზე, მაგრამ მე სულ მეშინოდა მისი, განსაკუთრებით დასასრული ნაწილის. ჩემს კივილზე რომლიდანაც მეღვიძებოდა, აღარ მორბოდა

ჩარლი ოთახში, რომ ენახა ვინმე ხომარ შემომივარდა ან რაღაც ეგეთი, ის უკვე მიეჩვია.
შეიძლება სხვას არც შეშინებოდა ჩემი კოშმარის. არავინ არ წამოხტებოდა კივილით. მასში არ იყო არანაირი ზომბები, მოჩვენებები, მანიაკები. მასში მართლა არაფერი არ იყო, მხოლოდ სიცარიელე. მხოლოდ ხეებს შორის ლაბირინთები, შემაწუხებელი სიჩუმე, სიბნელე როგორც ღრუბლიანი დღის საღამოს, სინათლე საკმარისი იყო იმის დასანახად, რომ ირგვლივ სიცარიელე იყო. მე მივრბივარ სიბნელეში გზის გაურკვევლად მუდამ რაღაცას ვეძებ, ვეძებ, ვეძებ. დრო იწელება და იწელება, მე უფრო ჩქარა მივრბივარ მაგრამ სიჩქარე უფრო მოუხერხებელს მხდის. შემდეგ ჩემს სიზმარში ჩნდება ის რასაც ვეძებ, მაგრამ უმჯობესია რომ ამ დროს გავიღვიძო რადგან ვხვდები რომ ის სინამდვილეში არ არის არც არასდროს ყოფილა და არც იქნება, არაფერი უბრალო ხეების გარდა... მხოლოდ სიცარიელე და მორჩა...
აი ამ დროს ვიღვიძებ ყვირილით.
  არ ვაქცევდი ყურადღებას სად მივდიოდი, დავბოდიალებდი ცარიელ ქუჩებში, მთავარია სახლში მისასვლელ გზებს ვერიდებოდი. ვწუხდი რომ ჩემი უგრძნობლობა არ მიბრუნდებოდა, ვცდილობდი გამეხსენებინა როგორ მოვიპოვე ადრე ის. კოშმარი ტრიალებდა ჩემს თავში და მისგან წამოსული აზრები ტკივილს მაყენებდა. არ მინდოდა გამეხსენებინა ის ტყე. სიზმარზე ფიქრშიც კი თვალები ცრემლით მევსებოდა. და გულში დიდი ხვრელი ჩნებოდა. ერთი ხელი მუცელზე მოვიჭირე რომ ტკივილს არ დავენაკუწებინე.
  ყველაფერი ისე იქნება თითქოს არც მიარსებია. ეს სიტყვები თავში მიტრიალებდა და არ ჰგავდა გუშინდელი ჰალუცინაციის ხმოვანებას. ეს იყო მხოლოდ სიტყვები, თითქოსდა ფურცელზე დაწერილი, მაგრამ მათგან ხვრელი ჩემს გულში გაიზარდა და ფეხი ტორმუზს დავაჭირე, აღარ შემეძლო ესეთ მგომარეობაში მანქანის მართვა.
იქნებ დროის განმავლობაში, წლების შემდეგ თუ ტკივილი შემცირდე, მომავალში მე შევძლებ უკან მოხედვას, თუ ტკივილი იმ დონემდე ჩაწყნარდება რომ გავიხსენო ის რამოდენიმე თვე რომელიც მუდამ პირადულად დარჩება ჩემთვის. თუ შესაძლებელია რომ ტკივილი იმ დონემდე გაქრეს რომ მე გავიხსენო ის დრო და მადლობელი ვიყო იმისთვის რომ მან ის მაჩუქა. მეტი ვიდრე ვთხოვე და დავიმსახურე. ოდესმე იქნებ შევძლო უკან მოხედვა.
რა მოხდება თუ ეს ჭრილობა არასდორ შეხორცდება? თუ ეს ტკივილი არასდოს გაქრება?
  მე უფრო მოვეხვიე ჩემს თავს. თითქოსდა არც უარსებია, რა უაზრო და შეუსრულებელი დაპირებაა. მას შეეძლო მოეპარა ჩვენი სურათები, წაეღო საჩუქრები, მაგრამ ეს არ შეცვლიდა სამყაროს ჩემს ირგვლი ისე როგორც ჩემი ცხოვერება მის გამოჩენამდე იყო. საგნობრივი დამადასტურებელი ნიშნები მისი არსებობისა ყველაზე

უმნიშვნელი ნაწილია. მე თვითონ შევიცვალე, შეიცვალა ჩემი შინაგანი ბუნება. ჩემი ფიზიკურობაც კი იყო შეცვლილი: სახე სულ თეთრი, უძილობისგან ჩაშავებული თვალები, ჩემი თვალები იმდენად მუქი ჩანდნენ თეთრ სახეზე რომ შორიდან შეიძლებოდა ვამპირს ვგავდი, მაგრამ მე არ ვიყავი ლამაზი უფრო მეტად ზომბს მოგაგონებდით.
თითქოსდა არც უარსებია? სიგიჟეა. დაპირება რომელსაც ვერ შეასრულებს. დაპირება რომელიც თქმის თანავე დაირღვა.
თავი რულს დავრტყი რომ ტკივილი გამექრო.
თავი სულელად ვიგრძენი იმისთვის, რომ ვცდილობდი პირობის შესრულებას, რომელიც უკვე ორივე მხრიდან იყო დარღვეული. არის ლოგიკა იმაში რომ დაიცვა შენი დანაპირები თუ მან თავისი ვერ შეასრულა? ვის აწუხებდა ის თუ მე უპასუხისმგებლოდ და სულელურად მოვიქცეოდი? არ არის არანაირი მიზეზი გავექცე თავზეხელაღებულობას, არა არის არანაირი მიზეზი არ ვიყო სულელი.
მე უსიცოცხლოდ გამეცინა შავ იუმორზე: თავზეხელაღებულობა ფორქსში.
იუმორმა ცოტა გამიფანტა ტკივილი. სუნთქვა ნელნელა გათანაბრდა. მე ისევ ჩემს თავზეხელაღებულ საქციელებზე ვფიქრობდი, რომ მოგონებებს ისევ ტკივილი არ მოეტანა. ფორქსში ესეთ ქცევას გამომგონებლურად უნდა მიუდგე რაც არ გამიჭირდება. იქნებ უკეთესადაც გავხდე თუ შევწყვიტავ ჩემი დანაპირების შესრულებას, მაგრამ როგორ გავექცე ჩემს მოვალეობებს ამ პატარა უსაფრთხო ქალაქ ფორქსში. ნუ რათქმაუნდა ის მთლად უსაფრთხოც არ ყოფილა, მაგრამ ეხლა ის ისეთი წყნარი ჩანდა.
დიდი ხანი ვიყურებოდი მანქანის მინიდან. აზრები გაუჩერებლივ მიედინებოდნენ თავში. მე ძრავა გამოვრთე რომელი ამდენი ხნის განმავლობაში ტყუილად ღმუილებდა და მანქანიდა გადმოვედი. წვიმის წვეთები თმებს შეერია და საღეზე ჩამოვიდა. ამან ცოტა გამომაფხიზლა და ირგვლივ დავიწყე ყურება.
მთელი წუთის დაკვირვების შემდეგ გავარკვიე სად ვიმყოფებოდი. მე გზაჯვარედინზე ჩენისების და მარკუსების სახლის წინ ვიდექი. ჩემი პიკაპი უნდა გადავაყენო, სისულელეა შუა ღამეს უაზროდ ბოდიალი და ავარიული სიტუაციების შექმნა, თან თუ ვინმემ დამინახა აუცილებლად ეტყვიან ჩარლის.
ღრმად ჩავისუნთქე და წასასვლელად მოვემზადე როცა მარკუსების სახლთან რაღაცამ მიიპყრო ყურადღება. საფოსტო ყუთზე მიწეპებული იყო დიდი ქაღალდი წარწერით “იყიდება”
ეს ბედია.
დამთხვევა? რას უნდა ნიშნავდეს? შეიძლება სისულელე იყო რომ ძველი გაფუჭებულუ მოტოციკლები რომლებიც იყიდებოდა ბედის საჩუქარი იყო ჩემთვის და მათ დიდი მიზანი ქონდათ.

ალბათ ნამდვილად ბედია რომ მე შანსი მომეცა სულელურად მოქცევისა, მხოლოდ თვალების კარგად გახელა იყო საკმარისი. იყო უგუნური და ჩაიდინო სისულელე. ეს იყო ჩარლის საყვარელი სიტყვები როცა მოტოციკლებზე ლაპარაკობდა.
ჩარლის სამუშაო არ გავდა იმ პოლიციელებისას რომლებიც დიდ ქალაქებში მუშაობდნენ, მაგრამ მას ხშირად იძახებდენ საგზაო შემთხვევებზე. სველ და მიხვეულ მოხვეულ ტრასაზე ბევრი იყო ავარიები მაგრამ ცოცხლები რჩებოდნენ დაზარალებულნი მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა ვინც მოტოციკლეტით დადიოდა. მას ბევრი მსხვერპლი უნახავს უფრო მეტად ბავშვები ვინც მოტოციკლით ჩქარი სიარულს შესწირვია. მე 10 წლისაც არ ვიყავი როცა პირობა დამადებინა რომ არავითარ შემთხვევაში არ დავჯდებოდი მოტოციკლზე.
ღმერთო რამდენი პირობის შესრულებაზე ვარ ვალდებული. უცებ მომინდა რომ სისულელე ჩამედინა, მომინდა დავარღვიო ყველა პირობა რატომ შევჩერდე მხოლოდ ერთზე?
ადავწყვიტე! მანაქანის კარი მივხურე და მარკუსების სახლში ზარი დავრეკე.
ერთერთმა ბავშვმა გამიღო კარი. ყველაზე უმცროსმა, მისი სახელი ვერ მოვიგონე.
მან იმწამსვე მიცნო

–ბელა სვონ? –მკითხა გაკვირვებით

–რამდენი გინდათ მოტოციკლისთვის? –ვკითხე სულმოუთქმელად და მათ მხარეს მივათითე.

–შენ ამას სერიოზულად ამბობ? –მკითხა მომთხოვნად

–რათქმაუნდა.

–ისინი არ მუშაობს.

მე ამოვიხვნეშე ისედაც ეტყობოდათ რაც სჭირდათ
–რამდენი გინდა?

–თუ მართლა გინდა ერთი უფასოდ წაიღე. დედამ აიძულა მამა რომ გადაეყარა.

მე ისევ გავხედე, და მოტოციკლეტები მართლაც ნაგვის ურნებთან ეყარა.

–დარწმუნებული ხარ? –ვკითხე ბიჭს

–რათქმაუნდა თუ გინდა დედას დავუძახებ.

უმჯობესია უფროსები არ ჩავრიოთ თორემ ჩარლი გაიგებს.

–არა, არის საჭირო. ჯერა.

–იქნებ დახმარება გჭირდება? ძალიან მძიმეა.

–მადლობელი ვიქნები. ხოლოდ ერთი მინდა მაგრამ...

–შეგიძლია ორივე წაიღო. ნაწილები გამოგადგება, თან ნაგვის მოშორებაში დაგვეხმარები.

ბიჭუნა მოტოციკლეტების მანქანის საბარგულში ჩადებაში მომეხმარა. ის ჩქარობდა მათგან განთავისუფლებას და არც ვეწინააღმდეგებოდი.

–რა უნდა უქნა მათ? –მკითხა ბიჭმა –უკვე რამდენი წელია არ უვლიათ.

–ჯერ არ ვიცი. –ვუთხარი მე. ჩემი გადაწყვეტილება საიდუმლოდ უნდა დარჩეს. –შეიძლება დოულინგს წავუღო.

ბიჭმა გაიცინა –დოულინგი მაგათ რემონტში უფრო მეტს მოგთხოვს ვიდრე თავიდან ღირადა.

ის მართალი იყო. ჯონ დოულინგს ესეთი რეპუტაცია ჰქონდა ქალაქში. რავინ არ აკეთებდა მასთან მანქანებს თუ გვერდით ქალაქში შეეძლო მანქანას ჩაღწევა. ამ მხრივ არ გამიმართლა, სულ ვწუხდი რომ ვერ შევაგროვებდი იმდენ ფულდ რომ პიკაპი გამერემონტებინა. მაგრამ ის კარგ მდომარეობაში იყო, ჯეიკობი კარგად უვლიდა როცა მამამისს ბილის ეკუთვნოდა პიკაპი. უცებ გონება გამინათდა.

–იცი? ეხლა გამახსენდა ერთი ადამიანი, ვინც შეძლებს მათ შეკეთებას.

–არაჩვეულებრივია. –შვებით გამიღიმა ბიჭმა.

ის ხელს მიქნევდა როცა მოვდიოდი. საყვარელი ბავშვია. ეხლა ჩქარა და გამიზნულად მივდიოდი. სახლში უნდა მიმესწრო ჩარლის მოსვლამდე თუ სამსახურიდან ადრე წამოვიდოდა. სახლში შევვარდი და ტელეფონს ვსტაცე ხელი.

–შერიფ სვონს თხოვეთ, თუ შეიძლება? –ვუთხარი ჩარლის დამხმარეს ტელეფონში. –ბელა ვარ.

–გამარჯობა ბელა. –მითხრა სტივმა. –ეხლავე დავუძახებ

–ბელა, რა მოხდა? –მკითხა ჩარლიმ შეშფოთებით, მაშინვე როცა ტელეფონს მოუახლოვდა.

–მე რა, მხოლოდ მაშინ გირეკავ როცა რამე მჭირს?

რამოდენიმე წუთი ჩუმად იყო
–ადრე არასდროს დაგირეკავს უბრალოდ. რამე შეგემთხვა?

–არა. უბრალოდ მინდოდა გამეგო ბილის სახლის გზა, არა მგონია მივაგნო. ჯეიკობის ნახვა მინდა თვეებია არ შევხვედრივართ.

ჩარლიმ ისევ რომ დაილაპარაკა მისი ხმა ბედნიერი იყო.

–ეს არაჩვეულებრივია ბელა. ეხლავე აგიხსნი, პასტა და ფურცელი გააქვს?

ჩარლის მოცემული რუკა ადვილი მისახვედრი იყო. შევპირდი რომ სადილისთვის დავბრუნდებოდი, მთხოვა რა მეჩქარა, მაგრამ ვიცოდი დღეს ჩემთან ერთად უნდოდა სადილობა და ვერ წავართმევდი ამ შესაძლებლობას.
ჩქარა გადავუხვიე ქალაქის გზას. იმედი მქონდა რომ სახლში მხოლოდ ჯეიკობი იქნებოდა. ბილისაც ჩარლისნაირი რეაქცია ექნებოდა მოტოციკლეტებზე.
როცა მივედი დანიშნულ ადგილას, ცოტა ვნერვიულობდი ბილის რეაქციაზე მე რომ დამინახავდა. მისი აზრით ყველაფერი ისე კარგად აეწყო რომ ვერც წარმოედგინდა. მისი სიხარული უკავშირდებოდა იმას რისი გახსნებაც არ მინდოდა, მეშინოდა რომ სწორედ ამაზე დაიწყებდა ლაპარაკს. მეტი ძალა აღარ მქონდა რომ ეს ტკივილი ისევ გადამეტანა.
ჯეიკობის სახლი პატარა ხის, ვიწრო ფანჯრებით და გადაშორებული წითელი საღებავით ქოხს უფრო გავდა. ჯეიკობმა ფანჯარაში გამოყო თავი, ალბათ ნაცნობი ძრავის ხმა გაიგონა. ჯეიკობი ჩარლის მადლობელი იყო რომ პიკაპი იყიდა და ამით გადაარჩინა რომ სრულწლოვნობის შემდეგ მასზე მოუწევდა სიარული.
ის სახლამდე შუა გზაზე გამომეგება.

–ბელა! –დიდი ღიმილიანი სახითმომეგება. მისი თეთრი კბილები ბრწყინავდა ყავისფერი კანის ფონზე. ადრე არ მიმიქცევია

ყურადღება მის თმებზე, ყოველთვის იკრავდა ეხლა კი ფარდებივით ჰქონდა გვერდებზე ჩამოშვებული.
ჯეიკობი ბოლო 8 თვის განმავლობაში ძალიან გაიზარდა. მან უკვე გადააბიჯა მოზარდის ასაკს, მისი კუნთები ეხლა დიდი იყო და ყავის ერი კანის ქვეშ ჩანდა დაბერილი ძარღვები. მისი სახე ისეთივე სიმპატიური იყო როგორიც მახსოვდა.
–პრივეტ ჯეიკობ. –მე მის ღიმილში დიდი სიხარული დავინახე და ვიგრძენი რომ მეც ძალიან გამიხარდა მისი დანახვა. ამან გამაკვირვა.

მეც პასუხად გავუღიმე, და თითქოს ორი ნაწილი ერთმანეთს შეუერთდა. დამავიწყდა კიდეც როგორ მეგობრულად მიყვარდა ჯეიკობ ბლეკი.

ის ჩემგან რამოდენიმე ნაბიჯში გაჩერდა. გაკვირვებით შევხედე და თავი ავწიე რომ მისი სახე დამენახა.

–ისევ გაიზარდე! –ბრალდებით და გაკვირვებით ვუთხარი.

მან ფართედ გაიცინა.
–180 სანტიმეტრი. –თვითკმაყოფილებით წარმოთქვა

–როდესემ აპირებ გაჩერებას? –თავი გავაქნიე. – უკვე უზარმაზარი ხარ, მაგრამ ისევ სუსტი
ჯეიკობმა გაბრაზებისგან სახე დამანჭა.

–დროზე შემოდი სახლში თორემ სულ მთლად გაიწუწე.

ჯეიკობი წინ მიდიოდა, თან გაშლილი თმა, დიდი ხელებით ჩვეულად შეიკრა უკან.

–ჰეი მამა. –დაიყვირა როცა დაიხრა კარებში შესასვლელად. –ნახე ჩვენთან ვინ მოვიდა!
ბილი პატარა მისაღებში იყო წიგნით ხელში. მან წიგნი მუხლებზე დაიდო და ჩემს სანახავად გამოემართა.

–რა კარგია რომ შემოგვიარე! მიხარია შენი ნახვა

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს,

–რამ მოგიყვანა? ჩარლი ხომ კარგადაა?

–ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ ჯეიკობის ნახვა მინდოდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჯეიკობს თვალები გაუბრწყინდა და იმხელაზე გაიცინა მეგონა ლოყები გაეხეოდა.

–დარჩები ჩვენთან სადილად? –მკითხა ბილიმ

–არ შემიძლია, ჩარლისთან ერთად უნდა ვისადილო.

–დავურეკავ და ისიც მოვა. –შემომთავაზა ბილიმ. –უარს არ იტყვის

მე უხერხულად გავიცინე. –ნუ ნერვიულობთ ძალიან მალე გესტუმრებით მეორედ, ვერც კი მოასწრებთ მონატრებას. -მითუმეტეს თუ ჯეიკობი მოტოციკლებს გააკეთებს ვიღაცამ მათი მართვა ხომ უნდა მასწავლოს.

ბილიმაც გაიცინა. –კარგი სხვა დროს იყოს.

–აბა, ბელა რა გინდა? –მკითხა ჯეიკობმა

–არაფერი ისეთი. რა მოხდა ახალი ჩემს აქ არ ყოფნაში? –თავს აქ ისე კომფორტულად ვგრძნობდი, ყველაფერი ნაცნობი იყო. არ მახსოვდა მტკივნეული მოგონებები.

ჯეიკობი ჭოჭმანობდა. –შემიძლია ჩემი ახალი მანქანა გაჩვენო, მაგრამ ეს მოგვიანებით იყოს

–არა, ეს კარგი იდეა. –წამოვიძახე. –ძალიან მინდა შენი მანქანის ნახვა.

–კარგი –თქვა მან გაუბედავდ. –წამოდი გარაჟში.

ესე უკეთესიცაა გავიფიქრე მე, და ბილის დავემშვიდებოე. გარაჟი არც ისე დიდი იყო. შიგნით მოჩანდა დიდ ბლოკებზე დადებული თითქმის აწყობილი მანქანა.
როგორც იქნა ემბლემა ვიცანი.

–ფოლცვაგენის რა მოდელია? –ვკითხე მე

–ეს ძველი 1986 წლის რებიტი კლასიკია.

–როგორ მიდის მასზე სამუშაოები?

–თითქმის დავასრულე. –მითხარ თბილად. –მამ შეასრულა შარშანდელი გაზაფხულზე დანაპირები.

–ოოო. –მხოლოდ ეს ვთქვი

მიხვდა რომ არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი. შევეცადე არ გამეხსენებინა შრაშანდელი გამოსაშვები საღამო. ჯეიკობი მამამისმა მიისყიდა იმ პირობით რომ მანქანის ფულს მისცემდა და სამაგიეროდ ჩემთვის დანაბარები უნდა გადმოეცა.
ბილის უნდოდა რომ თავი დამენებებინა ადამიანისთვის რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. აღმოჩნდა რომ ტყუილად ნერვიულობდა. ეხლა ზედმეტად უსაფრთხოდ ვიყავი.
მაგრამ ამის შეცვლლას ვაპირებდი.

–ჯეიკობ რა გესმის მოტოციკლეტების?

მან ბეჭები აიჩეჩა. –არც ისე ბევრი რამ. ჩემს მეგობარ ემბრის ყავს და ზოგჯერ რაღაცეებს ვუკეთებთ. რატომ მეკითხები?

–იცი... -ტუჩები მოვკუმე და დავფიქრდი შეეძლო თუ არა ჯეიკობს საიდუმლოს შენახვა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. –ორი მოტოციკლი შევიძინე და არც ისე კარგ მდგომარეობაში არიან, შეძლებ შეაკეთო?

–მაგარია! –თქვა კმაყოფილი სახით. –ვეცდები.

გასაფრთხილებლად თითი ავწია.
–მისმინე, ჩარლი ვერ იტანს მოტოციკლეტებს, მოკვდება ჩემს წამოწყებაზე რომ გაიგოს. შეგიძლია ბილის არაფერი უთხრა?

–რათქმაუნდა. –გამიღიმა ჯეიკობმა. –შეგიძლია მშვიდად იყო.

–გადაგიხდი. –ამაზე ჯეიკობი გაბრაზდა

–არა. მე მხოლოდ დახმარება მინდა არარის საჭირო ფულის გადახდა.

–კარგი... მაშინ რას იტყვი პატარა გარიგებაზე? –ესეთი შეთავაზება უფრო მისაღები მეჩვენა. –მე მხოლოდ ერთი მოტოციკლი მჭირდება, მეორეს გაჩუქებ თუ მართვას მასწავლი. რას იტყვი?

–მა გა რი აა! –წამოიძახა მაან

–მოიცა, მართვის უფლება კანონიერად გააქვს? შენი დაბადების დღე როდისაა?

–შენ ის გამოტოვე. 16ის ვარ. –ვითომდა გაბრაზება გაითამაშა

–კარგი, ასაკი ხელს არასდროს გიშლიდა. მაპატიე რომ გამოვტოვე შენი დაბადების დღე.

–არაუშავს. მეც არ ვყოფილვარ შენსაზე. რამდენის ხარ 40ის?

მე ჩამეცინა. –დაახლოებით

–შეგვიძლია ერთად ავღვნიშნოდ ჩვენი დაბადების დღეები.

–ეს როგორც პაემანი ისე ჟღერს. –მისი თვალები გაბრწყინდნენ ამ სიტყვებზე.

უნდა გავმკლავებოდი დიდ ენთუზიაზმს, იმდენი ხნის განმავლობაში არ ვყოფილვარ ესე კარგად მიჭირდა მისი კონტროლი.

–იქნებ, მოტოციკლეტები მზად რომ იქნება, ეს ჩვენი საჩუქარი იქნება ერთმანეთისთვის.

–გააჩნია როდის მოიტან

მე ტუჩზე ვიკბინე. –ისინი ეხლა ჩემი პიკაპის საბარგულშია. –ძალიან კარგი. –მგონი ხვდებოდა რომ ეს ასე იყო.

–ბილიმ რომ დაინახოს, გული წაუვა.

ჟეიკმა თვალი ჩამიკრა. –ჩვენც ჭკვიანურად მოვიქცეთ.

ჩვენ სახლს შემოვუარეთ და ხეებს შორის დავძვრებოდუთ ვითომდა სეირნობა რომ გავეთამაშა, ბილი თუ დაგვინახავდა. ჯეიკობმა მოტოციკლეტები მანქანიდან ჩამოიღო და ბუჩქებში ალაგებდა სადაც მე ვიმალებოდი. ისე ადვილად გადმოჰქონდა თითქოსდა უბრალო ველოსიპედები ეჭირა, მე კი მახსოვდა რომ მოტოციკლეტები ძალიან მძიმე იყო.

–არც ისე ცუდად გამოიყურებიან. –მითხრა ჯეიკობმა როცა ჩუმად მივაგირებდით ხეებს შორის. –შეიძლება ძალიან კარგიც კი გამოვიდეს, ეს ძველი ხარლეი სპრინტია.

–მაშინ ის შენი იყოს.

–დარწმუნებული ხარ?

–აბსოლიტურად.

–რემონტისთვის ფული დაგვჭირდება. –თქვა მოღუშულმა დაჟანგული მეტალის ყურებისას. –რაღაც ნაწილები უნდა ვიყიდოთ.

–ჩვენ არ უნდა ვიყიდოთ. შენ იშოვე და ფულს მე გადავიხდი.
–მმმ არ ვიცი. –წაიბურტყუნა მან

–მაქვს ცოტა მოგროვებული ფული, კოლეჯისთვის. –კოლეჯი შმოლეჯი გავიფიქრე მე. თან არ ვაპირებ ფორქსიდან წასვლას და რა დაშავდება ცოტა რომ მოვაკლო ფულს.

ჯეიკობმა თავი დააქნია, მიხვდა რასაც ვგულისმობდი.

როცა გარაჟში მივიპარებოდით, ვუყურებდი ჯეიკობს და ვფიქრობდი თუ როგორ გამიმართლა, მხოლოდ მოზარდი დათანხმდებოდა ორივეს მშობლების მოტყვილებას, საშიში ტრანსპორტის შეკეთებას ფულით რომელიც ჩემი კოლეჯისთვის იყო.
მისთვის არაფერი იყო ამაში უჩვეულო. ჯეიკობი ღმერთის საჩუქარი იყო ჩემთვის.

თავი მეექვსე

მეგობრები

მოტოციკლები ჯეიკობის გარაჟში საფარის ქვეშ მოვათავსეთ. ბილი ინვალიდის სავარძლით ვერ შეძლებდა სახლიდან გარაჟამდე მისვლას უსწორმასწორო გზაზე.
ჯეიკობმა სასწრაფოდ დაიწყო პირველ, წითელ მოტოციკლში ძრომიალი. მან მისი მანქანის კარი გამიღო რომ ჩავმჯდარიყავი და ძირს არ მომწეოდა ჯდომა. ჯეიკობი მხიარულად ლაპარაკობდა მოტოციკლის შეკეთების დროს, მხოლოდ ხანდახან წამკრავდე ბეჭს როცა საუბარს აღარ ვუსმენდი. ის მიყვებოდა სწავლის და მისი ორი საუკეთესო მეგობრის შესახებ.

–კვილი და ემბრი? -შევეკითხე მე. –რა უცნაური სახელებია.

ჯეიკობმა თვითკმაყოფილად ჩაიხითხითა, თითქოს მან დაარქვა მეგობრებს სახელები

–კვილს, სახელი წინაპრებიდან ერგო, ხოლო ემბრის, საპნის ოპერის რომელიღაც ვარსკვლავის საპატივცემულოდ. ისინი პულსის

გაჩერებამდე გაგლახავენ თუ სახელებზე დასცინებენ და არც მე ვარ გამონაკლისი.
–კარგი მეგობრები ყოფილან. –წარბი ავწიე

–არა, ისინი მართლა კარგები არიან. ოღონდ არ უნდა გააწვალო სახელებზე.

ამ დროს ხმა მოგვესმა:
–ჯეიკობ! –ყვიროდა ვიღაც

–ბილია? –ვკითხე მე

–არა. –მომეჩვენა რომ ჯეიკობი გაწითლდა. –ეშმაკს ახსენებ და ისიც იქვე გაჩნდება. –ჩაიბურტყუნა მან

–ჯეიკობ, აქ ხარ? –ეხლა ხმა უფრო ახლოდან მოისმა

–ხო. –დაიყვირა ჯეიკმა და ამოიხვნეშა

შანამ ველოდით, სიჩუმე იყო და აი გამოჩნდა ორი მაღალი მუქკანიანი ბიჭი.
პირველი იყო კარგი აღნაგობის თიღქმის ჯეიკობის ნაირი. მას გრძელი შავი თმები ზუსტად ჰქონდა შუაში გადაყოფილი, ერთი მხარე ყურზე გადაეწია მეორე ჩამოშვებული ქონდა. მეორე ბიჭი უფრო დაბალი, მისი თეთრი მაიკის შიგნიდან მოჩანდა დიდი კუნთები, თმა თითქმის გადაპარსული ჰქონდა.
ჩემს დანახვაზე ორივე ბიჭი უცებ შეჩერდა. მაღალი ხან მე ხან ჯეიკობს უყურებდა, ხოლო კუნთებიანი მხოლოდ მე მომშტერებოდა და დიდზე იღიმოდა

–პრივეტ ბიჭებო. –გულგრილად მიესალმა ჯეიკობი

–პრივეტ ჯეიკ. –მიესალმა მოკლე თმიანი ჩემზე თვალ მოუშორებლად. იძულებული ვიყავი გამეღიმა, რაზეს მან თვალი ჩამიკრა და მომესალმა.

–კვილ, ემბრი, ეს ჩემი მეგობარი ბელაა.

კვილმა და ემბრიმ, არ ვიცოდი რომელი რომელი იყო ერთმანეთს გადახედეს.

–შენ ალბათ ჩარლის შვილი ხარ? –მკითხა კუნთებიანმა და ხელი გამომიწოდა

–მართალია. –ვუთხარი და ხელი ჩამოვართვი. ისი ხელი ძლიერი იყო თითქოს ჩემსაზე კუნთის სიძლიერეს სინჯავდა.

–მე კვილ ატეარა ვარ. –გამომიცხადა ვიდრე ხელს გამიშვებდა.

–მოხარული ვარ შენი გაცნობით კვილ.

–ჰეი ბელა, მე ემბრი ვარ, მაგრამ ალბათ უკვე მიხვდი რომელი რომელი ვართ. –მან მორცხვად გაიღიმა და ხელი დამიქნია

–შენი გაცნობითაც ძალიან მოხარული ვარ ემბრი.

–აბა რას აკეთებთ? –იკითხა კვილმა ისევ ჩემზე ყურებით

–ბელა და მე ამ მოტოციკლეტებს ვარემონტებთ. –წარმოთქვა ჯეიკობმა რაღაც თითქოსდა ჯადოსნურზე ლაპარაკობდა. ბიჭებმა ჯეიკობს გამოკითხვა დაუწყეს ჩვენს საქმეზე და მოტოციკლეტების მაწილებზე ლაპარაკობდნენ პროფესიონალური ტერმინებით. მათი უმეტესობა ჩემთვის გაუგებარი იყო, ალბათ აუცილებლათ კაცის ერთი ქრომოსომა უნდა მქონდეს რომ მათ გავუგო.
ისინი გართული იყვნენ თავიანთ საუბარში. როცა გადავწყვიტე რომ ჯობია სახლში დავბრუნდე სანამ ჩარლი აქ მოვა. მანქანიდან გადმოვედი. ჯეიკობმა უხერხულად შემომხედა.

–მოგწყინდა ხომ ჩვენი ლაპარაკის მოსმენა?

–სულაც არა. –მე არ მომიტყუებია ის მართლა მსიამოვნებდა მათი მოსმენა. –უბრალოდ ჩარლის სადილი უნდა დავახვედრო.

–ააა. არგი ამათზე დაჯვირვებას საღამის დავასრულებ და დაგირეკავ თუ რაები დაგვჭირდება მათ აღსადგენად. როდის მოხვალ კიდევ ამათ სანახავდ?

–ხვალ შემიძლია. –ამ ბოლო დროს კვირა ჩემს ჩხოვრებაში საშინელი დღე იყო. სამეცადინო არ მქონდა და სახლის დალაგებასაც მთელი დღე ვერ გავწელავდი რომ ყურადღება გადამეტანა.

კვილმა ემბრის იდაყვი წაკრა და მათ ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.
–გადასარევია! –წამოიძახა გახარებულმა ჯეიკობმა

–თუ საჭირო დეტალების ისას შეადგენ, ერთად წავიდეთ მათ საყიდლად. –შევთავაზე მე

–არა მგონია ნება მოგცე რომ ყველაფერი შენ გადაიხადო.

–არა. –თავი გავაქნიე. –ეს ჩემი წამოწყებაა, მე ფულით უზრუნველყოფ შენ არემონტებ.

ემბრი კვილს ჩამოეყრდნო ჩვენ საუბარში.

–მგონია რომ ეს არასწორია.

–ჯეიკობ ხელოსანთან რომ წამეღო რას ფიქრობ რამდენი დამიჯდებოდა?

–კარგი კარგი. ადამიანის დარწმუნება შეგიძლია. –გაიღიმა მან.

–კიდევ აღარ ვლაპარაკობ მართვის გაკვეთილებზე. –დავამატე მე

კვილმა ემბრის რაღაც ჩასჩურჩულა ვერ გავიგე რა მაგრამ სიცილი ატეხეს. ჯეიკობმა კვილს ხელი წაკრა:
–აბა ბიჭებო თქვენი წასვლის დროა. –უთხრა ჯეიკმა ცივად. –ბელა დარჩი კიდევ.

–არა არა ბიჭებო იყავით. მართლა მეჩქარება. –კარებისკენ წავედი.
–ხვალამდე ჯეიკობ.

როგორც კი გარეთ გამოვედი გავიგონე კვილის და ემბრის ერთდროული წამოძახილი: ოოოო!
ამას მოყვა პატარა ჩხუბის ხმა, რაღაც წამოძახილებით.

–თუ დღეიდან რომელიმე თქვენგანი ჩემს სახლში მოადგამთ ფეხს... –გავიგონე როგორ ემუქრებოდა ჯეიკი მეგობრებს. შემდეგ გავედი ხეებში და აღარ მომისმენია ჯეიკობისთვის.

მე ჩემთვის ვხითხითებდი, და ამ ხმისგან თვალები გაკვირვებით გამიფართოვდა. მე ვიცინოდი, მართლა ვიცინოდი და არა ყალბად ან იძულებით, აქ ხომ არავინ არ იყო, ვიცინოდი მხოლოდ ჩემთვის. ეს იყო ნამდვილი სიცილი და მე ისე თავისუფლად ვგრძნობდი თავს რომ ისევ შევძელი გაცინება.
სახლში ჩარლიზე ადრე მივედი. უკვე სუფრას ვაწყობდი რომ შემოვიდა.

–პრივეტ მამა. –მივესალმე ღიმილით

ის განცვიფრებული მიყურებდა

–ჯეიკობთან კარგად გაერთე?

–ხო, თან ძალიან კარგად.

–კარგია ძალიან კარგი. –ისევ სიფრთხილით მითხრა. –რას აკეთებდით?

ეხლა ჩემი ჯერი იყო სიფრთხილისა.

–ვიყავი მის გარაჟში და ვუყურებდი როგორ მუშაობდა. იცი რომ ფოლცვაგენს არემონტებს?

–ხო, ბილიმ მითხრა რაღაც ამის შესახებ.

დაკითხვა უნდა გაჩერებულიყო როცა ჩარლიმ ჭამა დაიწყო, მაგრამ ის ისევ მაკვირდებოდა სახეზე საჭმლის ღეჭვის დროს.
სადილის შემდეგ სამზარეულოში დავტრიალდი, ორჯერ დავასუფთავე და შემდეგ დავიწყე საშინაო დავალებების ნელნლეა მომზადება. ჩარლი წინა ოთახში ხოკეის თამაშს უყურებდა. ველოდე სანამ არ იკითხა რომელი საათი იყო, ადგა და შუქები ჩააქრო. მეც უკან მივყევი.
კიბეზე რომ ავდიოდი ვგრძნობდი რომ ჩემი განწყობის ბოლო წვეთიდა იყო დარჩენილი. ღამის მოახლოებასთან ერთად შიში გამიჩნდა რისი გადატანაც მომიწევდა ძილში.
მე უკვე აღარ ვიყავი უგრძნობ მდგომარეობაში და დღევანდელი ღამე წინასავით საშინელი იქნებოდა. საწოლზე მოვკალათდი და მთვარეს მივაჩერდი, თვალები მაგრად დავხუჭე და... რაც შემდეგ დავინახე ეს დილა იყო.
მე გაშტერებულმა მივაშტერდი ფანჯრიდან შემოსულ სერ სინათლეს.
ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში პირველად მეძინა კოშმარის და ყვირილის გარეშე. ვერ გეტყვით რომელი ემოცია უფრო ძლიერი იყო შვება თუ შოკი.
ღამოდენიმე წუთის განმავლობაში გაშეშებული ველოდი რომ რაღაც მოხდებოდა ან ტკივილი დაბრუნდება ან უგრძნიბლობა, მაგრამ არაფერიც არ იყო, პირველად ვგრძნობდი ესე თავს დასვენებულად.
ჩემს ოთახში მიმოვიხედე, ის ისე უცნაურად გამოიყურებოდა, მგონი დალაგება ძედმეტად მომივიდა, გოგონებოდათ აქ არავის უცხოვრია დიდი ხანიო.
ცუდი ფიქრები თავიდან მოვიშორე და ჩავიცვი, დღეს ისევ მივდიოდი ჯეიკობთან. ამ აზრმა თითქოსდა სიცოცხლე შემმატა. მე როგორც სხვებთან ვიქცეოდი ბოლო თვეების განმავლობაში: საუბრის დროს ძალით ვიღიმოდი ან თავს ვაქნევდი რომ ინტერესი გამომეხატა, ესე

არ მჭირდებოდა ჯეიკობთან, მაგრამ მთლად ვერ დავრწმუნდებოდი ამაში. დღეს არ მინდა იმედი გამიცრუვდეს.
საუზმობის დროს ჩარლი ისევ ფრთხიობდა, ცდილობდა დაემალა თავისი დაკვირვებული მზერა კვერცხზე ყურებით როცა მეც შევხედავდი.

–რას აპირებ დღეს? -მკითხა ისე თითქოსდა არ აინტერესებდა ჩემი პასუხი.

–ისევ ჯეიკობთან წავალ.

–ჰმ. –ნელა დამიქნია თავი

–წინააღმდეგი ხარ? –თავი ისე მოვაჩვენე თითქოს ავნერვიულდი.
–თუ გინდა სახლში დავრჩები.

მან უცებ შემომხედა და პანიკა დავინახე მის თავლებში.

–არა რავითარ შემთხვევაში, წადი ძვირფასო. ჩემთან მაინც გარი მოვა და თამაშს უნდა ვუყუროთ.

–იქნებ გარის გზად ბილიც წამოეყვანა? –შევთავაზე. ნაკლები მოწმეები უკეთესია

–ეს არაჩვეულებრივი აზრია.

ვიცოდი რომ მხოლოდ თამაშის ყურება არ იყო ჩარლის სიხარულის მიზეზი. ას მართლა უნდოდა რომ ხშირად გავსულიყავი სახლიდან და თავი გამერთო. წვიმის პლაშს ვიცმევდი როცა ბილის ელაპარაკებოდა ტელეფონით.
გარეთ ისე წვიმდა გეგონებოდა ვედროდან ასხამენ წყალსო. იძულებული ვიყავი მანქანა ნელა მეტარებინა რომ გზა დამენახა. ღოგორც იქნა მივაღწიე ჯეიკობის სახლამდე. ძრავა რომ გამოვრთე სახლისკარებიდან ჯეიკობი გამოვარდა დიდი შავი ქოლგით. ქოლგა ჩემს თავზე ეჭირა სანამ მანქანას ვკეტავდი.

–ჩარლიმ დარეკა და გვითხრა რომ ჩვენთან მოდიოდი. –ამიხსნა ჯეიკობმა ღიმილით

ჩემდა გასაკვირად ყველანაირი ძალისხმევის გარეშე გავუცინე ჯეიკობს. ამან თითქოსდა სითბო შემოიტანა ჩემში ცივი წვიმის მიუხედავდა.

–პრივეტ ჯეიკობ.

–კარგი აზრი იყო ბილის დაპატიჟება. –ჯეიკობმა ხელის გული მომიშვირა რომ დამერტყა, ამისთვის ახტომა დამჭირდა რომ ჩემი ხუთიანი მისას მიწვდომოდა. რაზეც ჯეიკობმა სიცილი ატეხა.

რამოდენიმე წუთში გარიმაც მოაკითხა ბილის. ჯეიკობმა ექსკურსია მომიწყო მის პატარა ოთახში, რომ რაიმე ეჭვი არ გამოგვეწვია.

–აბა, რას გავაკეთებთ დღეს ბატონო გუდრენჩ? –ვკითხე ჯეიკს როგორც კი ბილი გავიდა.

ჯეიკობმა ჯიბიდან ფურცელი ამოიღო.

–ჯერ ჯართში წავიდეთ, იქნებ იქ ვნახოთ რაიმე, თორემ ცოტა არ გვეყოფა, ბევრი რამ უნდა რომ მოტოციკლეტები ისევ ამუშავდნენ. –მან ჩემს სახეზე ნერვიულობა ვერ დაინახა და დაამატა. –100 დოლარზე მეტი დაგვჭირდება.

მე ამოვიღე ჯიბიდან ჩემი ჩეკის წიგნი და თვალწინ ავუფრიალე.

–აი, არანაირი პრიბლემა.

დღეს უცნაური დღე იყო. მე ვისიამოვნე. მიხაროდა ცხოვრების ყოველი წუთი, მაშინაც კი როცა ჯართისთვის წავედით იმ სიბინძურეში. ვფიქრობდი რომ ეს დილანდელი შოკის ბრალი იყო, მაგრამ ეს ყველაზე უმნიშვნელო ახსნაა.
შემდეგ ვიფიქრე რომ ამ ყველაფრის მიზეზი ჯეიკობია. მას მუდამ უხაროდა ჩემი ნახვა, სულ ზრუნავდა ჩემზე როცა მის გვერდით ვიყავი, ან რაიმე არ შემთხვევოდა ან ისევ დეპრესიაში არ ჩავვარდნილიყავი.
რათქმაუნდა ყველაფერი ჯეიკობის გამოა. ჯეიკობი უსაზღვროდ ბედნიერი ადამიანი იყო, დამ ას ეს ბედნიერება აურასავით გადაჰქონდა სხვებზეც. ის მზის სხივებივით ათბობდა ყველას. და არ არის გასაკვირი რომ მეც ამიტომ მიხაროდა მის გვერდით ყოფნა. როცა მან დიდი ხვრელი შეამჩნია მანქანაში რადიოს ადგილზე, ამას არ გამოუწვევია ჩემი დეპრესია როგორც სხვა დროს იყო.

–მაგნიტოფონი გაგიფუჭდა?

–ხო. –მოვატყუე მე

–ვინ გამოიღო ის აქედან? ყველაფერი გამოგლეჯილია.

–ეს ჩემი ნახელავია. –გამოვტყდი მე

მან გადაიხარხარა. –მგონი არც ისე ხშირად უნდა მიეკარო მოტოციკლეტებს.
–არანაირი პრობლემა.

ღოგორც ჯეიკობმა თქვა ჯართში მართლა გავიღიმა ბედმა. ის ძალიან გახარებული იყო როცა რამოდენიმე რკინის დეტაილ ნახა. მე ყურადღებით ვუსმენდი როცა მიხსნიდა თუ რისთვის იყო ისინი. შემდეგ ავტომობილების ნაწილების მაღაზიაში წავედით. ჩემი მანქანით ორი საათი დაგვჭირდა ჩასვლა, მაგრამ ჯეიკობთან ერთად დრო უცებ გავიდა. ის ლაპარაკობდა სკოლაზე, მეგობრებზე. მეც ვუსვამდი უამრავ კითხვას და არა ზრდილობისთვის, არამედ მართლა მაინტერესებდა მისი ლაპარაკი. ამის გამო ძალიან გაკვირვებული ვიყავი ჩემს თავზე.

–მხოლოდ მე ვლაპარაკობ. –მითხრა მან როცა დაამთავრა ამბავი თავის მეგობარ კვილზე რომელმაც პაემანზე უფროსკლასელის გოგო დაპატიჟა. –შენზე მოყევი რამე, რახდება ფორქსში, ალბათ იქ უფრო საინტერესოა ვიდრე ჩვენთან

–არც მასეა საქმე. –ამოვიოხრე მე. –მართლა არაფერი მაქვს მოსაყოლი. შენი მეგობრები უფრო საინტერესოები არიან ვიდრე ჩემი. კვილი ისეთი სასაცილოა.

ჯეიკობი შეიჯმუხნა –ხო, კვილსაც მოწონხარ

მე გამეცინა –ის ძალიან ახალგაზრდაა ჩემთვის

ჯეიკობი უფრო გაბრაზდა –დიდი რამე ერთი-ორი წელი.
კვილზე მეტი აღარ გვილაპარაკია. ჟეიკობს გასაწვალებლად დავუწყე ლაპარაკი.

–თუ იმას გავითვალისწინებთ რომ გოგოები უფრო სწრაფად ხდებიან ზრდასრულები ვიდრე ბიჭები, და თუ ამას ჩვენს შორის ასაკს დავუმატებთ 12 წლით გამოვდივარ შენზე უფროსი.

ჟეიკობმა თავლები გადატრიალა და გადაიხარხარა. –კარგი ესეიგი მაწვალებ ხო? მაშინ სანამ დიდათ ჩათვლი თავს ცოტა სიმაღლე არ გაწყენდა, მე 10 წელსაც არ მოგცემდი.

–160 სანტიმეტრი არც ისე პატარაა. რა ჩემი ბრალია თუ შენ ამხელა გახდი.

ასე ვაწვალებდით ერთმანეთს ხოგუიამამდე, ვარკვევდით ვინ რამდენი წლის იყო სინამდვილეში. მე კიდევ 2 წელი დავკარგე რადგან ჩემი მანქანის ნაწილის გამოცვლა არ ვიცოდი, მაგრამ ერთი მოვიმატე როცა გაირკვა რომ საოჯახო ბუღალტერიას ვუძღვებოდი. მაღაზიში რომ მივედით ისევ ვერ ვჩერდებოდით. ჟეიკობს კონცენტრირება მოუწია ჩვენს საყიდლებზე და როცა ყველა ნაწილი ვიყიდეთ მისი სიიდან. მან გამოაცხადა რომ ჩვენი ჯილდოებით დიდი წარმატება გველის.
ჯეიკობის სახლს რომ მივუახლივდით გავარკვიეთ რომ მე 23ის ვიყავი ჯეიკობი 30ის. გამარჯვება აშკარად მის მხარეს იყო.
მე ერთი წუთითაც არ მავიწყდებოდა ჩემი წამოწყების მიზეზი მოტოციკლეტებზე, იმის მიუხედავად რომ ჩემი ცხოვრება შედარებით ბედნიერი იყო. მე ისევ მინდოდა ვყოფილიყავი უპასუხისმგებლო, მინდოდა დამერღვია ჩემი დადებული სულელური პირობა. ჩამედინა რაც შეიძლება დიდი სისულელე ფორქსში, რომ არ ვყოფილიყავი პირობების ერთადერთი დამცველი.
ბილი ისევ არ იყო დაბრუნებული, ამიტომ თავისუფლად გადავაწყვეთ ნაწილები სამუშაო იარაღების გვერდით გარაჟში და ჯეიკობი მაშინვე შეუდგა მუშაობას. ისევ ვაგრძელებდით ლაპარაკს და სიცილს როცა ის ნაწილებს ასუფთავებდა.
ჯეიკობს მართლაც ოქროს ხელები აქვს. ისინი ცოტა დიდი იყვნენ ფაქიზი სამუშაოსთვის მაგრამ არაჩვეულებრივად ართმევდნენ თავს. მუშაობის დროს ის ძალიან მომხიბვლელად და ჰაეროვნად გამოიყურებოდა რასაც ვერ ვიტყოდი როცა მეფზე იდგა და მისი სიდიდის გამო საშიშადაც გამოიყურებოდა.
კვილი და ემბრი აღარ გამოჩენილან, ალბათ გუშინ ჯეიკობის მუქარამ გაჭრა.
დღე სწრაფად გავიდა. არ ველოდი ისე ჩამობნელდა და ბილის ხმაც გავიგონე რომელიც ჩვენ გვეძახდა.
წამოვხტი რომ ჯეიკობს ნივთების მილაგებაში დავხმარებოდი, მაგრამ ვერ გავარკვიე სედან დამეწყო.

–შეეშვი. –მითხრა ჯეიკობმა –საღამოს ჩემით მივალაგებ.

–სკოლის დავალებები არ დაივიწყო, ამ მოტოციკლეტების გამო. –ვუთხარი ცოტა დამნაშავედ, არ მინდოდა ჩემი გულისთვის უსიამოვნებები ქონოდა სკოლაში

–ბელა?

ორივემ უცებ ავწიეთ თავები როცა ჩარლის ხმა გავიგეთ.

–ფუ ჯანდაბა. –ჩავიბურტყუნე. –წასაყვანად მომაკითხა

–წავიდეთ დროზა. –გაიცინა ჯეიკობმა და სინათლე ჩააქრო, ამის გამო უცებ თავალები დამიბრმავდა. ჯეიკობმა ხელი მომკიდა და გარაჟიდან გამიყვანა, მან ადვილად გააგნო ნაცნობ გზას. მისი ხელი უხეში მაგრამ ძალიან თბილი იყო.
სუფთა ბილიკის მიუხედავად მაინც ვბორძიკობდით. სახლი რომ გამოჩნდა ისევ ვხარხარებდით ჩვენ მოუხერხებლობაზე. იმედია ვერ შეამჩნია რომ ჩემი სიცილი ისტერიკულში გადაიზარდა. ეს იმის ბრალი იყო რომ კარგა ხანია არ მიცინია, რაც სწორიც და თან არასწორიც მეგონა.
ჩარლი კარებში იდგა, ბილი კი თავის სავარძელში იქვე იყო.

–პრივეტ მამა. –მივესალმე მე, ჯაიკმა თავი დაუკრა. ისევ აგვიტყდა სიცილი

ჩარლი აგაფრთოვებული თვალებით მიყურებდა, რომლებიც გაბრწყინდნენ როცა დაინახა რომ მე და ჯეიკობს ხელი გვქონდა ჩაკიდებული.

–ბილიმ სადილად დაგვპატიჟა. –მითხრა ჩარლიმ

–უმაღლესი ხარისხის სპაგეტი, ჩემი საიდუმლო რეცეპტით, რომელიც წინაპრებიდან გვაქვს. –თქვა ბილიმ სერიოზულად

სახლი გავსებული იყო ჩემთვის უცნობი და ნაცნობი სტუმრებით. აქ იყო გარი კლირვოტერი თავის ცოლშვილთან ერთად – მისი მეუღლე სიუ, რომელიც ჩემი ფორქსში ზაფხულის არდადეგებიდან მახსოვდა პატარაობაში და ორი შვილი. ფროსი ლეა რომელიც ძალიან ლამაზი იყო, ყავისფერი ეგზოტიკური კანით, ბზინვარე შავი თმით და სქელი დიდი წამწამებით. ლეა, რომ შევედით ბილის ტელეფონით ჭორაობდა და მგონი არც აპირებდა ყურმილის დაკიდებას. უმცროსი ბიჭი სეტი 14ის იყო და ის აღფრთოვანებით იჭერდა ჯეიკობის ყველა სიტყვას.
სტუმრები მართლაც ბევრი იყვნენ და ყველა ვერ დავეტიეთ სასადილო მაგიდაზე ამიტო, გარიმ და ჩარლიმ სკამები გარეთ გამოიტანეს და სპაგეტს მუღლებზე დადებული თებშიდან ვჭამდით, მაგრამ აქ იყო რაღაც სასიამოვნო და მხიარული. ზოგიერთი მაგიდასთან დღევანდელ თამაშს არჩევდა, ჩარლი და გარი თევზაობაზე ლაპარაკობდნენ. ჯეიკობი ხან მე ხან სეტს მელაპარაკებოდა რომელიც სულ აწყვეტინებდა რომ ყურადღება ჯეიკობს მასზე გადაეტანა.
ჩარლი მადევნებდა თვალს კმაყოფილი მაგრამ ისევ ფრთხილი მზერით.
ხმები ხმამაღლა ისმოდა. ყველა სხვადასხვა თემაზე ლაპარაკობდა და ერთის სიცილი მეორეს ლაპარაკს ფარავდა. მე არ მინდოდა

ხშირად ლაპარაკი მაგრამ ბევრს ვიცინოდი, რადგან მე ვგრძნობდი რომ ამ ხმაურიანი მხიარული კომპანიის ნაწილი ვიყავი.
წასვლა არ მინდოა.
მაგრამ ეს ხომ ვაშინგტონია. წვიმა დაიწყო, იძულებული ვიყავით სახლში შევსულიყავით და რადგან ბილის პატარა ოთახში ვერ დავეტეოდით ყველანი. გარიმ ჩარლის მანქანა წაიყვანა, ასე რომ სახლში მე და ჩარლი ჩემი პიკაპით წავედით. ჩარლი დაინტერესდა როგორ გავატარე დღე და მეც ნაწილობრივ სიმართლე ვუამბე. ვუთხარი რომ ნაწილების შესაძენად დავდიოდით და შემდეგ ვუყურებდი როგორ აკეთებდა ჯეიკობი მანქანას.

–როდის ფიქრობ ისევ მისვლას მასთან? –შეეცადა კითხვა დიდი ინტერესის გარეშა დაესვა.

–ხვალ, სკოლის შემდეგ. –ვუთხარი მე. –გაკვეთილებს ვიმეცადინებ და წავალ.

–აუცილებლად იმეცადინებ. –თქვა მკაცრო ტონით, რომ სიხარული დაეფარა.

აღელვებული ვიყავი სახლში რომ მივედით. რ მინდოდა ზემოთ ასვლა. ჯეიკობთან განშორების შემდეგ შიში უფრო იმატებდა. დარწმუნებული ვიყავი რომ ორი მშვიდი ღამე ერთდროულად შეუძლებელია.
დრო რომ რამენაირად გამეწელა დაძინებამდე. ჩემი ფოსტა შევამოწმე. რენესგან წერილი მოვიდა.
ის მწერდა სახლის საქმეებზე, მის ახალ ლიტერატურულ კლუბზე რომელშიც ჩაეწერა მედიტაციის კურსების ნაცვლად რომელიც როგორც ჩანს უკვე მობეზრდა. წერდა რომ მთელი კვირა სკოლაში მუშაობდა და უკვე მოენატრა მისი ბაღის ბავშვები. სევე წერდა რომ ფილი კმაყოფილია თავისი წვრთნებით და რომ თაფლობის თვის მეორედ გატარებას დისნეილენდში აპირებენ.
შევამჩნიე რომ ეს წერილი გეგმის ჩაბარებას უფრო გავდა ვიდრე ჩვეულებრივ წერილს. სინდისმა შემაწუხა, კარგი შვილი მქვია მე? როცა ამდენი ხანია დედა არ მომიკითხავს, მხოლოდ ჩემზე ვფიქრობ. უცებ დავწერე საპასუხო წერილი, დაწვრილებით გავეცი მის ყველა კითხვას პასუხი და ჩემი ამბებიც დავამატე, ჯეიკობზე, დღეს გატარებულ საღამოზე. ს წერილი ძალიან განსხვავდებოდა იმათგან რომელსაც იშვიათად ვუგზავნიდი ბოლო თვეების განმავლობაში. მე ერთი წინადადებაც ვერ მოვიგონე წერილიდან რომელიც წინა კვირაში მივწერე, მაგრამ ვიცი რომ ის არცისე სასიამოვნი იყო, ამან უფრო ცუდად გამხადა. აწი უფრო მეტი დრო უნდა დავუთმო დედას. წერილის დაწერის შემდეგ, დავალება რაც შეიძლება ნელა შევასრულე და იმაზე მეტიც გავაკეთე რაც მოცემული გვქონდა.

მაგრამ არც ჩემი ძალადობრივი სიმხნევე და არც ჯეიკობთან გატარებული დღე არ მაძლევდა მშვიდი ღამის გარანტიას. უცებ გამომეღვიძა და ბალიშმა დაახშო ჩემი ყვირილის ხმა. საწოლში ვიწექი და ვცდილობდი გონზე მოვსულიყავი, ფანჯრიდან ცანდა როგორ შემოდიოდა ნისლში დილის სინათლე.
ეს ღამე ცოტათი განსხვავდებოდა სხვებისგან და შეეცადე სიზმარი გამეხსენებინა. ეხლა ტყეში არტ ოარ ვყოფილვარ. ეს უჩვეულო იყო ჩემი კოშმარისთვის, მოვლენების უცნაური შემობრუნება. იქ იყო სემ უილი. მან მიწიდან წამომაყენა და თვალებში შემხედა. ჩემი თავი თითქოს ნისლში იყო გახვეული. ბიჭის შავი თავლები ბოროტებით ანათებდნენ და რაღაც საიდუმლოს მალავდენე, რომლის გამხელას ჩემთვის არ აპირებდა. მე მივჩერებოდი შეცბუნებული და ვერ ვაშორებდი თვალს. მისი სილუეტი იყო რაღაც არაზუსტი ბუნდოვანი. მართალია სემი არაფერს აკეთებდა მხოლოდ იდგა და მიყურებდა ეს საშინელ შიშში მაგდებდა.
საუზმობისას ჩარლი ისევ არ მაშორებდა თვალს, მე კი თავს ვაჩვენებდი თითქოს ვერ ვამჩნევდი ამას. მე მისი მესმოდა და არც ველოდი სხვა რამეს. მე იმდენი ხანი ვიცხოვრე უაზროდ, ვერ იჯერებდა რომ სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა. ალბათ კვირეები გავა სანამ შეწყვიტავს ჩემში სევდის ძებნას და მე ამაზე ფიქრს. ბოლოს და ბოლოს მე თვითონ მივხვდები თუ დავიწყებ ძველ დროში დაბრუნებას, ორი დღე არაა საკმარისი განსაკურნებლად. სკოლაში კი ყველაფერი პირიქით იყო. მე არავინ მაქცევდა ყურადღებას.
მე გავიხსენე ჩემი პირველი დღე სკოლაში როცა ვოცნებობდი ამ სვალ ასფალტს ჩავეტანე რომ შეეწყვიტათ ჩემზე ყურადღების მოქცევა. მგონი ერთ წელიწადში ეს გამომივიდა.
მეჩვენებოდა რომ საერთოდ არ ვარსებობ სკოლის მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებიც თითქოს ცარიელ ადგილს ისე მიყურებდნენ.
მთელი დილა ყურს ვუგდებდი მოსწავლეების ლაპარაკს. მაგრამ არცერთი მათგანი მე არ მეხებოდა და დავნებდი.
ჯესიკამ არც შემომხედა როცა მის გვერდით დავჯექი მათემატიკაზე.

–პრივეტ ჯეს. –რაც შეიძლება ნაზად ვკითხე. –როგორ გაატარე დასვენების დღეები?

–კარგად. –მიპასუხა და წიგნში ჩარგო თავი.

–ძალიან კარგი. –წავიბურტყუნე მე. არ ვიცოდი სხვა რა მეთქვა.

ჩემამდე მოვიდა “ცივი შეხვედრის” აზრი და მოუხედავად იმისა რომ კლასში თბილოდა, სემაკანკალა და კურტკა მოვიხურე ბეჭებზე.

მეოთხე გაკვეთილზე ცოტა შეგვაყოვნეს და როცა სასადილოში შევედი ადგილი ჩემს მაგიდასთან დაკავებული იყო. იქ იჯდნენ მაიკი, ჯესიკა, ანჟელა, კონერი, ტაილერი, ერიკი და ლორენი. რიჟა კეიტი მარშალი რომელიც უმცროს კლასებში სწავლობდა და ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ერიკის და ისწინის შუაში იჯდა. ჩემი ადგილი თითქმის აღარ იყო. მე ვფიქრობდი რამდენი ხანია ისინი ამ შემადგენლობით ზიან და როდის მერე გადაიქცა ეს მათ ჩვეულებად? ჩემს თავზე გავბრაზდი. ალბათ მთელი სემესტრის განმავლობაში ცოცხლად დავიმარხე თავი სკოლისთვის და მეგობრებისთვის. არავინ არ მომაქცია ყურადღება როცა მაიკის გვერდით დავჯექი, მიუხედევათ იმისა რომ საშინლად გავაჭრაჭუნა სკამი როცა ვაჩოჩებდი.
შევეცადე საუბარში ჩავრთულიყავი. მაიკი და კონერი მატჩს განიხილავდნე, ამიტომ მათ შევეშვი.

–სად გაქრა ბენი დღეს? –კითხა ლორენმა ანჟელას. მე ყურები დავქაჩე. საინტერეოსა ნიშნავდა ეს იმას რომ ანჟელა და ბენი ერთად იყვნენ?!

მე ძლივს ვიცანი ლორენი. ას თავისი გრძელი ქერა თბები ძალიან მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. ამაინტერესა რა გახდა მიზეზი მისი ესეთი შეცვლისა? იქნებ საღეჭი რეზინი ჩაეწება და ვეღარ ამოიღო ან იქნებ გაყიდა თმები ან დაიჭირეს იმათმა ვიზეც ჭორაობდა და გადახოტრეს თმა? ოლოს გადავწყვიტე რომ არასწორი იყო მისი განსჯა ჩემი მხრიდან, როგორც მივხვდი კარგი ადამიანი გახდა.

–რაღაც კუჭზე აქვს პრობლემები. –უპასუხა ანჟელამ თავისი წყანარი ხმით. –ვფიქრობ მალე გამიჯანმრთელდება, მაგრამ გუშინ ძალიან ცუდად იყო.

ანჟელამაც შეიცვალა ვარცხნილობა. როგორც იქნა განთავისუფლდა უკან შეკრული კუდისგან.

–რას აკეთებდით ამ შაბათ-კვირას? –კითხა ჯესიკამ და ვშიშობ იმიტომ რომ მერე თავისი ამბავი მოეყოლა, ფიქრობდა თუ არა ის ჩვენი გამგზავრების ამბავის გარჩევას აქ როცა რამოდენიმე სანტიმეტრში ვიჯექი მისგა? ან რას იტყოდენ ბავშვები ჩემს აქ ყოფნაში.

–ჩვენ პიკნიკის მოწყობა გვინდოდა მაგრამ გადავიფიქრედ. –თქვა ანჟელამ. ამ სიტყვებზე ისევ გამოვცოცხლდი.

ჯესიკამაც გააკეთა რეაგირება. –პიკნიკი გადადეთ, რა საშინელებაა. –მგონი ერთადერთი არ ვიყავი ვისაც ეს თემა დააინტერესა.

–რატო, რა მოხდა? –ცნობისმოყვარედ კითხა ლორენმა.

–მმმ –ანჟელა ფიქრობდა –ჩვენ ჩრდილოეთით წავედით ტყეში, იქ არაჩვეულებრივი მდელოა, მაგრამ შუა გზაზე მოგვეჩვენა რომ...

–რა მიგეჩვენად? რა იყო? –ლორენის ღია წარბები ერთად შეიყარა. ჟესიც კი დაინტერესდა ამ ამბიტ.

–არ ვიცი. –თქვა ანჟელამ. –ვფიქრობთ რომ ეს ჩვეულებრივი დათვი იყო, მაგრამ მაინც ძალიან შავი და დიდი.

ლორენმა ჩაიცინა –ჯანდაბა შენ ანჟელა. –მისი თვალები დამცინავად უყურებდნენ და მივხვდი რომ მან მარტი ვარცხნილობა შეიცვალა თვითონ იგივე დარჩა.

–კიმაგრამ ეს სიმართლეა. –წყნარად შეეწინააღმდეგა ანჟელა. –ჩვენ მართლა დავინახეთ ის.

ლორენმა ჩაიხითხითა. მაიკი ისევ ჩართული იყო თავის საუბარში და არ აქცევდა გოგონების ლაპარაკს ყურადღებას.

–მე ვიცი, ის სიმართლეს ამბობს. –მოუთმენლად წამოვიძახე მე.
–შაბათს ჩვენ ტურისტი ვნახეთ და გვითხრა რომ ქალაქთან ახლოს დიდი შავი დათვი ნახა. მაიკ შენც ხომ გააიგონე ეს?

  უცებ ყველანი გაშეშდნენ. ღამოდენიმე თვალი ერთად მომაჩერდა გაუგებრობით. იმ ახალმა გოგმ კეიტმა იმხელაზე დააღო პირი თითქოს მის თვალწინ აფეთქება მოხდა.

–მაიკ. –უკვე მშვიდად ვთქვი მე. –ხომ გახსოვს ის კაცი დათვზე რომ გვიყვებოდა.

–მმმ ხხო. –ცოტა წაიბლუკუნა მაიკმა. ვერ გავიგე რატომ მიყურებდა ესე დაბნეული. ე ხომ ველაპარაკე მას ამის შესახებ სამსახურში? თუ არ ველაპარაკე?

მაიკი გამოცოცხლდა ჩემი დაბნეულობა რომ დაინახა. –ხო რათქმაუნდა, ერთი კაცი იყო მაღაზიაში და თქვა რომ სატურისტო ბილიკზე უზარმაზარი შავი დათვი ნახა.
–ჰმ –ლორენმა წყენით წარმოთქვა, ჯესიკას მიუბრუნდა და საუბრის თემა შეცვალა.

–მოგივიდათ პასუხი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან? –იკითხა მან

ეხლა ანჟელას და მაიკის გარდა ყველა უსმენდა ლორენს. ანჟელამ ფრთხილად გამიღიმა და მეც საპასუხი ღიმილი ვაჩუქე.

–შენ რას აკეთებდი ამ დასვენებებზე ბელა? –ძალიან ფრთხილად მკითხა მაიკმა

–პარასკევ საღამოს მე და ჯესი პორტანჯელესში ვიყავით კინოში. შაბათს და კავირას კი ლა-პუშში ვიყავი.

ზერა ჯერ ჯესიკას შემდეგ მე მომაპყრეს. ჯესიკა ნაწყენი ჩანდა. ვფიქრობდი რომ ან საერთოდ არ უნდოდა ამ ამბის მოყოლა ან თვითონ სურდა რომ ეამბო.

–რა ფილმს უყურეთ? –ღიმილით მკითხა მაიკმა

–"ჩიხი" ზომბებზე იყო. –მე დავიჭყანე. იქნებ გამოვასწორო ამ თვეების გამოთიშვა ცხოვრებიდან

–გავიგე რომ ფილმი ძალიან საშიშია, მართალია? –მკითხა მაიკმა რომელსაც აშკარად უნდოდა ჩვენი საუბრის გაგრძელება.

–ბელას ისე შეეშინდა არც დაელოდა დამთავრებას, გარეთ გამოვარდა. –ეშმაკურად გაიღიმა ჯესიკამ.
მე თავი დავაქნიე და შევეცადე უხერხულობა გამომეხატა.
–მართლაც საშიში ფილმია.

სადილის ბოლომდე მაიკი არ წყვეტდა ჩემთან ლაპარაკს. დანარჩენებმაც დაიწყეს ერთმანეთისი ლაპარაკი. ანჟელა მე და მაიკს ჩაგვერთო. როცა ავდექი რომ ფოდნოსიდან ნარჩენები გადამეყარა ანჟელაც გამომყვა.

–მადლობა. –წყნარად მითხრა მან

–რისთვის?

–იმიტომ რომ მე დამიჭირე მხარი.

–არანაირი პრობლემა. –გავუღიმე მე

ან ფრთხილად შემომხედა. –ადამიანს ყველაფერი მოსდის. თავს კარგად გრძნობ?

აი რატომ ავირჩიე პორტ-ანჯელესში წასასვლელად ჯესიკა. რათქმაუნდა მე ანჟელა უფრო მომწონდა მაგრამ მას ყველაფერი ძალიან ახლოს და სერიოზულად მიჰქონდა გულთან.

–მე უკვე კარგად ვგრძნობ თავს.

–ძალიან მიხარია. –მიპასუხა მან. –ძალიან მენატრებოდი.

ამ დროს ლორენმა და ჯესიკამ ჩაგვიარა გვერდი. ლორენმა ჯესს გადაუჩურჩულა: რა ბედნიერებაა, ჩვენი ბელა დაგვიბრუნდა.

ანჟელამ თვალები გადაატრიალა და გამიღიმა. მე ამოვიხვნეშე. მგონი ყველაფერი ლაგდებოდა თავთავის ადგილზე.

–დღეს რა რიცხვია? –უცებ ვიკითხე მე

–19 იანვარი.

–ჰმმმ.

–რა იყო?

–გუშინ შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ რაც პირველად მოვედი ამ სკოლაში.

–ვფიქრობ არაფერი არ შეცვლილა მას შემდეგ. –ჩაიბურტყუნა ანჟელამ ჯესიკაზე და ლორენზე ყურებით.

–ხო, მეც მაგაზე გავიფიქრე. –ღიმილით ვითხარი მე

თავი მეშვიდე

განმეორება

ვერ გამეგო რა ჯანდაბას ვაკეთებდი აქ. მინდოდა თუ არა ისევ ზომბირებულ მდგომარეობაში თავის ჩაგდება? ან იქნებ მაზოხისტად ვიქეცი რომელიც წამებისკენ მიისწრაფის? აუცილებელი იყო ლა-პუშში წავსულიყავი და ჯეიკობის გვერდით ვყოფილიყავი, სადაც

თავს კარგად ვგრძნობდი. ხოლო აქ მოსვლა არ იყო საუკეთესო გადაწყვეტილება.
მე მაინც ვაგრძელებდი გზას მივუყვებოდი ბილიკს ხეებს შორის რომელებიც მწვანე გვირაბს ქმნიდნენ. ხელები მიკანკალებდა ამიტომ მაგრად მოვუჭირე საჭეს.
ვიცოდი რომ ერთერთი მიზეზი ამისა იყო ჩემი კოშმარი, ახლაც კი როცა არ მძინავს სიცარიელე ბურღავს ჩემს ნერვებს როგორც ძაღლი ძვალს.
არსებობდა ვიღაც ვინც უნდა მომეძებნა. მიუწვდომელი და შეუძლებელი, უგრძნობი და დაკარგული... მაგრამ ის სადღაც აქ იყო. მე უნდა მჯეროდეს ამის.
მეორე მიზეზი იყო უცნაური გრძნობა დეჟა-ვიუ, რომელიც დღეს სკოლაში განვიცადე – თარიღის დამთხვევა. მე დავიწყე ფიქრი თუ როგორი იქნებოდა ჩემი პირველი დღე სკოლაში თუ მართლაც უჩვეულო პერსონა ვიქნებოდი.
სიტყვებმა თავში გაირბინეს, თითქოს ვკითხულობდი მათ და არ მესმოდა როგორც წარმოთქვეს:
ყველაფერი ისე იქნება თითქოს არც მიარსებია.
მე ვატყუებდი საკუთარ თავს მხოლოდ ორი მიზეზის მოგონებით. არ მინდოდა სიმართლის აღიარება.
სიმართლე ის იყო რომ მე ისევ მნდოდა მისი ხმის გაგონება, ისევე როგორც ჰალუცინაციაში პარასკევ საღამოს. მაშინ მისი ხმა ჩემში გაჩნდა არა როგორც მოგონება, არამედ როგორც რეალური. ის იყო ცოცხალი და არა როგორც ექო ჩემს მახსოვრობაში.
და მე შემეძლო მისი მიღება ტკივილის გარეშე. ვიცოდი ეს წუთები სამუდამოდ არ გაიწელება, ტკივილი მაინც დამეწევა, ასე რომ აქ მოსვლა მართლაც სისულელე იყო. მაგრამ ეს ძვირფასი წუთები როცა მისი ხმის გაგონება შემეძლო, უსაზღვრო ცდუნება იყო ჩემთვის.
ეხლა გასაღები უნდა მოვძებნო იმისა თუ როგორ გავიმეორო იმ ღამის გამოცდილება, უფრო სწორედ გამოცდილება არა, ის ეპიზოდი.
ვიმედოვნებდი რომ სწორედ დეჟა-ვიუ იყო გასაღები. ამიტომ მივდიოდი მის სახლში, იმ ადგილზე სადაც დიდი ხანია არ ვყოფილვარ, ჩემი დაბადების დღის წყეული წვეულების შემდეგ. ხეები როგორც ჯუნგლებში ისე იყო ჩამოხლართული და ედებოდნენ ჩემი მანქანის მინებს. გზა გაიწელა და გაიწელა. მე ანერვიულებულმე სიჩქარეს მოვუმატე. რამდენი ხანია მოვდივარ? უკვე არ უნდა მოვსულიყავი სახლთან? წვრილი გზა ისე გაფართოვდა რომ გამიკვირდა.
რა მოხდება სახლი რომ ვერ ვნახო? მე შემაკანკალა. იქნებ ეს მტკიცებულებაც აღარაა?

უცებ ხეებს შორის დავინახე, ის რასაც ვეძებდი, ოღონდ ეხლა ის აღარ იყო იმდენად შესამჩნევი როგორც ადრე. ბუნება არ იცდის სანამ დაბრუნდება პატრონი. სახლის ირგვლივ გეგონებოდათ რომ ყველაფერი სიმწვანეში ჩაიძირა.
სახლი ადგილზე იყო, მაგრამ სხვაგვარად გამოიყურებოდა. გარედან არაფერი შეცვლილა, მაგრამ სიცარიელე მაინც ყვიროდა ფანჯრებიდან. ეს საშინელი სანახავი იყო. პირველად როცა დავინახე ეს ლამაზი სახლი, ის გავდა ადგილს სადაც ვამპირები ცხოვრობდნენ.
ფეხი მუხრუჭს დავარტყი და სახლს თვალი მოვაშორე. მეშინოდა წინ წასვლა.
მე გავშეშდი საკუთარი თავის მოსმენით მაგრამ არაფერი მოხდა, ვერაფერი გავიგონე. ამიტომ ძრავა ჩართული დავტოვე და გადმოვედი. იქნებ როგორც პარასკევ საღამოს ნაბიჯი უნდა გადავდგა.
მე ნელა წავედი ცარიელი სახლისკენ, ზურგს უკან დამამშვიდებლად პიკაპის ძრავა მუშაობდა. გავჩერდი პირველ საფეხურებზე რადგან აქ არაფერი არ იყო, არანაირი ნიშანი მათი არსებობის... მისი არსებობის. სახლი ისევ აქ იყო მაგრამ ეს ძალიან ცოტას ნიშნავდა. მისი არსებობა არ იყო ჩემი კოშმარებისთვის დაბრკოლება.
მეტი აღარ მივუახლოვდი არ მინდოდა ფანჯარაში შეხედვა.
არ მეგონა რომ უფრო მძიმე იქნებოდა ცარიელი ოთახების ნახვა, რომელიც სიცარიელის ექოს გამოცებდა იატაკიდან ჭერამდე, ეს მართლაც მტკივნეეულია. როგორც ბებიას პანაშვიდებზე დედამ არ გამაჩერა სახლში მითხრა რომ მე არ უნდა ვნახო ის ესე, რომ ბებია ცოცხალი უნდა დამამახსოვრდეს.
იქნებ უარესია იმის ნახვა რომ ყველაფერი ძველებურადაა? თუ ავეჯი ისევ ისე ეწყო როგორც ვნახე ბოლოს, იგივე სურათები კედლებზე და რაც ყველაზე უარესია – დიდი შავი როიალი?! ეს ყველაფერი მხოლოდ გააძლიერებდა სიცარიელის გრძნობას. ხალხი ვინც აქ ცხოვრობდა თან წაიღეს ის რაც აქაურობას სიცოცხლეს მატებდა. სახლში რომელიც აქ დარჩა მიტოვებული და დავიწყებული, აღარ იყო მასში სიცოცხლე.
ძუსტად ისევე როგორც ჩემში.
ზურგით მივბრუნდი სახლისკენ და მანქანისკენ გავემართე. თითქმის მივრბოდი, მცდელობით რომ მალე დავბრუნებულიყავი ადამიანურ სამყაროში. თავს გამოცლილად ვგრძნობდი და ძალიან მინდოდა ჯეიკობის ნახვა. მგონი ახალი დაავადება არმომაჩნდა: პათოლოგიური მოთხოვნელება საუბარში, ისევე როგორც უგრძნობლობა აქამდე.
ეს არცისე მაღელვებდა. პიკაპი რაც შეიძლება ჩქარა მიმყავდა რომ ჩემს ფიქრებს გავქცეოდი.
ჯეიკობი მელოდა და მაშინვე მოვეშვი როცა დავინახე, სუნთქვაც ნორმალური გამიხდა.

–პრივეტ ბელა! –დაიყვირა მან

მე შვებით გავიღიმე –პრივეტ ჯეიკობ! –და ხელი დავუქნიე ბილის რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა

–წავიდეთ, ვიმუშაოდ? –იკითხა ჯეიკობმა წყნარი მოუთმენელი ხმით რაღაც სასწაულით მე სიცილის ხასითზე ვიყავი.

–შენ რა მართლა ამბობ? ნუთუ არ ამოგიხვედი ყელში? –გავიკვირვე მე

ჯეიკობმა სახლს შემოუარა და თავისი გარაჟისკენ წავიდა.

–არა, ჯერ ჯერობით არა. –მითხრა მან

–ხომ მეტყვი როცა უკვე ნერვებს მოგიშლი? არ მინდა შენთვის თავის ტკივილი გავხდე.

–კარგი. –მან ჩახლეჩილად გაიცინა. –მაინც ვერ გაგიძლებდი.

გარაჟში რომ შევედი გავოცდი ნანახით, მეტალის ნაწილების ნაცვლად ეხლა წითელი მოტოციკლი იდგა, უფრო სწორედ ემგვანებოდა მოტოციკლს.

–ჯეიკ შენ არაჩვეულებრივი ხარ. –ამოვისუნთქე მე

მან ისევ გაიცინა –მე შეპყრობილი ვხდები ჩემი პროექტით. –მან ბეჭები აიჩეჩა. –მაგრამ ტვინი რომ მქონდეს უფრო ნელა შევაკეთებდი.

–რატომ?

ის ძირს იყურებოდა გაჩუმებული, გავიფიქრე გაიგონა მან ჩემი კითხვა? როგორც იქნა შემეკითხა:

–ბელა, რომ გითხრა რომ არ შემიძლია ამ მოტოციკლეტების შკეკეთება, რას იტყვი?

არც მე მიპასუხია იმწუთას. ჯეიკობმა შემომხედა ჩემი გამომეტყველება რომ დაენახა.

–ნუ, მე ალბათ გეტყოდი რომ... ძალიან ვწუხვარ, ჯეიკობ, მაგრამ დაგენიძლავები რომ რაიმეს მოვიფიქრებდით. ხოლო საერთოდ იმედ

გადაწურულები, საშინაო დავალებების შესრულებაში მაინც მოგეხმარებოდი.

ჯეიკობმა გაიღიმა და მისი ბეჭები მოეშვნენ. ის მოტოციკლეტთან დაჯდა და ქანჩი აიღო ხელში

–ესეიგი ამბობ რომ მე რომ ამ მოტოციკლეთებს გავაკეთებ მაინც მოხვალ მასშემდეგ ჩემთან?

–აი, თურმე რას გულისხმობ. –თავი გავაქნიე. –ვფიქრობ რომ შევძლებ გამოვიყენო შენი ნიჭი სხვა რაღაცეებზე, მოტოციკლეტების შემდეგ, ჯეიკობ. –სერიოზულად ვთქვი. –სანამ ნებას მაძლევ რომ მოვიდე, მოვალ.

–ისევ კვილის ნახვაზე ოცნებობ?

–შენ მე კბილი ჩამასვე.

მან ჩაიხითხითა –შენ მართლა მოგწონს გაატარო შენი თავისუფალი დრო ჩემთან?

–ძალიან, ძალიან. და დაკიმტკიცებ კიდეც. ხვალ სამსახურში უნდა წავიდე, მაგრამ ოთხშაბათს მოვალ და რაიმე არამექანიკური გავაკეთოდ

–მაგალითად?

–წარმოდგენაც არ მაქვს. შეიძლება ჩემს საყვარელ ადგილზე წავიდეთ, იმედია იქ არ იქნები შეპყრობილი შენი საქმით. შეგიძლია თან სკოლის დავალებები წამოიღო, ცოტა მეცადინეობა არ გაწყენდა და მეც დაგეხმარები ამაში.

–ხო კარგი, საშინაო დავალებები მართლაც კარგი იდეა. –მან სახე დამანჭა და დავუფიქრდი რამდენი საშინაო დავალება არ ქონდა შესრულებული რომ ჩემს გვერდით ყოფილიყო.

–ხო, -დავეთანხმე მე. –ხანდახან მაინც უნდა მოვიქცედ წესიერად, თორემ ბილი და ჩარლი არ მოეკიდებიან ამას მშვიდად. –მე ხელით ერთმანეთზე როგორც ერთიანზე ისე მივანიშნე. მას ეს მოეწონა და სახე გაუბრწყინდა.

–საშინაო დავალებები კვირაში ერთხელ. –შემომთავაზა მან

–მგონი უკეთესი იქნება ორჯერ კვირაში. –სევთავაზე მე, და გავიფიქრე რამხელა ტვირთს ვიღებდი ჩემს თავზე.

მან ამოისუნთქა, თავისი ინსტრუმენტები გადადო და იქვე ცელოფნისკენ გაიწია. იქედან ორი ბოთლი გაზირებული წყალი ამოიღო, გახსნა ერთი და მე გადმომცა, მეორეც გახსნა და ცერემონიულად დაიკავა ხელში

–პასუხისმგებლობას გაუმარჯოს. –წარმოთქვა სადღეგრძელო.
–ორჯერ კვირაში

–და უპასუხისმგებლობას დანარჩენ დღეებში. –ავღნიშნე მე

მან გაიცინა და ბოთლი მომიჭახუნა.
სახლში იმაზე გვიან დავბრუნდი ვიდრე საჭირო იყო. ჩარლის უკვე შეუკვეთავს პიცა. ან მობოდიშების უფლება არ მომცა.

–საერთოდ არ გიბრაზდები. –წინასწარ მითხრა როცა ჩემი დამნაშავის გამომეტყველება დაინახა. –როგორც არ უნდა იყო, ზოგჯერ უნდა დაისვენო საჭმელების კეთების და საერთოდ საოჯახო საქმეებისგან.

ვიცი რომ ის დამშვიდდა ნორმალური ადამიანივით რომ ვიქცევი, მაგრამ არ აპირებდა ნავის გადაბრუნებას.
სანამ საშინაო დავალებებს შევუდგებოდი, ელექტრონული ფოსტა შევამოწმე. რენესგან გრძელი წერილი იყო მოსული. ის დაწვრილებით მეკითხებოდა ჩემს წინა წერილის შესახებ, რომელიც მივწერე. მიტომ იმწამსვე ახალი დავწერე ყველაფრის აღწერით მოტოციკლეტების გარდა. რენეც კი ანერვიულდებოდა ეს რომ გაეგო.
სამშაბათს სკოლამ მოიტანა სიხარულიც და წყენაც.
ანჟელა და მაიკი მზად იყვნენ თავიანთ გარემოცვაში მივეღე. ჟესიკა კი უფრო თავ შეკავებული იყო. ვიფიქრე იქნებ წერილი უნდა გავუგზავნო მობოდიშებით პორტანჯელესში მომხდარისთვის.
მაიკი გამოცოცხლებული იყო სამსახურში. თითქოს მთელი სემესტრის განმავლობაში დააგროვა სალაპარაკო და ეხლა ჩანჩქერივით მოედინებოდნენ მისგან. აღმოვაჩინე რომ მშვიდად შემიძლია სიცილი, მაგრამ არა ისე როგორც ჯეიკობთან. ჩემს და მაიკის შორის ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, ბოლო მომენტამდე. შანამ სამოშაო ჟილეტი არ გავიძვრე და მაიკმა არ დაკიდა კარზე წარწერა “დაკეტილია”

–დღეს მხიარული დღე იყო. –თქვა მაიკმა ბედნიერად

–ხო. -დავეთანხმე მე, მაგრამ სიამოვნებით გავატარებდი ამ დროს გარაჟში.

–ვწუხვარ რომ მალე მოგიწია კინოდან წამოსვლა წინა კვირაში

ცოტა შევიშმუშნე, საუბრის ესე შეცვლიდან და ბეჭები ავიჩეჩე

–ალბათ საშინელი მშიშარა ვარ.

–ვფიქრობ რომ სხვა ჟანრის ფილმზე უნდა წასულიყავი, მაშინ მართლა ისიამოვნებდი ყურებით. –მირჩია მან

–ოოო. –ჩავიბურტყუნე მე ისევ უხერხულად.

–მაგალითად ამ პარასკევს, ჩემთან ერთად. შეგვიძლია წავიდეთ და რამე სასიამოვნოს ვუყუროთ.

მე ტუჩზე ვიკბინე. სულაც არ მინდოდა მაიკთან ურთიერთობის გაფუჭება, ეხლა ის ერთერთი იმათთაგანი იყო ვინც ჩემი გიჟის საქციელები მაპატია. ეს მაინც შეუძლებლად მეჩვენებოდა, თითქოს არც ყოფილა წინა წელი, ვწუხვარ რომ ეხლა არ შემიძლია ჯესიკასთან ერთად შევთავაზო წასვლა.

–პაემანი? –ვკითხე მე. სიმართლე პოლიტიკაზე უკეთესი იყო, ასე რომ სასწრაფოდ უნდა დავამთავრო ეს.

მან შეამჩნია ჩემი ხმის ტონი –თუ რათქმაუნდა წინააღმდეგი არ ხარ, მაგრამ არ არის აუცილებელი პაემანი დავარქვად.

–მე არ მინდა პაემანი. –ვთქვი ნელა, გააზრებით რომ ეს მართალია. მთელი სამყარო ისე შერეულად მეჩვენებოდა.

–როგორც მეგობრები? –მე თავი დავუქნიე. აიკის ცისფერ თვალებში ჩანდა რომ არ მეთანხმებოდა. მინდოდა დამეჯერებინა რომ მაიკი გაიგებდა, ჩვენ მხოლოდ მეგობრები შეიძლება ვიყოთ.

–კარგი იქნება, მაგრამ ამ პარასკევს დაკავებული ვარ, იქნებ მომდევნო კვირაში?

–რა უნდა გააკეთო? –ძალიან სიფრთხილით მკითხა მან.

–საშინაო დავალებები. მე...დაგეგმილი მაქვს სხვასთან რაღაც საქმეები.

–ოოო. კარგი. მაშინ მომავალ კვირაში.

მაიკმა ჩემს მანქანამდე მიმაცილა, რომელიც ეხლა ნაკლებად ხასხასა იყო ვიდრე მანამდე. ეს ყველაფერი ისე ნათლად მაგონებდა ჩემს პირველ თვეებს ფორქსში. მე გავიარე მთელი წელიწადი და ეხლა ყველაფერი ექოს გავდა, ცარიელ ექოს, ყველანაირ ინტერესს წართმეულს.
მომდევნო საღამოს ჩარლის არც გაკვირვებია რომ დაგვინახა მე და ჯეიკობი სასტუმრო ოთახის იატაკზე გაწოლილები ირგვლივ წიგნებით. ალბათ მან და ბილიმ უკვე ილაპარაკეს ჩვენს ზურგს უკან.

–პრივეტ ბავშვებო. –მოგვესალმა და მზერა სამზარეულოსკენ გაექცა საიდანაც ლაზანიის სუნი გამოდიოდა რომლის გაკეთებას მთელი დღე მოვანდომე, ჯეიკობიც თვალს მადევნებდა და გემოს უსინჯავდა ხოლმე. ესე მინდოდა ჩემი დანაშაულის გამოსწორება პიცასთან დაკავშირებით.
ჯეიკობი სადილზე დარჩა და თან კიდევ ერთი თეფში საჭმელი გაიყოლა ბილისთვის. მან კიდევ ერთი წელი მოუმატა ჩემს შეთანხმებულ ასაკს, რადგან ესეთი კარგი მზარეული ვარ. პარასკევს ისევ გარაჟში ვძრომიალებდით, შაბათს ისევ სკოლის დავალებებს ვწერდით. ჩარლი საბოლოოდ დარწმუნდა ჩემს ნორმალურობაში და მთელი დღე სათევზაოდ გაატარა გარისთან ერთად.
როცა დაბრუნდა ჩვენ უკვე ყველაფერი მზად გვქონდა, თავს უკვე ჭკვიანებად და გონიერებად ვთვლიდით. და ვუყურებდით გადაცემას “მონსტრი გარაჟი” დისკავერის არხზე.

–ჩემი წასვლის დროა. –ამოიხვნეშა ჯეიკმა. –არ მეგონა უკვე ესე გვიანი თუ იყო.

–კარგი. –წავიბურტყუნე მე. –სახლში წაგიყვან.
–ხვალ სამუშაოს დაუბრუნდი. –ვუთხარი როცა პიკაპში ჩავჯექით.
–როდის გინდა რომ მოვიდე?

მის საპასუხო ღიმილში რაღაც მღელვარება იყო.

–მე თვითონ დაგირეკავ, კარგი?

–კარგი, როგორც იტყვი. –მე შევიშმუშნე, მაინტერესებდა რას აპირებდა? ჯეიკობი მთელი პირით იცინოდა.

დილით სახლი კარგად დავალეგე, ჯეიკობის ზარის მოლოდინში და ვცდილობდი ჩემი ახალი კოშმარისგან ფიქრები მომეშორებინა.

ოვლენები მასში ეხლა შეიცვალა. მე დავბოდიალებდი სიმწვანის ზღვაში ყველაფერი ხავსს და ხეებს ქონდა დაფარული. იქ მეტი არაფერი არ იყო, მე დავიკარგე უაზრო სიარულით ამ სიმწვანეში. ჩემი თავისთვის დარტყმა მინდოდა იმ სულელური გამგზავრებისთვის მიტოვებულ სახლში. ვოცნებობდი რომ ეს მოგონებები სადღაც ჩამეკეტა სიღრმეში და არ წამოსულიყო ისევ. ტელეფონმა რომ დარეკა, ჩარლი გარეთ მანქანას რეცხავდა. მე ცოცხი დავაგდე და მთელი ძალით გავიქეცი ქვემოდ რომ მეპასუხა.

–ალო? –ვთქვი სუნთქვა შეკრულმა

–ბელა. –წარმოთქვა ჯეიკობმა საეჭვოდ ფორმალურად.

–პრივეტ ჯეიკობ.

–ვფიქრობ რომ... დღეს პაემანი გვაქვს. –მის ხმაში ქვეტექსტი იგრძნობოდა.

წუთი დამჭირდა რიმ ყველაფერი გამეგო.

–ისინი დაასრულე?! ვერ ვიჯერებ! –ეს ისე დროული იყო ჩემთვის. ეხლა მჭირდებოდა რაღაც რაც კოშმარებიდან და სიცერიელიდან გამომთიშავდა.

–ხო ისინი დარბიან და ასე შემდეგ.

–ჯეიკობ შენ – ყველაზე ყველაზე ნიჭიერი და არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ ვისაც ვიცნობ. ამისთვის 10 წელს გიმატებ

–მაგარია! ეხლა უკვე საშუალო ასაკს მივუახლოვდი.

მე გამეცინა. –უკვე მოვდივარ!

მე შევაგდე საწმენდი საშუალებები სააბაზანოს კარადაში და მოსაცმელს ვსტაცე ხელი.

–ჯეიკობის სანახავად გარბიხარ. –თქვა ჩარლიმ როცა ჩავუქროლე. ს მისგან არა კითხვა რამედ დამტკიცება იყო.

–ხო. -ვუპასუხე პიკაპში ჩაჯდომისას

ჩარლიმ კიდევ რაღაც მითხრა მაგრამ ძრავის ბრუხუნისგან ვერაფერი გავიგონე.

მანქანა ბლეკების სახლის უკან ხეებში გავაჩერე, რომ მოტოციკლეტები ადვილად მოგვეტანა. ღოცა ისინი დავინახე ხასხასა ფერების ბრწყინვალება თვალში მომხვდა, წითელი და შავი მოტოციკლი სახლიდან დაუნახავ ადგილზე იდგნენ. ჯეიკობი უკვე მზად იყო.
სახელურების ორივე მხარეს ცისფერი ლენტები იყო შებმული, ეს ძალიან სასაცილოდ მომეჩვენა და სიცილი ამიტყდა როცა ჯეიკობი სახლიდან გამოვარდა.

–მზად ხარ? –მკითხა მოუთმენლად, მისი თვალები ბრწყინავდნენ.

მე მის უკან გავიხედე – არანაირი ნიშანი ბილის ყოფნისა.

–კი. –ვუპასუხე მე. მღელვარება ნელნელა ქრებოდა და მე თავი წარმოვიდგინე მოტოციკლზე.

ჯეიკობმა უპრობლემოდ ჩატვირთა მოტოციკლეტები მანქანაში ისე რომ არ გამოჩენილიყვნენ.

–წავედით. –მისი ხმა უფრო ხმამაღალი იყო მღელვარებიდან. –კარგი ადგილი ვიცი იქ ვერავინ შეგვიშლის ხელს.

ჩვენ ქალაქიდან სამხრეთით მივდიოდით. გზა ხან ტყეში შედიოდა ხან ოკეანე გადაიშლებოდა ჩვენს წინ. ჩვენ მივდიოდით ზღვისპირა კლდეებზე რომლებიც უსაზღვო ჩანდნენ.
მანქანა ნელა მიმყავდა, რომ საშიშროების შემთხვევაში მალე დამემუხრუჭებინა. ჯეიკობი მიყვებოდა მოტოციკლეტებზე მუშაობის შესახებ, მაგრამ მასში ბევრი ტექნიკური ტერმინები იყო ამიტომ არც ისე ყურადღებით ვუსმენდი.
ამ დროს მე შევამჩნიე ადამიანის ოთხი ფიგურა რომლებიც კლდის პირას იდგნენ. დიდი მანძილის გამო ვერ ვიტყოდი რამდენი წლისანი იყვნენ, მაგრამ ზუსტად დავინახე რომ კაცები არიან. ჩივი ამინდი მიუხედავად მხოლოდ შორტები ეცვათ.
სანამ მათ ვადევნებდი თვალს ყველაზე მაღალი მთლად კიდესთან მივიდა. მე ავტომატურად შევანელე სვლა, ჩემი ფეხი მუხრუჭთან გაშეშდა.
და შემდეგ ის გადახტა.

–არა! –დავიყვირე და მაგრად დავარტყი მუხრუჭს ფეხი.

–რა მოხდა? –შეშინებულმა დაიყვირა ჯეიკობმა

–ის ბიჭი, ესესაა კლდიდან გადახტა, რატომ არ შეაჩერეს იმათმა? ეხლავე სასწრაფო დახმარებას უნდა გამოვუძახოთ. –მე მანქანის

კარი გავაღე და გადმოსვლას შევეცადე, მაგრამ მესმოდა რომ ეს უაზრობა იყო ყველაზე სწრაფი გზა ტელეფონამდე ბილის სახლში დაბრუნებაა, მაგრამ ისევ ვერ ვუჯერებდი რაც დავინახე, იქნებ მანქანის მინიდან მომეჩვენა ყველაფერი.
ჯეიკობმა უცებ სიცილი ატეხა. მე გაბრაზებულმა მივაჩერდი. როგორ შეეძლო ესეთი ცივსისხლიანი ყოფილიყო?

–ისინი უბრალოდ წყალში ხტებიან ბელა, ესე ერთობიან. ლა-პუშში არ არის სასეირნო ქუჩები, ხომ იცი. –ის დამცინოდა, მაგრამ მის ხმაში რაღაც გაღიზიანება იგრძნობოდა.

–ხტუნვა წყალში კლდეებიდან? –მე შოკში ვიყავი. ისევ იმათკენ გავიხედე როცა მეორე ფიგურა მიუახლოვდა კიდეს და ჰაეროვნად გადახტა. ამ ვარდნამ მომაგონა გადახტომა ჯოჯოხეთის ქვესკნელში, ჩაძირვამ სერ ბნელ ტალღებში.
–ის ხომ ძალიან მაღალზეა. –მე დავბრუნდი უკან პიკაპში. გაფართოებული თვალებით დანარჩენ ორზე ყურებით.

–კი, მაგრამ ჩვენი უმრავლესობა უფრო დაბალი კლდიდან ხტება. –მან ფანჯრიდან მიმითითა. ს ადგილი უფრო ნორმალური იყო ნახტომებისთვის. –ის ბიჭები გიჟები არიან, ალბათ თავს ძალიან გამძლეებად თვლია, მე დღევანდელ ამინდს ვგულისხმობ, ზღვაში ხტომისთვის ძალიან ცივა. –მან ისეთი გაღიზიანებული სახე მიიღო თითქოს მათი ტრიუკები მას ამცირებდა. ამან ძალიან გამაკვირვა.

–შენც ხტები ხოლმე? –მე არ გამომრჩენია სიტყვა “ჩვენ”

–რათქმაუნდა. –მან ბეჭები აიჩეჩა. –ეს მაგარი გასართობია. ცოტა შიში და ადრენალინი.

მე უკან მივიხედე მაშინ როცა მესამე ფიგურა ემზადებოდა გადასახტომად. მე არასდროს მინახავს ამაზე უაზრო საქციელი. ჩემი თვალები გაფართოვდნენ და გამეღიმა:

–ჯეიკ, შენ მე აუცილებლად უნდა წამიყვანო კლდიდან გადმოსახტომად.

ის მოიღუშა, ჩემსკენ შემობრუნდა და მის თვალებში უარყოფა იგრძნობოდა
–ბელა შენ ეხლახანს სემისთვის სასწრაფოს გამოძახება გინდოდა. –შემახსენა მა. ამიკვირდა რომ ამ სიშორედან დაინახა თუ ვინ იყო ის.

–მინდა რომ მოვსინჯო. –შევეწინაღმდეგე და ისევ გავაჩერე მანქანა გადმოსასვლელად.

ჟეიკობმა ხელი მსტაცა. –დღეს არა, კარგი? შეგვიძლია უფრო თბილ ამინდს დაველოდოთ.

–კარგი, მოვილაპარაკედ! –დავეთანხმე მე რადგან ღია კარიდან საშინელი სიცივე შემოვიდა. –მაგრამ რაც შეიძლება ჩქარა მინდა.

–ჩქარა. –მან თვალები გადაატრიალა. –ზოგჯერ ძალიან უცნაური ხარ ბელა, იცი?

მე ამოვიხვნეშე –ვიცი

–მაგრამ ყველაზე მაღლიდან არ გადმოვხტებით.

მე თითქმის იმედ გაცრუებით ვუყურებდი როგორ გადაეშვა მესამე ბიჭი წყალში, ყველაზე შორს თითქოს პარაშუტით გადახტაო. ის ისეთი თავისუფალი და უპასუხისმგებლო ჩანდა.

–გადასარევია. –დავეთანხმე მე. –პირველად არა რათქმაუნდა.

ეხლა ჯეიკობმა მძიმედ ამოიხვნეშა

–ბოლოს და ბოლოს ვაპირებთ მოტოციკლეტების გასინჯვას თუ არა? –მოითხივა მან

–კარგი, კარგი. –მე უკან მანქანაში დავბრუნდი, უსაფრთხოების ღვედი შევიკარი და ისევ ქვემოდ წავყევით გზას.

–ვინ იყვნენ ის გიჟი ბიჭები? –ვიკითხე მე

მან საშინელი ხმა გამოსცა. –"ლა-პუშის ბანდა"

–თქვენ ბანდა გყავთ? –ვკითხე შეშინებული ხმით

მას ჩემს რეაქციაზე გაეცინა. –ეს ბანდიტების ბანდა არ არის, ისინი არ ჩხუბობენ, მშვიდობიანები არიან. –მან ჩაიცინა. –აქ ერთი საშინელი ბიჭი იყო, ბავშვებს ნარკოტიკებს აძლევდა. ყველაფერი კარგად დასრულდა სემი ულეიმ და მისმა დაჯგუფებამ გააგდი ის ჩვენი მიწიდან. ისინი ყველაფერს ჩვენი მიწისთვის აკეთებენ და ჩვენი ტომი ამაყობს მათი... მაგრამ ზოგჯერ ეს სასაცილოც კია. ჩვენი კრება ძალიან სერიოზულად ეკიდება მათ, ემბრიმ მითხრა რომ უხუცესები სემს ეკითხებიან რჩევებს. –მან თავი გააქნია და სახეზე

გაუგებრობა გამოეხატა. –ემბრიმ ისიც მითხრა რომ ლი კლირვოტერისგან გაიგო რომ მათ “მცველებს” უწოდებენ თუ რაღაც ეგეთი.

ჯეიკობმა ხელები მომუჭა, თითქოს უნდოდა ვინმესთვის დარტყა. მე არასდროს მინახავს ის ესეთი
მე გამიკვირდა სემ ულეის სახელის გაგონება, არ მინდოდა ჩემი კოშმარის გახსენება ამიტომ საუბარი სხვა რამეზე გავაგრძელე.

–შენ არც ისე გიყვარს ისინი ხომ?

–ეს ასე შესამჩნევია? –მკითხა სარკაზმულად

–ნუ... მგონი ისინი არაფერ ცუდს არ აკეთებენ. –მე მისი დამშვიდება და გამხიარულება ვცადე. –უბრალოდ “პატარების” ბანდა რომლებიც ყველას აღიზიანებენ.

–ხო, აღიზიანებენ კარგი სიტყვაა. ისინი იქცევიან როგორც... მაგარი ბიჭები. წინა სემესტრში მე კვილი და ემბრი მაღაზიებში დავბოდიალებით და სემი თავის მიმდევრებთან ჯარედთან და პოლთან ერთად შემოვიდა. კვილმა რაღაც თქვა, შენც ხომ იცი რამდენს ლაპარაკობს. ამან პოლი წყობიდან გამოიყვანა. მისი თავლები შავი გახდა და მისი ღიმილი...არა ეს ღიმილი არ იყო, მან კბილები გამოაჩინა. ვიფიქრედ ჭკუიდან შეიშალათქო, სულ მთლად კანკალებდა, მაგრამ სემმა გულზე ხელი დაადო და თავი გააქნია. პოლი წუთის განმავლობაში მას უყურებდა და შემდეგ დაწყნარდა. სიმართლე გითხარ ეს ისე ჩანდა თითქოს პოლს ჩვენი დაგლეჯვა უნდოდა სემს რომ არ შეეჩერებინა. შენ იცი რომ სემი საკმაოდ დიდია ის 20 წლისაა, მაგრამ პოლი მხოლოდ 16ის, ის ჩემზე დაბალია და არც კვილზე მაგარი არ არის, ჩევნ მოვერეოდით მათ.

–ხო, მაგარი ბიჭები. –დავეთანხმე მე. მე შევძელი ეს ყველაფერი წარმომედგინა, ჯეიკობმა ისე ამიხსნა და მან რაღაც გამახსნა... სამი მაღალი ბიჭი ერთამანეთთან ახლოს მდგარი ჩემს მისაღებში, სურათი არც ისე ზუსტი იყო რადგან იმ დროს ვიწექი და მამაჩემი და აქიმი ჯერანდი იყვნენ ჩემს თავთან... ეს იყო სემის ბანდა?
მე ისევ გავაგრძელე ლაპარაკი, მოგონებების გასაფანტად:

–სემი დიდი არ არის ესეთი რაღაცეებისთვის?

–ხო, მას ინსტიტუტში უნდა ჩაებარებინა მაგრამ რატომღაც დარჩა და რავის გაუკიცხია ამისთვის. მთელი უხუცესების კრება გადაირია როცა ჩემმა დამ ინსტიტუტე მიატოვა და გათხოვდა, მაგრამ არა სემი ულეი, ის არაფერს არასწორს არ აკეთებს.

ჟეიკობის სახე ბევრ ემოციას გამოხატავდა, ისეთებსაც რომლებზეც წარმოდგენა არ მქონდა.

–ყველაფერი ეს მართლა გამაღიზიანებელი და... უცნაურია. მაგრამ არ მესმის რატომ აძლევ ამას ამხელა მნიშვნელობას. –მე მას სახეზე შევხედე, მინდოდა გამეგო ხო მარ ვაწყენინე. ის უცებ დაწყნარდა და ფანჯარას მიაჩერდა.

–შენ ეხლახან შესახვევი გამოტოვე. –მითხრა მშვიდი ხმით

მე დიდი წრე გავაკეთე, კინაღამ ხეს დავეჯახე რადგან შუა გზიდან დავიწყე მობრუნება.

–მადლობ რომ გამაფრთხილე. –წავიბუზღუნე მე.

–მაპატიე, მეც ეხლა შევამჩნიე.

რამოდენიმე წუთი სიჩუმე სუფევდა

–სადმე აქ შეაჩერე. –მითხრა მან რბილად

მე ძრავა გამოვრთე. სიჩუმე ყურებში ზუოდა. გადმოვედით და ჯეიკობმა მანქანას შემოუარა მოტოციკლეტების გადმოსაღებად. შევეცადე მისი გამომეტყველება დამენახა, მას ისევ აღელვებდა რაღაც. ალბათ ჭრილობაზე დავადგი ფეხი.
მან გამიღიმა ენთუზიაზმის გარეშე როცა ჩემი მზერა შეამჩნია და წითელი მოტოციკლი გამოაგორა ჩემსკენ.

–გასულ დაბადების დღეს გილოცავ. ზად ხარ ამისთვის?

–ვფიქრობ კი.

მოტოციკლი უცებ შემაშინებელი გახდა როცა მივხვდი რომ მასზე უნდა დავმჯდარიყავი.

–ნელა ვიმოძეავებთ. -დამპირდა ის. მე ფრთხილად მივაყუდე ჩემი მოტოციკლი მანქანას სანამ ის თავისას ჩამოიღებდა.

–ჯეიკ... მე ვორჭოფობდი, როცა ის დაბრუნდა თავისი მოტოციკლით

–ხო?

–სინამდვილეში რა გაღელვებს? შემ ულეის ვგულისხმობ? იქნებ არის კიდევ რაღაც? –მის სახეს ვაკვირდებოდი, ის შეიჯმუხნა მაგრამ არ გაბრაზებულა. მან ფეხებზე დაიხედა და მოტოციკლის წინა ბორბალს წაკრა, მგონი დრო გაჰყავდა.

მან ამოიხვნეშა –საქმე იმაშია... თუ როგორ იქცევიან ისინი ჩემთან მიმართებაში. იცი რომ, კრება ერთმანეთის ტოლებისგან უნდა შედგებოდეს მაგრამ ბელადი რომ იყოს ეს მამაჩემი იქნებოდა. მე არასდროს მესმოდა ხალხის საქციელი, რატომ ექცევიან მას ასე, რატომ აფასებენ მის აზრს უფრო მეტად, ისევე როგორც მამამისის აზრს და მისი მამის აზრს. ჩემი დიდი ბაბუა ეფრეიმ ბლეკი იყო ბოლო ბელადი ვინც ჩვენ გვყავდა ალბათ ამიტომაც ისევ უჯერებენ ბილის. მაგრამ მეც სხვების ნაირი ვარ, არავინ მაქცევდა დიდი ყურადღებას... აქამდე

ამან ამანერვიულა –სემი დიდი ყურადღებას გაქცევს?

–ხო. –დამეთანხმა და აღელვებული თვალებით მიყურებდა. –ის გამუდმებით მიყურებს, თითქოს რაღაცას ელოდება...თითქოს ოდესმე მე შევუერთდები მათ სულელურ ბანდას. ის ძალიან დიდი ყურადღებას მაქცევს მე ვიდრე სხვა ბიწებს, ეს ძალიან მაღიზიანებს. –შენ არავის არ უნდა შეუერთდე. –ჩემი ხმა გულმოსილი იყო. ეს მართლა არ მოწონდა ჯეიკობს და მეც ნერვებზე ვიშლებოდი. ვინ გონიათ თავი ამ "მცველებს"?

–ხო. –მისი ფეხი ისევ ბორბალს ურტყამდა

–რა? –ვიცოდი რომ კიდევ რაღაც იყო

ის მოიღუშა, მისი სახე ეხლა მოწყენილი და აღელვებული გახდა.

–ყველაფერი ემბრის ეხება, ბოლო დროს გამირბის.

აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაგრამ გავიფიქრე მე ხომ არ ვიყავი დამნაშავე პრობლემებში მის მეგობართან?

–შენ ძალიან დიდი დროს ატარებდი ჩემთან ერთად. –შევახსენე და თავი ეგოისტად ვიგრძენი.

–არა საქმე ამაში არ არის. ეს მარტო მეც არ მეხება, კვილსაც და სხვა ბიწებასაც. ემბრიმ ერთი კვირა სკოლა გააცდინა, სახლშიც არ იყო როცა მისი ნახვა გვინდოდა. როცა დაბრუნდა... ის უცნაურად გამოიყურებოდა. ის ბერვიული და შეშინებული იყო. კვილი და მე,

ჩვენ ვცდილობით რომ დავლაპარაკებოდით მაგრამ არცერთ ჩვენგანთან არ მოინდომა ლპარაკი.

ჯეიკობს მივაჩერდი, ნერვიულობისკან ტუჩზე ვიკბინე. ის მართლა სეშინებული იყო, მაგრამ მე არ მიყურებდა მისი ფეხი ისევ ურტყამდა ბორბალს თითქოს სხვას ეკუთვნოდა. არტყმის ტემპი ჩქარდებოდა.

–შემდეგ, ამ კვირაში როგორც ციდან ჩამოფრენილი, ამბრიმ დაიწყო სემთან და დანარჩენებთან ურთიერთობა. წეღან ისიც იყო იმ კლდეებზე. –ის ხმადაბლა ლაპარაკობდა.

ჯეიკობმა როგორც იქნა შემომხედა –ბელა, ისინი ბოლო დროს ემბრის ადევნებდნენ თვალს ჩემზე მეტად, შემდეგ კი ემბრიმ სემთან ერთად დაიწყო სიარული, თითქოს მათ დაჯგუფებას შეუერთდა. –იგივე მოუვიდა პოლსაც. ის საერთოდ არ მეგობრობდა სემთან. შემდეგ რამოდენიმე კვირა გააცდინა სკოლა, და როცა დაბრუნდა მთელი ყურადღება სემზე გადაიტანა. რ ვიცი რას ნიშნავს ეს ყველაფერი, მაგრამ ვიცი რომ ეს მეც მეხება რადგან ემბრი ჩემი მეგობარია და... სემი დამცინავად მიყურებს... და... –ის გაჩუმდა

–ბილის ელაპარაკე ამის სესახებ? –ვკითხა მე, მისი შიში მეც გადმომედო.

ეხლა მის სახეზე გაბრაზება გამოისახა. –კი, მაგრამ ეს უაზრობა იყო.

–რა გითხრა?

ხლა ჯეიკობის სახეზე სარკაზმი გამოიხატა და ბილის ხმას მიბაძა:

–ეხლა არაფერი არ გაქვს სანერვიულო ჯეიკობ. ღამოდენიმე წლის შემდეგ თუ შენ არ... კარგი მოგვიანებით აგიხსნი

შემდეგ ჯეიკობმა თავისი ხმა დაიბრუნა

–რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ის ცდილობდა ეთქვა რომ ეს უბრალო გარდატეხის ასაკის ბრალია. აგრამ აქ რაღაც სხვა ამბავია, რაღაც ცუდი.

ის ქვედა ტუჩს კბენდა და მუჭებს სრესდა. სადაცაა ატირდებიდა.

მე ინსტიქტურად მოვეხვიე წელზე და თავი გულზე მივადე. ის იმდენად მარალი იყო რომ თავს ბავშვად ვგრძნობდი რომელიც უფროსს ეხვევა.

–ო, ჯეიკ, ყველაფერი კარგად იქნება! –შევპირდი მე. –თუ საქმე გაუარესდება შეგიძლია ჩემთან და ჩარლისთან გადმოხვიდე საცხოვრებლად. რამეს მოციფიქრებთ!

ის რამოდენიმე წუთი გაჩერდა და შემდეგ მისი დიდი ხელები მომეხვია. –დიდი მადლობა ბელა. -მისი ხმა ჩვეულებრივზე მეტად ჩახლეჩილი იყო.

ჩვენ ვიდექით ესე რამოდენიმე ხანი და ეს მძაბავდა მე. სინამდვილეში თავს მშვიდად ვგრძნობდი. დიდი ხანია მსგავსი არაფერი მიგვრძვნია, დამავიწყდა კიდეც როგორია როცა ვინმე გეხუტება. ეს იყო მეგობრობა და ჯეიკობი ისეთი თბილი იყო. ჩემთვის უცნაურია იყო ახლოს სხვა ადამიანთან ემოციურად და არა ფიზიკურად, მაგრამ ფიზიკური სიახლოვეც სხვა ადამიანთან უცნაური იყო ჩემთვის. ეს არ იყი ჩემი სტილი, ჩვეულებრივ მე არ ვეხებოდი ესე ახლოს სხვა ადამიანებს.
არ ვეხებოდი ადამიანებს.

–შენ თუ ესეთი რეაქცია გექნება, ხშირად ვიქნები ნაწყენი. –ჯეიკობის ხმა ისევ ნორმალური გახდა და მისიმა სიცილმა დაიგრუხუნა ჩემი ყურის ქვეშ. მისი თითები ნაზად შეეხნენ ჩემს თმებს.

ეს ჩემთვის მხოლოდ მეგობრობა იყო.
მე უცებ გავეცალე მას მასთან ერთად სიცილით.

–ძნელია დაიჯერო რომ 2 წლით უფროსი ვარ შენზე. –მე ვთქვი და სიტყვა “უფროსი” გამოვკვეთე.
–შენ თავს ჯუჯად მაგრძნობინებ. –მე მართლა უნდა ამეწია კისერი რომ სახეზე შემეხედა მისთვის.

–შენ გავიწყდება რომ უკვე 40 წლის ვარ

–ო, ნამდვილად.

ის ტავზე მისვამდა ხელს. –შენ პატარა თოჯინას გევხარ, ფაიფურის თოჯინას.

მე თვალები გადავატრიალე და კიდევ ერთი ნაბიჯით დავიხიე უკან.

–მოდი ნუ დავიწყებთ ალბინოსებზე ლაპარაკს.

–სერიოზულად ბელა, დარწმუნებული ხარ რომ ფაიფურის არა ხარ? –მან თავისი მოწითალო მოყავისფრო ხელი ჩემსას გაუსწორა, განსხვავება გასაოცარი იყო. –მე არავინ მინახავს შენზე თეთრი... ნუ გარდა... –ის უცებ გაჩერდა და თვალი ავარიდე, შევეცადე არ მეფიქრა იმაზე რისი თქმაც უნდოდა.

–გავიკატავებთ დღეს თუ არა?

–კარგი, მოდი გავიკატავოთ. –დავეთანხმე დიდი ენთუზიაზმით. მისმა დაუსრულებელმა სიტყვებმა გამახსენეს რისთვისაც ვარ აქ.

თავი მერვე

ადრენალინი

–კარგი, სად არის კონუსი?

მე მარცხენა ხელი მივათითე საჭეს სახელურს. მისი გაშვება შეცდომა იყო, მძიმე მოტოციკლი შეინძრა და კინაღამ ძირს დაეცა. მე ისევ ვსტაცე ხელი სახელურს წონასწორობის შესანარჩუნებლად.

–ჯეიკობ ის არ დგას სწორად –დავიწუწუნე მე.

–ის დადგება სწორად როცა გაივლი. –დამაიმედა მან. –ეხლა, სად გაქვს მუხრუჭი?

–ჩემი მარჯვენა ფეხის ქვეშ.

–არასწორია.

მან ჩემს მარჯვენა ხელს სტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა ხელის ტორმუზს გაზის სახელურის პირდაპირ.

–კი მაგრამ შენ ხომ ამბობდი...

–აი საჭირო მუხრუჭი. არ დაამუხრუჭო ეხლა ფეხის ტორმუზით, ამას გააკეთებ როცა კარგად ისწავლი.

–მგონი რაღაცას არ ამბობ ბოლომდე. –საეჭვოდ წარმოვთქვი მე.
–ორივე მუხრუჭი არაა მნიშვნელოვანი?

–დაივიწყე ფეხის მუხრუჭი, შევთანხმდით? აი აქ... –მან თავისი ხელის გუილით ჩემი ხელი მაგრად მოუჭირა მუხრუჭის სახელურს.
–აი ესე უნდა გააჩერო. არ აგერიოს. –ის კიდევ რამოდენიმე წუთი უჭერდა ჩემს ხელს.

–კარგი. –დავეთანხმე მე

–სიჩქარე?

მე მარჯვენა სახელურს მოვუჭირე ხელი

–სიჩქარეების მარეგულირებელი?

მე მარცხენა ფეხი წავკარი

–ძალიან კარგი, ეხლა რამენაირად უნდა აამოძრავო.

–აჰა. –წამოვიძახე იმის შიშით რომ კიდევ რამე მეთქვა. მუცელში რაღაც უცნაურად დამიტრიალდა, მეშინოდა რომ ჩემი ხმა ჩაწყდებოდა. მე ძალიან შევშინდი. თავს ვარწმუნებდი რომ ჩემი შიში უაზრო იყო, უარესიც გადამიტანია და ამის რატომ უნდა შემეშინდეს? მე სიკვდილს უნდა გავუღიმო.
ჩემი ორგანიზმი ამას ვერ გადაიტანს.
მე მივაჩერდი ბინძურ გზას, რომლის კიდეებშიც სიმწვანე იზრდებოდა. ასფალტი სველი და სილიანი იყო.

–ხელი კონუსზე გეჭიროს. –მასწავლიდა ჯეიკობი

ხელი სახელურს მოვუჭირე

–ბელა, ეხლა ყველაზე მნიშვნელოვანი, არ მოუშვა თითები კარგი? წარმოიდგინე რომ ნამდვილი ყუმბარა გიჭირავს ხელში.

მე უფრო მაგრად მოვუჭირე.

–კარგი. როგორ ფიქრობ შეძლებ მარტო ადგილიდან დაძვრას?

–ფეხებს თუ ავწევ წავიქცევი. –კბილებიდაბ ვუთხარი, “ყუმბარის” გარშემო ხელის ჭერით

–კარგი. დაგეხმარები, მაგრამ კონუსს არ აუშვა ხელი.

მან უკან დაიხია და უცებ დაადგა გაზის პედალს ფეხი. გაისმა ძრავის ხმა და მოტოციკლი ამუშავდა. ის გაინძრა ბიძგებით და წაქცევა დაიწყო, მაგრამ ჯეიკმა მოასწრო დაჭერა ვიდრე ძირს გავისრისებოდი.

–ფრთხილად! ონუსი ისევ გიჭირავს? –მკითხა გამამხნევებლად.

–კი. –ოდნავი სუნთქვით ვუთხარი მე.

–ფეხები ისევ შემოდგი, ხელახლა მოვსინჯოთ. –მან ისევ მოკიდა ხელი უკანა სავარძელს ყოველი შემთხვევისთვის.
ძრავა მეოთხე ცდაზე ამუშავდა. მოტოციკლი ჩემს ქვემოთ მხეცივით ღრიალებდა. თითების დამტვრევამდე ვუჭერდი ხელს კონუსის სახელურს.

–შეეცადე გაზს დააჭირო. –შემომთავაზა მან. –ძალიან ნაზად, კონუსს ხელი არ აუშვა.

მე გაუბედავად მოვუჭირე მარჯვენ სახელურს. მოტოციკლი ღრიალით გაინძრა ადგილიდან

–გახსოვს როგორ უნდა გადართო პირველი სიჩქარე?

–კი.

–მაშინ, მოდი მოვსინჯოთ

–კარგი

ის რამოდენიმე წუთი დამელოდა
–მარცხენა ფეხით. –მიკარნახა მან

–ვიცი, ხო. –ვუპასუხე ამოოხრებით

–დარწმუნებული ხარ რომ გინდა ეს? –მკითხა ჯეიკობმა.
–შეშინებული გამოიყურები

–ყველაფერი კარგად მაქვს. –შევაწყვეტინე, სიჩქარის ერთით დაკლებით.

–ძალიან კარგი. –შემაქო მან. –ეხლა ძალიან ნელა აუშვი კონუსი.

ჯეიკობი ცოტა მოშორდა მოტოციკლს

–გინდა რომ "ყუმბარას" გავუშვა ხელი? –ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, არა არის გასაკვირი რომ უკან დაიწია.

–ბელა, ნუ ვინ აკეთებს ესე. გაუშვი ხელი ოღონდ ნელა.

მე ოდნავ მოვუშვი ხელი, როცა ხმამ შემაწყვეტინა, ნამდვილად არა იმ ბიჭისამ რომელიც უკან მედგა.

–ეს სულელური, უპასუხისმგებლო, ბავშვური საქციელია ბელა. –ბარხატივით ხმა სიბრაზისგან იწვოდა

–ვაი! –გაკვირვებისგან პირი დავაღე და კონუსს ავუშვი ხელი,

მოტოციკლი ყალყზე შედგა და წინ გამაქროლა, შემდეგ გრუხუნით დაეცა ძირს ჩემთან ერთად.

–ბელა? –ჯეიკობმა თავისუფლად მომაშორა მოტოციკლი. –კარგად ხარ?

მე მას არ ვუსმენდი.

–ხომ გეუბნებოდი. –მითხარ სრულყოფილმა ალმასივით წმინდა ხმამ

–ბელა? –ჯეიკობმა შემაჯანჯღარა

–კარგად ვარ. –წამოვიძახე, განცვიფრებულმა. ეტად ვიდრე კარგად. ხმა ისევ დაბრუნდა ჩემს გონებაში. ის ბარხატის ნაზი ექოთი გაისმოდა ჩემს ყურებში.

ტვინი ყველა შესაძლებელ ვარიანტს ამუსავებდა. რანაირი მზგავსება – უცნობი გზა, მე ვაკეთებ იმას რაც აქამდე არ გამიკეთებია, არანაირი დეჟა-ვიუ. ესეიგი ჰალუცინაციები კიდევ სხვა

რამიდან ჩნდება... ვიგრძენი როგორ გაირბინა ჩემს ძარღვებში ადრენალინმა, და აქ მივხვდი – ცოტა ადრენალინი, ცოტა საშიშროება და სისულელის წვეთი.
ჯეიკობმა ფეხზე წამომაყენა.

–თავი დაარტყი? –მკითხა მან

–არა მგონია. –შესამოწმებლად თავი გავანძრიე. –მოტოციკლი დავაზიანე? –ეს კითხა ძალიან მაღელვებდა. იმწამსვე მომინდა ყველაფრის განმეორება. უგუნურება – პატარა საფასური იმიასთან შედარებით რასაც ველოდი. მე ვიპოვე საშუალება რომ ისევ გავიგონო ჰალუცინაციები ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

–მხოლოდ ძრავა გამოირთო.

მე თავი დავუქნიე –მოდი კიდევ მოვსინჯოთ

–დარწმინებული ხარ? –მკითხა ჯეიკობმა

–აბსოლუტურად.

ამჯერად თვითონ შეეეცადე ძრავის ამუშავებას. ეს ძნელი იყო, მთელი ძალით დაგეჭირა გაზის პედალზე და ყოველ ცდაზე მოტოციკლი ძირს გადმოგდებას მიპირებდა. ჯეიკობის ხელები გაშეშებული იყო სახელურების გარშემო, რომ დავეჭირე გადმოვარდნის შემთხვევაში.
კიდევ ცოტა წარმატებული და ბევრი წარუმატებელი ცდის შემდეგ ძრავა ამუშავდა. მე არ დამვიწყებია კონუსსზე ხელი დაჭერა მაგრამ ექსპერიმენტისთვის სიჩქარეს მოვუმატე. ჩემი ღიმილი ჯეიკობსაც გადაედო.

–ფრთხილად კონუსსთან. –შემახსენა მან

–შენ რა კუბოში ჩაწოლა გინდა? ეს გინდა? –სიბრაზით მითხრა სხვა ხმამ

მე დიდზე გავიღიმე – არის, გამოვიდა. კითხვა გავატარე, ჯეიკობი არ დაუშვებს რომ რამე მომივიდეს.
–ჩარლისთან სახლში დაბრუნდი. –მიბრძანა ხმამ. ისმა სრულყოფილმა სილამაზემ გამაოცა. ე არ შემიძლია მისი დავიწყება რა ფასადაც არ უნდა დამიჯდეს.

–ნელა აუშვი. –მითხრა ჯეიკობმა

–შევეცდები. –მე ორივეს ერთად გავეცი პასუხი.

ხმამ გონებაში დაიღრიალა ისე რომ ძრავის ხმა გადაფარა. შევეცადე გონება მომეკრიბა და ხმას არ შევეშინებინე. კონუსსზე ხელი მოვუშვი და მოტოციკლმა გამაქროლა.
ქარი სახეში მხვდებოდა. თმები ისე მექაჩემოდა უკან თითქოს ვიღაც არის ჩაბღაუჭებულიო. ადრენალინი ძარღვებში მივლიდა. ხეები ჩემს გვერდებზე როგორც მწვანე ლაქები ისე მიქროდნენ.
მაგრამ ეს მხოლოდ პირველი სიჩქარე იყო. ჩემი ფეხი გაზს აჭერდა და სიჩქარეს ვუმატებდი.

–არა ბელა! –გააფთრებული მაგრამ უაზროდ მშვენიერი ხმა გაისმა ყურებში. –რას აკეთებ!

ამან ცოტა ყურადღება გამიფანტა და უცებ მივხვდი რომ გზამ მოხვევა დაიწყო მე კი ისევ პირდაპირ მივქროდი. ჯეიკობს არ უთქვია როგორ მოვუხვიო.

–მუხრუჭი, მუხრუჭი. –ჩავიბურტუნე ჩემთვის და ფეხით დავუწყე ძებნა როგორც ჩემს პიკაპში.

უცებ მოტოციკლმა აქეთ იქით დაიწყო მოძრავი. გიჟური სისწრაფით გავექანე ხეებისკენ, მე მაინც შევეცადე საჭის მობრუნებას, მაგრამ გვერძე გადავიხარე და მოტოციკლი გადაბრუნდა. ის ისევ დამეცა და სილაში გამასრიალა ვიდრე რაღაც მაგარს არ შევეჯახე. მე ვერაფერს ვხედავდი. შულ მთლად ტალახიანი ვიყავი, თავის აწევას ვცდილობდი მაგრამ რაღაც მიშლიდა ხელს.
თავბრუ მეხვეოდა. ყურებში მოტოციკლის ძრავის ღრიალი, გონებაში ხმა და კიდევ რაღაც მესმოდა...

–ბელა! –დაიყვირა ჯეიკობმა და გავიგონე მეორე მოტოციკლის ძრავის გამორთვის ხმა.

მოტოციკლედი აღარ მაჭერდა მიწას, და როგორც იქნა შევძელი წესიერად სუნთქვა. ველაფერი ჩაჩუმდა.

–მაგარია. –წავიბურტყუნე მე, სულ მთლად მაკანკალებდა. ნამდვილად ვიპოვე ჰალუცინაციების გამოწვევის მიზეზი – ადრენალინი, საშიშროება, სისულელე.

–ბელა –ჯეიკობი ანერვიულებული დაიხარა ჩემსკენ –ცოცხალი ხარ?

–ყველაფერი კარგად მაქვს! –წამოვიძახე სიხარულით, ფეხები და ხელები გავანძრიე შესამოწმებლად. –მოდი კიდევ ერთხელ ვცადოთ!

–არა, არ ღირს. –აღელვებით თქვა ჯეიკობმა –ჯერ საავადმყოფოში წაგიყვან.

–კარგად ვარ მეთქი!

–მმმ, ბელა უზარმაზარი ჭრილობა გაქვს შუბლზე და სისხლში ხარ მოსვრილი. –მაუწყა მან

თავზე ხელი მოვიკიდე, ის მართლაც სველი იყო, სისხლის სუნი რომ ვიგრძენი კინაღამ წავაღე.

–ძალიან ვწუხვარ ჯეიკობ. –ხელი ჭრილობაზე მივიჭირე თითქოს სისხლს უკან ვაბრუნებდი.

–რატომ მებოდიშები, სისხლი რომ მოგდის იმიტომ? –გაუკვირდა მას და წელზე შემომხვია ხელები რომ წამოვეყენებინე –წავიდეთ ოღონდ ეხლა მე ვატარებ. –მან გასაღები აიღო.

–მოტოციკლებს რა ვუყოთ? –ვკითხე მათზე მითითებით.

წამიერი ჩაფიქრების შემდეგ მითხრა –აქ დამელოდე და აი ეს გამომართვი. –მან მაიკა გაიძრო, რომელიც უკვე სისხლში იყო ამოსვრილი და მესროლა. შუბლზე მივიდევი მაგრამ სისხლის სუნი ვიგრძენი, შევეცადე პირით მესუნთქა და სხვა რამეზე მეფიქრა. ჯეიკობი შავ მოტოციკლეტს შეაჯდა იმწამსვე აამუშავა და გზისკენ წავიდა. ის ნამდვილ მოტომრბოლელს გავდა, თავი რულთან დაწეული, სახე წინ იყურება, ბრწყინავი თმები ყავისფერ კანს ეფინება. თვალები შურისგან დავაწვრილე, ალბათ მე არც მთლად ესე მომხიბვლელად გამოვიყურებოდი ჩემს მოტოციკლზე. გაოცებული ვიყავი თუ რა შორს წამოვსულვარ, სანამ ის ჩემს პიკაპს მოახრიგინებდა ჩემსკენ. თავი ცოტა მტკოდა და მუცელში რაღაც ტრიალებდა, თუმცა ჭრილობა არ იყო სერიოზული, თავზე ჭრილობები საერთოდ სისხლმდენი არი ამიტომ ტყუილად ნერვიულობდა ჯეიკობი.
მანქანა ჩართული დატოვა და ჯეიკობმა ისევ წელზე მომხვია ხელი წასაყვანად.

–წამოდი პიკაპში ჩაგაჯინო.

–მე მართლა კარგად ვარ –ვუთხარი როცა მანქანაში მაჯენდა –არ ინერვიულო ესე, მხოლოდ ცოტა სისხლია.

–ცოტა სისხლი. –წაიბურდღუნა და ჩემი მოტოციკლეტის მოსატანად მიბრუნდა

–მისმინე, რამე მოვიფიქროდ –ვუთხარი როცა მანქანაში ჩაჯდა. –თუ საავადმყოფოში მივალთ ჩარლი ყველაფერს გაიგებს –მე ჩემს ტალახში ამოსვრილ შარვალს დავხედე.

–ბელა, არ მოგცემ უფლებას რომ სისხლიდან დაიცალო.

–არ დავიცლები –შევპირდი მე. –ჯერ მოტოციკლეტები შვინახოდ და მერე ჩემთან წავიდეთ რომ ყველა მტკიცებულება დავმალო საავადმყოფოში წასვლამდე.

–კი მაგრამ ჩარლი?

–მითხრა რომ დღეს მუშაობს?

–დარწმუნებული ხარ?

–მენდე. მხოლოდ პატარა სისხლდენა მაქვს. ასე რომ არც ისე ცუდადაა ყველაფერი როგორც ჩანს.

ჯეიკობი არ იყო აღფრთოვანებული ჩემი იდეით, ის შეიჯმუხნა. მას არ უნდოდა რომ უსიამოვნებები მქონოდა. მე ფანჯარაში ვიყურებოდი მაისურ თავზე მიდებული ფორქსისი გზაზე. მოტოციკლი უკეთესი გამოდგა ვიდრე მეგონა, ის ზუსტად დანიშნულებით გამომადგა. მე ვიმაიმუნე და დავარღვიე პირობა, მხოლოდ სინანული ვიგრძენი რომ ეხლა ორივე მხრიდან დაირღვა პირობა.
და შემდეგ მე ვიპოვე ამოხსნა ჩემი ჰალუცინაციების წარმოქმნის! ყოველ შემთხვევაში მე ამის იმედი მქონდა. მე მაინც შევამოწმებ ჩემს თეორიას თუ მალე გამომიშვებენ საავადმყოფოდან. არაჩვეულებრივი იყო ისევ გაქროლება გზაზე, ისევ შეგრძნება ქარის ჩემს სახეზე, სიჩქარის და თავისუფლების შეგრძნება... ყველაფერი ეს მახსენებდა იმ დროს როცა ის ზურგზე შესმული მიმაქროლებდა ტყეში. უეცარი ტკივილის წარმოქმნით ეს მოგონებები გავფანტე და სავარძელზე შემაკანკალა.
–მართლა კარგად გრძნობ თაავს?

–კი –ვუპასუხე ხმაში მეტი დამარწმუნებლობის ჩადებით.

–ხო, მართლა –დაამატა მან –საღამოს პირველ რიგში შენს მოტოციკლეტზე ფეხის მუხრუჭების მოჭრას ვაპირებ.

სახლში მისვლისას სარკეში ჩავიხედე, ამაზრზენად გამოვიყურებოდი, ტალახიანი, სისხლი ყელზე და სახეზე შემხმარი იყო. ცემს თავს ვარწმუნებდი რომ სისხლისგან გული არ ამრეოდა და პირით ღრმად ვსუნთქავდი.
დავიბანე როგორც შემეძლო. ბინძური ტანსაცმელი სარეცხების კალათაში ჩავმალე, ფრთხილად ჩავიცვი ჯინსები და საროჩკა (რადგან სვიტერი ვერ გადავიცვი თავზე სისხლით რომ არ დავსვრილიყავი). ფაქიზად ისე რომ სისხლი არ წამომსვლოდა ვიცმევდი ტანსაცმელს და ჭრილობიდან შორს ვწევდი.

–ცოტა ჩქარა –დამიძახა ჯეიკობმა

–მოვდივარ –დავიყვირე პასუხად. დარწმუნებულმა რომ არაფერი საეჭვოდ არ დავტოვე ძირს ჩავედი.

–როგორ გამოვიყურები? –ვკითხე მე

–უკვე, უკეთესად –გამოტყდა ჯეიკი

–სამაგიეროდ ეხლა გამოვიყურები ისე თითქოს შენს გარაჟში ფეხი წამოვკარი და თავი დავარტყი რაღაცას.

–ხო, მეც ესე ვფიქრობ

–მაშინ, წავიდეთ.

ჯეიკობმა კარებში გამომიყვანა და ისევ იჯინებდა რომ საჭესთან თვითონ დამჯდარიყო. შაავადმყოფოს შუა გზაზე შევამჩნიე რომ არაფერი ეცვა ტანზე.
სინდისმა შემაწუხა.

–კურკტა უნდა ვიშოვოთ

–ეს გაგვცემს –გამეხუმრა მან –თან გარეთ არც ისე ცივა.

–დამცინი? –სიცივისგან აკანკალებული ხელებით გამათბობელი ჩავრთე.

ჯეიკობს გავხედე ხო მარ მაჩვენებდა თავს რომ არ მენერვიულა მაგრამ ის სავსებით კომფორტულად იყო სანამ მე გათბობას ვცდილობდი.
ჯეიკობი მართლა დიდი ჩანდა მის 16 წელთან შედარებით – რათქმაუნდა არა 40ის როგორც ჩვენ დავადგინედ, მაგრამ ჩემზე უფროსად კი. კვილეტების ახოვანი აღნაგობა სულ არ გადმოეცა

მას, მათთან შედარებით ის სკილეტი იყო. ნაზი კანის ქვეშ თამაშობდნენ პატარა კუნთები მაგრამ ძლიერები. ანის ფერი ისეთი სესანიშნავი ყავისფერი იყო რომ მშურდა.
ჯეიკობმა იგრძნო ჩემი დაჟინებული მზერა

–რა? –უხერხულად მკითხა მან

–არაფერი. უბრალოდ ადრე ამას ვერ ვამჩნევდი. იცი რომ... საკმაოდ მიმზიდველი ხარ

სიტყვები ისე გამომიფრინდა მეშინოდა მას არასწორად არ გაეგო.

მაგრამ ჯეიკობმა თვალები დაქაჩა –მემგონი შენ მართლა მაგრად დაარტყი თავი?!

–არა, სერიოზულად ვამბობ.

–ნუ ეხლა, მაშინ მადლობა რა.

მე გამეცინა –მაშინ არაფრის რა.

შვიდი ნაკერი დამადეს შუბლზე. ადგილობრივი ნარკოზის გაკეთების შემდეგ საერთოდ არ მიგვრძნია არაფერი. სანამ ექიმი სნოუ მიკერავდა ჯეიკობს ჩემი ხელი ეჭირა ხოლო მე ვცდილობდი არ მეფიქრა ბედის ირონიაზე.
მთელი მარადისობა გავატარედ მე და ჯეიკობმა საავდმყოფოში, როცა ყველაფერი დამიმთავრეს ჯეიკობი სახლში მივიყვანე და სასწრაფოდ წამოვედი ჩარლისთვის ვახშმის მოსამზადებლად. მან დაიჯერა ჩემი ისტორია გარაჟში წაქცევაზე. თან ტანსაცმლის გამოცვლის შემდეგ მართლაც იფიქრებდი რომ შემეძლო ჩემით წავსულიყავი საავადმყოფოში.
ღამე შედარებით წყნარად გავიდა ვიდრე მაშინ პორტანჯელესში ხმის გაგონების შემდეგ. ჭრილობა გულში დაბრუნდა და ყოველწუთს იზრდებოდა ჯეიკობი რომ არ იყო ჩემს გვერდით, მაგრამ ეხლა არ ვგრძნობდი მთლად გაუსაძლის ტკივილს. მე უკვე მომავლის გეგმებს ვაწყობდი როგორ გამომეწვია უფრო ძლიერი ჰალუცინაცია, თავის სიგიჯემდე მიყვანამდე. რათქმაუნდა ხვალ როცა ჯეიკობთან ერთად ვიქნები, შედარებიდ კარგად ვიგრძნობ თავს. ესე ადვილი იყო გადამეტანა სიცარიელედან გამოწვეულ ტკივილს. შვება მომეცა. კოშმარებიც შედარებით დასუსტდა. ჩვეულებრივ მე სიცარიელესი მეშინოდა მაგრამ ეხლა იყო დაუოკებელი სურვილი როდის გაიჟღერებს ჩემში ნაცნობი ხმა. ვიცოდი რომ კოშმარები მალე გათავდებოდა.

მომავალ ოთხშაბათს სანამ საავადმყოფოდან გამომიშვეს, ექიმმა ჯერანდიმ დაურეკა მამას რომ შეიძლება ტვინის შერყევა მაქვს. ან ურჩია რომ ღამით ყოველ 2 საათში გავეღვიძებინე და ეკითხა თუ როგორ ვარ. ჩარლიმ ეჭვით დააწვრილა თვალები როცა ისევ გარაჟის ისტორიის მოყოლა დავუწყე.

–იქნებ არ ღირს რომ შენ და ჯეიკობი შეხვიდეთ იმ გარჟში ბელა. – იმავე დღეს მითხრა სადილობისას

მე პანიკაში ჩავვარდი რადგან უკვე ახლოს იყო ჩარლი იმასთან რომ ლა-პუშში წასვლა აეკრძალა, მოტოციკლეტებზე აღარ ვლაპარაკობ. მე ამას არ დავუშვებ – დღეს არაჩვეულებრივი ჰალუცინაცია მქონდა. ჩემი ბარხატის ხმიანი ჰალუცნაცია მთელი 5 წუთი მესმოდა, სანამ უცებ მუხრუჭს არ დავაჭირე და ბუჩქებში არ გადავფრინდი. დღეს ღამე ყველანაირ ტკივილს წუწუნის გარეშე გადავიტან.

–ეს გარაჟში არ მომხდარა მამა –დავარწმუნე მე –ვსეირნობდით და ქვაზე წამოვკარი ფეხი.

–როდის მერეა რომ სეირნობ? –სკეფტიკურად მკითხა ჩარლიმ

–ნიუტონებთან მუშაობის ზეგავლენა–დავაზუსტე მე –ყოველდღე დასვენების ინვენტარების გაყიდვისას უნებურად ინტერესდები.

ჩარლიმ ისევ ეჭვით შემომხედა.

–ამიერიდან ფრთხილად ვიქნები –დავპირდი, მაგიდის ქვეშ თითებ გადაჯვარედინებული.

–მე არ ვარ წინააღმდეგი თქვენი სეირნობის ლა-პუშში, მაგრამ ქალაქთან ახლოს იყავი.

–რატომ?

–ცოტა ხნის წინ უამრავი ველური ბუნების დამცველები დავაკავედ. თყეების დეპარტამენტი ამოწმებს მაგრამ ეხლა...

–ა, ხო დიდი დათვები –უცებ გამინათდა გონება –ხო ისინი ტურისტებმაც ნახეს, ჩვენ მაღაზიაში იყვნენ მოსულები. მართლა ფიქრობ რომ ზოგიერთი ნადირი უზარმაზარი გახდა?

მან შუბლი შეიჭმუხნა –ზოგიერთები კი. ქალაქთან ახლოს იყავით, კარგით?

–კარგი,კარგი, -უცებ ვუპასუხე მე. ის ისევ აფორიაქებული იყო.

–ჩარლი უკვე გულს მიწყალებს –შევჩივლე ჯეიკობს როცა სკოლიდან წამომიყვანა.

–იქნებ ცოტა ხანი შეგვესვენა მოტოციკლებიდან. –მან ცემი უარყოფითი გამომეტყველება დაინახა და იქვე დაამატა –მხოლოდ ერთი კვირა, ამასობაში საავადმყოფოდანაც საბოლოოდ გამოგწერენ.

–მაშინ, რა ვაკეთოდ? –მოწყენილად ვუთხარი

–რასაც მოისურვებ –დიდზე გაიღიმა მან

წუთით დავფიქრდი – რა მინდოდა.
მე ვერ ვიტანდი აზრსაც კი იმაზე რომ წუთითაც კი დავკარგავდი მოგონებებთან სიახლოვეს, რომლებიც არ იყვნენ მტკივნეული – რომლებიც თავისით მოვიდნენ, და რა მიფიქრია მათზე სპეციალურად. თუ არ მაქვს მოტოციკლეტზე დაჯდომის საშუალ.ება სხვა გზას მოვძებნი ადრენალინის და საფრთხის შესაქმნელად. აქ არის რაღაცაზე საფიქრალი. უსაქმურობის პერსპექტივა საერთოდ არ მახარებდა. ნუთუ ისევ დეპრესიაში ვვარდები ჯეიკობთანაც კი? რაიმეთი უნდა შევიქციო თავი.
იქნებ არსებობს სხვა გზა სხვა რეცეპტი...სხვა ადგილი.
სახლი არა რათქმაუნდა. მისი არსებობა კიდევ სადმე უნდა დარჩენილიყო, ჩემი თავის გარდა რათქმაუნდა. უნდა იყოს ადგილი, ნამდვილი, განსხვავებული სხვებისგან, რომლებიც ადამიანური მოგონებებით არიან სავეს.
მე მხოლოდ ერთი ესეთი ადგილი გამახსენდა რომელიც სულ მისი იქნება. ჯადოსნური ადგილი, სინათლით სავეს. უმშვენიერესი მდელო რომელიც მხოლოდ ერთხელ მინახავს ცხოვრებაში, მზის სხივებით და მისი კანის ბრწყინვალებით.
ეს იდეა ცუდად შეიძლება დამთავრებულიყო ჩემთვის – ის შეიძლება გაუსაძლისად მტკივნეული გამხდარიყო. ჩემი გული ნაწილებად იფლითებოდა ტკივილისგან როცა მხოლოდ ვფიქრობდი ამაზე. ძნელი იქნება თავის ხელში აყვანა და არ დანებება. იქ შისაძლებელი იყო რომ გამეგონა მისი ხმა. თან ჩარლის დავპირდი რომ ფეხით გავისეირნებდი...

–რაზე ფიქრობ ესე დაძაბული? –მკითხა ჯეიკობმა.

–ნუუუ... მე ტყეში ერთი ადგილი ვიპოვე როცა მე...მმ...ვსეირნობდი. პატრა მდელო, ულამაზესი ადგილი მთელ მსოფლიოში. მაგრამ არამგონია მარტომ მივაგნო. რამოდენიმეჯერ წასვლა იქნება საჭირო.

–ჩვენ შეგვიძლია კომპასის და რუკის დახმარებით მოვძებნოთ. – მზადყოფნით მიპასუხა ჯეიკობმა. –იცი საიდან უნდა დავიწყოდ?

–კი, სადაც მთავრდება გზატკეცილი, ნომერი 110. მგონი ეს სამხრეთითაა რუკაზე.

–მაგარია. სეიგი ჩვენ მოვძებნით მას. –ჯეიკობი როგორც ყოველთვის მზად იყო ჩემი ყველა სურვილის შსასრულებლად თუ ზოგიერთი უცნაურიც კი იყო.

სადილის შემდეგ, შაბათს მე მოვიზომე ჩემი ახალი, მთის ფეხსაცმელები, ამ დილითვე ნაყიდი 20% ფასდაკლებით თანამშრომლებისთვის. თან წავიერ ოლიმპიკის ნახევარკუნძულის რუკა და ლა-პუშში წავედი.
ჩვენ მაშინვე არ გამოვსულვართ. ჯერ ჯეიკობი მისაღებში იატაკზე გაიშხლართა და მთელი ოთახი დაიკავა თავისი რუკით და მთელი 20 წუთი სანამ სკამის კუთხეზე ვიჯექი, ბილისთან არჩევდა დგილს თუ საით უნდა წაცსულიყავით. ილი საერთოდ არ ღელავდა ჩვენი მოგზაურობის შესახებ. ამიკვირდა როცა ჯეიკობმა უთხრა თუ სად მივდიოდით, ჭორიკნებისთვის ახალი ამბის მისაცემად დიდ დათვებზე. ინდოდა ბილისთვის მეთხოვა რომ ჩარლისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ ვიფიქრე რომ ჩემი თხოვნა უკუ შედეგს გამოიწვევდა და გავჩერდი.

–იქნებ ის “სუპერ-დათვი” ვნახოთ –გაიხუმრა ჯეიკობმა.
მე შეშინებულმა შევხედე ბილის, მისი რეაქციის დასანახად.

–იქნებ ერთი ქოთანი თაფლი წაგეღოთ თან –დასცინა ჯეიკობს.

ჯეიკობმა ჩაიხითხითა –იმედია შენი ფეხსაცმელები ჩქარია ბელა, ერთი ქოთანი თაფლი ერთ კბილზე ეყოფა დათვს.

–უბრალოდ შენზე სწრაფი უნდა აღმოვჩნდე.

–წარმატებას გისურვებ მაგაში –თვალები გადაატრიალა ჯეიკმა, შემდეგ რუკა დაკეცა –წავედით

–კარგად გაერთედ. –მოგვაძახა ბილიმ მაცივრიდან

ჩარლისთან ცხოვრება არ იყო ძნელი მაგრამ ჯეიკობს უფრო ადვილი ქონდა.

მე ბინძური გზის ბოლომდე ჩავედი, და მანქანა ტურისტული ბილიკის ნიშანთან გავაჩერე. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდექ

რაც აქ ვიყავი, ამ მოგონებებიდან მუცელში მიჩხვლიტა რაღაცამ. იქნებ უკეთესად გავხდე როცა მის ხმას გავიგონებ.
მანქანიდან გადმოვედი და მწვანე კედელს მოვავლე თვალი.

–ამ ბილიკით წავედი. –წავიბურტყუნე და წინ მივათითე.

–ჰმმ –წარმოთქვა ჯეიკმა

–რა?

ის იმ მხარეს იყურებოდა სადაც მივუთითე შემდეგ დატკეპნილ ბილიკს სეხდავდა და ისევ უკან

–მეგონა რაღაც, გოგონების ბილიკით წავიდოდით.

–მხოლოდ მე არა –ცივად გავიღიმე –მე ხომ მეამბოხე ვარ.

მან გაიცინა და რუკა გადმოიღო

–ერთი წუთი მომეცი. მან კომპასი საჭირო ადგილისკენ მიმართა, რუკის ტრიალით სანამ სწორი კუთხე არ იპოვა.

–კარგი. პირველი ხაზი კარტაზე. ველაფერი გამოგვივა.

შეიძლება ითქვას რომ ჯეიკობის უკან მივღოდავდი, მაგრამ ის არ წუწუნებდა. ტყის ამ ნაწილში ვცდილობდი არ მეფიქრა ჩემს მოგზაურობაზე ამ ადგილებში სხვა თანამგზავრთან ერთად. ჩვეულებრივი მოგონებები ისევ მტკივნეული იყო ჩემთვის. თუ კიდევ დავუშვებ შეცდომას, ყველაფერი იმით დამთავრდება რომ ტკივილისგან ხელებს გულზე მოვიჭერ და პირით დავიწყებ ჰაერის ჩაყლაპვას, და როგორ ავუხსნა ეს ყველაფერი ჯეიკობს?
აწმყოზე ყურადღების გადმოტანით უკეთესად გავხდი. ტყე ისე გამოიყურებოდა როგორც სხვა დანარჩენი ნახევარკუნძულზე და ჯეიკობიც გზას კარგი განწყობით განაგრძობდა.
ის უპრობლემოდ ძვრებოდა დიდ ჩამონაზარდ მცენარეებში, უცნობი მელოდიის ღიღინით. გარშემო ჩრდილები არ ჩანდა იმდენად შავი. ჩემი შინაგანი მზისგან განსხვავებით. ჟეიკობი ყოველ წუთს რუკას და ცომპასს უყურებდა სწორი მიმართულების შესამოწმებლად. ისე ჩანდა თითქოს მან ნამდვილად იცოდა იმ საქმისა რასაც აკეთებდა. ზად ვიყავი კომპლიმენტი მეთქვა მაგრამ თავი შევიკავე, სიმაყით უფრო გაიბერება.
ჩემი ტვინი აჩქარებულად მუშაობდა სანამ მივდიოდით და ცნობისმოყვარეობა გამიჩნდა. მე არ დამვიწყნია ჩვენი ლაპარაკი

კლდეებზე, ველოდი როდის წამოიწყებდა თვითონ, მაგრამ როგორც ჩანს არც აპირებდა.

–ეი...ჯეიკ? –გაუბედავად დავიწყე მე

–რა?

–როგორ მიდის...ემბრის საქმეები? ახდა ნორმალური თუ არა?

ჯეიკობი გაჩუმდა ცოტა ხანს გაჩუმდა, 10 დიდი ნაბიჯოთ წაიწია წინ და დამელოდა.

–არა. ნორმალური არ გამხდარა –მითხრა ჯეიკობმა როცა დავეწიე. ის ადგილიდან არ განძრეულა. ე ვინანე რომ ისევ წამოვწიე ეს თემა.

–ისევ სემთანაა.

–ხო

ის ბეჭზე მომეხვია, იმდენად აღელვებული იყო რომ ვერ გადავწყვიტე მისი ხელის მოშორება, მაგრამ ინდა გამეკეტებინა ეს.

–ისევ გადევნებენ თვალყურს? –ნახევრადჩურჩულით ვკითხე

ჯეიკობმა ხეებს შეხედა –ხანდახან

–ბილი?

–მეხმარება როგორც ყოველთვის. –უჟმურად მიპასუხა და სიბრაზემ მის ხმაში ამანერვიულა.

–ჩვენი დივანი მუდამ შენს განკარგულებაშია –შევთავაზე მე.

მან გაიცინა ჩვენი მძიმე თემის შესაცვლელად –წარმოიდგინე ჩარლის მდომარეობა როცა ბილი განყოფილებაში ჩემი მოტაცების შესახებ განაცხადებს.

მეც გამეცინა იმის სიხარულით რომ ჯეიკობს თავისი განწყობა დაუბრუნდა.
ჩვენ გავჩერდით როცა ჯეიკობმა თქვა რომ 6 მილი გავიარედ, წავედით დასავლეთით და ისევუკან დავბრუნდით მისი რუკის მიხედვით. ყველაფერი ისეთივენაირა გამოიყურებოდა როგორც წამოსვლისას და ვიგრძენი რომ ჩემი მცდელობა ძებნისა უაზრო იყო.

რამდენად უაზრო იყო მივხვდი როცა უვარსკვლავო ღამე დადგა, მაგრამ ჯეიკობი უფრო იმედიანად იყო

–თუ დარწმუნებული ხარ რომ სწორი ადგილიდან დავიწყედ... მან ზემოდან დამხედა

–კი, დარწმუნებული ვარ

–მაშინ, ჩვენ მას ვიპივით –შემპირდა და ხელი ჩამკიდა ბუჩქებიდან გამოსაყვანად. ზის მეორე მხარეს პიკაპი გამოჩნდა. ან ამაყად დამანახა –მომენდე.

–როგორი კარგი ხარ –აღვფრთოვანდი მე. –მეორეჯერ თან ფანრები წამოვიღოდ.

–მოდი შემდეგი გასეირნება კვირამდე გადავდოთ. არ მეგონა ესეთი ნელი თუ იყავი.

თავი უკან გადავაქნიე და საჭესთან დავჯექი სანამ ის ჩემს რეაქციაზე იცინოდა.

–მზად ხარ ხვალ მეორე მცდელობისთვის? –მკითხა მგზავრის სავარძლის დაკავებით.

–რათქმაუნდა. სამწუხაროდ შენ ჩემს გარეშე წამოსვლას აპირებ, ამიტომ მე ისეთი ნელი ვარ ხელს აღარ შეგიშლი.

–როგორმე გადავიტან –მითხრა მან –ოღონდ სხვა დროს სქელი წინდები ჩაიცვი თორემ უკვე განაახლე ნახვრეტებით ახალი ფეხსაცმელი.

–ხო ცოტა. –გამოვტყდი მე. ვგრძნობდი რომ წყლულები ფეხებზე დიდი მქონდა.

–იმედია ხვალ დათვს ვნახავთ, ცოტა მეწყინა ამის გამო.

–ხო მეც –სიცილით ვუთხარი –იქნებ უფრო მეტადაც გაგვიმართლოს და ბოლოს და ბოლოს შეგვჭამონ.

–დათვები არ ჭამენ ადამიანებს, ვთვლით რომ ისინი არ არიან გემრიელები –დაიღრინა ჯეიკობმა –მაგრამ შენ გამონაკლისი ხარ, ვშიშობ რომ ძალიან გემრიელი ხარ.

–დიდი მადლობა. –ის პირველი არ არის ვისაც ეს უთქვამს ჩემთვის

თავი მეცხრე

მესამე ზედმეტი

დრო იმაზე სწრაფად გარბოდა ვიდრე ადრე – სკოლა, სამუშაო, ჯეიკობი. ეს ყველაფერი მისაბაძი იყო და ჩარლის ოცნებაც ასრულდა: მე აღარ ვიყავი უბედური. რათქმაუნდა საკუთარ თავს ვერ ვატყუებდი. როცა მე შევეშვი ჩემი ცხოვრების კრიტიკულად შეფასებას, რასაც არც ისე ხშირად ვაკეთებდი, მე ვერ გავუკეთებდი იგნორირებას ჩემი ქცევის შედეგებს.
მე დაკარგულ მთვარეს ვგავდი – ჩემი პლანეტა კატაკლიზმებით დაღუპული, გაპარტახებული როგორც კატასტროფული ფილმების სცენარშია, ყველაფრის მიუხედავად მაინც ტრიალებდა პატარა ორბიტის გარშემო, სიცარიელეში, მიზიდულობის კანონის იგნორირებით.
მე უკეთესად ვისწავლე მოტოციკლის ტარება, რაც ნაკლებ სახვევებს ნიშნავდა რაც ჩარლის ანერვიულებდა. კიდევ იმას ნიშნავს რომ ხმამ ჩემს გონებაში გაქრობა დაიწყო, და საერთოდ აღარ მესმოდა. ამან პანიკაში ჩამაგდო. გიჟივით დავიწყე იმ მდელოს ძიება. ეხლა ჩემი ტვინი მხოლოდ იმას ამუშავებდა თუ როგორ გამომემუშავებინა ადრენალინი.
არ ვიხსენებდი გასულ დღეებს, რადგამ მაქსიმალურად ვცდილობდი დღევანდელობით მეცხოვრა, იმდენად ვცდილობდი რომ არც წარსული მახსენდებოდა და არც მომავალზე ვფიქრობდი. ამიტომაც გამიკვირდა თარიღი რომლის შესახებაც ჯეიკობმა მამცნო ერთ დღეს როცა გაკვეთილებს ვმეცადინეობდით. ის მელოდა სანამ მისი სახლის წინ არ გავჩერდი.

–ვალენტინობას გილოცავ –წარმოთქვა ჯეიკობმა ღიმილით, მაგრამ სწრაფად დახარა თავი და პატარა ვარდისფერი ყუთი გამომიწოდა ხელისგულით.

–ესე თავს შტერად ვთვლი –წავიბურტყუნე მე –დღეს ვალენტინობაა?

ჯეიკობმა ვითომ წყენით გააქნია თავი

–ბელა ზოგჯერ მგონია რომ სხვა სამყაროში ხარ. ხო დღეს 14 თებერვალია. ასე რომ იქნები ჩემი ვალენტინა? რადგან შენ ჩემი ტკბილეული არ აიღე ეს არ არის ბოლო რისი გაკეთებაც შეგიძლია.

თავი უხერხულად ვიგრძენი. სიტყვები გამაღიზიანებლად ჟღერდა ოღონდ მხოლოდ პირველი შეხედვით.

–ზუსტად რას გულისხმობს ეს ყველაფერი? –თავი დავიზგვიე მე

–ჩვეულებრივ ეს სიცოცხლის ბოლომდე მორჩილებაა შენს ბატონზე.

–და რა არის, თუ ე ყველაფერი... –მე კანფეტები გამოვართვი. ვფიქრობდი თუ როგორ გამევლო ჩვენს ურთიერთობას შორის საზღვრები, მაგრამ ჯეიკობთან ყოფნის დროს ეს მავიწყდებოდა.

–აბა! ღას გავაკეთებთ ხვალ? გასეირნება თუ სასწრაფო დახმარება?

–გასეირნება, -გადავწტვიტე მე – მგონი მოვიგონე ის ადგილი... -მე უხერხულად გავიხედე სივრცეში.

–ჩვენ მას ვიპოვით –დამარწმუნა მან –პარასკევს წავიდეთ? –შემომთავაზა ჯეიკმა

–პარასკევს კინოში მივდივარ. სკოლის მეგობრებს შევპირდი, ვინც სადილობისას ერთ მაგიდასთან ვზივართ რომ წავალ, მაგრამ დიდათ არ მიხარია მათთან ურთიერთობა.

ჯეიკობის სახე გაბრაზებული გამოიყურებოდა. მანმადე მოვასწარი მისი შავი თვალების გამოხედვის დაჭერა ვიდრე ძირს დახრიდა.

–შენც ხომ წამოხვალ? –დავუმატე უცებ –თუ ეს ზედმეტი იქნება, მოსაწყენ უფროსკლასელებთან ერთად ბოდიალი? –ეს არაჩვეულებრივი საშუალებაა ჩვენს ურთიერთობებში საზღვრის დასაწესებლად. მე არ შემეძლო ჯეიკობისთვის ტკივილის მიყენება. თითქოს რაღაცა გზით გადაჯაჭვული ვიყავით ერთმანეთზე, და მისი ტკივილი ნემსივით ხვდებოდა ჩემს გულს. თანაც მასთან ერთად ყოფნა ამ რთულ გამოცდაში – მე მაიკს შევპირდი, მაგრამ სინამდვილეში როცა გავიაზრე ამის შემდეგი მოვლენები, დიდი სიხარული არ განმიცდია – ასე რომ საკმაოდ მიმზიდველი იყო ჯეიკობზე იდეა.

–შენ მოგინდებოდა იქ წასვლა ჩემი მეგობრებით რომ წამოვსულიყავი?

–კი –გულახდილათ ვუპასუხე და თან ვხვდებოდი რომ ჩემივე სიტყვებით ვაყენებდი თავს განსაცდელში.

–უფრო მხიარულად ვიქნები თუ შენც წამოხვალ. კვილიც წამოვიყვანოდ და წვეულებად გადავაქციო ყველაფერი.

–კვილი გაერთობა. უფროსკლასელი გოგონები. –მან ჩაიცინა და თვალები გადაატრიალა. არც მას და არც მე ემბრი არ გვიხსენებია.

მეც გავიცინე –შევეცდები სწორი არჩევანი გააკეთოს.

ეს თემა მაიკთან განვიხილე ინგლისურის გაკვეთილზე.

–ეი მაიკ –ვუთხარი როცა კლასი დაცარიელდა –პარასკევს გცალია?

მან თავისი ცისფერი იმედით სავსე თვალებით შემომხედა.

–კი მცალია. სადმე წასვლა გინდა?

მე დაწვრილებით ჩამოვაყალიბე პასუხი –ვიფიქრე კომპანიით წავიდეთ –ბოლო სიტყვაზე გავამახვილე ყურადღება –ვუყუროდ "ძაფისებრი ჯვრები" – ამ ჯერად კინო ანონსები წავიკითხე, რომ არ ჩავჭრილიყავი, ეს ფილმი როგორც ვიცი სისხლიანი უნდა იყოს თავიდან ბოლომდე. –სასაცილოდ ჟღერს არა?

–კი. -მიპასუხა არც ისე დიდი ენერგიით

–მაგარია.

წუთის შემდეგ ისევ დაიბრუნა თავისი ჩვეული განწყობა –რას იტყვი რომ დავპატიჟოთ ანჟელა და ბენი? ან ერიკი და კეიტი?

მას ნამდვილად უნდოდა რომ პაემანი მოეწყო.

–და, რას იტყვი ყველას რომ ვუთხრად? –შევთავაზე მე –რათქმაუნდა ჯესიკა, ტეილორი, კონერი და ლორენიც შეიძლება –ბოროტულად დავამატე. კვილს მრავალფეროვნებას შევპირდი.

–კარგი. –წაიბურტყუნა მაიკმა გულმოსული.

–და კიდევ –მე გავაგრძელე –მე ორი მეგობარი მყავს ლა-პუშიდან რომლებიც დავპატიჟე. თუ ყველა წამოვა შენი შევროლე დაგვჭირდება.

მაიკის თვალები ეჭვით დავიწროვდნენ

–ეს ის მეგობრებია, ვისთანაც მთელ თავისუფალ დროს ატარებ?

–ხო ისინი –უცებ დავეთანხმე –მაგრამ ამას შეგიძლია როგორც რეპეტიტორობას ისე შეხედო. –ისინი 2 წლით პატარები არიან

–ააა –წარმოთქვა გაკვირვებით მაიკმა. წუთით დაფიქრების შემდეგ გაიღიმა

საბოლოოდ "შევროლე" არ დაგვჭირდა.
ჯესიკამ და ლორენმა მაშინვე განაცხადეს რომ დაკავებულები არიან როცა მაიკმა ახსენა რომ ეს ჩემი იდეა იყო. ერიკს და კეიტის უკვე ჰქონდათ გეგმები – სამი კვირა სრულდებოდა მას შემდეგ რაც ერთად არიან, თუ რაღაც ეგეთი. ლორენმა მაიკს დაასწრო ტეილორთან და კონერთან, ამიტომ ეს ორიც დაკავებული იყო. კვილმაც ვერ შეძლო – სკოლაში ჩხუბისთვის ემზადებოდა. და ბოლოს, მხოლოდ ანჟელას და ბენს და რათქმაუნდა ჯეიკობს შეეძლო წამოსვლა.
მონაწილეების რიცხვის დაკლებამ მაინც არ დააცხრო მაიკის მცდელობები, პარასკევის შესახებ

–ნამდვილად დარწმუნებული ხარ რომ არ გინდა "ხვალ და სამუდამოდ" ამ ფილმის ყურება –მითხრა სადილობისას, ლიდერი კომედიური მელოდრამის სახელწოდება.

–მინდა "ძაფისებრ ჯვრებს" ვუყურო –ჯიუტად ვთქვი მე –მე ჩხუბზე მიყვარს ფილმები. მეტი სისხლი და საშინელება!

–კარგი. –მაიკი შეტრიალდა მაგრამ მოვასწარი რეაქციის წაკითხვა მის თვალებში: "იქნებ გააფრინა ყველაფრის შემდეგ"

როცა სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი დავინახე კარგად ნაცნობი მანქანა ჩემი სახლის წინ მდგარი. ჯეიკობი კაპოტზე დაყრდნობილი იდგა და ფართე ღიმილით უბრწყინავდა სახე.

–არა! –დავიკივლე პიკაპიდან გადმოხტომისას. –შენ ეს გააკეთე! არ მჯერა! შენი "რებიტი" ააწყვე!

ჯეიკობი ბრწყინავდა –გუშინ ღამით. დღეს პირველი გამოსვლაა.

–დაუჯერებელია. –მე ხელი ავწიე

მან ხელი ხელზე მომარტყა და მისი თითები ჩემსაში გადააჯვარედინა.

–შეიძლება დღეს საღამოს მე წაგიყვანიდ?

–რათქმაუნდა –ვთქვი და შემდეგ ამოვიოხრე

–რამე ცუდადაა?

–მე ვნებდები, მე არ შემიძლია ამის გადალახვა. ნუ, შენ გაიმარჯვე, უფროსი ხარ.

მან ბეჭები აიჩეჩა, არც გაკვირვებია ჩემი დანებება –რათქმაუნდა მე ვარ.

ქუჩის კუთხეში ნაცნობი ძრავის, მაიკის შევროლეს ხმა გაისმა. ჯეიკობს ხელი გავუშვი, რის გამოც ისეთი სახე მიიღო არც ველოდებოდი.

–მე ეს ბიჭი მახსოვს –წარმოთქვა მან ჩუმად, მაიკი მოპირდაპირე მხარეს აყენებდა მანქანას. –ის რომელიც ფიქრობდა რომ მისი შეყვარებული იყავი

მე წარბი ავწიე –ზოგიერთი ადამიანის გადარწმუნება რთულია.

–მეორე მხრივ –ჯეიკობმა ჩაფიქრებულად წარმოთქვა –ზოგჯერ სიჯიუტე ფასდება.

–მაგრამ დროის დიდი ნაწილი ღიზინადები.

  აიკი მანქანიდან გადმოვიდა და გზა გადმოჭრა.

–პრივეტ ბელა. –მომესალმა და მისი თვალები აღელვებული გახდა როცა ჯეიკობი დაინახა. მეც შევხედე ჯეიკობს, ვცდილობდი ობიექტური ვყოფილიყავი. ის სულაც არ გავდა 16 წლისას. მაიკი ბეჭამდე ძლივს სწვდებოდა. იქრიც არ მინდოდა თუ როგორი ვიყავი მე მასთან შედარებით. ის უფროსი ჩანდა მის ასაკთან ერთი თვის უკანაც კი.
–პრივეტ მაიკ. ჯეიკობ ბლეკი გახსოვს?

–კარგად არა –მაიკმა ხელი გამოსწია

–ოჯახის ძველი მეგობარი –წარუდგა ჯეიკობი და ხელი ჩამოართვა. ხელი დიდი ძალით ჩამოართვეს ერთმანეთს. როცა როგორც იქნა შეწყვიტეს, მაიკმა თითები გაისწორა.

გავიგონე სამზარეულოდან ტელეფონის ხმა

–ვფიქრობ უკეთესია ვუპასუხო, შეიძლება ჩარლია –ვუთხარი მათ და სახლში შევვარდი.

ეს ბენი იყო. ანჟელას ავად გახდა და ის არ იყო დარწმუნებული რომ მარტო წამოვიდოდა. მოიბოდიშა რომ იმედი გაგვიცრუა. თავი გავაქნიე და ბიჭებთან წავედი. გულახდილად მინდოდა რომ ანჟელა სასწრაფოდ გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ ამ საღამოს მე მაიკი და ჯეიკობი სამივე ერთად გადასარევად გაკეთებულა. გავიფიქრე ბნელი იუმორით.
  არ მიფიქრია რომ ჯეიკი და მაიკი დამეგობრდებიან ჩემს არ ყოფნაში. ისინი რამოდენიმე მეტრით დაშორებული ზურგით იდგნენ ერთმანეთთან. მაიკი გაბუსული გამოიყურებოდა, ჯეიკი როგორც ყოველთვის მხიარულად.

–ანჟელა ავად გახდა –მოწყენილი ვთქვი მე –ის და ბენი არ წამოვლენ.

–ვფიქრობ რომ ვირუსი მეორე წრეზე წამოვიდა. ოსტინი და კონერი ავად გახდნენ დღეს. იქნებ წასვლა გადაგვედო –შემოგვთავაზა მაიკმა

სანამ დავეთანხმებოდი. ჯეიკობმა მომასწრო

–მე ვაპირებ წასვლას, მაგრამ შენ თუ დარჩენა გირჩევნია მაიკ…

–არა, მოვდივარ –გააწყვეტინა მაიკმა –მე მხოლოდ ანჟელაზე და ბენზე გავიფიქრე. –ის თავისი ფურგონისკენ გაემართა

–მაიკ, წინააღმდეგი ხო მარ ხარ ჯეიკობმა რომ წაგვიყვანოს? –ვკითხე მე –ეხლა ხან დაასრულა თავისი მანქანა, მან ააწყო.

–გადასარევია. –თქვა მაიკმა გაღიზიანებულმა

–ხოდა, ყველაფერი რიგზეა –წარმოთქვა ჯეიკობმა თითქოს ეს უკვე გადაწყვეტილი ყოფილიყო. ის ყველაზე მშვიდად გამოიყურებოდა.

მაიკი უკანა სავარძელზე დაჯდა სახეზე უარყოფის გამომეტყველებით.
ჯეიკობი თავის ჩვეულ მხიარულ განწყობაზე იყო. ის ლაპარაკობდა უამრავ რაღაცეებზე სანამ არ გავსკდი მისი ამბებით ხოლო მივიწყებული მაიკი იბუსებოდა უკან.
შემდეგ მაიკმა შეცვალა სტრატეგია. წინ გადმოიწია და ნიკაპით ჩემს სავარძელს ჩამოეყრდნო. ჩვენი ლოყები თითქმის ერთმანეთ ეხებოდა, ამიტო მდგომარეობა შევიცვალე და ფანჯარას ზურგით მივეყრდენი.

–მაგნიტოფონი “ამაში” მუშაობს? –იკითხა მაიკმა თავხედურად, გააწყვეტინა ჯეიკობს შუა ლაპარაკში.

–კი, მაგრამ ბელას არ უყვარს მუსიკა.

მე გაკვირვებული მივაჩერდი ჯეიკობს. არასდოს არ მითქვამს მისთვის ამის შესახებ.

–ბელა? –მკითხა მაიკმა სინანულით

–ის მართალია. –წავიბურტყუნე მე, ისევ ჯეიკობის მშვიდი პროფილის ყურებაში

–როგორ შეგიძლია მუსიკა არ გიყვარდეს? –პასუხი მოითხოვა მაიკმა

მე მხრები ავიჩეჩე –არ ვიცი. უბრალოდ მაღიზიანებს.

–ჰმ –მაიკი უკან გადაწვა.

როცა კინოსთან მივედით, ჯეიკობმა 10 დოლარიანი გამომიწოდა.

–ეს რა არი? –გაღიზიანებული ვიყავი

–არ ვარ საკმარისად დიდი რომ იქ წავიდე –შემახსენა მან.

მე უხმოდ გავიცინე –ამდენი ასაკის დასამალად? თუ იქ წაგიყვან ბილი მომკლავს?

–არა. ვუთხარი რომ ჩემი შეცდენა გინდა.

მე ჩავიხითხითე, და მაიკმა მოუჩქარა რომ არ ჩამოგვრჩენოდა. როგორ მინდოდა რომ მაიკი უკან დაბრუნებულიყო, ის ძალიან მოღუშულად გამოიყურებოდა - არც ისე კარგი დამატება ჩვენი გართობისთვის. მეორე მხრივ არ მინდოდა დღის ჯეიკობთან დასრულება. ეს არაფერში არ დამეხმარება.
კინო ზუსტად ისეთი იყო როგორსაც ამბობდნენ.
პირველ კადრებში ოთხი ადამიანი აფეთქდა და ერთი უთავო იყო. გოგონა რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა თვალებზე ხელები აიფარა და მეგობარს ჩაუდა თავი გულში. მან ბეჭზე დაადო ხელი და ზოგჯერ მასაც ხტებოდა სკამზე. მაიკი მგონი არ უყურებდა კინოს. მისი სახე ქვასავით იყო და ბოროტად მისჩერებოდა ეკრანის თავზე ფარადს.

მე მყარად გადავწყვიტე გამეძლო ეს 2 საათი, ვუყურებდი ფერებს და მოქმედებებს იმის მაგივრად რომ მანქანებს, სახლებს და ხალხის ფიგურებს დავკვირვებოდი. მაგრამ ჯეიკობმა სიცილი დაიწყო.

–რა იყო? –დავიჩურჩულე მე

–არაფერი. –ყრუდ დაიჩურჩულა მან. –სისხლი იმ კაციდან 3 მეტრზე ასხამს. ღოგორ შეგიძლია ამ სისულელეს უყურო?

მან ისევ ჩაიხითხითა. როცა კაცი კედელს ააწებეს.
ამის შემდეგ ვუყურებდი ამ შოუს და მასთან ერთად ვიცინოდი, როცა სინამდვილეს ცილდებოდა ეფექტები.
  როგორ შემეძლო ჩვენ ურთიერთობებში ზღვარის დაცვა როცა ესე კარგად ვგრძნობდი თავს მის გვერდით.
მაიკი და ჯეიკობი ჩემს აქეთ იქით მოთავსდნენ. მათი ხელები ამობრუნებული იდო როგორც დათვის თათები გახსნილი და მომზადებული. ჟეიკობს ჩვევა ჰქონდა ჩემზე ხელი ჩაკიდება როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მაგრამ აქ სიბნელეში, თან მაიკის მეთვალყურეობის ქვეშ, სხვა აზრს შეიძენდა. ვიცოდი რომ ისიც ხვდებოდა ამას. მაგრამ არ ვიცოდი მაიკი თუ ფიქრობდა იგივეს, მისი ხელიც ჯეიკობისნაირად იდო.
ხელები გულზე გადავიჯვარედინე, იმედით რომ დაწყნარდებოდნენ. მაიკი პირველი დანებდა. ხელი აიღო, წინ გადაიწია და ნიკაპით ჩამოეყრდნო. თავიდან მეგონა რომ მისი ესეთი რეაგირება ფილმის მომენტმა გამოიწვია, მაგრამ შემდეგ დაიკვნესა.

–მაიკ კარგად ხარ? –დავიჩურჩულე მე

ჩვენს წინ მჯდომი წყვილი შემობრუნდა მისკენ როცა ისევ ამოიკვნესა.
მე დავინახე როგორ ბრწყინავდა მისი სახე ოფლიდან.
მაიკმა ისევ ამოიკვნესა და გასასვლეისკენ წავიდა. მე მას გავყევი, ჯეიკობი კი ორივეს წმოგვყვა.

–არა დარჩი. –დავიჩურჩულე. –დავრწმუნდები რომ კარგადაა.

მაგრამ ჯეიკობი მაინც გამოგვყვა.

–შენ არ უნდა წამოხვიდე. უყურე ფილმს. –მოვითხოვე როცა გასასვლელში გამოვიდა.

–არაუშავს დიდს არაფერს დავკარგავ. მართლა საშინელებაა მაგრამ ყალბია. –მან ჩურჩულს თავი დაანება როცა დარბაზიდან გამოვედით.

მაიკი დერეფანში არ იყო და გამიხარდა ჯეიკი რომ გამომყვა – ის კაცების ტუალეტში გაიქცა მის სანახავდ.
რამოდენიმე წუთში ჯეიკობი გამოვიდა.

–ო, ყველაფერი კარგადაა. –წარმოთქვა თვალების გადატრიალებით. –ვინმე უფრო მყარი ნერვებით დაგეპატიჟებია, ვისაც სისხლის დანახვაზე ეცინება და გული არ ერევა.

–ყურადღებით ვიქნები რომ მოვძებნო ეგეთი.

ჩვენ მარტონი ვიყავით დერეფანში. რივე დარბაზში ფილმი გადიოდა და იმდენად სიჩუმე იყო გარედ პოპკორნის სროლის ხმაც გვესმოდა.
ჯეიკობი კედელთან მდგარ ძველ სკამზე ჩამოჯდა და მეორე სკამზე ხელი დაარტყა ჩემს დასაძახებლად.

–ხმების მიხედვით – იქ დიდი ხანი დარჩება. –თქვა, მისი გრძელი ფეხები გაჭიმა და კომფორტულად მოეწყო.
მე მას შევუერთდი ამოხვნეშით. ის ისე გამოიყურებოდა თითქოს ფიქრობდა როგორ ქრებოდა მეტი და მეტი საზღვრები ჩვენს ურთიერთობაში. ღოგორც კი დავჯექი ხელი აწია რომ ხელი შემოეხვია.

–ჯეიკ, -შევეწინააღმდეგე მე და წინ გადავიწიე. ან ხელი დაუშვა და სულ არ იყო ანერვიულებული ჩემი უარით. ხელი ხელზე მომკიდა და მეორე მაჯაზე მაგრად მომიჭირა. ისევ შევეცადე განთავისუფლებას. შაიდან აქვს ამხელა თავდაჯერებულობა?

–არა მოიცა ბელა –წარმოთქვა მშვიდად –რაღაც მითხარი.

მე შევიჭმუხნე. მე არ მინდოდა ამის გაკეთება, არც ახლა არც არასდროს. არ იყო არაფერი რაც ჩემს ცხოვრებაში ჯეიკობ ბლეკზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა.
მაგრამ ის მზად იყო ეს ყველაფერი დაენგრია.

–რა? –წავიბურტყუნე მე

–მე შენ მოგწინვარ ხომ?

–იცი რომ, კი

–უფრო მეტად ვიდრე ის იდიოტი რომელიც აღებინებს? -მან ტუალეტის კარისკენ მიმანიშნა.

–ხო –ამოვიხვნეშე მე.

–უფრო მეტად ვიდრე სხვა ბიჭები ვისაც იცნობ?
-ის მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს ჩემი პასუხი არ იყო მისთვის მნიშვნელოვანი ან უკვე იცოდა რასაც ვეტყოდი.

–მეტად ვიდრე ჩემი დაქალები. –ვუთხარი მე

–და მხოლოდ –თქვა მან ოღონდ ეს არ იყო კითხვა.

ძნელი იყო პასუხის გაცემა. ეს მას გილს ატკენს და ჩემგან გაქცევას შეეცდება. ღოგორ გავუძლებ ამას?

–კი –დავიჩურჩულე მე

მან ჩაიცინა –შენ იცი რომ ეს კარგია. შანამ მოგწონვარ. და ფიქრობ რომ კარგი ვარ. მე ვაპირებ გამაღიზიანებლად ჯიუტი ვიყო.

–მე არ ვაპირებ გადაწყვეტილების შეცვლას. –ვეცადე ხმა ნორმალური ყოფილიყო.

ის ჩაფიქრებულად გამოიყურებოდა –ისევ არის სხვა არა?

მე შემაჟრჟოლა. საინტერესიოა როგორ მიხვდა სახელი არ ეხსენებინა – ისევე როგორც მანქანაში მუსიკაზე. მან ჩემზე ისეთი რაღაცეები იცოდა რაც არ მიხსენებია.

–შეგიძლია არ ილაპარაკო ამაზე. –მითხრა მან

მე თავი დავუქნიე.

–არ გეწყინოს ჩემი მცდელობა დაახლოებისთვის, კარგი? –მან ხელზე დამარტყა –იმიტომ რომ არ დავნებდები. წინ დიდი დრო მავქს

მე ამოვიხვნეშე –შენ არ უნდა დახარჯო ის ჩემზე –ვთქვი, მაგრამ მე მჭირდებოდა ის. მითუმეტეს თუ ის მიღებდა ისეთს როგორიც ვარ – გაფუჭებული საქონელი, ესე ვთქვად.

–ეს ის არის რისი გაკეთებაც მინდა სანამ შენ გესიამოვნება ჩემთან ყოფნა.

–ვერც კი წარმოვიდგენ როგორ შეიძლება არ მსიამოვნებდეს შენთან ყოფნა. –გულახდილად ვუპასუხე მე.

ჯეიკობს თვალები გაუბრწყინადა –ამით შემიძლია ვიცხოვრო.

–მაგრამ მეტს არ ელოდო. –გავაფრთხილე მე და ვეცადე ხელი გამენთავისუფლებია, მას მაგრად ეჭირა.

–სინამდვილეში ეს არ გაღელვებს არა? –მომთხოვნად მკითხა, და ხელის თითებზე მომიჭირა

–არა –ხვნეშით ვიპასუხე მე. სინამდვილეში კარგად ვგრძნობდი თავს, მისი ხელი ჩემზე თბილი იყო, ამ ბოლო დროს კი სულ სიცივეს ვგრძნობდი.

–და არ გაღელვებს ის რას ფიქრობს –ჯეიკობმა უცებ თითი მიიშვირა ტუალეტის კარებისკენ.

–ვფიქრობ რომ არა.

–მაშინ რაშია პრობლემა?

–პრობლემა – ვუთხარი მე –იმაშია რომ ჩემთვის ეს არ ნიშნავს იმას რასაც შენთვის.

–მაშინ –მან ხელი ხელზე მომიჭირა –ეს ჩემი პრობლემაა, არა?

–გადასარევია –დავიღრინე მე –მაშინ არ დაივიწყო

–არ დავივიწყებ. მე ყუმბარა ხელში მაქვს ხომ? –მან ბეჭი გამკრა

მე თვალები გადავატრიალე. ვიფიქრე რომ, თუ უნდა ეს ყველაფერი სასაცილოდ გადააქციოს ამაზე მას სრული უფლება აქვს. რამოდენიმე წუთი ჩუმად ხითხითებდა, სანამ მისი თითი ჩემს ხელზე არ თამაშებდა.

–საინტერესი შრამი გაქვს აქ. –მოულოდნელად მითხრა და ხელი ამომიტრიალა რომ შეეხედა –როგორ მოხდა?

საჩვენებელი თითი მან ნახევარმთვარის ფორმის შრამს გადაუსვა, რომელიც ღია კანზე ძლივს ჩანდა.

მე შევიშმუშნე –ფიქრობ რომ ყველა ჩემი ნაიარევი მახსოვს?

მე მოგონებების წამოშლას ველოდი, დიდი ჭრილობის გახსნას. მაგრა როგორც ყოველთვის ჯეიკობის აქ ყოფნამ გადამატანინა.

–ცივია –წაიბურტყუნა მან, იმ ადგილზე ხელის დაჭერით სადაც ჯეიმსმა მიკბინა.

თუალეტიდან ძლივს გამოვიდა მაიკი, თეთრი სახით. საშინლად გამოიყურებოდა.

–ო, მაიკ –მე პირი დავაღე

–წინააღმდეგი ხომ არ ხარ ადრე რომ წავიდეთ? -დაიჩურჩულა მან.

–არა, რათქმაუნდა არა –მე განთავისუფლებული ხელი გავუწოდე და ავდექი წამისვლაში რომ დავხმარებოდი.

–ფილმი შენთვის საშიში იყო ხომ? –შეუბრალებლად ჰკითხა ჯეიკობმა.

მაიკმა ბოროტად შეხედა –თითქმის არ მიყურებია. გულის რევა მაშინ ვიგრძენი სანამ შუქი ჩააქრეს.

–რატომ არაფერი არ თქვი? –გავკიცხე სანამ გასასვლელისკენ მივბორძიკებდით.

–ვიფიქრე რომ გამივლიდა –მიპასუხა მან
–ერთი წუთით –წარმოთქვა ჯეიკობმა როცა კარი გავაღეთ და უკან შებრუნდა.

–შეგიძლიათ პოპკორნის ცარიელი ყუთი მომცეთ? –თხოვა ჯეიკმა გამყიდველ გოგონას, მან მაიკს შეხედა და ყუთი მიაწოდა

–გაიყვანეთ გარედ თუ შეიძლება –გვთხოვა მან. ალბათ ერთადერთი იყო ვინც იატაკს წმენდდა აქ.

მაიკი გარეთ გავიყვანე სუფთა გრილ ჰაერზე. ჯეიკობი უკან მოგვყვებოდა. დამეხმარა უკანა სავარძელზე ჩამეჯინა მანქანაში და სერიოზული სახით ყუთი მისცა

–ინებე –მხოლოდ ეს წარმოთქვა ჯეიკმა.

მინები ჩავწიეთ რომ გრილი ჰაერის სემოსვლა მაიკს დახმარებოდა. ფეხებზე შემოვიხვიე ხელები სითბო რომ შემენარჩუნებინა.

–ისევ გცივა? -მკითხა ჯეიკმა და მომეხვია ვიდრე ვუპასუხებდი.

–შენ არა?

თავი გააქნია.

–ალბათ სიცხე გაქვს ან რამე გჭირს –წავიბურტყუნე მე. სულ გავიყინე. მის შუბლს შევეხე და ცხელი იყო.

–თავს გადასარევად ვგრძნობ. –ბეჭები აიჩეჩა –სრულიად ჯანმრთელი ვარ.

მე შევიშმუშნე და ისევ მოვკიდე ხელი თავზე. მისი კანი იწვოდა ჩემი თითების ქვეშ.

–შენი ხელები ყინულივითაა –დაიცივლა მა

–კარგი, შიძლება მე ვარ ავად –გამოვტყდი.

მაიკი უკნიდან კვნესოდა და პოპკორნის ვედროში აღებინებდა. მე შევიჭმუხნე, იმედით რომ ჩემი მუცელი გაუძლებს ამ ხმებს და სუნს. ჯეიკობმა განერვიულებულმა მიიხედა უკან რომ დარწმუნებულიყო მანქანა ხო მარ დაისვარა.
უკანა გზა უფრო გრძელი ჩანდა.
ჯეიკობი ჩუმად იყო, ფიქრებში გადართული. მას ისევ შემოხვეული ქონდა ერთი ხელი ჩემზე და მისი ხელი იმდენად თბილი იყო გრილი ქარი მსიამოვნებდა.
ფანჯარას მივაჩერდი, დანაშაულის გრძნობა მაწუხებდა.
არასწორი იყო ჯეიკობის წაქეზება. სუფთა ეგოიზმი. უმნიშვნელო იყო ის რომ მე ჩემი პოზოციის აღნიშვნას ვცდილობდი. თუ მას იმედი ჰქონდა რომ ეს ყველაფერი უფრო მეტში გადაიზრდებოდა ვიდრე მეგობრობა, მაშინ არც ისე ზუსტად ვიქცეოდი.
როგორ ავუხსნა რომ გაიგოს? მე მხოლოდ გარეკანი ვიყავი, შიგნიდან ცარიელი. როგორც ცარიელი სახლსი გამოუსადეგარი საცხოვრებლად. თვეების განმავლობაში მე უსიცოცხლო ვიყავი. ეხლა შედარებით კარგად ვგრძნობ თავს. წინა ოთახები უკეთეს მდგომარეობაში იყო, დიდის მხოლოდ პატარა ნაწილი. ხოლო ჯეიკობი უკეთესს იმსახურებს, უფრო დიდს ვიდრე ერთოთახიანი ნახევრად დანგრეული, სარემონტო მშენებლობა. ვერანაირი მისი მცდელობა ვერ მომიყვანს სამუშაო მდგომარეობაში. მაგრამ ვიცოდი რომ არ მოვიშორებდი მას, არავითარ შემთხვევაში. მე ის ძალიან მჭირდებოდა და მე ეგოისტი ვიყავი. შეიძლება მე მას მივახვედრო რომ არარ მჭირდება, ამ ფიქრისგან შემაკანკალა. ჯეიკობი უფრო მომეხვია.

მე მაიკი მისი მანქანით სახლში მივიყვანე. ჟეიკი უკან მოგვყვებოდა რომ შემდეგ მე მოვეყვანე სახლში.
სახლისკენ გზაზე ჯეიკობი ჩუმად იყო და ვიფიქრე რომ ისიც იმაზე ფიქრობდა რაზეც მე. იქნებ გადაიფიქრა.

–შემოვიდოდი შენთან, რადგან ადერ დავბრუნდით –მითხრა მან ჩემს პიკაპთან –მაგრამ მგონი მართალი იყავი ჩემს ჯანმრთელობაზე. თავს რაღაც... უცნაურად ვგრძნობ.

–ო არა, ოღონდ შენ არა! გინდა სახლში წაგიყვანო?

–არა. –მან თავი გაიქნია და შეიშმუშნა. –ჯერ თავს არ ვგრძნობ ავად. მხოლო რაღაც...უცნაურად. თუ მეც ავად ვარ მაშინ მაღებინებს.

–დამირეკავ როგორც კი მიხვალ? –აღელვებულმა ვკითხე

–რათქმაუნდა –ის შეიშმუშნა და სიბნელეში გაიხედა ტუჩზე კბენით.

კარი გავაღე გადმოსასვლელად, მაგრამ ჯეიკობმა ხელით დამიჭირა. მე კიდევ დავრწმუნდი თუ რა ცხელია მისი კანი.

–რა იყო ჯეიკ?

–მინდა რაღაც გითხრა ბელა... მაგრამ ვფიქრობ ბანალურად გაიჟღერს.

მე ამოვიხვნეშე. ალბათ ეს ჩვენი კინოში საუბრის გაგრძელება იყო.

–მე ვიცი რომ შენ უბედური ხარ. და შეიძლება ეს არ დაგეხმაროს მაგრამ მინდა იცოდე რომ მე სულ შენს გვერდით ვარ. მე არასდროს მიგატოვებ, გპირდები და შეგიძლია მენდო. ეს ბანალურია ჟღერს, მაგრამ ხომ იცი რომ ეს სიმართლეა? რომ არადროს არ მოგაყენებ ტკივილს?

–კი ჯეიკ ვიცი. მე სულ შენზე ვარ დამოკიდებული, უფრო მეტად ვიდრე გგონია.

ღიმილი გაჩნდა მის სახეზე. ეს იმას გავდა როგორ ანათებს ღრუბლებს მზის ჩასვლა. და ჩემს თავზე ენის წაჭრა მინდოდა. მე არ მითქვია არცერთი ტყული სიტყვა მაგარმ მაინც მოვიტყუე. სიმართლე შეცდომა იქნებოდა, ეს მას გულს ატკენდა.

მისმა სახემ უცნაური გამომეტყველება მიიღო –მგონი უკეთესია სახლში წავიდე –თქვა მან

მე სწრაფად გადმოვედი მანქანიდან

–დამირეკე. –დავუყვირე როცა მიდიოდა.

ვუყურებდი როგორ მიდიოდა და მგონი კარგად აკონტროლებდა მანქანას. როცა წავიდა ცარიელ ქუჩას მივაჩერდი გაურკვევლობაში მაგრამ არ იყო არანაირი ფიზიკური მიზეზი.
როგორ მინდა რომ ჯეიკობ ბლეკი ჩემი ნამდვილი ძმა იყოს, რომ მქონდეს თავისუფლად ურთიერთობის საშუალება ყველანაირი დანაშაულის გრძნობის გარეშე. ღმერთია მოწმე მე არასდროს გამომიყენებია ჯეიკობი მაგრამ დანაშაულის გრძნობა მქონდა რომელსაც ვერ ვხსნიდი.
კიდევ, მე არასდროს მინდოდა რომ მყვარებოდა ის. ერთადერთი რაც დანამდვილებლად ვიცოდი იყო ის რომ მე მთელი ჩემი არსებით, ტვინის ძველიბიდან თითის ფრჩხილამდე, ვიცოდი ჩემი ცარიელი გულის სიღრმეში რომ სიყვარული სხვა ადამიანს აძლევს ძალას რომ გაგანადგუროს შენ.
მე განადგურებული ვიყავი და აღდგენას არ ვექვემდებარებოდი. მაგრამ ეხლა მე მჭირდებოდა ჯეიკობი როგორც ნარკოტიკი. მე მას დიდი ხანი ვიყენებდი როგოც დახმარებას და მე შორს შევტოპე ვიდრე ვფიქრობდი. ეხლა არ შემეძლო მასზე მიჯაჭვება რომ ტკივილს გავქცეოდი და არ შემეძლო რომ მისი ტკივილის საბაბი გავმხდარიყავი. ის ფიქრობდა რომ დრო და მოთმინება შემცვლის, მე ვიცი რომ ის ცდება და მე ვიცი რომ მივცემ ამის გამოცდის საშუალებას.
ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. მე სულ მეყვარება ის მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი.
სახლში შევედი, ტელეფონთან ჩამოვჯექი და ფრჩხილების ჭამა დავიწყე.

–კინო უკვე დამთავრდა? –მკითხა გაკვირვებულმა ჩარლიმ რომელიც ტელევიზორის წინ იატაკზე იჯდა. ალბათ კარგი თამაში იყო.

–მაიკი გახდა ავად –ავუხსენი მე –ალბათ მუცლის გრიპი აქვს.

–შენ კარგად ხარ?

–თავს მშვენივრად ვგრძნობ –წარმოვთქვი ეჭვით.

თელეფონის მაგიდასთან ჩამომჯდარი ვცდილობდი მშვიდად დავლოდებოდი. მე ვფიქრობდი ჯეიკობის უცნაურ გამომეტყველებაზე

სანამ წავიდოდა. მაგიდაზე თითების კაკუნი დავიწყე. სახლში უნდა წამეყვანა.
საათს შევხედე 10ის 15 წუთი იყო. მე რომ მივდიოდი გზას 15 წუთი ვუნდებოდი ჯეიკობი კი ჩქარა დადის. 18წუთი გახდა. ყურმილი ავიღე და დავრეკე.
ზარი გადიოდა და გადიოდა. იქნებ ბილის ძინავს. იქნებ არასწორი ნომერი ავკრიბე. მე ისევ და ისევ ვრეკავდი.
მერვე ზარზე როცა უკვე ყურმილი უნდა დამეკიდა ბილიმ მიპასუხა.

–ალო? –მისი ხმა შეშფოთებული იყო თითქოს ცუდ ამბავს ელოდა.

–ბილი, ბელა ვარ. ჯეიკობი სახლშია. 20 წუთის უკან წამოვიდა.

–ის სახლშია –მითხრა ბილიმ უხეშად.

–მას უნდა დაერეკა –ცოტა გაღიზიანებული ვიყავი –ცუდად იყო რომ წამოვიდა და ვნერვიულობდი.

–ძალიან დაიღალა რომ დაერეკა. თავს ცუდად გრძნობდა –ბილის ხმა უცხო იყო. მივხვდი რომ ჯეიკობთან უნდოდა ყოფნა.

–გამაგებინეთ თუ დახმარება დაგჭირდებათ –შევთავაზე მე
–აუცილებლად მოვალ. –წარმოვიდგინე ბილი თავის ავარძელში და ჯეიკობი თავის თავს რომ ხედავს

–არა არა –უცებ თქვა ბილი. –კარგად ვართ. სახლში დარჩი.

ეს ისე თქვა რომ რაღაც უხეშად გამოვიდა.

–კარგი –დავეთანხმე მე

–კარგად ბელა.

კავშირი გაწყდა

–კარგად –წავიბურტყუნე მე
კარგი ყოველ შემთხვევაში სახლშია. მაგრამ მე არ ვგრძნობდი თავს მშვიდად. ანერვიულებული ზემოთ ავედი. იქნებ ხვალ სამსახურამდე გავიარო და ვნახო.
  მივხვდი რომ დღევანდელი გეგმები გადაიდო როცა გამეღვიძა და საათი 5ის ნახევარს უჩვენებდა და აბანოში შევვარდი. ჩარლიმ იქ ნახევარი საათის შემდეგ აღმომაჩინა, ძირს დაწოლილი და აბაზანის ცივ კუთხეზე მიყრდნობილი.
ის დიდი ხანი მიყურებდა

–მუცლის გრიპი –როგორც იქნა თქვა მან

–ხო. –ამოვღერღე მე

–რაიმე გჭირდება? –მკითხა მან

–ნიუტონებს დაურეკე ჩემი სახელით –ჩახლეჩილი ხმით ვაძლევდი მითითებას –უთხარი რომ იგივე მჭირს რაც მაიკს დ ავერ მივალ სამუშაოდ გადაეცი რომ ძალიან ვწუხვარ.

–რათქმაუნდა.

დღის დანარჩენი აბაზანის იატაკზე გავატარე, სულ რამოდენიმე საათი მეძინა პირსახოცთან ერთად. ჩარლი მეუბნებოდა რომ სამსახუღსი უნდა წასულიყო, მაგრამ მას უბრალოდ სააბაზანოში უნდოდა შემოსვლა.
გავიღვიძე როცა სახლში დაბრუნდა. ვხედავდი რომ ოთახში ბნელოდა ანუ უკვე გვიანია. ჩარლი მძიმედ ამოდიოდა კიბეებზე ჩემს სანახავად.
–ცოცხალი ხარ?

–მგონი კი –ვუთხარი მე

–რაიმე გინდა?

–არა, გმადლობ

ის სეჩერდა –მაშინ კარგი –თქვა და სამზარეულოში ჩავიდა.

ღამოდენიმე წუთში ტელეფონის ზარი გავიგონე. ჩარლი ვიღაცას ჩუმად ელაპარაკებოდა და ცოტა ხანში ყურმილი დაკიდა.

–მაიკი უკეთესადაა –დამიყვირა მე

კარგი, ეს მახარებს. ის დაახლოებით 8 საათით ადრე გახდა ცუდად ჩემამდე ანუ სულ რაღაც 8 საათში გამოვკეთდები. ამ აზრისგან მუცელი დატრიალდა და უნიტაზისჯენ დავიხარე.
მე ისევ პირსახოცზე დამეძინა, მაგრამ ჩემს საწოლში გავიღვიძე და ფანჯარაში სინათლე იყო. არ მახსოვდა როგორ მოვედი აქამდე, ალბათ ჩარლიმ მომიყვანა, ამნვე დამიდგა წყლიანი ჭიქა თავთან. პირი გამომშრალი მქონდა, დასალევად წამოვიწიე, წყალს უცნაური გემო ჰქონდა რადგან მთელი ღამე აქ იდგა.

ნელა წამოვდექი ისევ რომ არ ამრეოდა გული. სისუსტეს და პირში საშინელ გემოს ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი კუჭი მშვენივრად იყო. საათს დავხედე.
ჩემი 24 საათი დაიწყო.
მე არ ვაჩქარებდი მათ. ცისაუზმე მხოლოდ მარილიანი კრეკერებით. ჩარლი დამშვიდებული მიყურებდა, სიცოცხლისკენ მობრუნებულს. როცა დავრწმუნდი რომ აღარ მომიწევდა მთელი დღის აბაზანაში გატარება, ჯეიკობს დავურეკე.
ყურმილი ჯეიკობმა აიღო მაგრამ მისი ხმა რომ გავიგონე მივხვდი კარგად ვერ იყო.

–ალო? –მისი ხმა გაბზარული იყო

–ო ჯეიკ –წამოვიძახე ტანაგრძნობით –საშინელი ხმა გაქვს.

–თავს საშინლად ვგრძნობ –დაიჩურჩულა მან

–ძალიან ვწუხვარ რომ წაგიყვანე ჯეიკობ. საშინელებაა

–მიხარია რომ წამოვედი –ის ისევ ჩურჩულებდა –თავს ნუ იდანაშაულებ.

–მალე კარგად გახდები –დავპირდი მე –დილას რომ გავიღვიძე უკვე კარგად ვიყავი

–ავად იყავი? –მკითხა სულელურად

–ხო მეც ავად გავხდი, მაგრამ ეხლა კარგად ვარ.

–ეს კარგია –მისი ხმა უსიცოცხლო იყო

–ვფიქრობ რამოდენიმე საათში კარგად გახდები –გავამხნევე მე

მე ძლივს გავიგონე მისი ხმა –არა მგონია იგივე ავადმყოფობა მჭირდეს რაც შენ.

–მუცლის გრიპი არ გაქვს? –უხერხულად ვკითხე მე

–არა. ეს რაღაც სხვაა

–რა გჭირს?

–ყველაფერი –დაიჩურჩულა მან –მთელ ტანში მამტვრევს

ტკივილი მის ხმაში გაუსაძლისი იყო

–რა შემიძლია გავაკეთო ჯეიკ? რა მოგიტანო?

–არაფერი. შენ არ უნდა მოხვიდე აქ –შემაწყვეტინა. ამან ბილი მომაგონა წინა ღამეს.

–მე ხომ ვიყავი შენს გვერდით, არ მეშინია –სევახსენე მე

მან ჩემს სიტყვებს იგნორირება გაუკეთა –დაგირეკავ როცა შევძლებ. სეგატყობინებ როდის შეძლებ მოსვლას

–ჯაიკობ...

–უნდა წავიდე –წარმოთქვა მოულოდნელი სიმტკიცით.

–დამირეკე როცა უკეთ იქნები

–კარგი –დამეთანხმა ძალიან სწრაფად.

ის ცოტა ხანი დუმდა. ველოდი რომ დამემშვიდობებოდა ის კი ჩემგან ელოდა დამშვიდობებას

–მალე შევხვდებით –როგორც იქნა ვთქვი მე

–ჩემს ზარს დაელოდე –მითხრა მან

–კარგი... კარგად, ჯეიკობ

–ბელა –დაიჩურჩულა ჩემი სახელი და ყურმილი დაკიდა.

თავი მეათე
მდელო

ჯეიკობი არ რეკავდა.
თავიდან როდესაც ვრეკავდი, ყურმილს ბილი იღებდა და მეუბნებოდა რომ ჯეიკობი ისევ საწოლში იწვა. ვღელავდი იმაზე, დაყავდა თუ არა ბილის ექიმთან ჯეიკი. მითხრა რომ დაყავდა

მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ მჯეროდა. 2 დღის განმავლობაში დღეში რამოდენიმეჯერ დავურეკე მაგრამ არავინ იღებდა. შაბათს წავედი ჯეიკობის სანახავავად, სულ არ მანაღვლებდა დაუპატიჟებლად მისვლა. მაგრამ პატარა წითელი სახლი ცარიელი იყო. ამან შემაშინა – იქნებ ჯეიკობი ისე ცუდად გახდა რომ საავადმყოფოში წაიყვანეს? უკანა გზაზე გამოვიარე საავადმყოფოში, მაგრამ მითხრეს რომ არც ჯეიკობი და არც ბილი არ მისულან. როცა ჩარლი სამსახურიდან დაბრუნდა ვთხოვე გარი კლირვოტერისთვის დაერეკა. ველოდი და ვნერვიულობდი სანამ ჩარლი თავის ძველ მეგობარს ელაპარაკებოდა. ძალიან დიდი ხანი ლაპარაკობდნენ და ერთხელაც არ უხსენებიათ ჯეიკობი. აღმოჩნდა რომ გარი გულის გამოკვლევაზე ყოფილა საავადმყოფოში. ამ ამბისგან ჩარლიმ შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ გარიმ რაღაც გაეხუმრა და ჩარლიმ გაიცინა. ბოლოს და ბოლოს ჩარლიმ ჰკითხა ჯეიკობზე, მაგრამ მე მხოლოდ ის დამრჩენოდა მევარაუდა რაზე იყო ლაპარაკი როცა ჩარლი მხოლოდ "ჰმ" და "ოჰო"ს ამბობდა. ნერვიულობისგან მაგიდაზე თითების კაკუნი დავიწყე სანამ ჩარლიმ ხელი არ დამაფარა დასამშვიდებლად.
როგორც იქნა ჩარლიმ დადო ყურმილი და მომიბრუნდა.

–გარიმ მითხრა, რომ ტელეფონი გაფუჭებული ჰქონდათ და მიტო ვერ ურეკავდი. ბილის ჯეიკობი ექიმთან დაყავდა და მან უთხრა რომ მონონუკლეოზის ინფექცია აქვს. ჯეიკობი ძალიან სუსტადაა და ბილიმ თქვა რომ რამოდენიმე ხანი – არანაირი მნახველები.

–არანაირი მნახველები? –ყურებს არ ვუჯერებდი

ჩარლიმ წარბი ასწია –გეყოფა ბელა თავის მოკვლა ჯავრით. ბილიმ უფრო იცის რა არის უკეთესი ჯეიკობისთვის. მალე გამოჯანმრთელდება, ცოტა მოითმინე.

მე ამან არ დამამშვიდა. ჩარლი ძალიან ღელავს გარის ჯანმრთელობაზე. ამ ამბავმა შეძრა ის, ამიტომ არ ღირს ჩემი პრობლემები მოვახვიო თავს. ჩემს ოთახში ავედი ზემოთ და იმწამსვე დავჯექი კომპიუტერთან, სამედიცინო ვებგვერდი ვიპოვე, ძებნის ფანჯარაში დავწერე "მონონუკლეოზი"
რაც მონონუკლეოზზე ვიცოდი იყო ის რომ ინფექცია კოცნით გადადის, რაც ჩემი და ჯეიკობის შემთხვევაში გამორიცხულია. უცებ გადავიკითხე ინფორმაცია – მას მართლაც ჰქონდა მაღალი ტემპერატურე, მაგრამ სხვა არანაირი ნიშანი. ჯეიკობს არ აწუხებდა თავის ტკივილები, ანგინა ან სისუსტე. მაშინაც კი როცა კინოდან წამოვედით მითხრა რომ თავს არაჩვეულებრივად გრძნობდა. ნუთუ ავადმყოფობა ესე სწრაფად ვრცელდება? ჩანაწერიდან ამოვიკითხე რომ ყველაფერი სისტემატიური ანთებიდან იწყება.

ეკრანიდან მოუშორებლად გავიფიქრე – და რატომ ვაკეთებ ამ ყველაფერს? რატომ ვგრძნობ თავს ესე... ესე ეჭვიანად, თოთქოს არ მჯერა ბილის სიტყვების? და რატომ მოატყუებდა ბილი გარის? ალბათ ეს ყველაფერი სისულელეა. მე უბრალოდ ჯეიკობზე ვნერვიულობდი, და სინამდვილეში მეშინოდა რომ დიდი ხანი ვეღარ ვნახავდი მას.
უცებ ჩავიკითხე მთელი გვერდი საჭირო ინფორმაციის ამონიშვნით და გავჩერდი სადაც დაავადების განკურნებაზე ეწერა – ის შეიძლება ერთი თვე გაგრძელდეს.
მთელი თვე? გაკვირვებისგან პირი დავაღე
ბილი ხომ ვერ დაკეტავს სახლს სტუმრებისთვის ამდენი ხანი? რათქმაუნდა არა. თან ჯეიკობის გაგიჟდება ამდენი ხანი საწოლში რომ არავის დაელაპარაკოს.
მაშინ რატომ ნერვიულობდა ბილი? აქ ეწერა რომ მონონუკლეოზის დროს არ შეიძლება ფიზიკური დატვირთვა მაგრამ არაფერია მნახველების შესახე. ავადმყოფობა არ არის ესე გადამდები. გადავწყვიტე ერთი კვირა მომეცადა შემდეგ კი აუცილებლად დავლაპარაკებოდი ბილის.
მაგრამ მთელი კვირა გაუსაძლისად გრძელი მეჩვენა. ოთხშაბათს დარწმუნებული ვიყავი რომ შაბათამდეც ვერ გავძლებდი.
როც გადავწყვიტე რომ ერთი კვირა არ შემეწუხებია ბილი და ჯეიკი, ვერ დავიჯერე როგორ შეეგუებოდა ამას ჯეიკობი. ყოველ დღე სკოლის შემდეგ ვამოწმებდი შეტყობინებებს ტელეფონზე მაგრამ არაფერი არ იყო.
სამჯერ ვეცადე დაკავშირებას მაგრამ ალბათ ისევ გაფუჭებული იყო ტელეფონი.
სულ სახლში ვიჯექი და ძალიან მარტოსულად ვგრძნობდი თავს ჯეიკობის და ადრენალინის გარეშე.
ყველაფერი რისგანაც ამდენი ხანი ვცდილობდი განთავისუფლებას ისევ დამატყდა თავს. სიზმრები ისევ კოშმარებად იქცა. მათ არ ქონდათ ბოლო. ისევ იგივე საშინელება – სიცარიელე, ტყე, სიმწვანე რომლის შორის არარ იყო დიდი სახლი. ძოგჯერ ამ ტყეში იყო სემ უილი, და ისევ უცნაურად მიყურებდა. მაგრამ მისი იქ ყოფნა არ მანთავისუფლებდა მარტოობისგან და არც მიშლიდა ხელს რომ ღამე შიშისგან არ წამომვხტარიყავი ფეხზე.
ჭრილობა გულში ეხლა უფრო დიდი იყო. ყოველ ჯერზე ვფიქრობდი რომ როგორც იქნა გავუმკლავდი მას, მაგრამ ყოველ ღამეს ისევ ძლივს ვსუნთქავდი ტკივილისგან.
მარტოობა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო.
ამ დილით როგორც ყოველთვის ჩემმა კივილმა გამომაღვიძა მაგრამ მალევე დავმშვიდდი იმით რომ დღეს კვირა იყო. როგორც იქნა დავურეკავ ჯეიკობს. და თუ ტელეფონი ისევ არ გაუკეთებიათ თავისუფლად წავალ მასთან ლა-პუშში. ასე თუ ისე დღევანდელი დღე ყველაზე უკეთესი იქნება მთელს გასულ კვირაში.

ნომერი ავკრიბე და უიმედოდ დაველოდე პასუხს.
დავიბენი კიდეც როცა მეორე ზარზევე მიპასუხა ბილიმ.

–ალო?

–ო, ბილი, გამარჯობა, როგორც იქნა გაკეთდა თქვენი ტელეფონი! ბელა ვარ. ჯეიკობის ამბის გაგება მინდა. შეიძლება მოვიდე? ვიფიქრე რომ უკვე...

–ბელა ძალიან ვწუხვარ –შემაწყვეტინა ბილიმ, მომეჩვენა თითქოს ტელევიზორს უყურებდა და გაღიზიანებული ხმა ჰქონდა –ის სახლში არ არის.

–ააა. სეიგი უკეთაა?

–კი –ბილი ცოტა ყოყმანობდა –აღმოჩნდა რომ არ ჰქონია მონონუკლეოზი. რაღაც სხვა ინფექცია იყო.

–და... სად არის ეხლა?

–ის მეგობრებთან ერთად წავიდა პორტ-ანჯელესში მთელი დღით, ფილმის საყურებლად.

–კარგი, ეს მამშვიდებს. ძალიან ვნერვიულობდი. მიხარია ისე რომ გამოჯანმრთელდა გარედ გასვლა რომ შეუძლია. –ვთქვი მე. ჩემი ხმა საშინლად ყალბად ისმოდა.
ჯეიკობი უკეთესადა იმ დინეზე რომ მეგიბრებთან ერთად დადის მაგრამ მე არ დამირეკა. მე კი ვიჯექი სახლში და ყოველ წამს მენატრებოდა ის. მე მარტო ვიყავი, ვნერვიულობდი და ისევ მიმატოვეს მარტოობაში. ვფიქრობდი სხვანაირად მიუდგებოდა ჩვენ ერთ კვირიან განშორებას.

–კიდევ გინდოდა რამე? –მკითხა ბილიმ

–არა არაფერი
–კარგი, გადავცემ რომ დაურეკე –სემპირდა ბილი –კარგად ბელა

–კარგად –ვუპასუხე მე მაგრამ მან უკვე დაკიდა ყურმილი.

რამოდენიმე წამი გავშეშდი ყურმილით ხელში.
რისიც მეშინოდა, ჯეიკობმა გადაიფიქრა. ალბათ ის ჩემს რჩევას გაჰყვა რომ არ დახარჯოს დრო იმაზე ვინც მის გრძნობებს ვერ უპასუხებს. ვიგრძენი როგორ გამეყინა სისხლი სახეზე.

–რამე მოხდა? -მკითხა ჩარლიმ კიბეზე ჩამოსვლისას

–არა –მოვიტყუე მე –ბილიმ მითხრა რომ ჯეიკობი კარგადაა. მანონუკლეოზი არ აქვს და ეს კარგია.

–აბა, ის მოვა თუ სენ წახვალ მასთან? –მკითხა ჩარლიმ და მაცივარში რაღაცის ძებნა დაიწყო.

–არცერთი –ვაღიარე მე –მეგობრებთან ერთად სადღაც წავიდა.

როგორც იქნა, ჩემმა ხმამ მიიპყრო ჩარლის ყურადღება. ის შეშინებული თვალებით მომაჩერდა და გაშეშდა ყველის ნაჭრებით ხელში.

–ადრე არ არის სადილობა? -ვკითხე რაც შეიძლება რბილი ხმით რომ მისი ყურადღება გადამეტანა.

–არა უბრალოდ ცოტა რაღაცის წაღება მინდოდა მდინარეზე...
–ააა, დღეს სათევზაოდ მიდიხარ?

–ნუ, გარიმ დამირეკა... თან არ წვიმს. –ჩარლიმ საჭმელები მაგიდაზე დააწყო და უცებ შემომხედა თითქოს რაღაცას მიხვდა. –მითხარი, იქნებ გინდა შენთან დავრჩე სანამ ჯეიკი არ არის?

–არა მამა, ყველაფერი კარგადაა –ვუთხარი რაც შეიძლება გულგრილად –კარგ ამინდში კარგად თევზაობ, წადი.

ის გაუბედავად მომაჩერდა. ვიცი იმის შეეშინდა რომ მე ისევ დეპრესიაში ჩავვარდები თუ წავა.

–სერიოზულად გეუბნები მამა. ეხლა ჯესიკას დავურეკავ –უცებ გამოვძვერი. უკეთეისა მარტო ვიყო ვიდრე მთელი დღე ესე მიყურებდეს –ჩვენ მათემატიკის ტესტისთვის მოვემზადებით –ეს სიამრთლე იყო მაგრამ მომზადებას მარტო ვაპირებდი.

–მაშინ კარგი, კარგი აზრია. შენ იმდენ დროს ატარებდი ჯეიკობთან ერთად რომ სულ მთლად დაგავიწყდა ისინი.

მე გავუღიმე და თანხმობის ნიშნად დავუქნიე თავი.
ჩარლი ნელა შეტრიალდა მაგრამ უცებ ისევ შეშინებული თვალებით შემომხედა

–მეცადინეობას აქ თუ ჯესიკას სახლში აპირებ?

–რათქმაუნდა ჯესიკასთან

–მაშინ კარგი, უბრალოდ შეხსენება მინდოდა რომ ტყისგან შორს იყავი.

გაუგებრად გავშტერდი რამოდენიმე წუთი –ისევ დათვები?

ჩარლი შიშმუშნა და თავი დამიქნია –ტურისტი დაიკარგა. დილით კარავი ნახეს თითონ კი არსად იყო. სამაგიეროდ დიდი ცხოველის ნაკვალევი აღმოაჩინეს. ეხლა მახეები დავუგეთ

–ოჰ –ჩუმად ვთქვი მე. სინამდვილეში წესიერად არც მომისმენია მისი გაფრთხილება. ჯეიკობთან სიტუაცია უფრო მარელვებდა ვიდრე დათვის მიერ შეჭმა.

გამიხარდა ჩარლი რომ ჩქარობდა. გამიხარდა რომ არ დაიცადა მანამდე სანამ ჯესიკას დავურეკავდი, თორემ სპექტაკლის მოწყობა მომიწევდა. ოვხვიე ყველა წიგნს ხელი სამზარეულოს მაგიდიდან და ზურგჩანთაში ჩავაწყვე – ძალიან ბევრი წიგნებია - გავიფიქრე მე, თუ ჩარლი ნახავს რაღაცას იეჭვებს.
თავი მოვაჩვენე თითქოს ძალიან დაკავებული ვიყავი სანამ საბოლოოდ არ წავიდა. და აქ გავაცნობიერე ის საშინელება რომ მთელი დღე მარტოობა მელის. წამები დამჭირდა იმისთვის რომ გადამეწყვიტა – სახლში არ გავჩერდები. სიჩუმეში ვიდექი და ტელეფონს ვუყურებდი სხვადასხვა ვარიანტების ფიქრში. ჯესიკასთან დარეკვას არ ვაპირებდი. ის საბოლოოდ გადავიდა საწინააღმდეგო არამეგობრულ მხარეზე.
შემეძლო ლა-პუშში წავსულიყავი და ჩემი მოტოციკლი წამომეყვანა. ძალიან მიმზიდველი იდეაა რომ არა ერთი პატარა პრობლემა: არავინ იქნება რომ საავადმყოფოში წამიყვანოს თუ ისევ გადმოვარდები.
თუ არა და... მე მაქვს კომპასი და ჩვენი რუკა. ვფიქრობ ვისწავლე ორიენტაცია და არ დავიკარგები. შემიძლია ორმაგი მანძილი გავიარო სანამ ჯიკობი მობრძანდება რომ წამიყვანოს. ან საერთოდ არ მოვიდეს.
სინდისის ქენჯნა ვიგრძენი როცა გავიფიქრე რას იგრძნობს ჩარლი თუ ჩემს ტყეში წასვლაზე გაიგებს. ამ აზრებისგან განვთავისუფლდი, დღეს სახლში ვერ დავრჩები.
რამოდენიმე წუთში ნაცნობ გზაზე მივდიოდი. მანქანის ფანჯრები ჩამოვწიე და რაც შეიძლებოდა ჩქარა მიმყავდა პიკაპი რომ ქარი მეგრძნო სახეზე. ღრუბლიანი მაგრამ მშრალი ამინდი იყო – მშვენიერია ფორქსისთვის.
ჟეიკობზე დიდი ხანი ვაკვირდებოდი რუკას სანამ ჩემი ძებნა დავიწყე. ჩვეულ ადგილას გავაჩერე მანქანა, 15 წუთი კომპასს და რუკას

ვაკვირდებოდი და დარწმუნებული იმაში რომ სწორად მივდივარ ტყეში შევედი.
დღეს ტყე უჩვეულოდ სავეს იყო სიცოცხლით. ყველაზე პატარა ბინადრებიც კი ტკბებოდნენ თბილი ამინდით. მიუხედავად იმისა რომ ისმოდა გამაყრუებელი ჭიკჭიკი ჩიტებისა, ბუჩქებში თაგვები დაძვრებოდნენ და მწერები ზუზუნებდნენ მაინ შიშმა ამიტანა. ეს იმის ბრალი იყო რომ თავს მარტოდ ვგრძნობდი მე ჯეიკობის ღიღინი და ლაპარაკი მაკლდა გვერდით.
რაც უფრო ღრმად შევდიოდი ტყეში უფრო მეტად ვგრძნობდი საფრთხეს. სუნთქვა გამიჭირდა, არა შიშისგან არამედ იმიტომ რომ გულში ისევ გამეხსნა ჭრილობა. ხელები შემოვიხვიე და ტკივილი დავიწყება ვცადე, თითქმის გამომივიდა მაგრამ როგორ ვერ ვიტანდი ამ უაზრო მცდელობებს.
ძლივს გავაღწიე ბუჩქებიდან, ჩემი ნაბიჯების რიტმი ტკივილს და აზროვნებას მიხშობდა. სუნთქვა როგორც იქნა აღმიდგა და მიხაროდა რომ უკან არ მივბრუნდი, ეხლა უფრო სწრაფად გავაღწიე ბუჩქებიდან.
ვერც წარმოვიდგენდი მივდიოდი თუ არა სწორად. გადავწყვიტე რომ რადაც არ უნდა დამჯდომოდა დღეს უნდა მეპოვა ის ადგილი, გვერდებზეც კი არ ვიყურებოდი. სრულიად მოულოდნელად გადავწიე დიდი ჩამოშლილი ფოთლები – და უცებ აღმოვჩნდი იმ მდელოზე.
ეს იყო ზუსტად ის ადგილი ამაში 100%ით ვიყავი დაწმუნებული. შხვაგან არსად არ არის ესეთი მრგვალი მდელო, უნაკლო, თითქოს სპეცალურად გაკეთებული ირგვლივ მრგვალად ხეებ შემოცლილი. აღმოსავლეთიდან ისმოდა პატარა მდინარის ხმა.
მზის სხივის გარეშე მდელო არ ჩანდა ისეთი არაჩვეულებრივი, მაგრამ ის მაინც ლამაზი და წყნარი იყო. პატარა ყვავილები უკვე ამოსულიყო, მწვანე ბალახი ზღვასავით ღელავდა პატარა ნიავზეც კი.
ეს ის ადგილი იყო... მაგრამ რაღაც აკლდა.
იმედგაცრუება და გამოცნობა ერთად დამატყდა თავს. მუხლები მომეკვეთა და ძირს დავვარდი ძლივს სუნთქვით.
რა გავაკეთო აწი? აქ აღარაფერი მაკავებს. არაფერი მოგონებების გარდა რომნლებიც შემიძლია ნებისმიერ დროს აღვადგინო თუ გაუსაძლისი ტკივილის გადატანა მომინდება, ტკივილის რომელმაც გამანადგურა ეხლა. ეს ადგილი მის გარეშე არარ იყო მშვენიერი.
ვერ გავიგე რა მინდოდა ამ ადგილისგან, მას ყველანაირი მომხიბვლელობა დაეკარგა და ყველა სხვა მდელოს დაემსგავსა. ამან უფრო მეტად გამახსენა ჩემიმკოშმარი. თავბრუ დამეხვა.
ყოველ შემთხვევაში აქ მარტო მოვედი, ცოტა ამოვისუნთქე როცა გავიფიქრე რა მოხდებოდა ეხლა ჯეიკობი რომ ყოფილიყო ჩემს გვერდით... მე ვერ დავუმალავდი ჩემს წუხილს, როგორ ამეხსნა რომ სულ მთლად გატეხილი ვიყავი შინაგანად და ვცდილობდი გულში

ჭრილობას და ტკივილს არ დავენაკუწებინე. კარგია რომ არ მყავს ზედმეტი მოწმეები.
არ არის საჭირო რომ ვინმეს ავუხსნა რატომ მინდა ამ ადგლიდან სასწრაფოდ წასვლა. ჯეიკობი იფიქრებდა რომ ამდენხნიანი ძებნის შემდეგ მომინდებოდა ამ სულელურ ადგილზე გაჩარება ცოტა ხნით მაინც.
მაგრამ სინამდვილეში მე ვეძებდი ჩემში იმის ძალას რომ ფეხზე წამოვდგარიყავი და გავქცეულიყავი აქედან.
ამ ადგილას ძალიან ბევრი ტკივილი და ტანჯვაა ავმოყრილი ჩემთვის, თუ სხვა გზა არ იქნება ფორთხვით გავალ აქედან.
რა ბედნიერებაა რომ მარტო ვარ აქ!
მარტო. ვუმტკიცებდი ჩემს თავს და ტკივილის მიუხედავად ვცდილობდი ფეხზე წამოდგომას რისგანაც უცნაური კმაყოფილება ვიგრძენი. ამ დროს ჩემგან ჩრდილოეთით, 30 ნაბიჯში ტყიდან გამოვიდა გაურკვეველი ლანდი.
მეორე წუთს ემოციების ჩანჩქერი დამეცა თავს.
თავიდან იყო გარკვირვება. საკმაოდ შორს ვიყავი ტურისტული ბილიკისგან ამიტომ არ ველოდი არავის გამოჩენას. შემდეგ როცა დავაკვირდი უძრავ ლანდს, გაკვირვება იმედმა შეცვალა. ჩემმა მზერამ დაინახა მისი სახე ქუდივით შავ თმებში – ეს სახე არ გავდა იმ განუმეორებელს ვისი დანახვაც მინდოდა. შემდეგ მოვიდა შიში. ეს არ იყო სახე რომელსაც დავტიროდი, მაგრამ ის საკმაოდ ახლსო იდგა და დარწმუნებული ვიყავი რომ ეს არ იყო გზააბნეული ტურისტი

–ლორან! –განმაცვიფრებელი სიამოვნებით დავიძახე მისი სახელი.

ეს სისულელეა. მე შიშისგან უნდა გავყინულიყავი.
ლორანი ჯეიმსის ჯგუფიდან იყო როცა პირველად შევხვდით. ის არ მონაწილეობდა ნადირობაში სადაც მსვერპლი მე ვიყავი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ რომ შეეშინდა. მე ძლიერი მოწინააღმდეგეები მიცავდნენ. მაგრამ საქმე სხვაგვარად რომ ყოფილიყო ყველანაირი სუნანულის გარეშე დამგლეჯდა. რათქმაუნდა ლორანი ალბათ სეიცვალა რადგან ის ალიასკაზე ცხოვრობდა სხვა ვეგეტერიანელ ვამპირებთა ოჯახში. შხვა ოჯახი რომლებიც გავდნენე... თავს ვერ ვაძლევდი უფლება მათზე გამეფიქრა კიდეც.
შიშმა შემიპყრო მაგრამ, დიდ კმაყოფილებას ვგრძნობდი, მდელო ისევ აივსო ჯადოსნურად, უფრო მეტად მისტიკით, მაგრამ ეს განსხვავება არ მაღელვებდა. აი კავშირი რაც არ მყოფნიდა, ეს

დამამტკიცებელი საბუთი იყო რომ ის პლანეტის სხვა ადგილას ისევ არსებობს.
გასაკვირია მაგრამ ლორანი არ სეცვლილა ამ ხნის განმავლობაში. სისულელე იყო იმის მოლოდინი რომ ერთ წელიწადში რამე შეიცვლებოდა. მაგრამ ეხლა მასში იყო რაღაც რაც ვერ ვიგრძენი და ვერ გავიგე.

–ბელა? –მკითხა მან ჩემზე უფრო განცვიფრებული სახით.

–გახსოვს –გავუღიმე პასუხად. მე სიამოვნება განვიცადე იმისგან რომ ვამპირს ჩემი სახელი ახსოვდა.

მან ჩაიცინა –არ ველოდი შენს აქ ნახვას –გაურკვევლობაში მყოფი ჩემსკენ წამოვიდა.

–სხვას რას ელოდი? მე ხომ აქ ვცხოვრობ. მეგონა ალიასკაზე იყავი.

ის ჩემგან ათ ნაბიჯში გაჩერდა. მისი სახე იივე მშვენიერებას ფლობდა რასაც ადრე. მე ვუკვირდებოდი მის ნაქვთებს, ის ერთერთი იმათთაგანი იყო ვისთანაც არ მიწევდა მოტყუება, მან ყველაფერი იცოდა იმაზე რასაც სხვას ვერ ვეუბნებოდი.

–მართალი ხარ –დამეთანხმა ის –ვიყავი ალიასკაზე. და არ ველოდი შენს ნახვას... როცა კალენების ცარიელი სახლი ვნახე ვიფიქრე რომ გადავიდნენ

–ოჰ –ტუჩზე ვიკბინე როცა მათი გვარი გავიგონე და ჭრილობამ გულში ფეთქვა დაიწყო. წუთი დამჭირდა ყურადღების მოსაკრებად. ლორანი გულის ყურით მადევნებდა თვალს.

–ისინი მართლა გადავიდნენ –როგორც იქნა ვთქვი მე

–ჰმმმ. გამიკვირდა რომ დაგტოვეს მარტო, შენ ხომ მათთვის უსაყვარლესი შეგირდი იტავი? –ამ დროს მისი თვალები უმანკოთ გაბრწყინდნენ.

მე ეშმაკურად გავიღიმე –ხო, მგონი ეგრეა
–ჰმმმ –ისევ წარმოთქვა დაფიქრებით

ამ დროს მივხვდი თუ რატომ არ იყო შეცვლილი ლორანი. როცა კარლაილმა მომიყვა რომ ლორანი ტანიას ოჯახში დარჩა, მე იშვიათად როცა ვიხსენებდი მას წარმოვიდგენდი ისეთივე ოქროსფერი თვალებით როგორც...კალენებს ჰქონდათ. მათი სახელის

გახსენებისგან შევიჯმუხნე. ყველა კარგ ვამპირს ოქროსფერი თვალები ჰქონდა.
მე უნებურად გადავდგი ნაბიჯი უკან და მისი წითელი თვალებიც თან მომყვნენ.

–ხშირად ჩამოდიან შენს სანახავად? –მკითხა ჩვეულებრივი ხმით მგრამ მისი ტანი უკვე ჩემსკენ იყო გადმოხრილი

–მოიტყუე –აღელვებულად მითხრა ბარხატის ხმამ ჩემს გონებაში

ხმის გაგონებისას უცებ შევხტი, მაგრამ არ გამკვირვებია. ადრე ჩავვარდნილვარ ამაზე მეტ განსაცდელში? მოტოციკლეტები ამ შემთხვევაში უსაფრთხოა.
მე გავაკეთე ის რაც ხმამ მითხრა.

–დროდადრო. –მოშვებულად რაც შეიძლება რბილად ვუთხარი –დრო ჩემთვის უფრო ნელა გადის. ნეტავ იცოდე როგორ აურიეს აქურებს ტვინი... –დავიწყე ბურტყუნი. შემდეგ ნებით გავჩერდი.

–ჰმმ –ისევ წარმოთქვა მან –სახლს ისეთი სუნი აქვს თითქოს დიდი ხანია ცარიელია.
–უკეთესად უნდა მოიტყუო ბელა –მიკარნახა მშვენიერმა ხმამ.

მე შევეცადე – აუცილებლად ვეტყვი კარლაილს რომ აქ იყავი. ძალიან ეწყინება რომ ვერ გინახულა –მე თავი მოვაჩვენე თითქოს დავფიქრდი –უკეთესია ამაზე ვუამბო...ედვარდს –მე ძლივს წარმოვთქვი მისი სახელი და სახე შემეცვალა –მას ესეთი ხასიათი აქვს... მგონი გახსოვს. მას აგიჟებს ყველანაირი მოგონება ჯეიმსზე. –თვალები გადავატრიალე და ხელი ჩავიქნიე თითქოს ეს ძველი დავიწყებული ისტორია ყოფილიყო, მაგრამ ჩემს ხმაში მაინც იგრძნობოდა ისტერიკა. ვფიქრობდი შეამჩნია თუ არა ეს მან.

–მართლა? –სკეპტიკურად წარმოთქვა მან

ლორანმა გვერძე გადადგა ნაბიჯი, მდელოს მოავლო თვალი მაგრამ ამ ნაბიჯმა უფრო მოაახლოვა ჩემთან. ხმამ ჩემს გონებაში დაიღრინა.

–როგორ არის საქმე დენალებთან? კარლაილმა თქვა რომ ტანიასთან ცხოვრობდი. –ჩემი ხმამ საშინლად გაწყდა

კითხვამ ის დააფიქრა –მე ძალიან მიყვარს თანია –ოცნებით თქვა მან –მისი და ირინა კი უფრო მეტად... ადრე არასდროს გავჩერებულვარ ერთ ადგილზე ამდენ ხანს, იქ კი ყველანაირად

ვტკბებოდი. მაგრამ შეზღუდვები ძალიან სასტიკი იყო ჩემთვის... გაკვირვებული ვიყავი როგორ იკავებდნენ ისი თავს. –მან მეგობრულად გამიღიმა –მე კი ზოგჯერ ვარღვევდი წესებს. ყელი გამიშრა. შევეცადე ფეხები მომედუნებინა, მაგრამ მაშინვე გავიყინე ადგილზე, როცა მისი მზერა მე მომაპყრო ჩემი მოძრაობის დასაჭერად.

–ოჰ –წყნარად ვთქვი მე –ჯასპერსაც ჰქონდა ესეთი პრობლემები.

–არ გაინძრე –დამიჩურჩულა ხმამ. შევეცადე მის ინსტრუქციას მივყოლოდი. ეს არ იყო ადვილი, თავის გადარჩენის ინსტიქტი მკარნახობდა რომ მთელი ძალით უნდა გავქცეულიყავი აქედან.

–მართლა? –მგონი ლორანი დაინტერესდა –ამიტომაც წავიდნენ?

–არა –გულახდილად ვუპასუხე მე –სახლში ჯასპერი უფრო ფრთხილია.

–ხო –დამეთანხმა ლორანი –მეც

მან თითქმის უმნიშვნელოდ გადმოაბიჯა ჩემსკენ.

–ვიქტორიამ შემდეგ გიპოვა? –ვკითხე მე რომ მისი ყურადღება გადამეტანა. ეს პირველი იყო რაც თავში მომივიდა და იმწამსვე ვინანე რადგან ვიქტორია არ იყო ის ვიზეც მინდოდა ლაპარაკი. ის ჯეიმსთან ერთად ნადირობდა ჩემზე, შემდეგ კი გაქრა.

მაგრამ ჩემმა კითხვამ არ შეაჩერა ის.

–ხო –მიპასუხა ნაბიჯის შენელებით –მისი გულისთვის მოვედი აქ. –მან სახე შეიცვალა –მაგრამ დიდად არ გაეხარდება.

–რატომ? –ვკითხე საუბრის გაგრძელების მიზნით. მან გააფთრებულად შეხედა ხეებს ჩემს უკან. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია.
მან ისევ მე შემომხედა და გამიღიმა – ამან ის შავთმიან ანგელოზს დაამგვანა.

–იმიტომ რომ მე მოგკლავ –ჰაეროვნად მიპასუხა მან

დაბნეულმა ისევ გადავდგი ერთი ნაბიჯი უკან. მე სრულიად დავყრუვდი დაღრენის ხმიდან ჩემს გონებაში.

–მას უნდოდა რომ თავისთვის შემოენახე –მითხრა უდარდელად –მას შენთან ანგარიშის გასწორება უნდოდა ბელა.

–ჩემთან? –დავიჩურჩულე მე

მან თავი გააქნია და ჩაიხითხითა –ვიცი, ეს მეც სისულელედ მეჩვენბა, მაგრამ ჯეიმსი მისი საყვარელი იყო და შენმა ედვარდმა ის მოკლა.

ეხლაც კი როცა ცალი ფეხით საფლავში ვიყავი, მისმა სახელმა გააღო მოუშუშებელი ჭრილობა გულში.
ლორენმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს რეაქციას

–ვიქტორიამ შენი მოკვლა არჩია ედვარდის მოკვლას – როგორც სამართლიანი გაცვლა. მან მთხოვა შენთვის მახე დამეგო, მე ვერც წარმოვიდგენდი რომ ეს ესე ადვილი იქნებოდა. იქნებ ის შეცდა რადგან ეს აღარ იქნება შურისძიება, როგორც ის წარმოიდგენდა, რადგან შენ ხომ აღარაფერს წარმოადგენ ედვარდისთვის და მან მიგატოვა დაუცველად.

კიდევ დარტყმა, კიდევ ერთი ცრემლი ჩამოცურდა ჩემს ლოყაზე.

ლორანი წინ წამოიწია, მე ბორძიკით წავედი უკან.

ის შეიშმუშნა –მგონი ვიქტორია მართლა გაბრაზდება, მაგრამ ჩემთვის სულერთია.

–მაშინ რატომ არ დაელოდები მას? –ძლივს წარმოვთქვი მე

სიბრაზემ გაირბინა მის სახეზე –უბრალოდ შენთვის ძალიან ცუდ სიტუაციაში წამისწარი ბელა. სინამდვილეში აქ ვიქტორიას თხოვნით მოვედი – სანადიროდ. წყურვილისგან ვიწვი და შენი სურნელი... ისენი აღმაგზნებია.

ლორანმა გადმომხედა და გამიღიმა თითქოს კომპლიმენტი მითხრა.

–შეაშინე –მიბრძანა მშვენიერმა ხმამ გონებაში რომელიც ძალიან გაბრაზებული იყო.

–ის მაინც გაიგებს რომ ეს შენ იყავი –დავიჩურჩულე მე –და მაშინ აღარ გექნება დამალვის შანსი.

–რატომაც არა? –უფრო ფართოდ გაიღიმა და მოათვალიერა ყველა გასასვლელი ხეებს შორის. –წვიმა ჩემს ყველა კვალს წაშლის. შენს

გვამსაც ვერავინ იპოვის – გაქრები ისევე როგორც სხვა ადამიანები შენამდე. ედვრადს არ ექნება მიზეზი რომ ჩემზე იფიქროს, თუ საერთოდ მოუნდება სიმართლის გარკვევა. არაფერი პირადული, დამიჯერე ბელა, მხოლოდ წყურვილი.

–შეეხვეწე –მეუბნებოდა ჩემი ჰალუცინაცია

–გევედრები –ძლივს ამოვისუნთქე მე

ლორანმა თავი გააქნია, მისი სახე მოდუნდა

–ამას სხვა მხრიდან შეხედე ბელა, შენ გაგიმართლა რომ მე შემხვდი.

–ნუთუ? –დავიჩურჩულე და ისევ გავიწიე უკან

–ხო –დამარწმუნა მან –ყველაფერს სწრაფად გავაკეთებ. გპირდები ტკივილსაც არ იგრძნობ. რათქმაუნდა შემდეგ რაღაცას მოვატყუებ ვიქტორიას, რომ დაწყნარდეს. ბელა, რომ იცოდე რას გიმზადებდა... მან თითქოს ზიზღით გააქნია თავი –გეფიცები, ჩემი მხოლოდ მადლობელი უნდა იყო.

მე გაგიჟებული დავაჩერდი მას

მან შეიყნოსა ჩემი თმის სუნი რომელიც ნიავმა მიიტანა მასთან –რა არომატულია –დაიჩურჩულა უფრო ღრმად შესუნთქვით.
მე გასაქცევად მოვემზადე და თვალები დავხუჭე. გააფთრებულმა ედვარდის ღრენამ გარშემო ყველაფერი დააყრუა ჩემს გონებაში.
ისმა სახელმა ყველა საზღვარი დაანგრია რაც ჩემით ავაგე.
ედვარდ, ედვარდ ედვარდ. მე სიკვდილისთვის მოვემზადე. და არ მე სინია თუ მასზე ვიფიქრებ. ედვარდ მე შენ მიყვარხარ.
დახუჭული თვალებიდან გამოვიხედე. ლორენმა შეწყვიტა ჩემი სურნელის შეყნოსვა და სადღაც მარჯვნივ გაიხედა. მე მეშინოდა კიდეც იმ მხარეზე გახედვა, მგონი ვერაფერი შეაჩერებდა მას. მე გაკვირვებით ვიგრძენი შვება როცა ჩემგან უკან გაიწია.

–არ მჯერა –მან ისე ჩუმად წარმოთქვა ძლივს გავიგონე.

მომიწია გამეხედა იმავე მიმართულებით. ჩემი მზერა მდელოზე დარბოდა იმის მიზეზის ძებნით თუ რამ გამიხანგრძლივა სიცოცხლე. თავიდან ვერაფერი ვერაფერი დავინახე და ისევ ლორანს შევხედე რომელიც უფრო სწრაფად იხევდა უკან, მისი მზერა ბურღავდა ტყეს. შემდეგ მე ის დავინახე. დიდი შავი ლანდი გამოვიდა ხეებიდან და ვამპირისკენ გაემართა. ის გიგანტური იყო, სახლივით დიდი. მან

პირი დააღო და გამოაჩინა ბრიტვასავით მჭრელი ეშვები. საშინელი ღრენა გამოვიდა მსი ბაგედან.
დათვი, მაგრამ ეს საერთოდ არ იყო დათვი. მაგრამ ამ გიგანტურმა შავმა მონსტრმა გამოიწვია მთელს ქალაქში პანიკა. შორიდან ყველა იფიქრებდა რომ ეს დათვი იყო. სხვა რა იქნებოდა ესეთი დიდი? ადრე მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ შორიდან. ხლა კი მხოლოდ ათ ნაბიჯში გაიარა ჩემგან.

–მილიმეტრითაც არ გაინძრე –მითხრა ედვარდის ხმამ

თვალებს ვაცეცებდი ამ საშინელ არსებაზე და ვცდილობდი სახელი მომეფიქრებია. შიშში მხოლოდ ერთი აზრი მომივიდა. აქამდე არასდროს მენახა ამოდენა მგელი.
კიდევ ერთი ღრენა გამოსცა მან და შიშისგან შევხტი.
ლორენმა შიშისგან მოუხერხებლად ჩამიქროლა. ღატომ გაიქცა? რათქმაუნდა მგელი უზარმაზარი იყო, მაგრამ ის ხომ მხოლოდ ცხოველია. რატომ შეეშინდა ვამპირს ცხოველის? ხოლო ლორენი სწორედაც რომ შეშინდა. მას ისევე როგორც მე შიშისგან თვალები გაფართოებოდა.
და თითქოს ჩემი სიტყვების დამოწმებად. მგელი არ აღმოჩნდა მარტო. აქეთ იქიდან გამოვიდა კიდევ ორი მგელი ერთი რუხი და მეორე ყავისფერი, მაგრამ ისინი არ იყვნენ პირველივით დიდები. რუხმა მგელმა ჩამიარა და მათი მზერა ლორანზე გაჩერდა. განძრევაც ვერ მოვასწარი როცა ისარივით დაეწყვნენ. ყავისფერი მონსტრი გამოვიდა ბუჩქებიდან და მე მომიახლოვდა.
ჰაერი ჩავყლაპე და უკან გადავხტი – ეს ყველაზე მეტი სისულელე იყო რისი გაკეთებაც შემეძლო. მე ისევ გავშეშდი მოლოდინში რომ მგლები მე დამესხმიან თავს. როგორც სუსტ მსხვერპლს. როგორ მინდოდა რომ ლორანს დაეგლიჯა ისინი, მისთვის ხომ ეს არაფერია. ლორანისგან სიკვდილი მირჩევნია, მგლების ხროვისგან შეჭმას. მოწითალო-მოყავისფრი მგელი შემომიბრუნდა ჩემი ამოსუნთქვის ხმაზე.
მგელის თვალები შავი იყო, და ისე მიყურებდნენ. გავიფიქრე რომ ეს გამოხედვა ძალზე აზრიანი იყო ცხოველისთვის.
სანამ ის მიყურებდა რატომღაც ჯეიკობზე გავიფიქრე და რატომღაც სამადლობლად. ღმერთს მადლობა რომ ამ ზღაპრულ მდელოზე მარტო მოვედი რომელიც მონსტრებით სავსეა. კიდევ კარგი ჯეიკობი არ არის აქ, მას არ უნდოდა სიკვდილი. ყოველ შემთხვევაში ჩემზე არ იქნება მისი სიკვდილი.
კიდევ ერთმა ღრენამ ლიდერი მგელისა, იძოლებული გახადა ყავისფერ მგელს ლორანისკენ შეებრუნებინა თავი.
ლორანი დაუმალავი შიშით უყურებდა გიგანტური მგლების ხროვას. თავიდან ვერაფერი გავიგე, მაგრამ შემდეგ განცვიფრებულმა დავინახე როგორ გაიქცა ხეებს შორის.

ის გაიქცა.
წამის შემდეგ მგლები მას დაედევნენ, უზარმაზარი ნახტომით, ღრენით და კბილების ხრჭიალით ისე რომ ყურებზე მივიჭირე ხელები. ეს ხმები მაშინვე ჩაწყდა როცა ტყეში დაიმალნენ.
და მე ისევ მარტო დავრჩი.
მუხლები მომეკვეთა ხელებზე დავეცი და ბღავილი აღმომხდა. ვიცოდი რომ რაც შეიძლება მალე უნდა გავშორდე აქაურობას. რამდენი ხანი დაედევნებიან ლორენს მგლები რომ მერე მე მომიბრუნდნენ? თუ ლორენი დაბრუნდება?
თავიდან ვერც ვინძრეოდი. ყველაფერი მიკანკალებდა, არ ვიცოდი როგორ დავმდგარიყავი ფეხზე.
ჩემი ტვინი არ უჯერებდა გადარჩენას, არ მესმოდა რა მოხდა ჩემს თვალ წინ.
ვამპირები არ უნდა გაექცნენ არანაირ ცხოველს. ვერანაირი ბასრი კბილი ვერ დაზიანებს მათ მაგარ სხეულს.
  არამგონია მგლებმა დიდხანს ზდიონ ლორანს, მათთვის არ უნდა იყოს მიმზიდველი გაყინული ვამპირის ხორცი, მაშინ რატომ ჩაუარეს თბილსისხლიან, სუსტ არსებას ჩემი სახით გვერდი და მას გაეკიდნენ?
უაზრობაა –გავიფიქრე მე
ცივმა ქარმა დაუბერა მდელოზე და მინდორი ისე შეარხია თითქოს ვიღაც მოცურავდა მასში.
ფეხზე წამოვდექი და ბორძიკით გავექანე ხეებში.
მომდევნო რამოდენიმე საათი წამება იყო, 3ჯერ დიდი ხანი მოვუნდი ტყიდან გამოსვლას ვიდრე მდელოს მოძებნას.
თავიდან ვერც ვამჩნევდი სად გავრბოდი, მხოლოდ იმაზე ფიქრით რომ ამ საშინელ ადგილს გავცილებოდი. მაგრამ როცა კომპასი მომაგონდა უკვე უცნობ და უღრან ტყეში ვიყავი. ხელები იმდენად მიკანკალებდა, კომპასის მიწაზე დადება მომიწია, რომ მიმართულება გამეგო. ყოველ წამს ვჩერდებოდი კომპასის დასადებად მიწაზე და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას ვარკვევდი. და უცებ გავიგონე ყრუ ხმები რომელიც ჩემმა გიჟურმა ნაბიჯებმაც ვერ დაფარა – არსების მცირე გაშრიალება ფოთლებში.
შიშისგან შევხტი და წიწვებში ჩავვარდი რისგანაც ხელები დამეკაწრა და თმებით გავები. ციყვის მოულოდნელმა ნახტომმა იმხელაზე დამაკივლა შიშისგან რომ ყურები ამტკივდა.
როგორც იქნა გამოჩნდა ხეებს შორის გასასვლელი. გავედი ტრასაზე სადაც პიკაპი მყავდა დატოვებული. ძალა გამოცლილი გავემართე მისკენ
ბღავილი მოვრთე როცა ბანქანაში ჩავჯექი. ჯერ მანქანის ყველა საკეტი ჩავკეტე და შემდეგ გასაღები ამოვიღე ჯიბიდან. ძრავის ხმა დამეხმარა ცრემლები შემეჩერებინა როცა პიკაპის ბოლო სიჩქარით მივქროდი.

სახლამდე მისული ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი. ჩარლის საპატრულო მანქანა სახლის გვერდით იდგა. ვერც წარმომედგინა თუ ესე გვიანი იყო – დაბინდდა.

–ბელა? –იკითხა ჩარლიმ როცა კარი მივაჯახუნე და საკეტი გადავკეტე.

–ხო, მე ვარ. –აკანკალებული ხმით ვუპასუხე

–სად იყავი? –მკითხა გრგვინვით და გაბრაზებული სახით გამოვიდა სამზარეულოდან.

მე შევყოვნდი. ალბათ დაურეკა ჯეისიკას, ასე რომ უკეთესია სიმართლე ვთქვა.

–ფეხით ვსეირნობდი.

მან თაველებ დააწვრილა –ჯესიკასთან წასვლას რამ შეუშალა ხელი?

–დღეს რაღაც არ მინდოდა მათემატიკა.

ჩარლიმ ხელები გადააჯვარედინა –მგონი გითხარი რომ ტყეს არ გაკარებოდი.
–ვიცი მამა, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ –კანკალით ვთქვი მე.

ისევ გავიფიქრე რომ უკეთესია ბოლომდე ვუთხრა სიმართლე. ძალიან შეშინებული ვარ რომ მოვიტყუო.

–დათვი ვნახე –შევეცადე ხმა რბილი ყოფილიყო მაგრამ მაინც ამიკანკალდა –უფრო სწორედ დათვი კი არა მგლები. შავი, რუხი და ყავისფერი.

ჩარლის შიშისგან თვალები გაფართოვდა. უცებ გადმოკვეთა ოთახი და ბეჭებში მომკიდა ხელი

–ყველაფერი კარგად გაქვს?

თავი დავაქნიე

–ყველაფერი მომიყევი რაც მოხდა

–ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ, როგორც კი წავიდნენ გამოვიქეცი და რამოდენიმეჯერ დავეცი.

მან ბეჭებზე გამიშვა ხელი და მომეხვია. დიდი ხანი დუმდა

–მგლები –წაიბურტყუნა მან

–რა?

–რეინჯერებმა თქვეს რომ ნაკვალევი ძალიან დიდი იყო დათვისთვის, მაგრამ მგლები არ არიან ესეთი დიდები.

–ისინი გიგანტურები იყვნენ

–რამდენი იყვნენ?

–ხუთნი

ჩარლიმ თავი გააქნია. როგორც იქნა დაილაპარაკა მკაცრი ხმით –დღეიდან არანაირი სეირნობა

–არ არის პრობლემა –მხურვალედ შევპირდი.

ჩარლიმ განყოფილებაში დარეკა და ყველაფერი შეატყობინა რაც ვნახე. მხოლოდ ადგილი მოვიტყუე სადაც ვნახე მგლები, მამა გაგიჟდებოდა რომ გაეგო ესე შორს რომ ვიყავი ტყეში. უფრო მეტად არ მინდოდა ვინმე რომ ლორანს გადაყროდა, რომელიც მე მეძებდა. ამ აზრმა მტკივნეულად მიჩხვლიტა.

–გშია? –მკითხა ყურმილი რომ დაკიდა

თავი გავაქნიე, მაგრამ წესით უნდა მშიებოდა, მთელი დღეა არაფერი მიჭამია.

–უბრალოდ დავიღალე –ვუთხარი და კიბეებისკენ მივბრუნდი

–ჰეი –დამიძახა ჩარლიმ ისევ ეჭვიანი ხმით –შენ ამბობდი რომ ჯეიკობი ქალაქიდან წასული იყო მთელი დღე?

–ბილიმ ესე მითხრა –ვუპასუხე გაკვირვებულმა მისი კითხვით. წუთით მაკვირდებოდა სახეზე. და მგონი კმაყოფილი იყო ნანახით

–ჰმმმ

–რა არი? –ვკითხე მე. მისი სიტყვები გავდა იმას თითქოს ის ფიქრობდა რომ ჯესიკასთან წასვლის გარდა კიდევ მოვატყუე რაღაც

–უბრალოდ როცა გარისთან წავედი. ჯეიკობი დავინახე მეგობრებთან ერთად მაღაზიიდან გამოდიოდა. ხელი დავუქნიე მაგრამ მგონი ვერ დამინახა. მეგობრებთან რაღაცაზე კამათობდა. უცნაურად გამოიყურებოდა თითქოს რაღაცას განიცდიდა. და... კიდევ. უცნაურია უყურო როგორ იზრდებიან ბავშვები. ყოველ ჯერზე როცა ვნახულობ უფრო და უფრო დიდია.

–ბილიმ მითხრა რომ მეგობრებთან ერთად მიდიოდა კინოში. ალბათ ვინმეს ელოდებოდნენ.

–ააა –ჩარლიმ თავი დააქნია და სამზარეულოში წავიდა.

ვიდექი მისაღებში და ვფიქრობდი რაზე უნდა ეკამათ ჯეიკობს მეგობრებთან? იქნებ ემბრის წაეჩხუბა სემის გამო. ნ იმიტომ მიმატოვა დღეს რომ ყველაფერი გაერკვია? ეს გამიხარდება. სანამ დავწვებოდი, კიდევ ერთხელ შევამოწმე საკეტები. სისულელეა, რათქმაუნდა არანაირი საკეტები არ შეუშლის ხელს იმ მონსტრებს რაც დღეს ვნახე. მაგრამ ლორანი რომ მოვიდეს... ან...ვიქტორია საწოლში დავწექი და იმდენად ვიყავი შოკირებული ვერ შევძელი დაძინება. საშინელ ფაქტებს ჩავხედე თავლებში.
ველარაფერს გავაწყობ. არ არსებობს ადგილი სადაც უსაფრთხოდ დავიმალები.
მუცელში რაღაც დამიტრიალდა როცა მივხვდი რომ ეს ყველაფერი ჩარლისაც ეხება. მამჩემს გვერდით ოთახში სძინავს და მისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია. ჩემი სუნი მათ აქ მოიყვანს იმისდა მიუხედავად ვიქნები თუ არა ამ სახლში.
ამ აზრმა შიშისგან კბილები ამიკანკალა.
დასამშვიდებლად შეუძლებელზე დავიწყე ოცნება:
წარმოვიდგინე როგორ დაეწიენ უზარმაზარი მგლები ლორანს და დაგლიჯეს ეს უკვდავი როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ამ აბსურდის მიუხედავად მაინც დავმშვიდდი. თუ მგლები დაიჭერდნენ მას, ის ვერ ეტყოდა ვიქტორიას რომ მარტო ვარ. მაშინ ის იფიქრებს რომ კალენები ისევ მფარველობენ. თუ რათქმაუნდა მგლებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში.
ჩემი კარგი ვამპირები აღარასდრო აღარ დაბრუნდებიან. მამშვიდებდა იმაზე ფიქრი რომ სხვებიც გაქრებოდნენ აქედან.
თვალებ დახუჭული ველოდი როდის ჩავიძირები ძილში და თითქმის სიხარულით ველოდი კოშმარის დასიზმრებას. კოშმარი უკეთესია ვიდრე ის სახე რომელიც ეხლა წარმომიდგა თვალწინ.
ჩემს წარმოსახვაში ვიქტორია შავი თვალებით, მისი პირი ბრწყინვალე კბილებით გაიღიმა, ცეცხლივით წითური თმები ბზინავდნენ და მის თეთრ სახეს ედებოდნენ.
თავში ისევ გაისმა ლორანის სიტყვები: რომ იცოდე რას გიპირებდა...

ხელები პირზე მივიფარე რომ არ დამეკივლა.

თავი მეთერთმეტე

საიდუმლო საზოგადოება

ყოველ დილით როცა თვალს გავახელდი, აღფრთოვანებით ვიგებდი, რომ კიდევ ერთი დღე გადავრჩი ცოცხალი. როცა გაკვირვება გაივლიდა გული საშინლად იწყებდა ცემას, ხელები მიოფლიანდებოდა და მანამ ვერ ვსუნთქავდი წესიერად სანამ არ შევამოწმებდი რომ ჩარლი ცოცხალი და უვნებელი იყო.
ჩარლი განიცდიდა, რომ უყურებდა, როგორ მეშინოდა მცირე გაჭრიალებისაც კი სახლში და როგორ ვხტებოდი ფეხზე შეშინებული, მცირე გაფაჩუნებაზეს. მისი მუდმივი კითხვების მიხედვით ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამ ყველაფრის მიზეზად, ჩემს გვერდით ჯეიკობის არ ყოფნას მიიჩნევდა.
გონებიდან ვდევნიდი ყველანაირ შიშს, იმასაც კი რომ ჯეიკობს უკვე ერთი კვირაა არ დაურეკავს, მაგრამ როცა ნორმალურ ცხოვრებაზე ვკონცენტრირტებოდი – თუ შეიძლება მას ნორმალური ეწოდოს – ძალიან ვბრაზდებოდი.
ძალიან მენატრებოდა ჯეიკობი.
ისედაც მტანჯავდა მარტოობა და კიდევ ეს იდიოტური შიში. ეხლა როგორც არასდროს, ვოცნებობდი მის უდარდელ სიცილზე. მე მჭირდებოდა უსაფრთხოდ ყოფნა მის პატარა გარაჟში და მისი თბილი ხელები, ჩემი ცივი თითები რომ ეჭირად.
ორშაბათს ისევ ველოდი რომ დამირეკავდა. თუ ემბრისთან გაარკვია რამე ხომ მომიყვებოდა? იმედი მქონდა რომ ეს ყველაფერი უბრალოდ მეგობარზე ზრუნვა იყო მისთვის და არა მიზეზი რომ მე გამქცეოდა.
სამშაბათს დავურეკე, მაგრამ ისევ არავინ მიპასუხა. იქნებ ისევ არ გაუკეთებიათ ტელეფონი? ან ბილიმ ნომრის ამომცნობი დააყენა? ოთხშაბათს ყოველ ნახევარ საათში ვრეკავდი ღამის თერთმეტ საათამდე, იმის ლოდინში რომ მის თბილ ხმას გავიგონებდი.
ხუთშაბათს მთელი საათი ვიჯექი პიკაპში, ჩემი სახლის წინ, გასაღებით ხელში და თავს ვარწმუნებდი რომ ლა-პუშში წასვლას დიდი დრო არ დასჭირდებოდა, მაგრამ მაინც ვერ გადავწყვიტე.
ციცოდი რომ ლორანმა ნახა ვიქტორია და თუ წავიდოდი ლა-პუშში, რომელიმე მათგანს მაინც გადავეყრებოდი გზად. და თუ ისინი მაშინ შემხვდებიან ჯეიკობთან ერთად რომ ვიქნები? როგორც მტკივნეული

არ უნდა ყოფილიყო ეს ჩემთვის, ეხლა ჯობია რომ არ შევხვდე ჯეიკობს. მისსივე საკეთილდღეოდ.
სამწუხაროდ ვერ მოვიფიქრე როგორ დავიცვა ჩარლი.
ღამე მათთვის საუკეთესო დროა რომ მომაკითხონ. და როგორ წავიყვანო ჩარლი სახლიდან? თუ სიმართლეს ვეტყვი, ალბათ სადმე გამომაწყვდევს. ამასაც გადავიტან თუ ეს დამეხმარება რომ გადავარჩინო ის. მაგრამ ვიქტორია მაინც პირველად სახლში მოვა, მაგრამ იქნებ როგორც კი მე მომკლავს მაშინ წავიდეს.
ასე რომ გაქცევა არ შემძლო. რომც მდომოდა სად წავსულიყავი? რენესთან? მე აკანკალებულმა წარმოვიდგინე, როგორ მივიყვან, მზიან და უდარდელ ადგილზე, დედაჩემთან ჩემი სიკვდილის აჩრდილებს. მე ვერასდროს ჩავაგდებ მას ესეთ საფრთხეში. მეჩვენებოდა, რომ ნერვიულობა ღრნიდა ჩემს მუცელს. ალბათ მალე ჭრილობა გამიჩნდება.
ამ საღამოს, ჩემი თხოვნით ჩარლიმ ისევ დაურეკა გარის იმის გასაგებად წავიდნენ თუ არა ბლეკები ქალაქიდან. გარიმ უთხრა რომ ბილი მათ კრებაზე ნახა ოთხშაბათს, მაგრამ არაფერი უთქვამს ქალაქიდან წასვლაზე. ჩარლი ჩემს დამშვიდებას შეეცადა, რომ ტყუილად არ დავტანჯულიყავი და მითხრა რომ ჯეიკობი მაშინვე დამირეკავდა როგორც კი შეძლებდა.
პარასკევს სადილის შემდეგ, სკოლიდან სახლის გზაზე რომ მოვდიოდი, როგორც იქნა გონება გამინათდა.
მე არ ვაქცევდი ყურადღებას ჩვეულ გზას, ძრავის ხმით ვიმშვიდებდი მუდამ ნერვიულობას. მაგრამ ეხლა შევძელი ამეხსნა სიტუაცია, რომელიც ამდენი ხანი გროვდებოდა ჩემს ტვინში.
როგორც კი ეს გავიფიქრე თავი იდიოტად ვიგრძენი რადგან ამდენ ხანს ვერ ვამჩნევდი ამას. რათქმაუნდა. ტვინი დაკავებული მქონდა სხვადასხვა ფიქრებით – თუ ჩემი მდევრები, თუ გიგანტური მგლები, თუ მოუშუშებელი ჭრილობა გულში – მაგრამ როგორც კი ეს აზრი მომივიდა თავში, ის ძალიან შესამჩნევი მეჩვენა.
ჯეიკობი მე გამირბოდა. ჩარლის თქმით ბოლოს ძალიან უცნაურად და ნაწყენი გამოიყურებოდა ჯეიკობი... შემდეგ ბილი თავისი სიბრაზით და გაურკვეველი პასუხებით...
ოქროს აღმოჩენა, მე ზუსტად ვიცი რა სჭირს ჯეიკობს.
ყველაფერი სემ უილის გამოა. ჩემი კოშმარებიც კი მკარნახობდნენ ამას. სემმა მიაღწია ჯეიკობამდე. ჩემს მეგობარს იგივე დაემართა, რაც აქამდე მოდიოდათ სხვა ბიჭებს რეზერვაციაში. სემმა მაინც ჩაითრია ის თავის დაჯგუფებაში.
მე მას არ მივუტოვებივარ, ეხლა მივხვდი ამას.
სახლის წინ გავჩერდი, ძრავა არ გამომირთავს და დავიწყე მსჯელობა, რა ვქნა? ორი ვარიანტი შევადარე და არც ერთი არ იყო უსაფრთხო.
თუ წავალ ჯეიკობის სანახავად შეიძლება ვიქტორიას და ლორანს გადავეყარო.

და თუ არ წავალ, მაშინ სემი საბოლოოდ შეაშინებს ჯეიკობს და შეიყვანს თავის სექტაში. იქნებ გვიანი იქნება ეხლავე თუ არ ვიმოქმედე.
უკვე მთელი კვირა გავიდა, ვამპირები კი არსად ჩანდნენ. ერთი კვირა სავსებით საკმარისი იყო მათთვის რომ მოსულიყვნენ ჩემთან – პირველი ის რომ არც ისე მომგებიანი ჩიტი ვარ, და მეორე ალბათ ღამე მომაკითხავენ. იმის შანსი რომ ისინი ლა-პუშში გამომყვებოდნენ იმაზე მცირე იყო ვიდრე ჯეიკობის წართმევა სემისთვის.
ყველაზე დიდი საფრთხეს ტყის გზა წარმოადგენდა. ეს უბრალოდ წასვლა არ არის რომ რაიმე გავარკვიო.მე ვიცი რაც ხდება. ეს უფრო სამაშველო ოპერაციაა. მე ვაპირებდი დავლაპარაკებოდი ჯეიკობს – და თუ საჭირო იქნება მომეპარა ის. ერთხელ, ვუყურე პროგრამას სადაც ხალხს ტვინს ურეცხავდნენ. შემდეგ ისინი მკურნალობის უდიდეს კურსს გადიან გამოსაჯანმრთელებლად. გადავწყვიტე ჯერ ჩარლისთვის დამერეკა. შეიძლება პოლიციამ იცოდეს რა ხდება ლა-პუშში. მე კისრისტეხით გავიქეცი სახლში. ჩარლიმ თვითონ აიღო ყურმილი განყოფილებაში.

–უფროსი სვონი გისმენთ.

–მამა, ბელა ვარ.

–რა მოხდა?

ეხლა არ იყო დრო, მეკამათა მასთან იმაზე რომ რადგან ვურეკავდი სულ ცუდზე ფიქრობდა. ჩემი ხმა კანკალებდა.

–ჯეიკობზე ვნერვიულობ.

–რატომ? –მკითხა გაკვირვებულმა, ჩვენი საუბრის ამ მხრივ შემობრუნებით.

–მე მგონია... მე მგონია, რომ რეზერვაციაში საშინელებები ხდება. ჯეიკობი მეუბნებოდა, რომ მისი ასაკის ბიჭებს რაღაც უცნაური ემართებათ. ეხლა თვითონაც ესე იქცევა, ამიტომაც შევშინდი.

–ზუსტად რა ხდება? –ეხლა მან თავისი პროფესიონალური ხმით დაილაპარაკა. ეს კარგია, ესეიგი სერიოზულად მიიღო ჩემი ნათქვამი.

–თავიდან ის შეშინებული იყო, შემდეგ კი ჩემზე თავის არიდება დაიწყო... მე ვშიშობ რომ ის იმ უცნაურ დაჯგუფებაში, სემის ბანდაში შევიდა. სემ უილის ბანდაში.

–სემ უილი? –ისევ მკითხა გაკვირვებით ჩარლიმ.

–ხო.

ჩარლის ხმა დამშვიდდა –ვფიქრობ რომ ცდები ბელს. სემ უილი კარგი ბიჭია. ვფიქრობ რომ უკვე კაცი. კარგი შვილი. შენ უნდა მოგესმინა რაებს ყვებოდა მასზე ბილი. ის ნამდვილ სასწაულებს ახდენს ახალგაზრდებზე რეზერვაციაში. ის ერთადერთია ვინაც... –ჩარლიმ შუა გზაზე შეწყვიტა ლაპარაკი. მივხვდი, მას იმის თქმა უნდოდა, ტყეში რომ დავიკარგე და სემმა მიპოვა. მე უცებ გავაგრძელე საუბარი

–მამა მე მაგას არ ვლაპარაკობ. ჯეიკობს ეშინოდა მისი.

– ბილის ამაზე ელაპარაკე? –ის უკვე ჩემს დამშვიდებას ცდილობდა როგორც კი სემ უილის სახელი გაიგონა.

–ბილის ეს არ აღელვებს

–კარგი ბელა, მაშინ დარწმუნებული ვარ რომ ყველაფერი კარგადაა. ჯეიკობი ჯერ კიდევ ბავშვია, ის ალბათ დახეტიალობს უსაქმოდ. ყოველ თავისუფალ წუთს შენთან ხომ არ გაატარებს.

–საქმე ჩემში არ არის –ვიჟინებდი მე, მაგრამ ბრძოლა უკვე წაგებული მქონდა.

–არამგონია რომ შენ უნდა ინერვიულო ამაზე. ბილი თვითონ მიხედავს ჯეიკობს.

–ჩარლი... –შესაბრალისად აკანკალდა ჩემი ხმა.

–ბელს, უამრავი საქმე მაქვს. ორი ტურისტი ისევ დაიკარგა ბილიკთან ახლოს –მის ხმაში ეხლა პანიკა იგრძნობოდა –მგლების სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა.

ამ ამბავმა შემაშფოთა, თითქმის დამაყრუა. არანაირი მგლები არ შეედრება ლორანს...

–დარწმუნებული ხარ რომ ეს მგლები იყვნენ? –ვკითხე მე

–ვშიშობ რომ კი, ძვირფასო. იქ იყო... –მან გაიცინა –იქ ისევ ნაკვალევი და... ეხლა სისხლიც იყო.

–ოჰ! –ეხლა არანაირი მტკიცებულებები არ მჭირდებოდა. ლორანი რათქმაუნდა გაექცა მგლებს, მაგრამ რატომ? რაც მე იმ მდელოზე ვნახე, ყოველ დღე უფრო და უფრო გაურკვეველი ხდებოდა ჩემთვის.

–მისმინე, მართლა უნდა წავიდე. ჯეიკობზე ნუ ნერვიულობ, ბელა. დარწმუნებული ვარ რომ არაფერი ცუდი არ მოსვლია.

–კარგი –იმედგაცრუებით ვუთხარი მე. მისმა სიტყვებმა უფრო მნიშვნელოვანი საქმე გამახსენეს. –კარგად –და მე დავკიდე ყურმილი.

ტელეფონს რამოდენიმე ხანი დავჩერებოდი. ჯანდაბაც ამის, როგორც იქნა გადავწყვიტე.
ბილიმ მეორე ზარზე აიღო.

–ალო?

–გამარჯობა ბილი –თითქმის წამოვიყვირე. შემდეგ შევეცადე უფრო რბილი ტონი მიმეღო –შეიძლება ჯეიკობს ველაპარაკო?

–ჯეიკი სახლში არ არის.

ახალი ამბავი – სად არის იცი?

–მეგობრებთან ერთად წავიდა –სიფრთხილით მიპასუხა ბილიმ

–მართლა? მათგან ვინმეს ვიცნობ? კვილი, მაგალითად –მე თითქოს ქვეტექსტით ვლაპარაკობდი.

–არა –ნელა მიპასუხა ბილიმ –არამგონია დღეს კვილთან იყოს.

უკვე მივხვდი რომ უკეთესია სემის სახელი არ ვახსენო.

–ემბრი? –ვკითხე მე

მგონი ბილიმ გახარებულმაც მიპასუხა –ხო, ის ემბრისთნ ერთადაა.

ეს საკმარისი იყო ჩემთვის. ემბრიც ერთერთი იმათთაგანია.

–კარგი, თხოვე დამირეკოს როცა დაბრუნდება

–რათქმაუნდა, არ არის პრობლემა –და იმწამსვე გათიშა ტელეფონი.

–შევხვდებით, ბილი –წავიბურტყუნე, უკვე ჩუმ ყურმილში.

მე ლა-პუშში წავედი, დასალოდებლად მომზადებული. თუ საჭირო გახდება მთელ ღამეს გავატარებ მის სახლთან. სკოლასაც გავაცდენ. ბიჭი ოდესმე ხომ დაბრუნდება სახლში, და როცა დაბრუნდება იძულებული იქნება დამელაპარაკოს.
ისე ვიყავი დაძაბული, ჩემი წამოსვლის ფიქრში, რომელიც ძალიან მაშინებდა, მეგონა რომ გზამ რამოდენიმე წუთი დაიკავა. ტყემ შეთხელება დაიწყო და მივხვდი რომ სულ მალე სახლებიც გამოჩნდებოდა.
უცებ დავინახე მაღალი ბიჭი, ბეისბოლის კეპით, რომელიც გზის მარჯვენა მხარეს მიდიოდა.
სუნთქვა შემეკრა იმის იმედით რომ ბედმა გამიღიმა და ჯაიკობს წავაწყდი. მაგრამ ეს უფრო დიდი იყო, და თმებიც მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. ზურგიდანაც ვიცანი, რომ ეს კვილი იყო. მაგრამ ეხლა ის უფრო გაზრდილი ჩანდა, მის მერე რაც ბოლოს ვნახე. რა სჭირთ ამ რეზერვაციის ბიჭებს? იქნებ მათ გასაზრდელი ჰორმონებით ტენიან? მე მისკენ გადავუხვიე. როცა პიკაპით მივუახლოვდი, თავი ასწია. კვილის გამომეტყველებამ, უფრო შემაშინა ვიდრე გამაკვირვა. ჩაფიქრებული და ძალიან მოღუშული სახე ჰქონდა.

–ოჰ, პრივეტ ბელა –უსიცოცხლოდ მომესალმა

–პრივეტ, კვილ... კარგად ხარ?

მან მოღუშულად შემომხედა –ყველაფერი კარგადაა

–იქნებ სადმე მიგიყვანო? –შევთავაზე მე

–მგონი, კი –წაიბურტყუნა მან. მანქანას შემოუარა და მგზავრის მხრიდან გააღო კარი ჩასაჯდომად.

–სად?

–ჩემი სახლი ჩრდილოეთითაა, მაღაზიის უკან –თქვა მან

–ჯეიკობი ხომ არ გინახავს? –ეს კითხვა მაშინვე წამომცდა როგორც კი გაჩუმდა.

მე დაძაბული ვუყურებდი კვილს და ველოდი მის პასუხს. ის ფანჯრისკენ შებრუნდა –შორიდან –როგორც იქნა ამოღერღა.

–შორიდან? –გავიმეორე მე

–შევეცადე დავწეოდი მათ, ემბრისთან ერთად იყო –კვილი იმდენად წყნარად ლაპარაკობდა, ძრავის ხმაში არც მესმოდა წესიერად. მე მისკენ დავიხარე. –ვიცი რომ შემამჩნიეს, მაგრამ შებრუნდნენ და ხეებში გაუჩინარდნენ. ვფიქრობ მარტონი არ იყვნენ –სემი თავის ჯგუფით იქ იყო. მე ტყეში ვიხეტიალე, ვეძახდი მათ. ეხლა რომ შემხვდი, ახალი გამოსული ვიყავი ტყიდან.

–ესეიგი სემი მაინც მისწვდა მას –სიტყვები დამახინჯებულად გამომივიდა რადგან მაგრად დავაჭირე კბილები ერთმანეთს.

კვილმა შემომხედა –შენ იცი ამაზე?

თავი დავაქნიე –ჯეიკმა მითხრა... წინათ

–წინათ –გაიმეორა მან და ამოიხვნეშა

–ჯეიკობიც ისე ცუდადაა როგორც დანარჩენი ბიჭები?

–ერთი ნაბიჯითაც არ შორდება სემს –კვილი შებრუნდა და ფანჯარაში გადააფურთხა.

–აქამდე – ის გაურბოდა ყველას? ნაწყენი იყო?

მისი ხმა ჩუმი გახდა –ისე დიდხანს არა, როგორც დანარჩენები. მგონი მხოლოდ ერთი დღე. შემდეგ სემმა მიხედა მას.

–შენი აზრით რა არის ეს? ნარკოტიკები თუ სხვა რამ?

–მე არასდროს დამინახავს, რომ ჯეიკი და ემბრი ამით ინტერესდებოდნენ... ან საიდან უნდა ვიცოდე? კიდევ რა შეიძლება იყოს? და რატომ მხოლოდ უხუცესები არ ღელავენ? –მან თავი გააქნია. მის თავალებში შიშმა გაიელვა. –ჯეიკობს არ სურდა ამ დაჯგუფებაში შესვლა. არ ვიცი, რამ აიძულა ამის გაკეთება –მან მე შემომხედა და სახეზე შიში ჰქონდა აღბეჭდილი. –არ მინდა შემდეგი ვიყო.

ჩემს თვალებში მისი შიში აღიბეჭდა. უკვე მეორედ მესმოდა რომ მათ, სექტას უწოდებდნენ. სულ მთლად დამბურძგლა –მშობლები გეხმარებიან?

ის შეიჯმუხნა –ხო აბა რა. ჩემი ბაბუა ისევე როგორც ჯეიკის, ამბობს რომ – სემი საუკეთესოა რაც აქ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჩვენ რამოდენიმე ხანი გაჩუმებულები ვუყურებდით ერთმანეთს. უკვე მივედით ლა-პუშში, ჩემი მანქანა ძლივს მიღოღავდა ქვიშაზე. წინ გამოჩნდა ერთადერთი ხის მაღაზია.

–აქ ჩამოვალ –თქვა კვილმა –აი ჩემი სახლი –მან თითით დამანახა ხის სამკუთხედი მაღაზიის უკან. მანქანა შევაჩერე და ისიც ჩახტა ძირს.

–ჯეიკობთან წასვლას და მის დალოდებას ვაპირებ – მივაძახე მას

–წარმატებები –მან კარები მოხურა და ისევ თავ დახრილი და ბეჭებ ჩაშვებული წავიდა.

კვილის გამომეტყველება მოსვენებას არ მაძლევდა. მე მანქანა მოვატრიალე და ბლეკების სახლში წავედი. კვილი ნამდვილად შეშინებული იყო რომ შემდეგი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს რა ხდება აქ?
ჯეიკობის სახლთან გავჩერდი, ძრავა გამოვრთე და ფანჯრები ჩამოვწიე. დღეს ძალიან ჩახუთული იყო, ნიავიც არ ქროდა. მე კარგად მოვკალათდი დასალოდებლად.
რაღაც მოძრაობა შევამჩნიე, მივტრიალდი და ბილი დავინახე, რომელიც განცვიფრებული მიყურებდა. ხელი დავუქნიე და გავუღიმე, მაგრამ ადგილიდან არ გავნძრეულვარ.
მან თვალები დაახამხამა და მაგრად ჩამოაფარა ფარდები ფანჯარაზე.
მზად ვიყავი, მელოდა რამდენიც საჭირო იქნებოდა, მაგრამ რამეთი უნდა გავრთობილიყავი. ზურგჩანთაში კალამი და ძველი ტესტი ვიპოვე. მე ფურცლის გვერდების მოხატვა დავიწყე.
მხოლოდ ერთი გვერდზე მოვასწარი ალმასების დახატვა, როცა მანქანის კარზე ვიღაცამ მომიკაკუნა.
მოულოდნელობისგან შევხტი და სწრაფად ავწიე თვალები. მეგონა, რომ ბილი იქნებოდა.

–აქ რას აკეთებ ბელა? –დაიღრინა ჯეიკობმა

მას მივაჩერდი და ლაპარაკის უნარი წამერთვა.
სულ რაღაც 2 კვირა იყო გასული რაც არ მინახავს და ის რადიკალურად შეიცვალა. პირველი, რასაც მივაქციე ყურადღება მისი თმებია. მისი მშვენიერი, გრძელი თმები თითქმის გაქრა, ისე მოკლედ ჰქონდა შეჭრილი თითქოს თავი მელნის ბრჭყვიალებით დაუფარეს, როგორც შავი სატინი. სახის ნაქვთები უფრო გამოკვეთოდა და ის გახდა უფრო... დიდი. კისერი და ბეჭებიც შეეცვალა – ისინი აშკარად, უფრო ღონიერი გახდა. როდესაც

თავისი დიდი ხელები მანქანის ფანჯარას მოჰკიდა, მის ყავისფერ ხელებზე ძარღვები დაიბერა. ყველაფერი დანარჩენი იგივე იყო მასში. მისი სახის გამომეტყველება თითქმის უცნობს ხდიდა მას. მეგობრული ღიმილი თმებთან ერთად გაქრა, თბილი შავი თვალები კი შემაშინებელი გამოხედვით შეიცვალა. ეხლა მასში გაიღო ბნელი მხარე. თითქოს ჩემი მზე აფეთქდა.

–ჯეიკობ? –დავიჩურჩულე მე

მან გაბრაზებული და დაძაბული მზერა მესროლა.
მე მივხვდი რომ მარტონი არ ვიყავით. მის უკან იდგნენ ოთხნი, ისინიც მაღალი, მუქკანიანი და ისევე როგორც ჯეიკობს მოკლეთმიანი ბიჭები. ისინი ძმებად შეიძლებოდა ჩაგეთვალად. ემბრიც კი ძლივს შევამჩნიე მათ შორის. მსგავსებას კი აძლიერებდა, ყველას ერთნაირი გამოხედვა. გარდა ერთისა, შედარებით უფროსისა, სემი ყველაზე უკან იდგა, მშვიდი გამომეტყველებით. ყელში გაჩხერილი ბურთი გადავყლაპე. მე მისთვის დარტყმა მომინდა. არა, მე მეტი მინდოდა ვიდრე უბრალოდ დარტყმა. ყველაზე მეტად მომინდა, რომ სასტიკი და საშიში ვყოფილიყავი, ვერავის რომ ვერ შევეჩერებინე. ვიღაც ვინც ადვილად შეაშინებდა სემს. მომინდა რომ ვამპირე ვყოფილიყავი.
ამ სურვილმა ჩიხში დამაყენა, სუნთქვაც კი შემეკრა. მტრის მხარეზე გადასვლა – ეს იყო ყველაზე აკრძალული სურვილი ჩემთვის და ამიტომ ყველაზე მტკივეული. ესეთი მომავალი სამუდამოდ დაკარგული იყო ჩემთვის, მაგრამ ის არც არასდროს ყოფილა ჩემთვის შესაძლებელი. თავის ხელში აყვანა ვცადე, სანამ ჭრილობა გაიხსნებოდა გულში.

–რა გინდა? –უცებ მკითხა ჯეიკობმა. რომ დაინახა რა ემოციები გამომეხატა სახეზე მისი გამომეტყველება უფრო ამზრზენი გახდა.

–შენთან დალაპარაკება მინდა –წყნარად ვუთხარი მე. გონზე მოსვლას ვცდილობდი მაგრამ ისევ ვერ ვივიწყებდი ჩემს აუსრულებელ ოცნებაზე ფიქრს.

–გისმენ –დაიჩურჩულა კბილებიდან. მან ბოროტად შემომხედა. მთელი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს მინახავს ის ესეთი. ამან უსიამოვნოდ გამაკვირვა – მწვავე ტკივილმა მიჩხვლიტა თავში.

–მარტო! –ისევე დავიჩურჩულე მე, ჩემი ხმის ტონი უფრო ძლიერი იყო

მან უკან გაიხედა. ზუსტად ვიცოდი ვისაც შეხედა. დანარჩენებმაც მიაბრუნეს თავი სემისკენ, მისი რეაქციის დასანახად.

სემმა ოდნავ დააქნია თავი, მისი სახე შეუცვლელი დარჩა. მან რაღაც თქვა უცნობ, მელოდიურ ენაზე – ეს არც ფრანგული არც ესპანური იყო, ვფიქრობ რომ კვილეტების ენაა. ის შებრუნდა და ჯეიკობის სახლისკენ გაემართა. დანარჩენები – პოლი, ჯარედი და ემბრი – უკან წაყვნენ.

–კარგი –როგორც ჩანს ჯეიკობის სიბრაზე დანარჩენების წასვლასთან ერთად გაქრა. მისი სახე დაწყნარდა, მაგრამ ეს უფრო უბედურ გამომეტყველებას აძლევდა.

მე ამოვიოხრე –შენ, იცი რისი გაგებაც მინდა.

მან არ მიპასუხა. უბრალოდ მწარედ შემომხედა.
მე მას ვუყურებდი და სიჩუმეს ვქაჩავდით. ტკივილმა მის თვალებში, ყველანაირი მხნეობა წამართვა. ვიგრძენი როგორ მეჩხირება ბურთი ყელში.

–შეგვიძლია გავისეირნოდ? –ვკითხე, როდესაც ისევ შევძელი ლაპარაკი.
მან ისევ არ მიპასუხა. სახის გამომეტყველება იგივე დარჩა. მანქანიდან გადმოვედი, ვგრძნობდი რომ უკნიდან თვალს გვადევნებდნენ. მე ხეების სიღრმეში წავედი. მესმოდა ჩემი ფეხის ხმა სველ და ბინძურ ბალახზე. ეს იერთადერთი ხმა იყო რაც ჩემამდე მოდიოდა, ამიტომ თავიდან ვიფიქრე რომ არ წამომყვა. მაგრამ როცა მიმოვიხედე, ჯეიკობი მარცხენა მხრიდან მომყვებოდა, მისი ნაბიჯები აბსოლუტურად უხმო იყო, ჩემთან შედარებით.
თავი დარწმუნებულად ვიგრძენი როცა, ხეებში ღრმად შევედით სადაც სემი ვერ დაგვინახავდა.. სანამ მოვდიოდით, ვცდილობდი სწორი სიტყვები მომეძებნა, მაგრამ თავში არაფერი მომდიოდა. მე უფრო და უფრო ვბრაზდებოდი ჯეიკობზე, რომ ამ ისტორიაში გაება... და ბილიზე, რომელიც აძლევდა ამის უფლებას... და სემი, რომ იდგა იქ ესეთი თვითდაჯერებული და მშვიდი...
უცებ ჯეიკობმა ნაბიჯებს მოუმატა, ადვილად გამასწრო და წინ გადამიდგა, ამით მან გამაჩერა.
მე გაოცებული ვიყავი მისი გრაციით. ჯეიკობი მუდამ ისეთივე მოუხერხებელი იყო როგორც მე. როდის მოასწრო ესე შეცვლა? ჯეიკობმა არ მომცა ამაზე ფიქრის საშუალება.

–მოდი, დავამთავროდ ეს ერთხელ და სამუდამოდ –მყარად თქვა ჩახლეჩილი ხმით.

მე ველოდი. მან იცოდა რაც მინდოდა.

–ეს ის არ არის რაც შენ გგონია –მოულოდნელად დაღლილი ხმით თქვა მან. –ეს არც ის არ არის რაც მე მეგონა. მე ძალიან მწარედ ვცდებოდი.

–აბა რა არის?

ის სახეზე მიყურებდა გარკვეული ხანი, ფიქრობდა რა ეთქვა. მის მზერაში ისევ არ გამქრალა ბრაზი, და როგორც იქნა ამოღერღა –არ შემიძლია თქმა.

კბილები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე –მეგონა რომ მეგობრები ვიყავით.

–ჩვენ ვიყავით –მან მახვილი გააკეთა სიტყვა "ვიყავით"ზე.

–შენ ეხლა აღარ გჭირდება მეგობრები –გაჯავრებით ვუთხარი მე –შენ ეხლა სემი გყავს. ეს ისე მაგარია – შენ მისი ერთგული ხარ.

–მე არ მესმოდა მისი აქამდე.

–და ეხლა გაგინათდა გონება. ალელუია!

–ეს არ არის ის რასაც ვფიქრობდი. სემი არ არის დამნაშავე. ის მეხმარება, როგორც შეუძლია –მისი ხმა ჩახლეჩილი გახდა. მან ჩემს უკან გაიხედა, მისი თვალები სიბრაზისგან განათდნენ.

–ის შენ გეხმარება –ეჭვით გავიმეორე მე –ნუ, რათქმაუნდა.

მაგრამ ჯეიკობი, როგორც ჩანდა არ მისმენდა მე. ის ღრმად და ნელა სუნთქავდა, ცდილობდა მოსულიყო აზრზე. ის იმდენად გაჯავრებული იყო რომ ხელები უკანკალებდა.

–ჯეიკობ გთხოვ –დავიჩურჩულე მე –არ გინდა მომიყვე რა ხდება? იქნებ დაგეხმარო?

–ეხლა უკვე ვეღარავინ დამეხმარება –თითქმის ამოიკვნესა.

–რა გაგიკეთა? –თვალებზე ცრემლი მომადგა, მე მისკენ წავიწიე ხელებ გაშლილი.

ის იმწამსვე შეიშმუშნა, ხელებით დაიფარა ჩემგან თავი. –არ მომეკარო –დაიჩურჩულა მან.

–სემმა დაგაავადა რამეთი? –დავიჩივლე მე. სულელური ცრემლი ჩამომიცურდა ლოყაზე. ხელის გუილით მოვიწმინდე და ხელები გულზე გადავიჯვარედინე.

–საკმარისია, ყველაფერში სემის დადანაშაულება –უცებ წარმოთქვა მან, თითქმის ავტომატურად. ხელები თავზე დაისვა, მაგრამ თმები აღარ ჰქონდა და სახეზე ჩამოისვა.

–მაშინ, ვინ დავადანაშაულო?

მან ეშმაკურად გაიღიმა –შენ, არ ისურვებ ამის მოსმენას.

–ძალიანაც მინდა! –დავიყვირე მე –მინდა ვიცოდე, მინდა ეხლავე გავიგო!

–შენ ცდები! –მანაც დამიყვირა

–არ გაბედო მითხრა, რომ ვცდები. მე სრულ ჭკუაზე ვარ! მითხარი ვისი ბრალია, თუ არა იმ შენი გადასარევი სემის?!

–ნუ, რადგან ესე მთხოვ! –მან დამიღრიალა, მისმა თვალებმა გაიელვეს. –თუ ვინმეს დადანაშაულება გინდა, რატომ არ მიუთითებ იმ შენ საყვარელ, ბინძურ, სისხლისმსმელებზე?

გაკვირვებისგან პირი დავაღე. მე გავქვავდი მისი საშინელი სიტყვებისგან. ტკივილი ტალღასავით წამოვიდა სხეულში, ჭრილობა გაიხსნა. მე ვერ ვიჯერებდი, რომ სწორად გავიგონე მისი ნათქვამი, მაგრამ მის სახეზე გაუბედავობის ნატამალიც არ იყო. მხოლოდ სიბრაზე.
მე ისევ პირღია ვიდექი.

–ხომ გეუბნებოდი, რომ არ ისურვებდი მოსმენას. –თქვა მან

–არ მესმის ვის გულისხმობ –თითქმის დავიჩურჩულე მე

მან ეჭვით ასწია ცალი წარბი –მე კი, ვფიქრობ რომ იცი ვიზეც ვლაპარაკობ. შენ არ მაიძულებ რომ ისინი დავასახელო არა? არ მინდა ტკივილი მოგაყენო.

–არ მესმის ვის გულისხმობ –ისევ, მექანიკურად გავიმეორე მე

–კალენებს –ნელა წარმოთქვა, სპეცალურად გაწელა სიტყვა. სანამ ამას ამბობდა დაჟინებით მიყურებდა სახეზე –მე დავინახე ეს ახლა

და ყოველთვის ვხედავ შენს თვალებში, თუ რა გემართება როცა მათი სახელი გესმის.

მე უარყოფითად გავაქნიე თავი, ამავე დროს აზრზე მოსვლას ვცდილობდი. საიდან იცის? და საიდან უკავშირდება ეს სემის ბანდას? იქნებ ეს ვამპირების-საწინააღმდეგო სექტაა? და რა საჭიროა ესეთი დაჯგუფების შექმნდა როცა ფორქსში ვამპირები აღარ არიან? რატომ დაიჯერა ჯეიკობმა კალენების ისტორია ეხლა როცა მათი კვალი გაქრა და ისინი აღარ დაბრუნდებიან? პასუხებზე ძალიან დიდი დრო წამერთვა
–ოღონდ არ მითხრა რომ ისევ ბილის მონათხრობ სულელურ ლეგენდებს მოუსმინე –შევეცადე დამცინავად გამეღიმა.

–მან მეტი იცის ვიდრე მეგონა

მან გამკიცხავად შემომხედა.

–გეყოფა ცრუწმენა –სწრაფად ვთქვი მე –მე ისევ არ მესმის რაში ადანაშაულებ... კალენებს –მე ჩემივე ხმის გაგონებაზე შემაკანკალა –ისინი ნახევარი წლის წინ წავიდნენ. როგორ შეგიძლია დაადანაშაულო იმაში რასაც სემი აკეთებს?

–სემი არაფერს არ აკეთებს ბელა. ვიცი რომ წავიდნენ. მაგრამ ზოგჯერ... ხდება რაღაცეები რისი გამოსწორებაც გვიანაა.

–რაები ხდება? რატომაა გვიან? კონკრეტულად რაში ადანაშაულებ მათ?

უცებ მის თვალებში სიძულვილმა გაიელვა –მათ არსებობაში. –დაიჩურჩულა სიბრაზით

მე გამიკვირდა და დავიკარგე როცა, ჩემს გონებაში გაისმა ედვარდის გამაფრთხილებელი ხმა, რომელსაც არც შევუშინებივარ.

–მშვიდად ბელა. ნუ გააბრაზებ –მაფრთხილებდა ედვარდი.

მაშინ როცა ედვარდის ხმამ ყველა ბარიერი დამინგრია რომლებსაც სათუთად ვაშენებდი, ძალა აღარ მეყო რომ ისევ ამოგო ისინი. ეხლა მოგონებები არარ მანიჭებდა იმდენ ტკივილს – მითუმეტეს ამ ძვირფას წუთებში როცა მისი ხმა მესმოდა.
ჯეიკობი იდგა და მიყურებდა გაურკვევლობიდან გააფთრებული. ვერ ვხვდებოდი რატომ გაჩნდა ესე მოულოდნელად ედვარდის ხმა. მართალია ჯეიკობი ვერ იყო კარგად თავისი სიბრაზისგან, მაგრამ

ეს ხომ მხოლოდ ჯეიკობია. არ არის არანაირი ადრენალინი და საშიშროება.

–დაცადე რომ დამშვიდდეს –იჟინებდა ედვარდი

მე გაირკვევლობისგან თავი გავაყანყალე –შენ სასაცილო ხარ – ორივეს ერთად ვუთხარი

–ძალიან კარგი –მიპასუხა ჯეიკობმა, ისევ მძიმედ სუნთქვით. –მე არ მინდა შენთან კამათი. მაინც ეს უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი, საშიშროება გაქრა.

–რა საშიშროება?

ის არც გარხეულა მითუმეტეს, რომ ეს სიტყვები სახეში მავაყვირე.

–მოდი აქ დავამთავროდ და დავბრუნდეთ. მეტი სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

გაკვირვებისგან პირი დავაღე –არა ჩვენ გვაქვს სალაპარაკო! შენ არაფერი არ გითქვამს!

  მან გვერდი ამიარა და სახლისკენ წავიდა.

–დღეს კვილი ვნახე! –მივაძახე მე

ის შეჩერდა, მაგრამ არ შემობრუნებულა.

–გახსოვს შენი მეგობარი, კვილი? ხო, და ის შეშინებულია. ის უცებ შემობრუნდა ჩემსკენ. მის სახეზე ტკივილი იყო გამოსახული. –კვილი –მხოლოდ ეს თქვა.

–ისიც ღელავს შენსგამო. ის ძალიან შეშინებულია მომხდარით.

ჯეიკობმა სასოწარკვეთილად შემომხედა.

მე ისევ წავაქეზე ის –მას ძალიან ეშინია, რომ შემდეგი იქნება.

ჯეიკობმა ხეს ჩაეჭიდა, მისი ყავისფერი სახე მკვდარივით გამწვანდა. –ის არ გახდება შემდეგი –ჩაიბურტყუნა მან –ის ვერ შეძლებს. ყველაფერი დასრულდა. ესეც არ უნდა მომხდარიყო. რატომ? რატომ? –მან გამწარებით დაარტყა ხეს მუშტი.

ხე ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ოდნავ მაღალი ჯეიკობზე. აგრამ განცვიფრებული ვიყავი როცა, ხემ დაიჭრიალა ჯეიკობის დარტყმისგან.
ჯეიკობი დალეწილ ხეს მიაჩერდა, განცვიფრება შიშით შეეცვალა.

–უნდა დავბრუნდე –ის ისე უცებ მიტრიალდა, მე ძლივს შევინარჩუნე წონასწორობა.

–მიდი დაბრუნდი შენს სემთან!

–შენ არასწორად ნსჯი –მომესმა მისი პასუხი.

მე მას პიკაპთან დავეწიე –მოიცადე! –დავუძახე როცა სახლისკენ შებრუნდა.
ის შემობრუნდა და შევამჩნიე რომ ისევ აუკანკალდა ხელები.

–სახლში წადი ბელა. მე მეტი აღარ შემიძლია შენთან ერთად ყოფნა.

სულელური, უადგილო ტკივილი ძალიან მწარე იყო. თვალებზე ისევ ცრემლები მომადგა –შენ მე... მიმატოვე? –ეს სიტყვები არ იყო შესაბამისი, მაგრამ ისინი ზუსტად იმას გამოხატავდნენ რასაც ვგრძნობდი. ამის გარდა ჯეიკობთან მხოლოდ პატარა რომანი არ მაკავშირებდა, იყო რაღაც, უფრო დიდი, უფრო ძლიერი.

მან მწარედ გაიცინა –არამგონია. ესე რომ იყოს, მაშინ გეტყოდი – მოდი მეგობრებად დავრჩედ – მაგრამ მე ვერარასოდეს ვიტყვი ამას.

–ჯეიკობ... რატომ? სემი სხვებთან მეგობრობის უფლებას არ გაძლევს? გთხოვ ჯეიკ. შენ ხომ დამპირდი. შენ მე მჭირდები! – აბსოლიტური სიცარიელე, ჩემი წარსული ცხოვრებისა, ჰორიზონტზე გამოჩნდა. ეს მაგიჟებდა, ჯეიკობმა ჩემს ცხოვრებას რაღაც აზრი შემატა, მარტოობამ ისევ დაიწყო ჩემი დახრჩობა.

–ძალიან ვწუხვარ ბელა – ცივი, თითქოს სხვისი ხმით, მითხრა ჯეიკობმა.

არ მჯეროდა, რომ ჯეიკობს ამის თქმა უნდოდა ჩემთვის.
მეჩვენებოდა რომ მის გააფთრებულ თვალებში კიდევ დარჩა რაღაც უთქმელი, ოღონდ ვერ გავიგე რა.
იქნებ, სულაც არ გულისხმობს სემს. იქნებ არც კალენებს უკავშირდება ეს ყველაფერი. იქნებ ის ესე ცდილობს, რომ გაექცეს, ჩვენს შორის უიმედო ურთიერთობებს. იქნებ მე უნდა მივცე მას ამის საშუალება. ეს უნდა გავაკეთო. სე, სამართლიანი იქნება.
და მაშინ მე გავიგონე ჩემი ხმა რომელიც ჩურჩულით გაისმა:

–მაპატიე, რომ ვერ შევძელი... ადრე... რომ შემძლებოდა შემეცვალა ჩემი დამოკიდებულება შენდამი, ჯეიკობ. -მე სასოწარკვეთილებაში ვიყავი, ტყილისა და სიმართლის საზღვართან –იქნებ... იქნებ, ეს მე უნდა შევიცვალო –დავიჩურჩულე –იქნებ, ცოტა დრო მომცე... უბრალოდ არ მიმატოვო ეხლა, ჯეიკ. მე ვერ გადავიტან ამას.

სიბრაზე მის სახეზე ტკივილით შეიცვალა. მისი აკანკალებული ხელი ჩემსკენ გამოსწია

–არა, გთხოვ ესე ნუ ფიქრობ ბელა. თავს ნუ იდანაშაულებ, ნუ ფიქრობ, რომ ეს შენი ბრალია. ყველაფერი ჩემს გამოა. გეფიცები, შენ არაფერ შუაში ხარ.

–ჩემს გამო და რა შენს. –დავიჩურჩულე მე –მაგრამ საქმე, სულ სხვა რამეშია.

–მეც ამას ვგულისხმობ, ბელა. მე არ... –თითქოს მის შიგნით ბრძოლა მიდიოდა. ხმა ჩაუხჩა, რადგან ცდილობდა აზრზე მოსულიყო. თვალებში ტკივილი გაეყინა. –მე არ შემიძლია ვიყო შენი მეგობარი, ან კიდევ ვინმე. მე უკვე ის აღარ ვარ რაც ადრე ვიყავი. მე არ ვარ შენი ღირსი.

–რაა? –განცვიფრებული მივაჩერდი მას –რაებს ლაპარაკობ? შენ გაცილებით უკეთესი ხარ ჩემზე, ჯეიკ. შენ ისეთი კარგი ხარ! ვინ ჩაგინერგა ეგ თავში? ეს ხომ ნათელი ტყუილია. ჯეიკობ! არ მიცა იმის უფლება რომ ესე გელაპარაკონ! –მე ისევ ვყვიროდი.

ჯეიკობის სახეს, ისევ ნიღაბი ბგადაეფარა –არავის არ უთქვამს ეს ჩემთვის. მე თვითონ ვიცი, რომ ეს ესეა.

– შენ ხარ ჩემი მეგობარი, აი ვინ! ჟეიკ, გთხოვ არ გინდა!

მან უკან გაიწია.

–მაპატიე, ბელა –გაიმეორა მან. ჩემამდე რაღაც გაურკვეველი სიტყვები მოდიოდა. რომლებსაც თავისთვის ბურტყუნებდა. ის თითქმის გაიქცა, სახლში.

მე ადგილიდან ვერ ვინძრეოდი. შევხედე მის პატარა სახლს. ღომელიც ძალიან მცირე იყო ოთხი დიდი ბიჭის და ორი კაცისთვის. სახლის შიგნით არანაირი მოძრაობები არ შეიმჩნეოდა. ის ცარიელი ჩანდა.

წვიმის წვეთები აქა იქ ჩამოვარდნენ. მე სახლს თვალს ვერ ვაშორებდი. ჯეიკობი დაბრუნდება. ის ვალდებულია.
მალე წვიმამ მოიმატა. ქარი ამოვარდა. სანაპიროდა, ზღვის სუნი მოდიოდა. თბემი სახეზე მრტყმებოდნენ და სველ ლოყებზე მეწებებოდნენ. ე ვიცდიდი.
როგორც იქნა კარი გაიღო. მე ამოვისუნთქე და წინ გადავდგი ნაბიჯი.
ბილიმ თავისი საცარძელი გამოაგორა. მის უკან ვერავინ დავინახე.

–ბელა, ეხლახან ჩარლიმ დამირეკა, ვუთხარი რომ უკვე სახლში მიდიოდი. –მის თვალებში თანაგრძნობა იყო.

მისმა თანაგრძნობამ საბოლოოდ გამტეხა. არაფერი მითქვამს. უბრალოდ, ავტომატურად ჩავჯექი პიკაპში. ფანჯრები ჩამოწეული დავტოვე, ამიტომ სავარძლები მალე სველი გახდა. არაფერი უჭირს, მაინც სულ სველი ვარ უკვე.
  არც ისე ცუდადა ყველაფერი! არც ისე ცუდადაა! –ჩემი ტვინი ჩემს დამშვიდებას ცდილობდა. ს სიმართლე იყო. ყველაფერი არ არის ძალიან ცუდად. ეს ხო მარ არის სამყაროს დასასრული. ეს უბრალოდ იმ პატარა სამყაროს დასასრული იყო, რომელჩიც მე ვცხოვრობდი. მხოლოდ ეს.

–არც ისე ცუდადაა ყველაფერი –დავეთანხმე მე, და დავამატე –მაგრამ, მაინც ცუდადაა.

მეგონა რომ ჯეიკობი განმკურნავდა ამ ჭრილობიდან, ან ამოავსებდა რამით, რომ არ მტკიებოდა ისევ ძალიან. მე შევცდი. მან კიდევ ერთი ნახვრეტი გააჩინა. ეხლა ჩემში იმდენი ხვრელი იყო, შვეიცარულ ყველს ვგავდი. გასაკვირია, ამდენანს როგორ არ დავიშალე ნაწილებად.
ჩარლი კარებთან მელოდა. როგორც კი გავაჩერე მანქანა შესახვედრად წამოვიდა.

–ბილიმ დამირეკა. მითხრა რომ ჯეიკობს ეჩხუბე და რომ ძალიან ნაწყენი ხარ. –ამისსნა მან კარის გაღებით.

შემდეგ სახეზე შემომხედა. რაღაც მტკივნეული აღიბეჭდა მის სახეზე. მე შევეცადე წარმომედგინა, თუ როგორი გამომეტყველება მქონდა, რადგან გამეგო რა დაინახა ესეთი. მე ცივი და უსიცოცხლო გამომეტყველება მქოდა, და მივხვდი რაც გაახსენდა მას.

–მთლად ესეც არ არის –წავიბურტყუნე მე.

ჩარლი მომეხვია და მანქანიდან გადმომიყვანა. მას არაფერი უთქვამს ჩემს სველ ტანსაცმელზე.

–აბა, რა მოხდა? –მკითხა როცა სახლში შევედით. მან სავარძელიდან მოსაცმელი აიღო და მომახურა. ეხლა მივხვდი რომ ვკანკალებდი.

ჩემი ხმა უსიცოცხლოდ გაისმა –სემ უილიმ ჯეიკობს უთხრა, რომ ჩვენ მეგობრები ვეღარ ვიქნებით.

ჩარლიმ უცნაურად შემომხედა –ვინ გითხრა ეს?

–ჯეიკობმა –ეს მთლად ის არ იყო რაც მან მითხრა, მაგრამ ეს სიმართლეა.

ჩარლი წარბები შეყარა –შენ მართლა გგონია, რომ ამ უილის რაღაც სჭირს?

–მე არ ვფიქრობ, მე ეს ვიცი. მაგრამ ჯეიკობმა ზუსტად არ მითხარ რა. –მესმოდა როგორ წვეთავდა წყალი ჩემი ტანსაცმლიდან და ლინოლეუმს ასველებდა –უნდა გამოვიცვალო.

ჩარლი ფიქრებში წავიდა –კარგი –მიპასუხა მან.

შხაპის მიღება გადავწყვიტე, რადგან სულ გავიყინე, მაგრამ ცხელმა წყალმა ვერ იმოქმედა ჩემი სხეულის ტემპერატურაზე. მე ისევ ვკანკალებდი როცა ბოლოს და ბოლოს გამოვრთე წყალი. სიჩუმეში, ჩარლის ხმა გავიგონე, ვიღაცას ელაპარაკებოდა. პირსახოცში გავეხვიე და კარი გავაღე.

ჩარლის ხმაში სიბრაზე იგრძნობოდა –ამით ვერ გამაცურებ. ამას არანაირი აზრი არ აქვს.

შემდეგ სიჩუმე დადგა და მივხვდი რომ ტელეფონზე ლაპარაკობდა.

–ყველაფერს ბელას ნუ აბრალებ! –უცებ დაიღრიალა მან.

მე შევხტი კიდეც, მის ხმაზე. როცა ისევ დაილაპარაკა, ეხლა უფრი ფრთხილი ხმა ჰქონდა –ბელამ ძალიან კარგად იცოდა რომ ის და ჯეიკობი მხოლოდ მეგობრები ყვნენ... მაგრამ, თუ ეს ესე იყო, რატომ არ მითხარი თავიდანვე? არა, ბილი, ვფიქრობ რომ ბელა მართალია... იმიტომ რომ მე ვიცნობ ჩემს შვილს და როცა ის ამბობს რომ ჯეიკობი შეშინებული იყო... –ის გაჩუმდა და როცა ისევ გააგრძელა თითქმის ღრიალებდა:

–გინდა მითხრა რომ მე არ ვიცნობ საკუთარ გოგონას?! –ის მოსაუბრეს რამოდენიომე წამი უსმენდა და მისი პასუხი ძალიან ხმამაღალი იყო –თუ შენ ფიქრობ რომ, მე მას ეს უნდა შევახსენო. კიდევ ერთხელ დაფიქრდი სანამ იტყვი. მან ძლივს დაიწყო გამოჯანმრთელება ამისგან და ეს ჯეიკობის დამსახურება იყო, მაგრამ თუ ის ისევ დეპრესიაში ჩავვარდება მაგ შენი სემის გამო. მას ჩემთან ექნება საქმე. ბილი შენ ჩემი მეგობარი ხარ, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს ოჯახს აზიანებს.

ისევ სიჩუმე ჩამოდგა ბილის პასუხის გამო.

–მართალი ხარ – ამ ბიჭებმა საზღვარს გადააჭარბეს და მე ვაპირებ რომ გამოვასწორო ეს. სიტუაცია გავაკონტრილებთ, შეგიძლია დარწმუნებული იყო –ეხლა ის არ ლაპარაკობდა როგორც ჩარლი, ეხლა ის იყო პოლოციის უფროსი, სვონი.

–გადასარევია. დიახ. ახვამდის –მან ყურმილი დაახეთქა ტელეფონს.

მე ფეხაკრეფით შევედი ჩემს ოთახში. ჩარლი რაღაცას ბუტყუნებდა მისთვის.
ესეიგი, ბილი ყველაფერში ჩემს დადანაშაულებას ცდილობდა. მისი სიტყვებით, მე ჯეიკობს დავსდევდი და თავი მოვაბეზრე.
  უცნაურია, რომ მეც ესე ვფიქრობდი. მაგრამ მას შემდეგ რაც დღეს მითხრა ჯეიკობმა, ამის აღარ მჯეროდა. ეს არ იყო უბრალოდ მოულოდნელი ჩხუბი, მე გამაკვირვა იმან, რომ ბილიმ დაიწყო ამის განსჯა. ამან მიმახვედრა იმას რომ საიდუმლოს რომელსაც ბილი ესე ინახავდა უფრო მეტია ვიდრე წარმომედგინა. ბოლოს და ბოლოს ჩარლი მაინც არის ჩემს მხარეზე.
საღამური ჩავიცვი და საწოლში შევგორდი. ჭრილობები – ეხლა ისინი ორნი იყვნენ – უკვე დაიწყეს ტკივილის მოყენება. მე უკანა პლანზე გადავიყვანე, არა რეალური მახსოვრობა რომელიც ტკივილს მაყენებდა, არამედ მოჩვენებითი –ედვარდის ხმა რომელიც ისევ და ისევ მიტრიალებდა თავში. სანამ არ დავიძინე, ნაკადულებად მომავალი ცრემლებით სახეზე.
ღამით ახალი სიზმარი დამესიზმრა. ჭვიმდა. ჯეიკობი უხმაუროდ მოდიოდა ჩემს გვერდით, მაგრამ ჩემი ნაბიჯებში საშინლად ხმაურობდნენ მიწაზე. მისმა გრაციოზულმა სიარულმა ვირაც მომაგონა და სანმა ვუყურებდი მისმა სახემ სეცვლა დაიწყო. ყავისფერი კანი გაქრა და თეთრი გახდა. მისი თვალები ოქროსფერით, შემდეგ სისხლივით წითელით შემდეგ ისევ ოქროსფერით შეიცვალა. მისი შეჭრილი შავი თები ქარში ნელნელა წაბლისბერი ხდებოდა. სახე გახდა ისეთი მშვენიერი, რომ გულმა გამალებით დამიწყო ცემა. მე მისკენ გავიწიე, ხოლო მან უკან

დაიწია, ხელები გადაიფარა ჩემგან დასაფარად. შემდეგ ედვარდი გაქრა.
ვერ გავიგე რატომ გამომეღვიძა, ტირილი ეხლა დავიწყე თუ სიზმარშიც ვტიროდი. ცრემლები ეხლა ნაკადულებივით მომდიოდნენ. მე ბნელ ჭერს მივაჩერდი. ვიცოდი, რომ ნახევარი ღამე უკვე გავიდა და მე ნახევრად ფხიზელ მდგომარეობაში ვიყავი, უფრო ძილში. დაღლილად დავხუჭე თვალები და ვილოცე რომ ღრმად ჩამძინებოდა ყველანაირი ხილვების გარეშე.
და ეხლა გავიგონე ხმა რომელმაც ალბათ მანამდეც გამაღვიძა. რაღაც კაწრავდა ჩემი ოთახის ფანჯარას, საშინელი ხმით, თითქოს ფრჩხილები.

თავი მეთორმეტე

დაუპატიჟებელი სტუმარი

მოულოდნელი შიშისგან თვალები გამიფართოვდა, მაგრამ იმდენად გადაღლილი ვიყავი ვერც გავიგე მეძინა თუ გავიღვიძე.
ჩემს ფანჯარას ისევ კაწრავდა რაღაც.
ძლივს გადმოვღოღდი საწოლიდან და ფანჯრისკენ წავედი, გზად ცრემლების შეკავებას ვცდილობდი.
უზარმაზარი შავი ფიგურა, ქანაობდა ფანჯარასთან აქეთ იქით, თითქოს ფანჯრიდან ოთახში შემოხტომას აპირებსო. შეშინებული, უკან გადავხტი, მზად ვიყავი მთელი ძალით დამეკივლა.
ვიქტორია.
მან მომაკითხა.
მკვდარი ვარ.
მაგრამ არა ჩარლისთან ერთად!
დავძლიე შიში რომ არ დამეკივლა. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო. ჩარლი უნდა დავაზღვიო, აქ არ მოვიდეს, რომ შემამოწმოს...
შემდეგ შავმა ფიგურამ ნაცნობი ჩახლეჩილი ხმით დამიძახა.

–ბელა! –ფიგურა გაინძრა –ვაი! ჯანდაბა, ფანჯარა გააღე! ვაი!

ორი წამი დამჭირდა, რომ შიში დამეძლია და მოძრაობაში მოვსულიყავი, შემდეგ უცებ მივედი ფანჯრის გასაღებად. ღრუბლებიდან გამოსული პატარა სინათლე მეყო რომ ფიგურები დამენახა.

–რას აკეთებ? –ვთქვი ძლივს სუნთქვით

ჯეიკობი ძლივს ებღაუჭებოდა ნაძვის კენწეროს, რომელიც ეზოს წინ იზრდებოდა. მისი წონისგან ხე სახლთან იყო დახრილი და ქანაობდა, ის მიწიდან 4 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა. კენწეროს წვრილი ტოტები ტყდებოდნენ

–მე ვცდილობ შევასრულო ჩემი დანაპირები!–ჩახლეჩილად მითხრა, თან წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა.

მე სველი თვალები დავახამხამე და დავრწმუნდი რომ მეძინა.

–როდის შემპირდი, რომ ჩარლის ხიდან ჩამოვარდნით მოიკლავდი თავს?

მან გაიცინა და წინ და უკან ქანავი დაიწყო –გვერძე გაიწი – მიბრძანა მან

–რაა?

ის ისევ აქანავებდა ტოტს ინერციის გასაზრდელად. მე მივხვდი რასაც აპირებდა.

–არა, ჯეიკ!

გვერძე გადახტომა მომიხდა, რადგან ის უკვე გადმოხტა ჩემი ფანჯრისკენ.
მორიგი კივილი წამომაწვა, რადგან მეგონა რომ სასიკვდილოთ დაიმტვრეოდა ან ტოტებისგან დასახიჩრდებოდა. ჩემდა გასაკვირად, ის შემოვარდა ჩემს ფანჯარაში, და ფეხებზე დახტა მცირე ბრახუნით.
ჩვენ ორივემ ავტომატურად კარებს შევხედეთ, სუნთქვის შეკვრით, რომ გაგვეგო ჩარლის ხო მარ გაღვიძებია. რამოდენიმე წამი გავიდა სიჩუმეში და გავიგონედ ჩარლის ხვრინვის ხმა.
ჯეიკობი გაიღიმა. ის თვითკმაყოფილი გამოიყურებოდა. ეს არ იყო ის გაღიმება რომელიც მე ვიცოდი და მიყვარდა – ეს იყო ახალი ღიმილი, რომელიც დასცინოდა მის ძველ გულრწფელობას, ახალ სახეზე რომელიც სემს ეკუთვნოდა.
ეს მეტისმეტია ჩემთვის.
ჩემს თავს ვუყვიროდი, რომ უნდა დამევიწყებია ეს ბიჭი. მისმა უარმა ახალი ჭრილობა გამიხსნა გულში. მან დამიტოვა ახალი კოშმარი, როგორც ინფექცია ჭრილობაში, სისხლმდენი დაშავების შემდეგ. და ეხლა ის ჩემს ოთახში იდგა გაღიმებული, თითქოს არაფერი მომხდარიყო. კიდევ უარესი, იმის მიუხეავად რომ მისი მოსვლა მოუხერხებელი და ხმაურიანი იყო ეს მაინც მახსენებდა იმას თუ

როგორ ძვრებოდა ედვარდი ღამით ჩემს ოთახში ფანჯრიდან, ეს მოგონება ადიზიანებდა ჩემს მოუშუშებელ ჭრილობას. ყველაფერი ეს ერთად და კიდევ ის რომ საშინლად დაღლილი ვიყავი, არ მიქმნიდი მეგობრული მიღების სურვილს.

–გაეთრიე –დავიჩურჩულე რაც შეიძლება მეტი სიბრაზით.

მან თვალები დაახამხამა გაკვირვებისგან.

–არა –შემეწინააღმდეგა ის –მოსაბოდიშებლად მოვედი.

–ბოდიშებს არ ვიღებ!

მე შევეცადე ისევ ფანჯარაში გადამეგდო. თუ ეს სიზმარია, ტკივილს არ მიაყენებს მას. ეს უაზრობა იყო, მე მილიმეტრითაც ვერ დავძარი ადგილიდან. ხელები დავუშვი და უკან გავიწიე. ჯეიკობი მაისურის გარეშე იყო, გარეთ კი საკმაოდ სცივოდა, რომ ფანჯრიდან შემოსული ჰაერისგან ავკანკალებულიყავი. თავი უხერხულად ვიგრძენი ხელები რომ მის მკერდეზე მედო. მისი ტანი ისევე იწვოდა როგორც მაშინ მისი თავი. თითქოს ისევ სიცხე ჰქონდა.
ის არ გამოიყურებოდა ავად. ის უზარმაზარი იყო. ზემოდან დამყურებდა და იმდენად დიდი იყო მის უკან ფანჯარა აღარ ჩანდა. უცებ, მე ვეღარ შევძელი ამ ყველაფრის გაძლება. თითქოს ჩემი ყველა უძილო ღამე ერთად დამატყდა თავს. ისე დავიღალე, მეგონე ეხლავე დავვარდებოდი ძირს. მე წავბორძიკდი და მთელი ძალით შევეცადე თვალები არ დამეხუჭა.

–ბელა? –დაიჩურჩულა ჯეიკობმა პანიკით. იდაყვებში მომკიდა ხელი, როცა ისევ წავბანცალდი და საწოლისკენ წამიყვანა. როგორც კი საწოლთან მივედი ძალა გამოცლილი დავეშვი ზედ.

–კარგად ხარ? –მკითხა ჯეიკობმა, ნერვიულობიდან შუბლშეჯმუხნული.

მე მას შევხედე, ცრემლები კიდევ არ შემშრობოდა თვალებზე. –რატომ ვიქნები ამსამყაროში კარგად, ჯეიკობ?

სიმწარე ტკივილმა შეცვალა მის სახეზე –მართალია –დამეთანხმა ამოხვნეშვით –ჯანდაბა. კარგი... მე მე ძალიან ვნანობ ბელა. –მობოდიშება გულრწფელი იყო, მაგრამ კიდევ მაჯავრებდა მისი ხასიათი.

–რისთვის მოდი? მე არ მჭირდება შენი ბოდიშები, ჯეიკ.

–ვიცი –დაიჩურჩულა მან –მაგრამ არ შემიძლია ყველაფერი ესე დავტოვო, რაც დღეს მოხდა. ეს საშინელება იყო. ძალიან ვწუხვარ.

მე დაღლილად გავაქნიე თავი –არაფერი მესმის.

–ვიცი. მინდა რომ აგიხსნა... –მოულოდნელად გაჩერდა და პირი დააღო თითქოს ჟანგბადი არ ყოფნიდა. შემდეგ დიდზე შეისუნთქა –მაგრამ, მე არ შემიძლია რომ აგიხსნა. –თქვა სიბრაზით –მინდა, მაგრამ არ შემიძლია.

თავი ხელებში ჩავდე. ჩემი კითხვა მიყრუებულად გაისმა ხელებიდან –რატომ?

ის გაჩუმდა ცოტა ხნით. თავი გავაბრუნე რომ მისთვის შემეხედა. მისმა გამომეტყველებამ გამაკვირვა. მას თვალები გაფართოებოდა, კბილები მაგრად ჰქონდა ერთმანეთზე დაჭერილი და შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა.

–რა მოხდა? –ვკითხე მე

მან ამოიხვნეშა და მივხვდი რომ ისიც სუნთქვა შეკრული იყო –მე არ შემიძლია ამის გაკეთება –წყენით წაიბურტყუნა მან.

–რისი?

ჩემს კითხვას იგნორირება გაუკეთა –მისმინე ბელა, შენ გქონია ისეთი საიდუმლო რომლის მოყოლაც არავისთვის შეგეძლო?

ის მიყურებდა გამგებიანი თვალებით და მე, კალენები მომაგონდა. იმედი მქონდა რომ დამნაშავედ არ გამოვიყურებოდი.

–რაღაც, რაც უნდა დაგემალა ჩარლისგან, რენესგან...? რაღაც რასაც არც მე მომიყვები? არც ახლა?

ვიგრძენი როგორ დავავიწროვე თვალები. არ ვპასუხობდი, მაგრამ ვიცოდი რომ, ჩემს დუმილს თანხმობად მიიღებდა.

–შეგიძლია გამიგო, რომ მეც იგივე სიტუაციაში ვარ ეხლა? –ის ისევ დაიძაბა, შესაბამისი სიტყვების ძებნაში –ზოგჯერ, ერთგულება უშლის ხელს იმას რისი გაკეთებაც გინდა. ძოგჯერ ეს არ არის შენი საიდუმლო და შენ არ შეგიძლია რომ ის გათქვა.

არ შემეძლო რომ არ დავთანხმებოდი ამაში. ის მართალი იყო, მე მქონდა საიდუმლო რომელიც მე არ მეკუთვნოდა და არ შემეძლო მისი გამხელა, რომელიც ვალდებული ვარ რომ დავიცვა. საიდუმლო, რომელიც როგორც გაირკვა მან იცოდა.
ისევ ვერ ვხვდებოდი, რა კავშირი ჰქონდა ამას მასთან, სემთან ან ბილისთან. საიდან ეხებოდა ეს მათ როცა კალენები წავიდნენ?

–მე ვერ ვხვდები რატომ მოდი ჯეიკობ, იმიტომ რომ პასუხების ნაცვლად გამოცანები მითხრა?

–ძალიან ვწუხვარ –დაიჩურჩულა მან –ეს ყველაფერი ისე მწყინს.

გარკვეული დროის განმავლობაში, ერთმანეთს მივჩერებოდით სიბნელეში, ჩვენს სახეებზე არ იყო იმედი.

–მე ის მკლავს, რომ შენ უკვე ყველაფერი იცი, მე უკვე ყველაფერი მოგიყევი! –თქვა უცებ.

–რაზე ლაპარაკობ?

ღრმად შეისუნთქა და ჩემსკენ გადმოიხარა. უიმედობა მის სახეზე მოულოდნელმა ენთუზიაზმა შეცვალა. შემდეგ ისევ უიმედოთ მიყურებდა თვალებში, მისი ხმა სწრაფი და მოუთმენელი იყო. პირდაპირ სახეში მელაპარაკებოდა, მისი სუნთქვა ისეთივე ცხელი იყო როგორც მისი კანი.

–მე ვფიქრობ რომ ვიცი გზა, თუ როგორ მიგახვედრო, იმიტომ რომ შენ ყველაფერი იცი, ბელა! მე არ შემიძლია მოგიყვე მაგრამ თუ შენით მიხვდები! შევძლებ რომ ჩავეჭიდო მას!

–გინდა რომ მე მივხვდე? რას მივხვდე?

–ჩემს საიდუმლოს! შენ შეძლებ – შენ იცი პასუხი!

თავი გავაქნიე გამოსაფხიზლებლად. ისე დავიღალე. რასაც მელაპარაკებოდა ვერაფრის აზრს ვერ ვხვდებოდი.
ის მოდუნდა, მაგრამ შემდეგ მისი სახე ისევ დაიძაბა –მოიცა, იქნებ შევძლო რომ ცოტათი დაგეხმარო –თქვა მან. იმის მიუხედავათ თუ რის გაკეთებას აპირებდა, მას ისე ეძნელებოდა ეს, რომ ძლივს სუნთქავდა.

–დამეხმარო? –ვკითხე მე. მთელი ძალით ვაჩერებდი თვალებს რომ არ დამეხუჭა.

–ხო –მითხრა მძიმე სუნთქვით –მინიშნება.

მან, ჩემი სახე მის დიდ, ცხელ ხელებში აიღო და მისკენ ახლოს მიმწია. ის თვალებში მიყურებდა როცა ჩურჩულებდა, თითქოს უნდოდა რომ მისი ნათქვამის ქვეტექსტი გამეგო.

–გახსოვს ჩვენი შეხვედრის პირველი დღე – პლაჟზე, ლა-პუშში?

–რათქმაუნდა მახსოვს.

–მომიყევი მასზე.

დიდზე ამოვიხვნეშე და კონცენტრაციას შევეცადე –შენ მეკითხებოდი ჩემს პიკაპზე...

მან თავი დამიქნია.

–ვლაპარაკობდით ფოლკსვაგენზე.

–გააგრძელე.

–სანაპიროზე ვსეირნობდით... –ჩემი ლოყები, უფრო და უფრო თბილი ხდებოდა მის ხელებში, ის ვერც კი ამჩნევდა რა ცხელი კანი ჰქონდა.
სანაპიროზე გასეირნება ვთხოვე და ვეფლირტავობოდი რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გამეგო.

მან უფრო მეტად განერვიულებულმა თავი დამიქნია.

ჩემი ხმა თითქმის არ ისმოდა –შენ მომიყევი საშიში ისტორიები... კვილეტური ლეგენდები.

მან დახუჭა და შემდეგ გაახილა თვალები –ხო –სიტყვა დაძაბული იყო, თითქოს სიკვდილ სიცოცხლის საზღვარზე იდგა. ის ნელა და გარკვევით ამბობდა ყველა სიტყვას –გახსოვს რაც მოგიყევი მაშინ?

სიბნელეშიც კი შეამჩნევდა რომ სახეზე ფერი დავკარგე. როგორ დავივიწყებდი ამას? ჯეიკობმა მაშინ, არც იცოდა რას აკეთებდა, მითხრა რომ ედვარდი ვამპირე იყო.

ის მიყურებდა თვალებით რომლებმაც ბევრი იცოდნენ –კარგად დაფიქრდი –მითხრა მან.

–კი, მახსოვს –ამოვიხვნეშე მე

მან ძლივს ამოისუნთქა –ყველა ისტორია გახს... –ვერ შეძლო სიტყვა დაემთავრებია, თითქოს ვიღაც ყელში უჭერდა.

–ყველა ისტორია? –ვკითხე მე

მან თავი დამიქნია.

თავბრუ მეხვეოდა. ჩემთვის მხოლოდ ერთი ისტორია იყო მთავარი და სხვებს ვერ ვიხსენებდი, მითუმეტეს ეხლა როცა ესე დაღლილი ვიყავი. თავი გავაქნიე.

ჯეიკობი საწოლიდან წამოხტა. ის შუბლზე მუჭებს ირტყამდა და ჩქარა სუნთქავდა –შენ ეს იცი, შენ ეს იცი –ბურტყუნებდა თავისთვის.

–ჯეიკ? ჯეიკ გთხოვ, მე ძალაგამოცლილი ვარ. ეხლა უვარგისი ვარ. იქნებ დილით...

მან სუნთქვა აღიდგინა და თავი დამიქნია –შეიძლება გაიხსენო. მე მესმის თუ რატომ გახსოვს მხოლოდ ერთი ისტორია –მწარედ მითხრა მან. ისევ საწოლზე დაჯდა –წინააღმდეგი ხო მარ ხარ, კითხვა რომ დაგისვა? მზად ვარ მოვკვდე ამის გასაგებად.

–კითხვა რაზე? –ვკითხე ფრთხილად

–ვამპირების ისტორიაზე, რომელიც მე მოგიყევი.

მე მას მივაჩერდი ძალაგამოლეული, პასუხის გასაცემად. ასე თუ ისე მან დასვა თავისი კითხვა.

–შენ მართლა არ იცოდი? –მკითხა ჩახლეჩილი ხმით –მართლა პირველი ვიყავი ვინც გითხრა, ვინ იყო ის?

საიდან იცოდა? რატომ დაიჯერა ეს ეხლა? კბილები ერთამნეთს დავაჭირე. მე ვუყურებდი მას და არ ვაპირებდი ლაპარაკს. ის ხედავდა ამას.

–ხვდები რასაც ვგულისხმობ, ერთგულებაში? –წაუბურტყუნა უფრო ჩახლეჩილად –ეს იგივე ჩემთვის რაც შენთვის, ოღონდ მე უფრო რთულად მაქვს საქმე, შენ ვერც კი წარმოიდგენ რა დონეზე უნდა შევიკავო თავი...

მე არ მომწონდა ეს ყველაფერი, ამის ყურება? როგორ ხუჭავდა თვალებს, თითქოს რაღაც ტკიოდა როცა ამბობდა რომ თავი უნა შეიკავოს. ეს მეტი იყო ვიდრე უბრალო მტრობა – მე მივხვდი რომ ვერ ვიტან, მეზიზღება ყველაფერი რაც მას ტკივილს ანიჭებს. სემის სახე დაცურავდა ჩემს გონებაში.
ჩემთვის ეს იყო მოხალისეობა, მე ვინახავდი კალენების საიდუმლოს სიყვარულის გამო, ცალმხრივი მაგრამ ნამდვილი სიყვარულის გამო. როგორც ჩანს, ჯეიკობისთვის ყველაფერი სხვაგვარადაა.

–არსებობს რაიმე საშუალება რომ განთავისუფლდე? –მე დავიჩურჩულე და კისერზე, პატარა თმებზე გადავუსვი ხელი. მისმა ხელებმა კანკალი დაიწყეს მაგრამ თვალები არ გაუხელია.
–არა. ეს სამუდამოა. როგორც სასჯელი სიცოცხლის ბოლომდე –მან უღიმღამოდ გაიღიმა –შეიძლება უფრო დიდი ხანიც.

–არა, ჯეიკ –ამოვიკვნესე მე –რომ გავიქცეთ? მხოლოდ შენ და მე. ჩვენ, სემს და სახლს უკან დავტოვებთ.

–მე არ შემიძლია ამისგან გაქცევა, ბელა, -დაიჩურჩულა მან –რომ შემეძლოს, გავიქცეოდი შენთან ერთად. –მან ბეჭები აიჩეჩა და ამოიხვნეშა –მისმინე, უნდა წავიდე.

–რატომ?

–ერთერთი მიზეზი ის არის, რომ შენ ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაკარგო გონება. დასვენება გჭირდება, მე კი მჭირდება რომ გამოიცნო ყველაფერი. შენ ყველაფერს გაარკვევ, უნდა გააკეთო ეს.

–კიდევ რატომ?

მან ჩაიცინა –გამოვიპარე. მე შენ არ უნდა გნახო. ალბათ უკვე ხვდებიან სად ვარ. ვფიქრობ რომ ვალდებული ვარ წავიდე და ვუთხრა ყველაფერი.

–შენ, არაფერზე ხარ ვალდებული –დავიჩურჩულე მე

–მაინც ვეტყვი.

სიბრაზე მომაწვა –ვერ ვიტან მათ!

ჯეიკობმა გაკვირვებული შემომხედა –არა, ბელა. შენ არ უნდა გძულდეს ისინი. ეს სემის ან სხვისი ბრალი არ არის. ხომ გითხარი – ეს მე ვარ. სემი... ძალიან მაგარია. ჯარედი და პოლიც კარგები არიან. ნუ პოლი ცოტა თავისებურია... და ემბრი სულ ჩემი მეგობარი

იყო. აქ არაფერი შეცვლილა – ერთადერთი რამ რაც შეცვლილა... ვნანობ, რომ სემზე ცუდს ვფიქრობდი...

–სემი ძალიან მაგარია – გავიმეორე მე. უნდობლად მივაჩერდი თვალებში, მაგრამ გაგრძელების საშუალება მივეცი. –მაშინ რატომ არ უნდა მნახო?

–ეს საშიშია. –წაიბურტყუნა და თვალი ამარიდა.

მისი სიტყვებისგან დამბურძგლა.

მანაც ხომ არ იცოდა ამაზე? ეს მხოლოდ მე ვიცოდი. მაგრამ ის მართალი იყო – შუაღამე, საუკეთესო დროა ნადირობისთვის. ჯეიკობი არ უნდა იყოს ჩემს ოთახში. თუ ვინმე მომაკითხავს, მარტო უნდა ვიყო.

–თუ მეცოდინებოდა რომ ეს... ძალიან საშიშია –დაიჩურჩულა მან –არ მოვიდოდი, მაგრამ ბელა –მან ისევ შემომხედა –მე შენ დაგპირდი. ვერ წარმოვიდგენდი რომ მისი შესრულება ესე რთული იქნებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ არ შევეცდები ამას.

მან შეამჩნია ჩემი გაურკვეველი სახე –იმ სულელური კინოს შემდეგ, მაშინ დაგპირდი რომ არასდროს მოგაყენებდი ტკივილს... დღეს ჩავფლავდი, არა?

–ვიცი, რომ არ გინდოდა ამის გაკეთება ჯეიკ. ყველაფერი ნორმალურადაა.

–მადლობა ბელა –მან ჩემი ხელი აიღო –მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენს გვერდით ვიყო, როგორც დაგპირდი –მან ჩაიცინა. გაღიმება არ იყო ჩემი, არც სემის, რაღაც უცნაური, ორივეს კომბინაცია. –ამაში ძალინ დამეხმარება ის, თუ ყველაფერს მიხვდები ბელა. მართლა. უბრალოდ დაფიქრდი.

–მოვსინჯავ.

–ვეცდები მალე გნახო –ამოიხვნეშა მან –ისინი კი შეეცდებიან გადამაფიქრებიონ ეს.

–არ მოუსმინო მათ.

–შევეცდები –თავი გააქნიე ისე თითქოს ეჭვი ეპარებოდა წარმატებაში. –როცა ყველაფერს მიხვდები, მოდი და მითხარი –

ეხლა რაღაც მოხდა, რაღაც რამაც ხელები აუკანკალა –თუ შენ... მოისურვებ ამას.

–რატომ არ მომინდება შენი ნახვა?

მისი სახე სასტიკი გახდა. აი ეს სახე ნამდვილად შეეფერებოდა სემს –მე დავფიქრდები მიზეზზე. –თქვა მწარედ –მართლა უნდა წავიდე. შეგიძლია რაღაც გააკეთო ჩემი გულისთვის?

მე მხოლოდ თავი დავუქნიე, შეშინებულმა მისი შეცვლით.

–მაინც, დამირეკე თუ არ მოგინდება ჩემი ნახვა. შემატყობინე ამის შესახებ.

–ეს არ მოხდება...

  მან ხელი ასწია და გამაჩერა –უბრალოდ, გამაგებინე.

ის ფანჯარასთან მივიდა.

–იდიოტი ნუ ხარ ჯეიკ –უკმაყოფილოდ ვთქვი მე –ფეხს მოიტეხავ. კარიდან გადი, ჩარლი ვერ გაიგებს.

–მე არ დავშავდები –წაიბურტყუნა მან, მაგრამ კარისკენ შებრუნდა. ის ყოყმანობდა როცა ჩამიარა, ისეთი სახით მიყურებდა თითქოს დანა ჩასცეს. ვედრებით გამომიწოდა ხელი.
ხელი მოვკიდე, მან უცებ, უხეშად მომქაჩა, საწოლიდან წამომაგდო ისე რომ გულზე მივაფრინდი.

–ყოველ შემთხვევაში –წაიბურტყუნა ჩემს თმებთან. იმდენად მაგრად მიჭერდა კინაღამ დამამტვრია

–ვერ ვსუნთქავ...! –სული მეხუთებოდა.

მან მაშინვე გამიშვა, ცალი ხელი წელზე ეკიდა, რომ არ წავქცეულიყავი. მან შედარებით ნაზად მიბიძგა, უკანვე საწოლზე.

–დაიძინე ბელს. გონებით უნდა იმუშავო. ვიცი რომ შეძლებ. მე მჭირდება შენი გამგებიანობა. მე არ დაგკარგავ ბელა. ამის გამო არა.

ერთი დიდი ნაბიჯით კართან მივიდა. ჩუმად გააღო და გაუჩინარდა. ველოდი, რომ საფეხურების ჭრიალს გავიგონებდი, მაგრამ სიჩუმე იყო.

საწოლზე დავწექი, თავბრუ მეხვეოდა. მე ძალიან გაწვალებული ვიყავი. თვალები დავხუჭე და მონასმენის გაანალიზება დავიწყე, იმდენად უგონო მდგომარეობაში რომ ორიენტაციის უნარი წამერთვა. ეს სიზმარი არ იყო მშვიდი, რომლისკენაც ესე მივისწრაფოდი – რათქმაუნდა, არა. მე ისევ ვიყავი ტყეში, დავდიოდი, ისე როგორც ადრე.
მალევე მივხვდი რომ ეს სხვა სიზმარია, არა ისეთი როგორც ყოველთვის. არ იყო დაკარგვის ან ძიების გრძნობა. მე უბრალოდ დავდიოდი ტყეში, ეს იყო ჩემი ჩვევა აქ. ფაქტიურად ეს სხვა ტყე იყო. სუნი და სინათლე სხვა იყო. იდგა არა ტენიანი ტყის მიწის სუნი არამედ ოკიანის. ცას ვერ ვხედავდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მზე ანათებდა – ფოთლები კენწეროზე მოყვითალო მომწვანონი იყვნენ.
ეს იყო ტყე ლა-პუშის გარშემო, სანაპიროსთან. ამაში დარწმუნებული ვიყავი. ვიცოდი რომ თუ სანაპიროს მოვძებნი, მზეს დავინახავ. ამიტომ ავჩქარდი, ტალღების მცირე ხმაურის გაგონებისას.
შემდეგ გამოჩნდა ჯეიკობი. ხელში მწვდა და წამათრია ტყის ყველაზე ბნელი ნაწილისკენ.

–ჯეიკ, რა მოხდა? –ვკითხე მე. მისი სახე პატარა შეშინებული ბიჭის სახეს გავდა და მისი თმები ისევ გრძელი და ლამაზი იყო, უკნ შეკრული. ის მთელი ძალით მიმექაჩებოდა, მაგრამ მე ვეწინააღმდეგებოდი. მე არ მინდოდა სიბნელეში წასვლა.

–გაიქეცი ბელა, უნდა გაიქცე! –შეშინებულმა დაიჩურჩულა.

მოულოდნელი ტალღა, დეჟა-ვიუსი იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის გამომეღვიძა.
ეხლა მივხვდი თუ რატომ ვიცანი ეს ადგილი. მე ვიყავი აქ, სხვა სიზმარში, ადრე. მილიონი წლის უკან, სხვა ცხოვრებაში. ეს იყო სიზმარი რომელიც ჯეიკობთან სანაპიროზე გასეირნების შემდეგ დამესიზმრა. პირველ ღამეს, როცა გავიგე, რომ ედვარდი ვამპირია. როგორც ჩანს, ჯეიკობთან ამ დღის ისევ გადატანის შემდეგ წამოიშალნენ ჩემი, ღრმად ჩამარხული მოგონებები.
მე ამ სიზმარს გამოვეთიშე და მის დასასრულს ველოდი. შუქი სანაპიროს მხრიდან მოდიოდა. ხლა ედვარდი უნდა გამოსულიყო ხეებიდან, მისი კანი უნდა გაბრწყინებულიყო, მას შავი, საშიში თვალები ექნებოდა. ის დამიძახებდა და გაიღიმებდა. ის ანგელოზივით ლამაზი იქნებოდა და, ბრიტვასავით მჭრელი კბილები ექნებოდა.
მაგრამ მე მოვლენებს გავასწარი. თავიდან კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო.

ჯეიკობმა ხელი გამიშვა და სლუკუნი დაიწყო. ქანავით და კრუნჩხვით, ჩემს ფეხებთან დაეცა.

–ჯეიკობ! –დავიყვირე, მაგრამ ის უკვე აღარ იყო.

მის ადგილზე იწვა დიდი ყავისფერი მგელი, შავი და ჭკვიანი თვალებით.

სიზმარმა გზიდან გადაუხვია, როგორც ლიანდაგებს აშორებული მატარებელი.
ეს არ იყო ის მგელი რომელზეც სხვა ცხოვრებაში ვოცნებობდი. ის იყო დიდი ყავისფერი მგელი, წინა კვირაში, მდელოზე, მე რამოდენიმე სანტიმეტრში ვიდექი მისგან. ეს მგელი იყო გიგანტური, საშინელი, დათვზე დიდიც კი.
ეს მგელი დაჟინებით მიყურებდა და ცდილობდა რაღაცის თქმას მისი ჭკვიანი თვალებით. ნაცნობი, შავი, ჯეიკობ ბლეკის თვალებით. მე ჩემმა კივილმა გამაღვიძა.
დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩარლი შემოვიდოდა შესამოწმებლად, რადგან ადრე ესე არ ვყვიროდი. თავი ბალიშში ჩავრგე, რომ ისტერიკა ჩამეჩუმებინა. თავზე გადასაფარებელი წამოვიფარე, და გავიფიქრე – შემიძლია სამუდამოდ გავწყვიტო კავშირი, როგორც ეხლა გავაკეთე?
ჩარლი არ შემოვიდა და მე როგორც იქნა გავაჩუმე უცნაური ხმა რომელიც ამომდიოდა.
ეხლა ყველაფერი გავიხსენე – თითოელუ სიტყვა, რაც ჯეიკობმა მითხრა იმ დღეს სანაპიროზე, ამბის პირველი ნაწილიც სანამ "ცივებზე" ისტორიას მოყვებოდა. განსაკუთრებით პირველი ნაწილი:

–გაგიგია ჩვენი ძველი ისტორიები, თუ საიდან მოვედით ჩვენ – კვილეტებს ვგულისხმობ? –მკითხა მან.

–არა –გამოვტყდი მე

–არის ბევრი ლეგენდა, რომელთა ნაწილიც საქვეყნო წყალდიდობის დროიდან მოდის, როცა კვილეტები თოკებით, ყველაზე მაღალი ხეების კენწეროზე მიებნენ რადგან გადარჩენილიყვნენ როგორც ნოე და მისი კიდობანი. –მაშინ მან გამიღიმა იმის ჩვენებით რომ არ სჯერა ამ ლეგენდების. –მეორე ლეგენდა მოგვითხრობს რომ ჩვენ მგლების შთამომავლები ვართ და რომ მგლები დღესაც ჩვენი ძმები არიან. მოკლა მგელი ნიშნავს რომ ტომის წესების წინააღმდეგ წახვიდე. კიდევ არის ისტორია "ცივებზე" –მისი ხმა უფრო ჩუმი გახდა.

–ცივები?

–ხო, ზოგიერთი ამბავი მათზე, ძალიან ძველია, ზოგიერთი კი ეხლა გაჩნდა. ლეგენდის მიხედვით ჩემი დიდი ბაბუა იცნობდა მათ. მან მათთან დადო ზავი რომ ისინი შორს იქნებოდნენ ჩვენი მიწისგან. – ჯეიკობმა თვალები გადაატრიალა.

–შენი დიდი ბაბუა?

–ის ტომის უხუცესი იყო, როგორც მამაჩემია. ცივები, მგლების მოსისხლე მტრები არიან, არა ჩვეულებრივი მგლების, არამედ მათი ვინც ადამიანად იქცევა, თქვენ მათ მაქციებს ეძახით.

–მაქციებს, მტრები ჰყავთ?

–მხოლოდ ერთი.

ყელში რაღაც გამეჩხირა, რაც მახრჩობდა. მისი გადმოფურთხება მინდოდა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა, მაშინ მე ის ვთქვი:

–მაქცია –მე ვიგუდებოდი.

ეს იყო სიტყვაა, რომელიც მახრჩობდა.
მთელი სამყარო გაინძრა, გადავიდა თავისი ღერძიდან.
რა ადგილი იყო ეს? შეიძლებოდა არსებულიყო სამყარო, სადაც პატარა ქალაქებში, ცოცხლდება ძველი ლეგენდების მონსტრები? ნიშნავდა ეს იმას, რომ ყველა ზღაპარი სიმართლეზე იყო დაფუძნებული? იყო იქ რამე აზრიანი და ნორმალური, თუ ეს ყველაფერი ჯადოქრობაა?
თავზე ხელები მოვიჭირე, რომ არ გამსკდომოდა.
წყნარმა ხმამ, ჩემს გონებაში მკითხა, იყო თუ არა ეს დიდი აღმოჩენა. მე უკვე დიდი ხნის წინ მივიღე ის ფაქტი, რომ ვამპირები არსებობენ – და ყველანაირი ისტერიკის გარეშე?
მე ყვირილი მომინდა. ნუთუ ერთი მითი არ არის საკმარისი, არ არის საკმარისი ერთხელ ცხოვრებაში?
გარდა ამისა, არ ყოფილა ის მომენტი, რომ მე ეჭვი შემპარვოდა ედვარდ კალენის არაორდინალურობაში. არ იყო გასაკვირი გამეგო თუ ვინ იყო ის, რადგან მაინც ნათელი იყო, რომ ის ვიღაც იყო.
მაგრამ, ჯეიკობი? ჯეიკობი რომელიც მხოლოდ ჯეიკობი იყო და არა კიდევ სხვა რამ? ჯეიკობი, ჩემი მეგობარი? ჯეიკობი, ადამიანი, რომელსაც შემეძლო რომ შევხებოდი...
და ის ადამიანიც არ არის.
მე ვებრძოდი დაყვირების სურვილს.
რას მეუბნებოდა ეს?

მე ვიცოდი პასუხი. ეს მეუბნებოდა იმას, რომ რაღაც მჭირს. აბა, რატომ იყო ჩემი ცხოვრება სავსე საშინელებათა ფილმების გმირებით? რატომ ვზრუნავ მათთვის, ვიგლეჯ გულს, როცა ისინი უკვე წავიდნენ თავიანთ მითიურ მხარეებში?
ჩემს თავში ყველაფერი ტრიალებდა, ირეოდა, ისე რომ რაღაცეები რაც ადრე ერთ რამეს ნიშნავდა ეხლა სულ სხვა რაღაც გამოდიოდა. არ იყო არანაირი სექტა, არანაირი ბანდა, არც არასდროს ყოფილა. ყველაფერი უარესადაა, ეს იყო ხროვა.
ხუთი გიგანტური, განსხვავებული მაქციების ხროვა, რომლებიც ედვარდის მდელოზე გამომყვნენ...
უცებ გამოვცოცხლდი. საათს დავხედე, ძალიან ადრე იყო, მაგრამ ეს არ მაღელვებდა. სასწრაფოდ ლა-პუშში უნდა წავიდე, ჯეიკობი უნდა ვნახო, მითხრას რომ მთლად არ დამიკარგავს აზროვნება.
რაც პირველად მომხვდა ხელში ის ჩავიცვი, არც დავკვირვებივარ უხდება თუ არა ისინი ერთმანეთს. ორ ორ საფეხურს ვახტებოდი კიბეზე. თითქმის შევეჯახე ჩარლის, როცა მისაღებში გავდიოდი.

–სად მიდიხარ? –მკითხა ისეთივე გაკვირვებით, როგორი გაკვირვებულიც ვიყავი მე მისი აქ ყოფნით. –იცი რა დროა?

–კი. მე ჯეიკობი უნდა ვნახო.

–მე მეგონა, რომ სემის ნათქვამი...

–ამას არა აქვს მნიშვნელობა, სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო მას.

–ჯერ ძალიან ადრეა –ის შეიჯმუხნა რადგან ჩემი გამომეტყველება არ შეცვლილა. –საუზმე არ გინდა?

–არ მშია –სიტყვები პირიდან გამოფრინდნენ. ჩარლიმ გასასვლელი გადამიკეტა. ვფიქრობდი როგორ დავძვრენოდი და გავქცეულიყავი, მაგრამ შემდეგ მაინც მომიწევს ყველაფრის ახსნა –მალე დავბრუნდები, კარგი?

ჩარლი შეიჯმუხნა –პირდაპირ სახლში ჯეიკობთან, კარგი? არანაირი გაჩერებები გზაში?

–რათქმაუნდა, სხვაგან სად უნდა გავჩერდე? –ჩემი სიტყვები ისევ მოფრინავდნენ.

–არ ვიცი –თქვა მან –უბრალოდ...კარგი, კიდევ ერთი თავდასხმა იყო – ისევ მგლები. ეს გზასთან ძალიან ახლოს მოხდა, ამჯერად მოწმეებიც არიან. დაზარალებული, გზიდან რამოდენიმე მეტრში

იმყოფებოდა რომ გაქრა. მისმა მეუღლემ დაინახა რუხი მგელი, როცა ქმარს ეძებდა და საშველად გამოიქცა.
მუცელი დამიტრიალდა, თითქოს ამერიკულ გორებზე ვიჯექი. –მას, მგელი დაესხა თავს?

–მტკიცებულებები არ არის, მხოლოდ ცოტა სისხლი. –ჩარლის სახეზე ტკივილი იყო. –რეინჯერები შეიარაღდნენ. ბევრმა მონადირემ გამოთქვა, დახმარების სურვილი – პრიზი დაწესდა ვინც მგელს მოკლავს. ბევრი სროლა იქნება ტყეში, და ეს ძალიან მანერვიულებს –მან თავი გააქნია –როცა ხალხი აღგზნებულია, ბევრი უბედური შემთხვევა ხდება.

–ისინი მგლებზე სროლას აპირებენ? –ჩემმა ხმამ საგრძნობლად აიწია.

–სხვა რისი გაკეთება შეგვიძლია? რა მოხდა? –მკითხა მან, მისი დაძაბული თვალები აკვირდებოდნენ ჩემს სახეს. მე სისუსტე ვიგრძენი და ჩვეულებრივზე მეტად გავთეთრდი. –ჩემი გულისთვის პანიკაში არ ჩავარდები, ხომ?

მე პასუხი ვერ გავეცი. აქ რომ არ ყოფილიყო, თავზე ვიტაცებდი ხელებს. მე გამახსენდა დაკარგული ტურისტები, სისხლიანი თათების ნაკვალევი... ეს ფაქტები ჩემს აღმოჩენას დავუკავშირე.

–მისმინე ძვირფასო, არ ინერვიულო. უბრალოდ ქალაქში იყავი და გზად არ გაჩერდე – კარგი?

–კარგი –გავიმეორე სუსტი ხმით.

–უნდა წავიდე.

მე პირველად შევხედე მას ახლოდან. ბეჭზე თოფი კადაეკიდა და სალაშქრო ჩექმები ეცვა.

–შენ მგლებისთვის არ მიდიხარ ხომ, მამა?

–უნდა დავეხმარო, ბელს. ხალხი იკარგება.

ჩემი ხმა ისტერიკული გახდა

–არა! არ წახვიდე. ეს ძალიან საშიშია!

–მე უნდა შევასრულო ჩემი სამუშაო, პატარავ. ნუ იქნები ესეთი პესიმისტი – მე არაფერი მომივა –ის კარისკენ მიბრუნდა და გააღო –მოდიხარ?
მე ვყოყმანობდი. ჩემი მუცელი ისევ ტრიალებდა. რა ვუთხრა რომ დარჩეს? თავბრუ მეხვეოდა და გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი.

–ბელს?

–იქნებ, ჯერ ძალიან ადრეა ლა-პუშში წასვლა -დავიჩურჩულე მე.

–გეთანხმები –მითხრა მან და წვიმაში გავიდა.

როგორც კი თვალს მიეფარა, თავი მუხლებში ჩავდე.
უნდა გავყვე ჩარლის? რა ვუთხრა?
და ჯეიკობს რა მოუვა? ჯეიკობი ჩემი საუკეთესო მეგობარია. უნდა გავაფრთხილო. თუ ის ნამდვილად – მე კბილები დავაჭირე ართმანეთს, და დავაძალე თავს ეს სიტყვა – მაქცია – მეთქვა. ხალხი მას ესვრის! მე უნდა ვუთხარ მას და მის მეგობრებს, რომ ხალხი მოკლავთ მათ, თუ გიგანტური მგლების სახით იქნებიან. უნდა შევაჩერო ისინი.
ისინი უნდა გაჩერდნენ! ჩარლი იქ, ტყეშია. დამიჯერებენ ისინი? ვეკითხებოდი ჩემს თავს... აქამდე მხოლოდ უცნობები იკარგებოდნენ. ნიშნავდა ეს რამეს, თუ უბრალო შემთხვევა იყო?
ვიმედოვნებდი, რომ ჯეიკობი მაინც გამიგონებს.
ყველანაირი გზით, უნდა გავაფრთხილო.
თუ... ჩემი თავი?
ჯეიკობი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, მაგრამ იყო ის ამავდროულად მონსტრი? რეალური? ცუდი? უნდა გავაფრთხილოთუ არა ის და მისი მეგობრები თუ ისინი არიან...არიან მკვლელები?! თუ ისინი ცივსისხლიანად კლავდნენ უდანაშაულო ხალხს? თუ ისინი საშინელებათა ფილმების, ნამდვილი გმირები იყვნენ, მაშინ არასწორი იქნება მათი დაცვა?
მე ვადარებდი ჯეიკობს და მის მეგობრებს, კალენებს. ხელები მოვიჭირე, ტკივილთან ბრძოლაში რომელიც მათზე ფიქრის დროს გაჩნდა.
მე არაფერი ვიცოდი მაქციებზე. მე ველოდი, რაღაცას მსგავსს ფილმებიდა, ნახევრად ადამიანები და ამის მსგავსები. არ ვიცოდი რამ აიძულა ისინი, რომ ენადირათ, შიმშილმა თუ წყურვილმა, თუ მხოლოდ მოკვლის სურვილმა.
ძნელი იყო განსჯა როცა არაფერი ვიცოდი.
მაგრამ ეს ვერ იქნებოდა იმაზე უარესი, რასაც კალენები უძლებდნენ, რომ ნორმალურები ყოფილიყვნენ. მე გავიფიქრე ესმიზე, ავტირდი როცა წარმოვიდგინე მისი მშვენიერი, კეთილი სახე – და ასევე, დედობრივი სიყვარულით, როგორ იჭერდა ცხვირზე ხელს და

გარბოდა როცა სისხლი მომდიოდა. მე მომაგონდა კარლაილი, ასწლეულები ასწლეულებზე, ის ცდილობდა რომ სისხლს გადაჩვეოდა, რადგან გადაერჩინა ხალხის სიცოცხლე ექიმობით. ვერაფერი იქნებოდა ამაზე რთული.
მაქციებმა სხვა გზა აირჩიეს. როგორ მოვიქცე?

თავი მეცამეტე

მკვლელი

ოღონდ ჯეიკობი არა, ვფიქრობდი, ლა-პუშის გზაზე.
ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, სწორად ვიქცეოდი თუ არა, მაგრამ მე მოვნახე კომპრომისი სინდისთან.
ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ ჯეიკობი თავის მეგობრებთან ერთად, რაიმე საშინელებას ჩადიოდა.
ეხლა მივხვდი თუ რას გულისხმობდა. გუშინ ღამით როცა მითხრა, რომ შეიძლება აღარ მოვისურვო მისი ნახვა და თუ ესე იქნება უნდა დავურეკო. მაგრამ მე შევშინდი. აუცილებლად მჭირდება, რომ დაველაპარაკო პირისპირ. პირში ვეტყოდი, რომ არ შემიძლია თვალდახუჭული ვუყურო იმას, რაც გარშემო ხდება. მე არ შემიძლია ვიმეგობრო მკვლელთან, ჩუმად ვიყო ამაზე და უფლება მივცე ისევ გაგრძელდეს მკვლელობები... მაშინ, მეც მონსტრად ვიქცევი.
მაგრამ მე არ შემიძლია ყველაფერი ისე დავტოვო როგორც არის, მე ვნერვიულობ მასზე. ყველაფერი უნდა გავაკეთო მის დასაცავად.
პირი მაგრად მოვკუმე და ბლეკების სახლის წინ გავჩერდი. ისიც მეყოფა, რომ ჩემი მეგობარი მაქცია აღმოჩნდა, ეხლა აუცილებელია რომ მონსტრიც იყოს?
სახლი ჩაბნელებული ჩანდა, სინათლეები არ ენთო, მაგრამ არ მაღელვებს, რომ შეიძლება გავაღვიძო ისინი. მოულოდნელი სიბრაზითა და ძალით დავაკაკუნე კარზე.

–მობრძანდით –წუთის შემდეგ გაისმა ბილის პასუხი და ფანჯარაში შუქი აინთო.

სახელური ჩამოვწიე, კარი ღია იყო. ბილის, ბეჭებზე ხალათი ჰქონდა მოხურული. თავის სავარძელში ჩაჯდომაც ვერ მოესწრო. როცა დამინახა გაკვირვებისგან თავლები გაუფართოვდა, მაგრამ შემდეგ მშვიდი სახე მიიღო.

–დილამშვიდობისა, ბელა. რამ მოგიყვანა ამ დილაუთენია?

–გამარჯობა, ბილი. ჯეიკობს უნდა დაველაპარაკო – სად არის?

–ჰმმ, მართალი გითხრა არ ვიცი – მოიტყუა, შეუპოვარი სახით.

–იცი, რას აკეთებს ჩარლი დღეს დილიდანვე? –ვკითხე, დაღლილმა მისი ტყუილებით.

–უნდა ვიცოდე?

–ის და ნახევარი ქალაქის კაცები ტყეში არიან, შეიარაღებულები, დიდ მგლებზე სანადიროდ.

ბილის თაველბში რაღაცამ გაიელვა, მაგრამ მალევე აიყვანა თავი ხელში.

–ამიტომ უნდა დაველაპარაკო ჯეიკობს, თუ წინააღმდეგი არ ხარ – გავაგრძელე მე

ბილიმ მოკუმა თავისი დიდი ტუჩები –მას ჯერ კიდევ სძინავს – როგორც იქნა მითხრა და დერეფნის ბოლოს, პატარა კარზე მიმითითა. –ბოლო დროს გვიან დგება, ბიჭს დასვენება სჭირდება. არ ღირს მისი გაღვიძება.

–ჩემი გადასაწყვეტია –წავიბურტყუნე მე და ოთახისკენ წავედი. ბილიმ ამოიოხრა.

ჯეიკობის ოთახი პატარა სათავსოს უფრო ჰგავდა, უბრალოდ შესასვლელი კარით. არც მიცდია დაკაკუნება. კარს სწრაფად ვკარი ხელი და კედელზე მივაჯახუნე.
ჯეიკობი – შავ სვიტერში და დახეულ ჯინსებში, როგორც ღამით იყო ჩემთან – გათხლარშულიყო დიდ ლოგინზე, რომელიც თითქმის მთელს ოთახს იკავებდა. ის დიაგონალზე გაწოლილიც არ ეტეოდა მასზე, თავი და ფეხები სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა გადაგდებული. მას ღრმად ეძინა, პირღია და ცოტას ხვრინავდა. კარის ხმამ არც შეაფხიზლა.
ძილში მისი სახე მშვიდი იყო, გაქრა სიბრაზის ყველა ნაოჭი. თვალებ ქვეშ შავი წრეები ჰქონდა, ადრე არ შემიმჩნევია ეს. მიუხედავად მისი ზომისა, ეხლა პატარა, დაღლილ ბიჭს წააგავდა. ჩემში სუბრალულმა გაიღვიძა.
უკან დავიხიე და ჩუმათ გამოვიხურე კარი.
ბილი ფრთხილად ადევნებდა თვალს ჩემს ნელ ნაბიჯებს მისაღებში.

–ვფიქრობ, რომ მართლა სჭირდება გამოძინება.

ბილიმ თავი დამიქნია, შემდეგ რამოდენიმე წუთი ერთმანეთს ვუყურებდით. ძალიან მინდოდა მეკითხა თუ რამხელა იყო მისი როლი ამ ყველაფერში.
რას ფიქრობს იმაზე, თუ ვინ გახდა მისი შვილი? მაგრამ მე ვიცოდი თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას სემთან, ამიტომ ვიფიქრე რომ მკვლელობა დიდად არ აღელვებდა მას.
ვხედავდი თუ რამდენი კითხვა იყო მის შავ თვალებში, მაგრამ ის არ აპირებდა მათ დასმას.

–მისმინეთ –როგორც იქნა დავარღვიე სუჩუმე –ცოტა ხნით სანაპიროზე წავალ. როცა გამოიღვიძებს უთხარით, რომ იქ ველოდები, კარგით?

–რათქმაუნდა –დამეთანხმა ბილი.

ვფიქრობდი, გადასცემდა თუ არა ბილი ჩემს დანაბარებს ჯეიკობს? თუ არ გადასცემს და ისევ მივალ, ხომ?
მთავარ სანაპირომდე მივედი და მანქაქნა ცარიელ სადგომზე გავაჩერე. ღრუბელი იყო და ბნელოდა – ჯერ არ გათენებულა – ფარები რომ გამოვრთე საერთოდ აღარაფერი ჩანდა. თვალებს დრო მივეცი, რომ სიბნელეს შევჩვეოდი, სანაპირომდე ბილიკი უნდა მომეძებნა. აქ ცოტა მეტად სციოდა, სანაპიროდან სღვის გრილი ჰაერი უბერავდა და ჩემი ზამთრის კურტკის ჯიბეებში კარგად ჩავიდე ხელები. როგორც იქნა, წვიმამ გადაიღო.
სანაპიროზე ჩავედი. წმინდა ჯეიმსის და სხვა კნძულები არ ჩანდა, მხოლოდ ბნელი ჩრდილები. ფეხებზე ყურადღებით ვიყურებოდი გზაში რომ რამეს არ წამოვდებოდი.
ვნახე ის რასაც ვეძემდი, მანამ სანამ გადავწყვეტდი რას ვეძებდი ზუსტად. მისი ფიგურა ბინდში მოჩანდა, როცა რამოდენიმე ნაბიჯი გადავდგი: გრძელი და თეთრი ხე, ზღვის ამოტანილი ნაპირზე. მისი ტოტები ზემოთ და ზღვისკენ იყო მიმართული როგორც პატარა საცეცები. დარწმუნებული არ ვიყავი, იყო თუ არა ეს ზუსტად ის ხე, რომელზეც მე და ჯეიკობი ვიჯექით ჩვენი პირველი საუბრისას. საუბარი რომელიც ძალზე არეულად იწყებოდა და ჩემს სიცოცხლეს ეხებოდა, ისეთივე არეულს. მომეჩვენა რომ ეს ის ადგილი იყო, ამიტომ ჩამოვჯექი როგორაც მაშინ და უჩინარ, ზღვის ჰორიზონტს გავხედე.
კმაროდა, რომ დამენახა ჯეიკობი ესეთი დაუცველი და ძალაგამოცლილი, რომ ჩემი სიბრაზე ისე გაქრა თითქოს არც ყოფილა. მე მაინც არ ვაპირებდი ყველაფერზე თვალის დახუჭვას, როგორც ბილი, მაგრამ ჯეიკობის განსჯაც არ შემეძლო. ვიცოდი,

რომ სიყვარული აქ არ დამეხმარება. თუ ადამიანი შეგიყვარდება, მასზე ვეღარ ფიქრობ სამართლიანად. ჯეიკობი კი ჩემი მეგობარი იყო, იმისდა მიუხედავად კლავდა თუ არა ხალხს. და ვიცოდი, თუ რა უნდა მომეხერხებია ამისთვის.
როცა ისევ წარმოვიდგინე თუ როგორ ეძინა, ისევ გამიჩნდა მისი დაცვის სურვილი. ნამდვილი უაზრობაა.
ვფიქრობდი მის მშვიდ გამომეტყველებაზე და ვცდილობდი სწორი გადაწყვეტილება მიმეღო, მის დასაცავად, აზრიანი იქნებოდა ეს თუ არა. ესე ვიჯექი სანამ არ შეთენდა.

–პრივეტ, ბელა.

სიბნელეში, ჯეიკობის ხმამ უცებ შემაშინა. ის რბილი და მორიდებული იყო, მაგრამ მე უფრო ბრაზიანს ველოდი. მე ვხედავდი მის ფიგურას ამომავალი მზის სხივებში, ეს არაჩვეულებრივი სანახავი იყო.

–ჯეიკ?

ის რამოდენიმე ნაბიჯში გაჩერდა ჩემგან.

–ბილიმ მითხრა რომ მოსული იყავი. დიდი ხანი ხომ არ გალოდინე? ესეც ვიცოდი, რომ ყველაფერს მიხვდებოდი.

–ხო, მე გამახსენდა ის ისტორია –დავიჩურჩულე მე

მცირეხნიანი სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტათი კიდევ ბნელოდა რომ ირგვლივ ყველაფრი დამენახა, მთელ ტანში მბურძგლავდა, თითქოს ის ჩემს სახეს სინჯავდა თვალებით. როგორც ჩანს მისთვის საკმარისი სინათლე იყო, რომ ჩემი გამომეტყველება დაენახა, ამიტომ როცა ისევ დაილაპარაკა მისი ტონი ცოტათი მწარე იყო.

–შეგეძლო, რომ დაგერეკა –მითხრა უხეშად

თავი დავუქნიე –ვიცი

ჯეიკობი კლდეების მხარეს წავიდა. ყური კარგად რომ დამეგდი, გავიგონებდი მისი ჰაეროვანი ნაბიჯების ხმას. ჩემი ნაბიჯების ქვეშ კი ქვები საშინლად იხმაურებდა.

–რისთვის მოდი? –მკითხა და ისევ გაბრაზებული გააგრძელა სიარული.

–ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნება თუ პირისპირ დაველაპარაკებით ერთამანეთს

მან ჩაიცინა –ხო, რათქმაუნდა, უკეთესი.

–ჯეიკობ უნდა გაგაფრთხილო რომ...

–რეინჯერებზე და მონადირეებზე? არ ინერვიულო. უკვე ვიცით.

–არ ვინერვიულო? –ყურებს არ ვუჯერებდი –ჯეიკობ ისინი შეიარაღებულები არიან! მახეები დააგეს და დააჯილდოვებენ იმას ვინც დაიჭერს და...

–ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს თავს –დაიყვირა ისევ სიარულში –ისინი ვერავის დაიჭერენ, მხოლოდ უფრო გაართულებენ ყველაფერს და მალე თვითონაც დაიკარგებიან.

–ჯეიკ! –დავიჩურჩულე მე

–ხო, რა? ეს სიმართლეა.

ჩემი ხმა ზიზღისგან გაწყდა –როგორ შეგიძლია... როგორ შეგიძლია ესე ილაპარაკო? შენ ხომ იცნობ იმ ხალხს. და ჩარლი მათ შორისაა! –ამ აზრისგან მუცელში ყველაფერი დამიტრიალდა.

ის გაქვავებულივით გაჩერდა –სხვა რა გზა გვაქვს? –შემეწინააღმდეგა ის.

მზემ გააფერადა ჩვენს ზემოთ ცა, ვერცხლისფერ-ვარდისფერ ფერებში. ეხლა შემეძლო დამენახა მისი გამომეტყველება. ის ბრაზიანი, იმედგაცრუებული და მოტყუებული გამოიყურებოდა.

–შენ შეგეძლო... გეცადა, რომ არ ყოფილიყავი...მაქცია? –ვკითხე ჩურჩულით

მან ხელები ზემოთ აღაპყრო –თითქოს მქონდეს არჩევანი! –დაიღრიალა მან –და რითი დაეხმარება ეს იმას, თუ ნამდვილად ღელავ შენ იმ დაკარგულ ხალხზე?

–შენი არ მესმის.

მან შემომხედა, თვალები დააწვრილა და დაიღრინა –იცი ყველაზე მეტად რას გადავყავარ ჭკუიდან?

მე შემაკანკალა, მისი გამომეტყველებიდან ჩანდა რომ ჩემს პასუხს ელოდა ამიტომ თავი უარყოფითად გავაქნიე.

–შენ ისეთი ცბიერი ხარ ბელა – შენ ზიხარ აქ ჩემთან ერთად, მაგრამ მე შენში მხოლოდ სიძულვილს ვიწვევ! ეს სამართლიანია? – მან ხელები ჰაერში ააკანკალა.

–ცბიერი?! შიში მონსტრის წინაშე მე ცბიერს მხდის?

–ოჰ! –ამოიკვნესა მან, აკანკლებული ხელები საფეთქლებზე მიიჭირა და თვალები დახუჭა –შენ იცი ეხლა რა თქვი?

–რა?

ის კიდევ ორი ნაბიჯით მომიახლოვდა, თავზე დამადგა და უტეხად შემომხედა –ძალიან ვწუხვარ რომ არ შემიძლია, ის შენი მართალი მონსტრი გავხდე, ბელა. როგორც ვხედავ იმ სისხლსიმწოველივით კარგი არ ვარ, ხომ?!

ფეხზე წამოვხტი –არა, და ვერც ვერასდროს იქნები! –დავიყვირე მე –იდიოტო!

–რას გულისხმობ? –დაიღრიალა მან, მთელი ტანი ნერვიულობიდან უკანკალებდა.

გაურკვევლობაში აღმოვჩნდი, როცა ედვარდის ხმა გაისმა –ფრთხილად იყავი, ბელა -გამაფრთხილა მისმა ბარხატივით ხმამ –ნუ გააღიზიანებ ესე ძალიან. ეხლა უკეთესია, რომ დაამშვიდო.

ხმაც ჩემს გონებაში, უაზრობას მეუბნებოდა.
მაგრამ მე დავუჯერე მას. ამ ხმისთვის, ყველფერს გავაკეთებ.

–ჯეიკობ –შეეეედრე, რაც შეიძლება რბილად. –თქვენ რა აუცილებლად უნდა მოკლათ ხალხი, ჯეიკობ? ნუთუ სხვა გზა არ არსებობს? თუ ვამპირები ცხოვრობენ ისე რომ ხალხს არ კლავენ, შენ არ შეგიძლია ამას შეეცადო?

ის უცებ გამოცოცხლდა, თითქოს დენმა დაარტყა. წარბები მაღლა ასწია და გაკვირვებისგან დაქაჩა თვალები.

–ხალხის მოკვლა? –მკითხა მან

–აბა შენი აზრით, რაზე ვლაპარაკობთ ეხლა?

მან კანკალი შეწყვიტა და ისე შემომხედა თითქოს ყურებს არ უჯერებდა –მე მეგონა, რომ ჩვენ, შენს მაქციების მიმართ სიძულვილზე ვლაპარაკობდით.

–არა, ჯეიკ, არა. ეს იმის გამო არ არის, რომ შენ... მგელი ხარ. ეს კარგიც კია. –დავარწმუნე მე და ეს ყველაფრი მართლა სიმართლე იყო. მიუხედავად იმისა რომ ის დიდ მგლად იქცეოდა ის მაინც ჩემი ჯეიკობად რჩებოდა. –თუ შენ მონახავ გზას, რომ არ მიაყენო ხალხს ზიანი... ეს ყველზე მეტად მწყინს. ისინი ხომ უდანაშაულონი არიან, ჯეიკ, ისეთები როგორიც ჩარლი, და მე ვერ ვხედავ ჩვენს შორის სხვა გამოსავალს სანამ შენ...

–და, მხოლოდ ეს არის? მართლა? –შემაწყვეტინა და დიდზე გაიღიმა –შენ მხოლო იმიტომ შეშინდი, რომ მე მკვლელი ვარ? მხოლოდ ამის გამო?

–რა, ეს საკმარისი არ არის?

მან გაიცინა.

–ეს სულაც არ არის სასაცილო, ჯეიკობ ბლეკ!

–რათქმაუნდა, რათქმაუნდა –დამეთანხმა ისევ სიცილით.

ერთ ნაბიჯში ჩემთან გაჩნდა, დამიჭირა და თავისი დათვის ხელებით ჩამიხუტა.

–შენ მართლა არ ხარ იმის წინააღმდეგი, რომ უზარმაზარი ძაღლი ვხდები? –მკითხა მან, მისმა მხიარულმა ხმამ ყურში ჩამყვირა.

–არა –მე ვიგუდებოდი –მე...ვერ...ვსუნთქავ...ჯეიკ!

მან გამიშვა და ჩემი ხელი აიღო –მე მკვლელი არ ვარ, ბელა.

მე ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს და მასზე ეწერა რომ ეს მართალი იყო. შვების ტალღა წამოვიდა ჩემში.

–მართლა? –ვკითხე მე

–მართლა –საზეიმოდ გამომიცხადა მან.

მე მაგრად ჩავეხუტე. ამან, ჩვენი პირველი საღამო გამახსენა, როცა მოტოციკლეტებით ვსეირნობდით – ის ჩემზე დიდი და ძლიერი იყო და მე თავს პატარა ბავშვად ვგრძნობდი.

ისევე როგორც მაშინ თავზე გადამისვა ხელი.

–მაპატიე, რომ ცბიერი გიწოდე –მოიბოდიშა მან

–მაპატიე, რომ მკვლელი გიწოდე.

მან გაიცინა.

უცებ რაღაც გამახსენდა და გავიწიე მისგან, რომ მისი სახე დამენახა. მე წარბები შევყარე –რაც შეეხება სემს? და დანარჩენებს?

მან თავი გააქნია და გაიღიმა, თითქოს დიდი ტვირთი მოხსნესო –რათქმაუნდა არა. გახსოვს რას ვუწოდებთ ჩვენს თავს?

გონებაში ამომიცურდა ეს სიტყვა – მე ყოველდღე ვფიქრობდი ამაზე –მცველები?

–ზუსტად.

–მაგრამ, მე არ მესმის, მაშინ რა მოხდა ტყეში? დაკარგული ტურისტები? სისხლის კვალი?

მისი სახე უცებ სერიოზული და აღელვებული გახდა –ჩვენ მხოლოდ იმას ვცდილობდით რომ ჩვენი სამუშაო შეგვესრულებინა, ბელა. ჩვენ ვცდილობდით მათ დაცვას, მაგრამ დავიგვიანეთ.

–დაცვას ვისგან? იქ რა, მართლა არის დათვი?

–ბელა, ძვირფასო, ჩვენ ვიცავთ ხალხს მხოლოდ ერთი საშიშროებისგან – ჩვენი ერთადერთი მტერისგან. ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ ისინი არსებობენ.

რამოდენიმე წუთი ვუყურებდი, მას სანამ არ მივხვდი მის სიტყვებს. სისხლი გამეყინა და უაზროდ დავიკივლე.

მან თავი დამიქნია –ვფიქრობდი, რომ შენ ერთადერთი ხარ ვინც მიხვდება რაც ხდება სინამდვილეში.

–ლორანი –დავიჩურჩულე მე –ის კიდევ აქ არის.

ჯეიკობმა თვალები დაახამხამა –ვინ არის, ლორანი?

შევეცადე რამენაირად თავი მომეყარა აზრებისთვის, რომ პასუხი გამეცა –შენ ის იცი – შინ ის მდელოზე ნახე. შენ იქ იყავი... –

სიტყვები ისეთი გაკვირვებით იყო ნათქვამი. სხვა რამ გამორიცხული იყო. –შენ იქ იყავი, და გადამარჩინე მისგან.

–ოჰ, ის შავთმიანი სისხლისმსმელი? –მან გაიღიმა –ესეიგი ესე ერქვა?

მე შემაკანკალა –რაზე ფიქრობდი? –დავიჩურჩულე მე –მას შეეძლო, რომ მოეკალი! ჯეიკ ვერც კი წარმოიდგენ თუ რა საშიშია...

კიდევ ერთმა მისმა ხარხარმა გამაწყვეტინა ლაპარაკი –ბელა, ერთადერთი ვამპირი არანაირი პრობლემა არ არის მთელი, ჩვენნაირი გოლიათების ხროვისთვის. ეს იოლი იყო, სასაცილოც კი!

–რა იყო იოლი?

–მოკვლა იმ სისხლისმწოველის, რომელსაც შენი მოკვლა უნდოდა. და კიდევ, მე არ ვთვლი რომ ეს მკვლელობა იყო –უცებ დაამატა მან –ვამპირები ისედაც არ ითვლებიან, ცოცხლებად.

მე მხოლოდ უხმოდ შემეძლო ტუჩების განძრევა –ესეიგი...შენ...ლორანი...მოკალი?

თავი დამიქნია –ყველამ ერთად –დააზუსტა მან.

–ლორანი მკვდარია? –დავიჩურჩულე მე.

ჯეიკობის გამომეტყველება შეიცვალა –შენ რა, ეს გეწყინა? მას შენი მოკვლა უნდოდა - ის შენს მოსაკლავად წამოვიდა ტყეში, ამაში დარწმუნებულები ვიყავით სანამ თავს დავესხმებოდით. შენ ეს იცი ხომ?

–ვიცი. არა, მე არ მწყენია, მე... –დაჯდომა მომიწია. ცოტათი უკან დავიხიე, რომ ხეზე ჩამომვჯდარიყავი. –ლორანი მკვდარია. ის აღარ მომაკითხავს.

–ხომ არ გაგიჟებულხარ? შემთხვევით, შენი ერთერთი მეგობარი ხომ არ ყოფილა?

–ჩემი მეგობარი? –მე მივაჩერდი მას, სულ მთლად გონება დაკარგული დიდი შვებიდან. თვალები დამისველდა და ლაქლაქი დავიწყე –არა, რას ამბობ ჯეიკ. მე ისეთი... ისეთი შვება ვიგრძენი ეხლა. ვფიქრობდი, რომ ძებნას დამიწყებდა! მე ყოველ ღამე ველოდებოდი, რომ მოვიდოდა, ბოლოს მომიღებდა და როგორც იქნა ჩარლი აღარ იქნებოდა საფრთხეში. მე ისე მეშინოდა, ჯეიკ... მაგრამ

როგორ? ის ხომ ვამპირე იყო! როგორ მოკალით? ის ისეთი ძლიერი და ...

ჯეიკობი გვერძე მომიჯდა და დასამშვიდებლად მისი დიდი ხელი მომხვია –სწორედ ამისთვის ვართ ჩვენ შექმნილები, ბელს. ჩვენც ძლიერები ვართ. უკეთესი იქნებოდა, რომ ადრე გეთქვა შენს შიშებზე. მაშინ შენ არ მოგიწევდა ამდენი ხანი შიშში ყოფნა.

–შენ არ იყავი ჩემს გვერდით –წავიბურტყუნე, საკუთარ აზრებში არეულმა.

–ხო, მართლია.

–მოიცა ჯეიკ – მე მეგონა, შენ იცოდი ამის შესახებ. წინა დამეს, შენ მითხარი, რომ არ იყო უსაფრთხო შენი ჩემს ოთახში ყოფნა. მე მეგონა, შენ იცოდი რომ ჩემთან შეიძლებოდა ვამპირე მოსულიყო. შენ ამას არ გულისხმობდი?

ის შეიშმუშნა და თავი გვერზე გადააგდო –არა, მე ეს არ მიგულისხმია.

–აბა, რატომ მითხარი, რომ არ არის უსაფრთხო შენი ჩემს გვერდით ყოფნა?

მან დამნაშავედ შემომხედა –მე ის არ მითქვამს რომ ეს ჩემთვის არ არის უსაფრთხო. მე შენზე ვამბობდი.

–რას გულისხმობ?

მან თავი დახარა და ქვას წაკრა ფეხი –მე ვალდებული, ვარ რომ დაგიცვა, ბელა. მე არ გეუბნებოდი ჩვენს საიდუმლოს ერთი მიზეზის გამო – ეს არ არის უსაფრთხო შენთვის. თუ საბოლოოდ შევიშლები ჭკუიდან... თუ მოვიშლები... შემიძლია, რომ დაგასახიჩრო.

მე კარგად გავიაზრე მისი ნათქვამი –ოჰ, ეხლა ბოლოს, შენ შეგეძლო რომ მოშლილიყავი... როცა გიყვირე... და შენ აკანკალდი...?

–ხო –მან უფრო დაბლა დასწია თავი –ეს სისულელეა. უფრო კარგად უნდა ვისწავლო თავის შეკავება. გეფიცები მეტჯერ აღარ , რაც არუნდა მითხრა. მაგრამ... მე, ისე გავბრაზდი, რომ შეიძლებოდა დამეკარგე... რომ შენ არ შეგიძლია რაიმე საერთო გქონდეს ჩემნაირთან...

–და რა მოხდება თუ...მოიშლები? –დავიჩურჩულე მე.

–მგლად გადავიქცევი –დაიჩურჩულა პასუხად.

–შენ სავსემთვარეობის ცდა არ გიწევს?

  მან თვალები გადაატრიალა –ჰოლივუდური ვერსია, მთლად მართალი არ არის -შემდეგ ამოიოხრა და ისევ სერიოზული გახდა –შენ მეტი აღარ მოგიწევს შიშში ყოფნა, ბელს. ჩვენ ვიზრუნებთ ამაზე. და განსაკუთრებით ჩარლიზე და დანარჩენებზე – არ გვინდა, რომ რამე დაემართოდ. დამიჯერე.

ეს მისი ფრაზა, ესეთი უბრალო და ნათელი, მე მას ჩავეჭიდე. მე არ შევუძრწუნებივარ იმ აზრს, რომ ჯეიკობმა და მისმა მეგობრებმა ლორანი მოკლეს, ეს უკვე კარგად გავიაზრე – მე შემაძრწუნა იმან თუ როგორ თქვა ჯეიკობმა.
ჩვენ ვიზრუნებთ ამაზე.
ესეიგი ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა.

–ლორანი ხომ მკვდარია. –მძიმედ სუნთქვით ვთქვი მე. სულ მთლად გავცივდი.

–ბელა? –აღელვებულმა მკითხა ჯეიკობმა და ჩემს თეთრ ლოყაზე გადაატარა ხელი.

–თუ ლორანი მოკვდა... ერთი კვირის წინ... მაშინ, ეხლა ვინ კლავს ხალხს?

ჯეიკობმა თავი დააქნია და კბილებიდან წარმოთქვა –ისინი ორნი იყვნენ. თავიდან ველოდით, რომ მისი პარტნიორიც ჩაებმებოდა ჩვენს ბრძოლაში – ჩვენი ლეგენდების მიხედვით ისინი ბოლომდე ბრძოლობენ, თუ მათ შეყვარებულს მოკლავ, მაგრამ ის გაიქცა. ეხლა ისევ დაბრუნდა. რომ ვიცოდეთ რისთვის დაბრუნდა, მოვუღებდით ბოლოს, მაგრამ ის არანაირ საშუალებას არ გვაძლევს რომ მოვძებნოთ მაინც. ის უბრალოდ ტყეში ტრიალებს, თითქოს ჩვენს დაცვას ამოწმებს და შორს ჭვრეტს – მაგრამ საით? სად უნდა რომ წავიდეს? სემმა იფიქრა, რომ მას ჩვენი გაყოფა უნდა ადვილად რომ გაგვიმკლავდეს...

ჯეიკობის ხმა ჩემამდე შორიდან მოდიოდა, როგორც გვირაბის მეორე მხრიდან. მე ვეღარ ვარჩევდი მის სიტყვებს. შუბლი გამიოფლიანდა, მუცელში რაღაც საშინლად დატრიალდა, როგორც მაშინ თითქოს ისევ ვირუსი მქონდა.
სწრაფად შევბრუნდი და წინ გადავიწიე. გული ამერია, ცარიელი კუჭი ღებინების შეტევისგან შეიკუმშა.

ვიქტორია აქ იყო. მე მეძებდა. ის კლავს ტურისტებს ტყეში. ტყეში, სადაც ეხლა ჩარლია...
საშინლად დამეხვა თავბრუ.
ჯეიკობმა ბეჭებში მსტაცა ხელი რომ არ დავვარდნილიყავი. მე ვგრძნობდი მის ცხელ სუნთქვას, ჩემს ლოყაზე –ბელა? რა მოხდა?

–ვიქტორია –ამოვღერღე მე, ჰაერის ღრმად ჩაყლაპვით რომ ღებინება გადამეტანა.

გონებაში გაისმა ედვარდის გააფთრებული ღრენა.
  მე ვიგრძენი როგორ ამიყვანა ჯეიკობმა ზემოთ, რომ არ დავვარდნილიყავი და მის კალთაში ჩამისვა, თავი მხარზე დამადებინა და ოფლიდან სველი თმები გადამიწია სახიდან.

–ვიინ? –მკითხა ჯეიკობმა –გესმის ჩემი? ბელა? ბელა?

–ის არ არის ლორანის შეყვარებული –ამოვიკვნესე მე, მის მხარში თავჩარგული –ისინი უბრალოდ ძველი მეგობრები იყვნენ...

–წყალი მოგიტანო? იქნებ ექიმს დავუძახო? მითხარი რა გავაკეთო –სულ მთლად დაბნეულად მკითხა მან.

–ავად არ ვარ, უბრალოდ შეშინებული ვარ –ჩურჩულით შევეცადე ამეხსნა. მაგრამ სიტყვა “შეშინებული” მაინც ვერ გამოხატავდა ჩემს განცდებს.

ჯეიკობმა ზურგზე შემომკრა ხელი –შეშინებული ხარ, იმ ვიქტორიას გამო? –მე კანკალით დავუქნიე თავი. –წითურთმიანი ქალი, ვიქტორიაა?

ისევ შემაკანკალა და ამოვკვნესე –ხო.

–საიდან იცი რომ ლორანის შეყვარებული არ იყო?

–ლორანმა მითხრა რომ ის ჯეიმსის შეყვარებული იყო –ავუხსენი მე შიშისგან ხელების სრესით.

ჯეიკობმა მომკიდა მისი დიდი ხელი სახეზე და თვალებში ჩამაჩერდა –კიდევ რა გითხრა, ბელა? ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იცი რა უნდა მას?

–რათქმაუნდა –დავიჩურჩულე –მას, მე ვუნდებვარ.

სიბრაზისგან მისი თვალები გაბრწყინდნენ შემდეგ კი დავიწროვდნენ –რატომ? –უცებ მკითხა მან

–ედვარდმა ჯეიმსი მოკლა –დავიჩურჩულე მე. ჯეიკობს ისე მაგრად ვყავდი ჩახუტებული, რომ მგონი აღარ მომიწევს ნერვიულობა თავშესაფარისთვის – ის მე დამიცავს. –ის ჭკუიდან შეიშალა. ლორანმა მითხრა, რომ ვიქტორიამ გადაწყვიტა მე მომკლას ედვარდის მაგივრად, მისი აზრით ეს უფრო სამართლიანია. მან არ იცოდა – ვფიქრობ ეხლაც არ იცის, რომ... რომ... –მე ძლივს გადავყლაპე ნერწყვი –რომ ისინი აქ აღარ არიან და ედვარდიც აღარ არის.

ჯეიკობი ცოტა დაბნეული იყო, მას გამომეტყველება რამოდენიმეჯერ შეეცვალა სახეზე –და რა მოხდა? რატომ წავიდნენ კალენები?

–მე მხოლო და მხოლოდ ადამიანი ვარ, არაფერი განსაკუთრებული –ავუხსენი მე და ბეჭები ავიჩეჩე.

რაღაც ღრენის მსგავსი – უფრისწორედ ღრენა კი არა, რაღაც უცნაური დაყვირება გაისმა ჩემს ყურში.

–სიმართლე, გითხრა ის შენი დებილი სისხლისმსმელი ნამდვილი იდიოტია...

–გთხოვ –ამოვიკვნესე მე –გთხოვ. არ გინდა.

ჯეიკობმა თავი დამიქნია.

–ეს ძალიან მნიშვნელოვანია –ისევ გააგრძელა მან. ამჯერად მისი სახე სერიოზული იყო –ზუსტად ეს მონაცემები გვჭირდებოდა. დანარჩენებსაც უნდა ვუთხრათ.

ის წამოხტა და ფეხზე დამაყენა. ორივე ხელი წელზე ეკიდა სანამ არ დარწმუნდა რომ არ წავიქცეოდი.

–ყველაფერი კარგად მაქვს –მოვიტყუე მე.

ის მაინც მომეხვია ცალი ხელით –წავიდეთ.
მან პიკაპისკენ წამიყვანა.

–სად მივდივართ? –ვკითხე მე

–ჯერ ზუსტად არ ვიცი –გამოტყდა ის –ყრილობას მოვაწყობ. აქ დამელოდე რა ერთი წუთით, კარგი? –პიკაპის კართან დამაყენა და ხელი გამიშვა.

–სად მიდიხარ?

–ეხლავე დავბრუნდები –დამპირდა და ტყისკენ გაიქცა. როგორც ირემმა, უცებ გადაჭრა გზა და ხეებში გაუჩინარდა.

–ჯეიკობ! –ჩახლეჩილი ხმით დავუყვირე, მაგრამ ის უკვე აღარ ჩანდა.

სინამდვილეში არც ისე კარგი დროა მარტო დასარჩენად. ჯეიკობის გაუჩინარება და ჩემი მძიმედ სუნთქვის დაწყება ერთი იყო. პიკაპში ჩავჯექი და ყველა საკეტი ჩავკეტე, მაგრამ უკეთესად არ გავმხდარვარ.
ვიქტორია ნამდვილად ნადირობდა ჩემზე. ეს უბრალოდ გამართლებაა, რომ აქამდე ვერ მიპოვა – უბრალოდ გამართლება ხუთი არასრულწლოვანი მაქციებისთვის. მე უცებ ამოვიხვნეშე. ჯეიკობის ნათქვამის მიუხედავდა იმის გაფიქრებაზეც კი მაკანკალებდა რომ ის ვიქტორიასთან ახლოს იდგა, სულ არ მადარდებდა თუ რად გადაიქცეოდა ის. ვიქტორიას სახე წარმომიდგა თავლწინ, მისი ცეცხლივით წითელი თმები, ის ისეთი სასტიკი და დაუნდობელია...
მაგრამ ჯეიკობის თქმით მათ ლორანი მოკლეს. ეს შესაძლებელია? ედვარდი –გული შემეკუმშა –მეუბნებოდა თუ რა რთულია ვამპირის მოკვლა. მხოლოდ სხვა ვამპირს შეუძლია ამის გაკეთება. მაგრამ ჯეიკმა თქვა, რომ მაქციები ამისთვის არიან შექმნილნი...
მან თქვა, რომ ჩარლის მიხედავენ – ეხლა, მაქციების უნდა მჯეროდეს, რომ მამაჩემი სახსალამათი იყოს. მაგრამ როგორ შემიძლია ვენდო? ჩვენ ყველანი საფრთხეში ვართ! მითუმეტეს ჯეიკობი, თუ ის შეეცდება ჩარლის და ვიქტორიას შორის ჩადგეს, ან ჩემს და ვიქტორია შორის...
მე ისევ ვიგრძენია გულისრევა.
მოულოდნელი კაკუნისგან ფანჯარაზე, შიშისგან ავხტი, მაგრამ ეს მხოლოდ ჯეიკობი იყო. აკანკალებული ხელებით, გავაღე საკეტები.

–შენ მართლა ესე შეშინებული ხარ? –მკითხა ჯეიკობმა მანქანაში ჩაჯდომისას

თავი დავუქნიე

–ნუ გეშინია. ჩვენ ვიზრუნებთ შენზე და ჩარლიზე. გპირდები.

–ის აზრი, რომ შენ ვიქტორიას იპოვნი, იმაზე მეტად მაშინებს ვდრე ის, რომ მე მიპოვის. –დავიჩურჩულე მე.

მან გაიცინა –შენ უფრო მეტად უნდა გჯეროდეს ჩვენ. ეს საწყენია.

თავი გავაქნიე. მე ხშირად მინახავს ვამპირების ჩხუბი.

–ეხლა სად მივდივართ? –ვკითხე მე

მან პირი მოკუმა.

–რა? საიდუმლოა?

–არა, საიდუმლო არ არის. ნუ, საიდუმლოცაა. არ მინდა წინასწარ აგანერვიულო.

–უკვე მივეჩვიე სხვადასხვანაირ გამოცანებს –მე გაღიმებას შევეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ჯეიკობმა ისევ ჩაიცინა –ვფიქრობ ყველაფერი კარგად იქნება. იცი, რა, როცა ჩვენ მგლები ვხვდებით ჩვენ შეგვიძლია... ჩვენ ერთმანეთის გვესმის.

ჩემი წარბები გაკვირვებისგან ზომოთ ავიდნენ.

–გვესმის არა ხმები –გააგრძელა მან –არამედ ერთმანეთის... აზრები. არა აქვს მნიშვნელობა თუ რა სიშორეზე ვიმყოფებით. ეს ძალიან მოსახერხებელია ნადირობისას, მაგრამ ამავდროულად მტკივნეულიც – ჩვენს შორის არანაირი საიდუმლო არ არის. უცნაურია, ხომ?

–შენ ამას გულისხმებდი, როცა მითხარი რომ მაინც ეტყვი მათ, ჩემთან რომ იყავი გინდა ეს შენ, თუ არა?

–აზრიანი ხარ.

–მადლობა.

–და კიდევ, შენ ადვილად შეეგუე ჩვენს საიდუმლოს. მეგონა, რომ ანერვიულდებოდი.

–მაპატიე... შენ... პირველი არ ხარ ვინც ესეთ რაღაცეებს აკეთებს. ამიტომ ჩემთვის არ არის აქ რაიმე უცნაური.

–მართლა?... მოიცა... შენ შენს სისხლისმწოველს გულისმობ?

–არ მინდა, რომ ესე დაუძახო.

მან გაიცინა –რა მნიშვნელობა აქვს? ნუ, მაშინ კალენები?

–მხოლოდ... მხოლოდ ედვარდი –მე შეუმჩნევლად შემოვიჭირე ხელები.

ჯეიკობმა უსიამოვნო გაკვირვებით მითხრა –მეგონა, რომ ეს მხოლოდ მოგონილია. ლეგენდები გამიგონია, რომლებშიც ნათქვამია, რომ... არაჩვეულებრივი უნარები აქვთ, მეგონა რომ ეს მხოლოდ მითი იყო.

–ეს ყველაფერი ისევ ზღაპრად გეჩვენება? –ვკითხე, ეშმაკური ღიმილით.

მან გაბრაზებული მზერა მესროლა –ვფიქრობ, რომ არა. ყოველშემთხვევაში ეხლა სემთან და დანარჩენებთან წავალთ, სადაც ჩვენ მოტოციკლეტებით ვსეირნობდით.
მანქანა ავამუშავე და გზაზე გადავუხვიე.

–ესეიგი, ეხლა მგლად გადაიქეცი, რომ სემს დალაპარაკებოდი? –ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

ჯეიკობმა თავი დამიქნია, მაგრამ უხერხულად გამოიყურებოდა –ხო, მაგრამ სულ ცოტა ხნით. ვცდილობდი შენზე არ მეფიქრა, ამიტომ არაფერი იციან მომხდარზე. ვშიშობდი, რომ სემი შენს მიყვანას ამიკრძალავდა.

–ეს მე არ შემაჩერებს –მე კიდევ ვერ შევიცვალე სემზე ცუდი აზრი. ყოველ ჯერზე როცა მის სახელს გავიგონებდი კბილებს ვაკრაჭუნებდი.

–სამაგიეროდ ეს მე შემაჩერებს – თქვა მოღუშულმა. –გახსოვს რატომ ვერ გითხარი გუშინ ღამით ყველაფერი?

–კი. შენ ისე გამოიყურებოდი, თითქოს რაღაცამ ძლიერ შეგძრა.

მან ჩუმად გაიცინა –თითქმის გამოიცანი. სემმა მითხრა, რომ არაფერი მეთქვა შნთვის. ის...ჩვენი ხროვის ბელადია, ხომ იცი. ის ჩვენი ალფაა. როცა ის გვიბრძანებს რაიმეს გაკეთებას, ან პირიქით, ჩვენ არ შეგვიძლია, რომ არ დავემორჩილოდ.

–უცნაურია –წავიბურტყუნე მე

–ძალიან –დამეთანხმე ის –ეს ერთერთი მგლური ინსტიქტია.

–ჰმმმ –ეს ყველაზე კარგი იყო რისი თქმაც სემეძლო.

–სინამდვილეში მათი რაოდენობა უამრავია – მგლური ინსტიქტები და შესაძლებლობები. მე თვითონაც არ ვიცი ყველაფერი. ვერც კი წარმოვიდგენ როგორ გაუძლო სემმა ყველაფერს მარტომ. მთელს ხროვასთან ერთადაც კი ძნელია ამის გადატანა.

–სემმა მარტომ გადაიტანა?

–ხო –ჯეიკობმა ხმას დაუწია –როდესაც მე შევიცვალე, ეს მართლა... საშინელება იყო, ყველაზე საშინელი რისი წარმოდგენაც შემეძლო. მაგრამ მე მარტო არ ვყოფილვარ – თავში ხმები მესმოდა, რომლებიც მეუბნებოდნენ რა მოხდა და რა უნდა გავაკეთო. ვფიქრობ ეს დამეხმარა რომ ჭკუიდან არ შევშლილიყავი. მაგრამ სემი... –მან თავი გააქნია –სემს არავინ დახმარებია.

ამ სიტყვებს უნდა შეეცვალა ჩემი აზრი. ჯეიკობმა ისე მიამბო, რომ უნებურად, შემეცოდა სემი. და მე გამახსენდა, რომ არ მაქვს მისი სიძულვილის მიზეზი.

–გაბრაზდებიან შენთან ერთად რომ მივალ? –ვკითხე მე

ის დაიჭყანა –ალბათ.

–მაშინ, იქნებ არ ღირს წამოსვლა?

–არა, ყველაფერი კარგადაა –დამარწმუნა მან –შენ უამრავი რამ იცი, რაც დაგვეხმარება. შენ ხომ უბრალო ადამიანი არ ხარ ქუჩიდან. შენ როგორც...ნუ არვიცი, ჯაშუში თუ რაღაც ამდაგვარი. შენ მტრის ზურგში იყავი.
მე ჩავფიქრდი. რა უნდოდა ჩემგან ჯეიკობს? ინფორმაცია რომელიც საშუალებას მისცემთ მტერი გაანადგურონ? მაგრამ მე ჯაშუში არ ვარ. მე არ ვაგროვებდი სპეცალურ უნფორმაციებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი სიტყვების შემდეგ, თავი მოღალატედ ვიგრძენი. მაგრამ, მე ხომ მინდა, რომ მან ვიქტორია შეაჩეროს? რათქმაუნდა მინდა.
მე მართლა მინდოდა, რომ ვიქტორია შეეჩერებინად და მანამ სანამ მე ამომხდის წამებით სულს ან ჩარლის დაესხმება თავს ან კიდევ ერთ ტურისტს მოკლავს. მაგრამ არ მინდოდა, რომ ჯეიკობს მოეკლა ის, მისი მიახლოებაც არ მინდოდა მასთან.

–ესეიგი, სისხლისმსმელებსაც გააჩნიათ აზრების კითხვის უნარი? – გააგრძელა მან და არ მიუქცევია ყურადღება რომ მე სხვაგან დავფრინავდი. –ზუსტად რა უნდა ვიცოდეთ? მაგიჟებს ის, რომ ყველა ლეგენდა მართალი აღმოჩნდა. ეს ყველაფერს ართულებს. როგორ ფიქრობ, იმ ვიქტორია აქვს რაიმე განსაკუთრებული უნარი?

–არამგონია –გაუბედავად ვთქვი და ამოვიოხრე –ის აუცილებლად მეტყოდა ამის შესახებ.

–იის? ოჰ, ედვარდ გულისხმობ? უი, მაპატიე. დამავიწყდა. შენ არ გიყვარს მისი სახელით ხსენება. ან მისი გაგონება.

მე დავიძაბე და შევეცადე ჩემი მოუშუშებელი ჭრილობის ტკივილზე არ მიმექცია ყურადღება.
–ის არა რომ...

–მაპატიე.

–საიდან მიცნობ ესე კარგად ჯეიკ? ზოგჯერ მეჩვენება, რომ შენ ჩემი აზრების კითხვა შეგიძლია.

–არა. მე უბრალოდ თვალს გადევნებ.

ჩვენ ისევ ქვიშიან გზაზე აღმოვჩნდით სადაც ჯეიკობი მოტოციკლის მართვას მასწავლიდა.

–დარწმუნებული ხარ? –ვკითხე მე

–რათქმაუნდა.

მანქანა მოვაბრუნე და ძრავა გამოვრთე.

–კიდევ არ გსიამოვნებს არა? –დაიჩურჩულა მან

თავი დავუქნიე, დაბინდულ ტყეს ვუყურებდი.

–ოდესმე გიფიქრია... რომ, შეიძლება... მის გარეშე... უფრო ადვილი ყოფილიყო ცხოვრება?

ნელა ჩავისუნთქე და დიდზე ამოვისუნთქე –არა.

–იმიტომ, რომ ის არ არის საუკეთესო...

–გთხოვ, ჯეიკობ –შევაწყვეტინე მე –ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. რთულია ჩემთვის ამის გადატანა.

–კარგი –ამოიოხრა მან –მაპატიე თუ გაწყენინე.

–თავს ნუ იდანაშაულებ. თუ ოდესმე ჰქონია ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა, მერე გსიამოვნებს ვინმესთან ამაზე საუბარი.

მან თავი დამიქნია –ხო. ჩემთვის ნამდვილი წამება იყო საიდუმლო მქონოდა შენგან. ნამდვილი ჯოჯოხეთია ვერავის გაუმხილო შენი გულისწუხილი.

–ნამდვილად ჯოჯოხეთი –დავეთანხმე მე.

ჯეიკობმა ჰაერი ჩაყლაპა –ისინი აქ არიან. წავიდეთ.

–მართლა დარწმუნებული ხარ? –ვკითხე როცა კარებს კეტავდა –იქნებ არ არის აქ ჩემი ადგილი?

–მათ მოუწევთ ამასთან შეგუება. –მიპასუხა და გაიცინა –აბა ვის ეშინია აქ დიდი ცუდი მგელის?

–ჰა-ჰა-ჰა –ვთქვი მე. მანქანიდან, რომ გადმოვედი მანქანის წინ, დასადგომად ავჩქარდი, მაგრამ ჯეიკობის ზურგში. მე საკმაოდ კარგად მახსოვდა გიგანტური მგლები მდელოზე. ხელები შიშიდან მიკანკალებდა, ჯეიკობზე მეტად როცა ის გაბრაზებული იყო. ჯეიკმა ჩემი ხელი აიღო და მაგრად მომიჭირა –აი, ჩვენც მოვედით.

თავი მეთოთხმეტე

ოჯახი

ჯეიკობის ზურგს უკან დავიძაბე, ჩემი მზერა ტყისკენ გაცურდა, დანარჩენი მაქციების ძებნაში. როდესაც ხეებს შორის გამოჩნდნენ, გამოიყურებოდნენ არა ისე როგორაც ველოდი. შევეცადე გამეხსენებინა როგორ გამოიყურებოდნენ მგლები. ესენი კი ნახევრად შიშველ ბიჭები იყვნენ.
და ისევ, ისინი ტყუპებს მაგონებდნენ. იმაში რომ, თუ როგორ გაჩერდნენ სინქრონულად გზის მეორე მხარეს, როგორი დიდი

კუნთები ჰქონდათ ყავისფერ კანში, ყველას ერთნაირად მოკლედ შეჭრილი თმები და სახეები, რომელთა გამომეტყველება ერთნაირად შეიცვალა – ამაში იყო, რაღაც განსაკუთრებული.
ისინი ყველანი გაკვირვებულნი და აფორიაქებულნი იყვნენ. როდესაც დამინახეს ჯეიკობის ზურგსუკან მაშინვე გაბრაზდნენ.
სემი მათ შორის ყველაზე დიდი იყო, მაგრამ ჯეიკობი თითქმის დაეწია მას. სინამდვილეში ძნელი იყო სემისთვის ბიჭი დაგეძახებინა. მას დიდის სახე ჰქონდა, მაგრამ არა ნაოჭების ან სიბერის რაიმე ნიშნების გამო, არამედ მისი მოთმინების და თავშეკავებულობის გამო, რომელიც მის სახეზე იკითხებოდა.

–რა ჩაიდინე ჯეიკობ? –გაჯავრებულად იკითხა მან.

ერთი ბიჭი, რომელიც ვერ ვიცანი – ალბათ ჯარედი ან პოლი – სემის წინ გამოვარდა და მანამ დაიწყო ლაპარაკი სანამ ჯეიკობი აუხსნიდა ყველაფერს.

–რატომ არ შეგიძლია წესები დაიცვა, ჯეიკობ? –დაიყვირა ჰაერში ხელების კანკალით –რა ჯანდაბაა? რაზე ფიქრობდი? ეგა, რა ყველაზე მნიშვნელოვანია შენთვის? მნიშვნელოვანი ჩვენს ტომზე? იმ ხალხზე რომლებიც იღუპებიან?

–მას შეუძლია დაგვეხმაროს –წყნარად წარმოთქვა ჯეიკობმა.

–დაგვეხმაროს! –დაიყვირა გააფთრებულმა ბიჭმა. მას ხელები აუკანკალდა. –ოოო, გადასარევია! დარწმუნებული ვარ, რომ ამ სისხლისმსმელის შეყვარებულს ძალიან უნდა ჩვენი დახმარება!

–მასზე ესე ნუ ლაპარაკობ! –დაიღრიალა პასუხად ჯეიკობმა, მისი სიტყვებით შეურაცყოფილი.

მეორე ბიჭს, ზურგზე და ბეჭებზე ჟრჟოლამ დაუარა.

–პოლ! დაწყნარდი! –უბიძგა სემმა.

პოლმა თავი გააქნია, მაგრამ არა დამნაშავედ, არამედ თითქოს აზრზე მოსვლას ცდილობდა.

–ეშმაკმაც დალახვროს, პოლ –დაიყვირა მეორე ბიჭმა, მგონი ჯარედმა –დაწყნარდი.

პოლმა ჯარედისკენ გააბრუნა თავი, მან გაღიზიანებულად მოკუმა ტუჩები. შემდეგ ისევ მე შემომხედა. ჯეიკობმა წინ გადადგა ნაბიჯი ჩემს დასაფარად.

და დაიწყო!

–მართალია, დაიცავი ის! –დაიღრიალა პოლმა. გაჟრჟოლების კიდევ ერთამ ტალღამ დაუარა ტანში. თავი უკან გადააგდო და კბილებიდან ნამდვილი ღრენა გამოსცა.

–პოლ! –სემმა და ჯეიკობმა ერთდროულად დაიყვირეს.

პოლი წინ დაეცა, თითქმის მიწას შეეხო, მთელი ტანი უკანკალებდა, გაისმა საშინელი ხმა და ბიჭის ტანი გაიხლიჩა.
რუხი ბეწვი წამოიზარდა მასზე და თავის ზომაზე 4-5ჯერ მეტი გახადა, რაღაც უზარმაზარი, რომელიც მიწაზე იწვა და გადასახტომად იყო მომზადებული.
მგლის პირი გაიღო და გამოაჩინა ბასრი ეშვები, კიდევ ერთი ღრენა წამოვიდა მისი უზარმაზარი გულმკერდიდან. მისი შავი, გააფთრებული თვალები მე მომჩერებოდნენ.
მეორე წამში ჯეიკობი გაიქცა, პირდაპირ, რუხ მონსტრთან შესახვედრად.

–ჯეიკობ! –დავიკივლე მე

სირბილში, ჯეიკობს ზურგზე ჟრჟოლამ დაუარა. ის წინ გადახტა ჰაერში თავის ქნევით.
კიდევ ერთი ტანსაცმლის დაგლეჯის ხმა და ჯეიკობიც გადაიქცა. ის გამოძვრა თავისი ტყავიდან – შავ-თეთრი ტანსაცმლის ნაკუწები გარშემო გაიფანტა. ეს ისე სწრაფად მოხდა თვალი, რომ დამეხამხამებინა მთელ გარდაქმნას გამოვტოვებდი. ერთ წამში, ჯეიკობი ჰაერში გიგანტურ, მოწითალო-მოყავისფრო მგლად გადაიქცა – ისეთი უზარმაზარი, რომ ვერც ვიაზრებდი, როგორ თავსდებოდა ჯეიკში ეს ყველაფერი – მომზადებული, რუხ მგელზე გადასახტომად.
ჯეიკობმა მიიღო პოლის შემოტევა. მათი გააფთრებული ღრიალი, ექოდ გავრცელდა მთელს ტყეში.
შავი და თეთრი ნაკუწები – რაც ჯეიკობის ტანსაცმლიდან დარჩა – იქ ეყარნენ სადაც ის გარდაიქმნა.

–ჯეიკობ! –ისევ დავიყვირე და გაუბედავი ნაბიჯი გადავდგი წინ.

–იდექი სადაც ხარ, ბელა! –მიბრძანა სემმა. მგლების საშინელი ღრიალის გამო მისი თითქმის არ ისმოდა. ისინი კაწრავდნენ და გლეჯდნენ ერთმანეთს, ბრიტვასავით მჭრელი ეშვები ყელთან ანათებდნენ. მგელი-ჯეიკობი აშკარად ძლიერი და დიდი იყო

მოწინააღმდეგეზე. ის ისევ და ისევ ბეჭით შეასკდა რუხ მგელს და ხეებზე მიახეთქა.

–ემილისთან წაიყვანე –დაუყვირა სემმა დანარჩენ ბიჭებს, რომლებიც აღფრთოვანებით უყურებდნენ ბრძოლას. ჯეიკობმა შეძლო, რუხი მგელის გზიდან გადაყვანა და ტყეში გაუჩინარდნენ, საიდანაც ისევ მოდიოდა ღრიალის ხმები. სემი მათ დაედევნა, გზაში ფეხსაცმელს იხდიდა. როცა ხეებში გადახტა მთელი ტანით გააჟრჟოლა.
ღრენა და ტკაცანი ერთდროულად გაისმა ჰაერში. უცებ ხმები საერთოდ გაქრა და გზაზე სიწყნარე ჩამოდგა.
ერთერთმა ბიჭმა გაიცინა.
მე მოვტრიალდი, რომ მისთვის შემეხედა – ჩემი ფართედ გახელილი თვალები გაშეშდნენ, მეგონა რომ დახამხამებაც არ შემეძლო. როგორც ჩანს, ბიჭი ჩემს გამომეტყველებაზე იცინოდა.

–ყოველდღე ვერ ნახავ ესეთ რამეს –ჩაიხითხითა მან. მისი სახე ძალიან მეცნობოდა – სუსტი სხვებთან შედარებით... ემბრი კოლი.

–მე კი, ვუყურებ –წაიბუზღუნე მეორემ, ჯარედმა. –ღოველ დღე.

–ნუ, პოლი ყოველდღე არ გამოდის ესე წყობიდან –არ დაეტანხმა ემბრი, ისევ სიცილით –უფრო სწორედ, ყოველ ორ დღეში, სამში აღარ.

ჯარედი შეჩერდა, რომ რაღაც თეთრი აეღო მიწიდან. ის ემბრის აჩვენა.

–დანაკუწებულია –თქვა ჯარედმა –ბილი ამბობდა, რომ ეს ბოლო წყვილია რომელიც იშოვა – მგონი ჯეიკობს ფეხშიშველი მოუწევს სიარული.

–აი ეს გადარჩა –თქვა ემბრიმ და თეთრი ფეხსაცმელი აიღო მიწიდან –ჯეიკი ცალი ფეხითაც შეძლებს სიარულს –დაამატა სიცილით.

ემბრიმ აიღო ფეხსაცმელები და ხეებში შევიდა სადაც წეღან სემი გაუჩინარდა. რამოდენი წამის შემდეგ, ხელში დაგლეჯილი ჯინსებით დაბრუნდა. ჯარედმა შეაგროვა ჯეიკობის და პოლის ტანსაცმლის ნაგლეჯები და ერთად შეახვია. და ალბათ, ამ დროს გავახსენდი მე. მან ფრთხილად შემავლო თვალი.

–ჰეი, გულის წასვლას, ღებინებას და რაღაც ეგეთებს ხომ არ პირებ?

–არამგონია –ძლივს ამოვღერღე.

–არც ისე კარგად გამოიყურები. უკეთესი ხომ არ იქნება ჩამოჯდე?

–კარგი –ჩავიბუტბუტე მე. დღეს მეორედ, ჩავდე თავი მუხლებში.

–ჯეიკს, უნდა გავეფრთხილებინედ –უკმაყოფილოდ თქვა ემბრიმ.

–არ უნდა მოეყვანა თავისი დაქალი. რას ელოდა?

–აი, გამოუშვი მგელი ტომრიდან – ყველაფერს იტყვის –ემბრიმ ამოიოხრა –ყოჩაღ, ჯეიკ.

თავი ავწიე, რომ ბიჭებისთვის შემეხედა, ესე თავისუფლად რომ ლაპარაკობდნენ ყველაფერზე.

–თქვენ რა, საერთოდ არ ნერვიულობთ? –ვკითხე მე

ემბრიმ გაკვირვებით აახამხამა თვალები –ნერვიულობა? რატომ?

–შეუძლიათ ერთმანეთი დაჭრან!

ემბრი და ჯარედი ახარხარდნენ.

–იმედი მაქვს პოლი კარგად გაწმენდს –თქვა ჯარედმა –უჩვენოს კარგი გაკვეთილი.

მე გავფითრდი.

–აბა, რა! –არ დაეთანხმა ემბრი –ჯეიკს შეხედე? სემიც ვერ გარდაიქმნება ესე. დაინახა, რომ პოლი გარდაქმნას იწყებს და მანაც იმწამსვე დაიწყო, - ერთი წამი და უკვე ბრძოლობს. ბიჭს ნიჭი აქვს.

–პოლს მეტი გამოცდილება აქვს. ათ დოლარზე დავნიძლავდეთ, რომ ჯეიკს გაალამაზებს.

–დავნიძლავდეთ. ჯეიკი ბუნებიდან არის დაჯილდოვებული. პოლს არანაირი შანსი არ აქვს.

ღიმილით ხელები შემოჰკრეს.
შევეცადე, როგორმე შევგუებოდი მათ გულგრილობას,

მაგრამ ვერ ვიშორებდი მაქციების ჩხუბის იმ საშინელ სურათს. მუცელი მეკუმშებოდა, ის ცარიელი იყო და მტკიოდა, თავი ნერვიულობიდან მისკდებოდა.

–წავედით ემილისთან. უკვე გააწყო სუფრა. –ემბრიმ ზემოდან დამხედა –წინააღმდეგი ხომ არ ხარ ერთერთი ჩვენგანი თუ წაიყვანს მანქანას?

–არანაირი პრობლემა –ყრუდ ვუპასუხე მე.

ჯარედმა წარბი ასწია –უკეთესი იქნება შენ დაჯდე საჭესთან. ჯერ კიდევ შეიძლება აღებინოს.

–კარგი აზრია. გასაღები სადაა? –მკითხა ემბრიმ

–მანქანაში.

ემბრიმ მგზავრის კარი გააღო –ჩაჯექი –მითხრა მან, ცალი ხელით წამომაყენა და მანქანაში ჩამაჯინა. მან კაბინა მოათვალიერა –შენ კი, უკან საბარგულში მოგიწევს ჩაჯდომა –უთხრა ჯარედს.

–კარგია. სუსტი კუჭი მაქვს და არ მინდა ვუყურო როგორ აერევა გული.

–ვშიშობ, რომ ცდები, არც ესე ცუდადაა ყველაფერი. ის ხომ ვაპირებთან ერთად იყო.

–ხუთ დოლარად –იმწამსვე შესთავაზა ჯარედმა.

–კარგი. მეუხერხულება კიდეც შენთვის ფულის გამორთმევა.

ემბრი მანქანაში ჩაჯდა და ძრავა აამუშავა, ჯარედი ამ დროს საბარგულში ჩახტა. კარები, რომ მოიხურა შეუმჩნევლად დამიჩურჩულა

–გამაგრდი, კარგი? მარტო 10 დოლარი მაქვს და თუ ჯეიკი პოლთან...

–კარგი –დავიჩურჩულე მე

ემბრიმ უკან, სოფელში წაგვიყვანა.

–როგორ გადაუარა ჯეიკმა ჩვენს წესებს?

–გადაუარა რაას?

–ნუ, ბრძანებას. რომ, არ ილაპარაკო ზედმეტი. როგორ მოგიყვა ეს ყველაფერი?

–ოჰ, ეეს –ვთქვი მე და გამახსენდა როგორ მომიყვა ჯეიკობმა წინა ღამეს –მას არ უთქვამს. ჩემით მივხვდი.

ემბრიმ პირი მოკუმა, გაკვირვებული ჩანდა –ჰმ, ვფიქრობ, ეს გაქაჩავს.

–სად მივდივართ? –ვკითხე მე

–ემილისთან, სახლში. ის სემის შეყვარებულია... ეხლა უკვე საცოლე. ისინი იქ შეგვხვდებიან, როცა სემი მოუვლის ჯეიკს და პოლს მათი ქცევისთვის. შემდეგ კი ტანსაცმლის საძებნად წავლენ, თუ რათქმაუნდა სემს დარჩა კიდევ რაიმე.

–და, ემილიმ იცის...?

–კი. იცი რა, მხოლოდ ძალიან ნუ მიაჩერდები. სემს ეს აგიჟებს.

მე მოვიღუშე –რატომ უნდა მივაჩერდე?

ემბრიმ გაიცინა –შენ ხომ ნახე რა საშიშია, იქ ყოფნა სადაც მაქციები არიან. –და მან იმწამსვე შეცვალა ლაპარაკის თემა –რა მოხდა იმ შავთმიან სისხლისმწოველთან, მდელოზე? შენს მეგობარს არ გავდა, მაგრამ... –ემბრიმ ბეჭები აიჩეჩა.

–არა, ის არსდროს ყოფილა ჩემი მეგობარი.

–ეს კარგია. არ გვინდოდა პირველებს დაგვერღვია შეთანხმება.

–ოჰ, ხო. ჯეიკმა მომიყვა ამ შეთანხმებაზე, მაგრამ ეს ადრე იყო. და რატომ დაარღვევდა ლორანის მოკვლა შეთანხმებას?

–ლორანი –ღიმილით გაიმეორა. მგონი იმან გაამხიარულა, რომ ვამპირებსაც აქვთ სახელები. –ნუ, ჩვენ ფორმალურად კალენების მიწაზე ვიყავით. ჩვენ არ შეგვიძლია, რომელიმე მათგანს კალენებიდან, დავესხად თავს თუ ჩვენს საზღვარს არ გადმოკვეთენ – ამ შემთხვევაში ისინი შეთანხმებას პირველები დაარღვევენ. არ ვიცოდით, შეიძლება ის შავთმიანი რომელიმა იმათთაგანი იყო. მაგრამ როგორც ჩანს შენ მას იცობდი.

–და, როგორ შეუძლიათ შეთანხმების დარღვევა?

–თუ ადამიანს დაესხმებიან თავს. ჯეიკობს არ უნდოდა, რომ ესე ღრმად წასულიყო საქმე.

–ჰმმმ, მადლობა. მიხარია, რომ ლოდინი არ დაიწყეთ.

–ჩვენც –ეს ისე ჟღერდა, თითქოს პირდაპირი მნიშვნელობდით ამბობდა.

ებრიმ აღმოსავლეთ გზას აუარა, ვიდრე ქვიშიან გზაზე მოაბრუნებდა. –ძალიან ნელი პიკაპი გყავს.

–მაპატიეთ.

ქუჩის ბოლოში პატარა სახლი იდგა, რომელიც ოდესღაც ნაცრისფერი იყო.
ერთადერთ, პატარა ფანჯრის ქვემოდ, ცისფერი კარის გვერძე, ყუთებში ყვითელი და ნარინჯისფერი ყვავილები ეწყო, რომლებიც ამ ადგილს უფრო მეტად მიმზიდველობას ანიჭებდა.

ემბრიმ მიხურა პიკაპის კარი და ღრმად შეისუნთქა ჰაერი –მმმ... ემილი რაღაცას ამზადებს.

ჯარედი გადმოხტა საბარგულიდან და კარებისკენ გაემართა, მაგრამ ემბრიმ მაშინვე შეაჩერა ის. მან გამომწვევად შემომხედა და ჩაახველა.

–საფულე თან არ მაქვს –თქვა ჯარედმა

–არაუშავს. დავიმახსოვრებ.

ისინი ერთ საფეხურზე ავიდნენ და დაკაკუნების გარეშე შეაღეს კარი. მეც მათ უკან გავიძურწე.
როგორც ბილის სახლში, აქაც მისაღები უფრო მეტად სამზარეულოს ეკავა. ახალგაზრდა გოგონა, ატლასივით, ყავისფერი

კანით და გრძელი შავი თმებით, მაგიდსთან იდგა, რკინის ფორმებიდან კექსებს იღებდა და ქაღალდის საფარზე აწყობდა. პირველ წამს, ვფიქრობდი, რომ ემბრიმ მიტო მთხოვა რომ მას არ მივჩერებოდი, რადგან გოგონა ძალიან ლამაზი იყო.
შემდეგ, უცებ მელოდიური ხმით იკითხა:

–ბიჭებო გშიათ? –ჩვენსკენ შემოტრიალდა და მხოლოდ ნახევარი სახით გაიღიმა.

სახის მარჯვენა ნახევარი, შუბლიდან ნიკაპამდე სულ მთლად დასახიჩრებული ჰქონდა, სამი სქელი ზოლით, რომლებიც ეხლა მთელს კანთან შედარებით ღია ფერის იყო, რადგან უკვე შეხორცებული ჰქონდა. ერთი შრამი მის შავ თვალთან გადიოდა, მეორე კი, პირის მარჯვენა მხარეს უცნაურად მანჭავდა.
ემბრის დაჟინების გამო, მალევე გადავიტანე ჩემი მზერა ცხელ კექსებზე რომლებსაც მოცვის სურნელი ჰქონდათ.

–ოჰ –გაკვირვებით წარმოთქვა ემილიმ –ეს ვინ არის?

თვალები ავწიე და ვცდილობდი, მხოლოდ მარცხენა მხარეზე მეყურებინა.

–ბელა სვონი. –უთხრა ჯარედმა, ბეჭების აჩეჩვით. ალბათ არართხელ ვყოფილვარ მათი საუბრის თემა –სხვა ვიინ?

–ამაზე მერე ილაპარაკე ჯეიკობი, რომ დაბრუნდება –ჩაიბუტბუტა ემილიმ. ის დაჟინებით მომაჩერდა და მისი ერთ დროს ლამაზი მარჯვენა მხარე კეთილად გამოიყურებოდა –ესე იგი, შენ ვამპირის მეგობარი გოგონა ხარ.

მე დავიძაბე –ხო, შენ კი მგელის შეყვარებული?

მან ემბრისთან და ჯარედთან ერთად გაიცინა. მისი სახის მარცხენა მხარე შესამჩნევად გათბა –ვფიქრობ, რომ კი. –შემდეგ ჯარედს მიუბრუნდა –სემი სად არის?

–ამ დილით ბელას გამოჩენამ... ე-ე... პოლი გააკვირვა.

ემილიმ ჯანმრთელი თვალი გადაატრიალა –ოჰ ეს პოლი –მან ამოიხვნეშა –კიდევ დიდი ხანი დააგვიანდებათ? ეხლახან მინდოდა ომლეტის გაკეთება.

–ნუ ნერვიულობ –უთხრა ემბრიმ –თუ დააგვინდებათ კიდეც, არ გავაცივებთ.

ემილიმ ჩუმად გაიცინა და მაცივარი გააღო.

–ეჭვი არ მეპარება –დაეთანხმა ის –ბელა გშია? მიდი კექსი აიღე.

–მადლობა –მე ავიღე ერთი და გვერდების შემოჭმა დავიწყე. კექსი ძალიან გემრიელი იყო, ჩემი ავადმყოფი კუჭისთვისაც კი. ემბრი უკვე მესამეს იტენიდა პირში, ისიც მთლიანად.

–რამე მაინც დაუტოვედ თქვენს ძმებს –წაიბუზღუნე ემილიმ და ხის კოვზი ჩაუკაკუნა თავში. ამ სიტყვამ ძალიან გამაკვირვა, მაგრამ დანარჩენებს ყურიც არ შეურხევიათ.

–ღორო -თქვა ჯარედმა.

მე მაგიდაზე გადავიხარე და თვალყურს ვადევნებდი, სამივე ერთად როგორ დასცინოდნენ მეგობრულად ერთმანეთს. ემილის სამზარეულო ძალიან მყუდრო იყო, თეთრი ბუფეტი და იატაკი ბრწყინავდა. მრგვალ პატარა მაგიდაზე იდგა ცისფერ დოქში ჩაწყობილი ყვავილები. როგორც ჩანდა ჯარედი და ემბრი თავს როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობდნენ.
ემილიმ რამოდენიმე კვერხი ერთად ჩაახალა დიდ ყვითელ თასში, მან მარჯვენა ხელზე მკლავები აიწია და დავინახე რომ შრამები ხელის მთელს სიგრძეზე მოჰყვებოდა როგრც ემბრიმ მითხრა, მართლაც საშიშია მაქციებთან ყოფნა, გავიფიქრე მე.
   შემოსასვლელი კარი გაიღო და სემი შემოვიდა.

–ემილი –თქვა მან და მის ხმაში იმხელა სიყვარული იყო, რომ შევიშმუშნე კიდეც. შევხედე რომ ერთ ნაბიჯში გადაჭრა ოთახი და ასწია ემილის სახე მისი დიდი ხელებით. მან ემილის შრამებზე აკოცა მანამ ტუჩენში აკოცებდა.

–ოოო, ოღონდ ეს არა –ამოიკვნესა ჯარედმა –მე ხომ ვჭამ.

–მაშინ მოკეტე და დაღეჭე –შესთავაზა სემმა და ისევ აკოცა ემილის დასახიჩრებულ სახეს.

–ფუუუ –წარმოთქვა ემბრიმ.

ეს მელოდრამაზე უარესი იყო, ეს კოცნა იმდენად რეალური იყო, რომ ყვიროდა სიამოვნებასა და სიყვარულზე. მე ჩემი კექსი უკან, თეფშზე დავდე და ხელები გულზე გადავიჯვარედინე. მაგიდაზე ყვავილებს ვუყურებდი, რომ ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა რადგან მოუშუშებელი ჭრილობა გულში, ისევ გაიხსნა.

მადლობელი ვიყავი, რომ ჯეიკობი და პოლი შემოვიდა და ეს ყველაფერი დამთავრდა. გავნცვიფრდი როცა დავინახე, რომ ისინი იცინოდნენ. სანამ თვალს ვადევნებდი პოლმა ბეჭში წაკრა ხელი ჯეიკობს, ჯეიკმაც პასუხად ზურგში წამოკრა. და ისევ ახარხარდნენ. როგორც ჩანს სრულიად უვნებელნი დაბრუნდნენ.
ჯეიკობმა მთელი ოთახი მოათვალიერა და მზერა ჩემზე შეაჩერა.

–პრივეტ ბელს –მხიარულად მომესალმა, გზად ორ კექს სწვდა და ჩემთან გაჩერდა. –მომხდარისთვის ბოდიშს გიხდი –დაიჩურჩულა მან –როგორ ხარ?

–ნუ ღელავ, კარგად ვარ. გემრიელი კექსებია. –მე ისევ ავიღე ჩემი და გავაგრძელე ჭამა. იმწამსვე უკეთესად გავხდი, როცა ჯეიკობი მოვიდა.

–ო, ღმერთო! –დაიყვირა ჯარედმა.

მე თვალები ავწიე – ის და ემბრი, პოლის ბეჭზე ვარდისფერ ლაქას უყურებდნენ. ემბრი ბედნიერად იცინოდა.

–თხუთმეტი დოლარი –დაიტრაბახა მან.

–ეს შენი ნამოქმედარია? –ჩურჩულით ვკითხე ჯეიკობს, ბიჭების ნიძლავი რომ გამახსენდა.

–მხოლოდ ცოტათი შევეხე. საღამოს აღარაფერი ექნება.

–საღამოს? –მე ისევ შევხედე ნაიარევს პოლის ხელზე. უცნაურია მაგრამ ის ერთი კვირისა გეგონებოდათ.

–მგლების ერთერთი ხრიკია –დაიჩურცულა ჯეიკობმა.

თავი დავუქნიე და შევეცადე გაკვირვება დამემალა.

–შენ კარგად ხარ? –სუნთქვის შეკვრით ვკითხე მე.

–ნაკაწრიც არ მაქვს –თვითკმაყოფილად გამომიცხადა.

–აბა, ბიჭებო –ხმამაღლა წარმოთქვა სემმა და ყველა გაჩუმდა. ემილი ფეჩთან იდგა და კვერცხს ტაფაზე ასხავდა, სემი კი ისევ ეფერებოდა ცალი ხელით წელზე. –ჯეიკობს ჩვენთვის ახალი ამბები აქვს.

როგორც ჩანდა პოლს არც გაკვირვებია. უკვე დრო იყო რომ ჯიკობს ყველაფერი ეთქვა მათთვის. თუ... უკვე წაიკითხეს მისი აზრები?

–მე ვიცი რაც უნდა იმ წითურს –ამ სიტყვებით ჯეიკობმა მიმართა ჯარედს და ემბრის. –ამის თქმა მინდოდა თავიდანვე –მან ფეხი წაკრა სკამს რომელზეც პოლი იჯდა.

–მერე? –ჰკითხა ჯარედმა

ჯეიკობმა უხეში სახე მიიღო –მას უნდა შური იძიოს თავისი შეყვარებულის გამო, მაგრამ არა იმ შავთმიანის რომელიც ჩვენ მოვკალით. კალენებმა გაანადგურეს, წინა წელს მისი შეყვარებული და ეხლა ბელაზე ნადირობს.

ეს ამბავი ჩემთვის ახალი არ იყო, მაგრამ მაინც შემაკანკალა. ჯარედი, ემბრი და ემილი მე მომაშტერდნენ და გაკვირვებისგან პირი დააღეს.

–ის, ხომ უბრალოდ გოგონაა. –იმწამსვე გააპროტესტა ემბრიმ.

–მე არ ვამბობ, რომ ეს აზრიანია. მგრამ სწორედ ამიტომ ცდილობს ის რომ ჩვენ გაგვექცეს. მისი მიზანია ფორქსშია.

მათ ისევ მე შემომხედეს პირდაღებულებმა. მე თავი დავხარე.

–გადასარევია –როგორც იქნა თქვა ჯარედმა, ის ნელნელა გაიღიმა –ჩვენ სატყუარა გვყავს.

გასაოცარი სისწრაფიდ, ჯეიკობმა სტაცა მაგიდიდან კონსერვის დანას ხელი და ჯერედს თავში გაუქანა. მაგრამ ჯარედის რეაქცია უფრო სწრაფი იყო ვიდრე მეგონა და დანა პირდაპირ სახესთან დაიჭირა.

–ბელა სატყუარა არ არის.

–შენ იცი რაც ვიგულისხმე –თქვა ჯარედმა დაუბნევლად.

–ესეიგი, ჩვენი გეგმების შეცვლა მოგვიწევს –თქვა სემმა –რამოდენიმე ორმოს ამოვთხრით და ვნახოთ, იქნებ რომელიმეში ჩავარდეს. გაყოფა მოგვიწევს, მაგრამ ეს იდეა არ მახარებს. მაგრამ თუ ის ბელაზე ნადირობს, ვფიქრობ არ დაგვესხმება თავს.

–კვიტებიც დაგვეხმარებიან –ჩაიბურტყუნა ემბრიმ –მაშინ შევძლებთ რომ თანაბრად გავიყოდ.

ყველამ თავები დახარეს. მე ჯეიკობს შევხედე სახეზე, მასზე ისეთივე უიმედობა იყო, როგორაც გუშინ მის ეზოში ჰქონდა. იმისდა მიუხედავად, რომ კმაყოფილნი იყვნენ თავთავიანთი ბედით, აქ ამ მხიარულ სამზარეულოში, არავინ არ უსურვებდა ესეთ განაჩენს თავის მეგობარს.

–მაგრამ ჩვენ მათ ვერ დავეყრდნობით –ჩუმად თქვა სემმა, შემდეგ თავისი ჩვეულებრივი ხმით დაამატა –პოლი, ჯარედი და ემბრი გარე საზღვარს დაიცავენ. მე და ჯეიკობი შიგნითას. დავამთავრებთ როცა დავიჭერთ იმ ქალს.

შევამჩნიე, რომ ემილის არ ესიამოვნდა სემის ესეთ პატარა ჯგუფში ყოფნა. მისმა ნერვიულობამ მეც ამაღელვა და ჯეიკობს შევხედე.

სემმა შეამჩნია ჩემი მზერა –ჯეიკობი ფიქრობს, რომ უკეთესი იქნება რაც უფრო მეტ დროს გაატარებ ლა-პუშში. ის აქ არ დაგიწყებს ძებნას.

–და, ჩარლი? –ვიკითხე მე.

–მგლებზე ნადირობა ისევ გრძელდება –თქვა ჯეიკობმა –ვფიქრობ, რომ ბილი და გარი მოახერხებენ მის აქ გაჩერებას, არასამუშაო საათებში.

–მოიცადეთ –თქვა სემმა და ხელი ასწია. ჯერ ემილის შეხედა შემდეგ მე –ჯეიკობის იდეა კარგია, მაგრამ შენ რას ფიქრობ ამის შესახებ? კარგად უნდა დაფიქრდე ორივე ვარიანტის უსაფრთხოებაზე. დღეს დილით, შენი თვალით ნახე როგორ იქცევა ჩვეულებრივი რაღაცეები საშიშად და გამოდის კონტროლიდან. თუ ჩვენთან დარჩები, სრულ უსაფრთხოებას ვერ შეგპირდებით.

–მე არ მივაყენებ მას ზიანს –თვალების დახრით წარმოთქვა ჯეიკობმა.

სემმა გააგრძელა, თითქოს არ გაუგონია მისი ნათქვამი –თუ შენ გაქვს ადგილი, სადაც ფიქრობ, რომ უსაფრთხოდ იქნები...

მე ტუჩს ვუკბინე. სად უნდა წავიდე, რომ არავის შევუქმნა საფრთხე? იმწამსვე მოვიშორე რენეზე იდეა – ჩავითრიო ის ამ ყველაფერში, სადაც მე ვარ მთავარი მსხვერპლი... –არ მინდა, რომ ვიქტორია კიდევ სადმე წავიდეს –დავიჩურჩულე მე.

სემმა თავი დამიქნია –ნამდვილად. უკეთესია აქ იყოს, სადაც შევძლებთ ბოლო მოვუღოთ.

მე შემაჟრჟოლა. მე არ მინდოდა, რომ ჯეიკობს ან რომელიმე ამათთაგანს მოეკლა ვიქტორია. ჯეიკობს სახეზე შევხედე, ის ეხლა მოდუნებულიყო, თითქმის ისე როგორც მგლად გადაქცევამდე ჰქონდა და არ ფიქრობდა ვამპირებზე ნადირობაზე.

–ფრთხილად იყავი, კარგი? –ვუთხარი როცა ვიგრძენი, რომ პანიკა მიპყრობდა.

ბიჭებმა თანხმობის ნიშნად შეძახილები და ჩემზე სიცილი დაიწყეს – ყველამ, ემილის გარდა. მისი მზერა ჩემსას შეხვდა და მე დავინახე ჰარმონია მის დამახინჯებულ ნაქვთებში. მისი სახე ისევ ლამაზი იყო, მაგრამ მასზე უფრო მეტი მღელვარება იყო ასახული ვიდრე ჩემსაზე. მე შევტრიალდი რადგან, სიყვარული, რომელიც ამ აღელვებაში ბინადრობდა ისევ გამოიწვევდა ჩემში ტკივილს.

–სადილი მზადაა –გამოაცხადა ემილიმ და ყველა სტრატეგიული საუბრები შეწყდა. ბიჭებმა მაგიდასთან დაჯდომას დაუჩქარეს – ის სულ პატარა ჩანდა და გატეხვა ემუქრებოდა მათი წონისგან – როცა ომლეტს სანსლავდნენ დიდი ტაფიდან, რომელიც ემილიმ მაგიდის შუაში დადო.
ემილი ჩემსავით ფეხზე დამდგარი ჭამდა – ის სიყვრულით ადევნებდა მათ თვალს. მისი მზერით მიხვდებოდი, რომ ისინი იყვნენ მისი ოჯახი.
ბოლოს და ბოლოს, სხვას არც ველოდი მაქციების ხროვისგან. მთელი დღე ლა-პუშში გავატარე, უმეტესად ბილისთან სახლში. მან ჩარლის, სამსახურში და სახლში ტელეფონზე შეტყობინება დაუტოვა. ჩარლი ზუსტად სადილობისას მოვიდა ორი პიცით. კარგია, რომ ორი მოიტანა რადგან ჯეიკობმა მარტომ შეჭამა ერთი მთლიანი პიცა.
ვხედავდი, რომ ჩარლი მთელი საღამო გვადევნებდა თვალს მე და ჯეიკს, განსაკუთრებით შეცვლილ ჯეიკობს. მან თმებზეც ჰკითხა, მაგრამ ჯეიკმა უბრალოდ უპასუხა, რომ თავს ესე უფრო კარგად გრძნობს.
ვიცოდი, რომ როგორც კი მე და ჩარლი წავალთ სახლში, ჯეიკობი მაშინვე გადაიქცევა მგლად – როგორაც ამას ყოველდღე აკეთებს. ეხლა, ის და მისი ძმები მუდამ მზადყოფნაში იქნებიან ვიქტორიას დაბრუნებისას. თუმცა, რაც მათ ის კანადის საზღვრამდე გადევნეს – ჯეიკობის სიტყვებით – მის მერე, არ გამოჩენილა.
მაგრამ იმის იმედიც არ მქონდა, რომ ვიქტორია დანებდა და უკან დაიხია. მე ესეთი ბედი არ მაქვს.

ვახშმობის შემდეგ, ჯეიკობმა პიკაპამდე მიმაცილა და დიდხანს იცდიდა ფანჯარასთან სანამ ჩარლი პირველი არ ჩაჯდა მანქანაში.

–დამით შეგიძლია არ ინერვიულო –მითხრა ჯეიკობმა, სანამ ჩარლი უსაფრთხოების ღვედს ეძებდა –ჩვენ ფხიზლად ვიქნებით შენთან ახლოს.

–ჩემს თავზე არ ვინერვიულებ –დავპირდი მე.

–სულელო. ვამპირებზე ნადირობა სასაცილოა. ეს ყველაფერ დანარჩენზე უკეთესიცაა.

მე თავი გავაქნიე –მე თუ სულელი ვარ, მაშინ შენ გადარეული და შეშლილი ხარ.

მან ჩაიხითხითა –დასვენება გჭირდება, ბელა, ძვირფასო. დაღლილი გამოიყურები.

–შევეცდები.

ჩარლიმ მოუთმენლად დაასიგნალა.

–ხვალ შევხვდებით – თქვა ჯეიკობმა –გაიღვიძებ და იმწამსვე ჩემთან.

–გპირდები.

ჩარლი უკან მომყვებოდა, მე არც ვაქცევდი სარკეში, განათებულ ფარებს ყურადღებას. პირიქით მე ვფიქრობდი თუ სად იყვნენ სემი, ჯარედი, პოლი და ემბრი ბნელ ტყეში გაუჩინარებულნი და მოასწო თუ არა ჯეიკობმა მათთან შეერთება.
სახლში რომ მივედი კიბისკენ გავიქეცი, მაგრამ ჩარლიმ მომასწრო.

–რა ხდება ბელა? –პასუხი მომთხოვა, სანამ დაძვრენა მოვახერხე –მეგონა, რომ ჯეიკობი რაღაც ბანდაში იყო და თქვენ იჩხუბეთ.

–უკვე შევრიგდით.

–და ბანდა?

–არც კი ვიცი – ვინ გაუგებს ამ მოზარდ ბიჭებს? ისინი გამოცანებივით არიან. მაგრამ მე სემთან და მის საცოლესთან ემილისთან ვიყავი. იქ ძალიან მომეწონა – მე ბეჭები ავიჩეჩე – ყველაფერი უბრალო გაუგებრობა იყო.

ჩარლის გამომეტყველება შეიცვალა –არ ვიცოდი თუ სემმა და ემილიმ ოფიციალურად განაცხადეს ამის შესახებ. ეს კარგია. საწყალი გოგო.

–ხომ არ იცი რა მოუვიდა?

–დათვმა დაასახიჩრა, ჩრდილოეთით, თევზის მჭამელების სეზონზე – საშინელი ტრაგედიაა. ერთი წლის უკან მოხდა. გავიგე, რომ სემმა ძალიან ძნელად გადაიტანა ეს.

–საშინელებაა –გავიმეორე მე. ესეიგი ერთი წლის წინ. დარწმუნებული ვარ ეს მაშინ მოხდა როცა ლა-პუშში მხოლოდ ერთი მაქცია იყო. შემაჟრჟოლა იმ აზრისგან, როცა წარმოვიდგინე თუ როგორ გრძნობს სემი თავს როცა ემილის ნაიარევს უყურებს. ღამით დიდხანს ვიწექი ფხიზლად და გასულ დღეზე ვფიქრობდი. დაწყებული, სადილობით ბილისთან, ჯეიკობთან და ჩარლისთან, გრძელი საღამოთი ბლეკების სახლში, შემდეგ ემილის სამზარეულო, სადაც აღელვებული ველოდი ჯეიკობზე ამბებს, შიშით მომაგონდა მგლების ჩხუბი და სანაპიროზე ჯეიკობთან ლაპარაკი.
ვფიქრობდი იმაზე, რომ ჯეიკობმა ცბიერი მიწოდა. დიდხანს ვიაზრებდი მის სიტყვებს. სულაც არ მინდოდა რომ ცბიერად ჩამეთვალა თავი, იყო აზრი საკუთარი თავის დადანაშაულებაში? მე მეორე მხარეს გადავბრუნდი და გადასაფარებელში გავეხვიე. არა, ედვარდი მკვლელი არ იყო. თავის ბნელ წარსულშიც არ კლავდა უდანაშაულოებს.
მაგრამ, რა თუ კლავდა? რა, თუ მთელი ეს დრო რაც მას ვიცნობდი, ის როგორც ყველა – უბრალოდ ვამპირი იყო? რა, თუ ხალხი მაშინაც ქრებოდა ტყეში როგორც ეხლა? ეს მე შემაჩერებდა? მოწყენილად გავიქნიე თავი –სიყვარული – არალოგიკური რამაა – შევახსენე ჩემს თავს. –რაც უფრო მეტად გიყვარს ვინმე მით უფრო ნაკლები აზრია შენს ქცევებში.
საწოლზე კარგად გავწექი და სხვა რამეზე შევეცადე ფიქრს – ჯეიკზე და მის ძმებზე, რომლებიც ეხლა სიბნელეში დარბოდნენ. მე ჩამეძინა მგლებზე ფიქრში, რომლებიც ეხლა მე მიცავდნენ საშიშროებისგან. მესიზმრებოდა რომ ისევ ტყეში ვარ, მაგრამ არ დავკარგულვარ. ემილის დასახიჩრებულ ხელზე მეკიდა ხელი და სიბნელეში ვიდექით და აღელვებული ველოდით როდის დაბრუნდებოდნენ ჩვენი მაქციები.

თავი მეთხუთმეტე

წნევა

ფორქსში ისევ გაზაფხული მოვიდა. ორშაბათ დილით, გაღვიძებულმა, ჩვეულებრივზე დიდ ხანს გავჩერდი საწოლში, რომ ეს გამეაზრებინა, წინა გაზაფხულზეც ნადირობდა ჩემზე ვამპირი. იმედია ეს ტრადიციად არ იქცევა.
მე უკვე ლა-პუშის ყველა საქმე ვიცოდი, რაც ხდებოდა. კვირა დღე სანაპიროზე გავატარე, სანამ ჩარლი და ბილი უსაქმურობდნენ ბლეკების სახლში. ჩაფიქრბული იყო, რომ მე ჯეიკობთან ერთად ვსეირნობდი, მაგრამ ის დაკავებული იყო, ამიტომ მარტო დავდიოდი, ჩარლისგან საიდუმლოდ.
როცა ჯეიკობი მორჩა საქმეებს, რამოდენიმე წუთით მინახულა, მომიბოდიშა რომ ამდენი ხანი დამტოვა მარტო, მაგრამ შემპირდა რომ ესეთი რამ აღარ განმეორდება როცა ვიქტორიას დაიჭერენ, მანმადე კი, ფხიზლად უნდა იყონ.
სანაპიროზე სეირნობისას სულ ხელიხელ ჩაკიდებულები ვიყავით. ამან ჯარედის სიტყვებზე დამაფიქრა - რომ ჯეიკობმა თავისი "შეყვარებულიც" ჩაითრია მათ საქმეში. ვიფიქრე, რომ ეს ესეც ჩანდა. სანამ მე და ჯეიკმა ვიცით რაც ხდება ჩვენს შორის მე არ უნდა ვიფიქრო ესეთ დასკვნებზე. ეს არც ამაღელვებდა, რომ არ მცოდნოდა რომ ჯეიკობს სიამოვნებს ესეთი ჭორები. მაგრამ მისი ხელი ნაზი იყო, ის მე მათბობდა და ამიტომაც არ ვეწინააღმდეგებოდი.
სამშაბათს სადილობის შემდეგ ვმუშაობდი – ჯეიკობმა მოტოციკლით მომაკითხა, რადგან დარწმუნებულიყო რომ ცოცხალი მივედი – მაიკმა ეს შეამჩნია.

–შენ რა, ამ ბიჭუნასთან ლა-პუშიდან, პაემანი გაქვს? ის მეორე კურსელია? –მკითხა, ცუდად დამალული წყენით ხმაში.

მე ბეჭები ავიჩეჩე –ამ სიტყვის ფორმალური მნიშვნელობით, არა. მაგრამ მასთან დიდ დროს ვატარებ. ჯეიკობი ჩემი საუკეთესი მგობარია.

მაიკმა თვალები დააწვრილა –საკუთარ თავს ნუ ატყუებ, ბელა. ბიჭი ყურებამდეა შენზე შეყვარებული.

–ვიცი –ამოვიოხრე მე –ცხოვრება რთული რამაა.

–გოგონები კი სასტიკები ხართ –ჩუმად წარმოთქვა მაიკმა.

მივხვდი, რომ ესეთი დასკვნაც ადვილი გამოსატანი იყო.
ამ საღამოს სემი და ემილი შემოგვიერთდნენ დესერტზე მე და ჩარლის, ბილის სახლში. ემილიმ ტორტი მოიტანა, რომელიც ისეთმა მზარეულმაც შეაქო როგორიც ჩარლია. იმის მუიხედავად, რომ საუბარი ჩვეულებრივ თემებზე მიდიოდა, ჩარლი მაინც ლა-პუშის ბანდაზე წუწუნებდა.
მე და ჯეიკი ცოტა ადრე გამოვძვერით, განსანმარტოებლად. გარაჟში წავედით და "ფოლკსვაგენში" ჩავჯექით. ჯეიკობი სავარძელზე გადაწვა და სახეზე დაღლილობა დაეტყო.

–დასვენება გჭირდება ჯეიკ.

–უკვე ახლოს ვარ მაგასთან.

მან ხელი მომკიდა. მისი კანი მწვავდა.

–ეს მგლების ერთერთი განსაკუთრებულობაა? –ვკითხე მე –სიცხეს ვგულისხმობ.

–ხო. ჩვენი ტემპერატურა, ჩვეულებრივ ადამიანზე მეტია. დაახლოებით 60 გრადუსი გვაქვს. აღარასდროს გავიყინები. და შემიძლია ესე ვიარო – მან თავის შიშველ ტანზე მიმითითა – ყინვაშიც. ხოლო ფანტელები წყლად იქცევა სადაც მე ვიდგები.

–და მალე ინკურნებით - ესეც მგლური ნიჭია?

–ხო. გინდა ამის ნახვა? მაგარია. –თვალი ჩამიკრა და გაიღიმა. მანქანაში ჯიბის დანა მოძებნა.

–არა. ამის დანახვა არ მინდა! –ვიყვირე, როცა მივხვდი რის გაკეთებასაც აპირებდა –მოაშორე დანა.

ჯეიკობი ახითხითდა, მაგრამ დანა ისევ შეინახა.

–კარგი. მაგრამ ჩვენი ჭრილობები არაჩვეულბრივად ხორცდება. შენ ხომ არ შეგიძლია მიხვიდე ექიმთან ამოდენა ტემპერატურით.

–ვფიქრობ, რომ არა –მე ამაზე დავფიქრდი –... და ესეთი დიდი ხარ – ესეც ერთერთი შესაძლებლობაა? ამიტომაც ღელავთ კვილზე?

–ხო, ესეც. და კიდევ, კვილის ბაბუამ თქვა რომ მისი შვილიშვილის შუბლზე კვერცხის შეწვა შეიძლება –ჯეიკობს იმედგაცრუება გამოეხატა სახეზე –ცოტა ხანი დარჩა. ზუსტი ასაკი არ არის... სანამდეც იზრდები, შემდეგ კი უცებ... –გაჩუმდა და რამოდენიმე

ხანის შემდეგ შეძლო ლაპარაკი –ზოგჯერ დგება დრო როცა, რაღაცაზე ნანობ, იმაზე რისი გაკეთებაც ადრე შეგეძლო. არაფერს ვნანობდი – ბედნიერი ვიყავი. –მან უსიცოცხლოდ გაიცინა –მაგრამ, მხოლოდ შენი გულისთვის. ეს არ მოხდა ადრე – მე შენელებულ ყუმბარას ვგავდი. იცი ეს როგორ დაიწყო? როცა კინოს შემდეგ სახლში დავბრუნდი, ბილიმ მითხრა რომ საშინლად გამოვიყურები. მხოლოდ ეს, და მე ავფეთქდი. შემდეგ გარდავიქმენი. თითქმის დავგლიჯე მამაჩემის სახე – საკუთარი მამის! –ის გათეთრდა და გააჟრჯოლა.

–ყველაფერი ესე ცუდადაა, ჯეიკ? –აღელვებულმა ვკითხე, ოცნებით, რომ როგორმე მაინც დავხმარებოდი. –უბედური ხარ?

–არა, უბედური არ ვარ –მითხრა მან –უკვე აღარ. აღარ, როცა შენ ყველაფერი იცი. მაგრამ თავიდან ძალიან მძიმე იყო. -ის დაიხარა და ლოყა შუბლზე მომადო.

რამოდენიმე წუთით გაჩერდა და მე ვფიქრობდი თუ რაზე ფიქრობდა ეხლა ის. იქნებ უკეთესიცაა ეს არ ვიცოდე.

–რა არის ყველაზე მძიმე? –დავიჩურჩულე, იმის სურვილით რომ დავხმარებოდი.

–ყველაზე საშინელი არის – გრძნობდე რომ... საკუთარ თავზე კონტროლს კარგავ. –ნელა წარმოთქვა მან. –გრძნობ, რომ ვეღარ ენდობი საკუთარ თავს – თითქოს არც ღირს რომ მომიახლოვდე. თითქოს მონსტრი ვარ, რომელსაც შეუძლია ვინმე დაასახიჩროს. ემილი, ხომ ნახე. სემი მხოლოდ წამით გამოვიდა წყობიდან... ემილი კი ახლოს იდგა. ეხლა კი არ შეუძლია რაიმე შეცვალოს. მე მისი აზრები წავიკითხე – ვიცი თავს როგორ გრძნობს.

–ვის მოუნდება ღამის კოშმარი და მონსტრი იყოს?

–შემდეგ, ყველაფერი ადვილად წავიდა, მე უკეთესად გარდავისახები ვიდრე ისინი, მაგრამ ეს ემბრიზე და სემზე ადამიანურს მხდის? ძოგჯერ მეშინია რომ საერთოდ დამავიწყდება, ყველაფერი ადამიანური რაც ჩემშია.

–ეს რთულია? ხელახლა იპოვე შენი თავი?

–მხოლოდ თავიდან –მიპასუხა მან –ცოტაოდენი პრაქტიკა. მაგრამ მე ეს მიადვილდება.

–რატომ? –გავიკვირვე მე

–იმიტომ, რომ ეფრაიმ ბლეკი ჩემი დიდი ბაბუა იყო, მამის მხრიდან, ხოლო კვილ ატეარა დედის მხრიდან.

–კვილი? –დაბნეულად ვკითხე

–მისი დიდი ბაბუა –განმიმარტა ჯეიკობმა –კვილი ჩემი ბიძაშვილია.

–რატომ არის მნიშვნელოვანი ვინ იყვნენ შენი დიდი ბაბუები?

–იმიტომ რომ ეფრაიმი და კვილი ბოლო მაქციები იყვნენ. მესამე იყო ლევი ული. ჩემში ორივეს სისხლია, ამიტომ მე არანაირი შანსი არ მქონდა. ისევე როგორც კვილს არ აქვს შანსი.

მისი სახე სასტიკი გახდა.

–აბა, რა არის ყველაზე კარგი ამ ყველაფერში? –ვკითხე, იმ იმედით რომ ცოტა გავამხნევებდი.

–ყველაზე კარგი –თქვა, უცებ ღიმილით –არის სიჩქარე.

–მოტოციკლზე მეტად?

მან თავი დამიკრა –არც შეედრება.

–და რამდენად ჩქარა შეგიძლია... ?

–სირბილი? –დაასრულა ჩემი შეკითხვა –საკმაოდ ჩქარა. ნუ, როგორ აგიხსნა? ჩვენ დავიჭირედ... რა ქვიოდა? ლორანი? ვფიქრობ შენ ყველაზე კარგად შეძლებ წარმოიდგინო ეს.

ამან მართლაც დამაფიქრა. წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ მგლები ვამპირებზე სწრაფად დარბიან. როცა კალენები დარბოდნენ, თითქმის უჩინარები იყვნენ.

–შენ მომიყევი, რაღაც რაც არ ვიცი – მთხოვა მან –რაიმე ვამპირებზე. როგორ იქცეოდი მათთან? არ გეშინოდა?

–არა -სწრაფად ვუპასუხე მე.

ჩემმა პასუხმა ცოტა დააფიქრა.

–მითხარი, რატომ მოკლა იმ შენმა სისხლისმწოველმა ის ჯეიმსი? – მოულოდნელად მკითხა მან

–ჯეიმსი, ჩემს მოკვლას ცდილობდა – მისთვის ეს თამაში იყო. მაგრამ მან წააგო. გახსოვს საავადმყოფოში, რომ ვიწექი წინა გაზაფხულს ფენიქსში?

ჯეიკობს სუნთქვა შეეკრა –რა ესე ახლოს მოაღწია?

–ძალიან, ძალიან ახლოს –მე შრამს მოვუსვი ხელი. ეს ჯეიკობმა შეამჩნია რადგან ხელი ჰქონდა ჩემზე ჩაკიდებული.

–რა არის ეს? –გამიშვა რომ შეეხედა მარჯვენა ხელზე –რა სასაცილო შრამია, როგორი ცივი –კარგად დააკვირდა და ამოიოხრა.

–ხო, ეს ის არის რაც გაიფიქრე –ვუთხარი მე –ჯეიმსმა მიკბინა.

თვალები გადმოკარკლა და უცნაური გამომეტყველება მიიღო. ყავისფერ სახეზე მწვანე ფერმა გადაჰკრა. ისე გამოიყურებოდა თითქოს ავად გახდა.

–თუ მან გიკბინა...? შენ არ გახდი...? –შოკში მყოფმა მკითხა.

–ედვარდმა ორჯერ გადამარჩინა –დავიჩურჩულე მე –იარიდან ამომწოვა შხამი –მე შემაჟრჟოლა, მოულოდნელი ტკივილიდან გულში.

მხოლოდ ჩემთვის არ შეუჟრჟოლებია. ვიგრძენი როგორ ყანყალებდა მანქანა, ჯეიკობისგან.

–ფრთხილად ჯეიკ. მშვიდად. დაწყნარდი.

–ხო –მძიმედ სუნთქვით მითხრა –დამშვიდება. –უცებ გააქნია თავი. წუთის შემდეგ მხოლოდ ხელები უკანკალებდა.

–კარგად ხარ?

–თითქმის. კიდევ რამე მომიყევი, სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო.

–რა გინდა, რომ იცოდე?

–არ ვიცი –თვალები დახუჭა, გონების მოსაკრებად –ალბათ, მათ განსაკუთრებულშესაძლებლობებზე. ვის გააჩნდა კიდევ,

კალენებიდან... რაიმე უჩვეულო უნარი? ისეთი, როგორიც აზრების კითხვაა.

ერთი წამი შევყოვნდი. მივხვდი, რომ ამას მხოლოდ ცნობისმოყვარეობისთვის არ კითხულობს, მას მოწინააღმდეგის კარგად გაცნობა უნდა. მაგრამ რატომ უნდა დავუმალო რაც ვიცი? ეხლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, ის კი თავის გაკონტროლებას შეძლებს.
მე ავტიტინდი, თვალების წინ ემილის სახე მედგა, ამისგან თმები ხელებზეც ყალყზე დამიდგა. ვერ წარმომიდგენია, როგორ მოთავსდება ყავისფერი მგელი ამ ფოლკსვაგენში, თუ ჯეიკობი ეხლა, გადაიქცევა ის მთელს გარაჟს დაიკავებს.

–ჯასპერს შეეძლო... მისი გარშემომყოფი ადამიანების ემოციაზე ემოქმედა. მაგრამ არა ცუდი გაგებით, მას შეეძლო დაემშვიდებინა ვინმე. პოლის დახმარებას შეძლებდა –დავამატე, ცოტა გასამხიარულებლად –ელისს, კი შეეძლო დაენახა, ის რაც უნდა მომხდარიყო. მომავალი, მაგრამ არაზუსტი. ის ხედავდა იმას, რისი გამოსწორება და შეცვლა შეიძლებოდა...
მაგალითად, მან დამინახა მკვდარი... კიდევ დამინახა, რომ მათნაირი ვიყავი. მაგრამ არაფერი არ ასრულებულა. რაღაც კი, არასდროს ასრულდება –თავბრუ დამეხვა, ჰაერი არ მყოფნიდა. თითქოს ფილტვები გამიქრა.

ჯეიკობი, ეხლა ბოლომდე აკონტროლებდა თავს..

–რატომ გააკეთე ესე? –მკითხა მან. ჩემი ხელი აიღო, რომელიც გულზე მქონდა მიდებული, მე შევეწინააღმდეგე. ვერც გავიგე, როდის მოვასწარი მისი გულზე მიჭერა. –ესე აკეთებ როცა ნაწყენი ხარ. რატომ?

–მტკივნეულია მათზე ფიქრი –დავიჩურჩულე მე –თითქოს ჰაერი არ მყოფნის და ნაწილებად ვიფლითები... –უცნაურია, რომ შევძელი ეს ყველაფერი ჯეიკობისთვის მეთქვა. ჩვენს შორის აღარ იყო საიდუმლოებები.

ის თმებზე მომეფერა –ყველაფერი კარგადაა, ბელა, ყველაფერი კარგად. მეტს აღარ შეგეკითხები ამის შესახებ. მაპატიე.

–ყველაფერი კარგადაა –ამოვღერღე მე –ეს სულ ხდება. შენი ბრალი არ არის.

–ჩვენ ორი დაწუნებული წყვილი ვართ, ხომ? –თქვა ჯეიკობმა –არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია თავისი სულის ნამსხვრევების შეერთება.

–ვწუხვარ –დავეთანხმე მე ისევ ძლივს სუნთქვით.

–სამაგიეროდ, ერთმანეთს ვყავართ –თქვა და ამ აზრმა დაამშვიდა.

მეც დავმშვიდდი –მართალია –დავეთანხმე მე.

როცა ერთად ვიყავით ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ ჯეიკობი იძულებული იყო საშინელი და საშიში საქმე ეკეთებინა, მე კი, ჩემივე უსაფრთხოებისთვის ხშირად მიწევდა ლა-პუშში მარტო დარჩენა ჩემს ტკივილთან ერთად.
თავს უხერხულად ვგრძნობდი ბილისთან. მათემატიკის ტესტისთვის მოვემზადე, რომელიც შემდეგ კვირას მექნებოდა, მაგრამ სულ მათემატიკას ხომ ვერ ვიმეცადინებდი. როცა საქმე აღარაფერი მქონდა, ვგრძნობდი, რომ ბილის უნდა დავლაპარაკებოდი – ზრდილობის წესები ირღვეოდა. მაგრამ ბილი, არც ისე კარგი მოლაპარაკე იყო. უხერხულობა უფრო მეტად იზრდებოდა. მრავალფეროვნებისთვის, ოთხშაბათს სადილის შემდეგ, ემილისთან წავედი. თავიდან ეს სასიამოვნო იყო. ემილი მართლაც სტუმართმოყვარე ადამიანია. ყველგან კუდში დავყვებოდი, სანამ თვის პატარა ეზოში საქმიანობდა, სახლში იატაკს აპრიალებდა, ყვავილებს რწყავდა, აკეთებდა გაფუჭებულ საკეტებს, როგორც ყოველთვის აკეთებდა საჭმელს. ის ცოტას წუწუნებდა, რომ ბიჭებს სწრაფი ზრდის გამო მადაც მოემატად, მაგრამ ჩანდა რომ მას სიამოვნებდა ბიჭებზე ზრუნვა. მასთან ადვილი იყო ყოფნა – ჩვენ ორივე, მგლების გოგონები ვიყავით.
მაგრამ, ემილისთან ჩემი მისვლიდან რამოდენიმე საათში სემი დაბრუნდა. ცოტა შევყოვნდი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გამეგო როგორ არის ჯეიკობი და რაიმე ახალი ამბავი ხომ არ მომხდარა, შემდეგ კი სწრაფად წამოვედი. მათ სიყვარულის და სიამოვნების აურა ეხვიად თავს, რომელსაც ვერავინ დაარღვევდა.
ამიტომ მე, სანაპიროზე მომიწია გასვლა, ისევ და ისევ კლდეების ქვემოდ და ზემოდ.
მარტოობა ჩემთვის არ არის. ჩემი და ჯეიკობის გულღია საუბრის წყალობით, ეხლა შემეძლო თავისუფლად მელაპარაკა და მეფიქრა კალენებზე. როგორაც არ ვცდილობდი თავის არიდებას – მაინც ბევრს ვფიქრობდი. მე მართლაც ვღელავდი ჯეიკობზე და მის მგელ-ძმებზე, მეშინოდა ჩარლიზე და სხვა ადამიანებზე, რომლებიც ფიქრობდნენ რომ ცხოველებზე ნადირობდნენ. ვფიქრობდი იმაზე, რომ მე და ჯეიკობი უფრო და უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს, იმისდა მიუხედავად, რომ ჯერ არ გადამიწყვეტია რას ვიზამ –

ვერცერთი ამ, ფიქრისთვის დამსახურებული აზრებიდან, ვერ მიქარვებდნენ ტკივილს გულში. ბოლოს და ბოლოს აღარ შემეძლო სეირნობა, რადგან სუნთქვა აღარ შემეძლო. მე ჩამოვჯექი, სველ, კლდის ნაწილზე და თავი მუხლებზე დავდევი.
ჯეიკობმა სწორედ ამ მდგობარეობაში მიპოვა და მისი გამომეტყველებიდან ჩანდა რომ ყველაფერს მიხვდა.

–მაპატიე –სწრაფად წარმოთქვა მან. ფეხზე წამომეყენა და მომეხვია. აქამდე ვერც შევამჩნიე როგორ გავიყინე, მისი სითბოსგან შემაჟრჟოლა, მაგრამ მის გვერდით თავს კარგად ვგრძნობდი.

–მთელი საგაზაფხულო არდადეგები გაგიფუჭე –თავის თავს ეჩხუბებოდა ჯეიკობი, როცა უკან მივდიოდით სანაპიროზე.

–არა არ გაგიფუჭებია. მე ხომ არ მქონია განსაკუთრებული გეგმები. და კიდევ, მე საერთოდ არ მიყვარს საგაზაფხულო არდადეგები.

–ხვალ დილიდანვე მოგხედავ. დანარჩენები ჩემს გარეშე წავლენ. რაიმე გასართობს მოვიგონებთ.

ეხლა, ჩემს ცხოვრებაში ეს სიტყვა უადგილოდ მეჩვენებოდა, თითქმის გამოუყენებლად და უცნაურადაც –გასართობი?

–გართობა, აი რა არის ეხლა შენთვის აუცილებელი. ჰმმმ... –მან უზარმაზარ ნაცრისფერ ტალღებს შეხედა, რაღაცაზე ფიქრში. სანამ ჰორიზონტს გაჰყურებდა მისი თვალები სახეზე შთაგონება გამოეხატა.

–მოვიფიქრე! –წამოიყვირა მან –მე შევასრულებ ჩემს სიტყვას.

–რაზე ლაპარაკობ?

მან ხელი გამიშვა და სანაპიროს სამხრეთით მიმითითა სადაც დაბლობი მთავრდებოდა დიდი კლდეების პირდაპირ. მე გაურკვევლობაში მივაჩერდი მათ.

–ხომ შეგპირდი, იმ კლდეებიდან შენთან ერთად გადმოხტომას?

მე შემაჟრჟოლა.

–სიცივე იქნება მაგრამ არც ისე როგორც დღეს. გრძნობ, როგორ იცვლება ამინდი? წნევა? ხვალ სითბო იქნება. მზად ხარ?

მუქი წყალი, არც ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა, და ამ ადგილიდან კლდეები ჩვეულებრივზე დიდი ჩანდა.
მაგრამ, უკვე რამოდენიმე დღეა არ გამიგონია ედვარდის ხმა. მგონი ეს იყო ერთერთი ჩემი პრობლემა. მე ხშირად ვუსმენდი ჩემი ჰალუცინაციის მოთხოვნებს. საქმე რთულდებოდა თუ დიდი ხანი არ მესმოდა ის. კლდიდან ხტომა კი, გამოასწორებს მდგომარეობას.

–რათქმაუნდა, მზად ვარ.

–მაგრამ ეს, პაემანია –მითხრა მან და მომეხვია.

–კარგი. ეხლა კი წამოდი და დაიძინე –არ მომწონდა, რომ ჩალურჯებები თვალებ ქვეშ, უფრო და უფრო იზრდებოდა მის სახეზე.
მეორე დილას ადრე გამეღვიძა და პიკაპში სათადარიგო ტანსაცმელი ჩავდევი. ვფიქრობდი, რომ დღევანდელი იდეა, ჩარლის ისევე როგორც მოტოციკლეტები არ მოეწონებოდა.
თითქმის ჭკუიდან შემშალა იმ აზრმა, რომ დღეს როგორც იქნა ჩემი განცდებისგან გავნთავისუფლდებოდი. იქნებ ეს მართლაც სასაცილო იქნება. პაემანი ჯეიკობთან, პაემანი ედვარდთან... მე ეშმაკურად ჩავუცინე საკუთარ თავს. ჯეიკს რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკოს რომ ჩვენ დაწუნებულების წყვილი ვართ, მაგრამ სინამდვილეში ეს დაწუნება არ არის. ჩემთვის ხომ მაქცია არ არის რაღაც არანორმალური.
მეგონა, რომ ჯეიკობი გარედ დამელოდებოდა, როგორაც ამას ადრე აკეთებდა ჩემი მანქანის ძრავის ბრახუნს, რომ გაიგონებდა. მაგრამ როცა ის ადგილზე ვერ აღმოვაჩინე, ვიფიქრე რომ ისევ ეძინა. მოვიცდი – დიდი ხანი იძინოს. მისთვის ძილი აუცილებელია, თან ცოტა დათბება კიდეც გარეთ. ჯეიკი მართალი იყო ამინდზე. ღამით ის შეიცვალა. სქელი ღრუბლები ჰაერს აწვებოდნენ, ჩახუთულობა იყო. თბილოდა და მოღრუბლული ამინდი იყო. მე ჩემი სვიტერი მანქანაში დავტოვე.
ჩუმად დავაკაკუნე კარზე.

–შემოდი, ბელა –მითხრა ბილიმ

სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და ცივ ფაფას ჭამდა.

–ჯეიკს სძინავს?

–ე, არა –კოვზი გადადო და წარბები შეყარა.

–რა მოხდა? –ვკითხე მე. მისი გამომეტყველების მიხედვით რაღაც ნამდვილად მოხდა.

–ემბრი, ჯარედი და პოლი დილით ახალ კვალს გადააწყდნენ. სემი და ჯეიკი მათ დასახმარებლათ გავარდნენ. სემს იმედი ჰქონდა, რომ ვიქტორია მთებში დაიმალებოდა. ფიქრობს, რომ კარგი შანსი აქვთ ყველაფრის დასამთავრებლად.

–ოჰ, არა, ბილი –დავიჩურჩულე მე –არა.

მან ჩუმად ჩაიხითხითა –შენ მართლა იმდენად მოგეწონა ლა-პუშში ყოფნა, რომ დროის გახანგრძლივება გინდა?

–არ უნდა ხუმრობა, ბილი. ძალზე საშიშია სახუმაროდ.

–მართალი ხარ –დამეთანხმა, ისევ თვითკმაყოფილმა. მისი შავი თვალებს გამომეტყველება გაურკვეველი იყო. –ისინი ეშმაკები არიან.

მე ტუჩს ვუკბინე.

–ეს არც ისე საშიშია როგორც შენ ფიქრობ. სემმა იცის რაც უნდა გააკეთოს. შენ ერთადერთი ხარ ვიზეც უნდა ვინერვიულოდ. ვამპირს არ უნდა მათთან ბრძოლა, ის მხოლოდ გზას ეძებს, რომ გაექცეს მათ და... შენ გიპოვოს.

–საიდან იცის სემმა რა უნდა გააკეთოს? –ვკითხე მე –მათ, მხოლოდ ერთი ვამპირე მოკლეს, იქნებ უბრალოდ გაუმართლად.

–ჩვენ საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით, ბელა. არაფერი გვავიწყდება. რისი ცოდნაც საჭიროა, მემკვიდრეობით გადადის – მამიდან შვილზე.

რასაც ის გულისხმობდა, მაინც არ მამშვიდებდა. მახსოვრობა, თავშეუკავებელ და მკვლელ ვიქტორიაზე ძალიან ცხადი იყო. თუ მგლებს ვერ შემოუვლის, ის შეეცდება მათში გაიაროს.
ბილი ისევ საუზმობას შეუდგა. სავარძელზე ჩამოვჯექი და უაზროდ დავიწყე არხების გადართვა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მე დაგუდვა დავიწყე ამ ოთახში, კლაუსტროფობიის შემოტევით, ჭკუიდან გადასვლით, რომ ვერ ვხედავდი რა ხდებოდა ფანჯრებს იქეთ.

–სანაპიროზე ვიქნები –უცებ ვუთხარი ბილის და კარისკენ გავიქეცი.

გარედ კარგად ვერ გავხდი, რისი იმედიც მქონდა. ღრუბლები ისე აწვებოდნენ, რომ არ გამიუმჯობესდა კლაუსტროფობიის შემოტევა. ტყე, სანაპიროს გზაზე, გამოცარიელებული ჩანდა. ვერ ვხედავდი

ვერცერთ ცხოველს. ჩიტების ჭიკჭიკიც არ ისმოდა. სიჩუმე ჩამოდგა. ნიავის ხმაც არ ისმოდა.
ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ამინდის შეცვლის მიზეზია, მაგრამ მაინც გამოვედი წყობიდან. მძიმე, თბილი ჰაერი, ატმოსფეროს წნევა ჩემთვისაც შესამჩნევი იყო, ის რაღაც უზარმაზარ, ქარიშხალზე გაფიქრებინებდა. ცაც კი ამტკიცებდა ამას. ქარის არ ყოფნის მიუხედავად ღრუბლები მოგროვდნენ. ყველაზე დაბალი ღრუბლები მუქი ნაცრისფერი იყო, მაგრამ შიგადაშიგ მოჩანდა ალისებრი გაელვება. როგორც ჩანს, ზეცა რაღაც საშინელს ამზადებს დღეისთვის. ცხოველებიც კი დაიმალნენ.
როცა სანაპიროზე მივედი, ვინანე რომ ეს გავაკეთე – უკვე ყელში მაქვს ამოსული ეს ადგილი. აქ თითქმის ყოველდღე დავბოდიალებ მარტო. დიდი განსხვავებაა ჩემი ღამის კოშმარებისგან? მაგრამ სხვაგან სად წავიდე? ქვემოდ, ჩვენს ხესთან ჩავედი და ჩამოვჯექი მის გადახლართულ ფესვებზე. ჩაფიქრიანებული ვუყურებდი ცას, მოლოდინში როდის ჩამოვარდებოდა წვიმის პირველი წვეთი. ვცდილობდი არ მეფიქრა საშიშროებაზე რომელიც ჯეიკობს და მის მეგობრებს ემუქრებოდათ. რადგან არ შეიძლებოდა ჯეიკობს რამე მოსვლოდა. ეს აზრი აუტანელი იყო. მე ძალიან ბევრი დავკარგე – იქნებ ბედი, სიმშვიდის პატარა წვეთს მაინც დამიტოვებს? ეს უსამართლობა იყო. იქნებ მე რაიმე წესი დავარღვიე, საზღვარს გადავაბიჯე. იქნებ არასწორია ესე გატაცებული იყო მითებით და ლეგენდებით, რომ დაბრუნდე ნორმალურ ცხოვრებაში. შეიძლება... არა. ჯეიკობს არაფერი მოუვა. ამის უნდა მჯეროდეს, თორემ ვეღარ ვიცოცხლებ.

–ეჰ! –ამოვიკვნესე მე და ფეხზე წამოვხტი. მეტი აღარ შემიძლია ერთ ადგილზე ჯდომა, ეს უმიზნოდ ბოდიალზე უარესია.
მე მართლა მქონდა ედვარდის ხმის გაგონების იმედი. მეჩვენებოდა, რომ ეს ერთადერთი რამ იყო რისი გულისთვისაც ღირდა დღევანდელი დღის გატარება. მოგვიანებით ტკივილმა გულში, შუაზე გახლეჩვა დამიწყო. ტკივილი გაუსაძლისი ხდებოდა.
ტალღები უფრო და უფრო ძლიერ ეხეთქებოდა კლდეებს სანამ მივდიოდი, მაგრამ ქარი კიდევ არ იყო. ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა, მაგრამ ჩემს გვერდით სიმშვიდე იყო. ჰაერი დაიმუხტა – მე ჩემი თმების დამუხტვაც ვიგრძენი.
შორს ტალღები უფრო დიდი იყო. ვხედავდი როგორ ეხეთქებოდნენ კლდეებს. ჰაერში ნიავიც არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ღრუბლები უფრო მოგროვდნენ. ეს შემაშინებლად გამოიყურებოდა – თითქოს ღრუბლები მისით მოძრაობდნენ. მე შემაჟრჟოლა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს მხოლოდ წნევის ბრალი იყო.
მონაცრისფრო-მოცისფრო ცის ფონზე, კლდეები სულ შავი ჩანდნენ. სანამ მათ ვუყურებდი, უცებ გამახსენდა ადრე, როცა ჯეიკობი მიყვებოდა სემზე და მის "ბანდაზე". მე მომაგონდა ბიჭები –

მაქციები – სიცარიელეში გადამხტარები. მათი ვარდნის და ჰაერში ტრიალის სურათი ისევ ნათლად მედგა თვალ წინ. მე წარმოვიდგნე ვარდნის თავისუფლება... წარმოვიდგინე როგორ გავიგონებ ედვარდის ხმას – გაჯავრებული, ბარხატივით მშვენიერი, სრულყოფილი... ცეცხლი გულში სასტიკად ამენთო.

ამის სამუდამოდ დასამთავრებელი მიზეზი უნდა ვიპოვო. ყოველი წუთით ტკივილი უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. მე შევხედე კლდეებს და ტალღებს.

რატომაც არა? რატომ არ მოვუღო ამას ბოლო ეხლავე? ჯეიკობი კლდეებიდან გადმოხტომას შემპირდა ხომ? მე უარი უნდა ვთქვა ჩემთვის აუცილებელ შესვენებაზე, მხოლოდ იმიტომ რომ ის არ არის ჩემს გვერდით – და რაც უარესია, მე ის მჭირდება იმიტომ რომ ჯეიკობი თავის სიცოცხლეს სწირავს. სწირავს ჩემი გულისთვის. მე რომ არა, ვიქტორია არ მოკლავდა აქ ხალხს... შეიძლება სადღაც სხვაგან, აქედან შორს. თუ ჯეიკობს რამე მოუვა ეს ჩემი ბრალი იქნება. ამ აზრმა საშინელი ტკივილი მომაყენდა და სასწრაფოდ გავიქეცი ბილის სახლისკენ ჩემს პიკაპში.

ვიცოდი, რომ ჩემი ბილიკი კლდეებთან ახლოს გადიოდა, ამიტომ პატარა გზა უნდა მოვძებნო. თვალებით მოსახვევს ვეძებდი, რადგან ვიცოდი რომ ჯეიკობი პატარა კლდეს აირჩევდა გადმოსახტომად. მაგრამ ვიწრო ბილიკი მხოლოდ უფსკრულზე გადიოდა. დრო აღარ მქონდა რომ ქვედა გზა მეძებნა – ქარიშხალი გასაოცარი სისწრაფით ახლოვდებოდა. როგორც იქნა ქარმა მოაღწია ჩემამდე, ღრუბლები კი უფრო მეტად დააწვა მიწას. როცა ადგილზე მივედი, სახეზე წვიმის პირველი მძიმე წვეთები დამეცა.

სულ არ იყო რთული, თავის იმაში დარწმუნება, რომ პატარა კლდეების გზის მოძებნის დრო არ მაქვს – მე უმაღლესი ადგილიდან მინდოდა გადმოხტომა. თავში ჯიუტად ჩამიჯდა ეს სურათი. მინდოდა რომ ჩემი ვარდნა ნელი ყოფილიყო, ფრენასავით.

ვხვდებოდი, რომ ეს ყველაზე სულელური და უპასუხუსმგებლო საქციელი იყო რაც ოდესმე გამიკეთებია. ამ აზრისგან გამეღიმა. ტკივილმა თითქმის გამიარა. სხეული თითქოს გრძნობდა, რომ მალე ედვარდის ხმა გაისმებოდა.

ტალღების ხმა სადღაც შორს ისმოდა, უფრო შორიდანაც კი როცა ბილიკზე მოვდიოდი. სახე შევიჯმუხნე, როცა წყლის ტემპერატურაზე გავიფიქრე. მაგრამ ამის გულისთვის უკან დახევას არ ვაპირებ. ეხლა ქარი უფრო ძლიერ უბერავდა და ჩემამდე მოჰქონდა წვიმის წვეთები.

მთლად კიდესკენ წავედი და ჩემს პირდაპირ, სიცარიელეს მივაჩერდი. წინ მივდიოდი ყველანაირი შეფერხების გარეშე. მოლოდინში, სუნთქვა შევიკარი...

–ბელა.

მე გავიღიმე და ამოვისუნთქე.

–ხო? –მე ჩუმად ვუპასუხე, რადგან მეშინოდა, რომ ჩემი ხმა ამ შეანიშნავ ილუზიას დაარღვევდა. მისი ხმა ისეთი ახლო და რეალური იყო. მაშინ როცა ტყუილი ესეთი საშინელი იყო, მე შემეძლო გამეგონა მისი ნამდვილი ხმა – ბარხატივით ნაზი, მელოდიური – ყველაზე სრულყოფილი ხმა ქვეყანაზე.

–არ გააკეთო ეს –ვედრებით წარმოთქვა მან

–ხომ გინდოდა, რომ ადამიანი ვყოფილიყავი –შევახსენე მე –მაშინ, ეხლა უყურე ამას.

–გთხოვ. ჩემი გულისთვის.

–მაგრამ, არანაირი სხვა გზით შენ არ შეგიძლია ჩემთან დარჩენა.

–გთხოვ –გაისმა ჩურჩული ქარის ხმაში, რომელიც ჩემს სველ თმებს აფრიალებდა – სულ მთლად დავსველდი, თითქოს უკვე მეორე გადახტომა იყო დღეს.

მე ნახევრად გადავიწიე.

–არა, ბელა! –ხმაში სიბრაზე გაისმა, მაგრამ სიბრაზეც მომხიბვლავი იყო.

გავიღიმე და ხელები გავშალე, თითქოს წყალში გადასახტომად, ავწიე თავი წვიმასთან შესახვედრად. მაგრამ ეს უბრალო ჩვევა იყო, რომელიც აუზზე სიარულისას გამომიმუშავდა. მე წინ გადავიწიე... და, აქ გადავხტი კლდიდან.
ჰაერში მეტეორის სიჩქარით მივფრინავდი, ვყვიროდი, მაგრამ არა შიშიდან არამედ სიამოვნებისგან. ჰაერი რომელიც ცდილობდა მიზიდულობის ძალის შეჩერებას, რომლითაც მე მეტეორის სიჩქარით მივფრინავდი, სახეში მხვდებოდა.
ჰო! ეს სიტყვა თავში მიტრიალებდა, როცა წყალს შევეჯახე. ის ყინულივით იყო, იმაზე ცივი ვიდრე წარმომედგინა. ციება ბოლო დონამდე ავიდა.
ბნელ, ცივ წყალში ჩაძირვისას საკუთარი თავით ვამაყობდი. შიშის გრძნობის წვეთიც კი არ გამაჩნდა – მხოლოდ ადრენალინი. ეს სულაც არ იყო საშიში. მაშინ საშიშროება სადღაა?
ის გაჩნდა როცა დინებამ გამიტაცა.
მე იმდენად დაკავებული ვიყავი კლდის სიდიდისა და მოსალოდნელი საშიშროების ზომვით, რომ სულ აღარ მიფიქრია თუ რა მელოდა

წყალში. არასდრო მიფიქრია, რომ ნამდვილი საფრთხე, ჩემს ქვემოთ, მოღრიალე ტალღებში იმალებოდა.
ვგრძნობდი, რომ ტალღები თითქოს ბრძოლობდნენ ჩემს წინააღმდეგ, წინ და უკან მაგდებდნე თითქოს შუაზე გასახლეჩად. ვიცოდი როგორ გავმკლავებოდი დინებას: უნდა ვიცურო სანაპიროს მიმართულებით, მაგრამ ამას ცოდნა არ ჰქვიოდა, წარმოდგენაც არ მქონდა საით იყო ნაპირი.
ყველა მხრიდან შავი წყალი მერტყა. პატარა სხივიც კი არსაიდან მოჩანდა, რომელიც ზემოთ ასასვლელ გზას მიჩვენებდა.
მიზიდულობის ძალისგან ჰაერის წინააღმდეგ, წყალში მისი კვალიც არ დარჩა. მე ჩაძირვასაც ვერ ვგრძნობდი, თითქოს მე ვიძირბოდი ყველა მხრიდა. მხოლოდ ტალღის დარტყმები მისროდენ აქეთ იქით თოჯინასავით.
სუნთქვის შეკვრას და ჰაერის ბოლო მარაგის შენარჩუნებას ვცდილობდი.
არ გამკვირვებია, როცა გაჩნდა ედვარდის ილუზია. მგონი ის თვლიდა, რომ ვიღუპები. მაგრამ მე გამიკვირდა თუ რამდენად დარწმუნებული იყო ის ამაში. მე ეხლახან დავიწყე ჩაძირვა. მე უკვე ვიძირებოდი.

–ცურვა გააგრძელე! –მევედრებოდა ედვარდი.

–საად? აქ სიბნელის მეტი არაფერია. სად გავცურო?

–შეწყვიტე! –მიბრძანა მან –დანებება არც გაბედო!

ცივი წყლიდან ხელები და ფეხები გამიქვავდა. მე უკვე აღარ ვებრძოდი ტალღებს. თავბრუსხვევა დამეწყო.
მაგრამ მე მესმოდა მისი. ვცდილობდი რომ ხელ-ფეხი ამემოძრავებინა, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. და რატომ?

–იბრძოლე! –დაიყვირა მან –ჯანდაბა, ბელა, გააგრძელე ბრძოლა.

რატომ?

მე აღარ მინდოა ბრძოლა. და მიზეზი არ იყო არც დაუდევრობაში და სიცივეში, არც იმაში რომ ხელები და ფეხები არ მოძრაობდნენ, უბრალოდ მე კმაყოფილი ვიყავი ამ მდგომარეობით, რომელშიც ეხლა ვიმყოფებოდი. თითქმის ბედნიერი ვიყავი, რომ ყველაფერი დასრულდა. ეს იყო ყველაზე ადვილი სიკვდილი რაც მინახავს. უცნაურად წყნარი.
მე გავიფიქრე, იმაზე როცა მთელი შენი ცხოვრება თვალწინ გაგირბენს. მე გამიმართლა. ვის არ მოუნდება ამ ყველაფრის ხელახლა ნახვა?

მე ვხედავდი მას, და აღარ მქონდა ბრძოლის სურვილი. ეს იყო ისე ცხადი, მახსოვრობაზეც ზუსტი. ჩემმა გონებამ შეინახა მოგონებები ედვარდზე ყველანაირი წვრილმანით, ბოლო ამოსუნთქვისთვის. მე ვხედავდი მის არაჩვეულებრივ სახეს, თითქოს აქ იყო. ნაქვთებს მისი ყინულივით სახისა, ტუჩების, ნიკაპის მოხაზულობას, მის ოქროსფერ გაბრაზებულ თვალებს. ის მართლაც გაბრაზდა, რომ დავნებდი, მან კბილები გააკრიჭინა.

–არა, ბელა, არა!.

ყურები გაყინული წყლით მქონდა ამოვსებული, მაგრამ მისი ხმა უფრი გარკვევით ისმოდა. მე იგნორირება გავუკეთე მის სიტყვებს და მხოლოდ მის ხმაზე გავაკეთე კონცენტრაცია. რატომ ვიბრძოლო თუ ბედნიერი ვარ? მაშინაც როცა ჩემი ფილტვები იწვის უჟანგბადობისგან და ფეხები გამიქვავდა, მე კმაყოფილი ვარ. მე დამავიწყდა რა არის ბედიერება.
ბედნიერება, ის სიკვდილს თითქმის საშველად ხდიდა.
მაგრამ ამ დროს დინებამ რაღაც მაგარ, სიბნელეში უხილავ ქვას მიმახეთქა. ქვას გულმკერდით დავეტაკე და ფშვიტინით ამოვუშვი ჰაერი ფილტვებიდან. წყალი ყელს მივსებდა. მეჩვენებოდა, რომ ეს ქვა ედვარდისგან შორს ოკეანის ფსკერზე მიმათრევდა.

–მშვიდობით, მე შენ მიყვარხარ –იყო ჩემი ბოლო გაფიქრება.

თავი მეთექვსმეტე

პარისი

შემდეგ მომენტში თავი რაღაც მაგარს მივარტყი.
უაცნაურია. მეგონა რომ ჩავიძირე.
დინება არ სუსტდებოდა. ის ისევ აქეთ იქეთ მახეთქებდა კლდეებზე, რომლებიც პირდაპირ ხერხემალში მირტყამდნენ და წყალს მასხმევინებდნენ ფილტვებიდან. წყალი ძალიან ბევრი იყო, პირიდან და ცხვირიდან თითქოს მდინარე გადმომდიოდა. მარილი მწვავდა, ფილტვები მეწვოდა, ყელი ისე მქონდა წყლით სავსე, რომ ვერ ვსუნთქავდი, კლდეები კი ისევ მირტყამდნენ ზურგში. მაგრამ რატომღაც ერთ ადგილზე ვიყავი, ტალღები კი ისევ ბობოქრობდნენ ჩემს გარშემო. არაფრის დანახვა არ შემეძლო წყლის გარდა, რომელიც ყველგან იყო.

–ისუნთქე! – მიბრძანა ნერვიულობიდან გაშმაგებულმა ხმამ და მე მწვავე ტკივილი ვიგრძენი, რადგან ეს არ იყო ედვარდის ხმა.

მაგრამ არ შემეძლო დავმორჩილებოდი მას. პირიდან გადმოსული ჩანჩქერი, ისევ არ მაძლევდა სუნთქვის საშუალებას. შავი, ცივი წყალი მწვავდა გულს.
კლდემ ისევ დამარყა ზურგში და კიდევ ერთი წყლის ნაკადი გადმომეღვარა პირიდან, რომელმაც ჰაერს გადაუკეტა გზა.

–ისუნთქე, ბელა! მიდი! –მევედრებოდა ჯეიკობი.

შავი წერტილები თვალების წინ იზრდებოდნენ და მიშლიდნენ სინათლის დანახვაზე ხელს.
კლდემ ისევ დამარტყა.
ეს ქვა ოკეანესავით ცივი არ იყო. ის იწვოდა ჩემს კანზე. როგორც იქნა მივხვდი, რომ ეს ჯეიკობის ხელი იყო, რომელიც ცდილობდა ფილტვებიდან წყლის გამოდევნას. ის უცნაური ქვა რომელიც წყილად მიმათრევდა... ისეთივე თბილი იყო... თავბრუ მეხვეოდა, შავი წერტილები ყველაფერს ფარავდა...
იქნებ მართლა ვკვდები? მე ეს არ მომეწონა – არც ისე კარგი იყო როგორც წინათ. ეხლა ირგვლივ სიბნელე სუფევდა, საყურებელი არაფერი იყო. აბობოქრებული ტალღები სიბნელეში მძირავდნენ, და ირგვლივ იყო სტვენა, რომელიც სულ მესმოდა პირდაპირ ყურებში...

–ბელა? –იკითხა ჯეიკობმა, მისი ხმა ისევ დაძაბული იყო, მაგრამ არა ისე მაღალი როგორც ადრე –ბელა ძვირფასო, გესმის ჩემი? თავბრუ მეხვეოდა და ისევ მისტვენდა, თითქოს ჩანჩქერს შევუერთდი...

–რამდენი ხანი იყო უგონოდ? –იკითხა ვიღაცამ.
ხმამ, რომელიც ჯეიკობს არ ეკუთვნოდა გამოფხიზლება მაიძულა. მივხვდი, რომ ისევ ცოცხალი ვიყავი. და არ იყო არანაირი ტალღები,ზედაპირი ჩემს ქვემოთ მაგარი და უძრავი იყო.

–არ ვიცი –უპასუხა ჯეიკობმა, ისევ აღელვებულმა. მისი ხმა ძალიან ახლო იყო. მისი ხელები, როგორც ყოველთვის თბილი, სველ თმებს მაშორებდა სახიდან.

–რამოდენიმე წუთი...და კიდევ რამოდენიმე ხანი სანამ ნაპირზე ამოვიყვანდი.

სტვენა ჩემს ყურებში, როგორც აღმოჩნდა არა ტალღები არამედ ჩემი ფილტვების შესუნთქული და ამოსინთქული ჰაერი იყო. თითოელული ამოსუნთქვა მიწვავდა ფილტვებს. მაგრამ მაინც ვსუნთქავდი.
და, კიდევ, საშინლად გავიყინე. ათასი ყინულივით ნემსი სახეზე და ხელებზე მესობოდნენ და ტკივილს მაყენებდნენ.

–ის სუნთქავს. გონზე მოდის. სიცივიდან უნდა წავიყვანოდ. მისი ფერი არ მომწონს... –ამ ხმაში სემი ვიცანი.

–ფიქრობ, რომ შეიძლება მისი გადაყვანა?

–ხერხემალი ან რამე ხომ არ დაიზიანა როცა დაეცა?

–არ ვიცი.

ისინი შეყოვდნენ.
თვალების გახელას შევეცადე. ამისთვის წუთი დამჭირდა, შემდეგ კი დავინახე იისფერი ღრუბლები, რომლებიც წვიმის ყინულიბით წვეთებს მაწვეთებდნენ.

–ჯეიკ? –ამოვღერღე მე.

ჯეიკის სახემ ცა გადაფარა –ოჰ! –ამოისუნთქა მან. მისი თვალები წვიმისგან სველი იყო. –ო, ბელა! როგორ ხარ? გესმის ჩემი? რაიმე დაიზიანე?

–მხოლოდ ყელი მეწვის –ძლივს წარმოვთქვი, ტუჩები სიცივისგან მიკანკალებდა.

–მოდი აქედან წაიყვანოთ –წარმოთქვა ჯეიკობმა. ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ამიყვანა – როგორც ცარიელი ყუთი. მისი მკერდი შიშველი და თბილი იყო, ის გადამეფარა წვიმისგან დასაცავად. მე, უკან, მივაჩერდი გააფთრებულ წყალს.

–გაართმევ თავს? –გავიგონე სემის კითხვა.

–კი, აქედან წავიყვან. საავადმყოფოში დაბრუნდი. მოგვიანებით შემოგიერთდები. მადლობა სემ.

თავბრუ ისევ მეხვეოდა. თავიდან, არცერთი სიტყვა არ მესმოდა. სემმა არ უპასუხა. ვერანაირი ხმა ვერ გავიგონე. გავიფიქრე, რომ ის უკვე წავიდა.
სანამ ჯეიკობს მივყავდი, ტალღბი ისევ ეხეთქებოდა ქვიშიან ნაპირს, იქ სადაც წეღან მე ვიწექი, თითქოს გაბრაზებული იყო, რომ

გამოვექეცი. სანამ დავიღლებოდი ზღვის ყურებით, სინათლეს მოვკარი თვალი – ცეცხლის პატარა ნაპერწკალი, ქანაობდა შავ წყალში, შორს.
ეს ისე უცნაური იყო, რომ დავინტერესდი, ბოლომდე მოვედი აზრზე? თავში ისევ შავი აბობოქრებული წყალი მიტრიალებდა – იქ ისე დაკარგული ვიყავი, რომ ვერ გამოგო სად იყო ზედა და ქვედა ნაწილი. ისე დაკარგული... მაგრამ ჯეიკობმა როგორ...

–როგორ მიპოვე? –ჩახლეჩილი ხმით ვკითხე.

–მე გეძებდი –მითხრა უბრალოდ. ის გარბოდა ნაპირიდან გზისკენ –შენს კვალს მოვყვებოდი, მანქანიდან, შემდეგ კი შენი ყვირილი გავიგონე... –მას შეაჟრჟოლა –რატომ გადახტი, ბელა? ვერ შეამჩნიე რომ შტორმი იწყებოდა? არ შეგეძლო დამლოდებოდი? – მზრუნველობა გაქრა მის ხმაში და სიბრაზე გამოეხატა.

–მაპატიე –ჩავიბურტყუნე მე –სისულელე გავაკეთე.

–ხო, ეს ნამდვილი სისულელე იყო –დამეთანხმა ის. წვიმის წვეთები ჩამოცვივდნენ, როცა თავი დამიქნია. –წინააღმდეგი ხომ არ ხარ, სულელური საქციელებიდან თავი შეიკავო, სანამ შენს გვერდით არ ვარ? კონცენტრაციას ვერ შევძლებ თუ ვიფიქრებ, რომ შენ სადღაც კლდეებიდან ხტები.

–რათქმაუნდა –დავეთანხმე მე –არ არის პრობლემა -ჩემი ხმა კარგი მწეველისას გავდა. ყელის ჩაწმენდას შევეცადე, მაგრამ გადავიფიქრე – ეს ჰგავდა, თითქოს შიგნიდან დანა გამომისვეს.

–რა მოხდა დღეს? თქვენ... იპოვეთ ის? –ჩემი კანკალის დროც მოვიდა, მაგრამ არ მციოდა ჯეიკოს ტანის გამო.

ჯეიკობმა თავი გაიქნია. მაშინაც როცა მისი სახლი გამოჩნდა ისევ გარბოდა.

–არა. წყალში დარჩა. სისხლისმწოველებს ეს უპირატესობა აქვთ. აი რატომ მივიჩქაროდი სახლში. ვშიშობდი, რომ წყალში კვალს წაშლიდა. შენ იმდენი ხანი იყავი ნაპირზე... ის დადუმდა და სუნთქვა შეეკრა.

–სემი შენთან ერთად დაბრუნდა... დანარჩენებიც სახლში არიან? – იმედი მქონდა, რომ ყველანი დაბრუნდნენ.

–კი. თითქმის.

შევეცადე მისი სახის გამომეტყველება დამენახა. მისი გამოხედვა დაძაბული იყო, მასში მღელვარება და ტკივილი იმალებოდა.

სიტყვები, რომლებსაც ადრე მნიშვნელობა არ ჰქონდათ, ეხლა აზრი შეიძინეს:

–შენ თქვი... საავდმყოფო. სემს უთხარი. ვინმე დაშავდა? ვიქტორიას ებრძოლეთ? –ჩემი ხმა ამაღლდა და ჩახლეჩილობის გამო უცხოდ მომეჩვენა.

–არა. როცა დავბრუნდით, ემილი გველოდა ცუდი ამბებით. გარი კლირვოტერს, დღეს დილით გულის შეტევა მოუვიდა.

–გარი? –თავი გავაქნიე, რომ გავრკვეულიყავი რატომ გაჩერდა. –ო, არა! ჩარლიმ იცის?

–კი. ისიც იქ არის, მამაჩემთან ერთად.

–გარი კარგად იქნება?

ჯეიკობის სახე ისევ დაიძაბა –არა მგონია.

უცებ საშინელი ტკივილი ვიგრძენი, დანაშაულის გრძნობის გამო – გრძნობა მართლაც საშინელი იყო და ყველაფერი სულელური ნახტომის გამო. ეხლა ჩემზე მაინც არავინ იზრუნებდა. რა დროს უპაუხისმგებლო საქციელებია.

–მე რა შემიძლია? –ვკითხე ჯეიკობს.

ამ დროს წვიმამ გადაიღო. მანამ ვერ მივხვდი, რომ ჯეიკის სახლში მივედით ვიდრე კარი არ შეაღო.

–შეგიძლია აქ დაიცადო –მითხრა მან და პატარა დივანზე დამსვა –ვგულისმობ, აი აქ, სანამ მშრალ ტანსაცმელს მოგიძებნი.

თვალები ბნელ ოთახს შევაჩვიე, სანამ ჯეიკობი აბაზანაში ხმაურობდა. წინა ოთახი ბილის გარეშე ცარიელი ჩანდა. ეს უცნაურად და შემაშინებლად გამოიყურებოდა, იქნებ იმიტომ რომ ვიცოდი ეხლა სად იმყოფებოდა.
რამოდენიმე წუთში ჯეიკობი დაბრუნდა. მან ნაცრისფერი ტანსაცმლის გროვა მესროლა

–რათქმაუნდა შენთვის დიდია, მაგრამ მეტი ვერაფერი ვნახე. გავალ, რომ გამოცვლა შეძლო.

–არა, არ წახვიდე. ძალიან დავიღალე, რომ ვიმოძრაო. უბრალოდ აქ იყავი.

ის იატაკზე, დივნისკენ ზურგით დაჯდა. ჩემს თავს ვკითხე, როდის ეძინა ბოლოს ჯეიკს? ის ისე გამოიყურებოდა, როგორაც მე ვგრძნობდი ეხლა თავს.
თავი დივნის ბალიშს მიადო და ჩაეყვინთა:

–მგონი, შემიძლია ცოტა ხანი დავისვენო...

მან თვალები დახუჭა, მეც მივეცი ჩემს თვალებს დახუჭვის საშუალება.
საწყალი გარი, საწყალი სიუ. ვიცი რომ ჩარლი, იქ ბოლომდე დარჩება. გარი ხომ მისი ერთერთი საუკეთესი ბეგობარი იყო. ჯეიკობის პესიმისტური განწყობის მიუხედავდა, იმედი მქონდა რომ გარი გამოკეთდებოდა. ჩარლის, სიუს, ლეას და სეტის გულისთვის. ბილის დივანი გამათმობელთან იდგა და აღარ მციოდა სველი ტანსაცმლის მიუხედავად.
ამის გარდა, ფილტვები მტკიოდა და ძილი მერეოდა, იმის მაგივრად რომ მოვძლიერებულიყავი. ჩავფიქრდი, სწორი იყო თუ არა ეხლა ჩაძინება... თუ პრობლემებიდან თავის დაღწევას ამ გზით ვცდილობდი? ჯეიკობმა, ჩუმად ხვრინვა დაიწყო და ეს ხმა მამშვიდებდა, როგორც იავნანა. მალე ჩამეძინა.
პირველად ამ ხნის განმავლობაში სიზმრები მშვიდი იყო. უბრალოდ არეული ფიქრები და მოგონებები – ფენიქსის მწვავე მზე, დედას სახე, ხის სახლი, გამოხუნებული საფარი, სარკის კედელი, ალი შავ წყალზე... კადრები იცვლებოდა, და მალევე ვივიწყებდი წინა სურათს. ბოლო სურათი ჩამიჯდა თავში. ის უაზრო იყო – გამოსახულებები იცვლებოდა. აივანი, ღამე, თითქოს დახატული მრგვალი მთვარე, ცაზე დაკიდული. თვალს ვადევნებდი გოგონას, მოაჯირზე დაყრდნობილს რომელიც თავის თავს ელაპარაკებოდა.
რაღაც უაზრობაა... როცა ვცდილობდი გამოფხიზლებას და ამ აზრებისგან განთავისუფლებას, ჯულიეტა მაინც რჩებოდა ჩემს ფიქრებში.
ჯეიკობს ეძინა. იატაკზე გაწოლილიყო და მშვიდად სუნთქავდა. ეხლა სახლი უფრუ ბნელი იყო, ვიდრე მანმადე როცა მოვედით, გარეთ კი ბნელოდა. ტანი გამიქვავდა, მაგარმ მშრალი და თბილი ვიყავი. ყელი ისევ მეწვოდა ყოველ ამოსუნთქვაზე.
აუცილებლად უნდა ავმდგარიყავი – სყლის დასალევად მაინც. მაგრამ ჩემს ტანს უნდოდა უმოძრაოდ დარჩენილიყო სამუდამოდ. ამოძრავების მაგივრად ისევ ჯულიეტაზე დავიწყე ფიქრი. ვფიქრობდი იმაზე თუ, რას იზამდა ჯულიეტა რომეოს რომ მიეტოვებინა ის, არა იმიტომ, რომ გააძევეს ქვეყნიდან, არამედ

იმიტომ რომ მან ინტერესი დაკარგა მის მიმართ. თუ არა და, როზალინდას რომ მიეცა მისთვის დრო, ის გადაიფიქრებდა? რა თუ, იმის მაგივრად რომ ჯულიეტაზე დაქორწინებულიყო, უბრალოდ გამქრალიყო?
ვფიქრობ რომ ვიცი, თუ რას იგრძნობდა ჯულიეტა ამ შემთხვევაში. ის არ დაუბრუნდებოდა მის ძველ ცხოვრებას. ის შეწყვეტდა მოძრაობას, ამაში დარწმუნებული ვარ. თუ კი ის სიბერემდე მიაღწევდა, ყოველ ჯერზე როცა თვალებს დახუჭავდა რომეოს დაინახავდა. ის ამას დროთა განმავლობაში შეეგუებოდა. გავიფიქრე, ის გათხოვდებოდა პარისზე, იმიტომ რომ დაეთმო მშობლებისთვის და მშვიდობა შეენარჩუნებინა? დარწმუნებული ვიყავი, რომ არა. მაგრამ ამ ცნობილ ისტორიაში პარისზე თითქმის არ არის მოთხრობილი. ის მხოლოდ მეორე ხარისხოვანი ფიგურაა – უბრალოდ ფონი, და კიდევ ერთი კანდიდატი ჯულიეტას მეუღელოებისა.
რა, თუ ეს არ არის სიმართლე პარისზე?
რა, თუ პარისი სხვა იყო ჯულიეტასთვის? მისი საუკეთესო მეგობარი? რა, თუ ის იყო ერთადერთი ვისაც ენდობოდა და შეეძლო მოეყოლა რომეოს შესახებ? ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ესმოდა მისი გრძნობების და უფრო ადამიანურს ხდიდა მათ? რა, თუ ის იყო მომთმენი და კეთილი? თუ ის ზრუნავდა მასზე? რა, თუ ჯულიეტამ იცოდა რომ ვერ იცოცხლებდა მის გარეშე? რა, თუ მას ნამდვილად უყვარდა ჯულიეტა და უნდოდა რომ ბედნიერი ყოფილიყო?
და... რა, თუ მასაც უყვარს პარისი?
არა ისე როგორც რომეო. რათქმაუნდა ისე არა. მაგრამ საკმარისად იმისთვის, რომ უნდოდეს მისი ბედნიერად ყოფნა?
ჯეიკობის ნელი ღრმა ამოსუნთქვა, ერთადერთი ხმა იყო ოთახში – როგორც იავნანა პატარასთვის, როგორც სავარძელი-საქანელას ფაჩუნი, როგორც ძველი საათის წიკწიკი, რომელიც არასდროს გქონიათ... ის დამამშვიდებლად ისმოდა.
რომეო, რომ მართლა წასულიყო და არასდროს არ
დაბრუნებულიყო, ექნებოდა აზრი იმას,
დაფიქრდებოდა თუ არა ჯულიეტა პარისის
წინადადებაზე? თითქოს შეეცდებოდა აეღო
ნივთები სიცოხლის მაგიდიდან. ალბათ ეს
ყველაზე ახლო იქნებოდა იმ ბედნიერებასთან,
რომლის უფლებასაც მისცემდა ის თავს თავს,
ყველაფრის შემდეგ.
მე ამოვიოხრე და უცებ გავჩუმდი, როცა სუნთქვამ ყელი ჩახეხა. მე ძლიერ ვებღაუჭებოდი ამ ისტორიას. რომეოს არ გადაუფიქრებია და არ მიუტოვებია მისი სიყვარული. აი რატომ იხსენებს, ხალხი აქამდე მის სახელს მასთან ერთად : რომეო და ჯულიეტა. აი რატომ არის

ეს, კარგი ისტორია – ჯულიეტა პარისთან ერთად, რომ მომკვდარიყო არასდროს არ იქნებოდა პოპულარული.
თვალები დავხუჭე და ფიქრებს საშუალება მივეცი ამ სულელური პიესის იქით ეხეტიალად. აღარ მინდოდა ამაზე ფიქრი. მე ვფიქრობდი უფრო რეალურზე – კლდიდან გადმოხტომაზე და სულელურ შეცდომაზე რომელიც დავუშვი. არა მარტო კლდეებზე, მოტოციკლეტებზე და სხვა უპასუხისმგებლო საქციელებზე. რა მოხდებოდა მართლა, რომ ცუდი რამ მომსვლოდა? რას იზამს მაშინ ჩარლი? გარის გულის შეტევამ, ყველაფერი სხვა ნაირად და სხვა გზით დამანახა. გზა, რომლის დანახვაც არ მინდოდა ადრე იმიტომ, რომ მე მომიწევდა ჩემი უსამართლობის აღიარება, მომიწევდა შეცვლა და სხვა გზით ცხოვრება. შევძლებ ვიცხოვრო ძველებურად? შეიძლება. ეს რთული იქნება, სინამდვილეში კი სამწუხარო – უარი ვთქვა ჩემს ჰალუცინაციებზე და შევეცადო დიდი გავხდე. შეიძლება ესეც უნდა გავაკეთო. და შეიძლება შევძლო კიდეც. თუ ჯეიკობი მეყოლება.
ეხლავე ვერ მივიღებ ამ გადაწყვეტილებას. ძალიან მიმძიმს. სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო.
ჩემი დღევანდელი საქციელის გამოსახულებები ისევ მიტრიალებდნენ თავში, მაგრამ მე ვცდილობდი უფრო სასიამოვნო რამეზე მეფიქრა... ფრენის შეგრძნება სანამ ვვარდებოდი, წყლის სიშავე... ედვარდის სახე... მე ამ მოგონებაზე რამოდენიმე ხანი შევჩერდი. შემდეგ ჯეიკობის თბილი ხელები, რომლებიც ცდილობდნენ ჩემთვის სიცოცხლის დაბრუნებას... მწარე წვიმა, რომელიც იისფერი ღრუბლებიდან მოდიოდა... და ბოლოს, უცნაური ცეცხლი წყალზე. რაღაც ნაცნობი იყო ამ ფერის ელვარებაში წყლის ზედაპირზე. რათქმაუნდა ეს არ იქნებოდა ცეცხლი...
ფიქრები, სახლისკენ მომავალი მანქანის ხმამ გამაწყვეტინა. გავიგონე, როგორ გაჩერდა, როგორ გაიღო და დაიკეტა კარებები. წამოჯდომა ვიფიქრე, მაგრამ შემდეგ უარი ვთქვი ამ აზრზე. მაშინვე ვიცანი ბილის ხმა, მაგრამ ის ეხლა უჩვეოლოდ წყნარი იყო, უფრო, ნაწყენ ბურტყუნს გავდა.
კარი გაიღო და სინათლე განათდა. წამიერად დაბრმავებულმა თვალები მოვჭუტე. ჯეიკმა უცებ გაიღვიძა და დაფეთებული წამოხტა ფეხზე.

–გვაპატიეთ –ჩუმად წარმოთქვა ბილიმ –გაგაღვიძეთ?

შევეცადე მისთვის სახეში შემეხედა და შევამჩნიე, რომ მასზე ცრემლები იყო.

–ო, არა, ბილი! –ამოვიკვნესე მე.

მან ნელა დამიქნია თავი, სახე უბედურებისგან ეწვოდა. ჯეიკი სასწრაფოდ მივიდა მამამისთან და ხელი მოჰკიდა. მისი სახე ბავშური ჩანდა, განცდილი ტკივილისგან –ის სრულიად არ უხდებოდა ზრდასრული მამაკაცის ტანს.
სემი ბილის უკან იდგა და მის სავარძელს სახლში აგორებდა. მისი ცივი სახე გამქრალიყო და სიმწარეს დაესადგურა მის ადგილას.

–ძალიან ვწუხვარ –წარმოვთქვი ჩურჩულით.

ბილიმ თავი დამიქნია –ეს ყველასათვის მძიმეა.

–ჩარლი სად არის?

–მამაშენი ისევ საავადმყოფოშია სიუსთან ერთად... ბევრი რამ არის მოსამზადებელი.

ძლივს გადავყლაპე ნერწყვი.

–უკეთესია უკან დავბრუნდე –ჩაიბუტბუტა სემმა და გავიდა.

ბილიმ გამოართვა ხელი ჯეიკობს და თავის ოთახში წავიდა. ჯეიკობი უკან წამოყვა და ისევ ჩემს გვერდით დაჯდა იატაკზე. სახე ხელებზე დადო. ბეჭებზე გადავუსვი ხელი და საჭირო სიტყვების ძებნა დავიწყე.
რამოდენიმე წუთში, ჯეიკობმა სტაცა ჩემს ხელს ხელი და სახეზე მიიდო.

–როგორ გრძნობ თავს? ყველაფერი კარგად გაქვს? ალბათ, ექიმთან ან სადმე უნდა წაგიყვანო –წარმოთქვა მან.

–ჩემზე ნუ ღელავ –ჩახლეჩილი ხმით ვუთხარი მე.

თავი მოაბრუნა, რომ ჩემთვის შეეხედა. თვალები ჩაწითლებოდა.

–ცუდად გამოიყურები.

–თავს არც ისე კარგად ვგრძნობ.

–შენს პიკაპს მოვიყვან და წაგიყვან სახლში, უკეთესია იქ იყო ჩარლი რომ დაბრუნდება.

–მართალი ხარ.

მის მოლოდინში გაუნძრევლად ვიწექი დივანზე. ბილი სხვა ოთახში იყო და დუმდა. მეჩვენებოდა, რომ საკეტის ჭუჭრუტანიდან ვუჭვრეტდი სხვის უბედურებას.
ჯეიკი მალე მოვიდა. ძრავის გრუხუნმა მანამ დაარღვია სიჩუმე ვიდრე ველოდი. ის დივნიდან ადგომაში დამეხმარა, სიტყვაც არ უთქვამს, ბეჭებზე მომეხვია, როცა შემაჟრჟოლა გარეთ გასვლისას. ჯეიკობმა შეკითხვის გარეშე დაიკავა მძღოლის ადგილი და გვერდით დამისვა ისევ ჩახუტებული. თავი გულზე მივადევი.

–სახლში როგორ მოხვალ? –ვკითხე მე.

–სახლში არ წავალ. ჯერ კიდევ არ დაგვიჭერია სისხლიმწოველი, გახსოვს?

ეხლა უკვე სიცივიდან არ მაკანკალებდა.
შემდეგი გზა სიჩუეში გავიარეთ. ცივმა ჰაერმა საბოლოოდ გამომაფხიზლა. ჩემმა გონებამ შიში დაივიწყა და სწრაფად დაიწყო მუშაობა.
რა ვქნა? როგორ მოვიქცე სწორად?
ეხლა ვერ წარმომედგინა სიცოცხლე ჯეიკობის გარეშე. მაძრწუნებდა მხოლოდ ის აზრიც რომ შეიძლება რამე შეიცვალოს. ასე თუ ისე, ის ბევრს ნიშნავდა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ყველაფერი დავტოვო ისე როგორაც არის... ეს მართლაც სისასტიკე იქნებოდა, მგონი ესე თქვა მაიკმა.
გავიხსენე ჩემი ოცნება, რომ ჯეიკობი ჩემი ძმა ყოფილიყო. მივხვდი, რომ ერთადერთი რაც მინდოდა – მისი მართვა იყო. მე არ მქონდა დაძმური სიყვარული მის მიმართ როცა ესე მეხუტებოდა. უბრალოდ, სასიამოვნო იყო – სითბო, კომფორტი და ნაცნობობა. უსაფრთხოება. ჯეიკობი იყო უსაფრთხო თავშესაფარი.
მე შემეძლო ულტიმატუმი წამეყენებინა. შემეძლო მემოქმედა მასზე, ეს ჩემს ძალაუფლებაში იყო.
მაგრამ ვიცოდი, რომ ჯერ ყველაფერი უნდა მეამბო ჩემზე. ესე სამართლიანი იქნება. ყველაფერი ისე უნდა ავუხსნა, რომ სწორად გამიგოს – რომ მე არ ვარ მისი შესაფერისი, ის ძალიან კარგია ჩემთვის. ჯეიკობმა დიდი ხანია იცის რომ მე დამსხვრეული ვარ, ეს მას არ გაკვირვებია, მაგრამ მან უნდა იცოდეს ჩემი ნაკლოვანებები. დავეთანხმები კიდეც თუ იფიქრებს, რომ გიჟი ვარ – განსაკუთრებით, იმისთვის რომ ხმა მესმის. ყველაფერი უნდა გაიგოს სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.
მაგრამ, როგორც კი გადავწყვიტე მისთვის ყველაფრის მოყოლა, მაშინვე მივხვდი, რომ ჯეიკობი ყველაფრისდა მიუხედავად მაინც არ მიმატოვებს. არც დაფიქრდება პასუხის გასაცემად.
მინდოდა მომეყოლა მისთვის – ბოლოს და ბოლოს ამესრულებინა ეს მოვალეობა, ყველაფრის მიუხედავად. მართალია გატეხილი ვარ და

ჩემი ნამსხვრევები გაფანტულია... მაგრამ მაინც, ეს იყო ერთადერთი გზა მასთან სამართლიანად მოქცევისა. შევძლებ ამის გაკეთებას? შეიძლება ეს არასწორი იყოს, თუ შევეცდები, რომ ჯეიკობი ბედნიერი გავხადო? მაშინაც კი, თუ სიყვარულს რომელსაც მის მიმართ ვგრძნობ, გამოძახილია იმ სიყვარულისა რომელიც დავკარგე და ჩემი გული დაფრინავს ჩემს რემეოსთან, ეს არასწორი იქნება?
ჯეიკობმა პიკაპი ჩემი ჩაბნელებული სახლის წინ გააჩერა და ძრავა გამორთო, რისგანაც უცებ სიჩუმე ჩამოდგა. ეხლა, როგორც ბევრჯერ, ჩანდა, რომ ერთი და იგივე რამეზე ვფიქრობდით.
ერთი ხელით მომეხვია და მეორეთი მისკენ მიმწია. თავი ისევ კარგად ვიგრძენი. თითქოს ისევ გავმთელდი.
მეგონა, რომ ის გარიზე იფიქრებდა, მაგრამ როცა დაილაპარაკა მის ხმაში მობოდიშება იგრძნობოდა:

–მაპატიე. ვიცი რომ შენ არ იზიარებ ჩემს გრძნობებს, ბელა. გეფიცები რომ არ ვარ ამის წინააღმდეგი. მე, ისე ბედნიერი ვარ რომ შენ კარგად ხარ, ვიმღერო კიდეც შემიძლია – მაგრამ ვშიშობ რომ ამის მოსმენა არავის არ მუნდება. –მან გაიცინა თავისი ბოხი სიცილით, პირდაპირ ჩემს ყურში.
სუნთქვა გახშირდა და ყელმა ისევ შემახსენა თავი.
  უნდოდა ედვარდს, რაოდენ სულერთი არ უნდა ვყოფილიყავი მისთვის, რომ ბედნიერი ვყოფილიყავი ამ გარემოებაში? საკმარისი იყო მისთვის, განეცადა მეგობრული გრძნობა და ბედნიერება ესურვა ჩემთვის? ვფიქრობდი, რომ კი. მას არ სურდა ჩემი ვინმესთვის გაყოფა. ის მაძლევდა მისი სიყვარულის მცირე ნაწილს და არ მომცემდა უფლებას, რომ მე მიმეცა ჩემი სიყვარული ჯეიკობისთვის. ბოლოს და ბოლოს ეს არ იყო ისეთივე სიყვარული.
ჯეიკობმა ლოყა შუბლზე დამადო.
თუ სახეს შევატრიალებ – თუ ვაკოცებ მის შიშველ ბეჭს... უეჭველად ვიცი ამას რაც მოჰყვება. ეს ადვილი იქნება. არ იქნება არანაირი ახსები საჭირო ამ საღამოს.
მაგრამ შემიძლია ამის გაკეთება? შემიძლია ვუღალატო ჩემს არარსებულ გულს, რომ შევინარჩუნო ჩემი საცოდავი სიცოცხლე? ტანში ჟრუანტელმა დამიარა სანამ ვფიქრობდი შემეტრიალებინა თავი თუ არა.
შემდეგ ისე ცხადად, თითქოს საშიშროება მემუქრებოდა, ედვარდის ბარხატივით ხმამ ყურში ჩამჩურჩულა:

–იყავი ბედნიერი –მითხრა მან.

მე გავშეშდი.
ჯეიკობმა იგრძნო, რომ დავიძაბე და ავტომატურად გამიშვა ხელი და კარისკენ გაიწია.

მოიცადე, მინდოდა მეთქვა. მაგრამ მე ვიყურებოდი სივრცეში და ვუსმენდი ედვარდის ხმის ექოს.
ცივმა ჰაერმა დაუბერა პიკაპში.

–ო! –ამოისუნთქა ჯეიკობმა, თითქოს მუცელში ჩაარტყესო
–ჯანდაბა!

მან ისევ მოაჯახუნა კარი და გასაღები გადატრიალა. ხელები ისე უკანკალებდა, ვფიქრობდი, რომ ვერც გააკეთებდა ამას.

–რა მოხდა?

ძრავა სწრაფად აამუშავა. ეხლა პიკაპი ირხეოდა.

–ვამპირი –ამოღერღა მან

თავბურსხვევა ვიგრძენი –საიდან იცი?

–მის სუნს ვგრძნობ. ჯანდაბა!

ჯეიკობის თვალები გაშმაგებული ადევნებდნენ ჩაბნელებულ ქუჩას. მგონი, ვერ ამჩნევდა ურჟოლას რომელიც ტანში უვლიდა –თავს დავესხა თუ გავიტყუო აქედან? –თავის თავს დაუჩურჩულა.
ძრავა აღრიალდა. მან მანქანა სწრაფად მოაბრუნა. ფარებმა გზა და ტყის ზოლი გაანათეს, და მე დავინახე ბრწყინავი მანქანა ჩემი სახლსი საპირისპირო მხარეს გაჩერებული.

–გაჩერდი! –მე ვიგუდებოდი.

ეს იყო შავი მანქანა – მანქანა რომელიც კარგად ვიცოდი. შეიძლება მანქანების მარკების ცოდნიდან შორს ვიყავი, მაგრამ მე შემეძლო ყველაფერი მომეყოლა ამ მანქანაზე. ეს იყო – მერსედესი Ш55 .
ვიცოდი რამდენი ცხენის ძალა იყო მაში და რაფერის იყო სალონი. ვიცოდი ძრავის ხმა. მდიდრული სურნელი ტყავის სავარძლების და ბნელი მინები, როგორ აქცევდნენ შუა დღეს ბინდად.
ეს იყო კარლაილის მანქანა.

–გაჩერდი მეთქი! –ვიყვირე მე უფრო ხმამაღლა რადგან ჯეიკობი ქუჩის ბოლოში მიდიოდა.

–რა?!

–ეს ვიქტორია არ არის. გაჩერდი, გაჩერდი! დაბრუნება მინდა.

მუხრუჭს ისე მაგრად დააჭირა ფეხი, რომ წინ მინას თავი მივარტყი.

–რა?! –ისევ მკითხა განცვიფრებულმა. და გიჟივით მომაშტერდა.

–ეს კარლაილის მანქანაა. ვიღაც კალენებიდანაა. ვიცი.

ის უყურებდა ჩემს გაბრწყინებულ სახეს და ძლიერმა ჟრჟოლამ დაუარა ტანში.

–ჯეიკ დამშვიდდი. ყველაფერი კარგადაა. საშიშროება არ არის, ხედავ? დაწყნარდი.

–ხო, დავმშვიდდე –ის მძიმედ სუნთქავდა, წუთით დავი დასწია და თვალები დახუჭა. სანამ გონებას იკრებდა, რომ მგლად არ გადაქცეულიყო. მე უკანა ფანჯრიდან ისევ შავ მანქანას მივაჩერდი.

–ეს ალბათ კარლაილია –ვუთხარი ჩემს თავს. მეტს არც ელოდო, იქნებ ესმი... ეხლავე შეწყვიტე, ვუთხარი ჩემს თავს. მხოლოდ კარლაილი. ეს საკმარისია. იმაზე მეტიც კი რისი იმედიც მქონდა.

–იქ ვამპირია, შენს სახლში –დაიჩურჩულა მან –და შენ, დაბრუნება გინდა?

უცებ შევხედე მას, იმის შიშით რომ მერსედესი გაქრებოდა.

–რათქმაუნდა –გაკვირვებით ვუპასუხე. რათქმაუნდა მინდა დაბრუნება.

ჯეიკობის სახე დაიძაბა და ნიღაბი გადაეფარა, გავიფიქრე რომ ეხლა სამუდამოდ წავიდოდა. მაგრამ სანამ ნიღაბი გადაეფარებოდა დავინახე როგორ გაიელვა მის თვალებში წყენმა ჩემი ღალატის გამო. ხელები ისევ უკანკალებდა. ეხლა ჩემზე 10 წლით უფროსს ჰგავდა.

მან ღრმად ჩაისუნთქა –დარწმუნებული ხარ, რომ მახე არ არის? –მკითხა ჩუმად, მისი ხმა მძიმედ ისმოდა.

–მახე არ არის. ეს კარლაილია. უკან წამიყვანე!

ბეჭები გაიქნია თვალები კი შეუცვლელი დარჩა –არა.

–ჯეიკ, ყველაფერი კარგადაა...

–არა. შენ თვითონ დაბრუნდი, ბელა –ხმა მწარედ გაისმა და მე შევხტი მისი ხმოვანებისგან. –მისმინე ბელა, -წარმოთქვა არც ისე უხეშად –მე არ შემიძლია უკან დაბრუნება. იქ ჩემი მტერია.

–არა, ეხლა ყველაფერი სხვაგვარადაა...

–ამას სემს შევატყობინებ. ეს ყველაფერს ცვლის. მათ ტერიტორიაზე არ უნდა გამოგვიჭირონ.

–ჯეიკ, ეს ხომ ომი არ არის.

ის არ მისმენდა. პიკაპი გააჩერა და მანქანიდან ჩახტა.

–კარგად, ბელა –მომაძახა მან –გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ არ მოკვდები.

სიბნელეში გაქანდა და მისი ფიგურა აღარ ჩანდა. მანამ მოასწრო გაუჩინარება სანამ პირი დავაღე დასაძახებლად.
სინანულმა მიმაჯაჭვა სავარძელზე, ერთი გრძელი წუთი –რა გავაკეთე, ჯეიკობ?
მაგრამ სინანული დიდხანს ვერ შემაჩერებდა.
მძღოლის სავარზელზე გადავჯექი და ძრავა ავამუშავე. ხელები ჯეიკობივით მიკანკალებდა და ცოტა მოცდა მომიწია ვიდრე დავმშვიდდი. პიკაპი ფრთხილად მოვაბრუნე და სახლისკენ წავედი. როცა ყველა ფარანი ჩამთვარდა სულ მთლად ჩამობნელდა. ჩარლსის სიჩქარეში დაავიწყდა ჩვენი ფანრის ჩართვა. უკვე ეჭვი შემეპარა ჩემს გადაწყვეტილებაში, მივაჩერდი სიბნელეში ჩაძირულ სახლს. რა, თუ ეს მართლა მახე იყო?
მე ისევ შევხედე შავ მანქანას, რომელიც ძლივს ჩანდა სიბნელეში. კი. მე ნამდვილად ვიცი ეს მანქანა.
ხელები უფრო მიკანკალებდა, როცა კარის გასაღებს ვიღებდი. როცა სახელურს ვსტაცე ხელი ადვილად გაიღო. დერეფანში ბნელოდა.
მინდოდა დამეძახებინა, მაგრამ ყელი გამიშრა. მეგონა რომ ვერ ამოვისუნთქებდი.
სახლში შევედი და ჩამრთველის ძებნა დავიწყე. ისე ბნელოდა, თითქოს ირგვლივ მხოლოდ შავი წყალი ყოფილიყო... სად არის ეს ჩამრთველი?
ზუსტად ისე, როგორც შავი წყალი, ნარინჯისფერი ალი, შეუძლებელი, რომ წყალზე ანთებულიყო... ალი რომელიც ვერ იქნებოდა ცეცხლი, აბა მაშინ რაა? ჩემი თითები სინჯავდნენ კედლებს ჩამრთველის ძებნაში.
უცებ, რაღაც, ჯეიკობის ნათქვამი დღეს, თავში ამომიტივტივდა და აზრი შეიძინა... ის წყალში დარჩა, თქვა მან. სისხლისმწოველებს

ამაში უპირატესობა აქვთ. ამიტომ მივიჩქაროდი სახლში – მეშინოდა, რომ წყალში კვალს წაშლიდა.
ხელები გამეყინა, ტანი გამიქვავდა. მე ვიცანი უცნაური ნარინჯისფერი ალი წყალზე.
ვიქტორიას თმები, ქარში გაშლილი, ცეცხლისფერი...
ის იქ იყო. იქ წყალში, ჩემთან და ჯეიკობთან ერთად. სემი, რომ არ გამოჩენილიყო, მხოლოდ ორი რომ ვყოფილიყავით...? არც სუნთქვა და არც განძრევა არ შემეძლო ამ აზრისგან.
შუქი აინთო, მაგრამ ჩემს ხელს არ მოუძებნია ჩამრთველი.
თვალები ავახამხამე, მოულოდნელი შუქის გამო და, როგორც იქნა დავინახე ვინ იყო ის, ვინც ჩემს მოსვლას ელოდა.

თავი მეჩვიდმეტე

მნახველი

არარეალურად თეთრი სახე, გაფართოებული შავი თვალებით, მიყურებდა მე, ჩემი მნახველი გაუნძრევლად მელოდა ოთახის ცენტრში, წარმოუდგენელლად ლამაზი.
მუხლები მიკანკალებდა რამოდენიმე წუთის განმავლობაში და კინაღამ დავეცი, შემდეგ კი მისკენ გავექანე.

–ელის, ო, ელის! –ვყვიროდი მე როცა ჩავეხუტე მას.

დამავიწყდა თუ როგორი მაგარი იყო ის. მეგონა, თითქოს სირბილის დროს კედელს შევასკდი.

–ბელა? –მის ხმაში ირეოდა შვება და დაბნეულობა.

მე მას მოვეხვიე, რომ შემეგრძნო მისი უმშვენიერესი არომატი, როგორაც შემეძლო. სურნელი არაფერს არ ჰგავდა – არც ყვავილების, არც სანელებლებისას, არც ციტრუსების, არც მუშკისას. ვერანაირი სუნამოები, მთელს ქვეყანაში ვერ შეედრებოდა მას.
ვერ შევამჩნიე, როგორ გადამექცა სუნთქვა სხვა რაღაცაში, მხოლოდ ეხლა მივხვდი, რომ ვტიროდი, როცა ელისმა ტახტისკენ წამიყვანა მისაღებ ოთახში და მუხლებზე დამისვა. ეს ჰგავდა ქვაზე დაშვებას,

ქვაზე, რომლიც კომფორტულად იყო გამოჭრილი ჩემი ტანისთვის. ის ნაზად მეფერებოდა ზურგზე, სანამ დამშვიდებას შევძლებდი.

–მე... მაპატიე –ვთქვი ტირილით –მე, უბრალოდ... ისე ბედნიერი ვარ... შენ რომ დაგინახე!

–ყველაფერი კარგადაა, ბელა. კარგად.

–ხო –დავიყვირე მე. და ამჯერად მართლაც ესე იყო. ელისმა ამოიოხრა:

–დამავიწყდა, როგორი არომატიც გაქვს –თქვა გამკიცხავად.

მე მას ცრემლებიდან შევხედე. ელისის ყელი დაძაბული იყო, ჩემგან შორს გაწეული, მან მაგრად მოკუმა პირი. თვალები ნახშირივით შავი ჰქონდა.

–ო –ამოვიოხრე, მე როცა მივხვდი პრობლემას. მას სწყუროდა. მე კი კარგი არომატი მქონდა. რამდენი ხნის უკან ვიყავი იძულებული ესეთი რამეები დამეცვა

–მაპატია.

–ეს ჩემი დანაშაულია. დიდი ხანია არ მინადირებია. თავს არ უნდა მივცე უფლება აქამდე გამაწვალოს წყურვილმა. მაგრამ დღეს ვჩქარობდი –მზერა რომელიც მესროლა, ნათელი შუქი იყო –ამიხსენი, როგორ ხარ ცოცხალი?

ამ კითხვამ მაიძულა წავმომდგარიყავი და ტირილი შემეწყვიტა. მე მივხვდი რაც მოხდა და რატომ იყო ელისი აქ.

ნერწყვი გადავყლაპე –შენ დაინახე როგორ გადავვარდი.

–არა –ის არ დამეთანხმა და თვალები დააწვრილა –მე დავინახე როგორ გადახტი.

პირი მოვკუმე. ვცდილობდი ისეთი ახსნა მომეძებნა, რომლისგანაც არ იფიქრებდა, რომ გავგიჟდი.

ელისმა თავი გააქნია –ვეუბნებოდი, რომ ეს მოხდებოდა, მაგრამ არ მიჯერებდა. “ბელა დამპირდა” –მისმა ხმამ ისე გასცინა ედვარდისას, რომ მოულოდნელი ტკივილისგან გავშეშდი, როცა ეს ტკივილი გასკდა მთელს ტანში. –”ის ესე იფიქრებს თავის მომავალზე” –

აგრძელებდა ელისი მის ციტირებას –ჩვენ საკმარისი გავაკეთეთ მისთვის.
–თუ მე არ ვუყურებ, ეს იმას არ ნიშნავს რომ ვერ ვხედავ – აგრძელებდა ის –მე არ ველოდი ასეთ რამეს შენგან, ბელა გეფიცები. ეხლა არ ვიცი როგორი დამოკიდებულება უნდა მქონდეს შენს მიმართ... თვითმფრინავში ვჯდებოდი, როცა დავინახე როგორ გადმოხტი. ვიცოდი, რომ გვიან ჩამოვიდოდი, მაგრამ არ შემეძლო უბრალოდ გაჩერება. და შემდეგ, მე მოვდივარ აქ, იმისთვის რომ რამენაირად დავეხმარო ჩარლის და შემოდიხარ შენ –მან თავი გააქნია გაურკვევლობისგან. მისი ხმა დაძაბული იყო –დავინახე, რომ წყალში გადახტი. რა მოხდა? როგორ შეგეძლო გაგეკეთებია ეს და არ გეფიქრა ჩარლიზე? არ გიფიქრია რა მოუვიდოდა? ჩემი ძმა? შენ ალბათ ნებისმიერი გზით გინდა რომ ედვარდი, ედვარდი...

როგორც კი ელისმა მისი სახელი წარმოთქვა მაშინვე შევაწყვეტინე. მე მივეცი გაგრძელების უფლება მაშინაც როცა ის ცდებოდა რადგან მესმინა მისი წკრიალა ხმა, მაგრამ ეხლა მომიწია რომ შემეწყვეტინებია მისთვის.

–ელის, მე თვითმკვლელობა არ ჩამიდენია.

მან ეჭვით შემომხედა –გინდა თქვა რომ კლდიდან არ გადმომხტარხარ?

–არა, მაგრამ... –მე შევიშმუშნე –ეს მხოლოდ მძაფრი შეგრძნებების გამო იყო.

მისი გამომეტყველება გამაგრდა.

–მე დავინახე, როგორ ხტებიან კლდიდან ჯეიკობის მეგობრები. ამან... მხიარულება მომაგონა, და მეც მოვსინჯე...

ელისი მელოდა.

–არ მიფიქრია, რომ შტორმი დაიწყებოდა. სინამდვილეში წყალზე არც მიფიქრია.

ელისი არ უჯერებდა ჩემს სიტყვებს. ვხედავდი, რომ ისევ ფიქრობდა, რომ მე თავის მოკვლას ვცდილობდი. თემის შეცვლა გადავწყვიტე.

–თუ დაინახე როგორ გადმოვხტი, რატომ ვერ დაინახე ჯეიკობი?

ელისი კედელს მიეყრდნო.

მე ვაგრძელებდი –სინამდვილეში მართლა ჩავიძირებოდი, ჯეიკობი რომ არ გადმომხტარიყო ჩემს უკან. კარგი, ალბათ ეს დაუჯერებელია. მაგრამ ის გადმოხტა და გამიყვანა ნაპირზე, მაგრამ კარგად არ მახსოვს მომხდარი. ალბათ წუთი გავიდა რაც წყალში ვიყავი და სანამ ამომიყვანა. ეს რატომ ვერ დაინახე?

ის გაურკვევლობაში შეიშმუშნა –თქვენ ვინმემ გამოგიყვანათ?

–ხო. ჯეიკობმა გადამარჩინა.

ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს როგორ იცვლებოდა მის სახეზე გაურკვევლობის ემოციები. რაღაც ანერვიულებდა მას – მისი არაზუსტი ხილვა? მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვიყავი. შემდეგ ელისი წამოდგა და ჩაიცინა ჩემს ბეჭთან.
მე გავშეშდი.

–ნუ ხარ სასაცილო –ჩაიბუტბუტა მან.

–რას აკეთებ?

მან ჩემს კითხვას იგნორირება გაუკეთა –ვინ იყო შენთან ერთად? – ეს ისე ისმოდა თითქოს ვკამათობდით.

–ჯეიკობ ბლეკი. ის... ჩემი საუკეთესო მეგობარია. ყოველ შემთხვევაში იყო... –მე მოვიგონე გაბრაზებული, ღალატიანი ჯეიკობის სახე, და დავფიქრდი ვინ იყო ეხლა ის ჩემთვის?

ელისი შეფიქრიანებული აქნევდა თავს.

–რა?

–არ ვიცი –თქვა მან –არ ვიცი ეს რას ნიშნავს.

–კარგი, მე ხომ მკვდარი არა ვარ, ბოლოს და ბოლოს.

ელისმა თვალები გადაატრიალა –სულელი იყო, როცა ფიქრობდა, რომ მარტო გაძლებდი. არასდროს არ მინახავს ესეთი მიდრეკილების ქონა ხიფათების მიმართ.

–მე გადავრჩი –გავიმეორე ისევ.

ის კიდევ რაღაცაზე ფიქრობდა –თუ დინება ძალზე ძლიერი იყო, ჯეიკობი როგორ გაუმკლავდა მას?

–ჯეიკობი... ძლიერია.

მან შეამჩნია დამალვა ჩემს ხმაში და წარბები შეყარა. ტუჩზე ვიკბინე. იყო ეს საიდუმლო თუ არა? თუ იყო, ვის მიმართ იყო ჩემი ერთგულება უფრო დიდი? ჯეიკობი თუ ელისი? ძნელი იყო საიდუმლოს დამალვა. ჯეიკობმა ყველაფერი იცი, რატომ არ გავაგბინო ელისსაც?

–ჰმ... ნუ ის... მაქციაა. –წარმოვთქვი იმპულსურად –მათი ოჯახი მგლებად იქცევა, როდესაც გრძნობენ რომ ახლოს ვამპირია. ისინი კარლაილს იცნობენ დიდი ხანია.

ელისმა ჩემზე გააშტერა თვალები, შემდგე კი უცებ მოეგო გონს –კარგი, ვფიქრობ რომ ეს სუნს ხსნის – ბურტყუნებდა ის –მაგრამ როგორ ავხსნად ის რომ არავინ დამინახავს? –მისი მარმარილოსავით შუბლი შეიჯმუხნა.

–სუნი? –გავიმეორე მე.

–საშინელი სუნი გაქვს –მითხრა ისევ მოღუშულად. –მაქცია? დარწმუნებული ხარ?

–ნამდვილად –დავუდასტურე მე. გამაჟრჟოლა როცა გავიხსენე პაულის და ჯეიკობის ჩხუბი. –მგონი, შენ მაშინ არ იყავი კარლაილთან, როცა ფორქსში მაქციები იყვნენ?

–არა. მე მოვძებნე ის. –ელისი ისევ ფიქრებში იყო ჩაძირული. უცებ თვალები გაუფართოვდა და მომაჩერდა განცვიფრებული სახით. –შენი საუკეთესო მეგობარი, მაქციაა?

მე მორცხვად დავუქნიე თავი.

–რამდენი ხანია ეს გრძელდება?

–არ ისე დიდი –ვთქვი დამცველობითი ტონით –მხოლოდ რამოდენიმე კვირის მაქციაა.

ის გაურკვეველი თვალებით მიყურებდა –ახალგაზრდა მაქცია? უფრო მეტი საშინელებაა! ედვარდი მართალი იყო, საშიშროებებს მაგნიტივით იზიდავ. არ გიფიქრია, ამ მეგობრობის საშიშროებაზე?

–არაფერი ცუდი არ არის მაქციებში –წავიბუზღუნე მე, ნაწყენმა მისი მკაცრი ტონით.

–სანამ სიმშვიდეს არ კარგავენ –თავი გააქნია და მიბრძანა –ბელა, შეეშვი ამ მეგობრობას. თითქოს არაფერი გემუქრებოდა როცა ვამპირები წავიდნენ ქალაქიდან. მაგრამ შენ პირველ შემხვედრ მონსტრთან მეგობრობ!

არ მინდოდა ელისთან კამათი - მე ისევ მაკანკალებდა სიხარულისგან რომ ის აქ იყო, ნამდვილად აქ იყო, მე შემეძლო შევხებოდი მის მარმარილოსავით კანს, მესმინა მისი წკრიალა მჭღერი ხმა – მაგრამ ის, არასწორად ნსჯიდა ყველაფერს.

–არა, ელის, სინამდვილეში ვამპირები არ წასულან, ყველა არა. მე დიდი პრობლემები მაქვს. მაქციები რომ არა, ვიქტორია გამისწორდებოდა. და კიდევ, რომ არა ჯეიკი და მისი მეგობრები, ლორანი მანამდე ჩამარჭობდა მის კბილებს, სანამ ვიქტორია. აი ესე...

–ვიქტორია? –დაიჩურჩულა ელისმა –ლორანი?

თავი დავაქნიე, ცოტა აღელვებულმა მისი გამომეტყველებით. ხელი გულზე მივიდე –მაგნიტი, გახსოვს?

მან ისევ გააქნია თავი –ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი.

მე დავიწყე ისტორიის მოყოლა თავიდან, მოტოციკლეტების და ჰალუცინაციების გამოტოვებით, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი მოვუყევი, დღევანდელ დღემდე. ელისს არ მოეწონა ჩემი დამოკიდებულება, მოწყენილობასა და კლდიდან გადმოხტომაზე , ასე რომ მე უცებვე გავაგრძელე მოყოლა უცნაურ ალზე წყალში და ჩემს წარმოდგენაზე ამის შესახებ. მისი თვალები ეხლა უფრო დაწვრილდნენ. უცნაური იყო მისი გამოხედვის ყურება... საშიშროებით განცვიფრებული ვამპირი. მე ძლივს გადავყლაპე ნერწყვი და გავაგრძელე მოყოლა, გარის შესახებ. ელისი, ამბავს შეუწყვეტავად უსმენდა. ძოგჯერ თავს აქნევდა ან შუბლს იჭმუხნიდა და გეგონებოდათ რომ

ხაზები მის მარმარილოს შუბლზე ამოჭრილი იყო. ის არ ლაპარაკობდა და როგორც იქნა დავასრულე, ისევ დამწუხრებული იმითი, რომ გარი აღარ არის. ჩარლიზე ვფიქრობდი. რა მდგომარეობაშია ეხლა?

–ჩვენი გამგზავრება შენ სასიკეთოდ
არ წაგდგომია, ხომ? –ჩაუბურტყუნა ელისმა

მე ჩავიცინე – ცოტა ისტერიკული სიცილით –ეს არ იყო, ნამდვილი მიზეზი, ხომ? საქმე ჩემში არ არის.

ელისი შეიშმუშნა –კარგი... ვფიქრობ, რომ დღეს იმპულსურად მოვიქეცი. მგონი, არ უნდა გამომეყენებინა ბოროტად...

ვიგრძენი როგორ გამეყინა სისხლი. შიგნიდან რაღაც ჩამწყდა –არ წახვიდე, ელის –ვჩურჩულებდი მე. ჩემი თითები მის თეთრ საყელოს მოვუჭირე და სული ჩამეხუთა. –გევედრები, არ დამტოვო.

მისი თვალები გაფართოვდნენ –კარგი –მითხრა მან, ნელნელა თითოეული სიტყვის გამოკვეთით –დღეს ღამით დავრჩები. ღრმად ისუნთქე.

დამორჩილებას შევეცადე, მაგრამ ვერც კი გავრკვიე ფილტვები სად მქონდა.
ელისი სახეზე მიყურებდა სანამ ნორმალურად სუნთქვას ვცდილობდი. იცდიდა სანამ
არ დავმშვიდდი, რომ აეხსნა

–დემონს მაგონებ, ბელა.

–დღეს ვიძირებოდი –შევახსენე მე

–ყველაფერი უფრო რთულადაა. რაღაც გჭირს.

მე გამაჟრჟოლა –რავქნა, ვცდილობ.

–რაზე ამბობ?

–ცუდად ვარ. ვცდილობ რომ გავუმკლავდე ამას.

ის შეიშმუშნა –ხომ ვეუბნებოდი –უთხრა თავის თავს.

–ელის –ამოვიოხრე მე –რის ნახვას ელოდი აქ? ნუ, იმის გარდა, რომ მკვდარს მნახავდი. ელოდი, რომ დაგხვდებოდი, მხიარული, უდარდელად მოღიღინე? შენ კარგად მიცნობ.

–ხო, კარგად გიცნობ, მართალი ხარ. მაგრამ იმედი მქონდა.

–მაშინ, ვფიქრობ, რომ არ მაქვს სისულელეების ბაზარზე კარავი.

ტელეფონმა დარეკა.

–ჩარლი იქნება –ვთქვი დაეჭვებულად. ელისის ქვასვით ხელს ვსტაცე ხელი და სამზარეულოში გავიყვანე ჩემთან ერთად. არ ვაპირებდი თვალი მომეშორებინა მისთვის.

–ჩარლი? –ავიღე ყურმილი.

–არა, მე ვარ –მიპასუხა ჯეიკობმა.

–ჯეიკ!

ელისი ჩემს გამომეტყველებას აკვირდებოდა.

–მინდა დავრწმუნდე რომ ისევ ცოცხალი ხარ – უსიამოვნოდ თქვა ჯეიკობმა.

–ყველაფერი კარგადაა. ხომ გითხარი, რომ ესეც იქნებოდა.

–ხო. გასაგებია. კარგად.

ჯეიკობი ჩემზე ნერვიულობდა.
ამოვიოხრე, თავი უკან გადავაგდე და ჭერს მივაჩერდი –ეს შეიძლება პრობლემად იქცეს.

ელისმა ხელზე მომიჭირა –ჩემზე ხომ არ ინადირებენ?

–ვფიქრობ, რომ არა. ყოველშემთხვევაში ერთი იმათგანი ნამდვილად არა.

ელისი მომეხვია –კარგი, რა გავაკეთოდ? –მსჯელობდა

ის. რამოდენიმე წამი თავის თავს ელაპარაკებოდა –საქმეები უნდა გააკეთი. თავისუფალი ბოლოები უნდა შეკრა.

–რა საქმეები გააკეთო?

სახე აუფორიაქდა –არ ვიცი, ალბათ..., კარლაილი უნდა ვნახო.

ესე მალე წავა? მუცელი დამიტრიალდა.

–შეგიძლია დარჩე –ვთხოვე მე –გევედრები? სულ ცოტა. ისე ძალიან მენატრებოდი. –ხმა გამებზარა.

–თუ ფიქრობ რომ ეს კარგი აზრია. –მას დამწუხრებული თვალები ჰქონდა.

–დარწმუნებული ვარ. შეგიძლია დარჩე, ჩარლისაც გაეხარდება.

–სახლს ვგულისხმობ, ბელა.

მე იმედგაცრუებულმა დავუქნიე თავი. ის ყოყმანობდა ჩემზე დაკვირვებით.

–კარგი, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ტანსაცმელები უნდა წამოვიღო.

მე მისკენ გავექანე და მაგრად ჩავეხუტე –ელის შენ, საუკეთესო ხარ!

–და, ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა ვინადირო. სასწრაფოდ –დაამატა მოწყენილი ხმით

–უი –მე უკან გავიწიე.

–შეგიძლია, ერთი საათი მაინც გაძლო პრობლემების გარეშე? –მკითხა სკეპტიკურად. შემდეგ, სანამ ვუპასუხებდი, თითი ასწია და თვალები დახუჭა. რამოდენიმე წამში მისი სახე მშვიდი გახდა. შემდეგ თავლები გაახილა და თავისივე კითხვას გასცა პასუხი –კი, ყველაფერი კარგად იქნება. დღეს ღამით მაინც. –სახე დამანჭა, მაგრამ ესეც კი ანგელოზს ჰგავდა.

–ხომ დაბრუნდები? –ვკითხე წვრილი ხმით.

–გპირდები, რომ ერთ საათში ვიქნები.

მე საათს შევხედე. მან გაიცინა, დაიხარა, რომ ლოყაზე ეკოცნა და შემდეგ, წავიდა.
მე ამოვიხვნეშე. ელისი დაბრუნდება. უცებ თავი უკეთ ვიგრძენი.
ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებდი სანამ ველოდი – შხაპი პირველი იყო. მე კარგად დავყნოსე ჩემი ტანსაცმელი, მაგრამ ზღვის სუნის გარდა ვერაფერი ვიგრძენი. ვფიქრობდი, თუ რას გულისხმობდა ელისი როცა მითხრა, რომ საზიზღარი სუნი მაქვს.
როცა კრისტალურად სუფთა ვიყავი, მხნედ შევაბიჯე სამზარეულოში. არანაირი ნიშანი არ იყო იმისა, რომ ჩარლსი სახლში ესადილა. ესეიგი, მშიერი დაბრუნდება. სამზარეულოში ვტრიალებდი და ვფიქრობდი რა მომემზადებინა.
სანამ ღუმელში საჭმელი მზადდებოდა, ელისისთვის, ტახტზე გადასაფარებელი გადავაფარე და ბალიშები მივაწყვე. ელისს საჭმელი არ სჭირდება, მაგრამ ეს ჩარლიმ არ უნდა შეამჩნიოს. ვცდილობდი, რომ ყოელ ხუთ წუთში არ შემეხედა საათისთვის. არ არის არანაირი მიზეზი პანიკისთვის. ელისი დამპირდა.
მე გავსინჯე ჩემი მომზადებული საჭმელი, მაგრამ მხოლოდ ტკივილი ვიგრძენი, როცა საჭმელმა ყელში გაიარა, ეხლა ყველაზე მეტად, მწყუროდა. თითქმის ერთი ლიტრი წყალი დავლიე. ჩემში ჩამოღწეულმა მარილმა გამომაშრო.
თელევიზორის საყურებლად წავედი, სანამ ველოდებოდი.
ელისი უკვე იქ იჯდა, გაწყობილ საწოლზე. მისი თვალები თხევად ირისებს ჰგავდა. გამიღიმა და ბალიში ჩაიხუტა –მადლობა.

–ადრე დაბრუნდი –ვთქვი გახარებულმა.

მის გვერდით დავჯექი და ბეჭზე დავადევი თავი, ის თავისი ცივი ხელებით მომეხვია და ამოიხვნეშა.

–ბელა. რა უნდა მოგიხერხოდ?

–არ ვიცი –ვაღიარე მე –მართლა ვცდილობდი, რომ

ძლიერი ვყოფილიყავი.

–მჯერა შენი.

მან ეს ჩუმად წარმოთქვა.

–მისი, მისი გულისთვის... –მე ამოვიხვნეშე. მძიმე იყო მისი სახელის წარმოთქვა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ფიქრი შემეძლო –ედვარდმა იცის, რომ აქ ხარ? –ვერ შევიკავე თავი, რომ არ მეკითხა. ეს ჩემი ტკივილი იყო ბოლოს და ბოლოს. დიდი ხანი ვიფიქრებდი ამზე, როცა წავიდოდა და დავიტანჯებოდი გაურკვევლობიდან.

–არა.

მხოლოდ ერთი ვარიანტი დარჩა –ის, კარლაილთან და ესმისთანაა?

–ის მათ ყოველ რამოდენიმე თვეში ნახულობს.

–ო. –ის ალბათ ისევ სიგიჟით ტკბება. მე უფრო უსაფრთხო თემაზე გადავიტანე ყურადღება. –შენ თქვი, რომ ჩამოფრინდი... საიდან?

–მე დენალიში ვიყავი. ტატიანას ოჯახი მოვინახულე.

–ჯასპერი აქაა? შენთან ერთად ჩამოვიდა?

მან თავი გააქნია –ის არ ამართლებს ჩემს ჩარევას. ჩვენ დავპირდით... –ის გაჩუმდა და შემდეგ მისი ტონი შიცვალა –შენ ფიქრობ, რომ ჩარლი არ იქნება წინააღმდეგი ჩემი აქ დარჩენის?

–ჩარლი ფიქრობს, რომ შენ არაჩვეულებრივი ხარ ელის, როგორ იქნება წინაღმდეგი?

–კარგი, ამას მალე გავიგებთ.

რამოდენიმე წამში მანქანის ხმა გავიგონე. ფეხზე წამოვხტი და კარის გასაღებად წავედი.
ჩარლი ნელი ნაბიჯებით მოდიოდა, თავ დახრილი და ბეჭებ ჩამოგდებული. მე წინ გავედი მის შესახვედრად, მაგრამ ვერც შემამჩნია სანამ არ მოვეხვიე. ისიც

სასოწარკვეთილებით მომეხვია.

–ძალიან ვწუხვარ გარიზე, მამა.

–მე ნამდვილად მაკლია ის –ჩაიბუტბუტა ჩარლიმ

–მისმა ცოლმა როგორ მიიღო ეს ამბავი?

–ის შოკირებულია, თითქოც არ უნდა მომხდარს დაჯერება. მას სემი ამშვიდებს... –მისი ხმა ამაღლდა –საწყალი ბავშვები. ლიხი ერთი წლითაა შენზე უმცროსი, სეტი კი მხოლოს თოთხმეტისაა... –მან თავი გააქნია.
ის დაძაბული აგრძელებდა ჩემს ჩახუტებას და სახლისკენ გაიწია.

–ჰმ, მამა? –ვფიქრობდი, რომ უნდა გამეფრთხილებინა –ვერასდროს ვერ გამოიცნობ ვინ გვყავს სტუმრად.

მან გულგრილად შემომხედა და უკან მდგარ შავ მანქანას შეავლო თვალი, სანამ რეაგირება ექნებოდა, ელისი გამოჩნდა მისაღებში.

–გამარჯობა, ჩარლი –თქვა დამწუხრებული ხმით. –ვწუხვარ, რომ ესეთ შეუფერებელ დროს მოვედი.

–ელის კალენ? –ის უყურებდა პატარა ფიგურეს თითქოს ეჭვი ეპარებოდა იმაში თუ რას ხედავდნენ მისი თვალები. –ელის, ეს მართლა შენ ხარ?

–კი, მე ვარ. –დაუდასტურა მან –აქვე ჩავიარე და...

–კარლაილთან ერთად ხარ...?

–არა მარტო ჩამოვედი.

ელისმა და მე ვიცოდით, რომ ჩარლი კარლაილზე არ ეკითხებოდა. მისი ხელი მაგრად მიჭერდა ბეჭზე.

–ელისს ხომ შეუძლია ჩვენთან დარჩენა? –ვედრებით ვკითხე მე –მას უკვე ვთხოვე.

–რათქმაუნდა –მექანიკურად მიპასიხა ჩარლიმ –შენთან ერთად ყოფნა გვინდა, ელის.

–მადლობა ჩარლი. ვიცი, რომ შეუფერებელი დრო შევარჩიე.

–არა, ეს მართლა არაჩვეულებრივია, რომ აქ ხარ. მე დაკავებული ვიქნები გარის ოჯახის დახმარებით. შენ კი, ბელასს კარგ კომპანიას გაუწევ.

–მამა საჭმელი მოგიმზადე, მაგიდაზეა –ვუთხარი მე

–მადლობა, ძვირფასო. –ის კიდევ მაგრად მომეხვია სანამ სამზარეულოში გავიდოდა

ელისი ტახტზე დაბრუნდა და მეც გავყევი. მან ბეჭზე დამადებინა თავი.

–დაღლილი გამოიყურები.

–ხო. -დავეთანმხე მე და ბეჭები ავიჩეჩე –ალბათ ყველაფერი ჩემი სასიკვდილო ტრიუკების ბრალია... კარგი, კარლაილი რას ფიქრობს შენს ვიზიტზე?

–მან არ იცი. ის და ესმი ნადირობენ. მისგან ამბავს რამოდეიმე დღეში გავიგებ, როცა დაბრუნდება.

–შენ ეტყვი მას, როცა... როცა ისევ მოვა? –ვკითხე მე.

–არა. თავს მომაჭამს –თქვა ელისმა დაღვრემილად.

მე გავიცინე და შემდეგ ამოვიოხრე.
დაძინება არ მინდოდა. მინდოდა მთელი ღამე მელაპარაკა ელისთან. ვერ ვხედავდი, აზრს დაღლილი რომ ვყოფილიყავი, მე ხომ მთელი დღე ჯეიკობის ტახტზე გავატარე. მაგრამ რომ ვიძირებოდი, ამან მთელი ძალები წამართვა და თვალები მისით მეხუჭებოდნენ. მე ელისის ქვასავით ბეჭზე დავრჩი და ჩავიძირე ისეთ მშვიდ ძილში, რომელზეც მხოლოდ ოცნება შემეძლო.
ადრე გავიღვიძე და თავს კარგად, დასვენებულად ვგრძნობდი. მე ვიწექი ტახტზე ადიელაში გახვეული, რომელიც ელისისთვის მოვიტანე. მე გავიგონე როგორ ლაპარაკობდნენ ელისი და ჩარლი სამზარეულოში. ალბათ ჩარლი საუზმით უმასპინძლდებოდა.

–რამდენად ცუდად იყო ყველაფრი? –ჰკითხა ელისმა რბილად და თავიდან ვიფიქრე, რომ კლიროუტერებზე ლაპარაკობდნენ...

ჩარლიმ ამოიხვნეშა –ძალიან ცუდად.

–მომიყევი ამაზე. ზუსტად მინდა ვიცოდა რა მოხდა ჩვენი წასვლის შემდეგ.

პაუზა ჩამოვარდა, სანამ კარადის კარი დაიკეტა, ღუმელი კი დროს გასვლას ატყობინებდა. მე მეუთმენლად ველოდი.

–მე არასდროს მიგვრძნია თავი ესეთი უძლური, -ნელა დაიწყო ჩარლიმ –არ ვიცოდი რა მექნა. პირველ კვირაში, ვფიქრობდი, რომ მისი გოსპიტალიზირებაა აუცილებელი. ის არ ჭამდა, არ სვამდა, არ მოძრაობდა. ექიმი ჯერანდაი ბევრ რაღაცებს ამბობდა, დაახლოებით: შეწყვიტე იყო უმოძრაო, და ესეთები. მაგრამ მე არ ვაძლევდი უფლებას ბელასთვის მიემართა, მეგონა რომ ის შეაშინებდა მას.

–შემდგე?

–მე დედამისს ვთხოვე ჩამოსვლა და მისი ფლორიდაში წაყვანა. უბრალოდ არ მინდოდა მარტო მე ვყოფილიყავი... თუ მისი საავადმყოფოში დაწვენა გახდებოდა საჭირო, ან რაღაც. ვიმედოვნებდი, რომ დედასთან უკეთესად გახდებოდა. მაგრამ როცა მისი ნივთების ჩალაგებას ვიწყებდით, გაორმაგებული ძალით იღვიძებდა. არსდროს მინახავს ბელას ესეთი ქცევა. ის არასდროს აწყობდა ისტერიკებს, მაგრამ აქ, ის გაგიჟდა. ის ტანსაცმელებს აქეთ იქით ისროდა და ყვიროდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი აქედან წაყვანა და შემდეგ, როგორც იქნა, ატირდა. ვფიქრობდი, რომ ყველაფერი შემობრუნდებოდა. მე არ ვეწინააღმდეგებოდი, მის აქ დარჩენას და ჩანდა რომ მართლა დაიწყო გამოკეთება...

ჩარლი დადუმდა. ძნელი იყო ჩემთვის ამის მოსმენა, ცოდნა თუ რამხელა ტკივილი მივაყენე მას.

–მაგრამ? –დააჩქარა ელისმა

–ის, დაუბრუნდა სკოლას და სამსახურს, ჭამდა და ეძინა, ასრულებდა საშინაო დავალებებს. პასუხობდა თუ ვინმე კითხვას უსვამდა. მაგრამ ის ცარიელი იყო... მისი თვალები არაფერს გამოხატავდნენ. კიდევ მოხდა ბევრი უმნიშვნელო დეტალი, მუსიკას აღარ უსმენს, მე ვნახე უამრავი დისკი სანაგვე ურნაში. ოთახშიც არ შემოდიოდა თუ ტელევიზორი იყო ჩართული. და როგორც იქნა მივხვდი რაშიც იყო საქმე, ის გაურბოდა ყველაფერს რაც ახსენებდა... მის თავს. ჩვენ ძლივს ვლაპარაკობდით, მეშინოდა ისეთი რამ არ მეთქვა რაც გულს ატკენდა, უბრალო რაღაცეებზეც კი აკანკალებდა და არაფრით არ ინტერესდებოდა, ის მხოოდ მექანიკურად იძლეოდა პასუხებს. სულ მარტო იყო. მეგობრებთან ურთიერთობა არ ჰქონდა და ბოლოს აღარც ისინი ურეკავდნენ.
თითქოს აქ მკვდარი ცხოვრობდა. მე ისევ მესმის მისი ყვრილი ძილში...

თითქმის ვხედავდი როგრო აკანკელებდა და მეც ვკანკალებდი, იმ დროის გახსენებით. მე ამოვიოხრე. მე მაშინ არ ვცდილობდი მის მოტყუიელაბს.

–ძალიან ვწუხვარ ჩარლი –თქვა ელისმა მოღუშულად.

–ეს შენი შეცდომა არ არის –მის ხმაში იგრძნობოდა ვისაც თვლიდა დამნაშავედ –შენ მისთვის სულ კარგი მეგობარი იყავი ელის.

–ის ეხლა უკეთესად გამოიყურება, მაგრამ...

–ხო. მას შემდეგ რაც ჯეიკობ ბლეკთან დაიწყო ურთიერთობა, მე შევამჩნიე გამოკეთება. სახეზე ფერი მოუვიდა და როცა სახლში ბრუნდებოდა თვალები უბრწყინავდა. ის უფრო ბედნიერი გახდა – ჩარლი შეჩერდა და მისი ხმა შეიცვალა, როცა ისევ დაილაპარაკა –ჯეიკობი მასზე ერთი თუ ორი წლით უმცროსია და ვიცი, რომ ის მუდამ თავის მეგობრად თვლიდა, მაგრამ ეხლა ვფიქრობ, რომ ეს უფრო მეტია ვიდრე მეგობრობა –ჩარლიმ საბრძოლველი ტონით თქვა და ეს გაფრთხილებას ჰგავდა, მაგრამ არა ელისისთვის, არამედ ჩმთვის. –ჯეიკობი ძალიან განვითარებული და მხიარულია თავისი ასაკისთვის –

აგრძელებდა ჩარლი ისევ –ჯეიკობი ფიზიკურად შრომობდა მამაზე, სანამ ბელა ემოციურად, დედაზე. შეიძლება ამან დაახლოვა ისინი. ის ლამაზი ბიჭია, ძალიან ჰგავს დედამისს. ბელას შეეფერება, მართლა – იჟინებდა ჩარლი.

–მაშინ, კარგია თუ ერთად არიან –დაეთანხმა ელისი.

ჩარლიმ შეისუნთქა –კარგი, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არც ისე დიდ როლს თამაშობს. არ ვიცი... მაგრამ ჯეიკობთან ერთადაც კი ვხედავ ხოლმე მის თვალებში რაღაცას და ვინტერესდები, ვგრძნობდი ხოლმე, როგორ ტკიოდა მაას, ეს არანორმალურია, ელის, ეს... ეს მე მაშინებს. ეს უაზრობაა. თითქოს... რაღაც დარჩა მასში, მაგრამ რაღაც მოკვდა –ჩარლის ხმა აუკანკალდა.

მე მართლაც მკვდარი ვიყავი შინაგანად. მე დავკარგე ცხოვრების აზრი, ჩემს მიერ გადატანილით, ნებისმიერის მოკვლა იყო შესაძლებელი. მე არ მქონდა მომავალი, ოჯახი, ცხოვრება, ისეთი როგორიც ჩემთვის მინდოდა...

ჩარლი უიმედოდ აგრძელებდა –არ ვიცი, აპირებს თუ არა ის ამასთან ბრძოლას, დარწმუნებული არ ვარ შეძლებს კი, მისი ხასიათიდ ამის გადალახვას. ის მუდამ მერყევი იყო...

–ის მხოლოდ ადამიანია –დაეთანხმა ელისი მშრალად.

–და ელის... –ჩარლი ყოყმანობდა –შენ იცი თუ როგორაც მიყვარხარ და დარწმუნებული ვარ რომ ბელა ბედნიერია შენი ნახვით, მაგრამ... მე ვნერვიულობ თუ რას მოუტანს მას შენი მონახულება.

–მეც, ჩარლი, მეც. არ ჩამოვიდოდი სხვა გეგმები რომ მქონოდა. ვწუხვარ.

–ნუ მებოდიშები. ვინ იცის? იქნებ ეს კარგი იყოს მისთვის.

–ვიმედოვნებ, რომ მართალი ხარ.

შემდეგ გარკვეული ხანი ჩანგლების და ჩარლის ჭამის

ხმა ისმონდა. მე დავინტერესდი, სად მალავდა ელისი საჭმელს?

–ელის, რაღაც მინდა გკითხო -უთხრა ჩარლიმ
  უხერხულად.

ელისი მშვიდი იყო –კარგი.

–ის არ დაბრუნდება ხომ, მანაც რომ მოინახულოს ბელა? –მე მესმოდა ჩარლის დაფარული სიბრზე ხმაში.

ელისმა მშვიდი დამარწმუნებელი ტონით უპასუხა –მან არც კი იცის, რომ მე აქ ვარ. ბოლოს როცა ველაპარაკე, ჩრდილოეთ სამხრეთ ამერიკაში იყო.

მე დავიძაბე რადგან გავიგე ინფორმაცია, რომელმაც ცუდად გამხადა.

–კარგი, რაღაც მაინც არის –ჩარლიმ ჩაიცინა –იმედი მაქვს, რომ ტკბება...

პირველად, ელისის ხმა ცივი ტონით გაისმა –დასკვნების გამოტანაზე არ ვიჩქარებდი ჩარლი –მე ვიცოდი როგორ ნათთებოდნენ, მისი თვალები როცა ამ ტონს იღებდა.

გაისმა მაგიდიდან სკამის გაწევის ხმა, ვიფიქრე, რომ ეს ჩარლი იქნებოდა, რადგან ელისი ამას უხმოდ გააკეთებდა. ონკანიდან წყალი წამოვიდა.
არამგონია ედვარდზე გააგრძელონ საუბარი ამიტომ, გამოღვიძების დრო მოვიდა.
მე ტახტზე ხმაურით წამოვხტი და ხმამაღლა დავამთქნარე.

–ელის? –ვიკითხე ხმაში მგრძნობელობის დამატებით.

–სამზარეულოში ვარ, ბელა –გამომეხმაურა ელისი, მის ხმაში არ ჩანდა, რომ მიმხვდარიყო ჩემს ყურის გდებას, მაგრამ მას შეეძლო ესეთი რაღაცეების დამალვა.
ჩარლი უნდა წასულიყო – ის სიუ კლეროუტერს ეხმარებოდა დაკრძალვის ორგანიზებაში. ეს გრძელი დღე იქნებოდა ელისის გარეშე. ის არ ახსენებდა

თავის გამგზავრებაზე და არც მე ვეკითხებოდი. ვიცოდი, რომ ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ ვცდილობდი არ მეფიქრა ამაზე.
ამის ნაცვლად ვლაპარაკობდით თავის ოჯახზე – ყველაზე გარდა ერთისა.
კარლაილი ღამ-ღამობით მუშაობდა იზაკში და ზოგჯერ კომელეში. ესმი მეჩვიდმეტე საუკუნის სახლის აღდგენით იყო დაკავებული, ტყეში ქალაქის სამხრეთით. ემეტი და როზალი ევროპაში გაემგზავრნენ, თაფლობის თვის მეორედ აღსანიშნად, მაგრამ უკვე დაბრუნდნენ. ჯასპერიც კომელში იყო და ამჯერად, ფილოსოფიას სწავლობდა. და ელისმა ჩაატარა საკუთარი გამოძიება, ისტორიაზე რომელიც წინა გაზაფხულს გავიგე. მან მოძებნა ადგილები სადაც მისი ადამიანური ცხოვრება ჰქონდა გატარებული. მისი წინა ცხოვრებიდან არაფერი ახსოვდა.

–მე მქვიოდა, მერი ალისა ბრენდონი –მშვიდად მაუწყა ელისმა. –მე მყავდა უმცროსი და რომელსაც სინტია ერქვა. მისი ქალიშვილი – ჩემი დიშვილი – ცოცხალია და ბილოკსიში ცხოვრობს.

–გაარკვიე რატომ დაგმალეს...იმ ადგილას? რამ აიძულა შენი მშობლები ესეთი ზომები მიეღოთ? თუნდაც, რომ მათი შვილი მომავალს ხედავდა...

მან მხოლოდ თავი გაქნია. მისი ჩაფიქრიანებული თვალები თოპაზის ფერი გახდა. –მე ვერ შევძელი მათზე ინფორმაციის მოძიება. მთელი ძველი გაზეთები და არქივები გადავტრიალე, მაგრამ ბევრი არაფერი წერია. ისინი არ იყვნენ იმ სოციალური ფენის წარმომადგენლები ვინც გაზეთებში ხვდებოდნენ. იქ იყო ჩემი მშობლების ქორწილის და სინტიას შესახებ –სახელი გაურკვევლად წამოსცდა –გაცხადებული იყო ჩემი დაბადება... და სიკვდილი. ჩემი საფლავი ვნახე. მე ასევე, მოვიპარე ჩემი დაბადების მოწმობა. საბუთზე და საფლავის ქვაზე თარიღი ერთი და იგივეა.

არ ვიცოდი რა მეთქვა და მისი მონაყოლის შემდეგ რამოდენიმე წუთიანი სიჩუმე ჩამოვარდა. ელისი უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდა.
ჩარლი უცნობ ადამიანს ჰგავდა, როდესაც ჩამოვიდა კიბეზე, მზის ამოსვლამდე. ადრე არასდროს მენახა ამ

კოსწუმში. ლურჯი ღილებიანი ჟაკეტი შეუკრავი ჰქონდა, ვიფიქრე რომ ცოტა პატარა აქვს. მისი ჰალსტუხი ცოტა დიდი იყო მისი სტილისთვის. ის ფეხისწვერებზე მივიდა კართან, რომ არ გავეღვიძებინეთ. მე ოსტატურად მოვიმძინარუნე თავი. როგორც კი გარედ გავიდა, ელისი წამოჯდა და ჩაცმა დაიწყო.

–აბა, დღეს რას გავაკეთებთ? –მკითხა მან

–არ ვიცი, არის რაიმე საინტერესო იდეები?

მან გამიღიმა და თავი დამიქნია –კი, მაგრამ ჯერ ამისთვის ადრეა.

მთელს დროს ლა პუშში ვატარებდი, ამიტომ სახლში ბევრი საქმე დაგროვდა და მეც გავიხსენე ჩემი დიასახლისის მოვალეობები. მინდოდა, ჩარლისთვის რამენიარად გამეადვილებინა ცხოვრება, ის თავს უკეთესად იგრძნობდა თუ გაპრიალებულ სახლში შემოვიდოდა, ამიტომ აბაზანადან დავიწყე – მას ყველაზე ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას.
  სანამ დაკავებული ვიყავი, ელისი კედელს მიეყრდნობოდა და მისვამდა გაუთავებელ კითხვებს, ჩემს, ნუ, თავის მეგობრებზე, სკოლაზე, იმაზე თუ რა მოხდა მისი წასვლის შემდეგ. მისი სახე უემოციო იყო და არაფერს გამოხატავდა, მაგრამ ვიგრძენი მის განკიცხვა, როცა მიხვდა, რომ არც ისე ბევრი რამ ვიცოდი მოსაყოლად. ან შეიძლება სინდისმა შემაწუხა, რომ ყური დავუგდე მის და ჩალის ლაპარაკს და ელისი, ეხლა უფრო მეტი სიფრთხილით და ყურადღებით მექცეოდა.

მე სარეცხ საშუალებებში ვიყავი, აბაზანის იატაკის რეცხვისას, როცა კარზე ზარი გაისმა.

მე ელისს მივუბრუნდი, ის აფორიაქებული ჩანდა, რაც უცნაური იყო. ელისი არასდროს ვარდებოდა გაურკვევლობაში.

–ეხლავე! –დავიყვირე მე. ფეხზე წამოვხტი და რაკოვინასთან მივედი ხელების დასაბანად.

–ბელა –მითხრა ელისმა ნაწყენი ხმით –მგონი

ვხვდები ვინც მოვიდა. ვფიქრობ, უკეთსია რომ წავიდე.

–ხვდები? –გამოვეპასუხე მე. როდის მერეა რომ ელისი ვარაუდობს?

–თუ ეს – განმეორება ჩემი გუშინდელი უხილვობის, ალბათ იქ ჯეიკობ ბლეკი ან რომელიმე მისი... მეგობარია.

მე მივაჩერდი მისი ნათქვამის გადახარშვით –შენ არ შეგიძლია მაქციების დანახვა?

ის შეიჯმუხნა –გამოდის, რომ ესეა. –ის აშკარად გაღიზიანებული იყო ამითი.

ზარმა კარებზე ისევ დარეკა – ორჯერ უფრო ჩქარა.

–არ უნდა წახვიდე, შენ პირველი მოდი.

მან გაიცინა მისი წკრიალა სიცილით – რაღაც ბოროტად გაისმა –დამიჯერე, არც ისე კაგრი იდეა ჯეიკობ ბლეკთან ერთად ჩემი აქ ყოფნა.

უცებ მაკოცა ლოყაზე სანამ გაქრებოდა და უკანა კარიდან გავიდა. ერთ წამში მისი ზურგი დავინახე ქუჩის ბოლოში.
ზარმა ისევ დარეკა.

თავი მეთვრამეტე

დაკრძალვა

კიბე ჩავირბინე და კარი გავაღე.
რათქმაუნდა იქ ჯეიკობი იყო, ამ შემთხვევაშიც არ შემცდარა ელისი. კარებიდან, დაახლოებით ერთ მეტრში იდგა, ცხვირი ზიზღისგან შეეჭმუხნა, მაგრამ სახე ნაზ ნიღბად გაშეშებოდა. მას არ გამოუვიდა ჩემი გასულელება, მე შევამჩნიე მისი ხელების კანკალი.

მისგან, ტალღებათ გამოდიოდა მტრობა. თითქოს მე იმ პერიოდში დავბრუნდი, როცა მან სემი არჩია ჩემს თავს, და ვგრძნობდი რომ საპასუხოდ ჩემმა ნიკაპმა ზემოდ აიწია.
ჯეიკობის "რებბიტი" ცარიელი არ იყო – უკანა სავარძელზე ჯარედი იჯდა, წინ ემბრი. მივხვდი რასაც ნიშნავდა ეს: მათ ეშინოდათ ჯეიკობის მარტო გამოშვება. ეს მეწყინა და ცოტა გავბრაზდი. კალენები სხვანაირები იყვნენ.

–გამარჯობა –წარმოვთქვი მე, მისი დუმილის შემდეგ.

ჯეიკობმა პირი მოკუმა და უკან გაიწია. მისი თვალები ელვარებდნენ სახლში ყურებით.

მე კბილები დავაჭირე ერთმანეთს –ის აქ არ არის. რა გინდა?

ის ყოყმანობდა. –მარტო ხარ?

–ხო. –ამოვიოხრე მე

–შეიძლება ერთი წუთით, დაგელაპარაკო?

–რათქმაუნდა შეგიძლია, ჯეიკობ. შემოდი.

ჯეიკობმა უკან, მეგობრებს გახედა მანქანაში. დავინახე, რომ ემბრიმ უარყოფითათ გააქნია თავი. გარკვეული მიზეზების გამო, ამ საქციელმა გამაბრაზა.

კბილები ისევ დავაჭირე ერთმანეთს –ქათამი –წავიბურტყუნე მე, ერთ ამოსუნთქვაში.

ჯეიკობის თვალები ისევ ჩემსკენ დაბრუნდნენ, შავი წარბები გაბრაზებულად დადგნენ დიდი თვალების ზემოთ. ნიკაპი გამოსწია, გამბედაობა მოიკრიბა და სახლში შემოვიდა.
მე დაჟინებით შევხედე, ჯერ ჯარედს, მერე ემბრის – და მე, არ მომეწონა როგორ შემომხედა მან პასუხად. ისინი მართლა ფიქრობდნენ, რომ მე ვინმეს უფლებას მივცემდი ჯეიკობისთვის რამე დაეშავებინად? – შემდეგ კარი მივხურე.

ჯეიკობი უკვე მისაღებში იდგა და უწესრიგოდ მიგდებულ გადასაფარებელს მისჩერებოდა.

–თქვენ აქ გეძინათ? –მკითხა სარკაზმული ხმით.

–ხო –მეც რაც შეიძლება მწარედ ვუპასუხე.

არ მომეწონა როცა ჯეიკობმა ესეთი ტონით დაიწყო ლაპარაკი –შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

მან ისევ შეჯმუხნა ცხვირი, თითქოს ცუდი სუნი იგრძნოო –სად არის შენი დაქალი? –მე კარგად ვარჩევდი მის ხმაში, ბრჭღალის ჩასობას.

–რაღაც საქმები ჰქონდა და გაიქცა. გელოდები, ჯეიკობ, რა გინდოდა?

მეჩვენებოდა, რომ ოთახში რაღაც ანერვიულებდა მას – მისი გრძელი ხელები კანკალებდნენ. მან პასუხი, არ გამცა. ამის ნაცვლად სამზარეულოში გავიდა, მისი აღელვებული თვალები ყველაფერს კარგად აკვირდებოდა ირგვლივ.
მე უკან გავყევი. ის წინ და უკან დადიოდა პატარა სამზარეულოში.

–ეი –წამოვიძახე მე და წინ გადავუდექი –რა პრობლემები გაქვს?

–არ მომწონს აუცილებლობა ჩემი აქ ყოფნისა.

ამან გული მატკინა. მე შემაჟრჟოლა მან კი, თვალები დახუჭა.

–მაშინ ვწუხვარ, რომ უნდამ მოსულიყავი –წავიბუტბუტე მე –რატომ არ მეუბნები შენ სტუმრობის მიზანს, რომ დროზე დაახვიო აქედან?

–მხოლოდ რამოდენიმ კითხვის დასმა მინდა. დიდ ხანს არ შეგაყოვნებ. დაკრძალვაზე უნდა დავბრუნდეთ.

–კარგი, მაშინ დაამთავრე ეს –შეიძლება გადავამლაშე მტრულად თქმა, მაგრამ არ მინდოდა გაეგო როგორ მეტკინა მისი სიტყვები. ვიცოდი, რომ არ ვიყავი მართალი. გუშინ, მე მას სისხლისმსმელი ვარჩიე, და ამან მას გული ატკინა.
მან ღრმად ამოისუნთქა და მისი აკანკალებული ხელები, უცებ გაჩერდნენ. მისი სახე ისევ მშვიდ ნიღბად გადაიქცა.

–აქ, შენთან ერთად ერთერთი კალენი რჩება. –გამომიცხადა მან

–ხო. ელის კალენი.

მან ღრმად ამოისუნთქა –რამდენი ხანი იქნება აქ?

–სანამდეც მოუნდება ჩემთან ყოფნა –სიბრაზე, ისევ იყო ჩემს ხმაში –მე თვითო დავპატიჟე დასარჩენად.

–არ გგონია, რომ უნდა... გთხოვო... მოუყვე მას, სხვაზე, ვიქტორიაზე?

მე გავფითრდი – უკვე მოვუყევი.

მან თავი დამიქნია –უნდა, იცოდე რომ, თუ აქ კალენები არიან, ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიწაზე შეგვიძლია ყოფნა. უსაფრთხოდ, მხოლოდ ლა-პუშში იქნები. მე ვეღარ დაგიცავ აქ.

–კარგი –ვუპასუხე მე, მოულოდნელად წვრილი ხმით.

შემდეგ ფანჯარაში გაიხედა. ის, არ აგრძელებდა.

–სულ ესაა?

ის ისევ ფანჯარაში იყურებოდა –მხოლოდ ერთო რაღაც კიდევ.

მე ველოდი, მაგრამ არ აგრძელებდა –ხო –დავაჩქარე მე.

–დანარჩენი კალენები არ დაბრუნებულან? –მკითხა ცივი, მშვიდი ხმით. ეს, სემს მაგონებდა, მუდამ მშვიდი მანერებით. ჯეიკი უფრო და უფრო ემსგავსებოდა სემს... მე დავინეტერსდი, რატომ მაღელვედა ეს?

ეხლა მე არ ვლაპარაკობდი. ის სახეზე მაკვირდებოდა გამოკვლევითი თვალებით.

–ესეა? –მკითხა მან. ის მთელი ძალით ცდილობდა დაძაბულობის დაფარვას.

–არა. –როგორც იქნა ამოვღერღე –ისინი არ დაბრუნდებიან.

მისი გამომეტყველება არ შეცვლილა –კარგი. ეხლა უკვა დავამთავრე.

მე თვალებში შევხედე მას, და ვგრძნობდი როგორ იმატებდა ჩემში გაღიზიანება. –კარგი, ეხლა გიბრძანებენ, რომ წახვიდე? წადი და გადაეცი შენს სემს, რომ მონსტრები არ დაბრუნდებიან თქვენს დასაჭერად.

–კარგი. –გაიმეორა მან ისევ წყნარი ხმით.

ჯეიკობი სწრაფად გავიდა სამზარეულოდან. მე დავიცადე, რომ გამეგონა კარის გაღების ხმა, მაგრამ არაფერი არ ყოფილა. მე მესმოდა საათის წიკწიკი, და გამიკვირდა როგორი ჩუმი იყო ის. რა უბედურებაა. როგორ მოვიშორე თავიდან, ესეთ პატარა დროში?

მაპატიებს, როცა ელისი წავა? რომ არ მაპატიოს?
მე იატაკზე დავჯექი და სახეზე ხელები ავიფარე. როგორი არეულობა შევქმენი? მაგრამ როგორ მოვქცეულიყავი სხვანაირად? უკეთეს გადაწყვეტილებას ვერც მივიღებდი.

–ბელა... ? –იკითხა ჯეიკობმა აღელვებული ხმით.

სახიდან ხელები მოვიშორე და დავინახე, რომ ჯეიკობი ყოყმანობდა სამზარეულოს შემოსასვლელში. ის არ წასულა, როგორაც მეგონა. როცა დავინახე როგორ გაიელვეს წვეთებმა ჩემს ხელის გულებზე, მივხვდი რომ ვტიროდი.
ჯეიკობის მშვიდი სახე გაქრა. ეხლა ის ნერვიულობას და გაურკვევლობას გამოხატავდა. ის უცებ დაბრუნდა, რომ ჩემს წინ დამდგარიყო და თვალებში ჩაეხედა.

–მე ისევ გავაკეთე ეს?

–რა? -ვკითხე მე გაბზარული ხმით

–დავარღვიე ჩემი პირობა. მაპატიე.

–ყველაფერი ნორმალურადაა. –ჩავიბუტბუტე მე –ამჯერად, მე დავიწყე.

–მე ვიციოდი რასაც გრძნობდი მათ მიმართ. მის ვიზიტს არ უნდა შევეყვანე ჩიხში.

მე ვუყურებდი უარყოფას მის თვალებში. მინდოა ამეხსნა, როგორი იყო ელისი სინამდვილეში, დამეცვა ის ჯეიკობის უსამართლო განსჯისგან, მაგრამ გადამარწმუან იმან, რომ ეხლა არც ისე შესაფერისი დრო იყო ამისთვის.

ამიტომ მე მხოლოდ წარმოვთქვი –მაპატიე, ისევ.

–მოდი არ ვინერვიულოდ ამაზე, კარგი? მან მხოლოდ მოგინახულა ხომ? ის წავა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

–მე არ შემიძლია, ორივესთან ერთად ვიმეგობრო?

მან ნელა გააქნია თავი. –არა, ვფიქრობ რომ არ შეგიძლია.

მე ჩავიცინე და მის უზარმაზარ ფეხებს დავაშტერდი –მაგრამ შენ დამელოდები ხომ? შენ მაინც დარჩები ჩემი მეგობარი, იმისდა მიუხედავად ომ მე ელისიც მიყვარს?

მე მეშინოდა შემეხედა მისთვის და დამენახა როგორ ეხატებოდა მისი ფიქრები სახეზე. მთელი წუთი დასჭირდა პასუხის გასაცემად და ალბათ კარგი ვქენი, რომ არ შევხედე სახეზე.

–ხო, მე სულ ვიქნები შენი მეგობარი –თქვა უხეშად –მიუხედავდ იმისა რა გიყვარს.

–მპირდები?

–გპირდები.

ვიგრძენი როგორ მომეხვია და მე თავი დავადე გულზე –ეს არაჩვეულებრივია.

–ხო –შემდეგ ჩაიცინა და ჩემი თმებს უყნოსა –ფუ!

–რა? –მოვითხოვე მე, როცა დავინახე როგორ შეჭმუხნა ისევ ცხვირი. –რატომ არცერთს არ მოწონს ჩემი სუნი, მე ხომ არანაირი სურნელი არ მაქვს!

ის ოდნავ გაიღიმა –ხო შენ, შენ მათი სუნი გაქვს, ბელს. ძალიან ტკბილი კანფეტის. და გაყინულის. ეს ცხვირს მიწვავს.

–მართლა? –ეს უცნაური იყო. ელისს არაჩვეულებრივი სურნელი ჰქონდა. ადამიანური, ასე თუ ისე. –მაგრამ რატომ მითხრა ელისმაც, რომ არც ისე კარგი სუნი ამდის?

ამან მას ღიმილი გაუქრო –ალბათ, მეც არ მაქვს კარგი სუნი მისთვის.

–კარგი, ოღონდ ჩემთვის ორივეს არაჩვეულებრივი სუნი გაქვთ. –მე მას შევხედე. მე მაშინვე მომენატრებოდა ის როგორც კი კარებიდან გავიდოდა. როგორ რთულადაა ყველაფერი – ერთი მხრივ მინდოდა რომ ელისი სამუდამოდ დარჩენილიყო. მე მოვკვდები თუ ის მიმატოვებს. მაგრამ როგორ ვიცხოვრო ამდენი ხანი ჯეიკობის გარეშე? ისევ არეულობაა ჩემს თავში.

–მე ძალიან მომენატრები ბელა -ჩურჩულით გაიმეორა ჯეიკმა ჩემი ფიქრები. –იმედია, მალე წავა.

–ეს ყველაფერი არასწორია, ჯეიკ.

მან ამოიხვნეშა –ხო, ეს მართლაც უკეთესია ბელა. შენ... გიყვარს ის. უკეთესია მასთან იყო. ვფიქრობ, რომ მთლად გაწონასწორებული არ ვარ მის გვერდით სიმშვიდე შევინარჩუნო. სემი ჭკუიდა შეიშლება, შეთანხმება რომ დავარღვიო და –მისი ხმა სარკაზმული გახდა –მგონი, არ გენდომებოდა შენი დაქალისთვის მომეღო ბოლო?

მე მოვშორდი მას როგორც კი ეს სიტყვები თქვა, მაგრამ მან უფრო მომიჭირა ხელები –არ არის არანაირი აზრი სიმართლეს გაექცე. ეს, ერთადერთი გზაა წესრიგის დასამყარებლად საქმეებს შორის.

–მე არ მიყვარს საქმეებს შორის წესრიგი.

ჯეიკობმა ერთი ხელი გაინთავისუფლა, რომ თავისი უზარმაზარი ყავისფერი ხელის გუილით ნიკაპი აეწია და მისთვის შემეხედა –ხო, ყველაფერი უფრო ადვილად იქნებოდა, ორივენი ადამიანები რომ ვყოფილიყავით?

მე ამოვიოხრე.

ჩვენ თვალს არ ვაშორებდით ერთმანეთს გარკვეული დროის განმავლობაში. მისი ხელი იწვოდა ჩემს კანზე. ჩემს სახეზე, ვიცოდი, რომ მხოლოდ სევდა იყო – მე არ მინდოდა დავმშვიდობებოდი მას, მოკლე ხანითაც კი. თავიდან მისი სახე ჩაფიქრებული იყო, მაგრამ რადგან არცერთმა ჩვენგანმა არ მოვაშორედ თავლი, მან ეს პირველმა გაკეთა.
მან ხელი გამიშვა, რომ ლოყაზე მომფერებოდა. ვგრძნობდი, რომ თითები უკანკალებდა – ამჯერად არა სიბრაზისგან. ხელები მომიჭირა ლოყებზე ისე, რომ ჩემი სახე ხაფანგში მოქცეულიყო მის ცხელ ხელებს შორის.

–ბელა. –დაიჩურჩულა მან

მე გავშეშდი.
არა! ეხლა არ შემიძლია ამის გაკეთება. არ ვიცი, შევძლებ კი ოდესმე? მაგრამ ეხლა შეუფერებელი დრო იყო ამაზე დასაფიქრებლად. მაგრამ ნამდვილი იდიოტი ვიქნები თუ ვიფიქრებ, რომ მისი ეხლა თავიდან მოშორება, საწინააღმდეგო მოვლენების გარეშე დარჩება.
მე მას ვუყურებდი. ის არ იყო ჩემი ჯეიკობი, მაგრამ შეეძლო რომ ყოფილიყო. მისი სახე იყო ნაცნობი და შეყვარებული. შეიძლება ისეთი სიყვარულით არა, მაგრამ მე მიყვარდა ის. ის იყო ჩემი კომფორტი, ჩემი უსაფრთხო თავშესაფარი. ამ წუთს შემეძლო, რომ ის სამუდამოდ ჩემი გამხდარიყო.

მალე ელისი დაბრუნდება. მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ნამდვილი სიყვარული სამუდამოდ დაკარგულია. პრინცი არასდროს დაბრუნდება, რომ მაკოცოს და გამომაღვიძოს. ბოლოს და ბოლოს, მე პრინცესა არ ვარ. მაშინ, რა დრო ეთმობოდა სდაპარში სხვა კოცნებს? მშვიდი დრო, რომელიც არ დაარღვევდა სიუჯეტს? იქნებ, არაფერი არ არის ცუდი იმაში, რომ ის ესე მეხვევა. იქნებ, მე კარგად ვარ ამისგან. იქნებ, მე არ ვიგრძნობ თავს ისე თითქოს ვიღაცას ვუღალატე. ან, ვისთვის უნდა მეღალატა? მხოლოდ, ჩემი თავისთვის.
თვალებში ყურებით, ჯეიკობმა ჩემსკენ დახრა დიწყო. მე ისევ გაურკვევლობაში ვიყავი.
მოულოდნელმა, ტელეფონის ზარმა ორივე, შიშისგან წამოგვახტუნა, მაგრამ მას პოზიცია არ შეუცვლია. ერთი ხელი გამიშვა და ყურმილს სწვდა, მეორე კი ისევ მიჭერდა სახეზე. მისი შავი თვალები ჩემსას არ ანთავისუფლებდნენ. მე ძალიან დაბნეული ვიყავი სამოქმედოდ, იმისთვისაც კი რომ ეს მოულოდნელი მდგომარეობა ჩემდა სასიკეთოდ გამომეყენებინა.

–სვონების სახლი –თქვა ჯეიკობმა წყნარი ჩახლეჩილი ხმით

ვიღაცამ უპასუხა და ჯეიკობი უცებ შეიცვალა. ის გაიმართა და ხელი გამიშვა. თვალები გაექცა, სახე გაუფითრდა. ნიძლავს დავდებ იმაზე, რომ კოლეჯში სამებს მივიღებ, ტელეფონზე კი ელისი რეკავს.
მე გამოვფხიზლდი და ყურმილის გამოსართმევად გავწიე ხელი. ჯეიკობმა იგნორირება გამიკეთა.

–ის, ეხლა აქ არ არის –წარმოთქვა ჯეიკობმა და სიტყვები მუქარად ისმოდა.

მას ძალიან მოკლე პასუხი მოჰყვა, როგორც მომეჩვენა, დამატებითი ინფორმაციის კითხვა, რადგან ჯეიკობმა გულგრილად დაამატა –ის დაკრძალვაზეა.

შემდეგ ჯეიკობმა ყურმილი დაკიდა –ბინძური სისხლისმწოველი – წაიბურტყუნა მან. როცა ჩემსკენ შემობრუნდა ისევ სასტიკი ნიღაბი ჰქონდა სახეზე.

–ვის ელაპარაკე? –ვკითხე გადარეულმა –ჩემს სახლში და ჩემი ტელეფონით?

–აი, საქმე! ის დამემუქრა!

–ის? ვინ იყო ეს “ის”?!

მან ყალბად წარმოთქვა –ექიმი, კარლაილ კალენი.

–რატომ არ დამალაპარაკე?!

–მას შენ არ უკითხიხარ –ცივად მითხრა ჯეიკობმა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა, მაგრამ ხელები უკანკალებდა –მკითხა სად იყო ჩარლი და მეც ვუპასუხე. არა მგონია ეთიკის წესები დამერღვა.

–მისმინე, ჯეიკობ ბლეკ-

მაგრამ ის აშკარად არ მისმენდა. უცებ გაიხედა უკან, თითქოს მეორე ოთახიდან დაუძახესო. თვალები გაუფართოვდა და დაიძაბა. შემდეგ მთელი ტანი აუკანკალდა.

–კარგად, მეძახიან –ამოღერღა მან და წინა კარებისკენ გაიქცა.

მე გავეკიდე –რა მოხდა?

მე უცებ შევეჯახე მას – ის უკან დაიწია ჩქარი სუნთქვით. შემომიარა და ბეჭი გამკრა. მე თავი ვეღარ შევიკავე, ძირს დავეხეთქე და ჯეიკობიც თან ჩემოვიყოლე.

–ეხლავე შეწყვიტე! –შევეწინააღმდეგე, როცა ისევ წამოხტა ფეხზე.

რაც შემეძლო სწრაფად ვცდილობდი წამოდგომას, რადგან ჯეიკობი უკანა კარიდან გადიოდა. მაგრამ უცებ, ისევ გაშეშდა. კიბესთან, გაუნძრევლად იდგა ელისი.

–ბელა –ის ძლივს სუნთქვავდა.

ფეხზე წამოვბობღდი და ელისისკენ გავიქეცი. მისი თვალები განცვიფრებული იყო და სადღაც შორს იყურებოდა. სახე თოვლზე თეთრი ქონდა, მისი პატარა ტანი აკანკალდა შინაგანი ჟრჟოლიდან.

–ელის, რა მოხდა? –დავიყვირე მე. სახეზე მოვეხვიე, რომ დამეწყნარებინა.

მისი თვალები, ფართოდ გახელილი და ტკივილით სავსე ჩემსზე შეჩერდნენ.

–ედვარდი –მხოლოდ ეს დაიჩურჩულა.

ჩემმა სხეულმა უფრო ადრე მოახდინა რეაგირება ვიდრე, გონებამდე დავიდა პასუხის აზრი. თავიდან ვერ ვიგებდი, რატომ დაიწყო ოთახმა ტრიალი და რატომ მესმოდა ყურებში ზუზუნი. გონებას ვიკრებდი, რომ რაიმე ამომეკითხა ელისის ცივი სახიდან. როგორ ეხება ეს ედვარდს? სანამ ჩემი სხეული გონების გარეშე მოძრაობდა, მე სინამდვილემ გამანცვიფრა.
უცებ, ჯეიკობის გაშმაგებული ხმა მომესმა. მე ვიგრძენი უსაზღვრო უარყოფა. მისი ახალი მეგობრები ცუდ ზემოქმედებას ახდენდნენ მასზე.
ტახტზე ვიჯექი, ვერ გამეგო როგორ მოვაღწიე აქამდე, ხოლო ჯეიკობი ისევ გადარეული იყო. თითქოს მიწისძვრა დაწყებულიყო, ისე ირყეოდა ტახტი.

–რატომ მოდი მასთან? –მოითხოვა ჯეიკობმა

ელისმა ყურადღება არ მიაქცია. –ბელა? ბელა აზრზე მოდი. უნდა ვიჩქაროდ.

–უკან დაიხიე –გააფრთხილა ჯეიკობმა

–დამშვიდდი, ჯეიკობ ბლეკ –უბრძანა ელისმა –შენ, ხომ არ გინდა ეს ასე ახლოს გააკეთო მასთან.

–არა მგონია, ეს დიდი პრობლემა იყოს ჩემთვის. –მოიგერია ჯეიკობმა, მაგრამ მისი ხმა უფრო ცივად ისმოდა.

–ელის? –ჩემი ხმა სუსტი იყო –რა მოხდა? –მე ვკითხე ის რისი გაგონებაც არ მინდოდა.

–არ ვიცი –უცებ წამოიძახა მან –რაზე ფიქრობს?!

ფეხზე წამოდგომას შევეცადე, თავბრუსხვევის მიუხედავად. მე მივხვდი, რომ ეს ჯეიკობის ხელი იყო, რომელსაც წონასწორობისთვის ჩავეჭიდე და მე მისგან მაკანკალებდა და არა ტახტისგან.
ელისმა პატარა ვერცხლისფერი ტელეფონი ამოიღო ჩანთიდან. მან ისე სწრაფად აკრიბა ნომერი, თითებს თვალი ვერ მოვატანე.

–სასწრაფოდ კარლაილს უნდა ველაპარაკო –მისმა ხმამ ძლიერად გამოთქვა სიტყვები –კარგი, გადაეცი როგორც კი დაბრუნდება. არა, თვითმფრინავში ვიქნები. მისმინე, ედვარდზე რამე ხომ არ გაგიგია? ელისი უსმენდა სახით რომელიც თანდათან უფრო შოკირებული ხდებოდა, შიშისგან პირი დააღო და ხელში ტელეფონი აუკანკალდა –რატომ? –ის ვერ სუნთქავდა –რატომ გააკეთე ეს როზალი?

მიუხედავად იმისა რა პასუხიც მოჰყვა, ელისს თვალებმა გაუელვა და დაუწვრილდა.

–კარგი, შენ ყველანაირ შემთხვევაში არასწორი ხარ, ამის გარდა, როზალი, იფიქრე, რომ ამას პრობლემები მოჰყვებოდა? –კითხა გესლიანად –ხო, მართალია. ის კარგადაა – მცდარი დასკვნები გავაკეთე... გრძელი ისტორიაა... მაგრამ, შენც არასწორად მოიქეცი, ამიტომაც ვრეკავ... ხო, ეს ისაა რაც დავინახე.
ელისის ხმა მყარი იყო და ტუჩები კბილებზე ჰქონდა მიჭერილი –მობოდიშებები გვიანია. შენი თანაგრძნობა იმათთვის შეინახე, ვისაც მათი სჯერა –ელისმა სწრაფად გათიშა ტელეფონი.

მის თვალებში აუწერელი ტკივილი იყო, როცა ჩემსკენ შემობრუნდა.

–ელის –სწრაფად წამოვიყვირე მე. მე ვერ მივცემდი მას ეხლა ლაპარაკის უფლებას, ცოტა დრო მჭირდებოდა სანამ მისი სიტყვები ჩემს ცხოვრებას დაანგრევდა –ელის, კარლაილი დაბრუნდა. მან ზუსტად მანამ დარეკა...

ის მე მომაშტერდა –როდის? –მკითხა უსიცოცხლოდ

–წუთის უკან სანამ დაბრუნდებოდი.

–რა თქვა? –ეხლა ის ნამდვილად ჩემზე მოემართა, რომ პასუხი გაეგო

–მე, არ მილაპარაკებია მასთან. –თვალები ჯეიკობისკენ გავაცურე.

ელისმა გამჭოლი მზერით შეხედა მას. ის შეკანკალდა მაგრამ ჩემს გვერდით დარჩა. ის მოუხერხებლად იჯდა, თითქოს მისი ტანით საშიშროებისგან მიცავდა.

–მან ჩარლი იკითხა და ვუთხარი, რომ ის აქ არ არის. გაბრაზებულად ჩაიბურტყნა ჯეიკობმა.

–მეტი არაფერი? –მოითხოვა ელისმა, ხმა ყინულივით ცივი ჰქონდა.

–მან გამოკითხვა დამიწყო –ჯეიკობი უკან გადაქანდა და მეც მასთან ერთად შემაჟრჟოლა.

–შენ უთხარი, რომ ჩარლი დაკრძალვაზე იყო -შევახსენე მე.

ელისი ჩემსკენ შემობრუნდა –ზუსტად გადმომეცი მისი სიტყვები.

–ჯეიკობმა უთხრა – ის, აქ არ არის და როცა კარლაილმა ჰკითხა სად იყო ჩარლი, ჯეიკობმა უთხრა – დაკრძალვაზე.

ელისმა ამოიკვნესა და მუხლებზე დაეშვა.

–მითხარი, ელის –დავიჩურჩულე მე.

–კარლაილს არ დაურეკავს –თქვა უიმედოდ.

–გინდა თქვა რომ მოვიტყუე? –დაიღრინა ჯეიკობმა.

ელისმა იგნორიება გაუკეთეა მას და ჩემს განცვიფრებულ სახეს მოაშტერდა.

–ის, ედვარდი იყო –ძლივს დაიჩურჩულა მან –მას ჰგონია, რომ მოკვდი.

გონება ისევ ამუშავდა. სიტყვები არ იყო ისეთი როგორსაც ველოდი და შვებამ გონება გამიხსნა.

–როზალიმ, უთხრა მას რომ მე თავი მოვიკალი, ესეა? –მე ამოსუნთქვით ვთქვი რადგან მოვეშვი.

–ხო. –აღიარა ელისმა და თვალები ისევ აუელვარდა. –მას ის ამართლებს, რომ მართლა დაუჯერა ამას. ისინი მიეჩვივნენ ჩემს ხილვებზე მყარად დაყრდნობას, მაგრამ ისინი ხომ უზუსტონი არიან. მაგრამ რაზე ფიქრობდა, როცა ამ ამბის შესატყობინებლად ეძებდა? ნუთუ არ ესმოდა... ან არ ზრუნავდა...? –ელისის ხმა შიშში დაიკარგა.

–და, როცა ედვარდმა დარეკა, მან იფიქრა, რომ ჯეიკობი ჩემს დაკრძალვას გულისხმობდა. –მივხვდი მე. მე გამაწარა იმ სინამდვილემ, თუ რა ახლოს ვიყავი მის ხმასთან. ფრჩხილები ჯეიკობს ჩავრჭე ხელში, მაგრამ ის არც განძრეულა.

ელისმა უცნაურად შემომხედა –არ გეწყინა? –დაიჩურჩულა მან.

–კარგი, უბრალოდ ყველაფერი ცუდ დროს დაემთხვა, მაგრამ ყველაფრის გარკვევა შეიძლება. მეორედ როცა დარეკავს, ეტყვიან, რომ... მე სინამდვილეში... არაფერი... –მე გავჩუმდი. ელისის დაჟინებულმა მზერამ, სიტყვა ყელში გამიჩხირა.

რატომ არის ესეთ პანიკაში? რატომ არის მის სახეზე წუხილი და შიში? რა უთხრა როზალიმ ტელეფონში? რაღაც სინანულზე და...

როზალი არასდროს იგრძნობდა სინანულს, მე რომ რამე მომსვლოდა, მაგრამ თუ ეს ოჯახს დააზიანებდა, დააიზანებდა მის ძმას...

–ბელა –დაიჩურჩულა ელისმა –ედვარდი აღარ დარეკავს. მან დაუჯერა როზალის.

–მე. ვერ. ვიგებ. –მე თითოეული სიტყვა სიჩუმეში გამოვთქვი. მე ვერ მოვიფიქრე სიტყვები, რომლებიც ელისს აახსნევინებდნენ ყველაფერს.

–ის იტალიაში მიდის.

იმისთვის რომ, მიმვხვდარიყავი, გულის ერთი დარტყმა გახდა საკმარისი.
ედვარდის ხმა რომ გავიგონე, ეს არ იყო მორიგი ჰალუცინაცია. მე მესმოდა მოგონება წარსულიდან. მაგრამ ეს საკმარისი გახდა, გულში ჭრილობის გასახსნელად. სიტყვები იმ დროიდან, როცა ყველაფერს ჩამოვიდოდი რაც გამაჩნდა, იმაზე, რომ ედვარდს ვუყვარდი.
"კარგი, მე არ ვაპირებდი შენს გარეშე ცხოვრებას – მითხრა მან როცა "რომეოს და ჯულიეტას" ვუყურებდით. - მაგრამ არ ვიცოდი როგორ გამეკეთებინა ეს... ვიცოდი, ემეტი და ჯასპერი არასდროს დამეხმარებოდნენ... ასე, რომ მე ვფიქრობდი იტალიში გამგზავრებას და იქ ვოლტურის გამოწვევას... არ ღირს მათი შეწუხება თუ სიკვდილი არ გინდა."
თუ არ გინდა სიკვდილი.

–არა! –უარყოფა იმდენად ხმამაღლა გაისმა ჩურჩულთან შედარებით, რომლითაც ვლაპარაკობდით, რომ ყველა შეახტუნა... სისხლი გამეყინა როცა მივხვდი თუ რა დაინახა ელისმა. –არა! არა! არა! არა! მას, არ შეუძლია! მას, არ შეუძლია ამის გაკეთება!

–მან ეს გადაწყვიტა, როცა შენმა მეგობრამა დაუდასტურა, რომ შენი გადარჩენა გვიანია.

–მაგრამ ის... წავიდა! მას აღარ ვუყვარდი! ეხლა, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის? მან იცოდა, რომ მე ოდესმე მოვკვდებოდი!

–არ ვფიქრობ, რომ დიდხანს აპირებდა ამაზე შეგუებას –წყნარად მითხრა ელისმა.

–როგორ ბედავს! –მე ვყვიროდი. ფეხზე წამოვხტი და ჯეიკობიც მაშინვე ადგა ჩემსა და ელის შორის ცასადგომად.

–ოოო, გაიწიე ჯეიკობ! –მე გავწიე მისი ფიგურა სასოწარკვეთით და მოუთმენლად. –რისი გაკეთება შეგვიძლია? –ვკითხე ელისს. ხომ, უნდა იყოს რაიმე გამოსავალი. –დარეკვა არ შეგვიძლია? იქნებ კარლაილმა შეძლოს?

მან თავი გააქნია –ეს პირველი იყო რაც გავაკეთე, მაგრამ ტელეფონი სანაგვე ურნაში, რიო დე ჟანეიროში დატოვა – ვიღაცამ შემატყობინა... –დაიჩურჩულა მან.

–თავიდან თქვი, რომ უნდა ვიჩქაროდ. ვიჩქაროდ საად? გავაკეთოდ რამე!

–ბელა, მე, მე არა მგონია, რომ უნდა გთხოვო ეს... ის გაუბედავად გაჩუმდა.

–მთხოვე! –ვუბრძანე მე

ელისმა ბეჭებზე დამადო ხელი, ადგილზე გასაჩერებლად, მისი თითები მიჭერდნენ, თითქოს მის სიტყვებს ამტკიცებდნენ –ჩვენ შეგვიძლია იქ ძალიან გვიან აღმოვჩნდეთ. მე დავინახე, რომ ის ვოლტურებთან მივიდა... და სიკვდილი სთხოვა. –ჩვენ ჩამოვჯექით და უცებ თვალები დამიბნელდა. მე თვალებს ვახამხამებდი, ცრემლებისგან გასაწმენდად. –ყველაფერი მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ვერ დავინახავ სანამ არ გადაწყვიტავენ.
–მაგრამ თუ ისინი უარს ეტყვიან და მათ შეუძლიათ – არის უყვარს კარლაილი და არ ისურვებს მას ტკივილი მიაყენოს, ედვარდს მეორე გეგმე აქვს. ვოლტურები თავიანთი ქალაქის მცველები არიან. თუ ედვარდი შეეცდება სიმშვიდის დარღვევას, დარწმუნებულია, რომ ვოლტურები მას შეაჩერებენ. და ის მართალია. ისინი ამას გააკეთებენ.

მე მას მივაჩერდი... ჯერ ვერ გავიგე მისგან, რატომ ვიყავით კიდევ აქ.

–ესე იგი, თუ ისინი შეასრულებენ მის თხოვნას, ჩვენ გვიან ჩავუსწრებთ. თუ ისინი იტყვიან – არა, და ის მალევე მოიფიქრებს მათი დამცირების საშუალებას, ჩვენ – გვიან ჩავალთ. თუ ის უფრო ვაჟკაცურად დაფიქრდება... შეგვიძლია ჩავუსწროდ.
–დროზე, წავიდეთ!

–მისმინე, ბელა! ჩავალთ დროულად თუ არა, ჩვენ ვიქნებით ქალაქ ვოლტერას შუაგულში. თუ ედვარდი მათ წინააღმდეგ წავა, მე მის თანამზრახველად ჩამთვლიან. შენ იქნები არა მხოლოდ ადამიანი,

რომელმაც ბევრი იცის, არამედ გემრიელი სურნელიც გექნება. უდიდესი ალბათობაა, რომ ჩვენც მოგვიშორონ თავიდან, მაგრამ ეს უკეთესია ვიდრე აქ ჯდომა.

–ეს, არის ის რის გამოც ვჩერდებით? –ვკითხე უნდობლად –მარტო წავალ თუ გეშინია. –მე გონებაში გადავთვალე ფული რაც მქონდა, და დავფიქრდი დამიმატებდა თუ არა ელისი დანარჩენს.

–მე მხოლოდ მეშინია იმისი, რომ მოგკლავენ.

მე ზიზღით ჩავიცინე –მე ყოველდღე ვიკლავდი თავს! მითხარი რა უნდა გავაკეთო!

–შენ ჩარლის უტოვებ წერილს, მე აეროპორტში ვრეკავ.

–ჩარლი –ამოვიოხრე მე

ჩემი აქ ყოფნა არ იცავდა მას, მაგრამ არ შემიძლია მისი მარტო დატოვება...

–მე არაფერს მივცემ უფლებას ჩარლის რამე დამართოს –ჯეიკობის დაბალი ხმა უხეში და გაბრაზებული იყო –ჩვენ შეთანხმება გვაქვს.

მე მას შევხედე და ის შეიჯმუხნა, როცა დაინახა პანიკა ჩემს სახეზე.

–იჩქარე, ბელა –შეგვაწყვეტინა ელისმა

მე სამზარეულოში გავიქეცი, და უჯრებიდან ნივთების გადმოყრა დავიწყე რადგან კალამს ვერ ვპოულობდი. ჯეიკობი მოვიდა ჩემთან, ესეთი ლამაზი, ნაზი ყავისფერი ტანით და კალამი გამომიწოდა.

–მადლობა –ჩავიბუტბუტე მე. მან ალბომი მომცა, ჩარლისთვის წერილის დასაწერად. ამოვხიე წარწერიანი ფურცელი და უკან ვისროლე.
მე დავწერე: მამა, ელისთან ერთად ვარ. ედვარდი საფრთხეშია. შეგიძლია დამსაჯო თუ დავბრუნდი. ვიცი, რომ ეხლა ცუდი დროა. ვწუხვარ. მიყვარხარ. ბელა.

–არ წახვიდე –ჩურჩულებდა ჯეიკობი. როცა ელისი არ იყო ახლოს, სიბრაზე მის ხმაში ჩაქრა.

მე, არ ვაპირებდი მასთან კამათში დამეკარგა დრო.

–გთხოვ, გთხოვ, გთხოვ იზრუნე ჩარლიზე. –ვუთხარი როცა მისაღებში გავრბოდი. ელისი დერეფანში იდგა ზურგჩანთით.

–გევედრები, მითხარი რომ პასპორტი გაქვს. არ მაქვს ყალბის გაკეთების დრო.

მე თავი დავუქნიე და კიბეზე გავიქეცი, მუხლებში ძალა მეცლებოდა და ღმერთს მადლობას ვუხდიდი, რომ დედაჩემმა ფილზე დაქორწინება გადაწყვიტა მექსიკის სანაპიროზე, მაგრამ როგორც სხვა გეგმები ესეც ჩაეშალა. მაგრამ არა მანამდე სანამ მისი უსაფრთხოების ყველა ზომები არ მივიღე.
ოთახში შევვარდი. ჩემი ძველი საფულე, სუფთა ზედატანი ავიღე და ზურგჩანთაში ჩავტენე, შემდეგ ზემოდან კბილის ჯაგრისი ჩავდე. ისევ დავეშვი ქვემოდ კიბეზე. მე მქონდა დეჟა-ვიუს გრძნობა და ამისგან სუნთქვა მეკვრებოდა. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, მე ფორქსიდან გავრბოდი, რომ გავქცეოდი მწყურვალე ვამპირებს, და არა იმიტომ, რომ მომეძებნა ისინი.
ჯეიკობი და ელისი გასასვლელში იდგენენ ერთმანეთის პირისპირ, ერთმანეთისგან ძალაგამოცლილები. ვერც კი წარმოვიდგენდი რეებს ეტყოდნენ ერთმანეთს...ვერცერთმა ვერ შეამჩნია ჩემი ხმაურიანი გამოჩენა.

–ამ შემთხვევაში შეგეძლო მარტო წასულიყავი, მაგრამ იმ სისხლისმწოველებთან, ისიც მიგყავს –ადანაშაულებდა ჯეიკობი.

–ხო, მართალი ხარ ძაღლო. –იღრინებოდა ელისი საპასუხოდ. ვოლტური – ჩვენი, ყველაზე სურნელოვანი მოდგმაა – ისინი შენს თმებს შეარხევენ თავზე თუ მათ სუნს შეისუნთქავ. ისინი – თქვენი კოშმარის სუნამოები არიან, შიში თქვნი ინსტიკტების უკან. მე ყველაფერი ვიცი.

–და შენ ის მათთან მიგყავს, როგორც ღვინის ბოლთლი ერთად დასალევად! –ყვიროდა ჯეიკობი.

–შენ ფიქრობ, რომ ის უსაფრთხოდ იქნებოდა, თუ აქ დავტოვებდი, ვიქტორიასთან ერთად?

–წითელკანიანები დაგვეხმარებიან.

–მაშინ რატომ ნადირობს ისევ?

ჯეიკობმა დაიღრინა და გააჟრჟოლა.

–შეწყვიტეთ ეს! –ვუყვირე ორივეს, მოუთმენლობისგან გაჯავრებულმა. –იჩხუბებთ როცა დავბრუნდებით, წავიდეთ!

ელისი მანქანისკენ წავიდა და გაუჩინარდა მასში. მე უკან გავყევი და კარის გასაღებად შევჩერდი.

ჯეიკობი ხელში მწვდა მისი აკანკალებული ხელით –გთხოვ, ბელა. გევედრები.

მისი შავი თვალები ცრემლებისგან ბზინავდნენ. ყელში რაღაც გამეჩხირა.

–ჯეიკ მე ვალდებული ვარ...

–შენ არავის მიმართ არ ხარ ვალდებული, შეგიძლია დარჩე ჩემთან ერთად. შეგიძლია ცოცხალი დარჩე. ჩარლისთვის. ჩემთვის.

კარლაილის მერსედესის ძრავა კრუტუნებდა, მაგარმ შემდეგ ელისმა დამაჩქარა, გაზზე ფეხის დაჭერით.

–სიკვდილზე ნუ მიდიხარ, ბელა –ვერ სუნთქავდა ის –არ წახვიდე. არ გააკეთო ეს.

რა, თუ ვეღაღასდროს ვნახავ?
ეს აზრი ჩუმ ცრემლებთან ერთად წამოვიდა. ტირილი ახალი ძალით აღმომხდა გულიდან. მე წელზე მოვეხვიე, და რამოდენიმე წამის განმავლობაში დავმალე ჩემი სველი სახე მის გულში. მან თმებზე მომკიდა ხელი თითქოს დაჭერას მიპირებდა.

–ნახვამდის, ჯეიკ –ავიღე მისი ხელი თმებიდან და ვაკოცე მისი ხელის გულს. მე ვერ შევძლებდი მისთვის სახეზე შემეხედა.
–მაპატიე –დავიჩურჩულე მე.

შემდეგ გავიწიე და მანქანაში ჩავჯექი, კარი ღია იყო. ზურგჩანთა უკან ვისროლე და კარი მივიხურე.

–ჩარლიზე იზრუნე! –მოვტრიალდი და ფანჯრიდან დავუძახე, მაგარმ ჯეიკობი ვეღარ დავინახე. შემდეგ ელისმა გაზს დააჭირა ფეხი და ბოლო სიჩქარით გავქანდით. გზაზე შევამჩნიე თეთრი ნაფლეთები ხეებთან. ფეხსაცმლის ნარჩენები.

თავი მეცხრამეტე

სიძულვილი

ჩვენ რამოდენიმე წუთში მივედით აეროპორტში და არც ისე ცოტა დრო დავზოგეთ, მაგრამ შემდეგ დაიწყო ნამდვილი წამება. თვითმფრინავი საზეიმოდ იდგა ასაფრენ ბილიკზე, სანამ სტიუარდესები ზემოდ ქცევოდ დადიოდნენ გასასვლელებში, კომპაქტურად ალაგებდნენ ბარგს და ამოწმებდნენ მოეწყო თუ არა ყველა მგზავრი. პილოტები კაბინიდან იხრებოდნენ და ელაპარაკებოდნენ, როცა ისინი მათ უახლოვდებოდნენ. ელისის ხელი ჩემს ბეჭზე გაშეშდა, ჩემს ადგილზე გასაჩერებლად, სანამ ანერვიულებული ვხტებოდი ხოლმე ფეხზე.

–ეს, უფრო ჩქარია ვიდრე გაქცევა –შემახსენა დაბალი ხმით.

მე თავი დავუქნიე და ისევ ავხტი.
როგორც იქნა თვითვმფრინავი ზოზინით გაღოღდა ბილიკზე, ნელნელა სიჩქარის აკრებით, რომელიც მაწვალებდა. ველოდი, რომ ცოტა დავწყნარდებოდი როცა მიწას ავშორდით, მაგრამ ჩემი გადარეული მოუთმენლობა არ დამცხრალა.
ელისმა ტელეფონი მანამ ამოიღო სანამ ბოლომდე ავფრინდებოდით, მისკენ მაშინვე გამცილებელი წამოვიდა, და ვიღაცამ გამკიცხავად შეხედა ელისს... მაგრამ, რაღაცამ ჩემს გამომეტყველებაში შეაჩერა გამცილებელი, რომ ელისისთვის საუბრის გაწყვეტა არ ეთხოვა. ვცდილობდი არ მესმინა რას ალაპარაკებოდა ელისი ტელეფონში ჯასპერს, მაგრამ ზოგიერთი დეტალები მოდიოდნენ ჩემს ყურამდე.

–დარწმუნება არ შემიძლია, მე ისევ ვხედავ, რომ სხვადასხვა რაღაცეებს იგონებს... მხიარულება, მკვლელობა ქალაქში, დაცვაზე თავდასხმა, მანქანის აფეთქება მთავარ მოედანზე... მოკლედ, ისეთი საქმეები, რომლებიც გამოიყვანს მათ მოთმინებიდან – მან იცის, რომ ეს ყველაზე სწრაფი საშუალებაა მათი რეაქციის გამოსაწვევად...
–არა, არ შეგიძლია. –ელისის ხმა დადაბლდა, თითქმის უხმოდ ლაპარაკობდა, მაგრამ მე ყველაფერი ზუსტად გავიგონე –უთხარი ემეტს, მაგრამ... კარგი, წადი ემეტთან და როზალისთან და დააბრუნე ისინი... დაფიქრდი ჯასპერ. თუ ის რომელიმე ჩვენგანს დაინახავს, რას ფიქრობ რას გააკეთებს?

ელისმა თავი დააქნია –ზუსტად. ვფიქრობ რომ ბელა – ართადერთი შანსია, თუ შანსი არსებობს საერთოდ... ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ კარლაილი მოამზადე, შანსი თითქმის არ გავქვს. შემდეგ ელისმა გაიცინა –მე ვიფიქრე ამაზე... კი, გპირდები. –მისი ხმა ვედრებად გადაიქცა –არ გამომყვე. გპირდები ჯასპერ. დავბრუნდები... და მეც მიყავრხართ ყველანი

ელისმა ტელეფონი გათიშა და სავარძელს მიეყრდნო დახუჭული თვალებით –უსიამოვნო გრძნობა მეუფლება როცა ვატყვილებ მას.

–ყველაფერი მომიყევი, ელის –ვთხოვე მე –არ მესმის, რატომ თხოვე ჯასპერს, ემეტი შეეჩერებინა, რატომ არ შეუძლიათ ჩამოსვლა ჩვენს დასახმარებლად?

–ამისთვის ორი მიზეზია –დაიჩურჩულა მან, ისევ დახუჭული თვალებით –პირველი ვუთხარი ჯასპერს. ჩვენ შეგვეძლო ჩვენით შეგვეჩერებინა ედვარდი – თუ ემეტი იპოვიდა მას შეგვეძლებოდა მისი გაჩერება იქმადე, სანამ დავარწმუნებდით, რომ ცოცხალი ხარ. მაგრამ ჩვენ არ ვშეგვიძლია ედვარდთან შეუმჩნევლად მივიდეთ და თუ ის დაინახავს, რომ ჩვენ ახლოს ვართ, ის დააჩქარებს თავის მოქმედებებს.
–არის კიდევ მეორე მიზეზი, რომელიც ჯასპერს ვერ ვუთხარი. თუ ვოლტურები ედვარდს მოკლავენ, ჩემი ოჯახი მისთვის იბრძოლებს. ბელა. –მან თვალები გაახილა და ვედრებით შემომხედა –მცირედი შანსი მაინც რომ არსებობდეს ჩვენი გამარჯვების... თუ არის გზა, რომლითაც ჩვენ ოთხნი გადავარჩენთ ედვარდს, ბრძოლით მისი გულისთვის, ეს გადასარევი იქნებოდა. მარამ ჩვენ არ შეგვიძლია, და ბელა, მე არ შემიძლია ჯასპერიც დავკარგო.

მე მივხვდი, რატომ შემევედრა თვალებით, გაგებას ელისი. ის ჯასპერს იცავდა, ჩვენს ხარჯზე და შეიძლება ედვარდსაც. მე გავიგე და მე არ ვფიქრობდი მასზე ცუდად. თავი დავუქნიე.

–მაგრამ, ედვარდს შეეძლო გაეგონა თქვენი ფიქრები. როგორც კი გაიგონებდა თქვენს აზრებს და გაიგებდა, რომ ცოცხალი ვარ, ვერ მიხვდებოდა, რომ მისი ქმედებები უაზროა?

მე ყველა გამოსავალს ვებღაუჭებოდი. კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ ედვარდს შეეძლო ესეთი რეაგირება ჰქონოდა. ეს უაზრობა იყო! მე ნათლად და მტკივნეულად მახსოვდა მისი სიტყვები, როდესაც რომეოს და ჯულიეტას ვუყურებდით და მთავარი გმირები ერთამნეთის მიყოლებით იკლავდნენ თავს. მე არ ვაპირებდი შენს გარეშე ცხოვრებას, მითხრა მან ისე თითქოს, ეს აშკარა დასკვნა

ყოფილიყო. მაგრამ სიტყვები, რომლებიც მან ტყეში მითხრა, როდესაც მიმატოვა, ყველაფერი მანმადე ნათქვამი გადაშალა.

–თუ ის მოისმენს –მითხრა ელისმა –მას არ ეცოდინება დაგვიჯეროს თუ არა. შენ მართლა რომ მოკვდარიყავი, მე მაინც შევეცდებოდი მის შეჩერებას. და გონებაში სულ გავიმეორებდი: ის ცოცხალია, ის ცოცხალია. მან იცის ეს.

მე კბილები დავაჭირე ერთმანეთს, გაბრაზებულმა.

–რომ ყოფილიყო ნებისმიერი შანსი შენს გარეშე გაგვეკეთებინა ეს, ბელა, მე არ ჩაგაყენებდი ესეთ საფრთხეში. ყველაფრი ეს არსწორია.

–ნუ ხარ სულელი. მე – ბოლო ვარ, რის გამოც უნდა ინერვიულო. – მოუთმენლად გავაქნიე თავი –მითხარი, რას გულისხმობდი, როცა თქვი, რომ ვერ იტან როცა ატყვილებ ჯასპერს.

მან უსიცოცხლოდ გაიღიმა –დავპირდი, რომ მანამ წამოვალ სანამ მეც მომკლავენ. ამას ვერ გავაკეთებ. ამის საშუალებას არ მომცემენ. –ელისმა წარბები ასწია, თითქოს ჩემს შეშინებას ცდილობდა, რომ მომავალი საფრთხესთვის სერიოზულად შემეხედა.

–ვინ არიანს ეს ვოლტურები? –ჩურჩულით მოვთხოვე ახსნა. –რა ხდის მათ უფრო საშიშს, ვიდრე ემეტი, ჯასპერი, როზალი და შენ? – რთული იყო უფრო მეტი საშინელების წარმოდგენა ვიდრე ეს ოთხეული იყო.

ელისმა ამოიხვნეშა და მისი შავი მზერა ჩემს ზურგსუკან ისროლა. მე მივბრუნდი, რომ დამენახა მამაკაცი, რომელიც თითქოს არ გვისმენდა. როგორც ჩანდა, ბიზნესმენი იყო, მუქი კოსტიუმი ჰალსტუხით და ნოუთბუქით მუხლებზე. როცა გაღიზიანებულმა მივაჩერდი, ნოუთბუქი გახსნა და შეუმჩნევლად გაიკეთა ყურსასმენები.
ელისისკენ დავიხარე. მისი ტუჩები ჩემს ყურებთან იყო და მის სუნთქვას ვგრძნობდი.

–გამიკვირდა, როცა პირველად არ გაიგონე მათზე –მითხრა მან –ის, რომ შენ სწრაფად მიხდვი რას ნიშნავდა ედვარდის იტალიაში გამგზავრება. მეგონა, რომ ყველაფრის ახსნა მომიწევდა. რა მოგიყვა ედვარდმა?

–მან მითხრა, რომ ისინი ძველი, ძლიერი და ძლევამოსილი ოჯახია. ის, რომ მათთან გზის გადაკვეთა არ ღირს თუ... სიკვდილი არ გინდა. –დავიჩურჩულე მე. ბოლო სიტყვა ძლივს ამოვისუნთქე.

–უნდა იცოდე –მითხა უფრო დაწყნარებული ხმით –ჩვეულებრივ... არსებობს დაბრკოლებები, რომ ვამპირებმა მშვიდობიანად იარსებონ ადამიანებთან ერთად. მაგრამ ჩვენ, კალენები, უნიკალურ უნარებს ვფლობთ. ასევე ტატიანას ოჯახში, ჩრდილოეთში... და კარლაილმა გადაწყვიტა, რომ შემადგენლობა გვაიძულებს ცივილიზებულები ვიყოდ, შევასრულოდ მოვალეობები სიყვარულზე დაფუძნებით და არა გადარჩენაზე და კომფორტზე – შევინარჩუნოდ ჩვენი ოჯახი ერთად. ჯეიმსის მცირედი ჯგუფი – მხოლოდ სამი ადამიანი იყო – და როგორ ადვილად მიატოვა ლორანმა. ვამპირები, როგორც წესი მარტონები არიან, წყვილებად იშვიათად ჩერდებიან. კარლაილის ოჯახი უდიდესია, მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარეშე. ვოლტური. –თავიდა მათ ოჯახში სამნი იყვნენ, არო, კაიუსი და მარკუსი.

–მე ვნახე ისინი –წავიბუტბუტე მე –სურათზე, კარლაილის ოთახში.

ელისმა თავი დამიქნია –რამოდენიმე ხნის შემდეგ მათ ორი ქალი შეუერთდა, და ოჯახში ხუთნი იყვნენ. დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათ, ასაკი აძლევთ ერთად ცხოვრების საშუალებას. ისინი დაახლოებით სამიათასი წლის არინა. ან, შესაძლობლობები რომლებიც მოთმინებას უმატებენ. ედვარდივით და ჩემსავით, აროს და მარკუსს... უნარები აქვთ.
ელისმა გააგრძელა სანამ ვკითხავდი –ან, მიზეზი, რომელიც მათ ერთად აჩერებს არის, ძალაუფლების სიყვარული. აი, ისტორია მათზე.

–მაგრამ, თუ არის მხოლოდ ხუთი...

–ხუთი, მხოლოდ ოჯახის შემადგენლობაში შედის –შემისწორა მან –ეს არ ითვლის მათ დაცვას.

მე ამოვიოხრე –ეს... სერიოზულად ჟღერს.

–ო, რათქმაუნდა –დამარწმუნა მან –მათ დაცვსის ცხრა მუდმივი წევრი ჰყავთ, როგორც გავიგეთ ადრე. სხვები უმეტესად... მიდიან და მოდიან. იცვლებიან. და ზოგიერთი მათგანი ძლიერი შესაძლებლობებით, უდიდესი უნარებით, რომლებთანაც შედარებით ჩემი უნარი, ბავშვური ეშმაკობაა. ვოლტურები მათ უნარებით ან ფიზიკური შესაძლებლობებით არჩევენ.

პირი დავაღე და ისევ დავმუწე. არ მეგონა თუ ესეთი მცირე შანსი გვქონდა.
ელისმა ისევ დამიქნია თავი, თითქოს მიხვდა რაზე ვფიქრობდი.

–ისინი არ მონაწილეობენ დიდ დაპირისპირებებში. ყველა სულელი არ არის, რომ მათ დაუპირისპირდეს. ისინი რჩებიან თავიანთ ქალაქში და ასრულებენ მოვალეობებს.

–მოვალეობები? –ვიკითხე მე

–ედვრადს არ უთქვამს ამის შესახებ?

–არა –ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ სახე არაგამომეტყველებითი გამიხდა.

ელისმა ისევ შეხედა უკან, ბიზნესმენს და ცივი თითები ყურზე მომადო.

–არის მიზეზი, რის გამოც ვოლტური... მართველი კლასია. ათასწლეულების მანძილზე ისინი თვალს გვადევნებდნენ, რომ წესები დაგვეცვა – დამრღვევებს კი სჯიდნენ. ისინი მტკიცედ ასრულებენ ამ მოვალეობებს.

თვალები გამიფართოვდა. შოკში ვიყავი –წესები არსებობს? –ვკითხე ძლზე ხმამაღლა.

–ჩუუუ!

–ვინმეს ადრე არ უნდა ეთქვა ამაზე? –წყენით დავიჩურჩულე –მე ვაპირებდი გავხმდარიყავი... გავმხდარიყავი ერთერთი თქვენგანი! ვინმეს არ უნდა ეთქვა წესების შესახებ?

ელისმა ჩაიხითხითა ჩემს რეაქციაზე –ეს წესები რთული არ არის, ბელა. არის მხოლოდ ერთი შეზღუდვა – და თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები.

მე დავფიქრდი –არა, წარმოდგენაც არ მაქვს.

მან იმედგაცრუებით გააქნია თავი –ეს ხომ ესე ნათელია. მხოლოდ, ჩვენ უნდა შევინახოთ ჩვენი არსებობა საიდუმლოდ.

–ო –ჩავიბუტბუტე მე. ეს ნათელი იყო.

–ყველამ იცის ეს და ბევრ ჩვენგანს არ სჭირდება მეთვალყურეობა. –აგრძელებდა ელისი –მაგრამ ასწლეულების შემდეგ, ვიღაცას ბეზრდება ეს. ან ვინმე ჭკუიდან იშლება. არ ვიცი... მაგრამ ვოლტურები ერევიან სანამ ეს მათ საფრთხეს შუქმნის, ან ყველა ვამპირს შეუქმნის საფრთხეს.

–ესე იგი ედვარდი...

–აპირებს წესების დარღვევას მათსავე ქალაქში – ქალაქში, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ სამიათასი წლის განმავლობაში. ისინი იმ დონემდე იცავენ თავიანთ ქალქს, რომ მათ ტერიტორიაზე ნადირობის საშუალებას არ აძლევენ. ვოლტერა – მგონი, ყველაზე უდაფრთხო ადგილია მთელს მსოფლიოში, იქ, ხალხი დაცულია ვამპირების თავდასხმისგან.

–მაგრამ, შენ თქვი, რომ ისინი არ მიდიან. როგორ ჭამენ?

–არ მიემგზავრებიან. მათ საკვები ქალაქგარეთიდან მოაქვთ. ამისთვის სჭირდებათ მცველები. ან, იმისთვის, რომ დაიცვან ვოლტერა იმ...

–იმ სიტუაციიდან, რომლის მაგვარის მოწყობასაც ედვარდი აპირებს. –დავამთავრე ელისის წინადადება. ეხლა საოცრად ადვილი გახდა მისი სახელის წარმოთქმა ხმამაღლა. არ ვიცი რა შეიცვალა. ალბათ, ის რომ მე აღარ ვაპირებდი მის გარეშე ცხოვრების გაგრძელებას. ან იმიტომ, რომ შეიძლება გვიან ჩავიდეთ. მამშვიდებდა ფიქრი, რომ მალე მოვკვდებოდი.

–ეჭვი მეპარება, რომ მათ ამდაგვარი სიტუაცია ჰქონოდეთ – წაიბუტბუტა ელისმა –თქვენ, არ იცით, რომ ირგვლივ ამდენი სასიკვდილო ვამპირი დადის.

ხმა რომელიც აღმომხდა, ჩუმი იყო, მაგრამ ელისი მიხვდა, რომ ეს იყო ტკივილის ყვირილი. ის ბეჭებზე მომეხვია, გამხდარი მაგრამ ძლიერი ხელით.

–ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვეძლება. ჯერ კიდევ არაფერი დასრულებულა.

–ჯერ კიდევ. –ელისს უფლება მიცევი დავემშიდებინე, მაგრამ ვიცოდი, რას ფიქრობდა ის, რომ შანსი თითქმის არ გვაქვს –და ვოლტურები გაგვისწორდებიან თუ იქ ვიქნებით.

ელისი დაიძაბა –ისე ლაპარაკობ თითქოს ეს შენც გეხება და გიხარია ამ სიტუაციაში მოხვედრა.

მე ბეჭები ავიჩეჩე.

–შეწყვიტე ეს, ბელა თორემ ნიუ იორკში ჩამოვდივართ და ფორქსში ვბრუნდებით.

–რა?!

–იცი რაც. თუ ედვარდისთვის გვიან ჩავალთ, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩარლისთან უვნებელი დაგაბრუნო. არ დავუშვებ, რომ რამე მოგივიდეს. გამიგე?

–რათქმაუნდა, ელის.

ელისი უკან გაიწია, რომ თავლებში ჩაეხედა ჩემთვის –არანაირი უსიამოვნებების ძებნა.

–ბოისკაუტის სიტყვას გაძლევ –წავიბუტბუტე მე

ელისმა თავლები გადაატრიალა.

–ეხლა ნება მომეცი გონება მოვიკრიბო. ვცდილობ დავინახო რას აპირებს.

ელისს არ აუღია ხელი ჩემი ბეჭიდან, მაგრამ თავი უკან, სავარძელს მიადო და თვალები დახუჭა. თავისუფალი ხელი ლოყაზე მიიდო და თითები ცხვირზე გაისვა.
კარგა ხანი ვადევნებდი თვალს. საბოლოოდ, ის უმოძრაო გახდა, მისი სახე ქანდაკებასავით გაშეშდა. წუთები გადიოდა, და ელისი კარგად რომ არ მცოდნოდა, მეგონებოდა, რომ ჩაეძინა. ვერ გავბედე მეკითხა რას ხედავდა.
ველოდი, რომ რამე სხვა აზრები მომივიდოდა თავში. ვერ მივცემდი თავს უფლებას წარმომედგინა ის რაც ვოლტერაში გველოდა, ან უფრო საშინელი, რომ ჩვენ დავმარცხდებით – არ შემეძლო თუ მინდოდა, რომ არ დამეყვირა.
ასევე, არ შემეძლო რაიმეს იმედი მქონოდა. მე რომ ძალიან, ძალიან, ძალიან, იღბლიანი ვყოფილიყავი, ასე თუ ისე გადავარჩენდი ედვარდს. მაგრამ არ ვიყავი იმდენად სულელი, რომ მეფიქრა – როცა ედვარდს გადავრჩენდი მასთან დავრჩებოდი. ვერ ვხედავდი განსხვავებას რაც იყო ადრე და რაც მოხდება აწი. არ იყო მისთვის არანაირი მიზეზი, რომ ისევ ნდომოდა ჩემი ნახვა. ვიპოვო ის და ისევ დავკარგო...
მე ტკივილს ვეწინააღმდგებოდი. ტკივილი იყო ფასი, რომელიც უნდა გადამეხადა მისი სიცოცხლისთვის. მე გადავიხდი მას.
  თვითმფრინავში ფილმს აჩვენებდნენ და ჩემმა მეზობელმა ყურსასმენები მიიღო. ზოგჯერ ვაკვირდებოდი ეკრანზე მოძრავ

ფიგურებს, მაგრამ ვერ გავარჩიე რა ფილმი იყო – რომანტიკა, კომედია თუ საშინელებათა.
 როგორც იქნა, თვითმფრინავმა დაიწყო ნიუ იორკში დაშვება. ელისი ისევ ტრანსში იყმყოფებოდა. მე გაუბედავად გავწიე ხელი რომ გამომეფხიზლებინა, მაგარმ ისევ და ისევ გავჩერდი. ეს უამრავჯერ განმეორდა სანამ თვითმფრინავი, ბიძგით არ შეეხო ასაფრენ ბილიკს.

–ელის –როგორც იქნა ვთქვი მე –ელის, უნდა წავიდეთ.

მე მის ხელს შევეხე.
თვალები ძალიან ნელა გაახილა. წამიერად გაურკვევლობაში გაშეშდა.

–არის რამე ახალი? –ვკითხე ჩუმად, რადგან ვიგრძენი, რომ მამაკაცი ჩვენს უკან, ყურადღებით გვისმენდა.

–ზუსტად არა –ამოიხვნეშა მან –ის უფრო ახლოს მიდის მათთან. ის წყვეტს, როგორ უნდა თხოვოს მათ.

ჩვენ ხელახალი რეგისტრაციის პროცედურა უნდა გაგვევლო, მაგრამ ეს უკეთესი იყო ვიდრე ლოდინის აუცილებლობა. როგორც კი თვითმფრინავი ისევ აფრინდა ცაში, ელისმა თვალები დახუჭა, უკან გადაწვა და ისევ გაშეშდა. მე იმდენი მოთმინებით ველოდე რამდენიც შემეძლო.
მადლობელი ვიყავი, რომ თვეების განმავლობაში მქონდა საშუალება ჩემი ემოციების გაკონტროლება მესწავლა. იმის მაგივრად, რომ საშინელ პერსპექტივებზე მეფიქრა, იმის მიუხედავად რა მითხრა ელისმა, მე ვცდილობდი უფრო მცირე პრობლემებზე მეფიქრა. მაგალითად, რას ვეტყვი ჩარლის თუ დავბრუნდი: ეს საკმაოდ საჩოთირო საკითხი იყო, რომ რამოდენიმე საათი დავკავებულიყავი. და როგორ არის ჯეიკობი? ის დალოდებას შემპირდა, მაგრამ ეს დაპირება დაცულია ეხლა? მე დავბრუნდებოდი ფორქსში მარტო და დავრჩებოდი იქ სრულ მარტოობაში? შეიძლება, მე არ ვაპირებდი ედვარდზე ისევ მედარდა, რაც არ უნდა მომხდარიყო.
შეგრძნება მქონდა, რომ მხოლოდ რამოდენიმე წუთი გავიდა, როცა ელისი ბეჭზე შემეხო – და ვერ შევამჩნიე როდის ჩავიძინე.

–ბელა –დაიჩურჩულა მან, მისი ხმა ცოტა ხმამაღლა ისმოდა ჩაბნელებულ, მძინარე ხალხით სავსე კაბინაში.

მე არ დავბნეულვარ – არც ისე დიდი ხანი მეძინა.

–რა მოხდა?

ელისის თვალები ბრწყინავდნენ, სამაგიდო ლამპიდან, ჩვენს უკანა რიგიდან.

–არც ისე ცუდადაა ყველაფერი –მან სასოწარკვეთილად გაიღიმა –ეს უკვე კარგია. მათ უარის თქმა გადაწყვიტეს.

–ვოლტურებმა? –ჩავიბურტყუნე მე, და ვიგრძენი სურვილი რომ ყელი წყლით ჩამეწმინდა.

–რათქმაუნდა ბელა, ეხლა ჩემი უნარი მაღალ წერტილზეა. მე ვხედავ რის თქმასაც აპირებენ ისინი.

–მითხარი.

მორიგე ფეხის წვრებით, ჩუმად მოვიდა ჩვენთან.

–ქალბატონო, შემიძლია ბალიში შემოგთავაზოთ? –მისი წყნარი ჩურჩული საყვედურად ისმოდა ჩვენს ხმამაღლა საუბართან შედარებით.

–არა გმადლობთ –უთხრა ელისმა, მისი ბრწყინვალე ღიმილი, საშინლად ლამაზი იყო. მორიგე თავბრუდახვეული გაბრუნდა და წაიბორძიკა კიდეც.

–მითხარი –მე თითქმის არ ვსუნთქავდი

ელისი ყურში მიჩურჩულებდა –ისინი დაინტერესდნენ ედვარდით, ფიქრობენ რომ ედვარდის უნარი გამოადგებათ მათ. ისინი აპირებენ მათთან შესთავაზონ ადგილი.

–რას ეტყვის?

–მე არ შემიძლია ყველაფრის სრულყოფილად დანახვა. –მან ისევ ჩაიცინა –ეს ჩვენი პირველი კარგი ამბავია – პირველი ამოსუნთქვა "მფლანგველი" ესე უწოდებს არო – და ეს საკმარისი იქნება, რომ უფრო გამომგონებითი გახადოს ის. რაც უფრო დიდი ხანი ფიქრობს გეგმაზე მით უკეთესია ჩვენთვის.

მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ჩემთვის იმედის მოსაცემად, შვების საგრძნობლად, რომელსაც ელისი გრძნობდა. კიდევ უამრავი გზა იყო, რომლის გავლითაც გვიან ჩასვლა შეგვეძლო. და თუ ვერ გადავლახავ ვოლტერას კედლებს, ვერ შევეწინააღმდეგები ელისს ჩემს სახლში დაბრუნებაზე.

–ელის?

–რა?

–გაოგნებული ვარ. როგორ ხედავ ყველაფერ ამას ესე ნათლად? თუ სხვა დროში ჩაიხედავ, შეგიძლია დაინახო მომავალი, რაც ჯერ არ მომხდარა?

თვალები დაძაბა. დავინტერესდი, მიხვდა თუ არა რაზე ვკითხე.

–ნათელია იმიტომ, რომ ეხლა ხდება და მე მართლა კარგად ვაკეთებ კონცენტრაციას. შორი მოვლენები, რომლებიც მომავალში მოხდება – მათგან მხოლოდ გაელვებებს ვხედავ, ბუნდოვანი წარმოდგენები, სუსტი ალბათობები. და კიდევ, მე ჩემი სახეობის დანახვა უფრო მიადვილდება ვიდრე თქვენი. ედვარდის დანახვა უფრო ადვილია, რადგან ის ახლოა ჩემთვის.

–ზოგჯერ მე მხედავ –შევახსენე მე

  მან თავი გააქნია –არც ისე ნათლად.

მე ამოვიხვნეშე –მე მართლა ვწუხვარ, რომ შენ შეცდი ჩემთან მიმართებაში. თავიდან როცა ჩემზე დაიწყე თვალის დევნება, მანამ სანამ შევხვდებოდით...

–რისი თქმა გინდა?

–შენ დაინახე, რომ მე ერთერთი თქვენგანი გავხდი. –მოკლედ წარმოვთქვი მე.

მან ამოიხვნეშა –იმ დროს იყო ესეთი შესაძლებლობა.

–იმ დროს –გავიმეორე მე.

–ბელა, -ელისი აშკარად ყოყმანებდა და შემდეგ გააკეთა არჩევანი –სინამდვილეში, ვფიქრობ რომ ამაში არის საღი აზრის წვეთი. ვფიქრობ, შენი შეცვლა...

მე მივაშტერდი ელისს, გაშეშებული შოკიდან. შინაგანად შევეწინააღმდეგე ელისის ეჭვებს. თავს უფლება მივეცი იმედი მქონოდა, რომ ის საბოლოოდ გადაწყვეტდა.

–შეგაშინე? –იკითხა მან –მეგონა, ეს ის არის რაც შენ გინდოდა.

–მინდა! –ამოვიხვნეშე მე –ო, ელის გააკეთე ეს ახლავე! შემდეგ მართლა შევძლებ შენს დახმარებას და არ შევანელებ ჩვენს გადაადგილებას. მიკბინე!

–ჩუუუ –გამაფრთხილებლად დაიჩურჩულა მან. მორიგემ ისევ ჩვენსკენ გამოიხედა. –აზრიანი იყავი –ჩურჩულებდა ის –ჩვენ არ გვაქვს საკმარისი დრო. ვოლტერაში ხვალ უნდა შევიდეთ. ტკივილიდან რამოდენიმე დღე დაიტანჯები –მან სახე დამაჭა –და, არამგონია დანარჩენ მგზავრებს კარგი რეაქცია ჰქონდეთ ამაზე.

მე ქვედა ტუჩს ვუკბინე –თუ ამას ახლა არ გააკეთებ, შემდეგ გადაიფიქრებ.

–არა –ის შეიშმუშნა და მისი გამომეტყველება უბედური გახდა –არა მგონია გადავიფიქრო. ის გაგიჟდება, მაგრამ რას გააწყობს?

გული ორჯერ უფრო ჩქარად მიცემდა –ვერაფერს.

ელისმა წყნარად გაიცინა და შემდეგ ამოიხვნეშა –შენ დიდი რწმენა გაქვს ჩემი, ბელა. დარწმუნებული არ ვარ რომ შემიძლია. შეიძლება შენი მოკვლა მომინდეს.

–გავრისკავ.

–შენ ისეთი საოცარი ხარ, ადამიანისთვისაც კი.

–მადლობა.

–კარგი, ეს მხოლოდ მომავლის გეგმებია. ჯერ ხვალინდელი დღე უნდა გადავიტანოთ.

–შეიძლება. –მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, მე მექნება რაღაც რასაც მომავალში მივიღებ, თუ გადავრჩებით. თუ ელისი შეასრულებს თავის დაპირებას და თუ ამასთან ერთად არ მომკლავს, ედვარდს შეუძლია ნებისმიერი სიგიჟეებით იტანჯოს, მაგრამ მე მუდამ მის გვერდით ვიქნები. მე არ მივცემდი უფლებას უსარგებლო რამებზე ედარდა. თუ მე გავხდები ვამპირი, მე ლამაზი და ძლიერი ვიქნები, მაშინ ის აღარ იფიქრებს სხვა რამეზე ჩვენს გარდა.

–ცოტა დაიძინე –დამიჩურჩულა ელისმა –გაგაღვიძებ, თუ რაიმე ახალი ამბავი იქნება.

–მართლა, -წავიბურტყუნე, დარწმუნებულმა, რომ ძილი დიდი ხნით გამიტყდა. ელისმა ფეხები ზომოდ შემოაწყო, ხელები შემოუჭირა და

თავი მუხლებში ჩადო. ის წინ და უკან ქანაობდა, რადგან ისევ იკრებდა გონებას თავის ხილვებზე.
მე სავარძელზე მიყრდნობილი მას ვადევნებდი თვალს, და კიდევ რაღაცას, რაც ვიცოდი, ელისის ჩრდილი არ ჩანდა, სუსტი აღმოსავლეთის სინათლიდან, რომელიც ფანჯრიდან შემოდიოდა.

–რა მოხდა? –წავიბურტყუნე მე

–მათ უარი უთხრეს – თქვა ელისმა მშვიდად. მე მაშინვე შევამჩნიე, რომ მთელი მისი ენთუზიაზმი გაქრა.

შიშისგან ლაპარაკი ვეღარ შევძელი –რის გაკეთებას აპირებს?

–თავიდან ყველაფერს კარგად ვხედავდი. მხოლოდ მცირე ნაწილები. ძალიან სწრაფად ცვლიდა გადაწყვეტილებებს.

–რა გადაწყვეტილებეს?

–ყველაზე ცუდ დროს –ჩურჩულებდა ელისი –გადაწყვიტა ინადიროს.

ელისი მიყურებდა და ხედავდა გამგებიანობას ჩემს სახეზე.

–ქალაქში –ამიხსნა მან –თავიდან ესე მოქმედება გადაწყვიტა. მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა.

–მას არ უნდა კარლაილს გაუცრუოს იმედი. –ჩავიბუტბუტე მე. არა ბოლოს.

–შესაძლოა –დამეთანხმა ის.

–საკმარისი დრო გვექნება? –როდესაც ეს ვკითხე, ვიგრძენი, რომ თვითმფრინავმა ძირს დაშვება დაიწყო.

–ამის იმედი მაქვს – თუ ბოლო გადაწყვეტილებას შეინარჩუნებს.

–რას აპირებს?

–ის ყველაფრის უბრალოდ გაკეთებას აპირებს. ის მხოლოდ მზეზე გამოვა.

მხოლოდ მზეზე გამოსვლა. ეს დასასრული იყო.
ეს საკმარისი იქნებოდა. ედვარდი, როდესაც ის მდელოზე ბრწყინავდა, ბზინვარება, რომელიც მისგან მოდიოდა თითქოს ალმასისგან იყო გაკეთებული – შემორჩენილი იყო ჩემს

მახსოვრობაში. და ვერც ერთი ადამიანი რომელიც დაინახავს ამას, ვერარასდროს შეძლებს ამის დავიწყებას. ვოლტურები არ დაუშვებენ ამას. არა, თუ უნდათ მათი ქალაქის შეუმჩნევლად დატოვება.
მე ვხედავდი ნათელ ნაცრისფერ სინათლეს, რომელიც ფანჯრიდან შემოდიოდა –ძალიან გვიან ჩავალთ –დავიჩურჩულე და შიშისგან ხმა ჩამიწყდა.

ელისმა თავი გააქნია –მას უნდა რაც შეიძლება ბევრი მაყურებელი შეაგროვოს, და ამიტომ მან აირჩია მთავარი მოედანი, საათის კოშკთან. კედლები იქ მაღალია. შუადღემდე მოიცდის, როდესაც მზე ზუსტად ადის მის ზემოდ.

–ესეიგი, ჩვენ დრო შუადღემდე გვაქვს?

–თუ გაგვიმართლებს. და, თუ არ გადაიფიქრებს.

პილოტის ხმა დინამიკებიდან, ჯერ ფრანგულად შემდეგ ინგლისურად გაისმა და დაშვება გამოაცხადა. უსაფრთხოების ღვედებზე შუქები აინთო.

–რა მანძილზეა ვოლტერა ფლორენციიდან?

–იმაზეა დამოკიდებული რა სიჩქარიდ წახვალ... ბელა?

–ხო?

–მოპარული მანქანის წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

ნათელი, ყვითელი ფერის პორშე რამოდენიმე ნაბიჯში გაჩერდა ჩემგან. უკნიდან, საბარგულის ქვემოდ იყო ვერცხლისფერი წარწერა "ტურბო". ყველა ვინც აეროპორტის ბარდიულზე იდგა ჩემს გვერდით, მე მომაჩერდა.

–იჩქარე ბელა! –მოუთმენლად დაიყვირა ელისმა, მგზავრის ფანჯრიდან.

კართან მივირბინე და მანქანაში ჩავხტი, თავს ისე ვგრძნობდი თითქოს თავზე შავი წინდა მქონდა ჩამოცმული.

–ჩუმად ელის –უკმაყოფილოდ დავიჩურჩულე მე –უფრო შესამჩნევი მანქანა ვერ იშოვნე?

მანქანის სალონი შავი ტყავისგან იყო გაკეთებული, ხოლო ფანჯრები დაბურული იყო. შიგნით თავი უსაფრთხოდ ვიგრძენი, როგორც ღამეში.
ელისი გიჟივით მირბოდა საცობებში – ძვრებოდა მანქანებს შორის რისგანაც შიშისგან ვიკუმშებოდი და უსაფრთხოების ღვედს ვიჭერდი.

–მთავარი იყო გეკითხა –შემისწორა ელისმა –შემეძლო უფრო სწრაფი მანქნა მომეპარა, ვფიქრობ, რომ არა. გამიმართლა.

–დარწმუნებული ვარ ეს პირველივე ბოძზე დაგვამშვიდებს.

ელისს სიცილი აუტყდა –მომენდე ბელა. თუ ვინმე დაბრკოლებას შეგვიქმნის ჩვენს უკან დარჩება. –თავისი სიტყვების დასადასტურებლად სიჩქარეს მოუმატა.
ალბათ უკეთესი იქნებოდა ფანჯარაში მეყურებინა, ჯერ ფლორენცია და შემდეგ პეიზაჟები როგორ ელავდა უაზრო სიჩქარით. ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა და შეიძლება ბოლოც. მაგარმ ელისის მართვის მანერა მაშინებდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ელისზე ნდობა შეიძლებოდა.

–კიდევ რამე დაინახე?

–რაღაც ხდება –ჩუმად წაიბურტყუნა მან –რაღაც ფესტივალი. ქუჩები ხალხით და წიტელი დროშებით არის სავსე. რა რიცხვია დღეს?

დარწმუნებული არ ვიყავი –მგონი ცხრამეტი.

–აი, რა ირონიაა. დღეს წმინდა მარკუსის დღეა.

–და რას ნიშნავს ეს?

ელისმა მოღუშულად გაიღიმა –ყოველ წელს, ეს ქალაქი ამ დღესასწაულს აღნიშნავს. ლეგენდის მიხედვით, ქრისტიანობის მქადაგებელი, მამა მარკუსი – სინამდვილეში მარკუს ვოლტანი – გააძევა ყველა ვამპირე ვოლტერიდან თხუთმეტი საუკუნის წინათ. ისტორიის მიხედვით ის რუმინეთიდან დევნიდა ვამპირებს, მაგრამ რათქმაუნდა ეს სისულელეა, მას არასდროს დაუტოვებია ვოლტერას კედლები. მაგარმ აქედან წამოვიდა ყველა ცრურწმენა ჯვრებზე და ნიორზე. მამა მარკუსი იღბლიანად იყენებდა მათ. ვამპირები აღარ აწუხებდნენ ვოლტერას, ესეიგი ისინი მოქმედებდნენ –ელისი ბოროტულად გაიღიმა –ისინი, ზეიმის სიმბოლონი და პოლიციის

ქვედადანაყოფის ნიშნები გახდნენ – ვოლტერა ხომ უსაფრთხო ქალაქია. პოლიცია პატივით სარგებლობს.

ეხლა გავიგე რასაც გულისხმობდა, როცა ირონიით თქვა –მათ არც ისე გაეხარდებათ, თუ ედვარდი ყველა მათ გეგმას წმინდა მარკუსის დღეს დაარღვევს, ასეა ხომ?

ელისმა თავი გააქნია და მოღუშული სახე მიიღო –არა. ისინი ძალიან მალე მოუღებენ მას ბოლოს.

შევბრუნდი და პირი მოვკუმე რომ ტუჩზე არ მეკბინა, სისხლდენა – არ არის კარგი იდეა ეხლა.
მზე შემაშინებლად ავიდა ცისფერ ცაზე.

–ის ისევ შუადღით გეგმავს? –ვკითხე მე

–ხო. მან მოცდა გადაწყვიტა. ისინი კი მას ელოდებიან.

–მითხარი რა უნდა გავაკეთო.

ელისმა თვალი არ მოაშორა გზას – სპიდომეტრის ისარი მარჯვენა მხარეს იწვა.

–შენ არაფერის გაკეთება არ გინდა. მან უბრალოდ უნდა დაგინახოს, სანამ მზეზე გამოვა. და მანმადე უნდა დაგინახოს ვიდრე მე.

–და როგორ გავაკეთებთ ამას?

პატარა წითელი მანქანა ცოტათი ჩამოგვრჩა როცა ელისმა გაუსწრო მას.

–მე ვაპირებ, რაც შეიძლება ახლოს მიგიყვანო, და შემდეგ გაჩვენებ რა მიმართულებით უნდა წახვიდე.

მე თავი დავუქნიე.

–და შეეცადე არ წაიქცე –დაამატა მან –დღეს არ გვაქვს შერყევების და დაზიანებების დრო.

მე ამოვიკვნესე. ეს მე ძალიან მგავდა – ყველაფრის დანგრევა, სამყაროს დაშლა ჩემი მოუხერხებლობით.
მზე აგრძელებდა ზემოთ ასვლას, სანამ ელისი მის შესახვედრად მიჰქროდა. ის ძალზე კაშკაშა იყო და პანიკაში მაგდებდა. იქნებ ედვარდმა არ მოიცადოს შუადღემდე.

–იქ –უცებ თქვა ელისმა და მიმითითა ციხე-ქალქზე, უახლოესი გორაკის თავზე.

მე მივაჩერდი მას, პირველი შიშის გრძნობით. ყოველ წამს გუშინდელი დილიდან – თითქოს ეს ერთი კვირის წინ იყო – როცა ელისმა მისი სახელი წარმოთქვა კიბესთან, იყო მხოლოდ ერთი შიში. ხოლო ეხლა, როცა ვხედავდი ძველ ყავისფერ კედლებს და კოშკებს, მე ვიგრძენი უფრო ეგოისტური შიშის შემოტევა. ქალაქი მშვენიერი იყო, მაგრამ ჩემში შიშს იწვევდა.

–ვოლტერა –გამოაცხადა ელისმა.

თავი მეოცე

ვოლტერა

სიჩქარეს მკვეთრად დავუკელით, გზა კი უფრო ხალხმრავალი გახდა. ზემოთ რომ ავუხვიეთ, მანქანები უკვე ისე ახლო-ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ ელისს მათ შორის არანორმალურად გასხლტომა აღარ შეეძლო. უკვე ძლივს მივღოღავდით პატარა მოწითალო პეჟოს უკან.

–ელის, -ამოვიკვნესე. საათის ისრები მართვის პანელზე არ იცდიდნენ.

–ეს ერთადერთი გზაა ქალაქში მოსახვედრად, -შეეცადა დავეწყნარებინე. მაგრამ ნუგეშისცემისთვის ზედმეტად დაძაბული ხმა ჰქონდა.

მანქანები წინ მიიწევდნენ, თითო ჯერზე ერთი მანქანის სიგრძის გზას გავდიოდით. მზე დაგვნათოდა თავზე, უკვე ზუსტად ჩვენს თავზემოთ იყო.

მანქანები ერთმანეთის მიყოლებით მიღოღავდნენ ქალაქისკენ. ცოტა რომ მივუახლოვდით, გზის გვერდით დაყენებული მანქანები დავინახე, ხალხი გადმოდიოდა ამ მანქანებიდან, რომ გზის დარჩენილი ნაწილი ფეხით გაევლოთ. თავიდან მეგონა, რომ ეს უბრალოდ მოუთმენლობა იყო- ეს იმ წუთებში სრულიად ადვილი გასაგები იყო ჩემთვის. მაგრამ როცა მოვუხვიეთ ქალაქის კედლის გარეთ სავსე ავტოსადგომი დავინახე. ხალხის ნაკადი ჭიშკარში შედიოდა. არავის ჰქონდა მასში მანქანით გავლის უფლება.

–ელის, - სასწრაფოდ ვუჩურჩულე.

–ვიცი, -თქვა მან. სახე ყინულისგან ნაკვეთს მიუგავდა.

ახლა როცა ვუყურებდი და საკმაოდ ნელა მივდიოდით საიმისოდ რომ შემემჩნია ეს, ზუსტად შემეძლო მეთქვა, რომ გარეთ მაგარი ქარი იყო. ჭიშკარში გამავალ ხალხთაგან ზოგი თავზე ქუდს იმაგრებდა, რომ ქარს არ წაეღო, ზოგი სახეზე ჩამოფხატულ თმებს იწევდა უკან. ტანსაცმელი ტანზე ეტმასნებოდათ ქარისგან. ისიც შევამჩნიე, რომ წითელი ფერი ყველგან დომინირებდა. წითელი პერანგები, წითელი ქუდები, წითელი დროშები გრძელი ლენტებივით იღვრებოდა ჭიშკარში და ქარში ფრიალებდა- სწორედ იმ დროს როცა ვუყურებდი, შარფი, რომელიც ქალს თმებზე ჰქონდა შემოხვეული ქარმა გაიტაცა. მის ზემოთ ქსოვილი ისე იკლაკნებოდა თითქოს ცოცხალი არსება იყო. ქალი ჰაერში ახტა რომ დაეჭირა, მაგრამ შარფი უფრო მაღლა აიჭრა, სისხლისფერი შარფი ბუნდოვანი, ანტიკური კედლებისკენ გაფრინდა.

–ბელა. -სწრაფად მრისხანედ და ხმადაბლა მითხრა ელისმა. –ვერ ვხედავ აქ მცველი რას გადაწყვიტავს - თუ ეს არ გაჭრის, მარტო წასვლა მოგიწევს. შენ ალბათ გაქცევა მოგიწევს. უბრალოდ იკითხე ხოლმე „პალაზიო დი პრიორი“ და იმ მიმართულებით გაიქეცი საითაც გიჩვენებენ. არ დაიკარგო.

–პალაზიო დი პრიორი, პალაზიო დი პრიორი, -ვიმეორებდი სახელს ისევდაისევ, ვცდილობდი დამემახსოვრებინა.

–ან „საათიანი კოშკი -თუ მათ ინგლისური ეცოდინებათ. მე წრეს დავარტყავ და ვეცდები ქალაქის უკან ვიპოვო ადგილი სადაც კედელში გავლას შევძლებ.

თავი დავუქნიე. „პალაზიო დი პრიორი.“

–ედვარდი საათიანი კოშკის ქვეშ იქნება, მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში. იქ მარჯვნივ ვიწრო ხეივანია, ედვარდი იქ იქნება ჩრდილში. შენ მისი ყურადღება მანამ უნდა მიიპყრო, სანამ მზეში გამოვა.

აქტიურად დავუქნიე თავი.

ელისი მოძრავი ხაზის წინ მოექცა. მუქ ლურჯფორმიანი კაცი ხალხის ნაკადს მიმართულებას უჩვენებდა, მანქანებს სავსე სადგომისგან მოშორებით აბრუნებდა. ეს მანქანები ტრიალდებოდნენ და გზის გვერდით პოულობდნენ ცარიელ ადგილს. ელისის ჯერიც მოვიდა.
ფორმიანი კაცი ჟესტებით ზანტად აჩვენებდა რაღაცას, დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ელისმა სიჩქარეს მოუმატა, კაცს შემოუარა და ჭიშკრისკენ გაემართა. ფორმიანმა რაღაც დაგვიყვირა, მაგრამ პოსტი არ მიუტოვებია, გიჟივით იქნევდა ხელებს, რომ შემდეგი მანქანას ჩვენი არასწორი მაგალითისთვის არ მიებაძა.
პირველისნაირი ფორმა ეცვა ჭიშკართან მდგომ კაცსაც. როგორცკი მას მივუახლოვდით ტურისტებს ბრბომ ჩაგვიარა, ტროტუარზე გროვდებოდნენ, ცნობისმოყვარედ უყურებდნენ აგრესიულ, ჭყეტელა პორშეს.
დაცვა ქუჩის შუისკენ წამოვიდა. ელისმა კარგად გათვალა კუთხე სანამ მანქანას ბოლომდე გააჩერებდა. მზის სხივები ჩემს ფანჯარას ეცემოდა, ელისი კი ჩრდილში რჩებოდა. ის სავარძლის უკან ოდნავ გადაიხარა და ჩანთიდან რაღაც ამოიღო.
დაცვამ გაღიზიანებული გამომეტყველებით შემოუარა მანქანს და ფანჯარაზე გაბრაზებულმა დაუკაკუნა ელისს.
ელისმა ნახევრად ჩაწია მინა, ვუყურებდი ორმაგი დარტყმა როგორ მიიღო, როცა ელისის სახე დაინახა მუქი მინის მიღმა.

–მაპატიეთ, დღეს ქალაქში შესვლა მხოლოდ ტურისტული ავტობუსებისთვისაა ნებადართული,მის, -თქვა მან ინგლისურად მკვეთრი აქცენტით. ახლა მას შემრიგებლური ხმა ჰქონდა, თითქოს ძალიან უნდოდა რომ უკეთესი ამბავი ჰქონოდა ამ ულმობლად ლამაზი ქალისთვის.

–ეს კერძო ტურია. -თქვა ელისმა, თან მაცდურად გაიღიმა. მან ფანჯრიდან ხელი გაყო მზის სინათლეზე. გავხევდი, სანამ

გავაცნობიერებდი, რომ იდაყვამდე ეკეთა მოწითალო ფერის ხელთათმანი. ელისმა კაცს ჩამოართვა ხელი ჯერ კიდევ დასაკაკუნებლად აღმართული ხელზე და ისევ შიგნით შემოწია. მან კაცს რაღაც ჩაუდო ხელისგულში, მან კი ხელი მოუჭირა.

გაოცებული სახე მიიღო ფორმიანმა, როდესაც ხელზე დაიხედა და დაინახა რომ ფულის მსხვილი შეკვრა ეჭირა ხელში. გარეთ გასასვლელი ქვითარი ათასი დოლარი ღირდა.

–ეს ხუმრობაა? -ჩაიბუტბუტა მან.

მან გაფართოებული თვალებით შეხედა ელისს. მე ნერვიულად შევავლე თვალი მართვის პანელის საათს. თუ ედვარდი თავისი გეგმის ასრულებას მართლა აპირებდა, ჩვენ მხოლოდ 5 წუთიღა გვქონდა დარჩენილი.

–ცოტათი გვეჩქარება, -სიტყვა გადაუკრა ჯერ კიდევ მომღიმარმა ელისმა.

დაცვამ ორჯერ დაახამხამა თვალები, შემდეგ კი ჟილეტში ჩაიტენა ფული. ის ფანჯარას მოსცილდა და გვანიშნა წავსულიყავით. ვერცერთმა მიმავალმა ადამიანმა ვერ შენიშნა ფულის გაცვლა. ელისი ქალაქისკენ გაემართა და ორივემ შვებით ამოვისუნთქეთ.
ქალაქში ძალიან ვიწრო ქუჩები იყო, მოკირწყლული იმავე ფერის ქვებით რა ფერის გახუნებული დარიჩინის ხისფერი ყავისფერი შენობებიც აბნელებდნენ ქუჩებს თავიანთი ჩრდილებით. ხეივნის შეგრძნება გამიჩნდა. კედლები წითელი დროშებით იყო გაფორმებული, გამონაკლისი მხოლოდ რამდენიმე ეზო იყო, კედლებიდან ქსოვილები ფრიალებდა ქარში, რომლის ხმაც ვიწრო ქუჩებში სტვენასავით ისმოდა.
ქუჩები გადაჭედილი იყო ხალხით, ბრბოს ნაკადი კი ჩვენს მოძრაობას აფერხებდა.

–ცოტაც, -შემაგულიანა ელისმა; ხელს არ ვუშვებდი კარის სახელურს, რომ გარეთ გავვარდნილიყავი როგორც კი ის ერთ სიტყვას მეტყოდა.

ელისი მიაქროლებდა მანქანას ხალხის ნაკადში და ხშირად უწევდა უცებ გაჩერება. ხალხი ბრბოში მუშტებს გვიღერებდა და გვიყვიროდა გაბრაზებულ სიტყვებს, რომლებიც მიხაროდა რომ არ მესმოდა. ის შემობრუნდა იმ ვიწრო ქუჩისკენ, რომელიც მანქანისთვის

განკუთვნილი ნამდვილად არ იყო; თავზარდაცემულ ხალხს კარის ზღურბლებზე აკვრა უწევდათ, რომ არ გაგვეტანა. გზის ბოლოს სხვა ქუჩა ვიპოვეთ. აქ უფრო მაღალი შენობები იყო; ისინი ერთმანეთისკენ ისე იყვნენ გადახრილები, რომ ვერავითარი მზის შუქი ვერ აღწევდა ტროტუარამდე-ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებზე დამაგრებული ჰაერში მოფრიალე წითელი დროშები თითქმის ერთმანეთს ეხებოდნენ. აქ ყველაზე ხალხმრავალი ადგილი იყო. ელისმა მანქანა გააჩერა. მანამდე გავაღე კარები სანამ ბოლომდე გავჩერდებოდით.

ელისმა იქით მიმითითა საითაც ქუჩა ფართოვდებოდა, სინათლის კაშკაშა ზოლისკენ. –იქით, ჩვენ მოედნის სამხრეთ ბოლოში ვართ. პირდაპირ გაიქეცი, საათიანი კოშკის მარჯვნივ. მე სხვა გზას ვიპოვი...

უცებ ხმა ჩაუწყდა და როცა ისევ დაილაპარაკა მისი ხმა სისინში გადაიზარდა. –ნუთუ ისინი *ყველგან* არიან?

მე ადგილზე გავხევდი, მაგრამ მან მიბიძგა, რომ მანქანიდან გადმოვსულიყავი. –დაივიწყე ისინი. 2 წუთიღა გაქვს. წადი, ბელა, წადი! დამიყვირა მან, თან მანქანიდან გადმოდიოდა როცა ეს მითხრა.

არ გავჩერებულვარ რომ მენახა ელისი როგორ შეერია ჩრდილებს. არც ჩემს ზურგსუკან კარის დასაკეტად შევყოვნებულვარ. მძიმე ქალი გზიდან ჩამოვიშორე და თავდახრილი გავიქეცი, არაფერს ვაქცევდი ყურადღებს ჩემს ფეხქვეშ უსწორმასწორო ქვების გარდა. სიბნელიდან გამოსვლის შემდეგ, ძირითად მოედანზე მზის შუქის ბრწყინვალე სიკაშკაშემ დამაბრმავა. ქარი ქროდა ჩემში, თმებს თვალებზე მაფხატებდა და უარესად მაბრმავებდა. რა გასაკვირია, რომ ხორცის კედელი ვერც დავინახე სანამ არ შევასკდი. არავითარი ბილიკი, ნაპრალი არ იყო ერთმანეთზე მიკრულ სხეულებს შორის. მძვინვარედ ვკარი ხელი მათ, ვებრძოდი ხელებს რომლებიც უკან მაგდებდნენ. გაღიზიანების და ტკივილის წამოძახილიც კი გავიგე როდესაც ბრძოლით გავიკვლიე გზა, მაგრამ ეს წამოძახილები არცერთი იყო იმ ენაზე, რომელიც მესმოდა. სახეები სიბრაზის და გაოცების ბუნდოვანებად მეჩვენებოდა, რომელიც რა თქმა უნდა წითლით იყო გარშემორტყმული. ქერა ქალმა შემომიბღვირა, კისერზე ისე ჰქონდა წითელი შარფი

შემოხვეული, რომ მისი ყელი საშინელ ჭრილობად მომეჩვენა. ბავშვმა, რომელიც კაცს მხრებზე შემოესვა, რომ ხალხი ზემოდან ეთვალიერებინა, გამიკრიჭა, ტუჩები გაბერილი ჰქონდა პლასტმასის ვამპირის ეშვებით.
ბრბო ყველა მხრიდან მაწვებოდა და არასწორი მიმართულებით მაგდებდა. მიხაროდა, რომ საათის დანახვა შემეძლო, სხვაშემთხვევაში სწორ მიმართულებას ვერასდროს მივხვდებოდი. მაგრამ საათის ორივე ისარი შეუბრალებელი მზისკენ იყო მიმართული და თუმცა ბოროტულად შევეტენე ბრბოში, მშვენივრად ვაცნობიერებდი, რომ ძალიან დავაგვიანე. ჯერ ნახევარი გზაც კი არ მქონდა გავლილი. მე ამას ვერ მოვახერხებდი. მე დებილი და ზოზინა და ადამიანი ვიყავი, და ჩვენ ყველანი ამის გამო დავიხოცებოდით.
იმედი მქონდა, რომ ელისი მაინც გააღწევდა აქედან. იმედი მქონდა, რომ რომელიმე ბნელი კუნჭულიდან დამინახავდა და მიხვდებოდა, რომ მე დავმარცხდი, ამგვარად ის სახლში წავიდოდა ჯასპერთან. გაბრაზებულ წამოძახილებს შორის ვცდილობდი გამეგონა უეცარი აღმოჩენის ხმა: ამოქშენა, ან ყვირილი როცა ედვარდი ვინმეს მხედველობის არეში გამოჩნდებოდა.
მაგრამ ბრბოში ბზარი გაჩნდა- ზემოთ ბუშტები დავინახე. სასწრაფოდ გავვარდი წინ, სანამ წვივები არ ვიტკინე აგურებზე, ვერ მივხვდი, რომ მოედნის ცენტრში შადრევანი იყო.
კინაღამ ვიტირე შვებისგან, როცა ფეხი ჩავდგი შადრევანში და მუხლამდე წყალში გავირბინე. წყალი მესხმებოდა ყველგან, როცა შადრევნის აუზში მივტყლაშუნებდი. მზეშიც კი გამყინავი ქარი იყო და სისველე სიცივეს უფრო მტკივნეულს ხდიდა.მაგრამ შადრევანი ძალიან ფართო იყო; მისი საშუალებით მოედნის ცენტრის გადაკვეთა შემეძლო, ამით რამდენიმე წუთს ვიგებდი. არ გავჩერებულვარ როცა მოშორებული კიდისკენ გადავხტი, შადრევნის დაბალი ნაპირი ტრამპლინად გადმოვიყენე და ბრბოში ვისკუპე.
ისინი ახლა უფრო მომზადებულები დამხვდნენ, ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ ყინულივით ცივი წყლის შხეფები, რომლებიც ჩემი გალუმპული ტანსაცმლიდან იღვრებოდა როცა გავრბოდი. ისევ საათს ავხედე.
მკვეთრი გუგუნა ზარის ხმა ექოდ გაისმა მოედანზე. მისი ხმა ჩემს ქვეშ ქვებს აზანზარებდა. ბავშვები ყვიროდნენ, ყურებზე ხელებს იჭერდნენ. მეც დავიწყე ყვირილი, თან გავრბოდი.

–ედვარდ! -დავიყვირე, თუმცა ვიცოდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ბრბო ძალიან ხმაურობდა, ჩემი ხმა კი დაძაბულობის გამო ხმადაბალი იყო. მაგრამ ყვირილის შეწყვეტა არ შემეძლო.
საათმა ისევ ჩამოკრა. გვერდით ჩავურბინე ქალს, რომელსაც ბავშვი ჰყავდა ჩაკრული- თვალისმომჭრელ მზის შუქზე მისი თმები თითქმის თეთრი მომეჩვენა. მაღალი კაცების წრემ, რომელთაც წითელი ქურთუკები ეცვათ, გაფრთხილებები მომაძახა მათ შორის რომ გავიჯლიგინე. საათმა ისევ ჩამოკრა.
ქურთუკიანი კაცების მეორე მხარეს ბზარი იყო ბრბოში, დამთვალიერებელი ტურისტები უმიზნოდ გაიფანტნენ ჩემს გარშემო. თვალებით ბნელ ვიწრო გასასვლელს ვეძებდი კოშკის ქვეშ ფართო მოედნის ნაგებობის მარჯვნივ. ქუჩის დონეს ვერ ვხედავდი- გზაზე ჯერ კიდევ ბევრი ხალხი იყო. საათმა კიდევ ჩამოკრა.
უკვე მიჭირდა დანახვა. რადგან ხალხი აღარ მეფარებოდა ქარზე, ის სახეზე მცემდა და თვალებს მიწვავდა. დარწმუნებული არ ვიყავი ეს იყო ჩემი ცრემლების მიზეზი თუ მარცხის გამო ვტიროდი, რადგან საათმა ისევ ჩამოკრა.
ოთხკაციანი პატარა ოჯახი ხეივანთან ყველაზე ახლოს იდგა. ორ გოგონას ალისფერი კაბა ეცვა, მათზე შეხამებული ბაფთებით ჰქონდათ შეკრული მუქი ფერის თმა ზურგზე. მამა მაღალი არ იყო. მომეჩვენა, რომ რაღაც კაშკაშა დავინახე ჩრდილში მის მხარს ზემოთ. მათკენ გავქანდი, ვცდილობდი ცრემლებს მიღმა რამე დამენახა. საათმა ჩამოკრა და ყველაზე პატარა გოგომ ყურებზე ხელები მიიჭირა.
უფროსი გოგო, რომელიც წელამდე წვდებოდა დედას, მოეხვია დედამისის ფეხს და მათ უკან სიბნელეს მიაჩერდა. დავინახე როგორ დაქაჩა დედამისს სახელოზე და სიბნელისკენ მიანიშნა. საათმა ჩამოკრა და მე უკვე საკმაოდ ახლოს ვიყავი.
მე საკმარისად ახლოს ვიყავი, რომ ამ გოგონას წვრილი ხმა გამეგონა. მისი მამა გაოცებით მომაჩერდა როცა მივვარდი მათ, ყურს ვჭრიდი ედვარდის სახელის ისევ და ისევ გამეორებით.
პატარა გოგომ ჩაიხითხითა და რაღაც უთხრა დედას, ჟესტებით ისევ ჩრდილისკენ მიუთითებდა მოუთმენლად.
მამას გვერდი ავუარე- მან გზიდან ამარიდა შვილი- და უკუნეთ გასასვლელისკენ გავირბინე მათ უკან, როდესაც საათმა ჩემს თავს ზემოთ ჩამოკრა.
–ედვარდ, არა! -დავიყვირე, მაგრამ ჩემი ხმა ზარის გრგვინვაში ჩაიკარგა.

ახლა უკვე ვხედავდი მას. და იმასაც ვხედავდი, რომ ის ვერ მხედავდა.
ამჯერად ეს ნამდვილად ის იყო და არა ჰალუცინაცია. და მე მივხვდი, რომ ჩემი აუხდენელი ოცნებები იმაზე მეტად იყო წახდენილი, ვიდრე წარმომედგინა; ეს მას არ აუხდებოდა.
ედვარდი ქანდაკებასავით უემოციოდ იდგა, სულ რამდენიმე ნაბიჯზე ხეივნის პირთან. თვალები დახუჭული ჰქონდა, რკალები მათ ქვეშ ჩაწითლებოდა, მკლავები უღონოდ ჩამოეშვა გვერდებზე, ხელისგულები წინ ჰქონდა გაშვერილი. ისეთი მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც სასიამოვნო ესიზმრებოდა. მისი გულმკერდის მარმარილოს მსგავსი კანი შიშველი იყო- მის ფეხთან თეთრი ქსოვილის პატარა გროვა ეყარა. მოედნის ტროტუარიდან არეკლილი სინათლე მკრთალად ანათებდა მის კანს. არასდროს მინახია ასეთი მშვენიერება- თუმცა მივრბოდი, ვქოშინებდი და ვყვიროდი, მაინც შემეძლო ამ სილამაზის შეფასება.
და გასული 7 თვე არაფერს ნიშნავდა. და მისი სიტყვები ტყეში არაფერს ნიშნავდა. და მნიშვნელობა არ ქონდა მას ვუნდოდი თუ არა. მე არაფერი მენდომებოდა მის გარდა, სულერთი იყო რამდენ ხანს ვიცოცხლებდი.
საათმა ჩამოკრა და მან დიდი ნაბიჯი გადადგა სინათლისკენ.
–არა! -დავიყვირე. –ედვარდ, შემომხედე!
ის არ მისმენდა. სულ ოდნავ გაიღიმა. მან ფეხი აწია, რომ გადაედგა ნაბიჯი, რომელიც ზუსტად მზეში დააყენებდა მას.
ისეთი ძალით შევეჯახე მას, რომ რომ არ დავეჭირე და შევეკავებინე, მიწას დავასკდებოდი. ამოვიქშინე და თავი უკან გადავწიე.
თვალები ნელა გაახილა, როდესაც საათმა ისევ ჩამოკრა.
მან წყნარი გაოცებით დამხედა.

–საოცარია, -თქვა მან, მისი განცვიფრებით სავსე დახვეწილი ხმა, ოდნავ კმაყოფილი მომეჩვენა. –კარლაილი მართალი იყო.

–ედვარდ, -შევეცადე ამომექშინა, მაგრამ ხმა არ მქონდა. –ჩრდილში უნდა დაბრუნდე. გაინძერი!

ის გაოგნებული იყო. ნაზად ჩამომისვა ხელი ლოყაზე. არ ეტყობოდა, რომ შეამჩნია როგორ ვცდილობდი უკან გამეთრია. მაგრამ რასაც ვახერხებდი იყო ის, რომ ხეივნის კედლებს ვეხეთქებოდი. საათმა ჩამოკრა, მაგრამ მას რეაქცია არ ჰქონდა.

ძალიან უცნაური იყო,რადგან ვიცოდი რომ ახლა ორივე სასიკვდილო საფრთხეში ვიყავით. და მაინც, იმწამს *კარგად* ვგრძნობდი თავს. მთლიანად. ვგრძნობდი გული როგორ ეხეთქებოდა გულ-მკერდს, ცხელი სისხლი ისევ სწრაფად ჩქეფდა ჩემს ძარღვებში. ფილტვები ბოლომდე მქონდა ავსებული მისი კანისგან წამოსული ტკბილი სუნით. თითქოს არანაირი ხვრელი არ ყოფილა არასდროს ჩემს მკერდში. მე სრულყოფილი ვიყავი- არა განკურნებული, არამედ თითქოს ჭრილობა არც მქონია არასდროს.

–ვერ ვიჯერებ, როგორ სწრაფად მოხდა. ვერაფერი ვიგრძენი- კარგად გამოუვიდათ. -თვალებდახუჭული ფიქრობდა ის და ტუჩებს თმაზე მადებდა. მისი ხმა თაფლსა და ხავერდს გავდა. –*სიკვდილი, რომელსაც შეწოვილი აქვს შენი სუნთქვის თაფლი, ძალა არა აქვს შენს სილამაზეზე,* -ბუტბუტებდა ის და მე ვიცანი რომეოს მიერ აკლდამაში თქმული ეს ტაეპი. საათმა ბოლო ზარად დაიგრგვინა –ისეთივე სუნი გაქვს, როგორიც გქონდა, -განაგრძო მან. –ასე რომ შეიძლება ეს *არის* ჯოჯოხეთი. არ მაინტერესებს. მე ვიღებ მას.

–მკვდარი არ ვარ, -შევაწყვეტინე. –და არც შენ მომკვდარხარ. გთხოვ ედვარდ, უნდა გავინძრეთ. ისინი არც ისე შორს იქნებიან.

მის მკლავებში გავიბრძოლე, მან შეცბუნებულმა შეჭმუხნა წარბები.

–ეს რა იყო? -ზრდილობიანად მკითხე მან.

–ჩვენ მკვდრები არ ვართ, ჯერ. მაგრამ აქაურობას უნდა *მოვშორდეთ,* რადგან ვოლტური...

მიხვედრილობა აენთო სახეზე როგორცკი დავილაპარაკე. სანამ წინადადებას დავასრულებდი მან ჩრდილში შემიყვანა, ძალისხმევის გარეშე მიმწია ისე, რომ ზურგით მჭიდროდ მივყრდნობოდი აგურის კედელს, ზურგი შემაქცია, რომ პირი ხეივნისპირისკენ ჰქონოდა მიმართული. მკლავები განზე ჰქონდა გაწეული ჩემს წინ დამცველის პოზაში იდგა.
მის მკლავსქვემოთ გავიჭყიტე, რომ ორი მუქი ფიგურა დამენახა, რომლებიც სიბნელეს გამოეყვნენ.

–მოგესალმებით, ჯენტლმენებო, -ერთი შეხედვით მშვიდი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა ედვარდს. –არ მეგონა დღეს თუ თქვენს

სამსახურში ჩადგომა მომიწევდა. თუმცა დიდად დაგიფასებდით, თუ თქვენს ბატონებს მადლობას გადასცემდით ჩემგან.

–ეს საუბარი უფრო შესაფერის გარემოცვაში ხომ არ გადაგვეტანა? -მუქარანარევად დაიჩურჩულა მშვიდმა ხმამ.

–არამგონია ეს საჭირო გახდეს, -ედვარდს უფრო მტკიცე გაუხდა ხმა. „მე ვიცი შენი ინსტრუქციები, ფელიქს. მე წესები არ დამირღვევია.“

–ფელიქსი უბრალოდ მზის სიახლოვეს გულისხმობდა, -თქვა მეორე ჩრდილმა დამამშვიდებელი ტონით. ორივე მათგანი შეკვამლულ ნაცრისფერ მოსასხამში იყვნენ შემალულები, მათი ბოლო მიწაზე ეშვებოდა და ქარი არხევდა. –მოდი უკეთესი საფარი მოვძებნოთ.

–მეც ზუსტად უკან გამოგყვები, -თქვა ედვარდმა მშრალად. –ბელა მოედანზე ხომ არ დაბრუნდებოდი და დღესასწაულით ისიამოვნებდი?

–არა, გოგო თან წამოიყვანე, -თქვა პირველმა ჩრდილმა, როგორღაც ეშმაკობას ურევდა ჩურჩულში.

–მე ასე არ ვფიქრობ. -მოჩვენებითი თავაზიანობა გაქრა. ედვარდს აგდებული და ყინულივით ცივი ხმა ჰქონდა. სულ-სულ ოდნავ გადაადგილდა და მე მივხვდი, რომ ის საბრძოლველად ემზადებოდა.

–არა, -ამოვთქვი.

–ჩშშ, -მხოლოდ ჩემგასაგონად თქვა.

–ფელიქს, -მეორე, ბევრად გონიერმა ჩრდილმა გააფრთხილა ის. –აქ არა. -ის ედვარდს მიუბრუნდა. –არო უბრალოდ ისურვებდა კიდევ ერთხელ გაგსაუბრებოდა, თუ ხელისკვრა არ გაქვს გადაწყვეტილი ამ ყველაფრის შემდეგ.

–რასაკვირველია, -დაეთანხმა ედვარდი. –მაგრამ გოგო თავისუფლად წავა.

–ვშიშობ, რომ ეს შეუძლებელია, -დანანებით თქვა ზრდილობიანმა ჩრდილმა. –ჩვენ გვაქვს წესები, რომლებსაც უნდა დავემორჩილოთ.

–მაშინ *მე* ვშიშობ, რომ ვერ მივიღებ აროს მიპატიჟებას, დემეტრი.

–მშვენიერია, -დაიკრუტუნა ფელიქსმა. თვალს ვაჩვევდი მუქ ფიგურას და დავინახე, რომ ფელიქსი დიდი, მაღალი და მხრებგანიერი იყო. მისმა ზომებმა ემეტი გამახსენა.

–აროს იმედი გაუცრუვდება, -დემეტრიმ ამოიოხრა.

–დარწმუნებული ვარ გადაიტანს ამ იმედგაცრუებას, - უპასუხა ედვარდმა.

ფელიქსი და დემეტრი ახლოს მოვიდნენ ხეივნის პირთან, ოდნავ მოშორდნენ ერთმანეთს, ასე მათ შეეძლოთ ედვარდს ორი მხრიდან დასხმოდნენ თავს. მათ უნდოდათ ედვარდი ხეივნის სიღრმეში შეეყვანათ, რომ თავიდან აეცილებინათ სცენები. არეკლილი შუქი გამოძახილს ვერ ჰპოვებდა მათ კანზე; ისინი უსაფრთხოდ იყვნენ მოსასხამებში.

ედვარდი ერთი დიუმითაც კი არ განძრეულა. ის სასიკვდილოდ წირავდა თავს ჩემს დასაცავად.

უეცრად ედვარდმა თავი შეაბრუნა ქარიანი ხეივნის სიბნელისკენ, ფელიქსმა და დემეტრიმაც იგივე მოიმოქმედეს, რაღაც ხმის თუ მოძრაობის პასუხად, რომელიც ჩემთვის მეტისმატად ფაქიზი აღსაქმელი იყო.

–მოდით, წესიერად მოვიქცეთ, კარგი? -წკრიალა ხმამ შემოგვთავაზა. –აქ ხომ ქალბატონებიც არიან.

ელისი ედვარდის გვერდით მინარნარდა და ჩვეულებრივ პოზაში დადგა. ხაზგასმული დაძაბულობის არავითარი კვალიც კი არ ჩანდა მის ქცევაში. ის ისეთი პაწაწინა და მსხვრევადი ჩანდა. მისი პაწაწინა მკლავები ბავშვის მკლავებივით ირხეოდა.

დემეტრი და ფელიქსი მაშინვე გასწორდნენ, მათ მოსასხამებს აფრიალებდა ხეივნის ორივე ბოლოდან დაბერილი ქარი. ფელიქსს დამჟავებული სახე ჰქონდა. მათ აშკარად არ მოსწონდათ ლუწი რიცხვები.

–ჩვენ მარტო არ ვართ, -შეახსენა მათ ელისმა.

დემეტრიმ მის მხარზემოთ გაიხედა. რამდენიმე იარდზე მოედანზე, პატარა ოჯახი, გოგოებით თავისი წითელკაბებიანად, ჩვენ გვიყურებდა. დედა დაჟინებით ეუბნებოდა რაღაცას თავის ქმარს, მზერა ჩვენ ხუთისკენ ჰქონდა მოპყრობილი. მან მზერა აარიდა, როცა დემეტრიმ თვალი თვალში გაუყარა. კაცი რამდენიმე ნაბიჯით შორს წავიდა მოედანზე და ერთ-ერთ წითელ ქურთუკიან კაცს მხარზე დაუკაკუნა.

დემეტრიმ თავი გააქნია. –გთხოვ, ედვარდ, მოდი გონიერება გამოვიჩინოთ, -თქვა მან.

–კარგი, -დაეთანხმა ედვარდი. –და ჩვენ ახლა წყნარად წავალთ. უფრო ბრძენის ჩარევის გარეშე.

გაღიზიანებულმა ამოიოხრა დემეტრიმ. –სულ ცოტა განვიხილოთ მაინც მომხდარი უფრო განმარტოებულ ადგილზე.

ექვსი წითლებში გამოწყობილი კაცი შეუერთდა ოჯახს და აღელვებული გამომეტყველებით მოგვაჩერდნენ. მშვენივრად ვხვდებოდი ედვარდის დამცავ პოზას ჩემს წინ- რა თქმა უნდა ეს იწვევდა მათში განგაშს. მინდოდა მეყვირა მათთვის რომ გაქცეულიყვნენ.

ედვარდმა კბილებს შორის გამოსცრა. –არა.

ფელიქსმა გაიღიმა.

–საკმარისია.

მაღალი, მჟღერი ხმა ჩვენს უკნიდან მოდიოდა.

ედვარდის მეორე მკლავსქვემოდან გავიხედე და პატარა, მუქი ფიგურა დავინახე, რომელიც ჩვენსკენ მოდიოდა. ნაპირები აზვირთდა, ვიცოდი რომ ისიც ერთ-ერთი იმათგანი იყო. აბა, სხვა ვინ იქნებოდა?

თავიდან ის პატარა ბიჭი მეგონა. ახალმოსული ელისივით პატარა იყო, გადაგლესილი ღია ყავისფერი თმა მოკლედ გადაევარცხნა. სხეული მოსასხამის ქვეშ- რომელიც სხვებზე მუქი, თითქმის შავი

იყო- გამხდარი და უსახური იყო. მაგრამ სახე ბიჭისთვის მეტისმეტად ლამაზი ჩანდა. დიდთვალება, სავსე ტუჩებიანი სახე ბოტიჩელის ანგელოზს გორგულიას(თუ გაინტერესებთ რა არის გუგლის სურათებში ნახეთ>>გარგოყლე მთარგმ.) ამსგავსებდა. ბუნდოვანი ალისფერი გუგების მიუხედავადაც კი.

მისი ზომები ისეთი უმნიშვნელო იყო, რომ სხვების რეაქციამ მის გამოჩენაზე შემაცბუნა. ფელიქსი და დემეტრი მაშინვე მოეშვნენ, უკან დაიხიეს შემტევი პოზიციიდან და ისევ გამოშვერილი კედლების ჩრდილებს შეერივნენ.

ედვარდმაც მკლავები ჩამოუშვა და პოზიცია მოადუნა- მაგრამ მან მარცხის ნიშნად.

–ჯეინ, -ამოიოხრა მან მორჩილად, იმის გამოსააშკარავებლად რომ იცნო ის.

ელისმა მშვიდი გამომეტყველებით დაიკრიფა გულ-ხელი.

„მომყევით," ისევ დაილაპარაკა ჯეინმა, მისი ბავშვური ხმა მონოტონურად ჟღერდა. მან ზურგი შეგვაქცია და უხმოდ შევიდა სიბნელეში.

ფელიქსმა თავდაჯერებული ღიმილით გვანიშნა პირველები წავსულიყავით.

ელისი მაშინვე მიყვა უკან პატარა ჯეინს. ედვარდმა ხელი შემომხვია წელზე და ელისის გასწვრივ წამიყვანა. ხეივანი დავიწროვდა და უფრო ოთხკუთხედი გახდა რაც უფრო დაბლა ჩავდიოდით. გაგიჟებული კითხვებით სავსე თვალებით ავხედე, მაგრამ მან უბრალოდ თავი გაიქნია. თუმცა ჩვენს უკან მომავალთა არავითარი ხმა არ მესმოდა, დარწმუნებული ვიყავი რომ ისინი მოგვყვებოდნენ.

„აბა, ელის," საუბრის მოყვარულივით დაიწყო ედვარდმა, თან მივაბიჯებდით. „მგონი არ უნდა გამკვირვებოდა შენი აქ დანახვა."

„მე დავუშვი შეცდომა," იგივე ტონით თქვა ელისმა. „და მისი გამოსწორებაც ჩემი ვალი იყო."

„რა მოხდა?“ ზრდილობიანი ხმა ჰქონდა, თითქოს დიდად არც აინტერესებდა. წარმოვიდგინე, რომ ეს ტონი ჩვენს უკან მომავალთა დაცქვეტილი ყურებისთვის იყო განკუთვნილი.

–გრძელი ამბავია, -ელისმა მზერა შემომანათა და შემდეგ ამარიდა. –მოკლედ, ის მართლა გადმოხტა კლდიდან, მაგრამ თავის მოკვლა არ უცდია. ბელა იმჟამად ექსტრემალური სპორტით იყო გატაცებული.

გავწითლდი და პირდაპირ გავიხედე, მზერით მუქ ჩრდილს ვეძებდი, რომელსაც უკვე ვეღარ ვხედავდი. მხოლოდ წარმოდგენა შემეძლო, თუ რა ესმოდა ახლა ედვარდს ელისის ფიქრებიდან. კინაღამ-დახრჩობები, ადევნებული ვამპირები, მაქცია მეგობრები...

–ჰმ, -მოკლედ თქვა ედვარდმა და მისი ხმის სასხვათაშორისო ტონი აორთქლდა.

ხეივანში თავისუფალი მრუდი იყო, რომელიც ჯერ კიდევ დაბლა იხრებოდა, ასე რომ მე ვერ ვხედავდი კვადრატული ფორმის დასასრულს, სანამ ბრტყელ, უფანჯრო აგურის კედელს არ მივადექით. პატარა ვამპირი, სახელად ჯეინი, არსად ჩანდა.

ელისს ბევრი არ უყოყმანია, ნაბიჯი არ შეუნელებია სანამ კედლისკენ მიაბიჯებდა. შემდეგ მარტივი თავდაჭერილობით ჩასრიალდი ხვრელში ქუჩაში.

ეს ხვრელი ორმოს გავდა, ქვაფენილის ყველაზე დაბალ წერტილში ჩაშვებულს. სანამ ელისი მის მიღმა არ გაუჩინარდა, მე საერთოდ ვერ შევამჩნიე ის, ცხაური ნახევრად იყო გაწეული გვერდით. ხვრელი პატარა და ბნელი იყო.

შევფერხდი.

–ყველაფერი კარგადაა, ბელა, -ხმადაბლა მითხრა ედვარდმა. –ელისი დაგიჭერს.

დაეჭვებულმა შევხედე ხვრელს. წარმოვიდგინე, რომ მას პირველს მოუწევდა წასვლა, თუ ფელიქსი და დემეტრი ვერ მოიცდიდნენ, ჩვენს უკან გაბღენძილობას და სიჩუმეს ვგრძნობდი.

მიწაზე განვერთხი, ვიწრო ნაპრალში ჩავკიდე ფეხები.

–ელის? -აკანკალებული ხმით დავიჩურჩულე.

–აქ ვარ, ბელა, -დამარწმუნა მან. მისი ხმა ძალიან დიდი სიღრმიდან ამოდიოდა, საიმისოდ, რომ თავი უკეთესად მეგრძნო.

ედვარდმა მაჯებით დამიჭირა- ზამთარში ქვებს გავდა მისი ხელები- და სიბნელეში ჩამიშვა.

–მზად ხარ? -მკითხა.

–გაუშვი ხელი (ჩამოაგდეო ეწერა მარა ცოტა უხერხულად ჟღერს☺ მთარგმ.) დაიძახა ელისმა.

თვალები დავხუჭე ამიტომ სიბნელე ვერ დავინახე, მაგრად ვხუჭავდი თვალებს, ვცდილობდი პირი არ გამეღო, რომ არ დამეყვირა. ედვარდმა გამიშვა.

უხმოდ და სწრაფად ჩავვარდი. მხოლოდ ნახევარი წამის განმავლობაში შხუოდა ჰაერი ჩემს გარშემო და შემდეგ როცა გაღიზიანებით ამოვისუნთქე, ელისის მომლოდინე ხელებმა დამიჭირა.

ალბათ ჩამილურჯდებოდა რაღაც ადგილები; ელისს ძალიან მაგარი მკლავები ჰქონდა. მან ფეხზე დამაყენა.

ფსკერი ბუნდოვანი იყო, მაგრამ არა ბნელი. დერეფნიდან გამომავალი შუქი უზრუნველყოფდა მქრქალ ნათებას, რომელიც ოდნავ ირეკლებოდა ჩემს ფეხქვეშ ქვებზე. სინათლე წამით გაქრა და შემდეგ ედვარდი სუსტ, თეთრ ბრწყინვალებად იქცა ჩემს ზურგსუკან. მან მკლავი გადამხვია და ახლოს დამიდგა გვერდით, შემდეგ კი ოდნავ მიმათრევდა წინ. ორივე მკლავი ცივ წელზე შემოვხვიე, მივბორძიკობდი ქვის ოსწორმასწორო ზედაპირზე. მძიმე ცხაურის დახურვის ხმა ორმოს თავზე ჩვენს ზემოთ ლითონის დაბოლოებასავით გაისმა.

ქუჩის მკრთალი ნათება სწრაფად ჩაინთქა უკუნ სიბნელეში. ჩემი ბარბაცა ნაბიჯების ხმა ექოდ ისმოდა ბნელ სივრცეში; ძალიან შორს ისმოდა მისი ექო, მაგრამ დარწმუნებული ვერ ვიქნებოდი. სიჩუმეს

არაფერი არღვევდა ჩემი გიჟური გულისცემისა და სველ ქვაზე ჩემი ნაბიჯების გარდა- გამონაკლისი მხოლოდ ჩვენს ზურგსუკნიდან წამოსული მოუთმენელი ამოოხვრა იყო.

ედვარდი მჭიდროდ მიკრავდა. თავისუფალი ხელით სახესაც მიჭერდა, გლუვი ცერა თითით ტუჩებზე მეფერებოდა. შიგადაშიგ ვგრძნობდი როგორ მადებდა სახეს თმაზე. მივხვდი, რომ ამაზე მეტს ვერაფერს მივიღებდი და უფრო მაგრად მივეკარი.

იმ დროისთვის ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მას ვუნდოდი და ეს საკმარისი იყო მიწისქვეშა გვირაბის და ჩვენს უკან ჩუმად მომავალი ვამპირების მიმართ შიშის ასანაზღაურებლად. ეს არაფერი იყო თუ არა დანაშაულის გრძნობა- იგივე დანაშაულის გრძნობა, რამაც აიძულა აქ მოსულიყო სიკვდილისთვის, როცა სჯეროდა რომ მისი ბრალი იყო ჩემი თვითმკვლელობა. მაგრამ მე ვგრძნობდი მის ტუჩებს უხმოდ მიკრულს ჩემს შუბლზე, და არ მაინტერესებდა რა იყო ამის მოტივი. ბოლოსდაბოლოს შემეძლო ისევ მასთან ვყოფილიყავი სანამ მოვკვდებოდი. ეს ჯობდა უიმისოდ გატარებულ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ვისურვებდი, რომ შემძლებოდა მეკითხა ზუსტად რა მოხდებოდა. სასოწარკვეთილად მინდოდა მცოდნოდა როგორ მოვკვდებოდით- თითქოს როგორღაც თვითონ ფაქტს გაუმჯობესებდა ამის წინასწარ ცოდნა. მაგრამ ხმის ამოღება არ შემეძლო, ჩურჩულითაც კი, რადგან ჩვენს გარშემო ისინი იყვნენ. მათ ყველაფერი ესმოდათ- ჩემი ყოველი სუნთქვა, ყოველი გულისცემა.

გზა ჩვენს ფეხქვეშ დაღმართად იქცა, მიწისქვეშ უფრო ღრმად მივყავდით მას, ეს კი კლაუსტროფობიურს მხდიდა. მხოლოდ ედვარდის ხელი, რომელიც სახეზე მეფერებოდა, მაკავებდა რომ ხმამაღლა არ დამეყვირა.

ზუსტად ვერ გეტყოდით საიდან მოდიოდა სინათლე, მაგრამ სივრცე ნელ-ნელა ნაცრისფერი გახდა სიბნელის ნაცვლად. ჩვენ დაბალ, თაღიან გვირაბში ვიყავით. აბანოზის გრძელი კვალის ნესტი ჟონავდა ნაცრისფერ ქვებზე, დაქცეულ მელანს გავდნენ.

ვკანკალებდი და მეგონა, რომ შიშის გამო. სანამ კბილები კაწკაწი არ დავიწყე, ვერ მივხვდი რომ მციოდა. ტანსაცმელი ჯერ კიდევ არ

გამშრობოდა, ტემპერატურა კი ქალაქის მიწისქვეშეთში დაბალი იყო. ისევე როგორც ედვარდის კანი.

ისიც მაშინ მიხვა ამას, როცა მე, ამიტომ გამიშვა, მხოლოდ ჩემი ხელი ეჭირა.

–ა-ა-არა, -ამოვთქვი და მკლავები წელზე შემოვხვიე. არ მაღელვებდა გავიყინებოდი თუ არა. ვინ იცოდა რამდენი დროღა გვქონდა დარჩენილი?

ცივი ხელი გამიხახუნა მკლავზე, ცდილობდა ხახუნის ძალით გავეთბე.

ჩვენ ჩქარა მივდიოდით გვირაბში, ან შეიძლება ჩემთვის ჩანდა ეს ჩქარი. ჩემი ზოზინა მოძრაობა აღიზიანებდა ვიღაცას- მივხვდი რომ ეს ვიღაც ფელიქსი იყო- მისი მძიმე ამოოხვრა მესმოდა შიგადაშიგ.

გვირაბის ბოლოს გისოსები დაგვხვდა- ჩემი მკლავის სიმსხო რკინის ურდულები დაჟანგული იყო. პატარა კარი უფრო თხელი რკინისგან იყო დამზადებული, მისი დაწნული ურდულები კი ღია იყო. ედვარდმა აჩქარებით შეაბიჯა უფრო ფართო და ნათელ ქვის ოთახში. ცხაური გაჯახუნებით, *ჩხარუნით* დახურეს, რომელსაც დაკეტვის ხმა მოჰყვა. ძალიან შეშინებული ვიყავი, ამიტომ უკან მიხედვა ვერ გავბედე.

გრძელი ოთახის მეორე მხარეს დაბალი, მძიმე ხის კარი იყო. ის ძალიან მსხვილი იყო- ამის თქმა ნამდვილად შემეძლო რადგან ისიც ღია იყო.

ჩვენ კარში გავიარეთ, მე გაოცებულმა მიმოვიხედე გარშემო და უნებლიედ მოვეშვი. ჩემს გვერდით ედვარდი დაიძაბა, ყბები დაეჭიმა.

თავი ოცდამეერთე

განაჩენი

კაშკაშა ნათელ, არაფრით გამორჩეულ დერეფანში ვიყავით. კედლები არც ისე თეთრი იყო, იატაკზე კი ნაცრისფერი ხალიჩები ეგო. ჭერში ალაგ-ალაგ ჩვეულებრივი ჰალოგენების ნათურები იყო. აქ უფრო თბილოდა, რისთვისაც მადლიერი ვიყავი. სასტიკად უკუნი ქვის კედლების შემდეგ ეს დერეფანი ძალიან კეთილგანწყობილად გამოიყურებოდა.

ედვარდს რაღაც არ ეტყობოდა, რომ ჩემს ამ შეფასებას ეთანხმებოდა. პირქუშად უყურებდა დაჟინებით ჰოლის ბოლოში მოსასხამში გახვეულ, ლიფტთან მდგარ ფიგურას.

ედვარდმა წინ გამომწია, ელისი ჩემს მეორე გვერდზე მოაბიჯებდა. მასიური კარი მძიმედ დაიხურა ჩვენს უკან და ანჯამების ხმა გაისმა.

ჯეინი ლიფტთან გვიცდიდა, კარები ღია ეჭირა ჩვენთვის. გულგრილი გამომეტყველებით გველოდებოდა.

ლიფტში სამი ვამპირი, რომელიც ვოლტურის ეკუთვნოდა უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. მოსასხამები უკან გადაიქნიეს და კაპიუშონები მხრებზე გადაიგდეს. ფელიქს და დემეტრის ორივეს ოდნავ ზეთისხილისფერი სახის კანი ჰქონდათ- ეს უცნაურ კომბინაციას ქმნიდა მათ ცარცისფერ უფერულებასთან. ფელიქსს მოკლედ შეკრეჭილი შავი თმები ჰქონდა, დემეტრის კი მხრებზე გადატალღვოდა. ორივეს მუქი მოწითალო გუგები ჰქონდათ კიდეებში, იქამდე მუქდებოდა ეს წითელი ფერი, სანამ ბოლოს შავი არ ხდებოდა ცენტრში. მოსასხამების შიგნით თანამედროვე, უსახური, გაურკვეველი სამოსი ეცვათ. კუთხეში მოვიბუზე, ედვარდისკენ დავიხარე. მისი ხელი ისევ მკლავზე მეხვეოდა. ის თვალს არ აშორებდა ჯეინს.

ლიფტით მგზავრობა ხანმოკლე აღმოჩნდა; ლიფტიდან გავედით ოთახში, რომელიც ბრწყინვალე ოფისის მისაღებ ზონას წააგავდა. კედლები ხით იყო გაწყობილი, იატაკზე სქელი, მუქი მწვანე ხალიჩები ეგო. ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა, თუმცა მის ნაცვლად ტუსკანის ფართო, ნათელი სოფლის პეიზაჟებიანი ნახატები ეკიდა ყველგან. ღია ფერის ტყავის დივნები მყუდროდ იყო მიწყობილი ერთმანეთთან, პრიალა მაგიდებზე კი ბროლის ლარნაკები ელაგა,

რომლებშიც მთრთოლავი ფერი თაიგულები ეწყო. ყვავილების სურნელი დამკრძალავ ბიუროს მახსენებდა.

ოთახის ცენტრში მაღალი, პრიალა, წითელი ხის დახლი იდგა. გაოცებისგან დავდებილდი ამ დახლის უკან ქალის დანახვისას.

ქალი მაღალი იყო, მუქი ფერის კანით და მწვანე თვალებით. ის ალბათ ძალიან ლამაზი გამოჩნდებოდა სხვა საზოგადოებაში- მაგრამ არა აქ. რადგან მასაც ისევე ეტყობოდა ადამიანობა როგორც მე. არ მესმოდა რას აკეთებდა ეს ქალი აქ, თან ასე თავისუფლად რომ იქცეოდა, ვამპირებით გარშემორტყმული.

მისალმების ნიშნად თავაზიანად გაგვიღიმა. „შუადღემშვიდობისა, ჯეინ," თქვა მან. გაოცება არ დასტყობია სახეზე, როდესაც ჯეინის კომპანია შეათვალიერა. არც გაშიშვლებულ გულ-მკერდიანი ედვარდის დანახვა გაოცებია, რომლის კანიც მკრთალად ბრჭყვიალებდა ნათურების სინათლეზე, არც ჩემი- გაწეწილი და სხვებთან შედარებით საზიზღარი გოგონასი.

ჯეინმა თავი დაუქნია. „გიანა." მან გზა გააგრძელა ოთახის ბოლოს ორფრთხიანი კარისკენ და ჩვენც მას მივყევით.

ფელიქსმა დახლს რომ ჩაუარა თვალი ჩაუკრა ქალს, მან კი პასუხად ჩაიხითხითა.

ხის კარის მეორე მხარეს სხვანაირი მისაღები იყო. ფერმკრთალი ბიჭი მარგალიტისფერ ნაცრისფერ კოსტიუმში ალბათ ჯეინის ტყუპისცალი იყო. მართალია მას უფრო მუქი ფერის თმა ჰქონდა და არც ისე სავსე ტუჩები, როგორც მის დას, მაგრამ ისეთივე ლამაზი იყო. ის წინ წამოვიდა რომ შეგვგებებოდა. მან გაიღიმა და ჯეინს მიწვდა. „ჯეინ"

„ალეკ," უპასუხა მან და ბიჭს მოეხვია. მათ ერთმანეთს ორივე ლოყაზე აკოცეს. შემდეგ ბიჭმა ჩვენ შემოგვხედა.

„მათ ერთისთვის გაგგზავნეს შენ კი ორნახევარი მოიყვანე..." შენიშნა მან, თან მე მიყურებდა. „ყოჩაღ."

ჯეინმა გაიცინა- მისი აღტაცებით გაბწყინებული ხმა ბავშვის ღუღუნივით ჟღერდა.

„კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ედვარდ,“ მიესალმა ალეკი მას. „როგორც ჩანს უკეთეს ხასიათზე ხარ.“

„უკიდურესად,“ შესუსტებული ხმით დაეთანხმა ედვარდი. მის სახეს შევავლე თვალი და დამაინტერესა უარეს ხასიათზე როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ალეკმა ჩაიხითხითა და დამაკვირდა ედვარდის გვერდზე მიკრულს. „და ეს არის ამ ყველაფრის მიზეზი?” ურწმუნოდ კითხა.

ედვარდმა მხოლოდ აგდებული გამომეტყველებით გაიღიმა. შემდეგ გახევდა.

„გიხმობენ,“ სასხვათაშორისოდ დაიძახა ფელიქსმა უკნიდან.

ედვარდი შემობრუნდა, ხმადაბალი ღრენა გაისმა მისი გულმკერდის სიღრმეში. ფელიქსმა გაიღიმა- ერთი ხელი აწია, ხელისგულით ზემოთ, თითები ორჯერ მოხარა, ედვარდს იხმობდა.

ელისი ედვარდს მკლავზე შეეხო. „მოთმინება,“ გააფრთხილა მან.

მათ ხანგრძლივი მზერა გაცვალეს ერთმანეთში, ძალიან მომინდა რომ გამეგო რას ეუბნებოდა ფიქრებით ელისი მას. მივხვდი, რომ ეს ფელიქსზე თავს არდასხმას ეხებოდა, რადგან ედვარდმა ღრმად ჩაისუნთქა და ალეკს მიუბრუნდა.

„აროს გაეხარდება შენი კიდევ ერთხელ ნახვა,“ ვითომც არაფერი, ისე უთხრა ალეკმა.

„მაშინ ნუ ვალოდინებთ,“ შემოგვთავაზა ჯეინმა.

ედვარდმა ერთხელ დაუქნია თავი.

ალეკი და ჯეინი ერთმანეთზე ჩაკიდებული ხელებით გაგვიძღვნენ კიდევ ერთ ფართო, მდიდრულად მორთული დერეფნისკენ- ნუთუ არასდროს დასრულდებოდა ეს დერეფნები?

მათ ყურადღება არ მიაქციეს კარს დერეფნის ბოლოს- კარი მთლიანად ოქროთი იყო მოჩუქურთმებული- ნახევარ გზაზე

გაჩერდნენ დერეფანში და გვერდით გასრიალდნენ რომ სადა ხის კარში გაევლოთ. კარი დაკეტილი არ ყოფილა. ალეკმა ღიად დაუჭირა ის ჯეინს.

ამოკვნესება მინდოდა როდესაც ედვარდმა კარში გამატარა. ეს იგივე ანტიკური ქვები იყო რაც მოედანზე, ხეივანში და საკანალიზაციო მილებზე. და აქაც სიცივე და სიბნელე სუფევდა.

ქვის წინკარი არ იყო ფართო. ის უერთდებოდა უფრო ნათელ, ჩარღმავებულ, უზარმაზარი სასახლის კოშკურასავით იდეალურად მრგვალ ოთახს... შეიძლება ეს სწორედ სასახლის კოშკურა იყო.

მაღალი ფანჯრის ჭრილებიდან მზის შუქი ბაც ოთხკუთხედებად ეცემოდა ქვის იატაკს. აქ ხელოვნური ნათურები არ იყო. ერთადერთ ავეჯს ამ ოთახში რამდენიმე მასიური სამეფო ტახტის მსგავსი ხის სავარძელი წარმოადგენდა, რომლებიც უწესრიგოდ იყო განლაგებული ქვის კედლებთან. წრის ზუსტად შუაში პატარა ღრმულში თავდახურული ორმო იყო. დამაინტერესა ამ ღრმულს გასასვლელად ხომ არ იყენებდნენ დერეფნად ქუჩაში რომ მოხვედრილიყვნენ.

ოთახი ცარიელი არ ყოფილა. ერთ მუჭა ხალხს მოეყარა თავი მოჩვენებით უმნიშვნელო საუბარში. ხმადაბალი ბუტბუტი, წყნარი ხმები ნაზ ზუზუნად ისმოდა ჰაერში. როგორცკი შევხედე ორი საზაფხულო კაბაში გამოწყობილი ქალი მზიან მონაკვეთში გაჩერდა და პრიზმებივით აბრჭყვიალდა მათი კანი სინათლეზე ცისარტყელისფრად მუქ ყვითელ კედლებზე.

ყველას დახვეწილი სახე ჩვენი წვეულებისკენ შემობრუნდა, როგორცკი ოთახში შევაბიჯეთ. უკვდავების უმეტესობა ჩვეულებრივ შარვლებსა და პერანგებში იყო გამოწყობილი- სამოსში, რომელიც მათ არაფრით გამოარჩევდა ქუჩაში მყოფთა შორის. მაგრამ კაცს, რომელმაც პირველმა დაილაპარაკა, ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მოსასხამი ემოსა. ეს კუპრივით შავი და იტაკამდე დაშვებული მანტია იყო. წამით მისი გრძელი, ფისივით შავი თმა მისი მოსასხამის კაპიუშონი მეგონა.

„ჯეინ, ძვირფასო, შენ დაბრუნდი!“ აშკარა აღტაცებით დაიძახა მან. მისი ხმა ნაზ ამოოხვრას გავდა.

ის წინ დაიძრა და მისი მოძრაობა ისეთი სურეალისტური გრაციით იღვრებოდა, რომ გამოვლენჩდი, პირი ღია დამრჩა. ელისიც კი, რომლის ყოველი მოძრაობა ცეკვას გავდა, ვერ შეედრებოდა მას.

უფრო მეტად გაოცებული ვიყავი, როცა დინებასავით მოგვიახლოვდა და მისი სახე დავინახე. არ გავდა მის გარშემო მყოფთა არაბუნებრივად მიმზიდველ სახეებს (ის მარტო არ მოგვახლოებია; მთელი ჯგუფი ერტყა მას გარშემო, ზოგი მას მიყვებოდა, ზოგი კი მის წინ მიაბიჯებდა მცველის სიფხიზლით). ვერ გადავწყვიტე მისი სახე ლამაზში ითვლებოდა თუ არა. მგონი იდეალური ნაკვთები ჰქონდა. მაგრამ ის ისევე განსხვავდებოდა მის გვერდით მდგომი ვამპირებისგან, როგორც ისინი ჩემგან. ხახვისკანივით გამჭვირვალე თეთრი და ფაქიზი კანი ჰქონდა- ეს გამაოგნებელ კონტრასტს ქმნიდა მის გრძელ შავ თმასთან, რომელიც მის სახეს შემორკალოდა. უცნაურად, შემაძრწუნებლად მომინდა ლოყაზე შევხებოდი, რომ მენახა ედვარდზე ან ელისზე რბილი იყო თუ ცარცივით ფხვიერი. მის გარშემო მყოფებივით წითელი თვალები ჰქონდა მაგრამ მისი ფერი დანისლული იყო; დამაინტერესა მის მხედველობასთან თუ ჰქონდა კავშირი ამ ნისლს.

ის ჯეინისკენ გაემართა, მისი სახე ქაღალდივით ხელებში მოიქცია, ოდნავ აკოცა სავსე ტუჩებზე, შემდეგ კი უკან გადადგა ნაბიჯი.

„დიახ, ბატონო.“ ჯეინმა გაიღიმა; მისმა გამომეტყველებამ ის ანგელოზის მსგავს ბავშვს დაამსგავსა. „მე ის ცოცხალი დავაბრუნე, როგორც თქვენ გსურდათ.“

„ა, ჯეინ.“ მანაც გაიღიმა. „შენ ჩემთვის ისეთი ნუგეში ხარ.“

თავისი ნისლიანი თვალებით ჩვენ მოგვაპყრო და უფრო გაიბადრა- უფრო აღტაცებული გახდა.

„და ელისი და ბელაც!“ დიდად გაიხარა, თავისი თხელი ხელებით ტაში შემოკრა. „ეს კი *ნამდვილად* სასიხარულო სიურპირიზია! ჩინებულია!“

გაოცებით მივაშტერდი როცა ჩვენი სახელები ასე არაფორმალურად დაიძახა, თითქოს ძველი მეგობრები ვიყავით, რომლებიც მოულოდნელად ვეწვიეთ.

ის ჩვენს ვეებერთელა ესკორტს მიუბრუნდა. „ფელიქს, თავაზიანობა გამოიჩინე და ჩემს ძმებს ჩვენი სტუმრების შესახებ აუწყე. დარწმუნებული ვარ, ამის გამოტოვება არ ენდომებათ.“

„დიახ, ბატონო.“ ფელიქსმა თავი დაუქნია და იქით გაუჩინარდა საიდანაც მოვედით.

„ხედავ, ედვარდ?“ უცნაური ვამპირი მიუბრუნდა და გაუღიმა ედვარდს თითქოს მისი მოსიყვარულე ბაბუა იყო, მაგრამ ახლა ტუქსავდა. „რას გეუბნებოდი? არ გიხარია, რომ არ მოგეცი ის, რაც გუშინ გინდოდა?“

„დიახ, არო, მიხარია,“ დაეთანხმა და მკლავი უფრო მაგრად შემომხვია წელზე.

„მიყვარს ბედნიერი დასასრული,“ ამოიოხრა არომ. „თან ეს ხომ ასე იშვიათია. მაგრამ მე მთელი ამბის მოსმენა მინდა. ეს როგორ მოხდა? ელის?“ ის ელისს მიუბრუნდა, რომ ცნობისმოყვარე, ნისლიანი მზერით შეეხედა. „შენი ძმას შეუმცდარი ეგონე, მაგრამ აშკარად რაღაც შეცდომა იქნა დაშვებული.“

„ო, საკმაოდ შორს ვარ შეუმცდარობისგან.“ ელისს დამაბრმავებელი ღიმილი აენთო სახეზე. ის სრულიად თავისუფლად გამოიყურებოდა, თუ არ ჩავთვლით, რომ თითებს პატარა მუშტებად კრავდა. „როგორც დღეს დაინახეთ, ისევე ხშირად ვიწვევ პრობლემებს, რა სიხშირითაც მათ მოგვარებას ვახერხებ.“

„ძალიან თავმდაბალი ხარ,“ გაკიცხა არომ. „შენი ბევრად უფრო გასაოცარი გმირობები მაქვს ნანახი და უნდა ვაღიარო, რომ შენი ნიჭისნაირი არაფერი მინახია აქამდე. საუცხოოა!“

ელისმა ედვარდს შეავლო თვალი. აროს ეს არ გამოპარვია.

„მაპატიეთ, ჩვენ სათანადოდ არ გაგვიცნია ერთმანეთი, ხომ ასეა? უბრალოდ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ უკვე დიდი ხანია გიცნობთ და ვამჯობინებ მეთვითონ გავაგრძელო. შენმა ძმამ გუშინ წარგვიდგინა თავი განსაკუთრებულად. როგორც იცი, შენი ძმისნაირ ნიჭს ვიზიარებ, ოღონდ მე გარკვეული საზღვრები მაქვს, მას კი არა.“ არომ თავი გააქნია; შურიანი ხმა ჰქონდა.

„სამაგიეროდ შენ სანიმუშოდ ძლიერი ხარ,“ დაამატა ედვარდმა მშრალად. მან ელისს გახედა და სწრაფად განუმარტა. „აროს ფიზიკური კონტაქტი სჭირდება შენი ფიქრების გასაგონად, მაგრამ მას ჩემზე ბევრად მეტი ესმის. ხომ იცი, მე მარტო ის მესმის რაც პიროვნებას ამ მომენტში გაუვლის თავში. აროს ესმის ყველა ფიქრი, რომელიც ოდესმე აზრად გაგივლია.“

ელისმა თავისი დახვეწილი წარბები აწია, ედვარდმა თავი დახარა.

აროს არც ეს გამოპარვია.

„მაგრამ რაიმე მანძილიდან აზრების გაგება...“ არომ ამოიოხრა და ორ მათგანზე მიანიშნა, და იმ გაცვლა-გამოცვლაზე რაც იმწამს მოხდა. „ეს ძალიან *მოსახერხებელი* იქნებოდა.“

არომ ჩვენს მხრებს ზემოთ გაიხედა. დანარჩენი იქ მყოფების თავებიც იმ მიმართულებით შეტრიალდა, ჯეინის, ალეკის, დემეტრის და ჩვენს გვერდით წყნარად მყოფთა ჩათვლით.

მე ყველაზე ბოლოს მივბრუნდი. ფელიქსი დაბრუნებულიყო, მის უკან კი უფრო შავებში ჩაცმული ორი კაცი მონარნარებდა. ორივე ძალიან ჰგავდა აროს, ერთ-ერთს ზუსტად მასავით დატალღული შავი თმაც კი ჰქონდა. მეორეს თავზარდამცემი თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა- ისეთივე ფერის, როგორც სახე- რომელიც მხრებზე ჰქონდა გადავარცხნილი. მათ ერთნაირი ქაღალდის სისქის კანი ჰქონდათ.

ტრიო კარლაილის ნახატიდან ახლა უკვე სრული იყო, სრულიად უცვლელი დახატვიდან 300 წლის გასვლის შემდეგაც კი.

„მარკუს, კაიუს, შეხედეთ!“ სენტიმენტალურად დაიძახა არომ. „ბელა ცოცხალია იმ ყველაფრის შემდეგ, და ელისიც მასთან ერთადაა აქ! რა საოცრებაა, არა?“

ახალმოსულებს არ ეტყობოდათ, რომ *საოცარი* იყო ის სიტყვა, რომელსაც ისინი აირჩევდნენ. შავთმიანი კაცი უკიდურესად მოწყენილი ჩანდა, როგორც ჩანდა ძალიან ბევრი ათასწლეული ჰქონდა გატარებული აროს ასეთი აღტაცებულობის ყურებაში. მეორესაც დამჟავებული სახე ჰქონდა ქათქათა თმის ქვეშ.

მათმა ინტერესის ნაკლებობამ ვერ შეძლო აროს აღტაცების ჩახშობა.

„მოდი, მოვისმინოთ ამბავი," არო თითქმის მღეროდა თავისი ჰაეროვანი ხმით.

თეთრთმიანი ანტიკური ხანის ვამპირი თავისი ტახტრევანისკენ გაემართა, საოცარი სინარნარით მიდიოდა. მეორე აროს გვერდით შეჩერდა და ხელი გაიწვდინა, თავიდან მეგონა რომ ხელის ჩამორთმევის მიზნით. მაგრამ ის სწრაფად შეეხო მის ხელისგულს და მალევე ჩამოუშვა ხელი. არომ ცალი შავი წარბი აწია. დამაინტერესა ქაღალდის კანი როგორ არ ეჭმუჭნებოდა ასე ძალისხმევისგან.

ედვარდმა ძალიან ხმადაბლა წაიფრუტუნდა, ელისმა ცნობისმოყვარე მზერით შეხედა მას.

„მადლობ, მარკუს," თქვა არომ. „საკმაოდ საინტერესოა."

წამის დაგვიანებით მივხვდი, რომ მარკუსმა იმ თავისი მოქმედებით, თავისი ფიქრები გააგებინა აროს.

მარკუსი *არ ჩანდა* დაინტერესებული. ის გაემართა მეორის- ალბათ კაიუსის- მიმართულებით, რომელიც კედელთან იჯდა.ორი დამსწრე ვამპირი უკან მიჰყვა მას- ალბათ მცველები იყვნენ, როგორც პირველად ვიფიქრე. ორი საზაფხულო კაბაში გამოწყობილი ქალი კაიუსის უკან დადგა იგივე მანერით. იდეა, რომ ნებისმიერ ვამპირს სჭირდებოდა მცველი, გულისამრევად სასაცილოდ მომეჩვენა, მაგრამ შეიძლება ანტიკური ვამპირები ისეთივე მყიფეები იყვნენ როგორადაც მათი კანი გვაჩვენებდა.

არო თავს იქნევდა. „განსაცვიფრებელია," თქვა მან. „ნამდვილად განსაცვიფრებელია."

ელისის ნირწამხდარი გამომეტყველება ჰქონდა. ედვარდი მიუბრუნდა და ისევ წყნარი ხმით სწრაფად განუმარტა. „მარკუსი ურთიერთობებს ხედავს. ის ჩვენი ურთიერთობების სიძლიერითაა გაოცებული."

არომ გაიღიმა. „რა მოსახერხებელია,“ გაიმეორა თავისთვის. შემდეგ ჩვენ გვითხრა. „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მარკუსის გაოცება არც ისე ადვილია.“

მარკუსის უსიცოცხლო სახეს შევხედე და ვირწმუნე მისი ნათქვამი.

„მაგრამ ეს ახლაც კი რთული გასაგებია,“ ფიქრობდა არო და ედვარდის ჩემზე გადახვეულ მკლავს უყურებდა. მიჭირდა აროს ქაოსურ ფიქრებს მივყოლოდი, თუმცა ძალიან კი ვცდილობდი როგორმე გამომეცნო. „როგორ ახერხებ მის გვერდით ასე ახლოს ყოფნას?“

„ძალისხმევის გარეშე არ გამომდის,“ უპასუხა ედვარდმა მშვიდად.

„მაგრამ მაინც- *ლა ტუა ცანტანტე!* რა ტყუილ-უბრალოდ ხარჯვაა!“

ედვარდმა ხალისის გარეშე ჩაიხითხითა. „მე მას ჯილდოს უფრო ვუწოდებდი.“

არო სკეპტიკურად უყურებდა. „ძალიან დიდ ჯილდოს.“

„ფასდაუდებელს.“

არომ გაიცინა. „მეთვითონ რომ არ მეყნოსა მისი სურნელი შენი მოგონებებიდან, არ დავიჯერებდი, რომ ვინმეს სისხლის ძახილი შეიძლებოდა ასეთი ძლიერი ყოფილიყო. მეთვითონ ასეთი რამ არასდროს მიგრძვნია. ბევრი ჩვენგანი რას არ გასცემდა ასეთი საჩუქრისთვის, შენ კი...“

„ვფლანგავ მას,“ დაასრულა მისი წინადადება ედვარდმა ირონიული ხმით.

არომ ისევ გაიცინა. „ო, როგორ მომენატრა ჩემი მეგობარი კარლაილი! შენ მას მახსენებ- მაგრამ ის ასეთი გაბრაზებული არ ყოფილა.“

„კარლაილი სხვა თვისებებითაც მჩრდილავს.“

„არასდროს მინახავს კარლაილი თვითკონტროლთან დამარცხებული, მაგრამ შენ ის შენი სიძლიერით შეარცხვინე.“

„მასზე ოდნავ უკეთ ვახერხებდი თვითკონტროლირებას.“ მოუთმენლად თქვა ედვარდმა. თითქოს წინასწარი გასაბრებით ძალიან დაიღალა. ამან უფრო შემაშინა; მხოლოდ წარმოდგენა შემეძლო თუ რა მოყვებოდა მისი აზრით ამ ყველაფერს.

„მოხარული ვარ მისი წარმატების,“ ფიქრობდა არო. „შენი მოგონებები მის შესახებ დიდი საჩუქარია ჩემთვის, თუმცა ასევე ძალიან მაოცებს კიდეც. მიკვირს როგორ... *მსიამოვნებს,* მისი წარმატება შეუფერებელ საქმეში, რომელიც მან აირჩია. მეგონა ის ტყუილად დახარჯავდა დროს და დრო დაასუსტებდა მის შემართებას. დავცინოდი მის გეგმას, რომლის მიხედვითაც მას იმედი ჰქონდა, რომ იპოვნიდა სხვებს, ვინც მის განსაკუთრებულ ხედვას გაიზიარებდა. და მაინც, მიხარია, რომ ვცდებოდი.“

ედვარდმა არაფერი უპასუხა.

„მაგრამ *შენი* თავშეკავებულობა!“ ამიოხრა არომ. „არ ვიცოდი, რომ შესაძლებელი იყო ასეთი ძალა ჰქონოდა ვინმეს. შეაჩვიო საკუთარი თავი განგაშის ძახილს, არა ერთხელ არამედ ისევ და ისევ- მეთვითონ რომ არ მეგრძნო, არ დავიჯერებდი.“

აროს აღფრთოვანებულ გამომეტყველებას ედვარდმა არაფრის მთქმელი სახით შეხედა. მის სახეს საკმაოდ კარგად ვიცნობდი- ეს ვერ შეცვალა დრომ- რომ მივმხვდარიყავი, რომ რაღაც დუღდა მის ფსკერზე. შევეცადე სუნთქვა არ გამხშირებოდა.

„უბრალო გახსენებაც კი, თუ როგორ გიხმობს ის...“ არომ ჩაიცინა. „მაწყურებს.“

ედვარდი დაიძაბა.

„ნუ გაბრაზდები,“ დაარწმუნა არომ. „მისთვის ზიანის მიყენებას არ ვაპირებ. მაგრამ *ძალიან* მაინტერესებს ერთი რამ.“ მან აშკარა ინტერესით გამიყარა თვალი თვალში. „ნებას მომცემ?“ დიდად მოწადინებულმა მკითხა და ხელი აწია.

„მას სთხოვე,“ აგდებული ხმით შესთავაზა ედვარდმა.

„ოჰ, რა თქმა უნდა, რა უხეში ვარ!“ წამოიძახა არომ. „ბელა,“ეხლა ჩემი მიმართულებით თქვა. „მე მოხიბლული ვარ, რომ შენ

ერთადერთი გამონაკლისი ხარ ედვარდის შთამბეჭდავი ნიჭისთვის- ძალიან დიდ ინტერესს იწვევს როცა ასეთი რამ ხდება! და მე მაინტერესებდა, რადგან ჩვენი ნიჭები ასეთუისე გავს ერთმანეთს, ხომ არ გამოიჩენდი სიკეთეს და ნებას მომცემდი მეცადა- რომ მენახა *ჩემთვისაც* ხომ არ ხარ გამონაკლისი?“

თავზარდაცემულმა გადავხედე ედვარდს. აროს აშკარა თავაზიანობის მიუხედავად არ მჯეროდა, რომ მართლა მქონდა არჩევანი. შეძრწუნებული ვიყავი იმ აზრით, რომ მისთვის ნება უნდა მიმეცა შემხებოდა, და მაინც ჯიუტად დაინტრიგებული ვიყავი მისი უცნაური კანის შეგრძნების შესაძლებლობით.

ედვარდმა გამამხნევებლად დამიქნია თავი- არ ვიცოდი, ასე იმიტომ მოიქცა რომ დარწმუნებული იყო არო არაფერს დამიშავებდა, თუ იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არ მქონდა.

აროს მივუბრუნდი და ხელი წინ გავიწვდინე. მიკანკალებდა.

მომიახლოვდა, მივხვდი უნდოდა დამაჯერებელი გამომეტყველება ჰქონოდა. მაგრამ ქაღალდის ნაკვთები ძალიან უცნაური, ძალიან უცხო და საშიში იყო დამაჯერებლისთვის. გამომეტყველება სიტყვებზე მეტად თავდაჯერებული მომეჩვენა.

არომ ხელი გამოიწვდინა, თითქოს უნდა ჩამოერთვა და თავისი არარეალურისმსგავსი კანი შემახო. მყარი თუმცა მსხვრევადი კანი ჰქონდა- თიხიან ფიქალს უფრო ვამსგავსებდი მარმარილოზე მეტად- და იმაზე ცივიც კი მომეჩვენა ვიდრე მოველოდი.

მისი ბუნდოვანი თვალები დამღიმოდა ზემოდან, მისთვის თვალის არიდება კი შეუძლებელი იყო. უცნაურად, უსიამოვნოდ დამაჰიპნოზებელი მზერა ჰქონდა.

დავინახე გამომეტყველება როგორ შეეცვალა. თავდაჯერებულობა შეერყა და თავიდან ეჭვად ექცა, შემდეგ კი ურწმუნობად სანამ ისევ მშვიდ,მეგობრულ ნიღაბს აიფარებდა.

„მართლაცრომ საინტერესოა,“ თქვა როცა ხელი გამიშვა და უკან დაიხია.

მზერა ედვარდზე გადავიტანე და თუმცა ყალბად შეთხზული გამომეტყველება ჰქონდა, ოდნავი გაბღენძილობა მაინც შევამჩნიე.

არომ მოძრაობა გააგრძელა ჩაფიქრებული გამომეტყველებით. ცოტა ხანს წყნარად იყო, მისი მზერა ჩვენ სამზე იყო მოპყრობილი. შემდეგ უცებ თავი გააქნია.

„პირველია," თქვა თავისთვის. „მაინტერესებს ჩვენი სხვა ნიჭების მიმართაც ხომ არ აქვს იმუნიტეტი... ჯეინ, ძვირფასო?"

„არა!" დაიღრინა ედვარდმა. ელისმა ხელი ჩაავლო მკლავზე, შეკავების მიზნით. თავი გაუქნია.

პატარა ჯეინმა ბედნიერად შეჰღიმა აროს. „დიახ, ბატონო?"

ედვარდი უკვე მართლა იღრინებოდა, ჰაერს აპობდა მისი ხმა, ღვარძლიან მზერას არ აშორებდა აროს. ოთახი უცებ გაქრა, ყველა მას უყურებდა გაოცებული ურწმუნობით თითქოს რაღაც საზოგადოებისთვის გაუგონარი მცდარი ნაბიჯი გადაედგას. დავინახე ფელიქსი როგორ გაიკრიჭა იმედიანად და წინ გადადგა ნაბიჯი. არომ ერთხელ შეავლო მზერა მას და ისიც მაშინვე ადგილზე გაიყინა, მისი კრეჭვა პირქუში გახდა.

შემდეგ მან ჯეინს უთხრა. „მე მაინტერესებს, ჩემო ძვირფასო, ბელას იმუნიტეტი *შენს* მიმართაც ხომ არ აქვს."

აროს ხმა ძლივს მესმოდა ედვარდის მრისხანე ღრენის მიღმა. ის მომშორდა და ჩემს წინ დადგა, რომ მის ზურგსუკან დავემალე. ის ჩვენი მიმართულებით წამოვიდა აჩრდილივით თავის მხლებლებთან ერთად, რომ ეყურებინა ჩვენთვის.

ჯეინი ნეტარი ღიმილით მოგვიბრუნდა.

„არ გინდა!" ელისმა დაუყვირა ედვარდს, როცა ის პატარა გოგოსკენ გამოენთო.

სანამ რეაგირებას მოვახდენდი, სანამ ვინმე მათ შორის ჩახტომას მოასწრებდა, სანამ აროს მცველები დაიძაბებოდნენ, ედვარდი უკვე მიწაზე ეგდო.

მას არავინ შეხებია, მაგრამ სანამ შეძრწუნებული ვუყურებდი მას, ის ქვის იატაკზე იკრუნჩხებოდა აშკარა აგონიისგან.

ჯეინი მხოლოდ მას უღიმოდა და ჩემთვის ყველაფერი ერთად შეიკრა. რა ელისმა თქვა მათ *საშინელ ნიჭზე,* რატომ ეპყორობოდა ჯეინს ყველა განსაკუთრებულად და ედვარდი რატომ გადაუდგა წინ სანამ ის მე გამიკეთებდა იგივეს.

„გაჩერდით!“ გამგმირავად დავიყვირე, ჩემს ხმას ექო მოჰყვა სიჩუმეში, წინ გადავხტი, რომ მათ შორის ჩავმდგარიყავი. მაგრამ ელისმა მაგრამ შემომხვია ხელები და ყურადღება არ მიაქცია ჩემს გამწარებულ მცდელობას. სიტყვა არ დასცდენია ედვარდს სანამ ქვებზე იყო მოკუნტული. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თავი გამისკდებოდა ტკივილისგან, რომელსაც მისი ყურებისას განვიცდიდი.

„ჯეინ,“ კიდევ ერთხელ დაუძახა არომ მშვიდი ხმით. მან სწრაფად ახედა, ჯერ კიდევ სიამოვნებით იღიმოდა, კითხვით სავსე მზერა ჰქონდა. როგორცკი ჯეინმა მზერა მოაცილა, ედვარდი მაშინვე დაწყნარდა.

არომ ჩემსკენ დახარა თავი.

ჯეინმა თავისი ღიმილი ჩემსკენ მოაბრუნა.

თვალებში არც შემიხედია. ედვარდს ვუყურებდი ელისის ხელების საპყრობილიდან, ისევ ჯიუტად გავიბრძოლე.

„მას არაფერი უჭირს,“ დაჭიმული ხმით მიჩურჩულა ელისმა. ამას რომ ამბობდა ედვარდი წამოჯდა, შემდეგ კი მსუბუქად წამოხტა ფეხზე. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, თავზარდაცემული გამომეტყველება ჰქონდა. თავიდან მეგონა, რომ ეს თავზარდაცემა იმის გამო იყო, რისგანაც წუთის წინ იტანჯებოდა. მაგრამ შემდეგ მან სწრაფად შეხედა ჯეინს, და მერე ისევ მე- და სახე შვებით მოუდუნდა.

მეც ჯეინს შევხედე, ის აღარ იღიმოდა. მე მომშტერებოდა, მეტისმეტი მცდელობისგან ყბები შეკუმშული ჰქონდა. უკან დავიხიე, ტკივილს ველოდი.

არაფერი არ მომხდარა.

ედვარდი ისევ ჩემ გვერდით იდგა. ელისის მკლავს შეეხო და მანაც ჩემი თავი ედვარდს დაუთმო.

არომ სიცილი დაიწყო. „ჰაჰაჰა," ჩაიცინა მან. „საუცხოოა!"

ჯეინმა გაღიზიანების ნიშნად წაისისინა, წინ ისე გადმოიხარა, თითქოს გადასახტომად ემზადებოდა.

„ნუ გაღიზიანდები, ძვირფასო," მანუგეშებელი ტონით უთხრა არომ, ფხვნილისნაირი მსუბუქი ხელი დაადო მას მხარზე. „ის ჩვენ ყველას გვაცბუნებს."

ჯეინმა ზედა ტუჩი კბილებს შორის მოიქცია, მაინც არ წყვეტდა ჩემს ყურებას.

„ჰაჰაჰა," ისევ ჩაიხითხითა არომ. „ძალიან მამაცი ხარ, ედვარდ, უხმოდ რომ უძლებ. ერთხელ ჯეინს ვთხოვე ჩემთვის გაეკეთებინა ეს- უბრალოდ ცნობისმოყვარეობისთვის." მან აღფრთოვანებით გააქნია თავი.

ზიზღნარევად უყურებდა მას ედვარდი.

„აბა, ახლა რა გიყოთ?" ამიოხრა არომ.

ედვარდი და ელისი უარესად გახევდნენ. ეს სწორედ ის ნაწილი იყო, რომელსაც ასე ელოდნენ. ავკანკალდი.

„არამგონია გადაგეფიქრებინა?" იმედიანად ჰკითხა არომ ედვარდს. „შენი ნიჭი ბრწყინვალე დამატება იქნებოდა ჩვენი პატარა კომპანიისთვის."

ედვარდი ყოყმანობდა. თვალის კუთხით დავინახე ფელიქსი და ჯეინი როგორ დაიჭყანნენ.

ედვარდმა ყოველი სიტყვა აწონ-დაწონა სანამ რამეს იტყოდა. „ვფიქრობ...რომ... არა."

„ელის?“ ახლა მას ჰკითხა არომ, იმედს ჯერ კიდევ არ კარგავდა. „იქნებ შენ ხარ დაინტერესებული იმით, რომ შემოგვიერთდე?“

„არა, მადლობთ,“ უპასუხა ელისმა.

„და შენ, ბელა?“ არომ წარბები აწია.

ედვარდმა დაბლა, ჩემს ყურებთან დაისისინა. აროს გულგრილად მივაჩერდი. ნუთუ ხუმრობდა? თუ მართლა მეკითხებოდა სადილად დარჩენა ხომ არ მინდოდა?

თეთრთმიანმა კაიუსმა დაარღვია სიჩუმე.

„რა?“ პასუხი მოსთხოვა მან აროს; მისი ხმა, თუმცა ჩურჩულზე ხმამაღალი არ ყოფილა, აგდებულად გაისმა.

„კაიუს, შენ რა თქმა უნდა ხედავ მის პოტენციალს,“ არომ ნაზად გაკიცხა ის. „ჯეინის და ალეკის პოვნის შემდეგ ასეთი გარანტირებული მომავალი ნიჭი არ მინახავს. შეგიძლია წარმოიდგინო ჩვენი შესაძლებლობები, როცა ის ერთ-ერთი ჩვენგანი გახდება?“

კაიუსმა ღვარძლიანი გამომეტყველებით გაიხედა განზე. აროს შედარებით აღშფოთებული ჯეინი თვალების ნაპერწკლებს ყრიდა.

ედვარდი ჩემს გვერდით დუღდა. გრუხუნი მესმოდა მისი მკერდიდან, რომელიც სადაც იყო ღრენად გადაიქცეოდა. ვერ დავუშვებდი, რომ მის სიბრაზეს მისთვისვე მოეტანა ზიანი.

„არა, მადლობთ,“ ჩურჩულზე ოდნავ ხმამაღლა ვთქვი, ხმა შიშისგან მქონდა ჩაწყვეტილი.

არომ ამიოხრა. „სამწუხაროა. არადა და ტყუილად ხარჯვაა.“

ედვარდმა დაისისინა. „არ შემოგიერთდებით ან მოვკვდებით, ხომ ასეა? ეს მაშინვე ვიეჭვე როგორცკი *ამ* ოთახში წამოგვიყვანეს. თქვენი კანონებისთვის მეტისმეტი მოგვივიდა.“

მისმა ხმის ტონმა გამაოცა. ის განრისხებული იყო, მაგრამ რაღაც წინასწარგანზრახული ჟღერდა მის სიტყვებში- თითქოს დიდი სიფრთხილით ჰქონდა შერჩეული სიტყვები.

„რა თქმა უნდა არა," გაოცებულმა არომ თვალები დაახამხამა. „ჩვენ მანამდეც მოწვეულები ვიყავით აქ, ედვარდ, ჰეიდის დაბრუნებას ველოდებოდით. და არა თქვენ გამო."

„არო," დაისისინა კაიუსმა. „კანონი მოითხოვს."

ედვარდმა კაიუსს შეხედა. „როგორ თუ?" ჩააცივდა ის. მას ალბათ უნდა სცოდნოდა რას ფიქრობდა კაიუსი, მაგრამ ალბათ უნდოდა რომ ხმამაღლა ელაპარაკებინებინა.

კაიუსმა გაჩხინკული თითით ჩემსკენ მიუთითა. „ძალიან ბევრი იცის. შენ ჩვენი საიდუმლოებები გაეცი." მისი კანის მსგავსად ქაღალდივით თხელი ხმა ჰქონდა.

„აქ თქვენ მასკარადშიცაა რამდენიმე ადამიანი," შეახსენა მას ედვარდმა, მისმა სიტყვებმა დაბლა მყოფი ლამაზი მიმღები გამახსენა.

კაიუსს სახე ახალ გამომეტყველებაში დაეგრიხა. შეიძლებოდა მისი ეს შესახედაობა ღიმილად ჩათვლილიყო.

„დიახ," დაეთანხმა. „მაგრამ *ისინი* ჩვენთვის სასარგებლონი აღარ არიან, სხვა რაღაცით წაგვეხმარებიან. შენ მასთან დაკავშირებით სხვა გეგმები გაქვს. თუ ის ჩვენს საიდუმლოებებს გასცემს, მზად იქნები რომ გაანადგურო? მე ვფიქრობ, რომ არა," დასცინა მან.

„მე არასდროს..." ისევ ჩურჩულით დავიწყე. კაიუსმა ცივი მზერით დამადუმა.

„შენ არც მის ერთ-ერთ ჩვენგანად გადაქცევას აპირებ," გააგრძელა კაიუსმა. „აქედან გამომდინარე, ის ზედმეტ თავის ტკივილს წარმოადგენს. და თუმცა ეს სიმართლეა, ჩვენ მხოლოდ *მისი* სიცოცხლე იქნება ჯარიმა. თუ გინდა შეგიძლია წახვიდე."

ედვარდმა კბილები გააშიშვლა.

„ასეც ვფიქრობდი,“ თქვა კაიუსმა რაღაც სიამოვნებისდამაგვარი ტონით. ფელიქსი ენერგიულად გადაიხარა წინ.

„თუ...“ სიტყვა გაწყვიტა არომ. ის უკმაყოფილო მომეჩვენა იმ მიმართულების გამო, რაც საუბარმა მიიღო. „თუ არ აპირებ, რომ მას უკვდავობა მიანიჭო?“

ედვარდმა ტუჩზე იკბინა, ცოტა ხანს ყოყმანობდა სანამ რამეს უპასუხებდა. „და თუ მასე მოვიქცევი?“

არო ისევ გაიბადრა. „მაშინ თქვენ შეგეძლებათ სახლში წახვიდეთ და მოკითხვა გადასცეთ ჩემს მეგობარ კარლაილს.“ გამომეტყველება მას ახლა უფრო მერყევი გაუხდა. „მაგრამ ვშიშობ, რომ სინამდვილეშიც მაგის გულისხმობა მოგიწევს.“

არომ თავის წინ აწია ხელი.

კაიუსი, რომელსაც მანამდე მძვინვარედ მოღუშული სახე ჰქონდა, მოეშვა.

ედვარდმა მძვინვარე ზოლად მოკუმა ტუჩები. ის თვალებში მიყურებდა, ისევე როგორც მე მას.

„იგულისხმე ეგ,“ დავიჩურჩულე. „გთხოვ.“

ნუთუ ეს მართლა ასეთი გულისამრევი იდეა იყო? ნუთუ მას *სიკვდილი* ერჩივნა ჩემს გარდაქმნას? ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს წიხლი ჩამაზილეს მუცელში.

ედვარდი განაწამები გამომეტყველებით დამყურებდა.

შემდეგ კი ელისმა გვერდი აგვიარა და აროსკენ გაემართა. ორივე მისკენ შევბრუნდით. ელისსაც აროსავით გაეშვირა ხელი წინ.

მას არაფერი უთქვამს და არომ ხელის აქნევით მოიშორა აღელვებული მცველი, რომელიც გზას უღობავდნენ ელისს, რომ მას არ მიახლოებოდა. არო თითქმის შეეხო მას და აღგზნებულმა მოუჭირა ხელი, თვალებში სიხარბე უბრჭყვიალებდა.

მან თავი დახარა მათი შეხებული ხელებისკენ და თვალები დახუჭა, რომ კონცენტრირება მოეხდინა. ელისს უემოციო, პირქუში გამომეტყველება ჰქონდა. ედვარდის კბილების კრაჭუნის ხმა გავიგე.

არავინ განძრეულა. არო თითქოს მიეყინა ელისის ხელს. წამები გადიოდა და მე უფროდაუფრო ვითრგუნებოდი, მაინტერესებდა რამდენი ხანი უნდა გასულიყო, რომ ეს წუთები დიდი დრო გამხდარიყო. სანამ ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა- რაღაც იმაზე ცუდი რაც უკვე ხდებოდა.

კიდევ რამდენიმე მტანჯველმა წუთმა ჩაიარა, შემდეგ კი აროს ხმამ დაარღვია სიჩუმე.

„ჰაჰაჰა,“ ჯერ კიდევ წინ თავგადახრილმა გაიცინა მან. ნელა ამოიხედა, თვალები მღელვარებით ჰქონდა გაბრწყინებული. *„მომაჯადოებელი* იყო!“

ელისმა მშრალად გაიღიმა. „მიხარია, რომ ისიამოვნეთ.“

„ნახვა ისეთი რაღაცეების, რაც შენ გაქვს ნანახი- განსაკუთრებით ისეთი რაღაცეების, რაც ჯერ არ მომხდარა!“ გაოცებულმა გააქნია თავი.

„მაგრამ მოხდება,“ მშვიდი ხმით შეახსენა მან.

„დიახ, დიახ, ეს უკვე დადგენილია. არავითარი პრობლემა არ არსებობს.“

კაიუსი მწარედ იმედგაცრუებული ჩანდა- როგორც ჩანდა ამ გრძნობას ჯეინი და ფელიქსიც იზიარებდნენ.

„არო,“ დაიჩივლა კაიუსმა.

„ძვირფასო კაიუს,“ გაუღიმა არომ. „ნუ ღიზიანდები. შესაძლებლობებზე იფიქრე! ისინი დღეს არ შემოგვიერთდებიან, მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია სამომავლოდ იმედი ვიქონიოთ. წარმოიდგინე სიხარული, რომელსაც მხოლოდ პატარა ელისი მოუტანდა ჩვენს პატარა ოჯახს... გარდა ამისა, საშინლად მაინტერესებს როგორ გარდაიქმნება ბელა!“

არო სრულიად დარწმუნებული ჩანდა იმაში რასაც ამბობდა. ვერ აცნობიერებდა როგორი სუბიექტური ხილვები ჰქონდა ელისს. რომ მას შეეძლო ჩემი გარდაქმნა დღეს გადაეწყვიტა, ხვალ კი გადაეფიქრებინა? მილიონობით მისი და სხვების პატარა გადაწყვეტილებები- ედვარდისიც მათ შორის- შეეძლო შეეცვალა მისი გზა და შესაბამისად მომავალიც.

ნუთუ მნიშვნელობა ექნებოდა ელისის ნებას, რამე განსხვავება ექნებოდა *მართლა* გავხდებოდი ვამპირი თუ არა, როდესაც ეს იდეა ზიზღს იწვევდა ედვარდში? თუ მას სიკვდილი ერჩივნა, ჩემი, უკვდავი აბეზარას გვერდით სამუდამოდ ყოფნას? ისეთი შეძრწუნებული ვიყავი, რომ ვგრძნობდი დეპრესიაში როგორ ვიძირებოდი და ვიხრჩობოდი მასში...

„ახლა შეგვიძლია წავიდეთ?“ იკითხა ედვარდმა მშვიდი ხმით.

„დიახ, დიახ,“ თქვა არომ საამოდ. „მაგრამ გთხოვთ კიდევ გვეწვიოთ. ეს ნამდვილად მომაჯადოებელი იყო!“

„და ჩვენც გესტუმრებით,“ დაგვპირდა კაიუსი, უცებ ნახევრად მოეჭუტა თვალები მძიმე ქუთუთოებიანი ხვლიკივით. „რომ დავრწმუნდეთ, რომ დანაპირებს ასრულებთ. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, დროს დიდხანს არ გავწელავდი. ჩვენ მეორე შანსს არ ვიძლევით.“

ედვარდს ყბები შეეკუმშა, მაგრამ თავი დაუქნია ერთხელ.

კაიუსმა თავდაჯერებულმა გაიღიმა და იქით მიბრუნდა, საითაც ჯერ კიდევ იჯდა უმოძრაო და უინტერესო მარკუსი.

ფელიქსმა ამოიკვნესა.

„აჰ, ფელიქს,“ კმაყოფილმა არომ გაიღიმა. „ჰეიდი წუთი-წუთზე მოვა. მოთმინება გამოიჩინე.“

„ჰმმ,“ ედვარდის ხმაში ახალი ტონი გაჩნდა. „ასეთ შემთხვევაში, რაც მალე წავალთ მით უკეთესი.“

„ჰო,“ დაეთანხმა არო. „კარგი აზრია. უბედური შემთხვევებიც ხდება. თუმცა ჯობია ქვემოთ მოიცადოთ დაბნელებამდე, თუ წინააღმდეგი არ ხართ.“

„რა თქმა უნდა,“ დაეთანხმა ედვარდი. მოვიკუნტე იმის გაფიქრებაზე, რომ დღის ბოლომდე უნდა მოგვეცადა სანამ გავიქცეოდით.

„და აი,“ დაამატა არომ, თითით ფელიქსს მოუხმო. ფელიქსი მაშინვე მიეახლა, არომ შეხსნა ნაცრისფერი მოსასხამი რომელიც ვეებერთელა ვამპირს ემოსა და მხრებიდან მოხსნა. მან ედვარდს გადაუგდო ის. „აიღე. მასე ცოტა არ იყოს ყურადღებას იპყრობ.“

ედვარდმა მოიცვა გრძელი მოსასხამი, კაპიუშონი ჩამოშვებული დატოვა.

არომ ამიოხრა. „გიხდება.“

ედვარდმა ჩაიხითხითა, მაგრამ უცებ გაჩუმდა თავის მხარსუკან გაიხედა. „მადლობ, არო. ქვევით დავიცდით.“

„კარგად იყავით, ახალგაზრდა მეგობრებო,“ თქვა არომ, თვალები გაუნათდა, როდესაც მანაც იგივე მიმართულებით გაიხედა.

„წავედით,“ აჩქარებული ხმით გვითხრა ედვარდმა.

დემეტრიმ გვანიშნა, რომ მივყოლოდით და იქით გაემართა საიდანაც მოვედით, რომელიც როგორც ჩანდა ერთადერთი გასასვლელი იყო.

ედვარდს სწრაფად მივყავდი მის გვერდით. ელისიც ახლოს მედგა მეორე მხარეს, მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა.

„როგორც საჭიროა ისე სწრაფად არ მივდივართ,“ ჩაიბუტბუტა მან.

შეშინებულმა ავხედე, მაგრამ ის მხოლოდ ნაწყენი ჩანდა. მხოლოდ ამის შემდეგ გავიგონე წინკარიდან შემომავალი ხმამაღალი, უხეში ხმების ბუტბუტი.

„რა უჩვეულოა,“ დაიგუგუნა კაცის უხეშმა ხმამ.

„შუასაუკუნისდროინდელია,“ ქალის უსიამოვნოდ გამგმირავმა ხმამ უპასუხა პირველს.

დიდი ბრბო შემოდიოდა პატარა კარიდან და პატარა ქვის ოთახს ავსებდა. დემეტრიმ გვანიშნა, რომ გზა დაგვეთმო. ჩვენ ცივ კედლებს ავეკარით, რომ გაგვეტარებინა ისინი.

წინ მიმავალი წყვილი, ხმების მიხედვით ამერიკელები, გარშემო დამრგვალებული თვალებით იყურებოდა.

„კეთილი იყოს თქვენი ფეხი, სტუმრებო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ვოლტერაში!“ გავიგონე აროს მღერა დიდი კოშკიდან.

დანარჩენები, დაახლოებით ორმოცი კაცი, ან შეიძლება მეტი, პირველ წყვილს მიჰყვა. ზოგი ტურისტებს გავდა. რამდენიმე სურათებსაც კი იღებდა. დანარჩენები დაბნეულები ჩანდნენ, თითქოს ამბავს, რომელმაც ისინი ამ ოთახში მოიყვანა, მათთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. განსაკუთრებით ერთი პატარა მუქკანიანი ქალი შევამჩნიე. ყელზე კრიალოსანი ეკეთა და ცალი ხელით მაგრად ქონდა ჩაბღუჯული ხელში ჯვარი. ის დანარჩენებზე ნელა მიდიოდა, შიგადაშიგ ვიღაცეებს ეხებოდა და რაღაც შეკითხვებს უსვამდა უცხო ენაზე. როგორც ჩანდა არავის ესმოდა მისი, და ისიც უფროდაუფრო ვარდებოდა პანიკაში.

ედვარდმა სახე მის მკერდში ჩამარგვევინა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. მე უკვე ყველაფერს მივხვდი.

როგორცკი უმცირესი ბზარი გამოჩნდა, ედვარდმა მიბიძგა სწრაფად წავსულიყავი კარისკენ. ვგრძნობდი, თავზარდაცემული გამომეტყველება მქონდა, ცრემლები კი თვალებს მივსებდა.

მდიდრულად მორთულ ოქროსფერ დერეფანში სიწყნარე სუფევდა და არავინ იყო იქ ბრწყინვალე გაშეშებული ქალის გარდა. ის ცნობისმოყვარედ მოგვაჩერდა, განსაკუთრებით მე.

„კეთილი იყო შენი დაბრუნება, ჰეიდი,“ ჩვენს ზურგსუკან მიესალმა დემეტრი მას.

ჰეიდიმ დაბნეულმა გაიღიმა. მან როზალი გამახსენა, თუმცა ისინი არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს- მხოლოდ ისიც მასავით

განსაკუთრებულად, დაუვწყებლად ლამაზი იყო. მზერის მოშორებას ვერ ვახერხებდი.

ისე ეცვა, რომ ხაზს უსვამდა თავის სილამაზეს. მისი კოლგოტით გამუქებული გასაოცრად გრძელი ფეხები უმოკლესი ქვედაბოლოს ქვეშ იყო მოქცეული. გრძელმკლავიანი და მაღალყელიანი კარგადშეხამებული ზედა ეცვა. ბწყინვალე მოწითალო თმა და თვალები ძალიან უცნაური იისფერი ჩრდილები ჰქონდა- ფერი ალბათ წითელ გუგებზე გაკეთებული ლურჯი ლინზების დამსახურება იყო.

„დემეტრი," შემპარავი ხმით უპასუხა მან, ხან მე მიყურებდა ხან ედვარდის ნაცრისფერ მოსასხამს.

„კარგი ნათევზავევია," ქათინაური გაიმეტა დემეტრიმ და მე უცებ მივხვდი რატომ იქცევდა ყურადღებას- შემოძარცვული აღჭურვილობა რაც მას ეცვა... ის არამარტო მეთევზე, არამედ სატყუარაც იყო.

„მადლობ." განსაცვიფრებელი ღიმილი გამოანათა. „არ მოდიხარ?"

„ახლავე მოვალ. ცოტა შემინახე."

ჰეიდიმ თავი დაუქნია და კარში გაიარა, მას შემდეგ რაც ბოლოჯერ შემავლო ცნობისმოყვარე მზერა.

ედვარდი ისე მიაბიჯებდა, რომ სირბილი მიწევდა, რომ არ ჩამოვრჩენოდი. მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ დერეფნის ბოლოს მდიდრულ კარში გაღწევა წივილ-კივილის ატყდომამდე.

თავი ოცდამეორე

გადაფრენა

დემეტრიმ მისაღებ ოთახამდე გაგვაცილა, სადაც ისევ ადამიანი იყო, გიანა თავის მაგიდასთან იჯდა. ბრწყინვალე, დამაშვიდებელი მუსიკა ისმოდა დამალული დინამიკებიდან.

–დაღამებამდე არ წახვიდეთ –გაგვაფრთხილა დემეტრიმ.

ედვარდმა თავი დაუქნია და დემეტრი სწრაფად წავიდა.
გიანა სრულებით არ ჩანდა გაკვირვებული ამ სიტუაციიდან, მაგრამ ბასრი მზერა ესროლა ედვარდის ნანათხოვარ მოსასხამს.

–კარგად ხარ? –მკითხა ედვარდმა დაბალი ხმით, ისე რომ ქალს არ გაეგონა. მისი ხმა უხეში იყო – თუ შეიძლება ხავერდი უხეში იყოს – ნერვიულობიდან. მე ისევ შოკში ვიყავი მომხდარისგან...

–მანამ უნდა დააჯინო სანამ დაეცემა –თქვა ელისმა –ვერ დადის.

შემდეგ მივხვდი, რომ მთელი ტანი ამიკანკალდა, კბილები ამიწაკწაკდა და ოთახიც ჩემს ირგვლივ ტრიალებდა და ბნელი ლაქებით იფარებოდა ჩემს თვალებში. ერთი გადარეული წუთის განმავლობაში, თავს ვკითხე, იყო ეს ის, რასაც ჯეიკობი გრძნობდა მაქციად გადაქცევისას?
მე გავიგონე სრულიად უაზრო ხმა, უცნაური, საწინააღმდეგო მხიარული მუსიკალური ფონისა. ჟრჟოლისგან შეპყრობილი ვერ ვარკვევდი საიდან მოდიოდა ის.

–ჩუუ, ბელა, ჩუუ –წარმოთქვა ედვარდმა, და კედელთან სავარძლისკენ წამიყვანა, ცნობისმოყვარე თვალებისგან მოშორებით.

–ვფიქრობ, რომ ისტერიკა ეწყება. მგონი უნდა დაარტყა –თქვა ელისმა.

ედვარდმა საშინელი მზერა ესროლა ელისს.

მაშინ ყველაფერს მივხვდი. ო... ხმაურის გამომწვევი მე ვიყავი. საშინელი ხმა იყო ჩემი ტირილი რომელიც გულიდან ამოდიოდა. აი რატომ მიკანკალებდა მთელი სხეული...

–ყველაფერი რიგზეა, უსაფრთხოდ ხარ, ყველაფერი რიგზეა – იმეორებდა ედვარდი, ისევ და ისევ. მუხლებზე დამიჯინა და სქელი მოსასხამი შემომახვია, რომ მისგან არ შემციებოდა.
ვიცოდი, რომ ესეთი რეაქცია სისულელე იყო. ვინ იცის რამდენი დრო დამრჩა მისით დავტკბე? ის გადარჩენილი იყო და მეც გადარჩენილი ვიყავი და მას შეეძლო მაშინვე მივეტოვებინე როგორც

კი გარედ გავიდოდით. თვალები ცრემლებით დავიფარო და არ ვუყურო მას – ეს სრული უაზრობაა.
მაგრამ ჩემი თვალების უკან, იქ სადაც ცრემლები ვერ დაფარავდნენ ჩემს მახსოვრობას, ისევ ვხედავდი ქალის შეშინებულ, პატარა სახეს.

–ყველა ის ხალხი –მოვთქვამდი მე.

–ვიცი –ჩურჩულებდა ედვარდი.

–ეს საშინელებაა.

–ხო, ეს ესეა. ვწუხვარ, შენ არ უნდა გენახა ეს.

მე მის ცივ გულს მივადე თავი და მოსასხამით გავიმშრალე ცრემლები. რამოდენიმეჯერ ღრმად ამოვისუნთქე, რომ დავწყნარებულიყავი.

–იქნებ, რამით შევძლო თქვენი დახმარება? –თავაზიანად იკითხა ხმამ. ეს გიანა იყო, ედვარდის ბეჭთან დახრილი, აღელვებული და პროფესიანალური თვალებით. მას, მგონი სულ არ აღელვებდა, ის რომ რამოდენიმე მილიმეტრში იმყოფებოდა გაბრაზებული ვამპირისგან. მან, ან საერთოდ დაივიწყა საფრთხილე ან კარგი შემსრულებელია თავისი სამსახურისა.

–არა –ცივად უპასუხა ედვარდმა.

მან თავი დაუქნია, მე გამიღიმა და წავიდა.
მე მოვიცადე სანამ ქალი კარგა მანძილზე არ მოგვშორდა, საიდანაც ვერ გაიგონებდა –იცის აქ რაც ხდება? –მომთხოვნად ვიკითხე მე, ხმა ჩახლეჩილი მქონდა. მე ბოლომდე ავიყვანე თავი ხელში და სუნთქვაც გამითანაბრდა.

–კი. ყველაფერი იცის –მითხრა ედვარდმა.

–იცის, რომ ოდესმე მასაც მოკლავენ?

–იცის, რომ ეს შესაძლებელია –მითხრა მან.

ამან გამაკვირვა.

რთული იყო ედვარდის სახეზე მისი ფიქრების ამოკითხვა –მას იმედი აქვს, რომ მის დატოვებას მოისურვებენ.

ვიგრძენი, რომ სისხლი გამეყინა –მას უნდა ერთერთი იმათთაგანი იყოს?

ედვარდმა თავი დამიქნია, მისი თავლები სახეზე მომაშტერდნენ ჩემი რეაქციის დასანახად.

მე ვკანკალებდი. –როგორ შეიძლება ეს უნდოდეს? –ვჩურჩულებდი მე, უფრო საკუთარ თავს, რადგან არ მინდოდა პასუხის მოსმენა –როგორ შეუძლია, მუდმივად ადევნოს თვალი, ხალხს იმ ოთახში შემავალს და უნდოდეს, ამის ნაწილი გახდეს?

ედვრადი არ მპასუხობდა. მისი გამომეტყველება ჩემი სიტყვების საპასუხოდ შეიცვალა.
მე მივაჩერდი, მის ზედმეტად ლამაზ სახეს, რომ დამენახა მასში მომხდარი ცვლილებები და უცებ გავიაზრე, რომ მე ნამდვილად ვიმყოფებოდი აქ, ედვარდის ხელებში და ჩვენ არავინ მოგვკლავდა.

–ო, ედვარდ –დავიყვირე და ისევ ავტირდი. ეს ისეთი სულელური რეაქცია იყო. ცრემლები არ მაძლევდნენ მისი სახის დანახვის საშუალებას, და ეს უპატიებელი იყო. ალბათ, დრო მზის ჩასვლამდე მაქვს. როგორც ზღაპარში, განსაზღვრული დროით, როდესაც ჯადოსნობა მთავრდება.

–რა მოხდა? –მკითხა მან აღელვებული ხმით და ნაზად მეფერებოდა ზურგზე.

მე ყელზე მოვეხვიე – რა იყო ყველაზე უარესი რისი გაკეტებაც შეეძლო? მხოლოდ, ჩემი მოშორება – მე უფრო მაგრად მოვეხვიე –მართლა, ძალიან მტკივნეული იქნება, რომ ეხლავე გავხდე ბედნიერი? –ვკითხე მე. ხმა ორჯერ გამიწყდა.

მას, არ გაუწევივარ. მან უფრო მეტად მიმწია და ჩამიხუტა ისე, რომ ძლივს ვსუნთქავდი. –მე ზუსტად ვიცი რასაც გულისხმობ. –დაიჩურჩულა მან –მაგრამ, ჩვენ ისედაც უამრავი მიზეზი გვაქვს, რომ ბენიერები ვიყოთ. პირველი ის არის, რომ ცოცხლები ვართ.

–ხო, -დავეთანხმე მე –ეს ძალიან კარგია.

–და, ერთად ვართ –ის სუნთქავდა. მისი სუნთქვა იმდენად ტკბილი იყო ჩემთვის...

მე მხოლოდ თავი დავუქნიე, დარწმუნებული იმაში, რომ ის ისე არ უყურებს ამას როგორც მე.

–და, ნებისმიერ შემთხვევაში ხვალაც ცოცხლები ვიქნებით.

–იმედია –ვთქვი აღელვებულმა.

–პერსპექტივა საკმაოდ კარგია –დამარწმუნა ელისმა. ის ისე წყნარად იყო, დამავიწყდა კიდეც მისი აქ ყოფნა. –ჯასპერს ოცდაოთხ საათში ვნახავ. –დაამატა მან კმაყოფილი ხმით.

გიხაროდეს, ელის. ის ენდობოდა თავის მომავალს.
მე დიდი ხანი ვერ ვაშორებდი თვალს ედვარდს. მივაჩერდი მას და ყველაფერზე მეტად მინდოდა, რომ მომავალი არ დამდგარიყო. მხოლოდ ის, რომ ეს მომენტი სამუდამოდ გაგრძელებულიყო და თუ შესაძლებელი იქნებოდა ჩემი არსებობაც დამეკარგა.
ედვარდი დაჟინებით მიყურებდა, მისი შავი თვალები ისეთი ნაზი იყო, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ისიც იმაზე ფიქრობდა რაზეც მე. მისი თითები ჩემი თვალების ქვემოდ დაცურავდნენ. –შენ ისე დაღლილად გამოიყურები.

–და შენ წყურვილისგან გაწამებული გამოიყურები. –დავიჩურჩულე მე, მის იისფერ წრეებზე დაკვირვებით შავი თვალების ქვემოდ.

მან ბეჭები აიჩეჩა –დიდი არაფერი.

–დარწმუნებული ხარ? შემიძლია ელისთან გადავჯდე –შევთავაზე მე. არ მინდოდა აქ მოვეკალი.

–ნუ ხარ სასაცილო –ამოიოხრა მან. მისი ტკბილი სუნთქვა სახეზე მელამუნებოდა. –არასდროს არ მქონია კონტროლის ქვეშ ჩემი ეს გრძნობა, როგორც ეხლა.

მე მილიონობით კითხვა დამიგროვდა მასთან. ერთერთი მათგანი პირზე მომადგა მაგრამ, ენას კბილს ვაჭერდი. არ მინდოდა ამ წუტების გაფუჭება, ისეთივე არასრულყოფილის, როგორიც მომხდარი იყო: ეს ოთახი, ჩემი ცუდად ყოფნა, წრეები, პოტენციური მონსტრის თვალებ ქვეშ...
აქ, მის ხელებში ისე ადვილად შემეძლო მეოცნება, რომ მას ვუნდოდი. არ მინდოდა მეფიქრა რა ამოძრავებდა მათ – იმაზე, რომ ის ესე აკეთებს რადგან მხოლოდ დამამშვიდოს, სანამ ისევ საფრთხეში ვართ, ან იმიტომ რომ თავს დამნაშავედ გრძნობს, რომ მეც აქ აღმოვჩნდი. და თუ რამე მოხდებოდა, ის პასუხს აგებდა ჩემი სიკვდილდითვის. ალბათ აქედან ერთერთი იყო პასუხი. მაგრამ ამას ეხლა მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე ბედნიერი ვიყავი საკუთარი თავის მოტყვილებით და ტკბობით ბედნიერი წუთებისგან.

მე ჩუმად ვიწექი მის ხელებში და ვიმახსოვრებდი მის სახეს ჩემს გონებაში, თავის მოტყვილებით...
ისიც დაჟინებით მიყურებდა სახეზე, მაშინ როცა ელისს ელაპარაკებოდა სახლში დაბრუნების გეგმებზე. მათი ხმები ისე ჩუმად და სწრაფად ისმოდა, რომ გიანა ვერ შეძლებდა გაგონებას. მათი ლაპარაკის ნახევარი გამოვტოვე. ისე ისმოდა თითქოს, ქურდობას გეგმავდნენ. მაინტერესებდა, დაუბრუნდებოდა თუ არა ყვითელი "პორშე" თავის მფლობელს?

–რა ლაპარაკი იყო მომღერლებზე? –ჰკითხა ელისმა

–ლა ტუა ცანტატე -წარმოთქვა ედვარდმა. მისმა ხმამ სიტყვებს მუსიკალურობა შეჰმატა.

–ხო, ეს –თქვა ელისმა და მეც წამით ყურადღება მივაქციე. დამაინტერესა.

ვიგრძენი როგორ აიჩეჩა ედვარდმა ბეჭები –ისინი ესე უწოდებენ იმას ვისი სურნელიც განუმეორებელია, როგორც ბელასი ჩემთვის. ისინი მას ჩემს მომღერალს უწოდებენ – რადგან მისი სისხლი მღერის ჩემთვის.

ელისმა გაიცინა.
ძალიან დაქანცული ვიყავი, რომ დამძინებოდა, მაგრამ მაინც ვებრძოდი დაღლილობას. არ ვაპირებდი არცერთი ძვირფასი წამის დაკარგვას, რომელსაც მასთან გავატარებდი. დრო და დრო ელისთან ლაპარაკისას, იხრებოდა და მკოცნიდა – მისი ცივი ტუჩები ეხებოდა ჩემს თმებს, შუბლს, ცხვირის წვერს. ამ დროს, ყოველ ჯერზე თითქოს დენი გადიოდა ჩემს გაჩერებულ გულში. და მისი ფეთქვის ხმა ავსებდა მთელს ოთახს.
ღვთაებრივი სიამოვნება, ჯოჯოხეთის საზღვართან.
მე სრულიად დავკარგე დროის შეგრძნების უნარი. მხოლოდ მაშინ როცა ედვარდის ხელები ჩემს გარშემო დაიძაბა და ის და ელისი ოთახის მეორე მხარეს დაძაბული თვალებით შებრუნდნენ, მე პანიკაში ჩავვარდი. ედვარდის გულზე ავკანკალდი, როცა ალეკი შემოვიდა – მისი თვალები ლალისფრად ანათებდნენ, ის ისევ შეუდარებლად გამოიყურებოდა თავის ნაცრისფერ პიჯაკში, მიუხედავად სინათლისა, რომელიც ორმაგი კარიდან გამოდიოდა. მან კარგი ამბავი მოიტანა.

–თავისუფლები ხართ და შეგიძლიათ წახვიდეთ –გვითხრა ალეკმა, ისეთი თბილი ხმით რომ თითქოს სამუდამო მეგობრები ვიყავით. –გთხოვთ ქალაქში არ გაჩერდეთ.

ედვარდის შედავება არ დაუწყია. მისი ხმა ყინულივით ცივად ისმოდა –ეს არ იქნება პრობლემა.

ალეკმა გაიღიმა, თავი დააქნია და ისევ გაუჩინარდა.

–შემოსასვლელს გაჰყევით და კუთხეში პირველ ლიფტთან მოუხვიეთ –გვითხრა გიანამ, როცა ედვარდი ფეხზე დადგომაში დამეხმარა.
–ორი სართულით დაბლა ჩადით და გარედ გასასვლელში აღმოჩნდებით. ნახვამიდს. –დაამატა მან სასიამოვნო ხმით. დამაინტერესე დაეხმარებოდა თუ არა მას თავისი კომპეტენტურობა.

ელისმა ისროლა თავისი შავი მზერა.
მე თავისუფალი ვიყავი, და არ მეგონა შევძლებდი თუ არა წამოსვლას ესეთ ექსკურსიაზე ვოლტერას დასათვალიერებლად. ჩვენ დიდებული ლიფტით ჩავედით ძირს. მარტო მე მოვხედე უკან შუასაუკუნეების სასახლეს, აქედან ვერ ვხედავდი იმ საშინელ კოშკს და მადლობელი ვიყავი ამისთვის.
ქუჩაში ისევ უამრავი ხალხი ირეოდა. ჩირაღდნები მქრთალად გვინათებდა გზას, როცა სწრაფად მივდიოდით ვიწრო ქუჩებში. ზეცა მწუხარე იყო, თავისი სერი ფერით, მაგრამ შენობები ქუჩებში იმდენად ახლოს იყვნენ ერთამენთთან, რომ ყველაფერი უფრო ბნელი ჩანდა ვიდრე სინამდვილეში.
ხალხიც მუქ ტანსაცმელში იყო ჩაცმული. ჩვეულებრივ საღამოს, ედვარდი გამორჩეული იქნებოდა თავისი მუქი მოსასხამით, მაგრამ არა დღეს. დღეს ხალხის უმრავლესობა მუქ, ატლასის მოსასხამებში იყო გამოწყობილი, და პატარა ბავშვი პლასტმასის ეშვებით, მგონი ძალიან მოსწონდათ უფროსებს.

–სასაცილოა –წაიბუტბუტა ედვარდმა.

ვერ შევამჩნიე როგორ გაქრა ელისი. მივბრუნდი, რომ რაღაც მეკიტხა, მაგრამ წასული იყო.

–ელისი სად არის? –დავიჩურჩულე ანერვიულებულმა.

–წავიდა, რომ თქვენი ნივთები მოიტანოს იქიდან, სადაც დილით დამალა.

დამავიწყდა, რომ კბილის ჯაგრისი მქონდა. ეს მნიშვნელოვნად ამკობდა ჩემს პერსპექტივას.

–ისევ მოიპარა მანქანა, ხომ? –ვიკითხე მე

ედვარდმა ჩაიცინა –მოიპარავს, როცა გარედ აღმოვჩნებით.

ძალიან დიდი გზა ჩანდა კიბებიან მოედნამდე. ედვარდი ხედავდა, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ხელი წელზე შემომხვია და ისე მივყავდი. მე შემაჟრჟოლა, როცა ედვარდმა ქვის კამაროვან გასასვლელში გამიყვანა. უზარმაზარი, ძველი, თაღისებრი კარიბჭე, გისოსებიან კარებს უფრო ჰგავდა, რომელიც ჩამოვარდნით და მასში გამოკეტვით იმუქრებოდა.
მას მივყავდი, ბნელ მანქანასთან, რომელიც კარიბჭის მარცხენა მხარეს გველოდა. ჩემდა გასაკვირად, ედვარდი უკან, ჩემს გვერდით დაჯდა, იმის მაგივრად რომ მართვა მოეთხოვა.

ელისი ცოტა უხერხულად იყო –მაპატიეთ –მან სიჩქარის პანელს გახედა –არჩევანი თითქმის არ იყო.

–ესეც არაჩვეულებრივია, ელის. –ჩაიცინა ედვარდმა –ყველა მანქანას ტურბო ხომ არ ექნება.

ელისმა ამოიხვნეშა –მგონი ეგეთი უნდა შევიძინო. ძალიან მოსახერხებელი იყო მასზე მგზავრობა.

–შობას გაჩუქებ ეგეთს –შეპირდა ედვარდი.

ელისი გაბრწყინებული მოტრიალდა, რამაც ამანერვიულა, რადგან სიჩქარეს უმატებდა ბნელ ქუჩაში.

–ყვითელი –უთხრა ედვარდს.

ედვარდს დაძაბული ხელებით ვეჭირე. რუხ მოსასხამში თბილად და მოხერხებულად ვიგრძენი თავი. მოხერხებულზე მეტადაც.

–ბელა, შეგიძლია დაიძინო –ჩაუბუტბუტა ედვარდმა –ყველაფერი დასრულდა.

ვიცოდი, რომ საფრთხეს გულისხმობდა, კოშმარს ძველ ქალაქში, მაგრამ მაინც გამეჩხირა ყელში რაღაც ვიდრე ვუპასუხებდი.

–არ მინდა დაძინება. არ დავღლილვარ –ჩემს სიტყვებში მხოლოდ მეორე იყო სიცრუე. თვალების დახუჭვა არ მინდოდა. მართალია მანქანაში თითქმის ბნელოდა, მაგრამ სპიდომეტრების სინათლეც საკმარისი იყო მისი სახის საყურებლად.

მან ნაზად ჩამჩურჩულა ყურში –შეეცადე.

მე უარყოფითად გავაქნიე თავი.

მან ამოიოხრა –ისევ ისეთი ჯიუტი ხარ.

მე ჯიუტი ვიყავი. ვებრძოდი ჩემს მძიმე ქუთუთოებს და ჯერჯერობით ვიმარჯვებდი.
ყველაზე მეტად ბნელ გზაზე გამიჭირდა. კაშკაშა სინათლეები ფლორენციის აეროპორტში მიადვილებდნენ ბრძოლას, მთლად უკეთესად გავხდი როდესაც კბილები გავიწმინდე და გამოვიცვალე. ელისმა ედვარდსაც უყიდა ახალი ტანსაცმელი და მოსასხამი ურნაში დატოვა. რომში გადაფრენა იმდენად მოკლე იყო, რომ დაღლაც ვერ მოვასწარი. ვიცოდი, რომ რომიდან ატლანტაში გადაფრენა უფრო გრძელი იქნებოდა, ამიტომ სტიუარდესას ყავის მოტანა ვთხოვე.

–ბელა, -მითხარ ედვარდმა უკმაყოფილოდ. იცოდა, რომ ყავა ჩემს ორგანისმს ცუდად გადაჰქონდა.

ელისი ჩვენს უკან იჯდა. მესმოდა როგორ ებუტბუტებოდა ტელეფონით ჯასპერს.

–დაძინება არ მინდა –შვახსენე ედვარდს. თავს ვიმართლებდი და სიმართლედ ჟღერდა, რადგან მართლა არ ვიტყვილებოდი. –თუ თვალებს დავხუჭავ ისეთ რამეს დავინახავ რაც არ მინდა. კოშმარები დამესიზმრება.

ამის შემდეგ აღარ შემკამათებია.
ეხლა საუკეთესო დრო იყო მასთან დასალაპარაკებლად, პასუხების მისაღებად ყველა კითხვაზე, მაგრამ არ შემეძლო მთავარზე მეკითხა. სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი იმაზე ფიქრისგან თუ რა პასუხი შეიძლებოდა მიმეღო. ელისის გარდა ვერავინ გაგვიგებდა, უკვე გვიანი იყო და მგზავრების უმრავლესობას ეძინა. საუბარი დამეხმარებოდა, რომ არ დამძინებოდა.
მაგრამ არ შემეძლო. ენას ვკბენდი, რომ კითხვების ნაკადი შემეჩერებინა. კარგად ვერ ვაზროვნებდი ამდენი ხანი უძილობისგან, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ საუბრის გადადება გამიხანგრძლივებდა მასთან ყოფნას, და ყველაფერი შემდეგი საღამოსთვის გადავწიე. როგორც ზღაპარშია, შეხერეზადზე.
ასე რომ, მე ვაგრძელებდი ყავის სმას და დახამხამებასაც კი ვეწინააღმდეგებოდი. ჩანდა, რომ ედვარდს ისევ სიამოვნებდა, ჩემი მის ხელებში დაჭერა, მისი თითები ისევ და ისევ მეფერებოდენ სახეზე. მეც ვეხებოდი მის სახეს. თავს ვერ ვაიძულებდი შეკავებსა, მაგრამ ვიცოდი, რომ შემდეგ, როცა ისევ მარტო დავრჩებოდი ამისგან საშინელი ტკივილი დამრჩებოდა. ის ისევ მკოცნიდა თმებზე, შუბლზე, ხელებზე... მაგრამ არ ეხებოდა ტუჩებს, და ეს კარგი იყო.

ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა გაცოცხლდეს ერთი გული, რომ ფეთქვა გააგრძელოს? მე ბევრი გადავიტანე ბოლო დღეებში, მაგრამ ეს არ მხდიდა ძლიერს. პირიქით თავს საშინლად სუსტად ვგრძნობდი, თითქოს ერთ სიტყვას შეეძლო დავემსხვრიე.
ედვარდი დუმდა. შეიძლება ელოდა, რომ ჩავიძინებდი. შეიძლება, არ იცოდა რა ეთქვა.
მე გავიმარჯვე მძიმე ქუთუთოებზე. არ მეძინა როცა ატლანტის აეროპორტში ჩავედით, და სიეტლის თავზე ამომავალ მზესაც ვადევნებდი თვალს, სანამ ედვარდი დახურავდა ფანჯარას. ჩემი თავით ვამაყობდი, ერთი წამიც კი არ გამომიტოვებია.
არც ელისი და არც ედვარდი არ იყო გაკვირვებული დახვედრით რომელიც აეროპორტში გველოდა. პირველად, ჯასპერი დავინახე – ის, მგონი საერთოდ ვერ მხედავდა მე. მხოლოდ ელისს უყურებდა. ის სწრაფად მივიდა მასთან. ისინი არ ჩახუტებიან ერთმანეთს როგორც დანარჩენი წყვილები. მხოლოდ ერთმანეთს უყურებდნენ სახეზე, და ეს ყველაფერი იმდენად პირადული იყო, რომ თვალი ავარიდე.
კარლაილი და ესმი წყნარად გველოდნენ კუთხეში, ფანჯრისგან მოშორებით, დიდი ბოძის ჩრდილის ქვეშ. ესმიმ ჩემთან მოირბინა, ძლიერად, მაგრამ უხერხულად ჩამეხუტა, რადგან ისევ ედვარდსის გარემოცვაში ვიყავი.

–მადლობა –ჩამჩურჩულა ესმიმ.

შემდეგ ედვარდს მოეხვია, და ჩანდა, რომ ესესაა ატირდებოდა.

–აღარსოდეს მაიძულებ ესეთი რამ გადავიტანო –თითქმის იღრინებოდა.

ედვარდი დამნაშავედ გაიღიმა –მაპატიე, დედა.

–მადლობა ბელა –თქვა კარლაილმა –შენთან ვალში ვართ.

–არ ღირს –წავიბუტბუტე მე. უცებ, უძილო ღამებმა თავი გამოიჩინა. ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს თავი სხეულისგან ცალკე იყო.

–ფეხზე ძლივს დგას –წაეჩხუბა ესმი ედვარდს –ჩქარა წავიყვანოთ სახლში.

დაეჭვებული იმაში, რომ მინდოდა მათთან სახლში მისვლა, წავედი, თითქმის ძირს ვარდნით რადგან თვალები მეხუჭებოდა და ვეღარაფერს ვხედავდი. ედვარდს ვეჭირე ერთი მხრიდან და ედვარდს ვეჭირე მეორე მხრიდან. არ ვიცოდი მოდიოდნენ თუ არა უკან, ელისი და ჯასპერი და ძალიან დავიღალე, რომ შემემოწმებინა.

გზაში ჩამეძინა, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი სიარულს, მათ მანქანამდე. გაკვირვებამ იმისგან, რომ შავ “სედანზე” მიყრდნობილი იდგა ემეტი და როზალი, დროებით გამომაფხიზლა. ედვარდი დაიძაბა.

–არ გინდა –დაიჩურჩულა ესმიმ –თავს საშინლად გრძნობს.

–ესეც უნდა იყოს. –თქვა ედვარდმა და სულაც არ უცდია სიბრაზის დამალვა.

–ეს, მისი შეცდომა არ არის –ვუთხარი სუსტი ხმით.

–ნება მიეცი დანაშაული გამოასწოროს –ევედრებოდა ესმი –ჩვენ, ელისს და ჯასპერს წამოვყვებით.

ედვარდი ბრაზიანად უყურებდა, უმშვენიერეს, ქერა ვამპირს, სახელად როზალის, რომელიც ჩვენ გველოდა.

–გთხოვ ედვარდ –ვთხოვე მე. სულაც არ მინდოდა როზალისთან ერტად წასვლა, მაგრამ ისედაც ბევრი უთანხმოება გამოვიწვიე მის ოჯახში.

მან ამოიოხრა და მანქანისკენ წამიყვანა.
ემეტი და როზალი ჩუმად დასხდნენ წინა სავარძლებზე, იმ დროს როცა ედვარდმა ისევ უკან დამაჯინა. ვიცოდი, რომ ვერარ შევებრძოლებოდი ძილს, ამიტომ დავნებდი და ედვარდს დავადე გულზე თავი. შემდეგ ვიგრძენი როგორ შეინძრა მანქანა ძრავისგან.

–ედვარდ –დაიწყო როზალიმ.

–ვიცი –შეაწყვეტინა ედვარდმა.

–ბელა? –იკითხა რბილად, როზალიმ.

მე შოკში გავახილე თვალები. პირველად მთელი ცხოვრების განმავლობაში, პირველად მომმართა როზალიმ პირადად მე.

–რა, როზალი? –გაუბედავად ვკითხე მე.

–ძალიან ვწუხვარ ბელა. თავს ძალიან უბედურად ვგრძნობ, იმისგან რაც მოხდა, და იმდენად მადლობელი ვარ შენი, რომ ესეთი გაბედული იყავი და ძმა გადამირჩინე, მას შემდეგ რაც გავაკეთე. გთხოვ მითხარი, რომ მპატიობ.

სიტყვები უხერხული და არაბუნებრივი იყო, რადგან ყოყმანობდა ლაპარაკისას, მაგრამ ისინი გულრწფელად ჟღერდნენ.

–რათქმაუნდა როზალი –წავიბურტყუნე მე, ყველანაირი მცდელობით, რომ ოდნავ მაინც შემემცირებინა მისი ისძულვილი ჩემდამი. –ეს საერთოდ არ არის შენი შეცდომა. მე თვითონ გადმოვხტი იმ სულელური კლდიდან. რათქმაუნდა გპატიობ.

სიტყვები არეულად გამომივიდა.

–ის, ვერ იაზრებს რას ლაპარაკობს –ჩაიხითხითა ემეტმა.

–ყველაფერს ვიაზრებ –წარმოვთქვი მე. მხოლოდ, ეს დამახინჯებულ ამოსუნთქვას ჰგავდა.

–აცადეთ დაიძინოს –დაიჟინა ედვარდმა, მაგრამ მისი ხმა თბილი იყო.

შემდეგ სიჩუმე გამეფდა, რომელსაც ძრავის ხავერდივით ხმა ერეოდა. მგონი ჩავიძინე, რადგან გავიდა რამოდენიმე წუთი როცა კარი გაიღო და ედვარდმა ხელში აყვანილი გადამიყვანა მანქანიდან. თვალების გახელა არ მინდოდა. თავიდან მეგონა, რომ ისევ აეროპირტში ვიყავით.
და შემდეგ გავიგონე ჩარლის ხმა.

–ბელა! –დაიყვირა შორიდან

–ჩარლი –წავიბურტყუნე მე და გამოფხიზლებას შევეცადე.

–ჩუუუ –დაიჩურჩულა ედვარდმა –ყველაფერი კარგადაა, ეხლა სახლში ხარ, უსაფრთხოდ. მხოლოდ ცუდი სიზმარი ნახე.

–არ მეგონა, რომ შენში ამხელა თავხედობაა, აქ გამოჩენა რომ გაბედე –უყვიროდა ჩარლი ედვარდს. ეხლა მისი ხმა უფრო ახლოდან ისმოდა.

–მამა, გაჩერდი –ამოვიკვნესე მე. მას არ ესმოდა ჩემი.

–რა მოუვიდა? –მოითხოვა პასუხი ჩარლიმ.

–ის მხოლოდ დაიღალა, ჩარლი –მშვიდად დაარწმუნა ედვარდმა –გთხოვთ, ნება მიეცით დაისვენოს.

–ნუ მასწავლი, რა გავკეთო! – დაიყვირა ჩარლიმ –მომეცი. მოშორდი მას!

ედვარდი შეეცადა ჩარლისთვის მივეწოდებინე, მაგრამ ძლიერად შევებღაუჭე ედვარდს. ვიგრძენი როგორ მექაჩებოდა ჩარლი ხელზე.

–არ გინდა, მამა –ვთქვი შედარებით ხმამაღლა. თვალების გახელა შევძელი, რომ ჩარლისთვის შემეხედა –ნუ გაგიჟდები.

ჩვენ ჩემი სახლის წინ ვიდექით. შესასვლელი კარი ღია იყო. ისეთი სქელი ღრუბლები იდო ცაზე, გამიძნელდა გამერკვია დღე იყო თუ ღამე.

–შემიძლია დაგენიძლავო, რომ ვიზამ მაგას. –შემპირდა ჩარლი –სახლში შედი.

–კარგი. დამსვი –ამოვიოხრე მე.

ედვარდმა ფეხზე დამაყენა. ვხედავდი, რომ ვიდექი, მაგრამ ფეხებს ვერ ვგრძნობდი. წინ წავედი და შემდეგ დავინახე, როგრო სწრაფად მიახლოვდებოდა ასფალტი. ედვარდმა მანამ დამიჭირა სანამ ბეტონზე დავეხეთქებოდი.

–მხოლოდ, მისი ზემოდ აყვანის ნება მომეცით –თქვა ედვარდმა –შემდეგ წავალ.

–არა –დავიყვირე მე პანიკაში ჩავარდნით. ჯერ კიდევ არ მიმიღია პასუხი. ამის გულისთვის მაინც უნდა დარჩენილიყო, არა?

–შენთან ვიქნები –დამპირდა ედვარდი, ჩურჩულით, რომლის გაგონების შანსიც არ ჰქონდა ჩარლის.

არ გამიგონია რა უთხარ ჩარლიმ პასუხად, მაგრამ ედვარდი სახლში შევიდა. თვალები მხოლოდ კიბეებამდე შევინარჩუნე გახელილი. უკანასკნელი რაც ვიგრძენი იყო ედვარდის ცივი ხელები, რომლებიც ანთავისუფლებდნენ თავის პერანგს ჩემი თითებისგან.

თავი ოცდამესამე

სიმართლე

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ძალიან დიდი ხანი მეძინა – ტანი გამიშეშდა, თითქოს ძილშიც არ ვმოძრაობდი. ძალიან ნელა მოვდიოდი აზრზე. უცნაურ, ფერად კოშმარებს არ უნდოდათ ჩემი თავის დატოვება. ისინი ძალიან მკვეთრნი იყვნენ. საშინელი და მშვენიერი, ერთმანეთში ირეოდა. მე ვგრძნობდი საშინელ მოუთმენლობას და საშიშროებას, როგორც იმ ადგილიდან სიზმარში, როცა არ შეგიძლია სწრაფად გადაადგილება... სიზმარში ბევრი მონსტრი ვნახე, საშინელი წითელი თვალებით, რომლებიც უფრო საშიშნი იყვნენ თავიანთი თავაზიანობით. სიზმარი ისევ არ მანთავისუფლებდა – სახელებიც კი მახსოვდა. მაგრამ ყველაზე ძლიერი, ყველაზე ნათელი ნაწილი სიზმრის, კოშმარი არ იყო. ის ანგელოზი იყო.
ძალიან მიძნელდებოდა ბოლომდე გამოფხიზლება. ამ სიზმარს არ უნდოდა იმ რიგებში გადასვლა, რომელთა ხელახლა ნახვის სურვილი არ მქონდა. მე მოვერიე ჩემს თავს, მაგრამ ავნერვიულდი თუ რა მელოდა რეალობაში. ვერ ვიხსენებდი რა დღე იყო დღეს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი – ჯეიკობი, სკოლა, სამსახური, მელოდა წინ. ამოვიოხრე, იმაზე ფიქრით თუ როგორ გამიძნელდებოდა კიდევ ერთი დღის გადატანა.
რაღაც ცივი ნაზად შეეხო ჩემს შუბლს.
თვალები მოვჭუტე. ჩანდა, რომ ისევ მეძინა, მაგრამ რატომ არის შეგრძნებები ესეთი რეალური? ალბათ, ახლოს ვარ გამოფხიზლებასთან... და ეხლა, ნებისმიერ წამს, ყველაფერი შეწყდება.
მაგრამ, ვიგრძენი, რომ რეალობა დგებოდა. ძლიერი ხელები, რომლებიც როგორც მეჩვენებოდა მეხვეოდნენ, ძალიან ნამდვილი იყო. თუ კიდევ გავაგრძელებ ამას, შემდეგ ვინანებ. გულდაწყვეტილი ოხვრით თვალები გავახილე, რომ ილუზია გამექრო.

–ო! –ამოვისუნთქე და მუჭებით დავიწყე თვალების სრესა.

კარგი, ყველაფერი გასაგებია, ღრმად შევტოპე. დიდი შეცდომა იყო, ნება მიმეცა ჩემი ფანტაზიისთვის, ესე წასულიყო ხელიდან. კარგი, ოღონდ, "ნების მიცემა" არასწორი სიტყვაა. მე ვაიძულე ჩემს წარმოსახვას ღრმად წასვლა – და ეხლა ჩემი გონება, აღარ მემორჩილება.
ნახევარ წამზე ნაკლები დამჭირდა, იმის მისახვედრად, რომ ჭკუიდან შევიშალე, მე კიდევ შემეძლო დავმტკბარიყავი ხილვით, თანაც ის ისეთი სასიამოვნო იყო...

ისევ გავახილე თვალები – და ედვარდი ისევ ჩემს გვერდით იყო, მისი სრულყოილი სახე ჩემგან სულ რამოდენიმე მილიმეტრში იმყოფებოდა.

–შეგაშინე? –წარმოთქვა მან აღელვებული, დაბალი ხმით. გადასარევია, ჰალუცინაციამ პიკს მიაღწია. სახე, ხმა, სურნელი, ყველაფერ ამას ისე კარგად ვხედავდი როგორც არასდროს. ჩემი წარმოდგენილი, ლამაზი სახე, აღელვებული აკვირდებოდა ჩემს გამომეტყველებას. მისი ლამაზი თვალები, ნახშირივით შავი, იისფერი წრეებით ირგვლივ. ამან გამაკვირვა, ჩემს ფანტაზიებში ედვარდი უფრო ბუნდოვანი იყო.
ორჯერ დავახამხამე თვალები, და შევეცადე გამეხსენებინა ბოლო, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ რეალურად მოხდა. ელისი, ჩემი სიზმრის ნაწილი იყო, და თავს ვკითხე, მართლა ჩამოვიდა ფორქსში თუ, ესეც ჩემი წარმოსახვის თამაში იყო. ვფქირობდი, რომ ის იმ დღეს დაბრუნდა, როცა თითქმის ჩავიძირე...

–ო, ჯანდაბა! –დავიყვირე მე.

–რა მოხდა, ბელა?

მე მოღუშულად, უბედური სახით ვუყურებდი ედვარდს. მისი სახე ეხლა უფრო აღელვებული ჩანდა.

–მოვკვდი ხომ? –ამოვიკვნესე მე –მე, მართლა ჩავიძირე. ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! ეს ჩარლის გაანადგურებს.

ედვარდი მოიღუშა –არ მომკვდარხარ.

–მაშინ რატომ ვერ ვიღვიძებ? –გამოვიწვიე მე და წარბები ავწიე.

–არ გძინავს, ბელა.

მე თავი გავაქნიე –არა, მე დარწმუნებული ვარ ამაში. უბრალოდ შენ გინდა, რომ ესე მეგონოს. შემდეგ კი ყველაფერი უარესად იქნება – მე გამოვიღვიძებ. თუ გამოვიღვიძე, რაშიც ეჭვი მეპარება, რადგან – მკვდარი ვარ. ეს საშინელებაა. საწყალი ჩარლი. და დედა, მისი ახალი ქმარი... –მე გავჩუმდი შიშში, იმისგან რაც ჩავიდინე.

–კიდევ ვერ გავიგე, რა ნახე შენს კოშმარში. –ედვარდის მცირეხნიანი ღიმილი მოღუშული იყო. –მაგრამ არ მესმის, რისი გაკეთება შგეძლო, რომ ჯოჯოხეთში მომხვდარიყავი. სანამ არ ვიყავი შენს გვერდით, ბევრი მკვლელობა ჩაიდინე?

სახე დავმანჭე –რათქმაუნდა არა. ჯოჯოხეთში რომ ვიყო, შენ არ იქნები ჩემს გვერდით.

მან ამოიხვნეშა.
თანდათან გონება მინათდებოდა. მე ერთი წუთით, იძულებით მოვაშორე თვალები ედვარდის სახეს, ფანჯარაში სიბნელეს შევხედე და შემდეგ ისევ ედვარდს. მე ყველაფრის გახსენება დავიწყე... და ვიგრძენი როგორ ვწითლდებოდი სახეზე, რადგან ვხვდებოდი რომ ედვარდი მართლა იყო, აქ, ჩემთან ერთად და მე უაზროდ ვკარგავდი დროს იდიოტივით მოქცევაში.

–ესე იგი, ეს ყველაფერი მართლა მოხდა? –თითქმის შეუძლებელი იყო, ჩემი სიზმარი სინამდვილედ გადამექცია.

–გააჩნია რას გულისხმობ –ედვარდის ღიმილი ისევ არარეალური იყო. –თუ იმას გულისხმობ, როგორ გაჩნდი იტალიაში, მაშინ კი.

–რა უცნაურია –ვფიქრობდი მე –მე მართლა წავედი იტალიაში. შენ იცოდი რომ არასდროს ვყოფილვარ აღმოსავლეთში ალბურკეკეს იქით?

მან თვალები გადაატრიალა –მგონი, კიდევ გჭირდება გამოძინება.

–უკვე დავისვენე –ჩემთვის უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა ყველაფერი. –რომელი საათია? რამდენი ხანი მეძინა?

–მხოლოდ ამ დილით ჩაიძინე. და დაახლოებით თოთხმეტი საათი გეძინა.

მე გამიკვირდა.

–ჩარლი? –ვკითხე მე

ედვარდი მოიღუშა –შენ გეძინა... ალბათ უნდა აგიხსნა, რომ ეხლა ყველაფერს ვარღვევ. ჩარლიმ მიბრძანა, რომ მე აღარასდროს შემოვიდე მის კარებში, და მე ფანჯარაში შემოვედი... მაგრამ, ჩემი განზრახვა ნათელი იყო.

–ჩარლიმ ჩვენს სახლში მოსვლა აგიკრძალა? –გავირკვირვე მე და ნელნელა სიბრაზეშიც გადავედი.

თვალები მოწყენილი გაუხდა –სხვა რამეს ელოდი?

მე შეშლილის თვალებით ვუყურებდი. მე დაველაპარაკები მამას, ეხლა ყველაზე შესაფერისი დროა შევახსენო, რომ სრულწლოვანი ვარ და პირადი ცხოვრების უფლება მაქვს... მაგრამ, აქამდე მას არაფერი აუკრძალალავს. მე უფრო უმტკივნეულო თემაზე გადავიტანე ყურადღება.

–ყველაფერი მომიყევი –ვთხოვე. მე სუფთა ცნობისმოყვარეობა მამოძრავებდა, და ვცდილობდი საუბარს შემთხვევითი სახე მიეღო, რომ ჩემთვის საშიშ კითხვაზე არ მეფიქრა.

–რას გულისხმობ?

–რა ვუთხრა ჩარლის? როგორ გავიმართლო თავი, რატომ გავქრი... ასეთი დიდი ხნით? –თავში დღეები გადავთვალე

–სამი დღით –თვალები დაეძაბა, მაგრამ ამჯერად უფრო ბუნებრივად გაიღიმა –სიმართლე გითხრა, იმედი მქონდა, რომ შენ მოიფიქრებდი. არ ვიცი რა ვუთხრათ.

მე ამოვიკვნესე –წარმოუდგენელია.

–კარგი, შეიძლება ელისმა მოიფიქროს რამე –თქვა მან ჩემს დასამშვიდებლად.

მეც დავმშვიდდი. რა მნიშვნელობა აქვს რა იქნება მოგვიანებით? თითოეული წამი, რომ ის აქ იყო, ასე ახლოს იყო მისი უნაკლო სახე – ძვირფასი იყო და არ შეიძლებოდა უაზროდ დამეხარჯა.

–ესე იგი –დავიწყე მე, მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვის ძებნა, რომ საფუძველი გამეკეთებინა. მე სახლში მომიყვანეს და მას წასვლა ნებისმიერ მომენტში შეეძლო. მე საუბრით უნდა შემეჩერებინა ის. ამის გარდა, ეს მშვენიერი მომენტები არ იქნებოდა სრული მისი ხმის გარეშე –რას აკეთებდი ეს სამი დღე?

ედვარდის სახე ფრთხილი გახდან –არაფერ საინტერესოს.

–რათქმაუნდა არაფერს –წავიბურტყუნე მე.

–რატომ მიიღე მასეთი სახე?

–კარგი... –მე პირი მოვკუმე –შენ, რომ სიზმარი ყოფილიყავი, ზუსტად ესე მიპასუხებდი. უნდა დაგიჯერო.

მან ამოიხვნეშა –თუ მოგიყვები, ბოლოს და ბოლოს დაიჯერებ რომ კოშმარი არ გესიზმრება?

–კოშმარი! –გავიმეორე დამცინავად. ის ჩემს პასუხს ელოდა
–შეიძლება –ვუპასუხე მე –თუ მომიყვები.

–ვნადირობდი...

–მეტი უკეთესი საქმე ვერ ნახე? –გავკიცხე მე –ეს ნამდვილად არ ამტკიცებს იმას რომ არ მძინავს.

ედვარდი ყოყმანობდა და შემდეგ ნელა ალაპარაკდა, სიტყვების შერჩევით –საკვებისთვის არ ვნადიორბდი...მე ვდევნიდი.

–რას დევნიდი? –ვკითხე დაინტრიგებული.

–არაფერს მნიშვნელოვანს –მისი სიტყვები მის გამომეტყველებას არ შეესაბამებოდა. ის ნაწყენი გამოიყურებოდა.

–ვერ გავიგე.

ის ყოყმანობდა. მისი სახე საათის მწვანე შუქში დაიგრიხა.

–მე –ედვარდმა ღრამდ ამოიოხრა –მე ბოდიში უნდა მოგიხადო. არა, რათქმაუნდა ბოდიშზე მეტი უნდა გავაკეთო. მაგრამ უნდა იცოდე, - სიტყვები მდინარესავით გადმოიღვარა, მახსოვდა, რომ ის ესე მაშინ ლაპარაკობდა, როცა ღელავდა და გონება უნდა მომეკრიბა, რომ ყველაფერი გამეგო. –წარმოდგენაც არ მქონდა, ვერ ვიგებდი არეულობას რომელსაც ვტოვებდი. ვფიქრობდი, რომ აქ უსაფრთხოდ იქნებოდი. და წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ვიქტორია –მისი სახელის წარმოთქმისას ტუჩები მოკუმა –დაბრუნდებოდა. ვაღიარებ, რომ დავივიწყე მასზე. მაშინ მას არ ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას, მე მხოლოდ ჯეიმსის განადგურებაზე ვფიქრობდი. მაგრამ მხოლოდ მე ვერ დავინახე სიმართლე. ის რომ, ვიქტორია ძალიან ახლოს იყო ჯეიმსთან. ეხლა ვხვდები, რატომ ენდობოდა მას. ჩემი ქედმაღლობის ბრალია ყველაფერი – მან ხელი შემიშალა, ვიქტორიას გრძნობები დამენახა.
–არ ვფიქრობ, რომ გამართლება აქვს ჩემს წასვლას, რომ დაგტოვე აქ დაუცველად. როცა გავიგონე რა უთხარი ელისს – როცა მან დაგინახა – მივხვდი, რომ შენს ცხოვრებას მაქციებს უკავშირებდი, ახალგაზრდებს, არამტკიცეებს, ეს ვიქტორიაზე უარესი იყო – ედვარდი კანკალებდა და ცოტა ხნით შეჩერდა –გთხოვ, გაიგე, რომ მე არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ. მე თავს დაჭრილად ვგრძნობ, დაჭრილად პირდაპირ გულში, ეხლაც კი როცა გიყურებ და

შემიძლია მოგეხვიო. ეს ყველაზე საცოდავი გამართლებაა ამ ყველაფრის.

–შეჩერდი –გავაწყვეტინე მე. ის სასოწარკვეთილი თვალებით მომაჩერდა და მე საჭირო სიტყვების ძებნა დავიწყე – სიტყვების, რომლებიც გაანთავისუფლებენ მას თავისი მოვალეობებიდან, რომლებმაც ამოდენა ტკივილი მიაყენეს. ძალიან რთული იყო მათი წარმოთქმა. მაგრამ უნდა გამეკეთებინა ეს. არ მინდოდა დანაშაულის და წამების მიზეზი ვყოფილიყავი მის ცხოვრებაში. ის ბედნიერი უნდა იყოს ნებისმიერ ფასად, რადაც არ უნდა დამიჯდეს.
მე მართლა ვცდილობდი საუბრის ამ ნაწილის მოახლოების აცილებას. ამით დასასრულს მოვაახლოვებდი.
გავიხსენე პრაქტიკის თვეები, როცა ვცდილობდი ჩარლისთვის ნორმალური ვყოფილიყავი, და ყველა გამომეტყველება მოვიშორე სახიდან.

–ედვარდ –ვთქვი მე. მისი სახელი ყელს მწვავდა. მე ვიგრძენი საშინელი ჭრილობის მოახლოება, რომელიც ისევ გაიხსნებოდა, როგორც კი წავიდოდა ის. ვერ წარმოვიდგენდი, როგრო გადავიტანდი ამას ხელახლა. –ეხლა ყველაფერი უნადა დასრულდეს. შენ არ შეგიძლია გამუდმებით იფიქრო ამაზე. შენ არ უნდა მიცე უფლება... ამ დანაშაულს... რომ მართოს შენი ცხოვრება. შენ არ შეგიძლია შენს თავზე აიღო პასუხისმგებლობა იმ შემთხვევების რაც მე აქ მომივიდა. არცერთი მათგანი არ არის შენი დანაშაული, ყველაფერი ეს, ჩემი ცხოვრების ნაწილია. თუ ავტობუსი დამეჯახება ან რამე ესეთი მომივა, უნდა გაიგო, რომ არ შეგიძლია ყველაფერში შენი თავი დაადანაშაულო. არ შეგიძლია, ყოველ ჯერზე იტალიაში გაიქცე, იმიტომ, რომ ცუდად იქნები იმისგან, რომ ვერ გადამარჩინე. თუნდაც, მე მართლა თავის მოსაკლავად გადმომხვმტარიყავი იმ კლდიდან, ეს ჩემი არჩევანი იქნებოდა და არა შენი შეცდომა. ვიცი, რომ ესეთი ბუნების ხარ, რომ ყველა პასუხისმგებლობას შენს თავზე იღებ, მაგრამ შენ არ გაქვს უფლება ესეთ უკიდურესობაში ჩავარდე! ეს უპასუხისმგებლობაა – იფიქრე, ესმიზე, კარლაილზე და...

მე დაკარგვის პირას ვიყავი. გავჩერდი, რომ ამომესუნთქა და დავმშვიდებულიყავი. მე უნდა განმეთავისუფლებინა ის. უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ესეთი რამ აღარ განმეორდებოდა.

–იზაბელა მერი სვონ –დაიჩურჩულა ედვარდმა, ყველაზე უცნაური გამომეტყველებით, მას თითქმის გიჟის სახე ჰქონდა –შენ ფიქრობ, რომ ვოლტურის ჩემი სიკვდილი მხოლოდ იმიტომ ვთხოვე, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი?

ვიგრძენი როგორ გამომეხატა სახეზე გაკვირვება –ესე არ არის?

–დანაშაულის გრძნობა? არ არის სხვა, უფრო დიდი რამ რასაც შენ შეგიძლია ჩაწვდე?

–მაშინ... რაზე ლაპარაკობ? არ მესმის.

–ბელა, მე წავედი ვოლტურებთან, რადგან მეგონა რომ მკვდარი ხარ. –თქვა რბილი ხმით მაგრამ მკაცრი თვალებით –თუნდაც არ ვყოფილიყავი დამნაშავე შენს სიკვდილში. –ის კანკალებდა, ბოლო სიტყვების ჩუღჩულში –ეს რომც არ ყოფილიყო ჩემი შეცდომა, მე მაინც წავიდოდი იტალიაში. რათქმაუნდა უფრო ფრთხილი უნდა ვყოფილიყავი, ჯერ ელისს უნდა დავლაპარაკებოდი, იმის მაგივრად, რომ როზალის მონაყოლისთვის დამეჯერებინა. მაგრამ მე ხომ მართლა გავიგონე, როგორ მითხრა ბიჭმა, რომ ჩარლი დაკრძალვაზეა? ყველაფერი ხომ ემთხვეოდა?

–ემთხვეოდა –ჩაიბუტბუტე მე. მისი ხმა ისეთი წყნარი იყო, ვერ ვბედავდი მის გაჩერებას –მოვლენები მუდამ ჩვენს წინააღმდეგ ეწყობა. შეცდომა შეცდომაზე. მე აღარ გავკრიტიკებ რომეოს.

–მაგრამ მე ისევ არ მესმის –ვთქვი მე –ამიხსენი. რამ გაიძულა?

–მაპატიე მე.

–რა არის, მართლა რომ მომვკვდარიყავი?

ის მომაჩერდა დიდი ხნით, დაეჭვებული სახით –ყველაფერი დაგავიწყდა რაც ეხლა გითხარი?

–მე ყველაფერი მახსოვს რაც მითხარი –ის სიტყვებიც რაც ყველაფერს უარყოფდნენ.

მან თავისი ცივი თითები გადაატარა ჩემს ქვედა ტუჩზე –ბელა, შენ არაფერი არ გესმის, შენ გაურკვევლობაში იმყოფები –მან თვალები დახუჭა და ნახევრად გაღიმებული აქანავებდა თავს წინ და უკან. ამ ღიმილისთვის ბედნიერის დარქმევა არ შეიძლებოდა –მეგონა, რომ ყველაფერი გასაგებად აგიხსენი. ბელა, მე არ შემიძლია ისეთ სამყაროში ცხოვრება სადაც შენ არ არსებობ.

–მე... თავში ყველაფერი ამომიტივტივდა, ვცდილობდი შესაფერისი სიტყვები შემერჩია –დავიბენი –მე არ მესმოდა მისი სიტყვების აზრი.

მან ღრმად ჩამხედა თვალებში გულრწრფელი, სერიოზული გამომეტყველებით –მე – კარგი მატყუარა ვარ, ბელა.

მე გავშეშდი. კუნთები დამეჭიმა. ნუთუ მართალი ვიყავი, ტკივილისგან ვერ ვსუნთქავდი.

ბეჭზე მომეფერა, რომ დავმშვიდებულიყავი. –ნება მომეცი დავამთავრო! მე – კარგი მატყუარა ვარ, მაგრამ ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მალე დაგეჯერებინა –მას შეაჟრჟოლა –ეს ძალიან მტკივნეული იყო...

მე ისევ გაშეშებული ველოდი.

–როცა ჩვენ ტყეში ვიყავით, როცა გემშვიდობებოდი...

მე ვეწინააღმდგებოდი ამ მოგონებას. მე ვცდილობდი მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი წუთით მეცხოვრა.

–შენ არ გინდოდა ჩემი გაშვება –დაიჩურჩულა მან –მე ვხედავდი ამას. მე არ მინდოდა ესე მოქცევა, ვგრძნობდი, რომ ეს გამანადგურებდა – მაგრამ ვიცოდი, რომ თუ შევძლებდი შენს დარწმუნებას იმაში, რომ აღარ მიყვარდი, შენ გააგრძელებდი ცხოვრებას. ვიმედოვნებდი, რომ თუ შენ იფიქრებდი, რომ მე გავაგრძელე ცხოვრება შენს გარეშე, შენც გააგრძელებდი.

–სრული განშორება –დავიჩურჩულე, ტუჩების გაუნძრევლად.

–ზუსტად. მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამის გაკეთება ესე ადვილი იქნებოდა! ვფიქრობდი, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო – რომ შენ იმდენად დარწმუნებული იქნები საპირისპიროში, რომ მე საათობის განმავლობაში უნდა გატყვილო, რომ ოდნავი ეჭვი მაინც ჩაგისახო. მე გატყუებდი და ისე ვნანობ ამას, რადგან ეს იყო უსაფუძვლო მცდელობა. ვწუხვარ, რომ არ შემეძლო ჩემგან დამეცვა შენი თავი. მე გატყუებდი, რომ გადამერჩინე და ამან გაამართლა. მე ვწუხვარ.
–მაგრამ როგორ დამიჯერე? მას შემდეგ რაც ათასჯერ მითქვამს რომ მიყვარხარ, როგორ დაანგრევინე ერთ სიტყვას ნდობა ჩემში?

მე არ ვპასუხობდი. მე შოკში ვიყავი, რომ პასუხი ჩამომეყალიბებინა.

–მე ვხედავდი შენს თვალებში, რომ შენ მართლა გჯეროდა იმის, რომ მე არ მინდოდა შენთან ყოფნა. ეს ისეთი სასაცილო და აბსურდულია – თითქოს შემიძლია შენს გარეშე არსებობა! – წარმოთქვა მან

მე ისევ გაშეშებული ვიყავი. მისი სიტყვები მიუწვდომელი იყო, რადგან ისინი შეუძლებელნი იყვნენ.
მან ისევ შემანჯღრია ბეჭით, ნელა, მაგრამ საკმარისი იყო რომ კბილები დამერტყა ერთამნეთზე.

–ბელა, -ამოიოხრა მან –შენ მართლა ესე გეგონა!

მე ავტირდი. ცრემლები წამომივიდა და ჩამოცურდა ლოყებზე.

–მე ეს ვიცოდი –ვბღაოდი მე –ვიცოდი, რომ ყველა ოცნება დამენგრა.

–შენ შეუძლებელი ხარ –თქვა და გაიცინა –რა გითხრა, რომ დამიჯერო? შენ არ გძინავს და არ მომკვდარხარ. მე აქ ვარ და მიყვარხარ. მე მუდამ მიყვარდი და მუდამ მეყვარები. მე ვფიქრობდი შენზე, ვხედავდი შენს სახეს, ყოველ წამს, რომ მე შორს ვიყავი. როცა გითხარი, რომ არ მინდა შენთან ყოფნა, ეს ტყუილი ღვთისგმობის ტოლფასი იყო.

მე თავი გავაქნიე, როცა ცრემლები ისევ მოდიოდნენ თვალებიდან.

–ჩემი არ გჯერა ხომ? –დაიჩურჩულა მან და მისი სახე ჩვეულებრივზე მეტად გათეთრდა –რატომ შეგიძლია დაიჯერო ტყული და არა სიმართლე?

–შენთვის არასდროს წარმოადგენდა აზრს ჩემი სიყვარული –ავუხსენი მე და სანამ ვამბობდი ხმა ორჯერ გამიწყდა –მე სულ ვიცოდი ეს.

მან თვალები დააწვრილა და ყბა დაძაბა.

–დაგიმტკიცებ, რომ არ გძინავს –დამპირდა ის.

მან ჩემი სახე აიღო თავისი რკინის ხელებით, ჩემი ბრძოლის მიუხედავათ, რომ თავი გამეწია.

–გთხოვ ნუ იზამ ამას –ვჩურჩულებდი მე

ის შეჩერდა მისი ტუჩები ჩემგან ნახევარ მილიმეტრში გაჩერდა.

–რატომ არა? -მოითხოვა მან. მისი სუნთქვა სახეზე მელამუნებოდა და თავბრუს მახვევდა.

–როცა გავიღვიძებ –მან პირი გააღო რომ შემწინააღმდეგებოდა, მაგრამ მე მაშინვე შევცვალე დასაწყისი –კარგი, დავივიწყოდ, რომ მძინავს – როცა შენ ისევ წახვალ, მე ამის გარეშედაც ძალზე რთულად მექნება მდგომარეობა.

ის ოდნავ გაიწია და მომაჩერდა.

–როცა გეხები, შენ ისეთი... მერყევი, იმდენად ფრთხილი და მაინც ისეთივე ხარ. უნდა ვიცოდე რატომ. იმიტომ, რომ გვიან გამოვჩნდი? იმიტომ, რომ ბევრი ტკივილი მოგაყენე? იმიტომ, რომ შენ ცხოვორების გაგრძელება გინდა, რის მიღწევასაც მაშინ ვცდილობდი? ეს საკმაოდ... სამართლიანი იქნება. მე არ დავაეჭვებ შენს გადაწყვეტილებას. ასე, რომ არ არის საჭირო ჩემი გრძნობების შეცოდება, გთხოვ, უბრალოდ მითხარი, ისევ შეგიძლია გიყვარდე, იმის შემდეგ რაც მოგაყენე. შეგიძლია? –ჩურჩულებდა ედვარდი.

–გიპასუხო ამ იდიოტურ კითხვაზე?

–მიპასუხე. გთხოვ.

მე მოღუშული მივაჩერდი მას –გრძნობა, რომელსაც შენს მიმართ განვიცდი, არასდროს შეიცვლება. რათქმაუნდა, მიყვარხარ და შენ ვერაფერს უზამ ამას!

–ეს ყველაფერია რაც უნდა გამეგო.

შემდგეგ მისმა ტუჩებმა მოახლოება დაიწყეს და მე ვერ შევძელი შეწინააღმდეგება. არა იმიტომ, რომ ის ჩემზე ძლიერი იყო, იმიტომ, რომ ჩემი შეწინააღმდეგების სურვილი გაქრა, როცა ჩვენი ტუჩები შეეხნენ ერთმანეთს. ეს კოცნა არ იყო, ისეთი ფრთხილი როგორც დანარჩენები, რომლებიც მახსოვდა. თუ ისევ ვაპირებდი ჩემი თავისთვის ტკივილის მიყენებას, მე ეს ნამდვილად გამომივიდა. ასე, რომ მეც ვაკოცე, გული გამალებით ფეთქავდა, როცა მე ხელებით ვიკვლევდი მის სახეს. მე შევიგრძენი მისი მარმარილოს ტანი, ჩემის ხეულის ყველა უჯრედით და მე ვიყავი იმდენად მბედნიერი, რომ ედვარდმა არ დამიჯერა და არ შეჩერდა, რადგან არაფერი ამ ქვეყნად, არც გაუსაძლისი ტკივილი არ ამართლებდა, ამ სიამოვნების არ ქონობას. მისი ხელებიც ეფერებოდნენ ჩემს სახეს და როცა მისი ტუჩები ნთავისუფლდებოდნენ, ჩემს სახელს ჩურჩულებდა.
შემდეგ, როცა თავბრუსხვევა ვიგრძენი, ის გაიწია და ყური იქ მომადო სადაც გამალებით მიცემდა გული.
მე გაშტერებული ვიწექი და ველოდი, როდის დამიწყნარდებოდა სუნთქვა.

–მართლა, -თქვა მან თითქოს და სხვათა შორის ტონით –მე არ გტოვებ შენ.

მე გავჩუმდი და მან მგონი გაიგონა სკეპტიციზმი ჩემს დუმილში.

მან თავი ასწია, რომ ჩემს დაჟინებულ მზერას შეხვედროდა –მე არსად არ წავალ. არსად შენს გარეშე –დაამატა უფრო სერიოზულად.
–მე შენ მიგატოვე, პირველ რიგში იმიტომ, რომ შენთვის საშუალება მომეცა ნორმალურად, ბედნიერად, ადამიანურად გეცხოვრა. მე ვხედავდი, რომ ჩემს გვერდით შენ მუდმივ საფრთხეში იყავი, მე მიმყავდი შენ იმ სამყაროდან რომელსაც ეკუთვნოდი, ვრისკავდი შენს სიცოცხლეს ყოველ წამს, როცა ერთად ვიყავით. მე რამე უნდა მეღონადა ვიფიქრე, რომ ერთადერთი გზა იყო, შენი დატოვება და წასვლა. რომ არ მგონებოდა, რომ უსაფრთხოდ გტოვებდი, არ წავიდოდი. მე ეგოისტი ვარ. მხოლოდ შენ – ყველაზე მნიშვნელოვანი ხარ, რაც მინდოდა... რაშიც ვსაჭიროებდი. მე მოთხოვნილება მაქვს შენთან ყოფნისა და მე ვერასდროს ვერ მოვნახავ საკუთარ თავში ძალას, რომ ისევ წავიდე. მე ვერ ვამართლებ დაუნდობელ ზეცას, ამის მოწყობისთვის! შენ არ შგიძლია უსაფრთხოდ ყოფნა, იმის მიუხედავად, რამდენი მილი გვაშორებს.

–ნურაფერს დამპირდები –დავიჩურჩულე მე. თუ თავს დავაიმედებ, ეს კარგს არაფერს მომიტანს... ეს გამანადგურებს. მას შემდეგ რაც ვამპირებმა ვერ შეძლეს ჩემი მოკვლა, იმედი გააკეთებს ამას.

სიბრაზემ გაილვა მის შავ თვალებში –შენ გგონია, რომ გატყუებ?

–არა – ეგრე არა. –მე თავი გავაქნიე, რომ ჩემი აზრი ჩამომეყალიბებინა. თუ ჰიპოტეზა, რომ მას ნამდვილად ვუყვარვარ, ისარივით მოხვდება მიზანში, მიზანი კი სასიკვდილო აღმოჩნდება, ამიტომ არ ვაპირებდი იმედის ხაფანგში ჩავარდნას –შენ შეგიძლია დარწმუნებული იყო ამაში... დღეს. ხოლო რაც შეეხება ხვალინდელ დღეს, როცა, მაგალითად, როცა შენ ისევ დაფიქრდები მიზეზებზე და შეიცვლი გადაწყვეტილებას? ან, შემდეგ თვეში, როცა დავუშვად ჯასპერი ისევ შეეცდება ჩემს მოკვლას?

მას შეაჟრჟოლა.

მე გავიხსენი თითოელი დღე ჩემი ცხოვრებისა, სანამ ის მიმატოვებდა, ვცდილობდი ფილტრიდან დამენახა მის მიერ ნათქვამი მიზეზები. იმ პერსპექტივის დაშვებით, რომ ის ისევ მიმატოვებდა, იმის მიუხედავად, რომ ვუყვარდი, მიმატოვებდა ჩემივე გულისთვის,

მისი დამაფიქრებელი და ცივი დუმილის გაგება სხვადახვანაირად შეიძლებოდა –შენ არ ფიქრობდი ესეთ სიტუაციაზე როცა მაგას ამბობდი, ხომ? –ვივარაუდე მე –შენ დაამთავრებ ამას და მოიქცევი ისე, როგორაც შენი აზრით იქნება სწორი.

–მე არც ესეთი ძლიერი ვარ როგორც გგონია –თქვა მან –სწორია თუ არაა სწორი – ამან ჩემთვის აზრი დაკარგა. ასე თუ ისე მე მაინც დავბრუნდებოდი. სანამ როზალი მეტყოდა საშინელ ამბავს, მე გამუდმებით ვცდილობდი, კიდევ ერთი კვირის გადატანას, რომ მალე გასულიყო შენს გარეშე. მე ვბრძოლობდი, რომ თითოეული საათი გადამეტანა. ჩემს წინ მხოლოდ დროის ფაქტორი იდგა – და არც ისე დიდი – როცა მე ისევ გავჩნდებოდი შენს ფანჯარასთან და გთხოვდი ჩემს უკან მიღებას. მე ბედნიერი ვიქნებოდი ეხლა მეთხოვა ეს, თუ შენ გინდა.

მე სახე დავმანჭე –სერიოზული იყავი, გთხოვ.

–ო, მე სერიოზული ვარ –ეხლა ის მართლა მოითხოვდა –გთხოვ, შეეცადე მოისმინო რასაც ეხლა გეტყვი. ნებას მომცემ აგიხსნა რას ნიშნავ შენ ჩემთვის?

ის იცდიდა, ჩემს სახეზე დაკვირვებით, რომ დარწმუნებულიყო, რომ მართლა ვუსმენდი.

–სანამ შენ გამოჩნდებოდი, ბელა, ჩემი ცხოვრება უმთვარო ღამეს ჰგავდა, ძალიან ბნელს, მაგრამ იშვიათი განათებებით ვარსკვლავების შუქით... და შემდეგ შენ მეტეორივით დაეჯახე ჩემს ცას. უცებ ყველაფერი, თითქოს ცეცხლმა გაანათა. გაჩნდა ბზინვარება, აღმოცენდა სილამაზე. როცა გაქრი, როცა მეტეორი დაეცა, ძირს ჰორიზონტზე, ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა. არაფერი შეცვლილა, მაგრამ ჩემი თვალები დაბრმავდნენ სინათლისგან. მე ვეღარ ვხედავდი ვარსკვლავებს და შემდეგ არაფერიც არ იყო.

მე მინდოდა დამეჯერებინა მისთვის. მაგრამ ის აღწერდა ჩემს ცხოვრებას მის გარეშე და არა პირიქით.

–შენი თვალები შეეჩვევა –ჩავიბუტბუტე მე.

–პრობლემაც ამაშია – არ შეუძლიათ.

–რა, თუ ჭკუიდან შეიშალე?

მან იუმორის გარეშე გაიცინა –მე ჭკუიდან არ შევშლილვარ, ეს ყველაფერი სიყვარულია. არ იყო არანაირი სიგიჟე, იყო მხოლოდ...

ტკივილი. შენთან ერთად ჩემმა გულმა ფეთქვა დაიწყო, თითქმის ოთხმოძდაათი წლის შემდეგ, და ეს არაჩვეულებრივი იყო. მე თითქოს ისევ წამართვეს გული. თითქოს მე ყველაფერი რაც ჩემში იყო, აქ შენთან დავტოვე.

–ეს სასაცილოა –წავიბურტყუნე მე.

მან ერთი, სრულყოფილი წარბი ასწია –სასაცილო?

–მე მეგონა, რომ ჩემზე ლაპარაკობდი, უცნაურია. მეც თითქოს დავკარგე საკუთარი თავი. მე ვერ ვსუნთაქვდი დიდ ხანს –მე ჰაერით ავავსე ჩემი ფილტვები, აღმოჩენით ნასიამოვნები –და ჩემი გული. ისიც დაკარგული იყო.

მან ისევ დახუჭა თვალები და ისევ მოადო ყური ჩემს გულს. თავს უფლება მივეცი ლოყოთ შევხებოდი მის თმებს, შემეგრძნო ჩემი კანით და შემესუნთქა არაჩვეულებრივი არომატი.

–მაშინ დევნა– სიგიჟე არ არის? –ვკითხე ცნობისმოყვარეობით და ცოტა ყურადღების გადასატანად. მაგარმ ამის მცდელობა სისულელე იყო. მე ვერ შევაჩერებდი საკუთარ თავს დიდი ხნით. ჩემი გული ფეთქავდა და მღეროდა მკერდში.

–არა –მან ამოიხვნეშა –ეს არ შეიძლება შეფასდეს როგორც სიგიჟე. ეს მოვალეობაა.

–ანუ?

–ვიქტორიასგან არანაირი საფრთხე, რომ არ ყოფილიყო მოსალოდნელი, მე მაინც არ მივცემდი მას დამალვის საშუალებას... შეიძლება ეს საშინელებაცაა. მე მას ტეხასის შტატმდე ვდიე, მაგრამ როცა მცდარ კვალს გავყევი ბრაზილიაში, ის აქ ჩამოვიდა. –მან ამოიკვნესა –მე კონტინეტზეც არასწორზე ვიყავი! და მუდამ მდგომარეობა უფრო უარესი იყო ვიდრე ჩემი შიშები...

–შენ ბრაზილიაში ვიქტორიაზე ნადირობდი? –მე ცოტა ხმამაღლა წამოვიყვირე.

ჩარლის ხვრინვა დაირღვა მაგრამ შემდგ ისევ ჩადგა რიტმში.

–წარუმატებლად –მიპასუხა ედვარდმა, ჩემი გამომეტყველების შესწავლით –მაგრამ, ამჯერად წარმატებას მოვიპოვებ. ის აღარ დააბინძურებს ჰაერს თავისი სუნთქვით.

–ეს... პასუხია კითხვაზე. –თავის ხელში აყვანა შევძელი. სიგიჟეა. თუნდაც ის ემეტს ან ჯასპერს თხოვს მასთან ერთად წასვლას. თუ ჯასპერიც და ემეტიც ორივე დაეხმარება. ეს იმაზე უარესი იყო რასაც ადრე წარმოვიდგენდი: ჯეიკობ ბლეკი, მდგარი ვიქტორიას ფიგურასთან. მე არ შემეძლო იქ ედვარდის წარმოდგენა, ის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ჩემი ნახევრად ადამიანი საუკეთესო მეგობარი.

–უკვე გვიანაა მისთვის. შეიძლება ცოტა გავწელე დრო, მაგრამ ეხლა არა და არც შემდეგ...

მე ისევ შევაწყვეტინე მას. შევეცადე ხმა დამწყნარებოდა –შენ ეხლალხან დამპირიდი, რომ არსად არ წახვალ? –წარმოვთქვი მე, ბრძოლით რომ ისე წარმომეთქვა როგორაც გული არ მაძლევდა უფლებას –ეს არ ეწყობა დევნის წინადადებას, არა?

ედვარდი მოიღუშა. გულმკერდი ოდნავ აუღელდა –მე შევასრულებ დანაპირებს, ბელა. მაგრამ ვიქტორია –გულის მოძრაობა უფრო შესამჩნევი გახდა –მოკვდება. მალე.

–მოდი ნუ ვიჩქარებთ –ვთქვი მე პანიკის დაფარვით –შეიძლება არ დაბრუნდეს. ჯეიკმა შეაშინა ის. არ არის არანაირი მიზეზი მის საძებნელად წახვიდე. ამის გარდა მე უფრო დიდი პრობლემები მაქვს ვიდრე ვიქტორიაა.

ედვრადმა თავლები დაავიწროვა და თავი დამიქნია –მართალია. მაქციები – დიდი პრობლემაა.

მე ჩავიცინე –მე ჯეიკობზე არ ვლაპარაკობ. ჩემი პრობლემები უფრო დიდია ვიდრე ახალგაზრდა მგლების ხროვა.

ედვრადმა ისე შემომხედა თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და შემდეგ გადაიფიქრა. კბილები ერთმანეთს დააჭირა და ისე ლაპარაკობდა –მართლა? –მკითხა მან –მაშინ, რა არის შენთვის ყველაზე დიდი პრობლემა? რაც ვიქტორიას დაბრუნებას უმნიშვნელოს ხდის?

–უფრო დიდს – ამ დროისთვის? –თავი დავიზღვიე

–კარგი –დამეთანხმა ის ეჭვიანი მზერით.

მე შევყოვნდი. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სახელს წარმოვთქვამდი,. –არიან სხვებიც, რომლებიც მოვლენ ჩემს მოსაძებნად –შევახსენე მე ჩურჩულით.

მან ამოიოხრა, მაგრამ რეაქცია არ იყო ისეთი ძლიერი როგორსაც ველოდი.

–ვოლტური? – შედარებით მნიშვნელოვანია ამ წუთს?

–მგონი შენ არ ჩქარობ ამის უარყოფას –ავღნიშნე მე.

–უბრალოდ, ჩვენ ბევრი დრო გვექნება ყველაფრის მოსაფიქრებლად. მათთვის დროის განსაზღვრა განსხვავდება, შენისგან და ჩემისგანაც კი. ისინი ითვლიან წლებს, როგორც შენ დღეებს. არ გამიკვირდება 30 წელი შეგისრულდეს, სანამ ისევ გაიხსენებენ შენზე. –რბილად დაამატა მან.

შიშმა დამიარა მთელს ტანში.
ოცდაათი.
ბოლოს, მისი დაპირება მაინც არაფერს ნიშნავდა. თუ მე ოდესმე ავღნიშნავ ოცდაათი წლის იუბილეს, მაშინ ის არ გეგმავს ჩემთან დიდი ხნით დარჩენას. მწვავე ტკივილმა გამაგებინა, რომ ტყუილად დავიმედდი.

–შენ არ უნდა გეშინოდეს –თქვა მან, რადაგნ ისევ დაინახა რომ თვალები ცრემლებით ამევსო –მე არ მივცემ მათ უფლებას რამე დაგიშავონ.

–იმ დროისთვის როცა აქ ხარ –მე არ ვაპირებდი საკუთარ თავზე ზრუნვას, თუ ის წავიდოდა.

მან მოათავსა ჩემი სახე, ორ ქვასავით ხელს შორის, როცა მისი შუაღამესავით თვალები, გრავიტაციული ველივით მიზიდავდნენ –მე აღარასოდეს მიგატოვებ.

–მაგრამ, შენ ოცდაათი თქვი –დავიჩურჩულე მე. ცრემლები ლოყებზე ჩამოსასვლელათ ემზადებოდნენ –როგორ? შენ აპირებ დარჩენას, მაგრამ დამაბერებ მე? მართლა.

მისი თვალები დათბა, როცა ტუჩები დაეძაბა –ეს ერთადერთია რისი გაკეთებაც შემიძლია. რა არჩევანი მაქვს? მე არ შემიძლია შენს გარეშე არსებობა, მაგრამ მე არ დავღუპავ შენს სულს.

–მაგრამ არის კი ეს ნამდვილად... –მე დავფიქრდი, მაგრამ ეს კითხვა ძალზე რთული იყო. მე მახსოვდა მისი სახე, როდესაც არო თითქმის თხოვდა ჩემს უკვდავად გადაქცევას. მტკივნეული გამოხედვა. ის ნამდვილად ჩემს სულზე ღელავდა, თუ, ის არ იყო ბოლომდე

დარწმუნებული, იმაში რომ მას უნდოდა სამუდამოდ ვყოფილიყავი მასთან?

–ხო? –მკითხა ჩემი შეკითხვის მოლოდინში.

მე ვკითხე რაც შეიძლება გულგრილი ხმით, მაგრამ ეს ცუდად გამომივიდა.

–მაგრა, რა იქნება მაშინ, როცა მე ისე დავბერდები, რომ ხალხი იფიქრებს, რომ დედაშენი ვარ? ბებიაშენი? –ჩემი ხმა ცივი იყო ზიზღისგან, მე ისევ დავინახე ბებიას სახე სიზმრიდან.

ედვარდის სახე ნაზი გახდა. მან ცრემლები ლოყებზე ტუჩებით შემიშრო –ეს არაფერს ნიშნავს ჩემთვის –მე კანზე ვგრძნობდი სუნთქვას –შენ მუდამ ყველაზე ლამაზი იქნები ჩემს სამყაროში. რათქმაუნდა... –ის შეყოვნდა და შეაჟრჟოლა –თუ შენ ჩემზე უფროსი გახდები, თუ შენ რამე სხვას მოინდომებ – მე ამას გავიგებ, ბელა. გპირდები, რომ არასდროს გადაგიდგები გზაზე თუ ჩემს მიტოვებას გადაწყვეტ.

მისი თვალები სრულიად გულრწფელი იყო. ის ისე ლაპარაკობდა თითქოს ბევრჯერ ჰქონდა ამაზე ნაფიქრი.

–შენ მართლა გესმის, რომ მე ბოლოს მაინც მოვკვდები? –მომთხოვნად წარმოვთქვი მე.

მას ამაზეც ქონდა ნაფიქრი –მეც უკან გამოგყვები, როგორც კი შევძლებ.

–შენ სერიოზული... –მე სიტყვას ვეძებდი –ავადმყოფი ხარ.

–ბელა, ეს ერთადერთი სწორი გზაა.

–მოდი ცოტა დავფიქრდეთ –ვთქვი მე. სიბრაზე მიწმენდდა გონებას –შენ გახსოვს რა თქვეს ვოლტურებმა? მე არ შემიძლია ადამიანად დავრჩე. ისინი მომკლავენ. თუ ისინი, არ იფიქრებენ ჩემზე მაშინაც როცა ოცდაათის ვიქნები –მე ვჩურჩულებდი ბოლო სიტყვის წარმოთქმისას –მართლა გგონია, რომ დაავიწყდებათ?

–არა, -მან ნელა მიპასუხათავის ქნევით –ისინი არ დაივიწყებენ. მაგრამ...

–მაგრამ?

მან ჩაიცინა და მე აღელვებული მივაჩერდი. შეიძლება, მე არ ვიყავი ერთადერთი შეშლილი.

–მე რამოდენიმე გეგმა მაქვს.

–და ეს გეგმები –ვთქვი რაც შეიძლება მწარე ხმით –ეს გეგმები ყველა, ჩემს ადამიანად დარჩენისკენ მიდის.

ჩემმა სიტყვებმა გააძლიერეს მისი რწმენა –რათქმაუნდა. –მისი ტონი უბრალო იყო, მისი ღვთიური სახე კი მედიდური.

ჩვენ გაურკვევლად ვუყურებდით ერთმანეთს რამოდენიმე წუთი. შემდეგ მე ამოვიხვნეშე, ბეჭები გავმართე და გავწიე მისი ხელები ისე, რომ წამოვმჯდარიყავი.

–გინდა, რომ წავიდე? –მკითხა მან და აიძულა ჩემს გულს გამალებით დაეყო ფეთქვა, რადაგან დავინახე, რომ ეს აზრი მას ტკივილს აყენებდა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა გრძნობების დამალვას.

–არა –ვუთხარი მე –მე მივდივარ.

ის საეჭვოდ მადევნებდა თვალს, როცა ლოგინიდან წამოვდექი და მის ირგვლივ ვტრიალებდი ბნელ ოთახში, ფეხსაცმელების ძებნით.

–შეიძლება გავიგო სად გინდა წასვლა? -იკითხა მან.

– მე შენს სახლში მივდივარ –ვუთხარი ისევ ბრმასავით ბოდიალში.

ის ადგა და ჩემსკენ გადმოვიდა –აი, შენი ფეხსაცმელები. როგორ აპირებ იქამდე მისვლას?

–ჩემი პიკაპით.

–ეს ჩარლის გააღვიძბეს –თქვა მან ჩემს შესაშინებლად.

მე მოვიხვნეშე –ვიცი. მაგრამ სინამდვილეში, მე თავს კიდევ დიდხანს ვიგრძნობ დამნაშავედ, იმისთვის რაც გავაკეთე. კიდევ რამდენ უსიამოვნებას მივაყენებ მაას?

–არცერთს. ის მე დამადანაშაულებს და არა შენ.

–თუ უკეთესი აზრი გაქვს – მთელი ყურადღებით გისმენ.

–სახლში დარჩი –შემომთავაზა მან, მაგრამ მისი გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ ამის იმედი არ ქონდა.

–არ გამოვა. შენ პირველი წხვალ და სახლში დამელოდები – ვუბრძანე მე და გამიკვირდა როგორ გაისმა ჩემი სიტყვები ჰაერში, და კარებისკენ გავემართე.

ედვარდი წინ გადამეღობა.
მე მოვიღუშე და ფანჯრისკენ შევბრუნდი. არც ისე მაღალია, თან ქვემოდ ბალახი იზრდება...

–კარგი, -ამოიხვნეშა მან –მე წაგიყვან.

მე ბეჭები ავიჩეჩე –როგორც გინდა. ალბათ შენც უნდა იყო იქ.

–და რატომ?

–რადგან შენ უჩვეულოდ თავდაჯერებული ხარ, დარწმუნებული ვარ, მოგინდება ქარმა მაინც გაიქროლოს შენს აზრებში.

–ჩემი აზრები, რასთან დაკავშირებით? –მკითხა კბილებიდან.

–ამჯერად შენზე არა. შენ – სამყაროს ცენტრი არ ხარ, შენ იცი ეს. –ჩემი სამყარო რათქმაუნდა სულ სხვა ისტორია იყო –თუ შენ აპირებ ვოლტურებთან ბრძოლას, რომლის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ადამიანად დატოვებაა, მაშინ შენს ოჯახსაც უნდა ჰქონდეს მოსაზრება.

–მოსაზრება რაზე? –იკითხა თითოეული სიტყვის გამოყოფით.

–ჩემს მოკვდავობაზე. ეს საკითხი კენჭისყრაზე გამაქვს.

თავი ოცდამეოთხე

კენჭისყრა

ის უკმაყოფილო იყო ამ სიტუაციით, ეს ადვილად იკითხებოდა მის სახეზე. მაგრამ, ყველანაირი კამათის გარეშე, ამიყვანა ხელში და მოქნილად გადახტა ჩემი ფანჯრიდან, კატასავით, ოდნავი ბიძგის გარეშე დაეშვა.

–კარგი, მაშინ –თქვა მან აშკარა გამკიცხავი ხმით –წავიდეთ.

დამეხმარა, რომ ზურგზე მოვჯდომოდი და გაიქცა. მთელი გასული დროსი მიუხედავად, ეს ჩვეულებრივად მეჩვენებოდა. ადვილად. ალბათ, ეს ისეთი რამ იყო, რასაც ვერასდროს დაივიწყებთ თუ ერთხელ მაინც გამოცდით.
სიჩუმე და სიბნელე იყო ტყეში, როცა ედვრადი მიჰქროდა ხეებში, მისი სუნთქვა თანაბრი და მშვიდი იყო, ხოლო ხეები თითქმის უჩინარნი იყვნენ ჩვენს ირგვლივ, მხოლოდ ქარი, რომელიც სახეში მხვდებოდა, მაძლევდა წარმოდგენას იმ უაზრო სიჩქარეზე, როგორითაც მივქროდით. ჰაერი ნესტიანი იყო, მაგრამ თვალები არ მეწვოდა, ქარს არ ჰქონდა საკმარისი ადგილი, რომ დიდზე ექროლა და ეს მამშვიდებდა. ღამე გამეფთა, როგორც სქელი შავი საფარი, მე თავს, პატარა ბავშვად ვგრძნობდი, დაცულად უცნობ ადგილზე. მახსოვდა, რომ ესეთი გაქცევები ტყეში მაშინებდა და სულ ვხუჭავდი თვალებს. ეხლა ეს სულელეურ რეაქციად მეჩვენებოდა. ეხლა, თვალები ფართოდ მქონდა გახელილი, ნიკაპი მის ბეჭზე, ლოყა კი მის კისერზე მედო. სიჩქარე ამაღლვებელი, მოტოციკლზე ათასჯერ უკეთესი იყო.
მე მივიწიე და ვაკოცე მის ქვასავით ცივ ყელს.

–მადლობა –თქვა მან, ჩვენს გვერდით მიჰქროდენ ხეების ჩრდილები –ეს იმას ნიშნავს, რომ მიხვდი, რომ აღარ გძინავს?

მე გავიცინე. სიცილი მსუბუქად და ბუნებრივად ისმოდა. –მთლად არა. უბრალოდ არ მინდა გამოღვიძება. არა ამ ღამით.

–მე დავიბრუნებ შენს ნდობას –წაიბუტბუტა მან, რათქმაუნდა თავისი თავისთვის. –თუ ეს – ჩემი ბოლო შანსია.

–მე მჯერა შენი –დავარწმუნე მე –საქმე ჩემშია, მე ჩემს თავს ვერ ვენდობი.

–გთხოვ, ამიხსენი, ეს როგორ?

ის შეჩერდა და ჩვეულებრივი ნაბიჯებით განაგრძო სვლა, ქარი შეწყდა – და მე მივხვდი, რომ უკვე ახლოს ვართ სახლთან. ჩემამდე მოდიოდა, მძვინვარე მდინარის ხმა, სადღაც სიბნელიდან.

–კარგი... –მე მთელი ძალით ვცდილობდი აზრი გადმომეცა. –მე არ ვენდობი საკუთარ თავს, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ვარ... შენი ღირსი. დაგისმახურო შენ. არაფერი არ არის ჩემში რაც შენ ჩემთან გაგაჩერებს.

ის გაჩერდა და ჩამომსვა ზურგიდან. მისმა ნაზმა ხელებმა არ გამანთავისუფლეს. ძირს, რომ დამსვა, ედვარდმა ხელები მომხვია და მაგრად მიმიკრა გულზე.

–და რატომ ხარ ეგეთი ჯიუტი –დაიჩურჩულა მან –არასდროს შეგეპაროს ეჭვი საკუთარ თავში.

მაგრამ როგორ შემეძლო არ შემპარვოდა ეჭვი?

–მაინც არ გითქვამს... –წაიბუტბუტა მან.

–რა?

–რა არის შენი ყველაზე დიდი პრობლემა.

–ერთ მინიშნებას მოქცემ –მე ამოვიხვნეშე და თითით შევეხე მისი ცხვირის წვერს.

მან თავი დამიქნია –მე, ვოლტურებზე უარესი ვარ –თქვა დაღვრემილმა –ვფიქრობ, რომ მე დავიმსახურე ეს.

მე თვალები გადავატრიალე –ყველაზე საშინელება, რაც ვოლტურებს შეუძლიათ გააკეთონ ჩემი მოკვლაა.

ედვარდი მელოდა დაძაბული მზერით.

–შენ შეგიძლია მიმატოვო –ავუხსენი მე –ვოლტურები, ვიქტორია... ისინი არაფერია ამასთან შედარებით.

სიბნელეშიც დავინახე, რომ სახეზე ტკივილი გამოეხატა – ამან გამახსენა, მისი სახე, როდესაც მას ჯეინი აწამებდა. თავი საშინლად ვიგრძენი და ვინანე, რომ ვუთხარი სიმართლე.

–არ გინდა –დავუჩურჩულე, მის სახეზე შეხებით –ნუ მოიწყინო.

ის გაღიმებას შეეცადა, მაგრამ ღიმილი არ შეხებია მის თვალებს –მხოლოდ ერთი გზა არსებობს შენს დასარწმუნებლად იმაში, რომ არ მიგატოვებ –დაიჩურჩულა მან –ერთადერთი რაც დაგარწმუნებს - ეს დროა.

მე მომეწონა იდეა დროზე –კარგი –დავეთანხმე მე.

სახეზე ისევ ტკივილი ჰქონდა. შევეცადე გამერთო ის არარსებულზე ლაპარაკით.

–ესე იგი, რადგან რჩები. შემიძლია უკან მივიღო შენი ნაჩუქარი ნივთები? –ვკითხე მხიარული ხმით.

ამან გაამართლა: ედვარდმა გაიცინა. მაგრამ თვალებმა ისევ შეინარჩუნეს, სევდა. –შენი ნივთები არსად არ გამქრალან –მითხრა მან –ვიცოდი, რომ ეს არასწორი იყო, რადგამ მე შეგპირდი სამყაროს ჩემს გარეშე. ეს სულელური და ბავშვურიც იყო, მაგრამ მინდოდა, რამე ჩემი დამეტოვებინა. კომპაკთ-დისკი, სურათები, ბილეთები – ყველაფერი შენს თაროებზეა.

–მართლა?

მან თავი დამიქნია, ცოტათი გამხნევებულმა ჩემი ნასიამოვნები რეაქციით ამ ფაქტზე. მაგრამ ესეც არ კმაროდა, რომ ტკივილი მისი სახიდან ბოლომდე წასულიყო.

–მგონი –ვთქვი მე ნელა –დარწმუნებული არ ვარ... ვფიქრობ, რომ შეიძლება, ვიცოდი ეს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

–რა იცოდი?

მე მხოლოდ ტკივილის მოხსნა მინდოდა მისთვის, მაგრამ ჩემი სიტყვები იმაზე მტკიცედ ისმდოდა ვიდრე ველოდი.

–რაღაც ნაწილი ჩემი, ალაბთ, ქვეცნობიერება, არასდროს დაეჭვებულა იმაში, რომ შენ ისევ ზრუნავ ჩემზე. ალბათ ამიტომაც მესმოდა ხმები.
უცებ სიჩუმე ჩამოდგა.

–ხმები? –მკითხა კატეგორიულად.

–კარგი, მხოლოდ ერთი ხმა. თქვენი. ეს, გრძელი ისტორიაა. –მისმა სახემ დამაფიქრა, გამეგრძელებინა თუ არა. შეიძლება იფიქროს, რომ

ჭკუიდან შევიშალე, ან სხვა რა უნდა ეფიქრა? მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ტკივლი რომელიც შიგნიდა წვავდა, გაუქრა.

–გელოდები –მისი ხმა არაბუნებრივად ისმოდა.

–ძალიან ვღელავ.

ის მელოდა.

არ ვიცოდი როგორ ამეხსნა –გახსოვს, ელისის ნათქვამი, რომ მე სპორტული შეჯიბრებებისთვის ვემზადებოდი?

მან სიტყვები გამომეტყველების გარეშე წარმოთქვა –კლდიდან, მძაფრი შეგრძნებების გამო გადმოხტი.

–მართალი ხარ. და მანამდე მოტოციკლზე...

–მოტოციკლი? –მკითხა მან.

–ვფიქრობ, ეს ელისისთვის არ მომიყოლია.

–არა.

–კარგი, ხმაზე... იცი, მე აღმოვაჩინე, რომ... თუ მე ვაკეთებედი რაიმე საშიშს... მე უფრო კარგად გიხსენებდი შენ –ვაღიარე და თავს გონებაშეზღუდულად ვგრძნობდი. –შემეძლო გამეხსენებინა შენი ხმა, როდესაც გაბრაზებული ხარ. შემეძლო გამეგონა, თითქოს ჩემს გვერდით იყავი. ჩვეულებრივ ვცდილობდი არ მეფიქრა შენზე, მაგრამ ჩემი ქმედებები არ მაყენებდნენ ზიანს, თითქოს მიცავდი შენ. ისევე როგორც შენ, მე არ მინდოდა ტრავმები მქონოდა.
–და იქნებ, საქმე ჩემს გონებაშია. მე შემეძლო გამეგონა შენი ხმა ესე ცხადად, რადგან ვიცოდი, რომ მე შენთვის სულერთი არა ვარ. მუდამ ვიცოდი, რომ არასდროს შეგიწყვიტავს ჩემი სიყვარული.

თითქოს სიტყვები, რომლებიც მე წარმოვთქვი დარწმუნებითი მოქმედება გააჩნდათ. სამართლიანია. მე ვაღიარებდი სიმართლეს, რომელზეც ადრე ფიქრიც არ მინდოდა.

ედვარდის ხმა ნახევრად განადგურებულად გაისმა –შენ ჩაიდინე... სიცოცხლეს წირავდი, რომ გაგეგონა...

–ჩუუუ –შევაწყვეტინე მე –მოიცა ერთ წუთს. მგონი მივხვდი პასუხს.

მე გავიხსენე ის დამე, პორტ ანჯელესში, როდესაც პირველი ჰალუცინაცია გამიჩნდა. მე ვიფიქრე, რომ ამას, ორი ახსნა ჰქონდა. სიგიჟე ან სურვილის ასრულება. მე ვერ ვხედავდი მესამე დასკვნას. რა, თუ...
რა, თუ თქვენ გულწრფელად მიიჩნევთ, რადაცას სიმართლედ, მაგრამ ცდებით? რა, თუ თქვენ იყავით ჯიუტი და დარწმუნებული, რომ მართალი ხართ და არც გინდოდათ სხვა ვარიანტების განხილვა, რომლებიც ნამდვილი სიმართლე ყოფილა? აიძულებდით სიმართლეს გაჩუმებას, თუ ის მაინც ეცდებოდა სააშკარაოზე გამოსვლას?
მესამე დასკვნა: ედვარდს ვუყვარდი. კავშირს ჩვენს შორის ვერ გაწყვიდავდა, ვერც სიშორე, ვერც დრო. და მიუხედავად იმისა, რამდენად კარგი, ან ლამაზი, ან შეუდარებელი, ან სრულყოფილი იყო ის ჩემთან შედარებით – ის ჩემთან იყო დაკავშირებული, ისევე როგორც მე მასთან. მე მუდამ ვეკუთვნოდი მას, ის კი, მეკუთვნოდა მე.
ამის თქმა უნდოდა ჩემს ქვეცნობიერებას?

–ო!

–ბელა?

–ო. კარგი. მე მივხვდი.

–შენი პასუხია? –მკითხა მან, მისი ხმა აღელვებული იყო.

–შენ მე გიყვარვარ –ჩემთვის ეს აღმოჩენა სასწაულს ნიშნავდა. ისევ ჩაისახა ჩემში ეს აზრი.

მისი თვალები ისევ დაძაბული იყო, მაგრამ ღიმილი რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა, გამოისახა მის სახეზე –რათქმაუნდა, მე მიყვარხარ.

ჩემი გული, მზად იყო ამომხტარიყო საგულედან, ყელის ისე ამეწვა ვერ ვლაპარაკობდი.
მას მართლა უნდოდა ჩემთან ყოფნა, სამუდამოდ, ისევე როგორც მე. მხოლოდ, ამას ჩემს სულზე შიში ამოძრავებდა, რომ მე არ დამეკარგა ადამიანობა, და იმდენად დიდი იყო ამის სურვილი, მზად იყო მოკვდავად დავეტოვებინე. საშიშროება რაც იმისგან მემუქრებოდა, რომ ის ჩემს გვერდით იყო, სულის გარეშე დარჩენის საშიშროება არაფრად მემჩვენებოდა.
მან მაგრად მომიჭირა სახეზე თავისი ცივი ხელები და მაკოცა, სანამ თავბრუსხვევა არ ვიგრძენი და ტყე არ დატრიალდა ჩემს ირგვლივ.

მაშინ, ის შუბლეზე მომეყრდნო და მე არ ვიყავი ერთადერთი ვინც მძიმედ სუნთქავდა.

–იცი, შენ უკეთესად გაუმკლავდი ამას ვიდრე მე. –მითხრა მან.

–უკეთესად რაას?

–საკუთარ თავთან მორევას. შენ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდი რაიმეს გაკეთებას. დგებოდი დილას, ახერხებდი ყოფილიყავი ნორმალური ჩარლისთვის, ცდილობდი ნორმალურად გეცხოვრა. როცა ვიქტორიას ღევნით არ ვიყავი დაკავებული, მე... ყველანაირად უსარგებლო ვიყავი. არ შემეძლო ვყოფილიყავი ჩემი ოჯახის გვერდით, საერთოდ არავისთან. მე მრცხვენია, როცა ვაღიარებ, რომ ვიწექი და უფლებას ვაძლევდი ტანჯვას მოვეცვი მთლიანად. –მან ჩაიცინა –ეს უფრო ამაღელვებელი იყო ვიდრე ხმების გაგონება. და იცი, რომ მეც მესმის ხმები.

დავმშვიდდი როცა მივხვდი, რომ ეს მას არ აკვირვებდა. ყოველ შემთხვევაში ის არ მიყურებდა, როგორც გიჟს. ის მიყურებდა და მე ვხედავდი მის თვალებში... მას ვუყვარდი მე.

–მე მხოლოდ ერთი ხმა მესმოდა –შევუსწორე.

ედვარდმა გაიცინა და წინ წამიყვანა.

–მე უბრალოდ გავიხუმრე –ჩვენ მივდიდოდით და ის ტოტებს მაშორებდა სახიდან სიბნელეში.

შორს რაღაც თეთრი და უზარმაზარი გამოჩნდა – სახლი, როგორც მივხვდი.

–მნიშველობა არ აქვს რას იტყვიან, ეხლა ეს მათაც ეხებათ.

ედვარდმა ბეჭები აიჩეჩა.
მან შემიყვანა წინა კარებიდან ბნელ სახლში და შუქი აანთო. მისაღები ოთახი, ისევ ისეთი იყო როგორიც მახსოვდა, როიალი, თეთრი სავარძლები და დიდი კიბე. არანაირი მტვერი.

ედვარდმა ოჯახის წევრებს სახელებით დაუძახა, ყოველგვარი ენთუზიზმის გარეშე –კარლაილ? ესმი? როზალი? ემეტ? ჯასპერ? ელის? –ისინი გაიგონებდნენ.

მოულოდნელად ჩემთან კარლაილი გაჩნდა, თითქოს მთელი ეს დრო აქ იდგა –ისევ მიხარია შენი ნახვა, ბელა. –მან გაიღიმა –რა

შეგვიძლია ამ დილით გავაკეთოთ შენთვის? ვფიქრობ, რომ ესეთ დროს უბრალოდ ჩვენს სანახავად არ მოხვიდოდი.

მე თავი დავუქნიე –მინდა ყველას დაგელაპარაკოდ. მნიშვნელოვან თემაზე.

ვერ შევიკავე თავი, რომ ედვარდისთვის არ შემეხედა, როცა ვლაპარაკობდი. მისი გამომეტყველება არაფერ კარგს არ გამოხატავდა. როცა ისევ კარლაილს შევხედე, ისიც ისევე უყურებდა ედვარდს.

–რათქმაუნდა –თქვა კარლაილმა –სხვა ადგილზე ხომ არ დაგველაპარაკა?

კარლაილი წინ გაგვიძღვა, სასადილო ოთახში შეგვიყვანა და შუქი აანთო. მე დავინახე ნათელი კედლები მაღალი ჭერით, ისევე როგორც მისაღებში. ოთახის ცენტრში, გრძელი ჭაღის ქვეშ, იდგა გაპრიალებული ოვალური მაგიდა, გარშემო შემოწყობილი რვა სკამით. კარლაილმა მაგიდის თავში გამომიწია სკამი.
მე არასდროს მინახავს, რომ კალენებს მაგიდა გამოეყენებიათ. ისინი სახლში არ ჭამდნენ.
როცა მოვტრიალდი, რომ ლაპარაკი დამეწყო, ჩვენ მარტონი არ ვიყავით. ესმი ედვარდის უკან იყო და მას დანარჩენი ოჯახიც მოჰყვებოდა.

კარლაილი მარცხნიდან დამიჯდა, ედვარდი მარჯვნივ. ყველანი ჩუმად ჯდებოდნენ. ელისმა გამიღიმა. ემეტი და ჯასპერი ცნობისმოყვარედ გამოიყურებოდნენ. როზალი კი უხერხულად მიღიმოდა. ჩემი საპასუხო ღიმილი ისეთივე მორიდებული იყო. მე მომიწევს ამასთან შეგუება...

კარლაილმა თავი დამიკრა –შენი სიტყვა.

მე ნერწყვი გადავყლაპე. მათმა დაჟინებულმა მზერამ იფრო აღმაგზნო. ედვარდმა შეუმჩნევლად მომკიდა მაგიდის ქვეშ ხელი. მე მას შევხედე მაგრამ ის სხვებს უყურებდა.

–კარგი. –მე შევჩერდი –ალბათ, ელისმა უკვე მოგიყვათ რაც მოხდა ვოლტერაში.

–ყველაფერი –დამარწმუნა ელისმა.

მე მას მნიშვნეოვნად შევხედე –ისიც, როგორ ჩავდიოდით?

–ეგეც –თავი დამიქნია.

–კარგი, -მე შვებით ამოვისუნთქე –მაშინ ყველა საქმის ყურშია.

ისინი მოთმინებით მელოდნენ, სანამ აზრს დავაწყობდი.

–ესე იგი, მე პრობლემები მაქვს. ელისი ვოლტურებს შეჰპირდა, რომ მე ერთერთი თქვენგანი გავხდები. ისინი ვიღაცის გამოგზავნას აპირებენ, რომ შეამოწმონ და ვიცი, რომ ეს გარდაუვალი იქნება. ეხლა ეს ყველას თქვენგანს გეხებათ. ძალიან ვწუხვარ ამაზე. –მე ყველას, ლამაზ სახეს შევხედე და ყველაზე ძვირფასი ბოლოს მოვიტოვე. ედვარდის ტუჩები სიბრაზისგან იკლაკნებოდა. –მაგრამ თუ თქვენ არ გინდათ ჩემი მიღება, მე არ დავიჟინებ, იმისდა მიუხედავად ენდომება ეს ელისს თუ, არა.
ესმიმ სალაპარაკოდ გააღო პირი, მაგრამ თითი ავწიე მის გასაჩერებლად.
–გთხოვთ ნება მომეცით დავამთავრო. ყველამ იცით რაც მინდა. და დარწმუნებული ვარ იცით, რას ფიქრობს ამაზე დვარდი. ვფიქრობ ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტა ამ პრობლემის არის, თქვენი ხმის მიცემა. თუ გადაწყვეტთ, რომ არ გინდებვართ, მაშინ... უკეთესი იქნება მარტო წავიდე იტალიაში. ვერ დავუშვებ, რომ აქ ჩამოვიდნენ.
–ტანში ჟრუანტელმა დამიარა ეს რომ გავიფიქრე.

ედვარდის მკერდიდან ღრენა გაისმა. მე ყურადღება არ მივაქციე.

–ისიც გაითვალისწინეთ, რომ მე არცერთ თქვენგანს არ შევუქმნი საფრთხეს და არ წავიყვან თან.
მინდა, რომ ხმა მისცეთ – კი ან არა, ჩემს ვამპირად გახდომაზე.

მე გავიღიმე ბოლო სიტყვაზე და კარლაილს ვანიშნე, რომ დაეწყო.

–ერთი წუთით –შეაწყვეტინა ედვარდმა.

მე დაწვრილებული თვალებით შევხედე. მან წარბები ასწი ჩემზე ყურებით და ჩემი ხელის სრესით.

–რაღაც მინდა დავამატო, სანამ ხმას მივცემთ.

მე ამოვიოხრე.

–საშიშროება, რომელიც ბელას ემუქრება, არამგონია რომ ძალიან სანერვიულოა.

მისი გამომეტყველება უფრო გამოცოცხლდა. თავისუფალი ხელი მაგიდაზე დადო და წინ გადაიწია.

–იცით, რომ –დაიწყო მან, მაგიდის ირგვლივ თვალის მოვლებით –იყო მიზეზი, რატომაც არ მინდოდა, ბოლოს, აროსთვის ხელის ჩამორთმევა. არის რაღაც რაც მათ არ უფიქრიათ და არ მინდოდა მათთვის ამის დემონსტრირება. –მან ჩაიცინა.

–რა არის? –აჩქარებდა ელისი. ვიცოდი, რომ ჩემი გამომეტყველება ისეთივე სკეპტიკური იყო როგორც მისი.

–ვოლტურები ძალზე თვითდაჯერებულნი არიან და არა უმიზეზოდ. როდესაც ვინმეს მოძებნა სურთ მათთვის, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. დემეტრი გახსოვს? –მან მე შემომხედა.

მე შემაჟრჟოლა და ეს დადებით პასუხად მიიღო.

–ის ხალხს პოულობს – ეს მისი ნიჭია და ამიტომაც ყავთ ის ვოლტურებს.
–მთელი ის დრო რაც მათთან ვიყავით, მე ვიგებდი მათ შესაძლებლობებს, რომ რამეს მაინც მოვჭიდებოდი რაც გადაგვარჩენდა. ასე, რომ მე მოვასწარი გამეგო, როგორ მუშაობს დემეტრის ნიჭი. ის ჯაშუშია ჯაშუშთა შორის და ათასჯერ ნიჭიერი ვიდრე სხვა. მისი შესაძლებლობა არაფრით ჩამოუვარდება ჩემსას ან აროსას.
ის იჭერს... არომატს? არ ვიცი, როგორ აგიხსნათ ეს... ხმა... ვიღაცის აზრები და შემდეგ ის მიჰყვება მათ. ეს ძალიან დიდ მანძილზე მუშაობს.
–მაგრამ მას შემდეგ რაც არომ პატარა ექსპერიმენტები ჩაატარა... –ედვარდმა ბეჭები აიჩეჩა.

–ფიქრობ, რომ ის ვერ მომძებნის მე –კატეგორიულად დავასრულე.

ედვარდმა თვითკმაყოფილი სახით შემომხედა –დარწმუნებული ვარ. ისინი თავიანთ ნიჭს ეყრდნობიან. თუ მათი შესაძლებლობები შენზე არ მოქმედებენ, ისინი როგორც ბრმები ისე არიან, ვერ მოგძებნიან.

–და, რას გვაძლევს ეს?

–ეს ნათელია, ელისი გვეტყვის, როდის დააპირებენ ჩამოსვლას და მე გადაგმალავ. ისინი უძლურნი იქნებიან. –თქვა აუტანელი სიამოვნებით –ეს, თივაში ნემსის ძებნას, დაემსგავსება.

ის და ემეტი თვალებით შეხვდნენ ერთმანეთს და გიღიმეს.

ამას აზრი არ ქონდა –მაგრამ მათ შეუძლიათ შენ მოგძებნონ – შევახსენე მე.

–მე შევძლებ საკუთარი თავის დაცვას.

ემეტმა გაიცინა და მუჭი გამოსწია ძმისკენ –შესანიშნავი გეგმაა, ძმაო –თქვა მან ენთუზიზმით.

ედვარდმაც გასწია მუჭი და ერთმანეთს მიარტყეს, იმის ნიშნად, რომ ყველაფერი კარგადაა.

–არა –დაიჩურჩულა როზალიმ.

–აბსოლუტურად არა –დავეთანხმე მე.

–კარგი –ჯასპერის ხმა მადლობად გაისმა.

ესმიმ, მხოლოდ მიაჩერდა ედვარდს.

მე სკამზე გავწორდი და გონება მოვიკრიბე. შეხვედრა ჩემი იყო.

–კარგი. ედვარდმა სხვა გზა შემოგთავაზათ. –ცივად ვთქვი მე –მოდით კენჭი ვყაროთ.

ამჯერად, პირველად ედვარდს მივმართე. უკეთესი იქნებოდა მისი პასუხი მაშინვე მიმეღო –გინდა, რომ თქვენს ოჯახს შემოვუერთდე?

მისი თვალები ქვასავით მაგარი და შავი იყო –ამ გზით არა. შენ ადამიანად დარჩები.

მე თავი დავუქნიე, საქმიანი გამომეტყველებით და გავგრძელე.

–ელის?

–კი.

–ჯასპერ?

–კი –თქვა მან ყრუ ხმით. მე გაკვირვებული ვიყავი, არ ველოდი მის ხმას, მაგრამ ემოციები დავძლიე და გავაგრძელე.

–როზალი?

ის ყოყმანებდა, თავისი სრულყოფილ, მთლიან ტუჩზე კბენით –არა.

მე წარბები შევყარე და თავი გადავხარე გასაგრძელებლად, მაგრამ როზალიმ ხელები გამომიწოდა.

–ნება მომეცი აგიხსნა –შემევედრა ის –ამით არ მინდა იმის თქმა, რომ ჩემთვის საზიზღარი პერსპექტივაა, რომ შენ ჩემი და გახდე. უბრალოდ...ეს – ცხოვრება არ არის, მე არ ავირჩევდი ამას ჩემთვის.

მე თავი დავუქნიე და ემეტს მივმართე.

–ჯანდაბა, არა! –მან ჩაიცინა –მოვძებნით გზას, მაგ დემეტრისთან ბრძოლის მოსაგებად.

ამ პასუხისგან უკმაყოფილო გამომეტყველება მივიღე და ესმის შევუბრუნდი.

–კი, რათქმაუნდა, ბელა. შენ ჩემთვის უკვე ოჯახის წევრი ხარ.

–მადლობა, ესმი –წავიბუტბუტე მე და კარლაილს მივმართე.

უცებ ავღელდი, რადგან ვინანე, რომ კარლაილს არ ვკითხე პირველად. ვიცოდი, რომ მისი ხმა ყველაზე წონიანი იყო სხვებთან შედარებით.
კარლაილი მე არ მიყურებდა.

–ედვარდ –თქვა მან

–არა –ედვარდი ღრიალებდა. მისი ტუჩები უკან იწეოდნენ და კბილებს აჩენდნენ.

–ეს – ეთადერთი გზაა, რომელსაც აზრი გააჩნია –იჟინებდა კარლაილი –შენ არ გინდა მის გარეშე სიცოცხლე და ამან არჩევანი არ დამიტოვა.

ედვარდმა ხელი გამიშვა, სკამი გასწია და გასასვლელისკენ გავიდა ღრენით.

–ვფიქრობ, რომ შენ იცი ჩემი ხმა –ამოიხვნეშა კარლაილმა.

მე ისევ იქით ვიყურებოდი სადაც ედვარდი გავიდა –მადლობა – წავიბუტბუტე მე.

სხვა ოთახიდან რაღაცამ დაიგრუხუნა.

მე შევხტი და ჩქარა ავლაპარაკდი –ეს – ყველაფერია რაც მესაჭიროებოდა. მადლობელი ვარ. მე ვგრძნობდი აუცილებლობას ამაში, ისევე როგორც თქვენ.

გაელვება და ელისი ჩემთან გაჩნდა, მისი ცივი ხელები მომიეხვია.

–ჩვენი ძვირფასი ბელა –ის მძიმედ სუნთქავდა.

მე ზურგზე ვეფერებოდი. უცებ როზალი შევამჩნიე, მაგიდაზე დაშტერებული, და მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები სხვადასხვანაირად იქნებოდა მიღებული.

–კარგი, ელის –ვთქვი მე როცა ესმიმ გამანთავისუფლა თავისი გარემოცვიდან –სად გინდა ამის გაკეთება?

ელისი მომაშტერდა და თვალებში შიში აესახა.

–არა! არა! არა! –დაიღრიალა ედვარდმა, ოთახში შემოვარდნით. პირისპირ დამიდგა სანამ თვალის დახამხამება მოვასწარი. ჩემსკე დაიხარა, სახე სიბრაზისგან წაშლილი ჰქონდა.

–შენ მართლა შეიშალე –ყვიროდა ის –შენ სრულიათ დაკარგე საკუთარი აზრი.

მე მოვიღუშე და ხელები ყურებზე მივიჭირე.

–ჰმ, ბელა, -თქვა ელისმა აღელვებული ხმით –არამგონია, რომ მზად ვარ ამისთვის. უნდა მოვემზადო...

–შენ დამპირდი –შევახსენე მე, ედვარდის ხელისგან კანკალით.

–ვიცი, მაგრამ... სერიოზულად, ბელა! არ ვიცი როგორ არ მოგკლა.

–შენ შეძლებ ამის გაკეთებას –დავიჩურჩულე მე –გენდობი.

ედვარდი ღრიალებდა.
ელისმა თავი გააქნია, მის თვალებში პანიკა იყო.

–კარლაილ? –მე მივბრუნდი, რომ მისთვის შემეხედა.

ედვარდმა ნიკაპზე მსატაც ხელი, რომ მისთვის შემეხედა. მეორე ხელით კარლაილი გააჩერა.

კარლაილმა მას იგნორირება გაუკეთა –მე შემიძლია ამის გაკეთება. –უპასუხა მან ჩემს კითხვას. ძალიან ვწუხდი, რომ არ შემეძლო მისი სახის დანახვა –საშიშროება არ დაგემუქრება თუ კონტროლს დავკარგავ.

–კარგი –ვიმედობნებდი, რომ გაიგო, არადგან ნორმალურად ვერ ვლაპარაკობდი, ედვრადს მაგრად ეჭირა ჩემი ნიკაპი.

–მოიცა –თქვა ევდვარდმა კბილებიდან –ეს არ უნდა მოხდეს ეხლა.

–არა არის არანაირი მიზეზი, რომ ეს ეხლა არ მოხდეს –წარმოვთქვი მე, სიტყვები დამახინჯებულად გამოვიდა.

–ვფიქრობ, რომ შეგიძლია ცოტა მოიცადო.

–რათქმაუნდა შენ ფიქრობ –ვთქვი უსიამოვნო ხმით –ეხლა კი გამიშვი.

მან გაანთავისუფლა ჩემი სახე და ხელები გულზე დავიწყვე.

–დაახლოებით 2 საათში ჩარლი აქ იქნება შენ საძებნელად. რა მგონია ამაში პოლიციეს ჩარევა ღირდეს.

–დიდი არაფერია –მაგრამ მე მოვიღუშე.

გეგმის ყველაზე რთული ნაწილი. ჩარლი და დედა... ეხლა უკვე ჯეიკობიც. ხალხი, რომლებიც უნდა დავკარგო, ხალხი რომლებსაც, შემიძლია ზიანი მივაყენო. მინდოდა ყოფილიყო გზა რომლითაც მხოლოდ მე დავიტანჯებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად, ადამიანად დარჩენისას, მე უფრო მეტ ზიანს მივაყენებდი მათ. ჩარლი მუდამ საშიშროებაში იქნებოდა, ჩემს გვერდით. ჯეიკს უფრო დიდი საშიშროება ემუქრებოდა, რადაგნ იძულებული იყო მე დავეცავი. და რენე – მე გარისკვაც არ შემეძლო. რომ მომენახულებინა ის, შიშით, რომ მას რამე მოუვიდოდა.
მე მაგნიტი ვიყავი. უსიამოვნებების მიმზდეველი, მე ვაღიარე ეს. ვიცოდი, რომ თუ შევიცვლებოდი, შემეძლებოდა თვითონ მიმეხედა საკუთარი თავისთვის და დამეცვა ისინი, ვინც მიყვარდა, იმ ფასადაც რომ სამუდამოდ დავშორებოდი მათ. მე ძლიერი უნდა ვყოფილიყავი.

–ყველაფერი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს –თქვა ედვარდმა ისევ კბილებიდან, მაგრამ ეხლა კარლაილს უყურებდა. –ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ბელას სკოლის დამთავრებდა მაინც უნდა გადავდოთ, სანამ ის ჩარლის სახლიდან წამოვა.

–ეს მისაღები წინადადებაა, ბელა –თქვა კარლაილმა.

მე წარმოვიდგინე ჩარლის რეაქცია, როცა ის გაიღვიძებს ამ დილით, მას შემდეგ რაც მეგობარი, გარი დაკარგა და აღმოაჩენს ჩემს გაქრობას. ჩარლი უკეთესს იმსახურებს. მხოლოდ, ცოტა მეტ დროს. დასასრული ხომ მაინც მალე დადგება...

მე ტუჩზე ვიკბინე –გადავხედავ მას.

ედვარდი მოდუნდა. კბილები გახსნა.

–ალბათ, სახლში უნდა წგიყვანო –თქვა მან, ეხლა უფრო წყნარი ხმით, მაგრამ ჩანდა, რომ ჩემს აქედან წაყვანას ჩქარობდა –ყოველი შემთხვევისთვის, თუ ჩარლი ადრე გაიღვიძებს.

მე კარლაილს შევხედე –სკოლის დამთავრების შემდეგ?

–შენ ჩემი სიტყვა გაქვს.

მე ამოვიხვნეშე, გავიღიმე და ედვარდს მივუბრუნდი –კარგი. შეგიძლია სახლში წამიყვანო.

ედვარდმა სახლიდან გამომიყვანა, სანამ კარლაილი კიდევ რაიმეს დაპირებას მოასწრებდა. უკანა კარიდან გამიყვანა და მაინც ვერ დავინახე რა გატეხა მისაღებში.
სახლში, სრულ სიჩუმეში ვბრუნდებოდით. თავს საზეიმოდ და თვითკმაყოფილადაც ვგრძნობდი. ესევე მაშინებდა დაშორება საყვარელ ხალხთან, მაგრამ ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა. თუ ფიზიკურ ან მორალურ ტკივილზე ვიფიქრებ, მაშინ მომხდარი აზრს დაკარგავს.
როცა სახლთან მივედით, ედვარდი არ შეჩერებულა, ის ნახევარ წამში ფანჯრიდან შეხტა ჩემს ოთახში და საწოლზე დამსვა. ვიცოდი თუ რაზე ფიქრობდა, მაგრამ მისმა გამომეტყველებამ გამაკვირვა. გაბრაზებულის ნაცვლად ჩაფიქრებული იყო. ის ჩუმად დადიოდა წინ და უკან ბნელ ოთახში, როცა მე თვალს ვადევნებდი, ეჭვის მომატებით.

–იმის მიუხედავათ თუ რას გეგმავ, მაინც არ გამოგივა –ვუთხარი მე.

–ჩუუუ. ვფიქრობ.

–ფუ –ამოვიკვნესე მე, ლოგინზე გადავწექი და გასაფარებელი წავიფარე თავზე.

მე არანაირი ხმა არ გამიგონია, მაგრამ ის უცებ ჩემთან აღმოჩნდა. გადასფარებელი გადამაძრო, რომ შეეხედა ჩემთვის. შემდეგ ჩემთან ერთად დაწვა. ის ჩემს თმებს ეთამაშებოდა.

–თუ წინააღმდეგი არ ხარ, მირჩევნია სახე არ დამალო. არ შემიძლია, დიდი ხანი ვერ ვხედავდე მას. ეხლა... მითხარი რაღაც.

–რა? –ვკითხე მე.

–ყველაფრის მიღება რომ შეგეძლოს მთელ სამყაროში, რა იქნებოდა ეეს?

ვიგრძენი, რომ თვალებში ეჭვი გამიჩნდა –შენ.

მან თავი გააქნია –ის, რაც არ გაქვს.

არ ვიცოდი, რისკენ მივყავდი, ამიტომ კარგად დავფიქრდი სანამ ვუპასუხებდი. მე მოვიფიქრე, რაღაც რაც ძალიან მინდოდა, და რაც მგონი შეუძლებელი იყო.

–მენდომებოდა, რომ... კარლაილს არ გაეკეთებინა ეს. მენდომებოდა, რომ შენ შეგეცვალე.

მე თვალს ვადევნებდი მის რეაქციას, მეგონა, რომ უფრო გაბრაზდებოდა, ვიდრე თავის სახლში. გაკვირვებული ვიყავი, რომ გამომეტყველება არ შეცვლია. ის ისევ ჩაფიქრებული იყო.

–რა შეგიძლია სანაცვლოდ შემომთავაზო?

მე ყურებს ვერ ვუჯერებდი. მას მივაშტერდი და პასუხი მანამ წამოვაყრანტალე, სანამ დავფიქრდებოდი. –ყველაფერს.

ის ნაზად გაიღიმა და შემდეგ პირი მოკუმა–ხუთი წელი?

სახე, სადღაც წყენასა და სიბრაზეს შორის გამიჩერდა.

–შენ ყველაფერი მითხარი –შემახსენა მან.

–კი, მაგრამ... შენ ამ დროს, რაიმეს მოსაფიქრებლად გამოიყენებ. რკინა მანამ უნდა გამოვჭედო სანამ ცხელია. ამის გარდა, საშიშია ჩემი ადამიანად დარჩენა ამდენი ხნით. ასე, რომ ყველაფერი ამის გარდა.

ის მოიღუშა –სამი წელი?

–არა!

–განა მზად არ ხარ მომცე ის რასაც ჩემს სურვილში გთხოვ?

მე დავფიქრდი, რამდენად მინდოდა ეს. გადავწყვიტე ყველა კარტი არ გამეხსნა და არ გაეგო თუ რამდენად მინდოდა ეს. ამან უფრო მეტი შანსი მომცა, რომ ჩემი დამეჟინებია. –ექვსი თვე?

მან თვალები გადაატრიალა –არა, ეს არ მყოფნის.

–მაშინ ერთი წელი –ვთქვი მე –ეს ზღვარია.

–ორი წელი მაინც მომეცი.

–არცერთი დღით მეტი. მე ცხრამეტ წლამდე მივაღწევ, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ოცი შემისრულდეს. თუ შენ სამუდამოდ ახალგაზრდა დარჩი, მეც ესე მინდა.

ის ერთი წუთის განმავლობაში ფიქრობდა –კარგი. დაივიწყე წლებზე. თუ გინდა, რომ ერთი წლით შემოვისაზღვრო – მაშინ ერთი პირობა უნდა შეასრულო.

–პირობა? –ხმა ჩამწყდა –კიდევ რა პირობა.

სიფრთხილემ გაილვა მის თვალებში – ის ნელა ლაპარაკობდა –ჯერ, ცოლად გამომყევი.

მე მივაჩერდი, ველოდი... –კარგი. რაშია ხუმრობა?

მან ამოიხვნეშა –ბელა, შენ ჩემს თვამყოვარეობას შეეხე. მე ხელი გთხოვე და შენ იფიქრე, რომ ეს ხუმრობაა.

–ედვარდ, გთხოვ სერიოზული იყავი.

–მე 100%ით სერიოზული ვარ. –ის დაჟინებით მიყურებდა, ყოველგვარი იუმორის გარეშე.

–კარგი რა –ვთქვი მე, ხმაში ისტერიკა გამომერია –მე ხომ მხოლოდ, თვრამეტის ვარ.

–კარგი, მე თითქმის ას ცხრის. ასაკს არა აქვს მნიშვნელობა.

მე ფანჯარას გავხედე, რომ პანიკა ჩამეცხრო.

–მაგრამ, ქორწინება – საერთოდ არ დგას ჩემს პირველად სიაში. იცი? ეს რენესთვის და ჩარლისთვის სასიკვდილო კოცნის ტოლფასია.

–სიტყვების საინტერესო შერჩევაა.

–იცი რასაც ვგულისხმობ.

მან ამოიხვნეშა –გთხოვ, არ მითხრა, რომ მოვალეობების გეშინია. – მისი ხმა ეჭვიანად ისმოდა და მივხვდი თუ რასაც გულისხმობდა.

–მთლად ესეც არა –მე თავი დავიზღვიე –მე... უბრალოდ რენეზე ვნერვიულობ. მას აბსოლუტური ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ქორწინებასთან დაკავშირებით, თუ ოცდაათი წელი არ მომიკაკუნებს.

–და ის, აირჩევდა, რომ სამუდამოდ დაწყევლილი გამხდარიყავი –მან მოღუშულად გაიცინა.

–გგონია, რომ ეს სასაცილოა?

–ბელა, თუ შენ ერთამენთს ადარებ ქორწინების მოვალეობებს და შენი სულის გაცვლას უკვდავობის საფასურად, ვამპირის სახით... – მან თავი გააქნია –თუ შენ არ ხარ საკმარისად გულადი, რომ ცოლად გამომყვე, მაშინ...

–კარგი, -შევაწყვეტინე მე –რა, თუ დავთაანხმდები? რა თუ ეხლავე მოგცემ უფლებას ლას-ვეგასში წამიყვანო? მე სამ დღეში გავხდები ვამპირი?

მან გაიცინა, მისმა კბილებმა გაიელვეს სიბნელეში. –დარწმუნებული ვარ. –მივხვდი, რომ ყველა კარტი გადავუშალე –მე მივიღებ იმას არც მინდა.

–ჯანდაბა –წავიბურყუნე მე –18 თვეზე ვარ თანახმა.

–ესე საქმე არ წავა –თქვა ღიმილით –მე მომწონს ეს პირობა.

–გადასარევია. მაშინ როცა განათლებას მივიღებ, ამას კარლაილი გააკეთებს.

–თუ ეს ისაა რაც შენ ნამდვილად გინდა –მან ბეჭები აიჩეჩა და მისი ღიმილი აბსოლუტურად ანგელოზის გახდა.

–შენ შეუძლებელი ხარ –ვკვნესოდი მე –მონსტრი.

ის ახითხითდა –ეს არის მიზეზი რის გამოც ცოლად არ გამომყვები?

მე ისევ ამოვიკვნესე.
ის ჩემსკენ დაიხარა. მისი მუქი თვალები დნებოდა და გამოვყავდი მდგომარეობიდან –გთხოვ, ბელა? –თქვა ერთი ამოსუნთქვით.

უცებ დამავიწყდა სუნთქვა. როცა გავწორდი, თავი გავაქნიე, რომ აზრზე მოვსულიყავი.

–ეხლა უკეთესია წავიდე, დრო მაქვს, რომ ბეჭდები მოვიტანო.

–არა! არანაირი ბეჭდები! –მე შოკში ვიყავი მომხდარისგან.

–ამით შენ თანხმობა მომეცი –დაიჩურჩულა მან.

–ვაი.

–ჩარლიმ გაიღვიძა, უნდა წავიდე –გამარკვია ედვარდმა.

გულმა ფეთქვა შეწყვიტა.
წამის განმავლობაში ჩემს გამომეტყველებას აკვირდებოდა. –მაშინ ძალიან ბავშვური არ იქნება, რომ თქვენს აბაზანაში დავიმალო?

–არა –მოუთმენლად დავიჩურჩულე მე –დაიმალე. გთხოვ.

ედვარდმა გაიღიმა და გაქრა.
მე ვიწექი სიბნელეში, და ჩემში ყველაფერი იწვოდა, ველოდი, რომ წუთი წუთზე ჩარლი შემოვიდოდა, ჩემს შესამოწმებლად. ედვარდმა ზუსტად იცოდა რას აკეთებდა, და ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი მისი ეშმაკური გეგმის ნაწილი იყო. რათქმაუნდა მე ისევ მქონდა კარლაილის სიტყვა, მაგრამ ეხლა როცა იყო იმის შანსი, რომ ედვარდი შემცვლიდა, ეს ძალიან მინდოდა. ის ისეთი მატყუარა იყო.
ჩემი ოთახის კარი გაიღო.

–დილა მშვიდობისა, მამა.

–ო, გამარჯობა ბელა. –ჩარლი შეიშმუშნა, რომ გამოვიჭირე –არ ვიცოდი თუ არ გძინავდ.

–ხო. ველოდი სანამ გამაღვიძებდი, ეხლა კი შხაპის მიღება მინდა –მე წამოდგომა დავიწყე.

–მოიცა –თქვა ჩარლიმ, სინათლის ანთებით. მე თვალები დავხუჭე მოულოდნელი შუქისგან –მოდი, ჯერ დავილაპარაკოთ.

მე ვერ ვმალავდი ჩემს ემოციებს. დამავიწყდა, მეკითხა ელისისთვის ჩემი გამართლება.

–იცი, რომ უსიამოვნებები გაქვს.

–კი, ვიცი.

–მთელი სამი დღე ჭკუიდან შევიშალე. მოვდივარ სახლში, გარის დაკრძალვიდან და შენ წასული ხარ. ჯეიკობმა მხოლოდ ის მითხრა, რომ ელის კალენთან ერთად გაიქეცი და ფიქრობდა, რომ უსიამოვნებები გაქვს. ნომერი არ დამიტოვე, რომ დამერეკა და თვითონაც არ დამირეკე. არ ვიცოდი სად იყავი, როდის, ან დაბრუნდებოდი საერთოდ. დამდე პატივი და მითხარი ერთი მიზეზი მაინც, რომ... რომ... –ის ვერ ამთავრებდა წინადადებას. –შეგიძლია ერთი მიზეზი მაინც მითხრა, რომ მე ეხლავე არ გაგიშვა ჯექსონვილში?

თვალები დავაწვრილე. ის მემუქრება, არა? კარგი ვითამაშებ მასთან ამ თამაშს. მე გადასაფარებელში გახვეული ვიჯექი. –იმიტომ, რომ არ წავალ.

–ეხლა, მხოლოდ ერთი წუთი, ახალგაზრდა ქალბატონო.

–მამა, მე ყველანაირი პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემს ქმედებებზე და შენ გაქვს უფლება მანამ დამტოვო შენთან სანამ გენდომება. მე, ასევე ვაკეთებ ყველა ოჯახურ საქმეს, ვრეცხავ, ვამზადებ, ასე, რომ მე შენ აქ გჭირდები. და თუ მოინდომებ და გამაგდებ, მე ფლორიდაში არ წავალ.

მისი სახე გაწითლდა. რამოდენიმეჯერ ღრმად ამოისუნთქა სანამ დაილაპარაკებდა.

–არ გინდა ამიხსნა სად იყავი?

ჯანდბა –ვიყავი... კრიტიკული სიტუაცია იყო.

მან წარბი ასწია, ჩემი ბრწყინვალე გამართლების მოლოდინში. ლოყები ჰაერით გავბერე და ხმაურით გამოვუშვი გარედ.

–არ ვიცი რა გითხრა, მამა. უბრალოდ გაურკვევლობა მოხდა. თავიდან ერთამა თქვა, შემდეგ მეორეს გადასცა და ყველაფერი აირია.

ის ეჭვიანი გამომეტყველებით მიყურებდა.

–ისე მოხდა, რომ ელისმა როზალის უთხრა, რომ კლდიდან გადმოვხტი... –მე წინადადება დავაწყვე, რომ რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი სიმართლესთან, მაგრამ ფიქრის დროს ჩარლის გამომეტყველებამ გამახსენა – მან არ იცოდა ჩემი კლდიდან გადმოხტომის ამბავი.

მთავარი ვაი. მე ცეცხლზე ნავთს ვასხამდი.

–მგონი არ მომიყოლია ეს. –ვგრძნობდი, რომ ჰაერი არ მყოფნიდა –დიდი არაფერი, უბრალოდ იქიდან ჯეიკობთან ერთად მინდოდა გადმოხტომა. ასე თუ ისე, როზალიმ უთხრა ედვარდს და ის ძალიან გაბარზდა. არასწორი დასკვნებით, ეგონათ, რომ თვითმკვლელობა ჩავიდინე. ის არ პასუხობდა ტელეფონს, ამიტომ ელისმა... ლოს-ანჯელესში წამიყვანა, რომ ყველაფერი ამეხსნა –მე ბეჭები ავიჩეჩე იმ იმედით, რომ დაიჯერებდა ჩემს საცოდავ გამრთლებას.

ჩარლის სახე გაშეშდა –შენ თავის მოკვლა გინდოდა?

–არა, რათქმაუნდა, არა. უბრალოდ ჯეიკობთან ერთად ვერთობოდი. ჯეიკობის მეგობრები სულ ხტებიან იქედან. ხომ გითხარი, რომ საშიში არაფერი იყო.

ეხლა ჩარლის სახე უფრო აინთო –ყოველ შემთხვევაში, რა საქმე აქვს ამასთან ედვარდ კალენს? –დაიყვირა მან –მან ხომ მიგატოვა...

მე შევაწყვეტინე –კიდევ ერთი გაურკვევლობა...

მისი სახე ისევ გაწითლდა –ესე იგი, დაბრუნდა?

–ზუსტად არ ვიცი. მგონი ყველა დაბრუნდა.

ის თავს აქნევდა, ძარღვი მის შუბლზე ფეთქავდა –მინდა, რომ შორს იყო მისგან, ბელა. მე მას არ ვენდობი. ის უნამუსოა. არ მივცემ უფლებას ისევ მოგაყენოს ზიანი.

–გადასარევია –ვთქვი მე.

–ო, -ის ერთი წუთის განმავლობაში ვერ სუნთქავდა გაკვირვებისგან –მეგონა, რომ კამათს დამიწყებდი.

–არა –მე თვალებში ვუყურებდი –მე ვგულისხმობდი: გადასარევია, მე წავალ შენგან.

თვალები გადმოეკარკლა, სახეზე მოწითალო-მოყვისფრო ფერი დაედო. მისმა ჯანმრთელობამ ამაღელვა. ის არ იყო გარიზე უმცროსი...

–მამა, მე არ მინდა წასვლა –ვთქვი უფრო რბილი ტონით –მე მიყვარხარ. ვიცი, რომ ღელავ, მაგრამ უნდა მენდო. თუ გინდა, რომ შენთან დავრჩე, შენ აუცილებლად უნდა შეიცვალო აზრი ედვარდზე. გინდა აქ ვიცხოვრო, თუ არა?

–ეს უსამართლობაა, ბელა. იცი, რომ ძალიან მინდა შენი დარჩენა.

–მაშინ მოექეცი ედვარდს უკეთესად, იმიტომ, რომ ის ჩემთან იქნება. –მე ეს ძლიერი ხმით ვთქვი, გააზრება იმისა, რომ ედვარდს მართლა უნდოდა ჩემთან ყოფნა ისევ ძლიერი იყო.

–არა ჩემს სახლში –მეკამათებოდა ჩარლი.

მე ამოვიოხრე –მე აღარ ვაპირებ შენთვის პირობების წაყენებას. ყველაფერი რამოდენიმე დღეში გაიაზრე, კარგი? მაგრამ იცოდე, რომ მე მხოლოდ ამ პირობით დავრჩები.

–ბელა...

–იფიქრე ამაზე –ვიჟინებდი მე –და, სანამ ფიქრობ არ შეგიძლია, რომ დამტოვო? მართლა მინდა შხაპის მიღება.

ჩარლის სახეზე ლურჯმა ფერმა გადაკრა, მაგრამ წავიდა, კარების მაგრად გაჯახუნებით. მესმოდა, როგორ მძიმედ ჩადიოდა კიბეზე. მე გადასაფარებელი გადავიძვრე, ედვარდი კი უკვე ჩემს ოთახში იყო და სავარძელში იჯდა, თითქოს მთელი ეს დრო იქ იყოო.

–მაპატია, ამისთვის –დავიჩურჩულე მე.

–არაფერია, მე უფრო უარესს ვიმსახურებ –წაიბუტბუტა მან –ნურაფერს წამოიწყებ ჩარლისთან, ჩემს გამო. გთხოვ.

–ნუ ღელავ ამაზე –სუფთა ტანსაცმელს ვაგროვებდი, რომ სააბაზანოში შემეტანა –მე დავიწყებ, იმდენს რამდენიც

აუცილებელია. თუ შენ გინდა წამოვიდე ჩარლისგან? –თვალები გავაფართოვე, მოჩვენებითი ნერვიულობით.

–შენ, ვამპირებით სავსე სახლში დასახლდებოდი?

–მგონი ჩემთვის, იქ ყველაზე უსაფრთხო ადგილია. თანაც... –მე ჩავიცინე –თუ ჩარლი გამომაგდებს, არ იქნება არანაირი აუცილებლობა სკოლის დამთავრებამდე მოვიცადო, არა?

–ესე ისწრაფოდე სამუდამო წყევლისკენ –წაიბუტბუტა მან.

–იცი, რომ სინამდვილეში შენ ამის არ გჯერა.

–ო, ესე იგი ესეც? –ბრაზდებოდა ის.

–არა. შენ არ გჯერა.

ის გაურკვევლად მიყურებდა და რაღაცის ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ შევაწყვეტინე.

–თუ შენ მართლა ფიქრობ, რომ დაკარგე სული, მაშინ, როცა ვოლტერაში გნახე, მაშინვე მიხვდებოდი რაც მოხდა, იმის ნაცვალდ, რომ გგონებოდა, რომ ორივენი მოვკვდით. მაგრამ შენ ვერ გაიგე – შენ თქვი: გასაოცარია. კარლაილი მართალი ყოფილა. –საზეიმოდ შევახსენე მე. –ესე იგი, შენში არის იმედი.

ამჯერად ედვარდი დუმდა.

–მოდი ერთად ვიქონიოთ იმედი, კარგი? –შევთავაზე მე –მაგრამ, იცი რა არის ყველაზე მნიშვნელოვან. თუ შენ არ იქნები ჩემს გვერდით, მე სამოთხე არ მჭირდება.

ის ნელა წამოდგა და მომიახლოვდა, მომხვია სახეზე ხელები და თვალებში ჩამხედა –ჩვენ სამუდამოდ ერთად ვქნებით –დაიფიცა მან.

–ეს – ყველაფერია რაც მინდა, -ვთქვი მე და ფეხის წვერებზე ავიწია, რომ მივწვდომოდი, და შეხებოდა ჩემი ტუჩები, მის ტუჩებს.

ეპილოგი

თითქმის ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა- ჩვეულ, ზომბობამდელ კალაპოტში- იმაზე ნაკლებ დროში ვიდრე წარმომედგინა. საავადმყოფო გაშლილი ხელებით მიესალმა კარლაილის დაბრუნებას, არავინ შეწუხებულა თავისი აღფრთოვანების დამალვაზე რომ ესმის თავისთვის სულ ოდნავ მოსაწონი ცხოვრება ეპოვა ლოს-ანჯელესში. აღრიცხვის ტესტის წყალობით, რომელიც საზღვარგარეთ ყოფნის დროს გავაცდინე, ელისს და ედვარდს ჩემზე უკეთესი დამამთავრებელი სიტუაცია ჰქონდათ სკოლაში. უცებ კოლეჯი მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის (კოლეჯი ჯერ კიდევ ბე გეგმად მრჩებოდა, იმ შემთხვევაში თუ ედვარდის შემოთავაზება გამოირიცხებოდა, დამამთავრებელი საღამოს შემდეგ პირდაპირ კარლაილთან გავიქცეოდი დანაპირების მისაღებად). ბევრმა ვადამ ჩაიარა, მაგრამ ედვარდს ყოველდღე ახალ-ახალი განცხადებების ზვინი მოჰქონდა, რომ შემევსო. მას უკვე გამზადებული ჰქონდა ჰარვარდის მიმართვა, ამიტომ ასეთ რაღაცეებზე ღელვა არ უწევდა, თორემ მომავალ წელს ჩემი სიზარმაცის წყალობით ორივე ნახევარკუნძულის საზოგადოებრივ კოლეჯში სწავლით დავასრულებდით.

ჩარლი ჩემთან ყოფნით, თუ ედვარდთან საუბრით მაინცდამაინც ბედნიერი არ იყო. თუმცა, ყოველ შემთხვევაში ედვარდს უფლება ისევ მისცა- განსაზღვრული სავიზიტო საათების განმავლობაში- სახლში შემოსულიყო. ამის არშეუსრულებლობის უფლება არ მქონდა.

სკოლა და სამუშაო ერთადერთი გამონაკლისი იყო, კლასის მოსაწყენი, ბუნდოვანი ყვითელი კედლები უცნაურად მიმზიდველი გახდა ჩემთვის ბოლო დროს. რადგან ბევრი რამ მქონდა გასაკეთებელი იმ პიროვნებასთან ერთად, რომელიც მერხთან ჩემს გვერდით იჯდა.

წლის დასაწყისში ედვარდმა ისე შეცვალა თავისი გაკვეთილების ცხრილი, რომ ჩვენი გაკვეთილების უმეტესობა ისევ ემთხვეოდა ერთმანეთს. კალენების ლოს-ანჯელესში გადასვლის შემდეგ, გასულ შემოდგომას ისე ვიქცეოდი, რომ ჩემს გვერდით თავისუფალი ადგილი არავის დაუკავებია. მაიკიც კი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი შემთხვევით ესარგებლა, საკმაო დისტანციას იჭერდა ჩემგან. მას შემდეგ რაც ედვარდი თავის ადგილს დაუბრუნდა, თითქმის მეჩვენებოდა, რომ გასული 8 თვე არაფერი იყო, თუ არა უბრალოდ მყუდროების დამრღვევი ღამის კოშმარი.

თითქმის ასე მეგონა, მაგრამ არა სრულიად. ჯერ ერთი, ამ 8 თვეს ადასტურებდა ის, რომ მე შინაპატიმრობაში ვიმყოფებოდი. მეორეც, შემოდგომამდე არ მყოლია საუკეთესო მეგობარი ჯეიკობ ბლექი. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არ მომენატრებოდა.

ნებადართული არ ვიყავი ლა-პუშში წავსულიყავი და არც ჯეიკობი მოდიოდა ჩემს სანახავად. ჩემს სატელეფონო ზარებსაც კი არ პასუხობდა.

ამ ზარებს ძირითადად ღამით ვანხორციელებდი, მას შემდეგ რაც ედვარდს ჩემი სახლიდან გარეთ გაუძახებდა- სასტიკად მოზეიმე ჩარლი ზუსტად 9 საათზე- და სანამ ედვარდი უკან შემოიპარებოდა ჩემი ფანჯრიდან, მას შემდეგ რაც ჩარლი დაიძინებდა. ეს დრო ჩემი უშედეგო ზარების განსახორციელებლად იმიტომ ავირჩიე, რომ შევამჩნიე ედვარდი რაღაცნაირ სახეს იღებდა ყოველთვის როცა ჯეიკობის სახელს ვახსენებდი. კიცხვის და სიფრთხილის.... შეიძლება გაბრაზებისდამაგვარსაც კი. მივხვდი, მასაც რაღაც შესაბამისი ცრუ შეხედულება ჰქონდა მაქციებზე, თუმცა არა ისეთივე მჟღერი როგორც ჯეიკობისა „სისხლისმწოველებზე.“

ასე რომ, ჯეიკობს მასთან ხსენებას მოვუკელი.

ედვარდის გვერდით ყოფნისას ძნელი იყო უსიამოვნო რაღაცეებზე ფიქრი-ჩემს ყოფილ საუკეთესო მეგობარზეც კი, რომელიც ალბათ ზუსტად ახლა ძალიან უბედური იყო, თანაც ჩემი წყალობით. და როცა კი მასზე მართლა ვფიქრობდი, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რომ უფრო მეტს არ ვფიქრობდი მასზე.

ზღაპარი დაბრუნდა. პრინცი ჩემთან იყო, ავი ჯადო დაიმსხვრა. ზუსტად არ ვიცოდი რა მოუვიდოდა დარჩენილ, გადაუწყვეტელ პერსონაჟს. სად იქნებოდა *მისი* ბედნიერება ამ ყველაფრის შემდეგ?

კვირები გადიოდა, ჯეიკობი კი ისევ არ პასუხობდა ჩემს ზარებს. მე უკვე მუდმივად ვღელავდი მასზე. თითქოს ჩემს თავს უკან მუდმივად წვეთავდა ონკანიდან წყალი, მაგრამ მე არც მისი კარგად გადაკეტვა შემეძლო და არც უგულებელყოფა. წვეთავს, წვეთავს, წვეთავს. ჯეიკობ, ჯეიკობ, ჯეიკობ.

ასე რომ, თუმცა ჯეიკობს *ხშირად* არ ვახსენებდი, ზოგჯერ ნირწამხდრობა და მღელვარება გადადუღდა ხოლმე ჩემში.

„ეს აშკარა უხეშობაა!“ წამომცდა ერთ კვირა შუადღეს, როდესაც ედვარდს სამუშაოდან მივყავდი. რამეზე გაბრაზება უფრო ადვილი იყო, ვიდრე თავის დამნაშავედ გრძნობა. „პირდაპირ შეურაცხმყოფელია!“

სასწრაფოდ შევცვალე ჩემი თარგი განსხვავებული პასუხის მოლოდინში. ამჯერად სამუშაოდან დავურეკე ჯეიკს, და თურმე ისიც მხოლოდ უსარგებლო ბილის გამო. ისევ.

„ბილიმ მითხრა, რომ მას არ *უნდოდა* ჩემთან დალაპარაკება,“ ვმძვინვარებდი, თან ვუყურებდი წვიმის წვეთები როგორ ზლაზვნით ეცემოდა გვერდითა ფანჯარაზე.

„რომ ის იქ იყო და სამ ნაბიჯს არ გადადგამდა, რომ ყურმილი აეღო! ჩვეულებრივ ბილი ამბობს, რომ ის გარეთაა, ან დაკავებულია, ან სძინავს ან რამე. ანუ, განა იმას ვამბობ, რომ ვერ ვხვდებოდი რომ მატყუებდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ჩემი თავიდან მოშორების ზრდილობიანი გზა იყო. მგონი ახლა ბილისაც ვძულვარ. ეს უსამართლობაა!“

„შენ არა, ბელა,“ წყნარად თქვა ედვარდმა. „შენ არავის სძულხარ.“

„ასე კი ჩანს და.“ ჩავიბურტყუნე და გულ-ხელი დავიკრიფე. ეს მხოლოდ სიჯიუტის გამოხატულება იყო. ახლა მკერდში ხვრელი აღარ მქონდა- უკვე თითქმის აღარც მახსოვდა სიცარიელის შეგრძნება.

„ჯეიკობმა იცის, რომ ჩვენ დავბრუნდით და დარწმუნებული ვარ დაასკვნა, რომ შენთან ვარ,“ თქვა ედვარდმა. „ის ჩემს სიახლოვეს არ მოვა. მტრობამ ძალიან ღრმად გაიდგა ფესვები.“

„რა სისულელეა. მან იცის, რომ შენ არ... ჰგავხარ სხვა ვამპირებს.“

„მაგრამ ჯერ კიდევ აქვთ კარგი მიზეზი, რომ ჩემგან უსაფრთხო დისტანცია დაიჭირონ.“

ბრმად გავიხედე საქარე მინიდან, მხოლოდ ჯეიკობის სახეს ვხედავდი, რომელიც იმ მწარე ნიღაბს დაეფარა მე რომ ვერ ვიტანდი.

„ბელა, ჩვენ ის ვართ რაც ვართ," წყნარად თქვა ედვარდმა. „მე შემიძლია ჩემი თავის გაკონტროლება, მაგრამ მეეჭვება, რომ მასაც შეეძლოს ეს. ის ძალიან ახალგაზრდაა. უფრო მოსალოდნელია, რომ ყველაფერი ბრძოლაში გადაიზრდებოდა და მე დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებდი მის შეწყვეტას, სანამ მე მას მ..." მან სიტყვა გაწყვიტა და შემდებ ჩუმად გააგრძელა. „სანამ მას რამეს დავუშავებდი. შენ უბედური იქნებოდი. მე კი არ მინდა, რომ ეს მოხდეს."

გამახსენდა ჯეიკობმა რა თქვა სამზარეულოში, მის მშრალი ხმის ზუსტი გამოძახილით გავიგონე მისი სიტყვები. *დარწმუნებული არ ვარ, რომ საკმაოდ გაწონასწორებული ვარ იმისთვის, რომ ამას გავუმკლავდე... ალბათ მაინცდამაინც არ მოგეწონებოდა, თუ შენს მეგობარს მოვკლავდი.* მაგრამ მაშინ მან შეძლო ეს...

„ედვარდ კალენ," დავიჩურჩულე. „შენ აპირებდი გეთქვა *სანამ მოვკლავო?* ასეა?"

მან თვალი ამარიდა, წვიმას მიშტერებოდა. ჩვენს წინ, წითელი სინათლე, რომელიც მე არ შემიმჩნევია, გამწვანდა და მან ისევ დაძრა მანქანა, ძალიან ნელა ატარებდა. ეს მისი ტარების სტილს არ შეესაბამებოდა.

„მე ვეცდებოდი... ძალიან მაგრად... რომ ეს არ გამეკეთებინა," თქვა ბოლოს ედვარდმა.

დაღებული პირით მივაჩერდი, მაგრამ ის ისევ წინ იყურებოდა. ჩვენ ქუჩის კუთხის გაჩერების ნიშანთან ვიყავით გაჩერებულები.

უეცრად, გამახსენდა რა დაემართა პერისს, როცა რომეო დაბრუნდა. დადგმის მიმართულება უბრალო იყო: *ისინი ჩხუბობენ. პერისი ეცემა.*

მაგრამ ეს სასაცილო იყო. შეუძლებელი.

„კარგი,“ ვთქვი და ღრმად ჩავისუნთქე, თავი გავაქნიე, რომ თავიდან გამომედევნა ის სიტყვები. „არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ოდესმე მოხდება, ასე რომ სანერვიულოც არაფერია. და შენ რა თქმა უნდა იცი, რომ ჩარლი სწორედ ახლა საათს არ აშორებს თვალს. გირჩევნია სახლში მალე მიმიყვანო, სანამ დაგვიანების გამო უარეს ხათაბალაში გავხვეულვარ.“

ავხედე, რომ ცალყბად გამეღიმა.

ყოველთვის როცა სახეზე ვუყურებდი, ამ შეუძლებლად სრულყოფილ სახეზე, ჩემი გული ძალიან ძლიერად და ჯანმრთელად ჩემი მკერდის ძალიან შორეულ სიღრმეში ცემდა. ამჯერად, გული თავისი ჩვეული მთვრალი რითმით აწყდებოდა მკერდს. ვიცანი მისი ქანდაკებასავით მშვიდი სახის გამომეტყველება.

„შენ ისედაც უარეს ხათაბალაში ხარ, ბელა,“ უმოძრაო ტუჩებით დაიჩურჩულა.

ახლოს მივუჩოჩდი, მკლავზე ვებღაუჭებოდი როცა თვალი გავაყოლე მის მზერას, რომ დამენახა რასაც ის ხედავდა. არ ვიცი რას ველოდი- შეიძლება შუა ქუჩაში მდგარ ვიქტორიას, რომლის ცეცხლისფერ წითელ თმებს ქარი აუფრიალებდა, ან ერთ მწკრივ მაღალ შავ მოსასხამებს... ან გაბრაზებული მაქციების ხროვას. მაგრამ საერთოდ ვერაფერი ვერ დავინახე.

„რა? რა არის?“

მან ღრმად ჩაისუნთქა. „ჩარლი...“

„მამაჩემი?“ წამოვიკივლე.

შემდეგ მან დამხედა, იმდენად მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ჩემი პანიკის შემსუბუქება შეძლო.

„ჩარლი... ალბათ *არ* აპირებს შენს მოკვლას, მაგრამ ფიქრით კი ფიქრობს ამაზე,“ მითხრა. მან ისევ დაძრა მანქანა, ჩემს ქუჩას დაუყვა, მაგრამ ჩემს სახლს ჩაუარა და ტყის პირას გააჩერა.

„რა დავაშავე?“ მძიმედ ამოვისუნთქე.

ედვარდმა ჩარლის სახლს გახედა ზურგსუკან. მის მზერას თვალი გავაყოლე და პირველად შევამჩნიე რა ეყენა სახლთან მისასვლელ გზაზე კრეისერის გვერდით. მბრწყინავი, ღია წითელი შეუძლებელი იყო მხედველობიდან გამოგრჩენოდა. ჩემი მოტოციკლი იწონებდა თავს კრეისერის გვერდით.

ედვარდმა თქვა, რომ ჩარლი მზად იყო მოვეკალი, ესეიგი მან იცოდა- რომ მოტოციკლი *ჩემი* იყო. მხოლოდ ერთადერთი ადამიანი შეიძლებოდა მდგარიყო ამ ღალატის მიღმა.

„არა!“ ძლივს ამოვთქვი. „*რატომ?* რატომ უნდა გაეკეთებინა ჯეიკობს ეს ჩემთვის?“ ღალატის გესლმა დამიარა. ჯეიკობს უყოყმანოდ ვენდობოდი- ვანდობდი მას ჩემს თითოეულ მნიშვნელოვან საიდუმლოს. ის ჩემთვის ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარი იყო- პიროვნება რომელსაც შემეძლო ყოველთვის მივნდობოდი. რა თქმა უნდა, ახლა ურთიერთობა დაგვეძაბა, მაგრამ არ მეგონა, რომ რომელიმე საკვანძო მნიშვნელობის არსი შეიცვლებოდა ჩვენს შორის. არ მეგონა საერთოდ თუ იყო *შესაძლებელი* ამის შეცვლა.

რით დავიმსახურე ეს? ჩარლი ალბათ გაგიჟებული იყო- უფრო მეტიც, ის გულნატკენი და ანერვიულებული იქნებოდა. უამისოდაც საკმარის ტკივილთან არ მოუწია გამკლავება? ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ჯეიკი ასეთი ეგოისტური და ნამდვილი უნამუსო ყოფილიყო. ცრემლები გადმომცვივდა, თვალები მეწვოდა, მაგრამ ეს არ იყო სევდის ცრემლები. მე მიღალატეს. უცებ გავცხარდი, რომ თავმა ისე დამიწყო ფეთქვა, მეგონა გამისკდებოდა.

„ჯერ კიდევ აქაა?“ დავისისინე.

„ჰო. იქ გვიცდის.“ მითხრა ედვარდმა და თავი ვიწრო ბილიკისკენ გაიქნია, რომელიც ორად ყოფდა ტყეს.

მანქანიდან გადმოვხტი და ტყისკენ გავვარდი, მუშტები უკვე დასარტყამად მქონდა გამზადებული.

რატომ იყო ედვარდი ჩემზე ასე ძალიან სწრაფი?

სანამ ბილიკის გზას დავადგებოდი წელზე შემომხვია ხელები და დამიჭირა.

„გამიშვი! უნდა მოვკლა! *მოღალატე!*“ ხეების მიმართულებით ვტყორცნე ეპითეტი.

„ჩარლი გაიგონებს შენს ხმას,“ გამაფრთხილა ედვარდმა. „და მაშინვე სახლში შეგიყვანს, ალბათ კარის ზღურბლთან გელოდება.“

ინსიქტურად მოვავლე თვალი სახლს, მაგრამ პრიალა წითელი მოტოციკლის გარდა ვერაფერს ვხედავდი. წითელს ვხედავდი. თავმა ისევ დაიწყო ფეთქვა.

„ერთი რაუნდი მაცადე ჯეიკობთან, შემდეგ კი ჩარლის მივხედავ,“ თავისუფლების მოსაპოვებლად ამაოდ გავიბრძოლე.

„ჯეიკობ ბლექს *ჩემი* ნახვა უნდა. სწორედ ამიტომაა ის ჯერ კიდევ აქ.“

ამის გოგონებაზე გამაცია- ჩხუბი ჩემს ცხვირწინ. ხელები მომიდუნდა. *ისინი ჩხუბობენ; პერისი ეცემა.*

გავცეცხლდი, მაგრამ არა *იმ* გაცეცხლებით.

„სალაპარაკოდ?“ ვკითხე.

„მეტნაკლებად.“

„ეგ როგორ?“ ხმა ამითრთოლდა.

ედვარდმა თმაზე სახიდან ზურგისკენ გადამისვა ხელი. „ნუ ღელავ, ის ჩემთან საჩხუბრად არ არის აქ. მას.... ხროვის წარმომადგენლის ფუნქცია აქვს დაკისრებული.“

„ოჰ.“

ედვარდმა ისევ სახლს შეხედა, შემდეგ უფრო მაგრად მომხვია ხელი წელზე და ტყისკენ წამიყვანა. „უნდა ვიჩქაროთ. ჩარლის მოუთმენლობა იპყრობს.“

შორს წასვლა არ დაგვჭირვებია; ჯეიკობი ბილიკიდან რამდენიმე ნაბიჯში გველოდებოდა. ლოდინის დროს კარგად მოკალათებულიყო ხავსიანი ხის ვარჯზე, მტკიცე და გესლიანი სახე ჰქონდა, ზუსტად

ისეთი როგორიც ვფიქრობდი რომ ექნებოდა. მან ჯერ მე შემომხედა, შემდეგ ედვარდს. ჯეიკობის პირს ყალბი ჩაცინება მოსწყდა, შემდეგ ხეს მოსცილდა. შიშველ ფეხისგულებზე იდგა ოდნავ წინგადმოხრილი, აკანკალებული ხელები მუშტებად შეეკრა. იმაზე დიდი მომეჩვენა ვიდრე მაშინ იყო ბოლოს რომ ვნახე. ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ როგორღაც ის ისევ იზრდებოდა. ერთმანეთის გვერდით რომ დამდგარიყვნენ ედვარდზე მაღალიც კი იქნებოდა.

მაგრამ ედვარდი მაშინვე გაჩერდა, როგორც კი ის დავინახეთ, ფართო ადგილი დავტოვეთ ჩვენსა და ჯეიკობს შორის. ედვარდმა სხეული შეაბრუნა, ისე გადამაადგილა, რომ მის უკან აღმოვჩნდი. გვერდით გადავიხარე, რომ ჯეიკობისთვის შემეხედა- რომ ჩემი მზერით დამედანაშაულებინა ღალატში.

ვფიქრობდი,რომ მისი განაწყენებული, ცინიკური გამომეტყველების დანახვა უარესად გამაბრაზებდა. ამის ნაცვლად, მისმა გამომეტყველებამ გამახსენა ბოლოს როგორი ვნახე ის, ცრემლითავსებულთვალებიანი. მას რომ ვუყურებდი ჩემი მძვინვარება დასუსტდა, მერყევი გახდა. იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ რაც ბოლოს ვნახე ის- ვერ ვიტანდი, რომ ჩვენი ხელახალი შეხვედრა *ასეთი* იყო.

„ბელა,“ მისალმების ნიშნად თავი დამიკრა ჯეიკობმა ისე, რომ თვალი არ მოუცილებია ედვარდისთვის.

„რატომ?“ დავიჩურჩულე, შევეცადე არ გამეცა, რომ ყელში მქონდა სევდის ბურთი გაჩხერილი. „როგორ შეგეძლო ეს გაგეკეთებინა ჩემთვის, ჯეიკობ?“

მისი ყალბი ღიმილი გაქრა, მაგრამ სახე ისევ მტკიცე და უხეში ჰქონდა. „ეს საუკეთესო გამოსავალი იყო.“

„*ეს* რას ნიშნავს? გინდა ჩარლიმ *დამახრჩოს?* თუ გინდა ჰარივით გულმა დაარტყას? მნიშვნელობა არ აქვს რამდენად გაცეცხლებული ხარ ჩემზე, როგორ შეგეძლო ეს *მისთვის* გაგეკეთებინა?“

ჯეიკობი შეკრთა და წარბები შეჭმუხნა, მაგრამ არაფერი უპასუხია.

„არავისთვის არ უნდოდა ზიანის მოტანა- მას უნდოდა უბრალოდ ჭკუა ესწავლებინა შენთვის, ისე რომ ჩემთან დროის გატარების უფლება აღარ მოიეცათ.“ ჩაიბუტბუტა ედვარდმა, ჯეიკობის ფიქრებს მიხსნიდა, რომლის თქმასაც თავად ვერ ახერხებდა.

ჯეიკობმა თვალები ნაპერწკლები დააკვესა სიძულვილით, როდესაც ისევ ედვარდს მიაშტერდა.

„აუ, ჯეიკობ!“ ამოვიკვნესე. „მე *უკვე* მასწავლეს ჭკუა! აბა, როგორ გგონია, რატომ არ ჩამოვედი ლა პუშში და არ გაგძუყნე(☺☺☺) ჩემი სატელეფონო ზარების უგულებელყოფისთვის?“

ჯეიკობმა ისევ მე მომანათა თვალები, თავიდან შეცბუნებული მომეჩვენა. „ვითომ მაგიტომ?“ მკითხა და ყბები მაგრად მიაჭირა ერთმანეთს, თითქოს წუხდა, რომ ხმა ამოიღო.

„მას ეგონა, რომ ჩარლი კიარა, *მე* არ გიშვებდი,“ ისევ ამიხსნა ედვარდმა.

„შეწყვიტე მაგის კეთება,“ უკმეხად წამოისროლა ჯეიკობმა.

ედვარდმა არაფერი უპასუხა.

ჯეიკობი ერთხელ შეთრთოლდა, კბილებიც ისევე მაგრად გაახრჭიალა, როგორ ხელებს მუშტავდა. „როგორც ჩანს ბელა არ აზვიადებდა შენს...შესაძლებლობებთან დაკავშირებით,“ კბილებს შორის გამოსცრა. „ესეიგი შენ უკვე უნდა იცოდე რატომ ვარ აქ.“

„ვიცი,“ რბილი ხმით დაეთანხმა ედვარდი. „მაგრამ სანამ დაიწყებ, რაღაც უნდა გითხრა.“

ჯეიკობი იცდიდა, მუშტავდა და ადუნებდა ხელებს, ცდილობდა დაემორჩილებინა კანკალი, რომელიც მკლავებს ურხევდა.

„მადლობ,“ თქვა ედვარდმა, ხმა უთრთოდა ღრმა გულწრფელობის გამო. „ვერასდროს შევძლებ გითხრა, თუ როგორი მადლობელი ვარ შენი. მე შენგან დავალებული ვიქნები მთელი ჩემი... არსებობის მანძილზე.“

ჯეიკობი გულგრილად უმზერდა მას, გაოცებისგან კანკალი შეუწყდა. მან სწრაფად შემომხედა, მაგრამ მეც მასავით დაინტრიგებული სახე მქონდა.

„ბელას გადარჩენისთვის," განგვიმარტა ედვარდმა უხეში და გაცხარებული ხმით. „როცა მე... არ გავაკეთე ეს."

„ედვარდ..." დავიწყე, მაგრამ მან ხელი აწია, თვალები ჯეიკობზე ჰქონდა მიპყრობილი.

მიხვედრილობამ გადაუარა ჯეიკობს სახეზე, სანამ მტკიცე ნიღაბი დაბრუნდებოდა. „შენი სარგებლისთვის არ გამიკეთებია ეგ."

„ვიცი. მაგრამ ეს არ ამსუბუქებს მადლიერებას, რომელსაც შენს მიმართ ვგრძნობ. ვფიქრობდი, რომ ეს უნდა გცოდნოდა. თუ ოდესმე შემეძლება რამე გავაკეთო შენთვის..."

ჯეიკობმა ცალი შავი წარბი აწია.

ედვარდმა თავი გააქნია. „ეგ ჩემზე არ არის დამოკიდებული."

„აბა ვისზეა?" დაიღრინა ჯეიკობმა.

ედვარდმა დამხედა. „მასზე. მე კარგი მოსწავლე ვარ, ჯეიკობ ბლექ, და იგივე შეცდომას მეორედ აღარ დავუშვებ. მე აქ ვიქნები სანამ ის არ მიბრძანებს რომ წავიდე."

მომენტალურად ჩავიძირე მის ოქროსფერ თვალებში. არც ისე ძნელი მისახვედრი იყო, რა გამომრჩა საუბარში. ერთადერთი რამ რაც ჯეიკობს ედვარდისგან ენდომებოდა, მისი არყოფნა იყო.

„არასოდეს," დავიჩურჩულე, ისევ ედვარდის მზერას ვიყავი მიჯაჭვული.

ჯეიკობმა ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს პირში ბურთი ჩასჩარეს.

უხალისოდ გავინთავისუფლე თავი ედვარდის მზერისგან, რომ ჯეიკობისთვის შემებღვირა. „კიდევ გინდოდა რამე, ჯეიკობ? გინდოდა ხათაბალაში გაგეხვიე- მისია შესრულებულია. ჩარლი ალბათ პირდაპირ სამხედრო სკოლაში გამაგზავნის. მაგრამ ეს ვერ

შემაკავებს ედვარდისგან შორს. არაფერს შეუძლია *ამის* გაკეთება. კიდევ რა გინდა?“

ჯეიკობი ედვარდს არ აშორებდა თვალს. „უბრალოდ მინდოდა შენი სისხლისმწოველა მეგობრებისთვის შემეხსენებინა ხელშეკრულების რამდენიმე საკვანძო პუნქტი, რომელსაც ისინი დაეთანხმნენ. საზავო მოლაპარაკება მაჩერებს ამ წუთას, რომ ყელში არ ვეცე და გამოვღადრო.“

„არ დაგვიწყებია,“ თქვა ედვარდმა ზუსტად იმ დროს, როცა მე ჩავეკითხე, „რა საკვანძო პუნქტები?“

ჯეიკობი ისევ ედვარდს მიშტერებოდა, მაგრამ მე მიპასუხა. „შეთანხმება საკმაოდ თავისებურია. თუ რომელიმე მათგანი უკბენს ადამიანს, ზავი დასრულდება. თუ მხოლოდ *უკბენს,* კი არ მოკლავს.“ ხაზი გაუსვა ბოლო სიტყვებს. როგორც იქნა შემომხედა. ცივი მზერა ჰქონდა.

მხოლოდ წამი დამჭირდე განსხვავებას რომ დავკვირვებოდი, შემდეგ კი მეც მასავით ცივი გამიხდა სახე.

„ეს შენი საქმე არ არის.“

„ფეხებზე მკიდია...“ სულ ეს იყო რისი ამოთქმაც შეძლო.

არ ველოდი, რომ ჩემი ნაჩქარევი სიტყვები ასე ძლიერ გამოპასუხებას ჰპოვებდა. გაფრთხილების მიუხედავად, რომლის მოსაცემადაც აქ მოვიდა, შეუძლებელი იყო მას ეს ზუსტად სცოდნოდა.ალბათ ეგონა, რომ გაფრთხილება უბრალოდ წინდახედულება იყო. მას არ ჰქონდა გაცნობიერებული- ან დაჯერება არ უნდოდა- რომ არჩევანი უკვე გავაკეთე. რომ მართლა ვაპირებდი კალენების ოჯახის წევრი გავმხდარიყავი.

ჩემმა პასუხმა ჯეიკობი კინაღამ კრუნჩხვებში ჩააგდო. მუშტები მაგრად მიიჭირა საფეთქლებზე, თვალები მაგრად დახუჭა, ასე ცდილობდა სპაზმების მოგერიებას. მოწითალო-ყავისფერ კანქვეშ სახე მოყვითალო მწვანე გაუხდა.

„ჯეიკ? კარგად ხარ?“ აღელვებულმა ვკითხე.

მისკენ ნახევარი ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ ედვარდმა დამიჭირა და თავის სხეულსუკან დამმალა. „ფრთხილად! თავს ვეღარ იმორჩილებს,“ გამაფრთხილა.

მაგრამ ჯეიკობი უკვე ნაწილობრივ ეკუთვნოდა თავის თავს; ახლა მხოლოდ მკლავები უკანკალებდა. ედვარდს სუფთა სიძულვილით შეუბღვირა. „ახ,*მე* არასდროს არაფერს დავუშავებ მას.“

არც მე და არც ედვარდს არ გამოგვრჩენია მის ხმაში ქვეტექსტი და ბრალდება. ხმადაბალი სისინი გამოუსხლტა ტუჩებსშორის ედვარდს. ჯეიკობმა უნებურად მომუშტა ხელები.

„ბელა,“ ჩარლის ღრიალი ექოდ მოისმა სახლის მხრიდან. „ახლავე სახლში შემოდი!“

ყველანი გავხევდით, სიჩუმეს ვუსმენდით, რომელიც ამ ღრიალს მოჰყვა.

პირველმა მე დავილაპარაკე; ხმა მიკანკალებდა. „ჯანდაბა.“

ჯეიკობს სახეზე მძვინვარება შეერყა. „*ვწუხვარ* მაგის გამო,“ ჩაიბურტყუნა. „ყველაფერი უნდა გამეკეთებინა რაც შემეძლო- უნდა მეცადა...“

„მადლობ.“ ხმისკანკალმა დაამსხვრია ჩემი ირონია. ბილიკს ავხედე, ნახევრად მოველოდი, რომ ჩარლის დავინახავდი როგორ მოაბოტებდა ნესტიან გვიმრებს შორის განრისხებული ხარივით. ამ სცენარში მე ალბათ წითელი დროშის ფუნქცია მექნებოდა.

„მხოლოდ კიდევ ერთი რამ,“ მითხრა ედვარდმა,შემდეგ კი ჯეიკობს შეხედა. „ჩვენს მხარეს ვიქტორიას კვალიც კი ვერსად ვიპოვეთ, თქვენ?“

მან მაშინვე შეიტყო პასუხი, როგორცკი ჯეიკობმა გაიფიქრა ის, მაგრამ მან მაინც თქვა პასუხი. „ტრიე ბოლოს მაშინ იყო, როცა ბელა... წასული იყო. ნება მივეცით ეფიქრა, რომ თავს დაიძვრენდა- წრეს ვავიწროებდით, მისთვის ჩასასაფრებლად ვემზადებოდით...“

ყინულმა დამიარა ხერხემალში.

„შემდეგ ისე გაიქცა, როგორც ღამურა ჯოჯოხეთიდან. როგორც ვიცით აქვე ახლოს მან თქვენი პატარა მდედრის სუნი იკრა და მიხვდა, რომ კარგად ვეღარ იყო მისი საქმე. მას შემდეგ ჩვენი მიწების შორიახლოს აღარ გამოჩენილა.“

ედვარდმა თავი დაუქნია. „როცა დაბრუნდება, ის თქვენი პრობლემა აღარ იქნება. ჩვენ...“

„მან ჩვენ მიწაზე დახოცა ხალხი!“ დაისისინა ჯეიკობმა. „ის ჩვენია!“

„არა...“ ორივე განცხადებას გაპროტესტება დავიწყე.

„ბელა! მის მანქანას *ვხედავ* და *ვიცი* რომ მანდ ხართ. თუ *ერთ* წუთში სახლში არ შემოხვალ...!“ ჩარლის თავი არ შეუწუხებია, რომ მუქარა დაემთავრებინა.

„წავედით,“ თქვა ედვარდმა.

გულგატეხილმა გავხედე ჯეიკობს. ნეტა, კიდევ ვნახავდი ოდესმე?

„მაპატიე,“ ისე ხმადაბლა დაიჩურჩულა, რომ მხოლოდ მის ტუჩებზე დაკვირვებით გავიგე. „მშვიდობით, ბელზ.“

„შენ დამპირდი,“ სასოწარკვეთილად შევახსენე. „ისევ მეგობრები ვართ, ხომ ასეა?“

ჯეიკობმა ნელა გააქნია თავი, ყელში გაჩხერილმა ბურთმა კინაღამ დამახრჩო.

„ხომ იცი, როგორ მაგრამ ვცდილობდი პირობა შემესრულებინა, მაგრამ... აღარ ვიცი როგორ გავაგრძელო მცდელობა. ახლა აღარ...“ ის შეეცადა თავისი მტკიცე ნიღაბი ადგილზე დაებრუნებინა, მაგრამ ის შეირხა, შემდეგ კი გაქრა. „მენატრები,“ წარმოთქვა. ცალი ხელი ჩემსკენ გამოიწვდინა, თითები ჩემსკენ გაშლილი, თითქოს ოცნებობდა ისეთი გრძელი თითები ჰქონოდა, რომ ჩვენს შორის მანძილი გადმოეკვეთა.

„მეც,“ ამოვთქვი. ფართო სივრცეში გავიშვირე ხელი მისკენ.

თითქოს ერთმანეთთან დაკავშირებულები ვიყავით, მისი ტკივილის გამოძახილი ჩემში გადმოვიდა. მისი ტკვილი, ჩემი ტკივილი.

„ჯეიკ...“ მისკენ ნაბიჯი გადავდგი. მინდოდა წელზე მკლავები შემომეხვია მისთვის და ტანჯვის გამომეტყველება წამეშალა მისი სახიდან.

ედვარდმა ისევ უკან გამწია, მისი მკლავები დაცვის ნაცვლად მაკავებდა.

„ყველაფერი რიგზეა,“ დავპირდი, ნდობით სავსე თვალებით ავხედე რომ მისი სახე წამეკითხა. ის გამიგებდა.

თვალები გაურკვეველი, გამომეტყველება კი არაფრისმთქმელი ჰქონდა. „არა, რიგზე არაფერიც არ არის.“

„გაუშვი,“ ისევ გამძვინვარებულმა ჯეიკობმა შეუღრინა მას. „მას *უნდა* რომ გაუშვა!“ მან ორი დიდი ნაბიჯი გადმოდგა წინ. წინათგრძნობის ციაგი გაუკრთა თვალებში. გააჟრჟოლა და მკერდი ამოებერა.

ედვარდმა ისევ თავის ზურგსუკან მომიქცია, თვითონ შებრუნდა რომ ჯეიკობს დაპირისპირებოდა.

„არა! ედვარდ...!“

„იზაბელა *სვონ!*“

„წამოდი! ჩარლი გაგიჟებულია!“ პანიკანარევი ხმა მქონდა, ოღონდ ამჯერად არა ჩარლის გამო. „დროზე!“

მთელი ძალით შევეცადე მის წამოთრევას, ის კი მხოლოდ ოდნავ მოდუნდა. თავის ზურგსუკან ნელა დამაყენა, თვალს არ აცილებდა ჯეიკობს სანამ უკან ვიხევდით.

ჯეიკობი ღვარძლიანი სახით პირქუშად გვიყურებდა. წინათგრძნობა აორთქლდა მისი თვალებიდან და მხოლოდ მას შემდეგ რაც ჩვენს შორის ხეები მოექცა, სახე უცებ ტკივილისგან შეეჭმუხნა.

ვიცოდი, რომ მის სახეზე უკანასკნელად თვალის შევლებისას მასზე აღბეჭდილი გამომეტყველება არ მომეშვებოდა მანამ, სანამ მას ისევ გაღიმებულს არ ვნახავდი.

და სწორედ იქ აღთქმა დავდე, რომ მე *აუცილებლად* ვნახავდი მას გაღიმებულს და თან ძალიან მალე. აუცილებლად ვიპოვიდი ჩემი მეგობრის შენარჩუნების გზას.

ედვარდს ისევ მაგრად შემოეხვია მკლავი ჩემს წელზე, მჭიდროდ ვყავდი მიკრული. სწორედ ეს იყო ის, რაც ჩემს თვალებში ცრემლებს აკავებდა.

მე სერიოზული პრობლემები მქონდა.

ჩემი საუკეთესო მეგობარი თავის მტრებში მთვლიდა.

ვიქტორია ჯერ კიდევ თავისუფლად დაძრწოდა და ყველა იმ პიროვნებებს აგდებდა საფრთხეში, ვინც მიყვარდა.

თუ მალე ვამპირი არ გავხდებოდი, ვოლტური მომკლავდა.

ახლა კი, როგორც ჩანდა, თუ მართლა *გავხდებოდი* ვამპირი, ქვილეთი მაქციები ეცდებოდნენ ეს საქმე თვითონ გაეკეთებინათ- ისინი შეეცდებოდნენ მოეკლათ ჩემი მომავალი ოჯახი. მართალია, რომ ვიცოდი მათ არავითარი შანსი არ ექნებოდათ ამის გაკეთების, მაგრამ ჩემი საუკეთესო მეგობარი რომ მომკვდარიყო ამ მცდელობისას?

ეს ძალიან სერიოზული პრობლემები იყო. მაშინ უცებ რატომ მომეჩვენა ეს ყველა პრობლემა უმნიშვნელოდ, როდესაც ბოლო ხეებს შორისაც გავაღწიეთ და ჩემი მხედველობის არეში ჩარლის აჭარხლებული სახის გამომეტყველება მოხვდა?

ედვარდმა ნაზად მომიჭირა ხელზე ხელი. „მე შენთან ვარ.“

ღრმად ჩავისუნთქე.

ეს სიმართლე იყო. ედვარდი ჩემთან იყო, მკლავები ჩემზე ჰქონდა შემოხვეული.

მე შემეძლო ყველაფერს დავპირისპირებოდი სანამ ეს სიმართლე იყო.

მხრებში გავიმართე და ჩემი ბედისწერისკენ გავემართე, ჩემი ბედ-
იღბალი ხომ აშკარად ჩემსკენ იყო.

დასასრული.